საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

ვ. გოგიბაიშვილი

კრებული ნაშრომები

ტომი I

აკად. პ. ბ. გუგუშვილის

რედაქციითა და წინასიტყვაობით

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"

თბილისი—1974

ᲗᲘᲡ(47.929)
Გ. 605

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠ ᲢᲝᲛᲐᲓ. ᲐᲛ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲘᲑᲭᲔᲓᲔᲑᲐ 1892—1905 ᲬᲬ. ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ.

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ — „ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲨᲘ“, „ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲨᲘ“, „ᲙᲕᲐᲚᲨᲘ“, „ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲔᲑᲘ, ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ, ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ, ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓ�გᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

1906—1950 ᲬᲬ. ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲕᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲝᲛᲘ.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

ᲰᲐ. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ (ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ), Ვ. ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ, Ა. ᲒᲣᲜᲘᲐ, Ა. ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ, Მ. ᲙᲐᲮᲔᲗᲔᲚᲘᲫᲔ, Ვ. ᲩᲐᲜᲢᲚᲐᲫᲔ, Ბ. ᲮᲐᲡᲘᲐ, Გ. ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘ.

Г $\frac{0641—145}{М801(08)—73}$ 92—74

© ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“—1974

გავოჩენილი მეცნიერი, სახელოვანი მამულიშვილი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი

ფ. გოგიჩაიშვილი დაიბადა 1872 წლის 20 იანვარს დ. ლანჩხუთში, სოფლის ღარიბი მღვდლის ოჯახში. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, 1880 წ. ის შედის ქ. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1887 წელს.

1887 — 1893 წწ. ფ. გოგიჩაიშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობს, მაგრამ სემინარიის პერიოდშიც არ ყოფილა მისი ცხოვრება სახარბიელო. იგი, როგორც არა ბურსელი, სემინარიის გარეთ დიდ ხელმოკლეობაში ცხოვრობდა. ის თვითონვე აღნიშნავს:

„არაჩვეულებრივად თავმომაბეზრებელი და დამქანცველი იყო ბერების დაუსრულებელი წირვა — რაც ხუთ საათს გრძელდებოდა და რა ხნის განმავლობაში ფეხზე დგომა გვიხდებოდა. დროს მოსაგებად მე პატარა რვეული გავიჩინე და (წირვის დროს) ფრანგულს ვსწავლობდი ფარულად, — ვინაიდან მისი სწავლა პროტესტანტული სულის მაჩვენებლად მიაჩნდათ. ამისათვის ბევრჯერ კარცერშიც ვმჯდარვარ“.

ფ. გოგიჩაიშვილი სემინარიაში არალეგალურ ჯგუფშიც მეცადინეობდა. „ამ ჯგუფში რეფერატების კითხვა, საუბარი, წიგნების კითხვა-გარჩევა სწარმოებდა“. მესამე კლასს შემდეგ მას საკუთარი ჯგუფი ჰყავდა, სადაც კითხულობდნენ პისარევს, ჩერნიშევსკის, ნიხაილოვსკის, ლავროვს, „Колокол“-სა და მისთანებს.

მამას იგი მღვდლად უნდოდა და არ მოეწონა მის მიერ სწავლის გაგრძელების სურვილი. მალე იგი მამამ ნასესხები ფულით სამსახურის საშოვნელად გაისტუმრა.

ერთმა ნაცნობმა (ვ. დარჩიამ) მას დახმარება გაუწია ზესტაფონში, მარგანეცის მრეწველის ნიკოლოზ ღოღობერიძის კანტორაში მოწყობილიყო—ფრანგული კორესპონდენციის მწარმოებლად.

თავდაპირველად ამ თანამდებობისა ძლიერ შეეშინდა, მაგრამ მალე ამ საქმეში ისე გაიწაფა, რომ ნ. ღოღობერიძე ფილიპე გოგიჩაიშვილს— თავის ბუხჰალტერ-კორესპონდენტს — თავიდან არ იშორებდა, რადგან მასში შრომისმოყვარე და ერთგულ მუშაკს ხედავდა.

ფ. გოგიჩაიშვილმა ზესტაფონშივე გაიცნო იმ დროისათვის უკვე ცნობილი პედაგოგი და საზოგადოებრივი მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი, რომელმაც შემდეგში ფრიად დიდი როლი შეასრულა ფ. გოგიჩაიშვილის ცხოვრებაში. ზესტაფონსა და ბათუმში სამოიოდე წლის მუშაობის (1894—1896 წწ.) შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა პ. უმიკაშვილმა თავისი ხარჯით გაგზავნა საზღვარგარეთ, უმაღლესი განათლების მისაღებად. ფ. გოგიჩაიშვილი ძალით დაიყოლიეს, რომ სხვისი ხარჯით უცხოეთში წასულიყო.

გერმანიაში იგი უმთავრესად ლაიფციგში სწავლობდა, სადაც ყოველთვიურად პ. უმიკაშვილისაგან ხუთ თუმანს ღებულობდა. უნივერსიტეტის კურსი დასრულებული ჰქონდა, სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა, როდესაც ფ. გოგიჩაიშვილმა მამისაგან, გურიიდან, წერილი მიიღო: „მეზობელმა მღვდელმა სამრევლოს წართმევა მოინდომა და საქმეს ნახოლოდ ის უშველის, თუ შენ განცხადებას შეიტან ეგზარხოსთან, რათა მამიშენის მრევლი შენ გადმოგცენო“.

მოხუცი მამისათვის ცხოვრების სახსრის შენარჩუნებისა, დისერტაციის ღასრულებისა ღ« დაცვის შესაძლებლობისათვის მან ასეთი თხოვნა მართლაც გამოუგზავნა ეგზარხოსს, თუმცა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, არამცთუ თვითონ არ« კურთხეულა მღვდლად, არამედ მამამისმაც თავი დაანება ხუცობას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პ. უმიკაშვილი იყო ფ. გოგიჩაიშვილის ნამდვილი სულიერი მამა და ცხოვრების გზის გამკაფავი. პ. უმიკაშვილმა ჭეშმარიტად დიდი როლი ითამაშა ფილიპე გოგიჩაიშვილის ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მომზადების საქმეში და თვით ფ. გოგიჩაიშვილი ყოველთვის დიდი სიყვარულითა და უაღრესი პატივისცემის გრძნობით იხსენებდა მის ამაგს.

უცხოეთში სწავლისას მხოლოდ ერთი სემესტრი დაჰყო მან მიუნხენის უნივერსიტეტში. ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ეკონომიკის (ე. წ. კამერალურ მეცნიერებათა) განყოფილების კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, 1901 წელს, დისერტაციის საჯაროდ დაცვის შედეგად მან მოიპოვა ფილოსოფიის დოქტორის მეცნიერული ხარისხი (საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის მეცნიერული ხარისხი მიენიჭა 1935 წელს — საბჭოთა ‘თავრობის მიერ მეცნიერული ხარისხების შესახებ მაშინ გამოცემული შესაბამისი დადგენილების საფუძველზე).

ფ. გოგიჩაიშვილის მიერ ლაიფციგში დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვებას ფართოდ გამოეხმაურნენ იმდროინდელი ქართული პერიოდული ორგანოები. მაგალითად, გასეთ „კვალის“ კორესპონდენციაში (გერმანიიდან) ვკითხულობთ:

„...ოფიციალური განხილვის შემდეგ პროფესორთა კრებულმა მოიწონა [შრომა] და დისერტანტს დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. ფაკულტეტის პროფესორმა კ. ბიუხერმა (იგი) უმაღლესი ნიშნით დააჯილდოვა, რაც იშვიათ მოვლენას შეადგენს ბიუხერის ცხოვრებაში“.

თვით პროფ. ბიუხერის დასკვნით: „...გარდა იმისა, რომ ბ-ნ დოქტორ გოგიჩაიშვილის შრომა კარგი სტილით არის დაწერილი და ფაქტები ერთს დედა აზრზე ხელოვნურად ასხმული, ავტორს ბევრი ორიგინალური აზრი აქვს გატარებული მეცნიერთა საყურადღებოდ და საგულისხმოდ; მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენი სემინარის წევრმა ასე სამაგალითო შრომა გვიჩვენაო“ (იხ. „კვალი“, 1901 წ., №15, გვ. 238).

იმავე 1901 წ. ტუბინგენში ცალკე წიგნად გამოიცა ფ. გოგიჩაიშვილის ხსენებული სადისერტაციო ნაშრომი („Das Gewerbe in Georgien...“). ამ წიგნზე ვრცელი რეცენზია დაიბეჭდა სხვათა შორის იმავე წლის „კვალის“ №№ 29 და 30.

ფ. გოგიჩაიშვილის ხსენებული შრომა გამოიცა „Zeitschrift für die gesamte Staatswissenschaften“-ის პირველი დამატების სახით; ამრიგად კი „მხოლოდ ისეთი გამოკვლევები იბეჭდება, რომლებიც აკმაყოფილებენ მკაცრ მეთოდოლოგიურ მოთხოვნილებათ და თავისი შინაარსით არსებითად უწყობენ ხელს მეცნიერების განვითარებას“.

მოპყავს რა ეს თვით გერმანული ჟურნალის რედაქციის ზოგადი დახასიათება, „კვალის“ რეცენზენტი თავის მხრივ აცხადებს: „აქედან სჩანს, რა მნიშვნელობას აძლევს ახალგაზრდა მეცნიერის შრომას ერთი უდიდესი კორიფეი ეკონომიკური მეცნიერებისა ბიუხერი და ჩვენ... ვიტყვით, მხოლოდ, რომ ეს წიგნი მეტად საინტერესოა ევროპის მეცნიერებისათვის; იგი აცნობს მათ სრულიად ახალ მხარეს, და იმ მხრივ, რომელიც ხელშეუხებელია ევროპის მეცნიერებისაგან; არა თუ ეკონომიურ-სოციალური მხრით, სახელითაც ძლივს გვიცნობს ჯერ კიდევ ევროპა და ყოველ სხვა ღირსებათა გარდა, ამითაც ძვირფასია ეს შრომა ჩვენთვის“; რეცენზენტი ვრცლად გადმოსცემს რა ჟურნალის ორი ნომრის ფურცლებზე ფ. გოგიჩაიშვილის შრომის შინაარსს, დასასრულ აღნიშნავს: „ჩვენთ-

ვის მეტად საინტერესოა გოგიჩაიშვილის შრომა ქართულ ენაზედაც დაიბეჭდოსო" („კვალი", 1901 წ., №29 და 30, გვ. 686—703). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამწუხაროდ, ეს ნაშრომი ქართულად აქამდე არ გამოცემულა და მხოლოდ ახლა იბეჭდება თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა როლი ითამაშა ფ. გოგიჩაიშვილის ამ შრომამ დასავლეთ ევროპაში საქართველოს მცოდნეობის გავრცელებისათვის, საერთოდ ქართველოლოგიაში, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თვით კ. ბიუხერმა თავისი ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი თხზულების — „შრომა და რიტმის" მორიგ გამოცემაში შეიტანა ფ. გოგიჩაიშვილის წიგნის მიხედვით დაწერილი სპეციალური თავი, კერძოდ საქართველოს შესახებ (იხ. მეოთხე გერმ. გამოც. 1909, ლაიფც.—ბერლ., გვ. 268—280; უკანასკნელი რუს. გამოც., გვ. 197—207).

ბიუხერის ეს თხზულება თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი ხალხის ენაზე, მაგრამ ამ მსრივ იქნებ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყოს ის გარემება, რომ იმავე პროფ. კარლ ბიუხერმა, თავის მეორე კიდევ უფრო ცნობილი და სხვადასხვა ენაზე მრავალჯერ გამოცემული წიგნის, „სახალხო მეურნეობის წარმოშობის" მეოთხე გამოცემაში (1904 წ.) შეიტანა მასალა ამიერკავკასიის შესახებ და ამ შემთხვევაში იგი ისევ ფ. გოგიჩაიშვილის ზემოხსენებულ მონოგრაფიას ემყარება (იხ. მეექვსე გერმ. გამოცემა, გვ. 105, 160, 168; 1923 წ. რუს. გამოცემა, გვ. 56, 87). ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროიდან მოყოლებული დღემდე, რამდენადაც ვიცი, არ ყოფილა სხვა შემთხვევა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში მსოფლიო მასშტაბით ესოდენ გავრცელებულ ზოგადმეცნიერულ შრომებში, როგორიც კარლ ბიუხერის დასახელებული თხზულებანია, ასე ეოცლად ყოფილიყოს წარმოდგენილი ქართველოლოგიური მასალა.

დისერტაციის დაცვის შემდეგ ფ. გოგიჩაიშვილი კიდევ ერთი წელიწადი ცხოვრობდა ლონ. ევროპაში, უმთავრესად პარიზში, სადაც მუშაობდა ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. მიუხედავად წინადადებისა, გაეგრძელებინა სამეცნიერო მუშაობა გერმანიაში, იგი 1902 წ. ბრუნდება სამშობლოში და აქ ებმება ფართო საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ-სამეცნიერო მოღვაწეობაში.

1907 წელს ფ. გოგიჩაიშვილმა ცოლად შეირთო გამოჩენილი პედაგოგისა და საზოგადოებრივი მოღვაწის, თბილისის უნივერსიტეტის შენობის (I-ლი კორპუსი) აგების მთავარი ორგანიზატორის ნიკოლოზ ცხვედაძის ასული ელენე.

ფ. გოგიჩაიშვილი მსახურობდა სხვადასხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებაში: განაგებდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სტატისტიკურ ბიუროს, სადაც ხელმძღვანელობდა სტატისტიკურ-ეკონომიურ გამოკვლევებს (1903—1913 წწ.): იყო სრულიად რუსეთის საერობო კავშირის რწმუნებულად ამიერკავკასიაში (1914—1916 წწ.); კახეთის რკინიგზის გამგეობის თავმჯდომარედ (1917—1918 წწ.); სახელმწიფო კონტროლიორად (1918—1920 წწ.) და სხვ.

1917-1918 წწ. ფ. გოგიჩაიშვილმა, როგორც ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის წევრმა, უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის უნივერსიტეტის დაარსებასა და ორგანიზაციაში.

ფ. გოგიჩაიშვილი ამასთანავე იყო უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა მცირერიცხოვანი შემადგენლობის ერთ-ერთი უაღრესად ავტორიტეტული და მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერი.

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა იმთავითვე დაიწყო ლექციების კითხვა უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ეკონომიკურ განყოფილებაზე. პირველ ხანებში ფ. გოგიჩაიშვილს აქ ლექციების კითხვა უხდებოდა რიგ ძირითად ეკონომიკურ დისციპლინაში.

1918 წლიდან მოყოლებული ორი ათეული წლის მანძილზე ფილიპე გოგიჩაიშვილი თბილისის უნივერსიტეტში არსებითად იყო ერთადერთი პროფესორი-ეკონომისტი, რომელსაც კისერზე აწვა როგორც ლექციების კითხვა, ასევე ზრუნვა ეკონომიკური (სოციალურ-ეკონომიკური) ფაკულტეტის ადმინისტრაციული და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებისათვის.

ამასთანავე მოსახსენებელია ის სიძნელეებიც, რომლებიც მაშინ, სათანადო ქართული ტერმინოლოგიის დაუმუშავებლობის პირობებში, უნდა გადაელახა ლექტორს, რომელიც ეკონომიკური მეცნიერების რამდენიმე დისციპლინის კურსს კითხულობდა.

პუბლიცისტური მოღვაწეობა ფ. გოგიჩაიშვილმა დაიწყო 1892 წლიდან, რა დროიდანაც მისი კორესპონდენციები და ფელეტონები იბეჭდებოდა — ილ. ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში".

იგი უახლოესი თანამშრომელი იყო, გარდა „ივერიისა", ჟურნალების—„მოამბის", „კვალის", გაზეთების — „ცნობის ფურცლის", „საქართველოს მოამბისა" და სხვ. 1905—1906 წწ. თვითონ რედაქტორობდა გაზ. „ივერიას". მისი სტატიები, ნარკვევები, ფელეტონები, გაზეთის მოწინავეები ეხებიან იმ დროისათვის საჭირბოროტო საკითხებს, რისთვისაც ცარიზმის ცენზურა ხშირად კრძალავდა მის ნაწერებს. 1909 წ. ფ. გოგიჩაიშვილი დაპატიმრებულიც იყო ცარიზმის საწინააღმდეგო მოღვაწეობისათვის.

ცალკე წიგნად მისი ნაშრომი, როგორც აღვნიშნეთ, პირველად გამოიცა 1901 წ. ტუბინგენში; ეს იყო სადისერტაციო შრომა. შემდეგ ცალკე წიგნებად გამოცემულ ნაშრომთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის კაპიტალურ გამოკვლევას: «Частное землевладение в Тифлисской и Кутаисской губерниях», 1910 წ. ორ ნაწილად.

აი როგორ გადმოგვცემს ფ. გოგიჩაიშვილისათვის ამ შრომის დაწერის დავალების გარემოებას გ. ლასხიშვილი თავის მოგონებაში.

მწვავე აგრარული ვითარების გამო დიდად საჭირო იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის „მიწათმფლობელობისა და სოფლის ეკონომიური ცხოვრების სხვა მხარეთა სტატისტიკური გამოკვლევა. ამ საქმის მოსაგვარებლად მოწვეულ იქნა ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწე და სტატისტიკოსი ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელმაც რამდენიმე წლის განმავლობაში შეაგროვა და გადაამუშავა ფრიად საინტერესო და დიდი სტატისტიკური მასალა" (იხ. გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, „მემუარები", 1934 წ., თბ., გვ. 192).

საერთოდ, ფ. გოგიჩაიშვილი ავტორია დიდძალი გამოქვეყნებული ლიტერატურული პროდუქციისა, რომელთა (შრომების, მონოგრაფიების, საჟურნალო ნარკვევების, ფელეტონების, პუბლიცისტური სტატიების) რაოდენობა 300-ზე მეტია.

ფ. გოგიჩაიშვილის ეს ნაწერები უმთავრესად შეეხება საქართველოსა და კავკასიის იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ფრიად მრავალგვარ და აქტუალურ საკითხებს. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები 1890—1900-იანი წლების საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გარდა იმ ფრიად სერიოზული როლისა, რაც ამ კატეგორიის მისმა შრომებმა შეასრულეს მაშინდელ პრაქტიკულ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, მათი ისტორიული მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ამ შრომებს გვერდს ვერ აუვლის ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების, განსაკუთრებით აგრარულ ურთიერთობათა ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი.

თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ეს გამოცემა, ნათლად ჩანს იმ მაღალი შეფასებიდან, რაც მას მისცა ქართული ცივილიზაციის საყოველთაოდ აღიარებულმა

ერთ-ერთმა დიდმა მშენებელმა, როგორიც იყო იაკობ გოგებაშვილი, რომელიც 1911 წ. „სახალხო გაზეთში“ (№ 277) დაბეჭდილ ბიბლიოგრაფიაში წერდა:

„ეს კრებული Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях. изданный... под редакцией Ф. Г. Гогичайшвили გამოსულია ერთ ვეებერთელა ტომად. ამოდენა წიგნი, ქართველის მიერ შედგენილი და ქართული ფულით გამოცემული, ეგონებ, მეორე არ მოიპოვება ჩვენში. გამოკვლევის საგანსაც, უპირველესი, უძირითადესი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისათვის. მხვნელ-მთესველობა (სოფლის) მეურნეობა უმთავრესი საქმე იყო ქართველთათვის წინადაც, არის ახლაც და მომავალშიც იქნება. ამის გამო ჩვენის ქვეყნის არამც თუ წარმატება, არამედ არსებობაც კი დამოკიდებულია მასზე, თუ რა სიმტკიცით უდგია მას ფეხი მიწა-წყალზე, ტერიტორიაზე და როგორ არის განაწილებული უძრავი ქონება წოდებათა შორის. სწორედ ამ დიდ მნიშვნელოვან საკითხს არკვევს ეს უშველებელი კრებული; რომელიც სავსეა სანდო დოკუმენტებიდან ამოღებული სტატისტიკური ციფრებით.

ეს კრებული, ეს ტომი შეკერმეტყველური მოწამეა ბ-ნი გოგიჩაიშვილის სერიოზულის ბეჯითობისა, წმინდა ევროპიულის, სისტემატიურის შრომის-მოყვარეობისა, რაც ისე იშვიათი მოვლენაა ჩვენს ქარაფშუტულს დროშიო“

ამგვარად, ფ. გოგიჩაიშვილის ეს კაპიტალური ნაშრომი არა მხოლოდ ფრიად მნიშვნელოვანი თეორიული და ისტორიული ხასიათის წიგნი, არამედ, თავისი დროისათვის, დიდი პრაქტიკული ღირებულების შემცველი გამოცემაც იყო.

ისიც უნდა ითქვას, რომ შიგარუსეთის გუბერნიებში ამ დროს ანალოგიურ ცნობებს კრებდნენ და ამუშავებდნენ უპირატესად საერობო თვითმმართველობის ადმინისტრაციის სპეციალური ორგანოები, რომლებიც შედარებით კარგად იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო კადრებითა და ფულადი სახსრებითაც, მაგრამ საერობო თვითმმართველობა ამიერკავკასიის გუბერნიებს ცარიზმმა, მიუხედავად მრავალი შეპირებისა, საერთოდ არ აღირსა.

არსებულ პირობებში, როდესაც მიწების გამიჯვნის სამუშაოებიც აქ კუს ნაბიჯით მიდიოდა და დასასრულს არ უახლოვდებოდა, ცხადია, ამიერკავკასიის, კერძოდ, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწათმფლობელობის სტატისტიკის ერთადერთ წყაროს (მასალას) წარმოადგენდა მიწების (მამულების) რეგისტრაცია, რასაც სახაზინო პალატები ატარებდნენ.

სახაზინო პალატების მიერ გატარებული რეგისტრაციის მასალათა საფუძველზე მიწათმფლობელობის სტატისტიკის შემუშავების ცდა, რაც ფილიპე გოგიჩაიშვილმა ესოდენ დიდი წარმატებით განახორციელა, უაღრესად იშვიათი მოვლენა იყო რუსეთის იმპერიაში. ამ დროისათვისაც რუსეთის იმპერიის კიდევ მხოლოდ ორიოდე (ბალტიისპირა) გუბერნიას მოეპოვებოდა დაახლოებით ანალოგიური სტატისტიკური კრებულები მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხებზე.

რამდენადაც აღებულ პერიოდში საქართველო აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, გასაგებია, რომ მთელი მისი შინაგანი განვითარების ისტორია უმთავრესად მიწათმფლობელობის გარშემო ტრიალებდა. სწორედ, ამიტომ ეძლეოდა ფილიპე გოგიჩაიშვილის ამ ნაშრომს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ის, არსებითად, იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ანატომიის გასაღებს წარმოადგენდა.

საქმე ისაა, რომ მაშინ ფულის, კრედიტის, ვაჭრობის, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებების, თვით მოპოვებითი და გადამუშავებითი მრეწველობის მდგომა-

რეობა და განვითარების პერსპექტივები უმთავრესად მიწათმფლობელობის არსებული სისტემითა და მისგან გამომდინარე ძალთა კოლიზიით იყო შეპირობებული.

* * *

ფილიპე გოგიჩაიშვილის როგორც პუბლიცისტის, ჟურნალისტის პორიზონტი განსაკუთრებით ფართო და მრავალფეროვანი შეიქნა მას მერმე, რაც ის სათავეში ჩაუდგა გაზეთ „ივერიას".

სანამ რედაქტორობას იკისრებდა და განახლებული გაზეთის გამოცემას შეუდგებოდა, ფილიპე გოგიჩაიშვილს, როგორც თვითონ ჩემთვის არაერთგზის უამბნია, რამდენიმე შეხვედრა და თათბირი ჰქონდა ი. ჭავჭავაძესთან და, სანამ თვით დიდმა ილიამ არ წააქეზა, იგი თავს იკავებდა ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის.

„ივერია" ფ. გოგიჩაიშვილის ხელში (1905—1906 წწ.) შეიქნა პოპულარული, გავლენიანი და მაღალი დიაპაზონის გაზეთი. ამას, სხვათა შორის, მისი დიდი ფორმატიც მოწმობდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების პრობლემები, რომელთა შესახებ ამ პერიოდში ფ. გოგიჩაიშვილს უწერია, ფრიად მრავალგვარია. ჩვენ, ცხადია, აქ ძლიერ მოკლედ, მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შევეხებით იმ მიზნით, რომ რამდენადმე მაინც ავსახოთ დასახელებულ საკითხებზე მისი შეხედულებანი და, მაშასადამე, ამ მიმართულებით მისივე მიზანსწრაფვანი.

„ივერია", ისე როგორც საერთოდ ქართული და მთელი რუსეთის პროგრესული პრესა, გამუდმებით იბრძოდა ბ ე ჭ დ ვ ი თ ი ს ი ტ ყ ვ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს,—სასტიკი ცენზურული რეჟიმის წინააღმდეგ.

მაგრამ ზოგჯერ ცარიზმის ოფიციალურ ცენზურაზე ნაკლებ რეაქციული როდი იყო „შინაური" ძალები — კონსერვატიული თავადაზნაურობა.

რომ „ეროვნული ინტერესი მაღლა სდგას მშრომელი ხალხის ეკონომიურ ინტერესებზე და ამიტომ ეკონომიური უთანასწორობა უნდა დავიიწყოთ და მხოლოდ საერთო ეროვნულ უფლებებსა და ინტერესებზე უნდა ვიფიქროთ..."[1].

ამ ცრუ პატრიოტების, რეაქციული თავადაზნაურობის წინააღმდეგ გულსრულად ილაშქრებდა „ივერიის" რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი, რომლის სტატიაში, „ახირებული" „პატრიოტობა", ვკითხულობთ:

პრესას „არ ძალუძს შეარიგოს და შეათანხმოს ის, რაც ცხოვრებას გაუთიშავს და გაუშორებია. ისეთი წესწყობილება, სადაც ეკონომიური უთანასწორობა და კლასობრივი დანაწილება მოსპობილი იქნება, მხოლოდ სანატრელი იდეალია და ამ იდეალისა აწინდელ ცხოვრებას არაფერი სცხია. ამიტომ პრესსა ვალდებულია, თუ ეს იდეალი მართლა სანატრელ მდგომარეობად მიაჩნია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თანამედროვე ცხოვრებაში არსებულ განწყობილებას და იმისი მხარე დაიჭიროს და მათ ინტერესებს ემსახუროს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია".

საქმე ისაა, რომ „ერი ვერ განვითარდება და ვერ აღორძინდება, თუ უდიდესი ნაწილი ამ ერისა მუდამ სილარიბეში იღრჩობა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრით თავისთვის ადამიანური ცხოვრება ვერ შეუქმნია. მთელი ერის ძალა და მერმისი ამ მშრომელ ხალხის ხარჯვა-შრომაზეა დაფუძნებული და მისი ინტერესების უარყოფა მთელი ერის უარყოფასა და განწირვას ნიშნავს. „ნაციონალურ უფლებებისათვის" მებრძოლადაც სწორედ ეს ხალხი გამოდის, და არა ის „კოხტად ჩაცმული, ჯიბე-სქელი, კუჭმაძღარი მოღვაწეები"[2].

---

[1] „ივერია", 1905, № 32

[2] იქვე.

მაგრამ, როგორც ფ. გოგიჩაიშვილი აცხადებდა, ამ აზრების პოპულარიზაციას ახშობდა ცარიზმი, რომლის „ბიუროკრატიულმა რეჟიმმა არ იცის აზრის, სიტყვის, წერის თავისუფლება. მისგან აკრძალულია ყველაფერი, რაც ბიუროკრატიულ წესსა და წყობილებას არ ეთანხმება, რაც არსებულ ცხოვრების სიდუხჭირეს ეწინააღმდეგება, თავისუფლებას ელტვის, ხალხის ინტერესებს ემსახურება. მაგრამ, მოგეხსენებათ, არავითარ აკრძალვას არ ძალუძს აზრის მუშაობის შეჩერება, არ ძალუძს მსჯელობის დამონება და თავის ნებაზე ტარება, არ შეუძლია ცხოვრების განვითარების შეყენება, და ამიტომ მიუხედავად ბიუროკრატიულ აკრძალვისა და დევნისა, ძველ რეჟიმს, რომელიც ხალხის ყოველმხრივ დაჩაგრობა-დამონებაზეა აებული, ბლომად უჩნდებოდნენ მოწინააღმდეგენი და ხალხის გამოღვიძების მოსარჩლენი“[1].

რეაქციის ძალებს მით უფრო აფრთხობდა ბეჭდვის თავისუფლება, რომ ამ დროისათვის, 900-იანი წლების დამდეგიდანვე აშკარად შეიმჩნეოდა ქართველ „ხალხში კითხვის მოთხოვნილების გადიდება და ქართული პრესსის მნიშვნელობის ზრდა, რომელსაც განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ვამჩნევთ ჩვენს ცხოვრებაში, დღეს ქართული გაზეთი შედის ისეთ სოფლებსა და ოჯახებში, სადაც რამდენისამე წლის წინად არც კი იცოდნენ თუ რა არის გაზეთი და რის გულისათვის იბარჯება მასზე შრომა და ფული“[2].

ქვემოთ ფ. გოგიჩაიშვილის ამ სტატიაში — „პრესის ზრდა“, — ვკითხულობთ: „იმ სულის შემხუთველ და აზრ-გონების დამხშველ ატმოსფეროში, რომელშიაც დღემდის მთელი რუსეთი და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა, ძნელი იყო, რასაკვირველია, ბეჭდვითი სიტყვის ნაყოფიერი მოქმედება, პრესის ზრდა-განვითარება... მაგრამ რეპრესიამ და სიბნელის გამმეფებელმა სისტემამ მაინც ვერ გაიმარჯვა, ბოლოს და ბოლოს ხალხში იმდენმა განათლების შუქმა მაინც შეანათა, რომ ხალხისთვის ბიუროკრატიულ რეჟიმის უვარგისობა დაენახვებინა და მის მოსასპობად აემხედრებინა. საბოლოოდ მაინც ვერ დაიმონა ხალხის ცნობიერება ბიუროკრატიამ, ასე რომ ამჟამად ძველ წესწყობილების აღსასრული ღამდგარია და სიკვდილისაგან მას ვერ იხსნის ვერც დიქტატურა და ვერც წერილმან რეფორმათა „დათმობის პოლიტიკა“. აუცილებელია პოლიტიკურ ცხოვრების განახლება, რომელმაც უნდა შეპქმნას პირობები საერთო სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების დაუბრკოლებელ განვითარებისა“.

„ივერია“ მთელის ენერგიით იბრძოდა რუსიფიკატორული პოლიტიკისა და პრაქტიკის წინააღმდეგ: „ასეთი „ლიბერალობა“ ჩვენ არაერთხელ გაგვიგია: თავისუფალი ხარ იმ ენაზე სწერო და იკითხო, რომელიც არ იცი და არ გაგეგება!... თავისუფალი ხარ, რაც გინდა, ის სწერო და ბეჭდო, ოღონდ ხელი აიღე თავის გვარ-ტომობაზე და ისურვე გადაგვარება.... ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა „სორტისაა“ ესეთი „ლიბერალობა“... დღეს მთელი რუსეთი ხედავს, რომ პრესსის დამონებამ და დამუნჯებამ უფსკრულამდის მიიყვანა საზოგადოება და ცხოვრება. „ხალხი, საზოგადოება თავს მაღლა სწევს და ბოლოს ულებს დაბეჩავებას. მას აღარ უნდა ბიუროკრატია ისე უკანტროლო იყოს, როგორც იყო აქამდის, და თხოულობს სიტყვისა და წერის თავისუფლებას“[3].

ფილიპე გოგიჩაიშვილს, როგორც მეცნიერს, როგორც ჟურნალისტს, როგორც საზოგადოებრივ მოღვაწეს, ფრიად მრავალგვარ საკითხზე უწერია. ძნელია დასახელება იმ ღროინდელი ეკონომიკური ცხოვრებისა და ეკონომიკური მეცნიერების პრობლემებისა, რომელთა შესახებ მას არ გამოეთქვას თავისი აზრი. მას უწერია მრეწველობის, სოფლის

---

[1] „ივერია“, 1905, № 148.

[2] იქვე.

[3] „ივერია“, 1905, № 7.

შეურნეობის, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, ფულის, კრედიტის, ბანკების, ფინანსების, საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკის, პოლიტიკური ეკონომიის, სტატისტიკის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის და სხვ. და სხვ. შესახებ.

იგი აშუქებდა ჩვენი და უცხო ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების, მმართველობის, ადმინისტრაციის, სასამართლო ორგანოების, პოლიციის, სასოფლო და საქალაქო გამგეობის, მოსახლეობის კლასობრივი სტრუქტურის, კოლონიზაციის, გლეხობის, მუშათა კლასის, ხელოსნების, შინამრეწველთა ყოფიერების, პერიოდული პრესის, ლიტერატურის, თეატრის, ოჯახის, ქორწინების, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, კლასობრივი ბრძოლისა და სხვა საკითხებს.

მაგრამ მთელი მისი მეცნიერული და თვით პუბლიცისტური მოღვაწეობის მთავარი თემა მაინც ა გ რ ა რ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი იყო — მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის და მათთან დაკავშირებული პრაქტიკული თუ თეორიული საზოგადოებრივ-ეკონომიური პრობლემები.

ამიტომ, მის მეცნიერულ მოღვაწეობას ჩვენ უწინარეს და უმთავრესად, თანაც, ცხადია, ძლიერ მოკლედ გავაშუქებთ აგრარული საკითხებისადმი მიძღვნილი მისი ნაშრომების ასპექტში.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, ბუნებრივია, თვით ეს გარემოებაც, სახელდობრ ის, რომ ფ. გოგიჩაიშვილი როგორც მკვლევარი და პუბლიცისტი უმთავრესად აგრარულ (გლეხობის) საკითხთა გარშემო ტრიალებს; საქმე ისაა, რომ, მიუხედავად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებისა, იმდროინდელი საქართველო და საერთოდ რუსეთის იმპერია უპირატესად გლეხური ქვეყანა იყო და, მაშასადამე, აქ მთელი საზოგადოებრივი მოძრაობის ღერძს აგრარული საკითხი წარმოადგენდა.

ასეთ ვითარებაში, იმდროინდელი ჩვენი პროგრესული პრესა, პუბლიცისტიკა, მეცნიერება უწინარეს ყოვლისა უნდა გამოდიოდეს, როგორც გლეხობის ქომაგი.

საქმე ისაა, რომ იმდროინდელ თავადაზნაურობას მიუხედავად ქონებრივი დეგრადაციისა, მაინც დიდი პოლიტიკური ძალა და საზოგადოებრივი გავლენა ჰქონდა. ამასთანავე ამ წრიდან გამოსული ინტელიგენციის დიდი ნაწილი ქართული ენის სუსტი ცოდნისა და ნაციონალური ინტერესებისაგან მოწყვეტილობის გამო, როგორც ფ. გოგიჩაიშვილი აცხადებს, სრულებით „არ შეიცავს ნაყოფიერ და საიმედო ნიადაგს პროგრესული ქართული პრესისათვის", ე. ი. საერთოდ ქართველობისათვის; ანალოგიურია ამ მხრივ ბურჟუაზიული ელემენტების მნიშვნელობაც.

ამგვარად, „ქართული პრესსა ვერც ერთგვარ არისტოკრატიაში ვერ ჰპოვებს არსებობის წყაროს, ზნეობრივ ძალას და საზოგადოებრივ გავლენას. მისი ერთად-ერთი გზა მდაბიო მშრომელ ხალხისაკენაა, რომელიც თავისი სიმრავლით, შრომა-გარჯით და მოქმედებით ბ ურ ჯ ი ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა"[1].

ასეთი იყო ფ. გოგიჩაიშვილის შეხედულება ქართული პრესის, ე. ი. არსებითად საკუთარი პუბლიცისტური და მეცნიერული მოღვაწეობის ამოცანებზე. მის ამ ნარკვევებში, ისევე სხვებშიც, რომელთაც ქვემოთ შევეხებით, ცხადია, ურევია ისეთი მსჯელობაც, რასაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანია, ვუჩვენოთ არა ის, თუ როგორ აფასებდა საბოლოოდ იგი იმდროინდელი ქართული საზოგადოების სხვადასხვა კლასთა ურთიერთდამოკიდებულებას და, ბოლოს, თუ რა შეხედულებისა იყო იგი ამა თუ იმ კლასის როლსა, პოლიტიკურ მრწამსსა და მიზნებზე, არამედ ის, თ უ

[1] „ცნობის ფურცელი", 1904, № 2430.

რატომ აირჩია ფ. გოგიჩაიშვილმა თავისი კვლევა-ძიების მთავარ პრობლემად აგრარული საკითხი და რატომ გაიხადა მიზნად ყოფილიყო ქონებრივად გაღატაკებულ, პოლიტიკურად უუფლებო და ეროვნულად დაჩაგრულ გლეხთა ინტერესების გამომხატველი.

ისიც უნდა ითქვას, რომ ფ. გოგიჩაიშვილი იმ დროს გამოვიდა პუბლიცისტიკის სარბიელზე, უკეთ რომ ვთქვათ, იმ დროს ხდებოდა მისი მსოფლმხედველობის ფორმირება, როდესაც საქართველოში ტრადიციად იყო ქცეული, რომ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე ახალმოვლენილი ადამიანის შესახებ კითხულობდნენ, თუ რა დამოკიდებულებაში იყო იგი ილია ჭავჭავაძისადმი.

შორს წაგვიყვანდა საკითხის დეტალური განხილვა, მაგრამ ის მაინც უნდა ითქვას, რომ იმ წრეში, რომელმაც ფ. გოგიჩაიშვილს გზა-ხსნილი მისცა მიეღო ფართო განათლება და ასე დაწინაურებულიყო ილია ჭავჭავაძის იდეებისადმი ერთგულება რაღაც ღვთისმოსავობის შესადარ ფენომენს წარმოადგენდა.

ამ მომენტმაც, საკუთარ სოციალურ წარმომავლობასთან ერთად, დიდი როლი შეასრულა ფ. გოგიჩაიშვილის სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებათა შემუშავებაში.

ფ. გოგიჩაიშვილს თავის სულიერ (იდეურ) მასწავლებლად მიაჩნდა ილია ჭავჭავაძე და არა ის უცხოელი, მთელ მსოფლიოში განთქმული პროფესორები, რომლებიც მას ლექციებს უკითხავდნენ, რომელთა მიმართ, რა თქმა უნდა, დიდი პატივისცემის გრძნობით იყო გამსჭვალული.

ილია ჭავჭავაძეს იგი უყურებდა როგორც ახალი ქართული კულტურისა და ცივილიზაციის მეთაურს და მისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და ქარტეხილებიანი მოღვაწეობის ყველაზე კრიტიკულ მომენტში თავის თავზე მიიღო ნაწილი იმ დარტყმებისა, რაც ილიას წინააღმდეგ იყო მიმართული, — იმით, რომ ილიას ყველა მტერი პირადად თავის მტრადაც მიაჩნდა, რამდენადაც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ილიას მტრები, საქართველოს მტრები იყვნენ.

ახლა უწინარეს საკითხავია, როგორი იყო წინაპირობა საქართველოში აგრარულ ურთიერთობათა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისათვის, რა ნონაცემებითა და მასალებით, რა მემკვიდრეობით შეეძლო ამ მხრივ ესარგებლა მკვლევარს?

მოვუსმინოთ თვითონ ფ. გოგიჩაიშვილს, რომელიც 1904 წ. წერდა: თუ ქვეყნის მმართველობის ბიუროკრატიული წესი „გამოუსადეგარი და უნაყოფო აღმოჩნდა რუსეთის შუაგულში, სადაც მთავარი საზოგადოებრივი ძარღვი სცემს და გონებრივი ძალა მოქმედებს, რაღა უნდა ითქვას კავკასიაზე და კერძოდ საქართველოზე, რომელიც ბევრის მხრივ ჩამორჩება რუსეთის შიდა გუბერნიებს. თუ კიდევ საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ ადმინისტრაციულის წესით არ შეიძლება ეკონომიური საკითხების გადაწყვეტა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ეს ცხადჰყო და ნათლად დაამტკიცა ჩვენ სასოფლო მეურნეობის მდგომარეობამ და ჩვენი ცხოვრების მოწყობილობამ. საითაც უნდა გაისედოთ, ყველგან აუარებელ მოთხოვნილებათა და საჭიროებათ შეამჩნევთ, ხოლო ამათ დასაკმაყოფილებლად გაწეული შრომა და მეცადინეობა იმდენად მცირეა, რომ სათქმელადაც კი არ ჰლირს,.. ჩვენ ყველამ უკეთ ვიცით გერმანიისა, გინდა საფრანგეთის ხალხის ყოფა-ცხოვრება, ვიდრე ჩვენი გლეხობის მდგომარეობა. ჩვენში არაა სტატისტიკის ჭაჭანება, არ პხდება ეკონომიური ცხოვრების შესწავლა და გამოკვლევა.

და აბა როგორ უნდა გაარკვიოს და გადასწყვიტოს ვინმემ ეკონომიური საკითხები, როცა ამის შესახებ სწორი ცნობები და საჭირო მასალები არ იკრიბება"[1].

ეხება რა ეკონომიკური ცხოვრების შესწავლისათვის არსებულ პირობებს, ფ. გოგიჩაიშვილი ასე ახასიათებს თვით ამ ცხოვრების მთავარ მომენტებს:

„ჩვენში არაა საკმაოდ სკოლები, არაა გავრცელებული სწავლა და ცოდნა, არც მემამულემ და არც მიწის მუშამ არა იცის რა გაუმჯობესებულის ტექნიკისა. მელიორაცია, სპეციალური კულტურა სხვადასხვა გვარ სამეურნეო ნაწარმოებთა, ბალახის თესვა, ინტენსიური წარმოება, საქონლის ჯიშის განკარგება, ფერმები, სანერგეები, საცდელი მინდვრები, სამაგალითო სალგურები — არც ერთი ეს ჩვენში არ არის და არც არავინ ცდილობს მის გასავრცელებლად..."[2].

როგორც ვხედავთ, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების შესწავლისათვის ნიადაგი სავსებით არ იყო მომზადებული. ჩვენში ფაქტიურად არ არსებობდა სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც ამ საქმის გაკეთებისათვის ჰყოლოდა საჭირო კადრები, ჰქონოდა აუცილებელი ფულადი საშუალებები და თვით უფლებაც შესაბამის, მაგალითად, სტატისტიკურ მასალათა მოპოვება-მობილიზაციისა. ჩვენში არ იყო არც უმაღლესი სასწავლებლები, რომელთაც ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთეს შიგა რუსეთში, ხოლო ბიუროკრატიის მიერ გამოქვეყნებული ე. წ. პოლიციური სტატისტიკა და სხვა ლიტერატურა ძლიერ მცირე მასალას იძლეოდა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა მეცნიერული შესწავლისათვის. რაც შეეხება სახელმწიფო არქივთსაცავებს, ის ხომ მეცნიერებისათვის აუღებელ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ ითქვა, ფ. გოგიჩაიშვილი სწავლობდა და იკვლევდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებას, კერძოდ, აგრარულ ურთიერთობათა პრობლემას.

ამ ასპექტში აღსანიშნავია, რომ რეფორმის მერმინდელ პერიოდში ფეოდალური მიწათმფლობელობის რღვევა საერთოდ ამიერკავკასიაშიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მიუხედავად ამისა, თვით მე-20 საუკუნის დამდეგშიც ფეოდალურ-მემამულური საადგილმამულო საკუთრება იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი ინარჩუნებდა გაბატონებულ მდგომარეობას.

გლეხობის ძირითადი მასები სულ უფრო კარგავდნენ მიწებს, ღატაკდებოდნენ, რის გამოც გლეხის ოჯახს სხვა გზა არ რჩებოდა — მისი ოჯახის წევრები გარე საშოვარზე უნდა წასულიყვნენ — ქალაქს შეკედლებოდნენ, ანდა სხვაგან ეძიათ დასამუშავებელი საიჯარო მიწა.

1904 წ. ჟურ. „მოამბეში" გამოქვეყნებულ ფ. გოგიჩაიშვილის ერთ ნარკვევში ვკითხულობთ: „სწორედ იმ დროს, როცა ამ წერილს ვწერ, მე ვხედავ მეზობლის სახლის აივანზე 8 წლის ბავშვს, რომელიც იატაკის საწმენდ ჩოთქებზე შემდგარა და სახლს ასუფთავებს. ეს არის ვიღაც იმერელ აზნაურის შვილი, რომელიც ერთ აქაურს ღარიბ ოჯახს ეშსახურება. საწყალი შიმშილს და სიღარიბეს ისე დაუგვალავს, რომ შეხედულობით 6 წლის გეგონებათ და ასეთი თითქმის ძუძუ-მწოვარა ბავშვი მშობლებს მოუშორებიათ, რომ ოჯახში ხარჯი შეემცირებიათ და სამუშაოდ ქალაქში გამოუსტუმრებიათ. ყველა წარმოიდგენს, თუ როგორი დიდი გაჭირვება უნდა იყოს სოფელში, რომ დედამ პაწია შვილი გულიდან მოიგლიჯოს და შორეულ ქალაქში გაჰგზავნოს თავის სარჩენად. ასე ძალას ატანს სოფელში გაჭირვება დიდსაც და პატარასაც, — ქალაქებს ყოველ დღე ახალ-ახალი ხალხი ემატება, რომელიც ეძებს აქ საქმეს და დაბინავებას.

---

[1] „ცნობის ფურცელი", 1904, № 2534.

[2] იქვე.

მაგრამ „უმამულო ქართველ გლეხობისთვის ძნელია ქალაქებში სამუშაოს შოვნა, რადგან ჩვენში ჯერ მოქალაქეობრიობა, ვაჭრობა და სამრეწველო წარმოება განუვითარებელია“.

ფ. გოგიჩაიშვილმა ობიექტური შეფასება მისცა საგლეხო რეფორმასა და მის შედეგებს; ყმობიდან უმიწოდ განთავისუფლებული გლეხობის ექსპროპრიაციის პროცესს. სოფლის მშრომელთა ძირითადმა მასებმა ვერ შეძლეს სანადელო მიწების გამოსყიდვა.

და ისე მოხდა, რომ გამოუვალ ვალებში გახვეულმა გლეხობამ 1905 წ. რევოლუციის გარიჟრაჟზე ფ. გოგიჩაიშვილის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „უკვე კისერი ძირს დასწია, ტვირთს ვერ გაუძლო და მთავრობას პირდაპირ განუცხადა: ნადელიც წაიღე, თავიდან შომაშორე და გამოსყიდვის ვალისაგანაც გამანთავისუფლეო. მაგრამ დღემდის მთავრობა ამ განცხადებას დიდ ყურადღებას არ აქცევდა და მოელოდა, რომ გლეხობას როგორმე გაასწორებინებდა გადასახადს. მაგრამ უკანასკნელ წლებში გლეხთა მეურნეობა სრულიად დაეცა და მისი შემოსავალი გლეხს არა თუ ვალის გასასწორებლად, — თავის შესანახადაც კი არ ჰყოფნიდა“[1].

მაგრამ, რაც მთავარია, გლეხებს კიდევაც რომ გამოესყიდათ მიწები, ეს მათ მაინც ვერ იხსნიდა გაღატაკებისაგან. ფ. გოგიჩაიშვილი უკვე ხედავს, რომ „მაინც ძირითადად არ შეიცვლება სოფლის აგრარული ვითარება, არ მოისპობა თანამედროვე ცხოვრებაში არსებული ქონებრივი უსწორ-მასწორობა და ძლიერისაგან ღარიბის ეკონომიურად დაბეჩავება. ბატონ-ყმობის მოსპობით მოისპო ადამიანის პირადი უთავისუფლობა, მაგრამ არ მოსპობილა ეკონომიური დამოკიდებულება და ერთი კლასის მეორე კლასზე ბატონობა. ამ განხეთქილების აღმოფხვრას და ნამდვილ თანასწორობის განხორციელებას შესძლებს მხოლოდ მომავალი ბრწყინვალე დრო და უფრო განათლებული საზოგადოება“[2].

რევოლუციის აღმავლობას, გლეხთა აგრარულ მოძრაობას ცარიზმმა სასტიკი რეპრესიებით უპასუხა.

ფ. გოგიჩაიშვილი, უკვე გაზ. „ივერიის“ რედაქტორი, აღშფოთებულია რევოლუციური მოძრაობის სამხედრო ძალებით ჩახშობის ცარიზმის პოლიტიკით. გენ. ალიხანოვ-ავარსკის სამხედრო ექსპედიცია უკვე გურიაშია „აჯანყებული გურულების დასამშვიდებლად“. აქ სამხედრო მდგომარეობაა გამოცხადებული.

ფ. გოგიჩაიშვილის სტატიაში, — „გურიის მოძრაობის გამო“, — ვკითხულობთ: „ეს ამბავი ელდასავით მოგვხვდა ყველას და ელვის სისწრაფითაც მოედო მთელს ჩვენს საზოგადოებას, საომრად გაგზავნილი ჯარი გურიაში! ეს მოასწავებდა სისხლის ღვრას, ხალხის ხოცვა-ჟლეტას, სოფლების აკლება-აოხრებას! რა თქმა უნდა დამშვიდებული ვერ იქნებოდა ჩვენში ვერავინ, ვისაც კი ცოტათი მაინც უღვივის გულში ჩვენი ხალხის სიყვარული და ეროვნული გრძნობა, აოხრება და დაცემა გურიისა, რომელიც მოწინავე და ყოველმხრივ უფრო შეგნებული კუთხეა ჩვენი სამშობლოსი, ნიშნავს საქართველოს ხალხოსნურ ძალონის შემცირებასა და შესუსტებას, მის დაძაბუნებასა და უკან დაწევას, სისხლის ღვრას! გული გიკვდება კაცს და, გრძნობ-რა თავის უღონობას, ჯავრისაგან სისხლი ყელში გაწვება, როცა ჰხედავ, თუ როგორ და რითი უნდა დასრულდეს მსხვერპლთა შეწირვა“[3].

ამასთანავე იგი იქვე აცხადებს: რომ დღეს მთელ რუსეთში ისეთი ვითარებაა, როდესაც „საზოგადოების გაზრდილი მოთხოვნილება ვეღარ ეტევა იმ ვიწრო კალაპოტში, რომელიც ცხოვრებას ძველმა წყობილებამ მიუჩინა, — იგი არღვევს ამ კალაპოტს და გადმოდის ნაპირებიდან. ყველგან, საცა ხალხის შეგნება იზრდება და თვით ცნობიერება,

---

[1] „ივერია“, 1905, № 199.

[2] იქვე, გვ. 115.

[3] „ივერია“, 1905, № 3.

ღვიძებს ესრედ წოდებული „მოძრაობა“ აუცილებლად იწყება და არსებულ მართვა-გამგეობის მიმართ წინააღმდეგობა ვითარდება“, და რომ საერთოდ „გურიის მოძრაობა დიდად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ხალხი მკვდარი არაა და მწვავედ გრძნობს თავის უუფლებობას. ეს ფაქტი ძლიერი საბუთია იმისი, რომ ჩვენს მხარესაც უნდა მიენიჭოს ის პოლიტიკური განახლება, რომელსაც დღეს მთელი რუსეთი მოუთმენლად ელოდება...“[1].

ასეთი იყო 900-იან წლებში ფილიპე გოგიჩაიშვილი, როგორც აგრარულ ურთიერთობათა მკვლევარი.

განსაკუთრებით დიდი ნაყოფიერებით მუშაობდა ფ. გოგიჩაიშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

აქ ხაზი უნდა გაესვას მის განსაკუთრებით დიდ დამსახურებას მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა თხზულებების ქართულად თარგმნის სფეროში.

მან, როგორც სათანადო ორგანოების დავალებით, ისე საკუთარი ინიციატივით დიდი, ფრიად რთული და საპასუხისმგებლო მუშაობა ჩაატარა — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა გერმანულიდან და ფრანგულიდან ქართულად თარგმნის საქმეში. ამ მუშაობისათვის მან მიიღო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ჯილდო.

1930 წ. გამოვიდა ფ. გოგიჩაიშვილის ძირითადი მონაწილეობით თარგმნილ-რედაქტირებული კარლ მარქსის „კაპიტალის“ I ტომი, ხოლო მომდევნო წლებში მის მიერ ითარგმნა და გამოქვეყნდა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1932), „ფილოსოფიის სიღატაკე“ (1931), „კაპიტალი“ II ტომი (1933 წ.), III ტომი, ნაწილი I (1932 წ.), III ტომი, ნაწილი II (1934 წ.), „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ (1940 წ.) და სხვ.

ამას გარდა, იგი მონაწილეობდა მარქსისა და ენგელსის თითქმის ყველა სხვა თხზულებათა თარგმნასა და რედაქტირებაში. ცნობილია, რომ ფ. გოგიჩაიშვილის მიერ გერმანულიდან შესრულებულმა ამ ქართულმა თარგმანებმა საყოველთაო მოწონება და მაღალი შეფასება მიიღეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მან მთელი ეს მუშაობა, შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში შეასრულა. აქვე დავსძენ, რომ ფ. გოგიჩაიშვილმა ფ. ენგელსისეული გამოცემის მიხედვით პირველი რედაქცია გაუკეთა „კაპიტალის“ I ტომის მეორე ახალ ქართულ თარგმანს.

მარქსიზმის ფუძემდებელთა ძირითადი ეკონომიკური შრომების ქართულად თარგმნით პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა არა მხოლოდ დიდი ღვაწლი დასდო თანამედროვე ქართული ეკონომიკური, საერთოდ სოციოლოგიური ტერმინოლოგიის შექმნის საქმეს, არამედ, — და ეს განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, — პირველად მხოლოდ მისი დიდი მთარგმნელობითი მუშაობის მეოხებით შეიქნა შესაძლებელი ქართველი საბჭოთა ახალგაზრდობა და საერთოდ ქართველი მკითხველი საზოგადოება თავის მშობლიურ ენაზე გასცნობოდა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა ამ გენიალურ შრომებს; — ვიმეორებთ, ეს ჩვენი ფიქრით, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსახურებაა.

ფ. გოგიჩაიშვილი თანამშრომლობდა საბჭოთა პერიოდულ ორგანოებში (ჟურ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“ და სხვ.), სადაც ათავსებდა სტატიებს ეკონო-

---

[1] „ივერია“, 1905, № 3.

ნიკურ საკითხებზე; წერდა და აქვეყნებდა მოგონებებს ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა და მწერალთა შესახებ. მაგალითად, მოგონებები ილ. ჭავჭავაძეზე, აკ. წერეთელზე, იაკ. გოგებაშვილზე და სხვ.; მისივე რედაქციით და ვრცელი წინასიტყვაობით გამოიცა აკრეთვე პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება", ტ. I (1939 წ.).

ფ. გოგიჩაიშვილმა ფრიად საყურადღებო მუშაობა ჩაატარა გერმანულიდან და რუსულიდან რიგი სახელმძღვანელოს თარგმნითა და რედაქტირებით. მანვე ინგლისურიდან თარგმნა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსთა შრომები: დ. რ ი კ ა რ დ ო ს „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები" (1937), ა დ ა მ ს მ ი ტ ი ს — „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" (1938) და სხვ.

ფ. გოგიჩაიშვილი აქტიურ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიისა და საქართველოს სსრ საგეგმო და საფინანსო ორგანოებში, მუშაობდა ამიერკავკასიისა და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიებში; — ამიერკავკასიისა და საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატებში, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში. ამ დაწესებულებებში მისი უშუალო მონაწილეობით, ინიციატივითა და კონსულტაციით დამუშავებულია რიგი სახალხომეურნეობრივი, სტატისტიკური და ფინანსური პრობლემები.

თვალსაჩინოა ფ. გოგიჩაიშვილის დამსახურება ეკონომისტთა ეროვნულ კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა საბჭოთა ეკონომისტების რამდენიმე თაობა, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სახალხო მეურნეობის აღრიცხვისა და დაგეგმვის. სხვადასხვა დარგში, ანდა როგორც პროფესორები და დოცენტები ეწევიან მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობას უნივერსიტეტსა და სხვადასხვა ინსტიტუტებში.

ფ. გოგიჩაიშვილს ლექციების კითხვის თავისებური სტილი ჰქონდა შემუშავებული. ზოგნი ამბობდნენ — გერმანულიო; ჩემი აზრით, ეს იყო ნამდვილად ქართული სტილი უმაღლესი სასწავლებლის ლექციისა, რაც საერთოდაც იმ წლებში ყალიბდებოდა ჩვენს უნივერსიტეტში.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფ. გოგიჩაიშვილი, სწორედ ისევე როგორც ივ. ჯავახიშვილი, თავისი ლექციებით ჩვენ მხოლოდ მეცნიერებას როდი გვასწავლიდა. მთელი თავისი სიტყვით და საქმით, მოქმედებით და მოღვაწეობით ისინი ჩვენ გვასწავლიდნენ ქართველი ხალხის სიყვარულს, სამშობლოსადმი ერთგულებას და პატრიოტობის მაღალი გრძნობებითა და ერისთვის თავდადების იდეებით გვასაზრდოებდნენ.

სიცოცხლის უკანასკნელ ხანებშიც, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, ფ. გოგიჩაიშვილი ეწეოდა ინტენსიურ მეცნიერულ-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობას. იგი სათანადო დავალებებს ყოველთვის პირნათლად ასრულებდა.

მაგალითად, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1939 წ. მოსახლეობის საკავშირო აღწერაში: მოხსენებების წაკითხვით, პრესაში გამოსვლით და სხვ.; ეხმარებოდა სტუდენტებსა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვეკთა გადაცემა-გაზიარებით; იყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრი;

მრავალი წლის მანძილზე თავმჯდომარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო გამოცდების კომისიას; — 1947—50 წწ. იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. აქ, სხვათა შორის, იგი სისტემატურად მუშაობდა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხებზე.

• • •

მრავალგვარი საქმისათვის მოუკიდია ხელი, უმსახურია კერძო კაპიტალისტურ საწარმოში, ყოფილა ჟურნალისტი, გაზეთის კორესპონდენტი და რედაქტორი. უმსახურია ცარიზმისდროინდელ საზოგადოებრივ და მეურნეობრივ ორგანიზაციებში — ერობაში, ქალაქის თვითმმართველობაში, რკინიგზის მშენებლობაში. უმოღვაწია სახელმწიფოებრივი მმართველობის უმაღლეს თანამდებობაზე და დიპლომატიურ ასპარეზზედაც...

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდხანს უმუშავია გეგმიანობისა და ფინანსების უწყებებში, მონაწილეობა მიუღია მრავალ მეურნეობრივ წამოწყებათა დაპროექტებაში, 30 წელიწადზე მეტი, თვით გარდაცვალებამდე, განუწყვეტლივ მუშაობდა ჩვენს უნივერსიტეტში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი, ხოლო კერძოდ ეკონომიკური ფაკულტეტის ორგანიზატორი იგი იყო.

და ყველგან და ყოველთვის საჭირო დონეზე — მოქალაქეობრივი, სახელმწიფოებრივი და ეროვნული მოვალეობის მტკიცედ და გულსრულად შემსრულებელი მეცნიერის სიმაღლეზე იდგა იგი.

• • •

დასასრულ, ორიოდე ეპიზოდზე უნდა მოგითხროთ ჩვენი მეგობრული ურთიერთობიდან.

ფილიპე გოგიჩაიშვილი, როგორც ითქვა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი იყო.

სანამ თემა არ აიღო და წინასწარ კარგა ხანს თემის საკითხზე არ იმუშავა, ამ თანამშრომლობაზე ვერ დავითანხმე, თუმცა უკვე რამდენიმე წელიწადი ეწეოდა აქ ასპირანტების ხელმძღვანელობას და ინსტიტუტის დაარსებიდანვე (1944 წ.) იყო მისი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ერთხელ ინსტიტუტში ჩემთან შემოვიდა. ძლიერ დანაღვლიანებული ჩანდა. ბოლოს მითხრა: ფული მჭირდება და ხომ არ შეგიძლია ხელფასის მიღებამდე მასესხო, ბავშვი (შვილისშვილი) მყავს ავადო.

ფული მივეცი, მაგიდას მიუჯდა, მაგრამ არა იმისთვის, რომ ის დაეთვალა, ქაღალდი აიღო, გვერდის ბოლოს ხელი მოაწერა და ასე, სულ თავისუფალი ფურცელი გამომიწოდა... ჩემს გაკვირვებაზე მიპასუხა: ვინ უწყის, შეიძლება ხვალ-ზეგ აღარ დავრჩე... თქვენ თვითონ შეავსეთ... და ვალს გადაგიხდიანო.

სეიფზე მიმითითა: იქ შეინახეო. ვიცოდი მისი ხასიათი. წინააღმდეგობა არ გავუწიე, ისე გავაკეთე, როგორც მითხრა, მალე წავიდა. და როგორც კი მარტო დავრჩი, ბევრი არ მიფიქრია, ის ქაღალდი სეიფიდან გამოვიღე და დავხიე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფული დამიბრუნა... შემომაჩერდა. ჭვრეტა დამიწყო... მე თავი უხერხულად ვიგრძენი...

ცხადი იყო, ახლა ის ქაღალდი უნდა დამებრუნებია...

ბოლოს თავისებური, საოცარი სიცილი აუტყდა. კარგა ხანს გულიანად ხითხითებდა.

— განა არ ვიცი, რომ არ შეინახავდი!.. ისე, ყასიდად შედევი სეიფში, მერმე კი დახიე...

მეც სიცილი ამივარდა.

ორივენი ვიცინოდით...

სიცილი უხერხულობის მოსპობის, უყოყმანო მეგობრობისა და ნდობის უეჭველი გამოცხადება იყო.

• • •

ერთხელ ჩემთან ოჯახურ წვეულებაზე იყვნენ ფილიპე გოგიჩაიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ჯანაშია, გიორგი ლეონიძე, ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ქუთათელი, კარლო კალაძე, ლევან გოკიელი, გიორგი გამყრელიძე და სხვ. ზოგიერთი მეუღლითურთ მობრძანდა. გამოვიდა, როგორც გ. ლეონიძემ მაშინვე აღნიშნა, „თავისებური და ფრიად ღაღი ლიტერატურული საღამო".

საუბარი შეეხებოდა ქართული კულტურის, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების საკითხებს, იმის მიხედვით, თუ ვისი სადღეგრძელო წარმოითქმოდა. თანაც მსჯელობის საგნად ხდებოდა მსოფლიო ომში გიგანტურ ძალთა ჭიდილის, საერთაშორისო ურთიერთობათა, ქართული ცივილიზაციისა და საერთოდ ქართველი ერის ცხოვრების საჭირბოროტო მოვლენები, რაც ზოგჯერ საკმაოდ ცხარე პაექრობის ხასიათსაც ღებულობდა...

ს. ჯანაშია გატაცებით მოგვითხრობდა მცხეთა-არმაზისა და შორაპნის მახლობელ სოფელში ახალი არქეოლოგიური გათხრების დიდად საინტერესო შედეგების თაობაზე. შ. ნუცუბიძემ წაიკითხა ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნის" თავისი რუსული თარგმანისა, და კერძოდ ის ადგილი, რომელიც თვითონ ი. სტალინს შეუსწორებია. ა. მაშაშვილმა, გ. ლეონიძემ, ს. ჩიქოვანმა, კ. კალაძემ წაგვიკითხეს თავიანთი ლექსები და სხვ., რომელთა შესახებ ჩემი მაშინდელი ჩანაწერების გადმოცემა აქ დიდ ადგილს დაიჭერდა.

შევჩერდები მხოლოდ ორ მომენტზე.

კ. გამსახურდიამ და შ. ნუცუბიძემ ღრმაშინაარსიანი, დიდი ემოციური ძალით გაჟღენთილი სიტყვებით მიმართეს ფ. გოგიჩაიშვილს.

კონსტანტინემ ფილიპე გოგიჩაიშვილი დაახასიათა, როგორც თავისი დარგის ყველაზე გამოჩენილი ევროპელი მეცნიერების (კ. ბიუხერისა და სხვ.) სახელოვანი მოწაფე, როგორც ფართო დიაპაზონის ქართველი მეცნიერი და საზოგადოებრივი მოღვაწე, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძისეული „ივერიის", იმ დროისათვის ყველაზე გავრცელებული ქართული გაზეთის, რედაქტორი და ილიას მიერ დანერგილი მაღალი რანგის ქართული პუბლიცისტიკის ალამდარი.

შალვას თვალთაგან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოდიოდა, როდესაც ის იხსენებდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ნამდვილად დრამატიულ ეპიზოდებს და მის ფუძემდებელთა რაინდულ თავგანწირულებას ამ ჭეშმარიტად დიდი ეროვნული საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

— ვერ წარმომიდგენია, თუ ბ-ნი ფილიპე არა, ვინღა შესძლებდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის აუცილებელი ფულად სახსრების მობილიზაციას, დაცვას და თადარიგიან ხარჯვასო, აცხადებდა იგი და გვიყვებოდა მოღვაწეობას ადამიანებისა, რომელთაგან ზოგიერთი, თვით დიდი ივანე ჯავახიშვილი, უკვე ცოცხალი აღარ იყო და რომელთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი ყოველთვის ეჭირა ფილიპე გოგიჩაიშვილს, რომელიც ეკუთვნოდა ამ უაღრესად უმწიკვლო, ყოვლად უანგარო და მათთვის საყვარელი ქართული ნაციონალური კულტურის აღორძინებისა და დაწინაურების ინტერესებისათვის ამოძრავებულ მცირერიცხოვან ადამიანთა ღირსეულ კოჰორტას, რომელმაც თავისი წარუშლელი კვალი დააჩნია ახალი ქართული ცივილიზაციის ისტორიას.

თვით ბ-ნმა ფილიპემ ილაპარაკა ქართველ მეცნიერთა და მწერალთა შორის 30—40 წლის წინათ არსებულ და ახლანდელ ურთიერთდამოკიდებულებათა შესახებ, გაიხსენა გიორგი წერეთელთან და ილია ჭავჭავაძესთან თავისი პირველი შეხვედრები და აღნიშნა, რომ თვით დიდი ილიას ძლიერმა წაქეზებამ გამაბედვინა ხელი მომეკიდა „ივერიის"

რედაქტორობისათვის და რაკი ეს ტვირთი ვიკისრე, სანამ შემეძლო, მთელი ჩემი ძალა და ენერგია, ცოდნა და გამოცდილება არ დაშეზოგნია, რათა გამემართლებია მისი ნდობა... და ის გარემოება, რომ მერმე თავისი სულიერი ანდერძის ამსრულებელთა შორის მეც დამასახელა, საფუძველს მაძლევს ამ მხრივ დამშვიდებული ვიყოო.

მე ტანში ჟრუანტელი მივლიდა, როდესაც ფილიპე გოგიჩაიშვილი მისებური აუჩქარებელი სიდინჯით და პაუზებით მოგვითხრობდა ახლადფეხადგმული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ 1918 წლის გაზაფხულზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ— მოსალოდნელი აგრესიის ვითარებაში უნივერსიტეტის შენობაშივე უნდა დარჩენილიყვნენ თვით პროფესორები: მელიქიშვილი, ჯავახიშვილი, გოგიჩაიშვილი, თაყაიშვილი, ნუცუბიძე, კეკელიძე, ყიფშიძე, შანიძე, ახვლედიანი, რათა ყოველივე ეღონათ და არ დაეშვათ უნივერსიტეტისა და მუზეუმის დარბევა და გაძარცვა.

ასეთი იყო იმ საღამოს წარმოთქმული ზოგიერთი სიტყვის შინაარსი.

1945 წ. 15 დეკემბერს, სტუდენტთა კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით თბილისის უნივერსიტეტის რექტორატმა და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანატმა აღნიშნა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი.

ეს თარიღი კალენდარულად 1942 წ. 3 თებერვალზე (ძვ. სტ. 20 იანვარზე) მოდიოდა, — ეს თითქმის ოთხი წლით დაგვიანება დიდი სამამულო ომის ვითარებით იყო გამოწვეული.

მაშინ საიუბილეო საღამოს დასასრულს, ფ. გოგიჩაიშვილმა დიდი მადლიერების გრძნობით მოიხსენია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სისტემატური მზრუნველობა და ამაგი, როგორც საერთოდ მეცნიერებისა და უნივერსიტეტის, ისე საკუთრათ მის მიმართ.

მისი ეს სამადლობელი გამოსვლა ბლიერ მოკლე იყო და მან განაცხადა კიდევაც: ეს სათქმელი დაწერილი მოვიტანე, რომ მოხუცებულს გრძელი საუბარი არ გამომსვლოდაო.

მას მერმე დიდი დრო გავიდა; ფილიპე გოგიჩაიშვილმა კიდევ ხუთიოდე წელიწადი იცოცხლა და ბევრი რამ მნიშვნელოვანი გააკეთა.

იგი გარდაიცვალა 78 წლის ასაკში, 1950 წლის 29 მარტს, — დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ფილიპე გოგიჩაიშვილი თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ყველგან და ყოველთვის რტკიცედ და პირნათლად იდგა თავის ადგილზე, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ეროგულად ემსახურებოდა ქართულ კულტურას, ჩვენი სოციალისტური მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს, საბჭოთა მეცნიერების განვითარების ინტერესებს.

მან მისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე განიცადა და გაიზიარა ბედი და ძნელბედობაც თავისი ეპოქის სახელოვანი ადამიანებისა, რომელთა როგორც თანამდგომი, თანამოაზრე და თანამებრძოლი იგი იყო ყოველთვის ერთგული, უმწიკვლო და უზაკველი.

მე დარწმუნებული ვარ, მომავალში, როდესაც მისი ნაშრომები მთლიანად ხელახლა გამოიცემა, როდესაც მისი ცხოვრება უფრო სრულად იქნება წარმოჩენილი, მისი სახელი კიდევ უფრო ღირსეული, ნათელი და დაუვიწყარი გახდება ქართული კულტურის ისტორიაში.

პაატა გუგუშვილი

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი, 29 ივნისს ხოლერის სტუმრობის მოლოდინმა ჩვენი ლანჩხუთიც დააფაცურა და ყურები გააბღერტინა. 27-ს ამ თვეს აქ მოვიდა ს. ნაგომრიდგან მკურნალი ბ-ნი ერისთავი, რომელმაც ადგილობრივ ექიმის, ფერშლების, ბოქაულის და სხვა პოლიციის მოხელეთა თანდასწრებით დაათვალიერა ლანჩხუთის დუქნების და ბაზრის არემარე. სისუფთავის მჩრივ ჩვენმა ვაჭრებმა, მართალი მოგახსენოთ, თავი ვერ მოიწონეს. ეს მით უფრო სამარცხვინოა მათთვის, რომ წინადვე ბ-ნ ბოქაულის მიერ გაფრთხილებულნი იყვნენ, სისუფთავე დაიცავითო, გასწმინდეთ და გაასუფთავეთ თქვენი დუქნების გარემონიო. მაგრამ, როგორც ამ დათვალიერების დროს აღმოჩნდა, დარიგება მარტო დარიგებად დარჩა: ჩვენმა ვაჭრებმა თავიანთი უსუფთაო ალაგები არ გასწმინდეს და არ გაასუფთავეს. ლანჩხუთი უამისოდაც ხოლერის საწინააღმდეგოდ ვერაფრად არის გამაგრებული, რადგანაც ეს სოფელი ძალიან დაბალი და ჭაობიანია, რის გამოც ციებ-ცხელება აქ ჩვეულებრივი ავადმყოფობაა. ამას გარდა აქ ძალიან ბევრი მცხოვრებია და ისეც უხეირო, ნესტიანი და მიაზმიანი ჰაერი უფრო ფუჭდება. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენმა ვაჭრებმა აინუნში არ ჩააგდეს და თავიანთ ალაბს უფრო ჩასჭიდეს ხელი. წარმოიდგინეთ, დამპალ „ტარანს“ და „ფარგასაც“ კი ჰყიდდნენ ზოგიერთები ასეთის გაფრთხილების შემდეგ ბ-ნ ერისთავის მისვლამდის. მაგრამ ამ დღეს კი, როცა დაინახეს, რომ ასეთს თავ-გასულობას არავინ შეგვარჩენსო, მოგეცათ სიცოცხლე, ასეთი დამპალ-დუმპალი თევზი ზოგი მიჰმალეს და ზოგიც გადაჰყარეს. ექიმი ერისთავი ლანჩხუთის უსუფთაობით ძალიან უკმაყოფილო დარჩა. ზოგი დააჯარიმა და ზოგსაც ძალად გააწმენდინა თავისი უსუფთაო კარ-მიდამოები. საწყენი ის არის, რომ დაჯარიმეს სამართლიანად ისეთნი, რომელთაც თავიანთ „ქონების ანგარიშიც-კი არ იციან“, და ასეთ შეძლებულთ ხომ ადვილად შეეძლოთ სიმყრალე თავიდგან აეშორებინათ. ამ დათვალიერების დროს ექიმმა ერისთავმა

დარიგება მისცა ვაჭრებს იმისა, თუ როგორ უნდა მოუარონ საჭმელ-სასმელს, როგორ სუფთად უნდა ინახავდნენ და ადგილობრივს ექიმს, რომ ამას შემდეგ ყურადღება მიაქციოს ლანჩხუთში სისუფთავეს. თუ ხოლერა ჩვენკენაც მოახლოვდა, მაშინ სოფლებსაც დავივლი და გავ-სინჯავ სისუფთავის მხრივაო.

მეორე დღეს, 28 ივნისს, სოფლის კანცელარიასთან საზოგადოე-ბის კრება იყო. კრებაზე ბ-ნმა ბოქაულმა აუხსნა ხალხს, რომ მო-ახლოვებულია ხოლერა და ადვილად შეიძლება ჩვენშიაც გავრცელდეს, მით უფრო, რომ ჩვენში რკინის გზა გადის და ეს გარემოება სენის გავრცელებას ხელს უწყობსო. მთავრობისაგან ბრძანება მივიღეო, სთქვა მან, რომ ორის დღის განმავლობაში ერთი სახლი მზად მქონ-დეს ავადმყოფთათვის, თუ ვინიცობაა აქაც გაჩნდა ხოლერაო. ამიტომ მე მოგიწოდებთ თქვენ, რომ დაგეკითხოთ, როგორ გირჩევნიათ: სახ-ლი დაიქირაოთ, თუ სულ ახალი ააშენოთ ამისთვისაო. მე კი ჩემის მხრით გირჩევთ, რომ სახლი აშენდეს, რადგან თუ სახლი ვიქირავეთ, უთუოდ სოფელში უნდა ვიქირაოთ, და ეს კარგი არ არის, რადგან აქ-დგან ადვილად შეიძლება მოარული სოფლებში გავრცელდესო. ისევ სჯობს, რომ სახლი ამისთვის ეხლა აშენდეს და სოფელზედ უფრო მო-შორებით დაიდგასო. შემდეგ ადგილობრივმა ექიმმა აუხსნა ხალხს, ბ-ნ ბ-ძის ქართულის შემწეობით, თუ რა ავადმყოფობაა ხოლერა და რა მნიშვნელობა აქვს მასთან საბრძოლველად სისუფთავეს და გაფრთხი-ლებას. ამ აზრის განსამარტებლად მან მოიყვანა შედარება ტფილისისა ბაქოსთან. ბაქოშიო, სთქვა მან, უსუფთაობის მიზეზით ხოლერამ ბევ-რი იმსხვერპლა და ტფილისში-კი, რომელიც ბაქოზედ ბევრად დიდია, ჯერ ორიოდე მოკვდა ამ სენითაო. ბოლოს ურჩია ხალხს, რომ მხნედ და უშიშრად იყავითო, რადგან შიში ზიანის მეტს სარგებლობას არას მოიტანს და ყოველი დარიგება შეძლების დაგეარად აასრულეთო; აგ-რეთვე სახლი მოსალოდნელ ავადმყოფთათვის საჭიროა მალე გაკეთ-დესო. ამას შემდეგ ხალხში ბევრი ყაყანი და ლაპარაკი ასტყდა. ამ ლაპარაკიდგან უფრო ის გამოდიოდა, რომ ხალხი ვერა კისრულობდა სახლის აშენებას, რადგან საავადმყოფო რომ ავაგოთო, ამბობდნენ ბევრნი, რკინის გზით მოგზაური ხალხი რომ ავად გახდება, აქ დაგვიტო-ვებენ მოსარჩენად და ამით ჩვენ უფრო წავიბილწებით სენითაო. ბო-ლოს ამოირჩიეს სამი კაცი და მიანდეს ამ საქმეში მეთაურობა. სახლის აგებას ყიდვა არჩიეს, მაგრამ გადაწყვეტით თითქმის მაინც ვერ გარ-დასწყვიტეს. როცა სხვაგან დავინახავთ ასეთ საავადმყოფოებს, მა-შინ ჩვენც გავმართავთო, ამბობდნენ.

საღამოს ყრილობა დაიშალა, თუმცა ამ დღეს საზოგადოებას ერთი საყურადღებო საგანი ჰქონდა განსახილველი, რომლის შესახებაც იმ

დღეს, დროს უქონლობის გამო ვერ მოილაპარაკეს. ეს საგანი სკოლას შეეხება. როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთში ორკლასიანი სკოლაა გაშართული, რომელშიც ორი მასწავლებელია და სახლიც ქვისაა, საკმაოდ დიდი, ორსართულიანი. მაგრამ მაინც ხალხის სურვილს სკოლა ვერ აკმაყოფილებს, ყმაწვილებისთვის საკმაო ალაგის უქონლობის გამო. სკოლაში შესვლის მსურველნი ბევრნი არიან. ამის გამო ყმაწვილები ისევ სახლში რჩებიან, სკოლაში შესვლის გზა არა აქვთ. თუმცა, მართალია, აქ ბ-ნ ავ. იოსელიანს თავისი სკოლა აქვს გამართული, მაგრამ ის წელიწადში ერთ თუმნად იყვანს თითო ყმაწვილს და ეს ფული გლეხ-კაცისათვის სხვა მოთხოვნილებასთან ერთად ძნელი მოსახერხებელია. ამისთვის უნდოდათ, რომ ამ საქმის გამო ელაპარაკნათ და ვითომ მესამე მასწავლებელი მოეწვიათ, კერძოდ, ჯამაგირი დაენიშნათ მისთვის, რომ ამ სახით ყველას შვილებს შეძლება ჰქონოდა შემდეგისათვის სკოლაში შესვლისა.

„ივერია“, 1892 წ. № 139.

ღუელი და პატიოსნების დაცვა

I

(„მ ე ვ ე ლ ე თ ა“ და „მ ე ნ ა ვ ე თ ა“ საყურადღებოდ)

იყო ოდესმე ისეთი დრო, როცა ადამიანი სრულიად პირუტყვულად ცხოვრობდა და ჭკუა-გონების მხრით განუვითარებელი იყო. ეს ის დრო იყო, რომელსაც პირვანდელ მდგომარეობის დროს ეძახიან. რა თქმა უნდა, იგი მაშინ სულ ველურად ცხოვრობდა და ეს მისი ცხოვრება მუდამ და მარტო საჭმლის მოპოების ზრუნვაში გამოიხატებოდა. ადამიანისთვის, როგორც ყოველი პირუტყვისათვის, უპირველესი და ყველაზე უფრო უახლოესი მოთხოვნილება იყო მისი სხეულის მოთხოვნილება შესახებ სმა-ჭამისა. ამ ძლიერი მოთხოვნილების სრულს გავლენის ქვეშ იმყოფება მთელი ცხოვრება პირველ დროის ველური კაცისა. კუჭის მოთხოვნილება მისთვის ძლიერ სასტიკი იყო და ამ სისასტიკის წარმოდგენა ჩვენთვის, ახლანდელ დროში, ძნელად წარმოსადგენია.

მაგრამ, კარგად იყო თუ ავად, დალხინებით თუ გაჭირვებით, ადამიანს მაინც უნდა ეცხოვრა, — ბუნებისგან მინიჭებული სიცოცხლე თხოულობდა არსებობის განგრძობას და ისიც ამ ძალას უნდა დამორ-

ჩილებოდა და ცდილიყო, რომ ეს კუჭის საქმე როგორმე მოეგვარებინა, თავისი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ნაკლები გაჭირვება შეხვედროდა მის დასაკმაყოფილებლად. ასეთმა მუდმივმა ზრუნვამ ცხოვრების გაუმჯობესებაზე განამტკიცა ადამიანში ძალა და ენერგია, თან და თან გამოაფხიზლა გონება და ჩააკვირვა იგი მთელს ბუნებაში, რომ მას უფრო ნათლად დაენახა ყველაფერი და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამ გვარი გამოფხიზლების და წინ წასვლის წყალობით ადამიანმა გამოიგონა სხვადასხვა იარაღები, რომლების შემწეობითაც მას უფრო ადვილად შეეძლო სასტიკ ბუნებასთან ბრძოლის გაწევა და საჭირო საკვების მოპოვება, შეიგნო ცეცხლის გაჩენის საიდუმლო და მისი სასარგებლოდ გამოყენება, საჭმლის ხარშვის ხელობა, მცენარეების გაშენება, საცხოვრებელ შენობების აგება, პირუტყვთ მოშინაურება და მათი მოშენება, და სხ. და სხ.

ამგვარად, კაცობრიობამ იწყო თანდათან განვითარების გზაზე სვლა, სხვა და სხვა შრომის გამაადვილებელ იარაღთა გამოგონების წყალობით მისი არსებობა უფრო მკვიდრს ნიადაგზე დადგა, საკვების ძიება უფრო გაადვილდა, უაზრო შემთხვევას, რომელზედაც პირველად სრულიად დამყარებული იყო კაცის ცხოვრება, თან და თან ძალა დაეკარგა... მაგრამ მაინც ადამიანს ბევრი დაბრკოლება ხვდებოდა ცხოვრებაში, რომელთანაც ერთი და ორი კაცის ბრძოლა ვერას გახდებოდა, საჭირო აღმოჩნდა ძალ-ღონის შეერთება, სოციალური ცხოვრების დაწყება...

II

სოციალური ცხოვრების განვითარების კვალად კაცობრიობის ცხოვრება უფრო რთული და მრავალფეროვანი შეიქმნა, ადამიანთა ერთად შეჯგუფვის, შეგროვების შედეგად წარმოდგა ასეთი, თუ ისეთი ურთიერთობა, ცოტად თუ ბევრად ნათლად განისაზღვრა საზოგადოების ყოველი წევრის ცხოვრება, მოქმედება; — დაიბადა კანონი და უფლება. სხვადასხვა უფლებათა დარღვევის გამო წარმოდგა სამართალი, სამსჯავრო; ყოველი წევრი საზოგადოებისა შეიქმნა მის წინაშე პასუხის მგებელი, განვითარდა სხვა და სხვა მიზეზთა გამო, ასეთი თუ ისეთი წესი გასამართლებისა...

საზოგადოებრივი კანონის და უფლების დამრღვევი წარდგა სამსჯავროს წინაშე: ამ სამსჯავრომ უნდა გამოიკვლიოს მისი სიმართლე. თუ სამტყუენე და დაადგინოს თავისი მსჯავრი. ბრალდებულმა უნდა იმართლოს თავი, დაამტკიცოს თავისი უბრალოება და ამნაირად აიცილოს თავიდან ის ბრალდება, რომელიც ედება მას ამა, თუ იმ კანონ-

ნის და უფლების დარღვევის გამო. მან უნდა წარმოადგინოს მისი უმანკოების მაჩვენებელი საბუთები.

ჩვენს შორეულს წინაპრებს, რასაკვირველია, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ იმ გვარს დასამტკიცებელ საბუთებზე, რომლებიც ახლა იხმარება თანამედროვე სამსჯავროებში. ძველად ბრალდებულის სიმართლის, თუ სიმტყუვნის დასამტკიცებლად იხმარებოდა ორ გვარი მოწმობა: 1, ჩვენება ცოცხალ მოწმეებისა, რაიცა ჩვენს დროშიაც სუფევს, და 2, ჩვენება, ღმერთებისა. ამ მეორე გვარს ჩვენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველად, რადგან ძველი კაცისთვის ბევრი, ძალიან ბევრი რამ იყო ბუნებაში და მის ცხოვრებაში ისეთი. რომელიც მას არ შეეძლო აეხსნა და განემარტა, ამიტომაც იგი ყველა ასეთ მოვლენათა მიაწერდა ღმერთებს და მათ მოქმედებას. ისეთი მოვლენანი, რომელთაც ჩვენ ბუნების ძალით და კანონებით ვხსნით და გავმარტავთ, ან და უბრალო შემთხვევას მივაწერთ, ძველების აზრით სულ ღმერთების საქმე იყო. ღმერთები, მათი წარმოდგენით, გარდა იმისა, რომ განაგებდნენ მთელს ქვეყნიერობას, თვალ-ყურს ადევნებდნენ აგრეთვე ადამიანთა მოქმედებასაც, იცოდენ ყველაფერი მათ შესახებ. მათ წინ არა იყო რა დაფარული და გაუგებელი. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ ბრალდებულის გასამართლების დროს, როცა საჭირო იყო, გამოაშკარავებულიყო ბრალდებულის საქმის ნამდვილი ვითარება, ძველი ხალხი მიმართავდა ხოლმე ღმერთებს და თხოვდა — ეჩვენებიათ მათ სამსჯავროს წინ წამდგარის ბრალდებულის სიმართლე თუ სიმტყუვნე.

ძველად ღვთაებას სხვა და სხვა გვარად შეთხოვდენ პასუხს. უფრო გავრცელებული იყო წილის ყრა. ეს გავრცელებული იყო, მაგალითად, ძველს ებრაელებში, რომელნიც დამნაშავის ძებნის დროს დაივლიდენ ყველა ოჯახებს და ჰყრიდენ წილს, რომ გაეგოთ, თუ სად იყო ნამდვილი დამნაშავე. აფრიკაში დამნაშავეთა ახლაც ამ გვარად დაეძებენ.

ამ გვარად წარმოდგა ძველად ეგრედ წოდებული „ღვთიური განსჯა“ (суд божий), ანუ ორდალია. ფიცი, რომელშიაც გამოიხატება თხოვნა ადამიანისა, რომ ღმერთმა დასაჯოს იგი, თუ დამნაშავეა,—შეადგენს ერთ მხარეს ორდალიისას[1].

„რომ თავიდან მოეშორებია ბრალდება, ძველი ინდუსი სამსჯავროს წინ შეეხებოდა ღმერთების გამოხატულებათა და ამით თვით მათში მყოფ ღვთაებასაც და შეთხოვდა მათ სასჯელს თავისთვის, თუ მისი ნათქვამი სიტყვები ტყუილი იქნებოდა; ხალხი დარწმუნებული იყო,

[1] История культуры, Ю. Липперт. СПБ., 1894, стр. 250.

რომ ამ გვარად ერთის წლის განმავლობაში სიმართლე გამოაშკარავდებოდა, რადგანაც ღმერთი ნამდვილად დასჯიდა იმას, ვინც მას ტყუილად, უწმინდური განზრახვით შეეეედრებოდა; ამიტომ სჯეროდათ, რომ ერთის წლის გასვლამდის ფიცის დამდებს შეემთხვეოდა ან დიდი ბედნიერება და ან უბედურება. ხალხის თანამედროვე თქმულებანიც გვიჩვენებენ ნათლად, რომ ისეთივე შეხედულება, რწმენა სუფევდა ჩვენს ხალხშიაც. აქამომდე სჯერათ, რომ ფიცის გამტეხი ერთს წელიწადს ვერ გადააწევს, მოკვდება[1].

III

ამგვარად ყველას რწამდა, რომ ფიცს ყოველთვის მოჰყვებოდა ღვთის განაჩენი და არავის საეჭვოდ არ მიაჩნდა, მაგრამ ადამიანის მოთმინება ვერ იტანდა ხანგრძლივს ლოდინს. მართალია ფიცს დადებდა ბრალდებული, მაგრამ როდის გამოჩნდებოდა ღვთიური მსჯავრი, — აი, ეს იყო ასახსნელი საგანი. თუმცა ოდესმე რომ მსჯავრი თავს იჩენდა, ეჭვი არ იყო, მაგრამ მაინც, მიუხედავათ ამისა, ადამიანი ხშირად ხედავდა, რომ ეს მსჯავრი ძალიან იგვიანებდა და ხან სულ არ ჩნდებოდა. რა თქმა უნდა, სხვადასხვა გარემოებას ბრალდებულის ცხოვრებაში ფიცს შემდეგ ძველად ღვთიურ მართლმსაჯულებას აწერდენ, მაგალითად: ფიცს შემდეგ ბრალდებული თუ ავათ გახდებოდა, ან მოკვდებოდა, — ყველა ეს ღვთის ძალას, მის მართლ-მსაჯულებას მიეწერებოდა; მაგრამ ისეთი შემთხვევებიც იქნებოდა, რომ ფიცის დამდები ისევ ძველებურად, შეუშფოთველად ცხოვრობდა და მის ცხოვრებას თითქმის არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა. გარდა ამისა, თვით ადამიანს ძალიან უძნელდებოდა თვალ-ყური ედევნებია დაფიცებულის ცხოვრებისათვის, გაეგო, დაენახა ღვთის მსჯავრი, გადაწყვეტილება, დაენახა მისი სიმართლე, უცოდველობა; თვით ცხოვრებაში მას ჰქონდა უფრო მნიშვნელოვანი, საინტერესო საქმეები გასაკეთებელი, რომელზედაც იყო დამოკიდებული მთელი მისი არსებობა. ამიტომ საჭირო შეიქნა, ადამიანს მოეგონა ისეთი რამ, რომ ღვთის მსჯავრი მაშინვე, ფიცის დადებისთანავე გამოაშკარავებულიყო, და მართლაც ასეთი ხერხი მან მოიგონა. ეს არის ბრალდებულის ჩაყენება ისეთს საშიშარს მდგომარეობაში, რომლიდანაც იგი ან გამარჯვებული და ან ძლეული უნდა გამოსულიყო. ყველა ის ბრალდება, რასაც მას აბრალებდენ, ტყუილი და მოგონებული იყო, იმ დროის ხალხის წარმოდგენით, ღმერთიც მას მიეხმარებოდა და განსაცდელიდან დაიხსნი-

[1] ibid, გვ. 251.

და. და, წინააღმდეგ, თუ ცოდვილი და დამნაშავე იყო, ღმერთიც მას პირს მოარიდებდა და დახმარების ნაცვლად თავის რისხვას მიაყენებდა. ამნაირად, განსაცდელიდან უვნებლად გამოსვლა შეიქნა ნიშანი ბრალდებულის უდანაშაულობისა.

თვით ეს განსაცდელი, რომელსაც აყენებდენ ბრალდებულს მისი სიმართლის თუ სიმტყუნის გამოსაჩენად, ძალიან ბევრგვარი და სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა ნაირი იყო. მაგალითად, იყო გამოცდა ცეცხლით, ადუღებული წყლით, გახურებული რკინით, მდინარე წყლით და სხვ. ბრალდებული თუ მართალი იყო, მას ცეცხლით, ადუღებული წყლით და გაელვარებული რკინით სხეული არ უნდა დაწვოდა, მდინარე წყალში ჩაგდებულს არ უნდა დაეძირა, არამედ წყლის ზემოთ უნდა დარჩენილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ბრალიანობა დამტკიცებული იყო და მის დამნაშაობაში არავის ეპვი არ ჰქონდა.

ბრალდებულთ ასეთი გამოცდა ჩვენშიაც არსებობდა და ეს გამოცდა თითქმის იმ გვარივე იყო, რა გვარიც სპარსეთში იყო გავრცელებული; ეს გვაფიქრებინებს, რომ ბრალდებულთ გამოცდის ფორმები შესაძლებელია ჩვენებმა სპარსეთიდან გადმოიღეს[1].

„მთელს ძველს კოლხიდაში და აგრეთვე მთელს საქართველოში ძველათ წერილობითი კანონები არ არსებობდა: ამ კანონების ალაგი ტრადიციას ჰქონდა დაჭერილი. როცა სურდათ გაეგოთ, თუ ბრალდებული მართლა დამნაშავე იყო მეფის ღალატში, ან ხატის გაქურდვაში და ან სხვა რამ ბოროტ-მოქმედებაში, მას სხვადასხვა გვარს გამოცდას მიაყენებდენ, ისეთ გამოცდას, რომელიც სწორედ მეტად ბარბაროსული დროის შესაფერი იყო. მას გამოცდიდენ ადუღებული წყლით; ამ შემთხვევაში მას უნდა ჩაეყო ხელი მდუღარეში და იქიდან სპილენძის ან ვერცხლის ჯვარი ამოეღო. ამას შემდეგ ხელს შეუხვევდენ და თუ სამ დღეს შემდეგ დაწვის ნიშანი ხელზე არ გამოაჩნდებოდა რა, მას უმანკოდ გამოაცხადებდენ, და თუ ხელს წყლული დააჩნდებოდა, დამნაშავედ ჩათვლიდენ. — აგრეთვე ბრალდებულს ხელზე დაადებდენ გახურებულ რკინას და რა შედეგიც მოჰყვებოდა ამას, ის იყო ნიშანი მისი სიმართლის, თუ სიმტყუვნისა“[2].

ეს ცნობები გამბას ვახტანგის კანონებიდან უნდა ჰქონდეს ამოღებული. „ვახტანგის კანონების 6, 8 და 9 მუხლებში არის ლაპარაკი

---

[1] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I. стр. 110.

[2] Voyage dans la Russie méridionale par le chevalier Camba, t. I., Paris, 1826, p, 314 და შემდეგი.

ეს მოწმობა გამბასი, ცოტა არ იყოს, ახლა სიმართლეს მოკლებულია, თანახმად ახალი საბუთების აღმოჩენისა. რ ე დ.

მხოლოდ მდუღარით და გახურებული რკინით გამოცდაზე, — ამბობს კოვალევსკი[1]. გამოცდის ასეთივე ფორმები არის ნახმარები გურიის მდივან-ბეგების განჩინების იმ ოქმებში, რომლებიც აღმოაჩინა ბაქრაძემ გურია-აჭარაში მოგზაურობის დროს"[2].

„ოსეთში— განაგრძობს კოვალევსკი—აქამომდე დარჩენილა ანდაზები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ოდესმე ხალხში ყოფილა გავრცელებული მდინარე წყლით გამოცდა. იმავე ოსეთში, შანაევის სიტყვით, აქამომდე დარჩენილა ჩვეულება, რომლის საფუძვლით შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქ ყოფილა გავრცელებული ცეცხლით გამოცდა: „მოძრავ ქონების (უფრო ხშირად დედაკაცების პატარა ნივთების) მოპარვისათვის, ვიზედაც ეჭვს აიღებდენ, იმას მეპატრონე უნიშნავდა გამოცდას, — ანთებულ კოცონზე გადახტომას". თუ ბრალდებული გადახტომის დროს ცეცხლიდან უვნებლად გამოვიდოდა, — უნდა ვიფიქროთ,— მართლად, უბრალოდ ითვლებოდა. „ოსეთში ახლაც ხშირად იტყვიან ხოლმე: „გავიელი ცეცხლშიო", აგრეთვე მათი სიტყვა ფიცის გამოსახატავად „არტხარინი" პირდაპირ ნიშნავს ცეცხლის შთანთქმას. ხალხის წარმოდგენით ადამიანი, რომელიც უვნებლად გამოდის ცეცხლიდან, იხატება როგორც შთამთქმელი ცეცხლისა"[3].

ორდალიის ფორმები ძველად სხვა გვარი იყო, მაგრამ საქმის ვითარებისთვის ფორმებს თითქმის სრულებით არ ჰქონდა მნიშვნელობა. იმ დროს ხალხის წარმოდგენით, ჭეშმარიტების გამოსააშკარავებლად სულ ერთი იყო, გამოიცდებოდა ბრალდებული ცეცხლით, რკინით თუ წყლით. ხალხს რწამდა, რომ ღვთის განაჩენი გამოჩნდებოდა მიუხედავად იმისა, ცეცხლს იხმარებენ, თუ წყალს გამოსაცდელად. ამიტომ ადვილი მისახვედრია, რომ ორდალიის ფორმები თანდათან იცვლებოდა და სხვადასხვაფერდებოდა. ფორმების გამოცდა ორდალიის შინაგან აზრს არას ავნებდა, — რწმენა მაინც რწმენად რჩებოდა.

ორდალიის ერთ ფორმას შეადგენს დუელიც[4]. ეს ფორმა ორდალიისა უფრო საშუალ საუკუნოებში გავრცელდა. დუელსაც ის აზრი ჰქონდა, რაც სხვაგვარ გამოცდას ბრალდებულისას. ორი მოწინააღმდეგე გავიდოდენ საბრძოლად, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ერთ-ერთის გამარჯვება. „ბრძოლის დაწყებამდის ორივე მხარე ფიცს დებდა, ასე რომ ერთი მათგანი უსათუოდ ფიცის გამტეხი გამოდიოდა.

---

[1] ვახტანგის კანონების კრებული ამ ჟამათ მე ხელთ არა მაქვს. ავტ.

[2] Закон и обычай, стр. 11.

[3] ibid. p. 112.

[4] ბ-ნი, „მეველე" სიტყვა დუელის მაგივრად ხმალში გასვლას ხმარობს; „ეუმცა დუელი ხმლითაც შეიძლება მოხდეს და თოფ-დამბაჩითაც...

ამაში არის სულ მთელი აზრი და მნიშვნელობა. ჩვენამდის დარჩა ძველი ფიცის ასეთი ფორმულები: „So wahr mir Gott helfe zydiesem Kampte“ (როგორც ეს მართალია, ისემც ღმერთი შემეწიოს მე ამ ბრძოლაში). მსაჯულებს ჭეშმარიტებას ბრძოლის შედეგი უჩვენებდა“[1].

საშუალ საუკუნოებისებური დუელი ჩვენშიაც იყო გავრცელებული. „ხშირად—ამბობს გამბა—სიმართლე ხმლის ბრძოლით წყდებოდა ხოლმე საქართველოში, იყო თუ არა ბრალდება საფუძვლიანი. ძლეულის იარაღი რჩებოდა გამარჯვებულს. თითოეულს მებრძოლს თან ახლდა ერთი მოწმე, რომელსაც სხვა იარაღი არა ჰქონდა რა, გარდა მათრახისა. მოწმეებს თვალ-ყური უნდა ედევნათ მებრძოლთათვის და არ დაენებებინათ გამარჯვებულისათვის, რომ მოეკლა დამარცხებული, როცა ეს უკანასკნელი მიწაზე იქნებოდა განართხული. დამარცხებულის ცხენი გამარჯვებულის მოწმეს ეკუთვნოდა“[2].

ამ სახით, — ვიმეორებთ — დუელს, როგორც ერთ ფორმას ორდალიისას, იგივე საფუძველი აქვს, რა საფუძველიც აქვს ბრალდებულის გამოცდას ცეცხლით, წყლით და სხვ. განსხვავება მხოლოდ გარეგნობაშია. აქაც, „ხმლის შემწეობით სწრაფად გამოჩნდებოდა ხოლმე, თუ ვის იცავდა და ვის იფარავდა ღმერთი[3]. და, რასაკვირველია, ღმერთი ხომ მტყუანს მფარველობას არ გაუწევდა...

ჟურნალი „კვალი“. 1894 წ. № 32, გვ. 7—11.

IV

გავიდა დრო. კაცობრიობა სწავლა-განათლებით წინ წავიდა. ძველებურს ბრმა რწმენას ფასი დაეკარგა, ადამიანმა ყოველს მოვლენას ბუნებაში და კერძოდ თავის ცხოვრებაში კრიტიკის თვალით შეხედა...

ამ მიზეზის გამო სხვა რწმენათა შორის კერძოდ ორდალიასაც დაეკარგა ფასი და მნიშვნელობა (ფიცი. როგორც ერთი მხარე ორდალიისა, შეცვლილი რელიგიურ წარმოდგენათა შეცვლის თანახმად, ახლაც არსებობს). ადამიანმა დაინახა, რომ ამგვარად დამნაშავის გასამართლებას ჭეშმარიტებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, დაინახა, რომ აქ მხოლოდ კაცის ფიზიკური ძალა იმარჯვებდა და არა სიმართლე, ჭეშმარიტება,—დაინახა, რომ ხმლის კარგად მოქნევასა და ჭეშმარიტებას შუა არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არ იყო...

---

[1] Липперт, История культуры, стр. 351.

[2] Voyage, p. 314.

[3] Липперт, стр. 251.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ძველი ტრადიციები (რწმუნებანი) ადამიანის გონებიდან უცებ არ ამოიკვეთება. მიუხედავად სწავლა-განვითარებისა ამ ტრადიციების ფესვები გონებაში მაინც რჩება და ამ დარჩენას შესამჩნევი გავლენა აქვს გონების ასეთ თუ ისეთ მსჯელობაზე.

ამის მაგალითს წარმოგვიდგენს ბ-ნ „მეველეს“ მეთაური „ივერიაში“ (№ 123). რომელმაც ეს ჩვენი წერილი გამოიწვია და რომელზედაც გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება[1].

„მეველეს“ წერილი გამოწვეულია ახალი კანონის გამოცემით შესახებ დუელში გასვლისა.

„ამდენს ხანს — ამბობს ის — ხმალში გასვლისათვის ციმბირი იყო დანიშნული“, მაგრამ ახლა ეს ერთი უდიდესი წიგნი რუსეთის კანონის ხმალში გასვლის შესახებ გაუქმდა სამუდამოდ. ხელმწიფე იმპერატორმა ინება, რომ ამიერიდან ხმალში გასვლა სამხედრო წოდების კაცთათვის აღარ იქმნას ჩათვლილი უკანონო მოქმედებად, ამ სახით, სამხედრო წოდების კაცს თამამად შეუძლია თავისი შებღალული ღირსება დაიცვას და სამართალი არ ჩაუთვლის ასეთს საქციელს დანაშაულად. ხმალში გასვლა ერთად-ერთი საშუალებაა მრავალს შემთხვევაში. არის ხოლმე ისეთი გარემოება, რომლის გამოც არც სახელმწიფო მართლ-მსაჯულებში მოხერხებულია ლაპარაკის აღძვრა და არც სამედიატორო წესით. როდესაც ამ გვარს საგანს შეეხება შეურაცხმყოფელი, მაშინ, რასაკვირველია, მეტი ღონე აღარა რჩება რა პატიოსანს კაცს და უნდა მიანდოს თავისი სიცოცხლე ხმალსა და დამბაჩას. უკანასკნელ, ამბობს ის, — ვისურვოთ, რომ ამ გვარივე კანონი გამოიცეს საზოგადოდ (ე. ი. სამოქალაქო კაცთათვისაც), რადგანაც პატიოსნების დაცვა სავალდებულოა ყველა წოდებისათვის“.

აი, ეს არის მოკლე შინაარსი „მეველეს“ მეთაურისა. ახლა დავუკვირდეთ, რამდენად მართალია მისი დედა-აზრი. ჯერ გავსინჯოთ: რა არის ეს შებღალული ღირსება, რომელიც დუელის საშუალებით უნდა დაიცვას ადამიანმა?

ამ კითხვის შესახებ „მეველე“ არას ამბობს, გარდა ვაკვრით ნათქვამ იმ ორი სიტყვისა, რომელსაც შეიძლება ჩავჭიდოთ ხელი. იგი ამბობს, რომ ჯარის კაცი, რომელიც კანონის აღკრძალვის გამო ხალხში ვერ გავიდოდა, იძულებული იყო სამსახურიდან გამოსულიყო და ამხა-

---

[1] „ივერიის“ შემდეგ № 124-ში დაბეჭდილ მეთაურს „მენავისას“ ამ საგნის შესახებ ჩვენ სრულიად არ შევეხებით, და უყურადღებოდ დავტოვებთ, რადგან ამ წერილში „მენავე“ იმეორებს მხოლოდ „მეველეს“ ნათქვამს, ემოწმება და ბანს აძლევს მას და თავისას კი არას ამბობს, ეს ადვილი მისახვედრიცაა:—უმცროსმა მოხელემ თავის უფროსის ნათქვამი უნდა იმეოროს და ჭეშმარიტებად მიიჩნიოს, თუნდაც ის ნათქვამი სრული სისულელეც იყოს...

ნაგების წრეს მოშორებოდა; „რადგანაც მეომარის კაცის ლოღიკით დიაღ საფუძვლიანია ამხანაგის განდევნა ჯარიდან, რომელსაც დავიწყებული აქვს, რომ სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“. აქედან ჩანს, „მეველესაც“ ესმის რამდენათმე, რომ ადამიანთ ღირსების შესახებ სხვადასხვა ლოღიკა აქვთ. მაშ ისიც დაგვეთანხმება, რომ საზოგადოდ აზრი ადამიანის პიროვნულ ღირსებაზე წარმოდგება ასეთ თუ ისეთ საზოგადოებაში შეთვისებულ იდეიებისა და შეხედულებისაგან, როგორც ჯარის კაცს, ეგრეთვე ძველი დროის პატრიარქს, თანამედროვე სწავლულს, ფილოსოფოსს, უდაბნოს ბერს, ჩვეულებრივს მოქალაქეს, თავადს და აზნაურს ყველას თავისებურად, სხვადასხვაგვარად ესმის თავისი პიროვნული ღირსება. ავიღოთ, მაგალითად ერთი ტიპიური საფუძველი ჯარის კაცის შეხედულებისა პიროვნულს ღირსებაზე. ერთ უპირველესს საიდეალო საგანს მეომარი კაცისას შეადგენს მამაცობა. ომში მამაცობაა საჭირო და მეომარიც ხომ მთელს თავის სიცოცხლეში ამისთვის ემზადება. თავის ამხანაგების საზოგადოებაში მას ხშირად სულ ომზე და მამაცს მეომრებზე ესმის ლაპარაკი. ამიტომ მისი ხასიათის განვითარება და მისწრაფების გაძლიერება ამ მხრისკენ მიდის. ყველას სურს, რომ ეს უპირველესი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თვისება — მამაცობა მასში იპოვებოდეს. მშიშარა, ლაჩარი მეომარი კაცისთვის (ჩვენ ვამბობთ, რასაკვირველია, საზოგადოდ) სინონიმია ყოველი მხრით უძლურის კაცისა, „რომელსაც არა აქვს უფლება „ადამიანის სახელი ატაროს“. წარმოიდგინეთ, რომ ასეთს კაცს ვინმემ მშიშარა უწოდა, კაცს, რომელიც უპირველესს ნიშნად ადამიანობისა მამაცობას თვლის და რომელიც ამ მისთვის საიდეალო საგნისკენ მიისწრაფვის. მას, როგორც ყოველს ადამიანს, თავმოყვარეობის გრძნობა არ ანებებს, რომ ერთხელ შედგენილ აზრს თავის პიროვნულ ღირსებაზე, გამოეთხოვოს, იცნოს თავისი თავი ლაჩრად, მშიშარად. ამას გარდა, ის საზოგადოება, რომელშიაც იგი ცხოვრობს, ისეთი ძლიერი მოტივია ამ შემთხვევაში, რომ, თუმცა ის თავის გულში დიდს მამაცობასაც არ გრძნობდეს, იძულებულია საზოგადოებას მაინც მამაცად აჩვენოს თავი. რას იტყვიან სხვები, რომ მან სილაჩრე გამოიჩინოს? ხომ დაიღუპა მისი პიროვნული ელფერი, როგორც ადამიანისა? ხომ დაეკარგა მას ფასი და პატივისცემა საზოგადოების თვალში? აი, კითხვები, რომლებიც წარმოუდგება მეომარს ამ შემთხვევაში? განა არ ემჯობინება ასეთს სიცოცხლეს „სიკვდილი სახელოვანი“? რასაკვირველია, ემჯობინება, მით უფრო, რომ ჯარის კაცს ისეთი ასპარეზი აქვს ცხოვრებაში, საცა მას ყოველთვის თვალწინ უდგას მხოლოდ „სახელოვანი“ სიკვდილი... მაშ უნდა დაუმტკიცოს ამ შემთხვევაში თავის შეურაცხმყოფელს, რომ

იგი ლაჩარი არ არის. და... იწყება ხმლის ტრიალი, დამბაჩების გრიალი...

ვთქვათ, შეურაცყოფილმა გაიმარჯვა, დაჭრა ან მოჰკლა დუელში თავისი მოწინააღმდეგე, დაცულ იქმნა მისი „შებღალული ღირსება"? მეომრის წარმოდგენით კი, რადგან საზოგადოების თვალში მან დაამტკიცა, რომ იგი არ არის მშიშარი და ისე არ ეშინია ხმლის და ტყვიისა, როგორც მის მოწინააღმდეგეს ეგონა. ჩვენის აზრით — არა, რადგან მას არც დუელამდის ჰქონია რაიმე ადამიანური ღირსება და არც შემდეგ შეუძენია. მართლა და რა ღირსება უნდა ჰქონდეს ისეთს კაცს, რომელსაც მხოლოდ თავისი ვიწრო თავ-მოყვარეობის მეტი ქვეყანაზე არა რწამს რა და მარტო თავისი პიროვნული მე გაუხდია ათაყვანოდ? იგი მზად არის გაწყვიტოს ყველა, ვინც იმ აზრის არ არის მასზე, როგორი აზრიც თვითონ მას შეუდგენია თავის თავის შესახებ. ეს არის ნაშთი ძველის მტარვალობისა, თავ გასულის ბატონობისა. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ სპარსეთის მეფემ კსერკსმა ზღვას ჯაჭვები დააბა და წკეპლებით სცემა, რადგან ქარიშხალმა გაჰბედა დამის მიერ გაკეთებული ხომალდების ხიდი დაამსხვრია. ცემის დროს ზღვა ხმას არ იღებდა, ქარიშხალი დადუმებული იყო, მეორეხელ გაკეთებული ხიდი აღარ დამსხვრეულა ზღვის ღელვისაგან... კსერკსი დამშვიდდა, იგრძნო, რომ მისი ძლიერება უსულო ბუნებასაც კი სწამს და ეშინია მისი. დარწმუნდა, რომ ყველაფერი მისი მორჩილია და ის არის მხოლოდ ერთად ერთი ბატონი ქვეყანასა ზედა...

ღვთის მადლით სისასტიკე-მტარვალობა ჩვენს წინაპრებსაც არ აკლდათ. ეს სისასტიკე ნამეტნავად შინაურს ცხოვრებაში გამოიხატებოდა, როგორც შედეგი პატრიარქალურ შეხედულებისა. მამა იყო ბატონი ოჯახისა, არც ერთ წევრს ოჯახისას არ შეეძლო მის უნებურად რაიმე მოემოქმედნა და ან ეთქვა რაიმე ისეთი, რაც მას არ მოეწონებოდა. „თუ შვილი მამას ან დედას არ ემორჩილებოდა, — ვკითხულობთ ზემოთ ნაჩვენებ წიგნში, — და საკმაოდ პატივს არ ცემდა მათ, მას მიიყვანდენ ადგილობრივ მღვდელთან, რომელიც მის ყოფა-ქცევას დაძრახავდა და აუხსნიდა მათ მოვალეობას მშობლების მიმართ, დაავალებდა, რომ შემდეგში ყოფილიყო მათი პატივისმცემელი. თუ, მიუხედავად ასეთი დარიგებისა, იგი თავის ყოფა-ქცევას მაინც არ დაიშლიდა, საკმარისი იყო, მამას ხელახლა ეჩივლა, რომ ხალხი შეკრებილიყო და ქვით ჩაექოლა მამის წინააღმდეგი შვილი. ასეთი სასტიკი სასჯელის შესახებ ვახტანგი დასძენს, რომ ის შვილები, რომლებიც დედ-მამას არ ემორჩილებიან და პატივს არ ცემენ ღირსნი არიან სასჯელისა, როგორც ამ ქვეყნად, ისე საიქიოსაო[1].

[1] Voyage, გამბასი, გვ. 317.

ასეთია ძლიერება ტრადიციისა (რწმუნებისა). პირადი მე-ს ბატონობა იმდენად ძლიერდება ადამიანში, რომ მამასაც კი გულ-გრილად აყურებინებს თავის ღვიძლ-შვილის სიკვდილზე, როცა ეს შვილი მისი აზრების და სურვილის წინააღმდეგია. შვილი კვდება და მამა კმაყოფილდება, მისი შებღალული ღირსება იცვება...

ბ-ნ „მეველეს" რომ დაუჯეროთ, ასეთი დაკმაყოფილება ზნეობრივია და მასთან კანონიერიცა. ჩვენის აზრით, არც ერთია და არც მეორე. ერთი რომ ზნეობრივი არ არის, რადგან ზნეობა ადამიანის შინაგან ბუნების მხარეს შეადგენს და არა გარეგან ფიცრის მსგავს რასმეს, რომელზედაც ყოველი პიროვნების შესახებ სიტყვა თითქოს შავი ლაქით იწერებოდეს, და საკმარისი იყოს სველის ღრუბლის მოსმა, რომ ფიცარი ისევ წმინდა და სპეტაკი დარჩეს, მეორე, რომ კანონიერი არ არის, რადგან სიმართლის და ჭეშმარიტების წინააღმდეგია.

ამ სახით, ჩვენ უარს ვყოფთ იმ აზრს, რომ ვითომ დუელის საშუალებით „შებღალული ღირსების" დაცვა და აღდგენა შეიძლებოდეს. ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ დუელს თავიდან ასეთი მიზანი სრულებით არ ჰქონია. აქვე მოვიყვანთ ამის შესახებ აზრს ჟიულ სიმონისას, რომელიც „მეველეზე" ცოტათი უკეთესი მორალისტია:

„თავის სიცოცხლის განწირვა—ამბობს ის—უმიზეზოდ ან მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ არ მეშინიაო, სწორედ ცუდი საქციელია. საზოგადოების აზრმა და მოდამ იმდენი არეულობა მოახდინა კაცის გონებაში, რომ ადამიანთ უმრავლესობას ვერ მოუშორებია სურვილი მათი უშიშროების და მასთან უჭკუობის გამოაშკარავებისა. დუელი, რომელიც შეიცავს ორს თვისებას მკვლელობისა და თავის მოკვლისას, მხოლოდ ასეთს ბავშვურ მედიდურობაზეა დაფუძნებული და იმ გაუგებარს მოწონებაზე, რომელსაც მამაცობა იწვევს ხოლმე ჩვენში. ისე გამოდის, რომ, ბევრ ადამიანთა აზრით, დამნაშავე აღარ არის დამნაშავე, თუ მას იმდენი გულ-გრილობა შესწევს, რომ თვალის დაუხამხამებლად შეაჩერდეს დამბაჩის ლულას. როცა ნამდვილი დამნაშავე ზნეობის წინააღმდეგ დუელში სისხლს აღვრევინებს თავის მოწინააღმდეგეს, სრულიად გულ-გრილად აცხადებენ, რომ პატიოსნება დაკმაყოფილებულიაო. ეს სისხლის ღვრა ცუღლუტს პატიოსან კაცად ჰქვნის, არ ვიცით, უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ გონების ასეთს შეშლილობაზე"[1].

არა, ბ-ნო „მეველევ" ზნეობრივი ელფერი ადამიანისა და, მაშასადამე, პიროვნული ღირსებაც თვით ადამიანშია, და არა მის გარეთ. ვისაც ეს ზნეობა და ღირსება ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს იგი

---

[1] I. Simon, Le Devoir, Paris, 1860, გვ. 377 და შემდეგი.

მის გარეთ იყოს და ყოველი ლანძღვა-ქება სხვისგან შავად თუ თეთრად აჩნდებოდეს ზედ, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთს კაცს არც ზნეობა აქვს და, მაშასადამე, არც ადამიანური ნამდვილი ღირსება, „როცა— ამბობს ერთი ამ საუკუნის გამოჩენილი მწერალი — გონებაში მკვიდრდება ის აზრი, რომ პატიოსნების წყარო (საფუძველი) ადამიანის გარეთაა, და არა თვით ადამიანში, მაშინ ძლიერდება მისწრაფება ადამიანისა გარეგნულ ნიშნების მოპოებისათვის და ამ გარეგნულ მხარეს უფრო უპირატესობა ეძლევა, ვინემ შინაგან ძალის შეგნებას“[1].

წარმოვიდგინოთ, ბ-ნო „მეველევ“, რომ თქვენ ვინმემ შეურაცხყოფა მოგაყენათ, ისეთი შეურაცხყოფა, რომლითაც თქვენი პიროვნული ღირსება შეილახა. შეურაცხმყოფელი შეეხო თქვენს ზნეობრივს მხარეს, მაგალითად, საშინელი ცილი დაგწამათ, რომლის გამოკვლევაც „მედიატორული წესით მოუხერხებელია; ან და ჩაერია თქვენს შინაურ ცხოვრებაში და მყუდრო, მშვიდი ცხოვრება შეგიშფოთათ და აგირიათ. წარმოიდგინეთ, ისიც, რომ იმ კაცთან თქვენ დუელში გასვლა ვერ მოახერხეთ სხვადასხვა მიზეზთა გამო. გავიდა დრო. ერთ დღეს ხედავთ, რომ ის თქვენი შეურაცხმყოფელი წყალში ისრჩობა, თქვენ მასთან ახლოსა ხართ, ცურვაც კარგი იცით, — რას იქთ? უშველით თუ არა? უშველით, თუ გაატანთ წყალს და ამით დაიკმაყოფილებთ თქვენს შეურაცყოფილს პატიოსნებას? ჩემი მხრით კი გეტყვით, რომ თუ არ უშველით, ამით თქვენს ბარბაროსობას და ზნეობრივის განუვითარებლობას გამოიჩენთ, და თუ უშველით: — მაშინ თქვენს თეორიას პატიოსნების დაკმაყოფილებისას უნდა გამოეთხოვოთ, იმიტომ რომ ნამდვილს ზნეობრივს დაკმაყოფილებას სწორედ მაშინ იგრძნობთ, როცა თვით თქვენში დანახავთ ზნეობრივს ძლიერებას: მტკიცე ზნეობა ხმალ-ხანჯლის ტრიალს არ საჭიროებს, რადგან თვითონ თავისი სიძლიერე აკმაყოფილებს მას. თქვენ არ გაატანეთ წყალს თქვენი შეურაცხმყოფელი, გადაარჩინეთ სიკვდილს და ამით უდიადესი ზნეობრივი დაკმაყოფილების სიტკბოება იგრძენით. მაშასადამე, მაშინ, როცა შეურაცხყოფა მოგაყენათ თქვენი ზნეობრივი ბუნება მისი შეურაცხყოფით არ დაბნელებულა. ეს შეურაცხყოფა ზნეობას ტალახათ არ მიჰკვრია, რომ საჭიროყოფილიყოს მისი მოშორება და შებღალული პატიოსნების აღდგენა სხვადასხვა გვარის გარეგნობით; ჩანს, მასში ისევ დარჩენილა ძალა ძალა წმინდა ზნეობრივი, რომლის მეოხებით მთელი ადამიანის არსებაკმაყოფილდება“.

---

[1] Бокль, Исторія цивилизацій в Англіи, т. I, ч. II, стр. 418.

ბ-ნი „მეველე“, ამბობს რომ „როდესაც მიზეზი უსიამოვნებისა ისეთის თვისების არის, რომ იმის შესახებ დავის დაწყება უკადრისია, მოუხერხებელია,“ — პატიოსანმა კაცმა „უნდა მიანდოს თავისი სიცოცხლე ხმალსა და დამბაჩასაო“... გავსინჯოთ, რამდენად მართალია ეს აზრი. პირველად, რა არის ეს მიხდობა? რას წარმოგვიდგენს საზოგადოდ ნდობა? ავიღოთ რაიმე მაგალითი. ვთქვათ, ერთი კაცი, საბელდობრ თუნდა პეტრე, რაიმე საქმეში ენდო მეორეს, პავლეს. ნუ თუ სრულიად უსაფუძვლოდ ენდო აქ პირველი მეორეს? როცა ერთი ადამიანი იჩენს მეორეს მიმართ ნდობას,—ეს იმას ნიშნავს, რომ ერთს რაიმე იმედი აქვს მეორესი. სანამ პეტრე ენდობოდეს პავლეს, მან რამდენადმე მაინც უნდა იცოდეს პავლეს ხასიათი და მისი ზნეობრივი ფიზიონომია, რომ ამ საფუძველით შეეძლოს იმედი იქონიოს პავლეზე, რომ ეს უკანასკნელი მას გაუმართლებს ნდობას და არ უღალატებს. შეიძლება აგრეთვე პეტრე ისეთი კაცი იყოს, რომ სრულებით ეცნობ კაცსაც ენდოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც მის ნდობას რაიმე საფუძველი ექნება. ახლა გკითხავთ, ბ-ნო „მეველევ“, რა საფუძველი გაქვთ, როცა ხმალ-დამბაჩაზე ჰქადაგებთ? ხმალ-დამბაჩით ომში იმდენი შემთხვევითი რამ ურევია, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ იარაღთა მოქმედების ერთგვარობას დაენდოს ადამიანი. ტყვია შეიძლება მოხვდეს მიზანს და შეიძლება არა, — ეს დამოკიდებულია წმინდა ფიზიკურ მიზეზებზე. ხშირად ერთი ბეწო ხელის გაქანება, პატარა ქარის მობერვა საკმარისია, რომ ტყვიის მიმართულება შეიცვალოს და იმ მიზანს არ მიაღწიოს, რომელზედაც ფიქრობდა მსროლელი. ამიტომ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხმალ-დამბაჩაზე დანდობა შეიძლებოდეს. „მეველე“ კი წინააღმდეგია. — იგი ამბობს, რომ ასეთი დანდობა შესაძლებელიაო. მაშ მას რამე საფუძველიც უნდა ჰქონდეს მისი. ჩვენი ფიქრით, ამ ორს მოსაზრებაში, „მეველეს“ რწმენის შესახებ ერთი რომელიმე უნდა იყოს მართალი: ან უნდა ჰქონდეს ის რწმენა განსამართლების შესახებ, როგორიც რწმენა ჰქონდა ძველს ველურ ხალხს (რომ „ღმერთი არ წაწყმედს სულსა მართლისასაო“), ან უნდა იყოს იგი მომხრე ეგრედ წოდებულის ფატალიზმისა, ანუ ბედისა.

1. თუ ადამიანს სწამს, რომ ღმერთი უეჭველად მე, როგორც მართალს, გამამართლებსო, ე. ი. განსაცდელიდან დამიხსნისო, მაშინ მას შეუძლია ხმალ-დამბაჩას მიანდოს თავის სიცოცხლე, რადგან ამ რწმენის თანახმად, მას საფუძველიც ექნება; 2. თუ ადამიანს სწამს, რომ კაცს თავისი ბედი და უბედობა შუბლზე აწერიაო, და რაც მოსასვლელია, მაინც მოვაო, ასეთს კაცს შეუძლია აგრეთვე მიენდოს ტყვიას, რადგან,

მისის აზრით, ვისაც ბედით „სიკვდილი არ უწერია“, ტყვია ვერ მოჰკლავს, ვერ მიეკარება, მკითხველიც დაგვეთანხმება, რასაკვირველია, რომ ორივე ეს რწმენა ჩალის ფასად არა ღირს, ამიტომ კმარა ამაზეყოველს შემთხვევაში, ჩვენ ვხედავთ, რომ „მეველე“ ძველი დროის ველური ხალხის წარმოდგენის და იდეების მქონეა და ამ ძველებურ, მეცნიერებისაგან ცრუმორწმუნეობად აღსარებულს, შეხედულებას „ივერიის“ სათავიდან უქადაგებს ქართველ ერს...

გარდა ამისა, რა არის ეს „ისეთი გარემოება, რომლის გამოც არც სახელმწიფო მართლ-მსაჯულებაშია მოსახერხებელი ლაპარაკის აღძვრა და არც სამედიატორო წერით“? ბ-ნი „მეველე“ თავის წერილში არ გვიჩვენებს მას. ამიტომ ორი სიტყვით ესეც მოვიხსენიოთ.

ყველაზე უფრო ხშირათ ასეთ გარემოებად ითვლება საზოგადოებაში კაცის შინაური ცხოვრება. ადამიანი ჩვენს საზოგადოებაში ყოველი მხრით ცდილობს, რომ ეს მხარე მისი ცხოვრებისა დიდი საიდუმლოებით იყოს მოცული. ეს მისი შინაური მდგომარეობა და ყოფა-ქცევა იმდენად თავის საკუთრებად მიაჩნია მას, რომ ვერ წარმოუდგენია თუ ვინმე გარეშეს შეუძლია, ზრდილობის და პატიოსნების დაურღვევლად, მასში ცნობის მოყვარე თვალით ჩახედვა. ასეთს შეხედულებას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს, რომლებიც, საეჭვოა, ბ-ნ „მეველეს“ ესმოდეს. აზრი ოჯახზე, როგორც საკუთრებაზე, მეტად ძლიერია ადამიანში. აქედან წარმოდგებიან ბევრი ისეთი მოვლენანი, რომელნიც ადამიანს ხშირად სიცოცხლეს უწამლავენ და წუთი-სოფლის სიამოვნებას ასალმებენ. ავიღოთ რომელიმე მაგალითი ლიტერატურაში, თუნდა ლ. ტოლსტოის „კრეიცერის სონატა“, რას ვხედავთ მასში? ვერაფერს სანუგეშოს და სასიამოვნოს. მოთხრობის გმირი თავის ცოლის მიმართ საზიზღარი ეჭვით დაბრმავებული მანამ ვერ ისვენებს, სანამ საწყალს ქალს წუთისსოფელს არ გამოასალმებს. საკმარისია, რომ მის ცოლს უცხო ვინმე გაეცნოს და რაიმე საუბარი დაუწყოს, და მის გულში ეჭვთა საშინელი ქარ-ტეხილი ატყდება და მთელ მის არსებას გამოურკვეველი შავ-ბნელი ფიქრები მოიცავს. იმის გონებაში ვერ თანხმდება ის აზრი, რომ მის ცოლს, როგორც პიროვნებას, რაიმე პიროვნული უფლება ჰქონდეს და, მაშასადამე, შეეძლოს თავის ცხოვრების ასე თუ ისე წაყვანა. მას ყოველთვის თვალში უდგას მხოლოდ თავისი საკუთარი სიამოვნება, საკუთარი მე, და ამას გარდა არა რწამსრა. ამიტომ, რა თქმა უნდა, ამ გმირის წარმოდგენით ყოველად მოუხერხებელია, რომ მან თავის სულის მდგომარეობის საქმეში სხვა ვინმე ჩაახედოს და ან თვითონ გასინჯოს იგი გონების კრიტიკით. მასში ძლიერია ემოცია და სუსტი—გონება.

მაგრამ ჩვენის აზრით, როცა ადამიანის ცხოვრებაში გრძნობას

ასეთი დიდი ადგილი უჭირავს და გონება კი თითქმის სულ არა ჩანს,— ასეთი ცხოვრება ნორმალური არაა და ამ უნორმალობას ჩვენ იშვიათად არ ვხედავთ საზოგადოებაში. ამიტომ, როგორც ემოციურ მოძრაობას კაცისას არ შეიძლება დაერქვას გონიერი მოქმედება, ასეთსავე გამძვინვარებულ გრძნობათა ზედ-მოქმედებით შემდგარ დასკვნას არ შეიძლება დამჯდარი გონების ნაყოფი ეუწოდოთ.

ცხოვრებაში ბლომათ არიან ტოლსტოის გმირებისთანები, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც გაცილებით მაღლა დგანან ამ გმირთან შედარებით. მგონი, „მეველემაც“ იცოდეს, — 60 წლებში რუსეთში დაიბეჭდა რომანი ჩერნიშევსკისა. ამ რომანში ვხედავთ, რომ გონებრივად და ზნეობრივად განვითარებული კაცი სხვის თავისუფლებას არ დევნის, მას რწმენს პიროვნული უფლებანი ყოველი ადამიანისა. როცა ქმარი ხედავს, რომ ცოლს მისი ამხანაგის სიყვარული აღეძვრის გულში, — თავს ანებებს მას და უცლის მის მიერ „კანონიერად“ დაჭერილს ადგილს მეორეს..., რადგან ესმის, რომ მას არა აქვს ნება სხვისი თავისუფლების შევიწროებისა, თუმცა იურიდიული საფუძვლით მას შეეძლო კიდეც, რომ თავისუფლება თავის ცოლისა, როგორც პიროვნების, დაეჩაგრა; კანონი ამის ნებას და საშუალებას აძლევდა... ამიტომ აქ საქმე ტრაგედიით არ თავდება, როგორც ტოლსტოის მოთხრობაში. ასეთი დიდი განსხვავებაა გონებრივს სინათლესა და ემოციურს დაბრმავებას შუა.

ამ სახით, ჩვენ ამ მუხლშიაც არ ვეთანხმებით ბ-ნ „მეველეს“. ვერცერთ გარემოების შესახებ კაცის ცხოვრებისა ვერ ვარჩევთ ხმალ-დამბაჩით საქმის გონიერს განსჯა-განხილვას. „როცა დუელს მიმართავენ ხოლმე და მას კანონს ამჯობინებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბარბაროსობას არჩევენ ცივილიზაციას“[1].

VI

ბ-ნ „მეველეს“ ლოღიკით, ყოველს კაცს აქვს ზნეობრივი უფლება, — და ეს უფლება მას იურიდიულადაც უნდა ჰქონდეს,—რომ თავისი შეურაცხმყოფელი ხმალში გამოითხოვოს და, თუ შეიძლებს, მოჰკლას, როცა შეურაცყოფა „ისეთის თვისებისაა, რომ მის შესახებ ლაპარაკის აღძვრა მოუხერხებელია“. ვთქვათ, ერთს მეფეს მიაყენა მეორემ შეურაცხყოფა, რომელიც სწორედ ასეთის თვისებისაა, როგორ ჰფიქრობთ? „მეველეს“ წარმოდგენით შეურაცხყოფილი თავისი ლაშქრით „უნდა მიენდოს ხმალ-დამბაჩას“ შელახული პატიოსნების დასაკ-

[1] Jules Simon, Le Devoir, p. 390.

მაყოფილებლად და გაილაშქროს შეურაცხმყოფელზე. იწყება ხალხთა ჟლეტა-წყვეტა. ყველა ეს საჭიროა ხალხის „მფარველი“ მეფის „შებღალული ღირსების“ ასადგენად. თვით „მეველე“ ამის შესახებ პირდაპირ ამბობს: „თუ მთელი სახელმწიფოები თავის სიმართლის დასამტკიცებლად ხმალსა და იარაღს მიმართავენ ხოლმე, რიღასთვის უნდა გაიკიცხოს კერძო კაცი, რომელიც თავის პატიოსნების დასაცველად იძრობს ქარქაშიდან იმავე ხმალს?“ აქედან ვხედავთ, რომ „მეველეს“ აზის კანონიერობაში ეჭვი არა აქვს. მისი ლოღიკა ამ შემთხვევაში ამნაირია: ა) ომის ატეხა სახელმწიფოებში გასაკიცხი არაა და თვით ომი კანონიერი მოვლენაა ადამიანთ საზოგადოებაში; ბ) შეურაცხყოფილის ხმალში გასვლა თავის შეურაცხმყოფელთან იგივე ომია, გ) მაშასადამე, ხმალში გასვლაც კანონიერია და არაა გასაკიცხი მოქმედება.

როგორც ხედავთ, თურმე საჭირო ყოფილა „მეველისთვის“ ომის უკანონობის დამტკიცება. იმ დროს, როდესაც მთელი კაცობრიობა მშვიდობიანობისკენ მიისწრაფვის და ეს დიდი უბედურება, ხალხის გამნადგურებელი მოვლენა—ომი უნდა თავიდან აიცილოს,—ბ-ნი „მეველე“ „ივერიის“ ფურცლებზე ომის საჭიროებას და აუცილებლობას ჰქადაგებს!..

„ომს — ამბობს ჟიულ-სიმონი — რაღაც მომხიბლავი ძალა აქვს კაცის გონებაზე. ადამიანს ინსტიკტურად უყვარს ძალმომრეობა, იგი ემორჩილება მას, მოწონს ყველაფერი, რაც ძლიერია. უნდა ვეწინააღმდეგოთ ამ მიდრეკილებას ადამიანისას, თუ გვინდა, რომ ომი უფრო იშვიათი მოვლენა შეიქნეს. უნდა წარმოვიდგინოთ ომი თვისი ნამდვილი ელფერით, — ჯარის თოფ-ზარბაზნით გაწყვეტა, ლაშქრის გაჟირვება, ძალ-დატანება, ავადმყოფობა, ოჯახში გლოვა-ტირილი, სოფლებში მცხოვრებთ რიცხვის დაცოტავება, გაღარიბება...“[1].

„მეველეს“ წარმოდგენით კი შეუძლებელია, რომ კაცობრიობამ ხმალ-ხანჯლის უტრიალებლად შეძლოს ცხოვრება. მისი მოძღვრების თანახმად ყოველმა კაცმა პირველად ხმლის და დამბაჩის ხმარება უნდა ისწავლოს, რომ შეიძლოს ცხოვრებაში პასუხი გაცეს თავის შეურაცხმყოფელს. რადგანაც „პატიოსნების დაცვა ყველასთვის სავალდებულოა“ და ამ დაცვის სახსარი მხოლოდ ხმალ-დამბაჩაა, ამიტომ, რა თქმა უნდა, ყველამ უნდა იცოდეს ამ იარაღის ხმარება...

ზემოდ ნათქვამიდან ჩვენ საკმაოდ ვხედავთ, თუ როგორია „მეველეს“ შეხედულება ზნეობაზე, კაცის შინაგან ღირსებასა და პატიოს-

---

[1] Le Devoir, გვ. 392 და შემდეგი. — იხ. აგრეთვე ამ საგნის შესახებ ს პ ე ნ ს ე რ ი ს Начало социологии, стр. 344.

ნებაზე. საზოგადოდ მას უყვარს ზნეობაზე ქადაგი, როცა ზნეობის კითხვების შესახებ ერთი ინჩიც კი არ გაეგება. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გაგვიგია, თუ როგორ მოახერხა მან თავის ათიოდე სტრიქონიან წერილში ამდენი შემცდარი აზრების გამოთქმა. რასაკვირველია, მას რომ ეთქვა რამე ხმალში გასვლის შესახებ ახლად გამოცემულ კანონზე, — რომ „ასეთი ცვლილების შემოღება სრულიად სამართლიანია და დროს შესაფერია რუსის ჯარში, საცა პირადი შეურაცხყოფა ხშირია და სამართალიც ვერ დევნის, როგორც რიგია, შეურაცხმყოფელს, მედიდურობით სავსე უფროსს; ეს აზრი რომ ცოტა ხეირიანად დაესაბუთებია, ჩვენ დავას არ დავუწყებდით; მაგრამ იგი მოჰყვა ფილოსოფიას, დაიწყო ქადაგება ზნეობრივ დაკმაყოფილებაზე და იმდენი შეცდომის გამოთქმა მოახერხა, რომ მკითხველი გააკვირვა. ნუ იფიქრებს ბ-ნი „მეველე“, რომ ჩვენ ვითომ იდეალური თვალით ვუყურებდეთ კაცობრიობას და კერძოდ თვითოეულის ადამიანის ცხოვრება-მოქმედებას. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ადამიანის ცხოვრება მარტო ზნეობრივს პრინციპზე იყოს დამყარებული, — არა, მის ასეთს თუ ისეთს მიმდინარეობას უფრო ძლიერი მოტივებიც აქვს. ბოკლის სიტყვით, საზოგადოდ „ადამიანის მოქმედება დამოკიდებულია თანამედროვეთა აზრზე და ჩვეულებაზე, საერთო ხასიათზე საზოგადოების იმ ნაწილთა, რომელთაც უჭირავთ ხელში უფლება — უპირატესობა[1]. მაგრამ ამით ის მაინც არ მტკიცდება, რომ ეს ასე უნდა იყოს, რომ ცხოვრებაში მოდა, ასეთი თუ ისეთი საზოგადოებაში გავრცელებული აზრი კანონად გავიხადოთ და იგი ზნეობრივ კითხვების ახსნაში დაურღვეველ ჭეშმარიტ საფუძვლად მივიჩნიოთ....

დასასრულ ორი სიტყვა კიდევ. „მეველეს“ მოძღვრებით, ადამიანს არასდროს არ უნდა ავიწყდებოდეს თავისი ვიწრო თავ-მოყვარეობა. თუ ვინმემ უსიამოვნება შოგაყენათ, აიღეთ ხმალი და ეცით მას, გადაწყვიტეთ ან თქვენი, ან მისი სიკვდილი. გახსოვდეთ მარად სენეკას სიტყვები: Contra injurias vitae, beneficium mortis habeo. ამიტომ არას დროს არ მოითმინოთ შეურაცხყოფა, რადგან ქვეყანაზე ყველაფერი და ყველანი თქვენს სასიამოვნოდ და მასიამოვნებლად არის გაჩენილი. — საზოგადო მოქმედება, საზოგადო საქმე და ინტერესები? — იქნება იკითხოს მკითხველმა. მაგისი რა მოგახსენოთ! მაგას „მეველეს“ ნუ ჰკითხავთ, მას ეგენი არა რწამს. ან კი სად ცალია მაგისთანა რამეებისთვის ისეთს კაცს, რომელიც თავისი პიროვნების განდიდების აზრითაა შეპყრობილი?! — ნუ თუ განათლებულ კაცს უფლება აქვს „შუბლი მიუშვიროს დამბაჩას“ ასეთი ვიწრო ეგოიზმის წა-

[1] История цивилизации, стр. 414.

ქეზებით, როცა საზოგადო საქმე და ინტერესები ხალხის საკეთილდღეოთ მოქმედებას თხოულობს?.. მაგრამ ნუ კითხულობთ-მეთქი მაგას, — ეს უნაყოფოა...

ჟურნალი „კვალი“, 1894, № 32 (გვ. 7—11), № 33 (გვ. 6—8), № 34 (გვ. 10—12).

ზნეობრივი განვითარება

სქესებრივი მორალი

Marchez. L'humanité ne vit pas d'une idee. Elle éteint, chaque soir, celle qui l'a guidée. Lamartine.*

ლაზარემ გადააჭარბა—მოთხრობა ანასტასია ერისთავისა („მოამბე“, 1894 წ. № V).

დარწმუნებული ვარ, ჩვენს საზოგადოებაში ბევრს „განათლებულსაც“ რომ ჰკითხოთ, ადამიანის როგორ მოქმედებას უნდა დაერქვას ზნეობრივი მოქმედებაო, — თითქმის ყველა ასე მოგიგებთ: ისეთს, რომელიც მოქმედის სვინიდისის წინააღმდეგი არააო. სხვაგვარ პასუხს აქ არც კი უნდა ველოდეთ, რადგან ყოველი ჩვენგანი პატარაობიდანვე ასეთს აზრზეა აღზრდილი.

რაც სვინიდისის წინააღმდეგი არაა, — ზნეობრივი საქციელია, — აი აზრი, რომელიც მუდამ გვესმის საზოგადოებაში, რომელსაც გვასწავლიან და ჩაგვჩიჩინებენ სასწავლებელში. ახლაც კი მახსოვს, რომ ერთი პატივცემული მასწავლებელი ასე გვიხსნიდა შეგირდებს ამ ზნეობის საგანს: „სვინიდისი დაუწერელი ღვთიური კანონია, რომელიც ღმერთს ადამიანის გულში ჩაუნერგია. ამ კანონს ვერ ამოშლის იქიდან ვერავითარი ძალა, მის ხმას ვერ გააჩუმებს ვერც სასყიდელი, ვერც ხვეწნა-მუდარა. იგი დარაჯია კაცისა, რომელიც უნდა იქცეოდეს ღვთიურ კანონის თანახმად. დაუძინებლად ადევნებს იგი თვალს ადამიანის მოქმედებას, — ბოროტისთვის სდევნის და კეთილისთვის კმაყოფილების სიტკბოებით ასაჩუქრებს. სვინიდისის საფუძველი მხოლოდ ღმერთია“... ეჭვი არა მაქვს, ამ პატივცემულს მასწავლებელს თავის მოსწავლეთათვის კეთილი სურდა და მათ სწორე, ჭეშმარიტს გზაზე დაყენებას იყო მონდომებული, — ის გვიქადაგებდა იმას, რაც დაურღვეველ ჭეშმარიტებად მიაჩნდა...

* მ ა რ შ ე ზ ი. კაცობრიობა არ ცხოვრობს მხოლოდ ერთი იდეით; იგი (იდეა) ყოველ საღამოს აქრობს მის წინამსრბოლს; ლამარტინი.

ასეთსავე აზრს ჰქადაგებს ჯერაც მთელი ოფიციალური მეცნიერება. მაგალითად, საფრანგეთის ერთი ცნობილი მწერალი სწერს სვინიდისზე იმასვე, რაც სრულიად არაფრით არ განირჩევა ჩემის მასწავლებლის ნალაპარაკევისგან: „რომ ზნეობრივი კანონის ავტორიტეტი არსებობს, — ამბობს ის, — ეს ეჭვს გარეშეა. მე არ ვსაჭიროებ პლატონის, თუნდა არისტოტელეს სწავლებას, რომ ჩემი თავისუფლება კანონს ექვემდებარება. ბუნება საკმაოდ ხმა-მაღლა ჰღაღადებს ჩემს არსებაში და, მიუხედავად ყოველგვარ სისტემისა, სრულიად სავსებით ვიცი, თუ რომელია ცუდი ყოფა-ქცევისა და რომელი—კარგი. როცა შვილი, რომელსაც ხელები ასხია და შეუძლია მუშაობა. ჰკლავს თავის მამას შიმშილით, — განა მჭირია სკოლაში წასვლა იმის გასაგებად, რომ ასეთი შვილი სალახანაა? უნივერსიტეტთა და აკადემიების უმეცნიერესი მეცნიერიც კი უბრალოდ მწყემსზე წინ არა დგას ამ საგნის შესახებ. შევდივარ სახლში, რომელიც არაა ჩემი; ვრწმუნდები, რომ არავის არ შეუძლია გამიგოს; ვრწმუნდები, რომ ჩემს აქ მოსვლას ვერას დროს ვერავინ გაიგებს; ეჭვი არა მაქვს, რომ დაუსჯელად გადავრჩები და ვჰკიდებ ხელს სხვის ქონებას, ნაყოფს სხვისის შრომისას: მაგრამ ეს რისგანაა, რომ ვკანკალებ ამ უშიშარს ადგილას? საიდანაა, რომ გულის გამგმირავი ტკივილი ჩნდება ჩემში და თავს არ მანებებს? საზოგადოება გაჩუმებული იქნება, მაგრამ ჩემი სვინიდისი კი—არასდროს. ეს არც ჩემი საპატიო ღირსებისაგანაა, არც ჩემის დროისა და ქვეყნის და ჩემის აღზრდის მიზეზისაგან. ეს იქიდან წარმოსდგება, რომ მე ვარ ადამიანი, არავის, გარდა ღვთისა, არ ჩაუნერგავს ჩემში სვინიდისი[1].—„არსებობს მხოლოდ ერთი მკვიდრი და შეურყეველი პრინციპი,—განაგრძობს ესევე ავტორი, — მხოლოდ ერთი პრინციპი, რომელიც არ არის დამოკიდებული არც სისტემებზე (საფილოსოფიოზედ), არც ცრუ-მორწმუნეობასა და ვნებათა ღელვაზე და არც მეცნიერებაზე: ეს არის პრინციპი მოვალეობისა[2].

საჭირო არ არის, თორემ შეგვიძლია ასეული ამონაწერები ბლომად ვოვიყვანოთ სხვა მწერლების ნაწერებიდანაც. მაგრამ ყველგან ერთსა და იმავეს ვნახავთ. აქედანაც უკვე ვხედავთ, რომ ზნეობრივი გრძნობა მიჩნეულია ბუნებრივ, თან-დაყოლილ, გულში ჩანერგილ თვისებად ადამიანისა; რომ ზნეობრივი პრინციპები, იდეები არ იცვლება, ანუ, ძველ სიმონის სიტყვით, „მკვიდრი და შეურყეველია“, მათთან შეცვლის და განვითარების კანონებს ხელი არა აქვს; რომ სვინიდისი ყოველთვის შეუცთომელი მსაჯულია ადამიანის მოქმედებისა.

---

[1] Jules S i m o n. La Liberté, Paris, p. 7.

[2] იქვე.

მაშასადამე, 1. თან-დაყოლობა (врожденность) ზნეობრივი პრინციპებისა, 2. მათი შეუცვლელობა ანუ განუვითარებლობა[1] და 3, სვინდისის მსჯავრის შეუცთომლობა, ჭეშმარიტება, — აი ორის სიტყვით საზოგადოებაში და მწერლობაში გავრცელებული აზრი ზნეობრივს ბუნებაზე ადამიანისა. ქვემოთ ვეცდებით გამოვარკვიოთ შეძლებისდაგვარად და დავანახვოთ მკითხველს, თუ რამდენად მართალია ეს აზრი. ვეცდებით ვუჩვენოთ, რომ ამ უკანასკნელ დროს შესამჩნევად წინ წასვლამ და განვითარებამ ანთროპოლოგიისამ არ გაამართლა ასეთი აზრი ძველ მეცნიერთა და ფილოსოფოსთა... ეთნოგრაფიის გამდიდრების წყალობით შესაძლებელი შეიქნა, რომ ზნეობასაც, ამ დაუშრეტელ საგანს ურიცხვ ფილოსოფიურ ტრაქტატებისას, რეალური საფუძველი მისცემოდა და მისი წარმოდგომის და განვითარების კანონები გაგებულიყო...

I

შარშან ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა ქ-ნ ან. ერისთავის მოთხრობა, რომელიც ამ წერილის სათაურშივე აღვნიშნეთ: „ლაზარემ გადააჭარბა“. ჩვენ ამ მოთხრობას შევეხებით იმდენად, რამდენადაც ვპოვებთ შიგ მასალას ჩვენის საგნის გამოსარკვევად. ჩვენს წერილს კრიტიკა არა აქვს საგნად და ამიტომ მკითხველი, იმედია, შეცდომაში და ნაკლულევანებაში არ ჩამოგვართმევს, რომ აქ ამ მოთხრობის გარჩევას ვერ ჰნახავს.

ქ-ნ ან. ერისთავის მოთხრობა გლეხთა ცხოვრებას შეეხება. გლეხის გოგოს ირინეს და ახალგაზრდა გლეხს ზურია შავერდაშვილს შეუყვარდებათ ერთმანერთი მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნათესავები არიან: ზურია ირინეს მამის მონათლულია. აქედან წარმოსდგება მათი სულიერი ტანჯვა, წვალება. თუმცა ეს ტანჯვა, ფსიქოლოგიური კერძოობა მოთხრობაში საკმაოდ კარგად ვერ არის დახატული, მაგრამ რა გაეწყობა. რაც არის, იმას უნდა დავკმაყოფილდეთ...

„ნათლიასას ხშირად დაიარებოდა ზურია, რომელსაც უყვარდა ყველა, მეტადრე ირინე. მას ისე უყურებდა, როგორც დასა; მაგრამ ბოლოს ამ გრძნობამ იმის შეუმჩნევლად უცნაური მიმართულება მიიღო. დღითი-დღე, რაც ხანი მიდიოდა, ამისი გული რაღაც მოუსვენრობას ჰგრძნობდა. მთელს ქვეყანაზე ირინესთანა მშვენიერს, ლამაზს, ქესკუმს, მიმზიდველს ვერა ხედავდნენ ამისი თვალები... როგორც კი დაშორდებოდა მას, გული უწყებდა კვნესას, ჩივილს, ზურიის ემუდარებოდა, მოსვენებას არ აძლევდა, სადღაც ეწეოდა; ესეც ყურ-მიგდებული ხან აქეთ მიდიოდა, ხან იქით, მაგრამ დასამშვიდებელ წამალს

[1] იხ. მაგალ. Бокль, История цивилизации в Англии, т. 1.

მაინც ვერ პოულობდა. მოვიდოდა ირინესთან, მაშინ კი გულს მისი ნახვა ესალმუნებოდა, გამკურნებელ მალამოდ უხდებოდა, აღარა კვნესოდა, ინაბებოდა. პირველში ვერ გაეგო, რასა ნიშნავდა ყველა ეს... ზურია წავიდა ერთი კვირით ცხინვალში, მაგრამ მალე იგრძნო სიობლე, სულმა შფოთვა დაუწყო, საჩქაროდ მოშორდა იმ სიშორეს, გამოსწია თავის ფიქრების საგნისკენ, რომელიც გულის ფანცქალით, აღტაცებით დაუხვდა".

„— რა ძმა მყავს! რა ძმა... ისე არ მოვა არსაიდანა, რომ არა მომიტანოს-რა, თავს შემოვეევლე, წამლად დავენაყე!.. ფიქრობდა გულში ირინე.

„— განა სხვებს კი არა ჰყავთ ამისთანა ძმები მერე! მაგრამ ასე გაგიჟებით კი არ უყვართ... მე კი მიყვარს, ძლიერ, ძლიერ! იმიტომ რომ ლამაზია, მშვენიერია, იმიტომ რომ ჩემი ძმაა! დაჟინებით იმეორებდა გულში, თითქოს ამ უკანასკნელ სიტყვებზე ვიღაც უხირდებოდა, ეწინააღმდეგებოდა და ეს კი გაცხარებით ცდილობდა დაეჯერებინა".

ზურია ჰბედავს რა გრძნობაც აღძვრია, ჰგრძნობს მის სიტკბოებას, მაგრამ თან შიშის ზარი იტანს. ცდილობს დაარწმუნოს თავი, რომ ეს ტყუილია, არ შეიძლება, მაგრამ გრძნობა მაინც „უხირდება, ეწინააღმდეგება".

„აგერა ზურიას სახე წამოუწითლდა, თვალები გაუბრწყინდნენ. გულმა ძალზე დაუწყო ძგერა, რომელიც გამოიწვია ირინეს მაყვალა თვალებმა. ეს თვალები ისროდნენ ნაპერწკლებს, ნაპერწკლები მწვავე ისრებად გარდაქცეულნი შიგ გულში უვლიდნენ ზურიას და მოუსვენრად უღიტინებდნენ"...

„— ზურია! ჩაფიქრებული რათა ხარ? ხომ არ გენანება, ბუზიკა რომ მომიტანე, ჰა? — დაეკითხა ქალი ღიმილით, ზურიამ ხმა არ გასცა, თვალები მოხუჭა.

„— გენაცვალე, მითხარი... — გაიმეორა ირინემ. უფრო ახლო მივიდა. უფრო მეტად დააშტერა მშვენიერი თვალები. ზურიას რაღაც აღელვება დაეტყო, თვალებზე გადაისვა ხელი, შეხედა ირინეს...

„—იქით, იქით!.. ნუ მიახლოვდები, ნუ!.. წარმოსთქვა ზურიამ ათრთოლებულის ხმით.

„— რათა? განა მიჯავრდები?... მერე რა დაგიშავე?.. მე მინდოდა მადლობა მეთქვა, რომ ბუზიკა მომიტანე და შენ კი... ირინემ შესწყვიტა ლაპარაკი, როდესაც ნახა, რომ ზურიას ფერმა გადაჰკრა; შემკრთალმა ქალმა უკან დაიწია... ზურიამ მოიკრიფა გონება და ბარბაცით გამოვიდა კარზე, სიომ შემოჰკრა სახეში, შუბლი გაუგრილა".

„— ამაზე მეტი უბედურება კიდევ შეიძლება!.. თავის მახლობელს როგორ არ უნდა დაუახლოვდეს კაცი უშიშრად, არხეინად?!.. ფიქრობ-

და ზურია. რა ამბავია? არა, არ შეიძლება, მეჩვენება, ავათა ვარ... დაუმატა მან“.

ირინეშიაც ძლიერმა გრძნობამ, არა და-ძმურმა, როგორც პირველში იყო, არამედ უფრო სხვა „მიმართულების“ გრძნობამ, თუმცა ჯერ კიდევ გამოურკვეველმა, იწყო ზრდა, უფრო და უფრო ღრმად ფესვების გადგმა...

„ირინეს თავი მიედო კედლისთვის და ისე უძრავად იყო. ეს ოცნებობდა ზურიაზე. ზურიამ ხელი ჰკრა, დაუშალა ახლო მისვლა. მერე რანაირის ვედრებით შეჰყურებდა ირინეს... უყვარს, ძლიერ, ძლიერ... ზურია სხვებსაც უნახავს, მაგრამ ამ სახით არა, დებსაც ეალერსება ხოლმე, ასე კი არა... ირინე იყურება აქეთ-იქით. განა ირინეს კი არ უყვარს?.. ამის საყვარელი ძმაა... დაიცა, როცა გათხოვდება, მაშინ ზურიას მეჯვარედ წაიყვანს, ეკლესიაში შევლენ, ზურია ბეჭედს შეუცვლის... მერე თან წაჰყვება; იმღერებს, ითამაშებს, სამს დღეს დარჩება... მერე... აქ ირინეს ოცნებას რაღაც ბურუსი ედება,—მერე დაბრუნდება და... ისიც ცოლს შეირთავს... ამ ფიქრზე გული სწყდება, თითქო ყელში დუღილით მოსდის რაღაცა, რავდენიმე წამი შავი გრძელი წაჰწამები ენამება ცრემლებით“.

ირინე ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ ზურიამ სხვა ვინმე შეირთოს ცოლად:

„— შენ გენაცვალე, ჩემო მშვენიერო, — სხვისთვის როგორ გაგიმეტო, როდესაც მიყვარხარ? ჩემი ხარ და მეც შენი ვარ სამუდამოდ, ჩემო სიცოცხლევ!.. უნებურად გაიმეორეს მისმა ტუჩებმა“...

ზურიამ სცადა, რომ მის გულში დაბადებული გრძნობა, რომლის მოთხოვნილების განხორციელება მას სჯულის, ზნეობის და ჩვეულების წინააღმდეგად მიაჩნდა, ისევ თავის გულშივე ჩაეკლა, გარედ არ ამოეხედებინა:

„— შორს, შორს! — იძახდა ზურია. — შორს, თორე დიდი რისხვა, დიდი უბედურება, სოფლისგან მოძულება, შეჩვენება მოგველის!“

ამიტომ გაიქცა გომს სამუშაოდ, რომ, ირინეს დაშორებულს, შესძლებოდა თავის აზრის შესრულება. მაგრამ ფიქრი ტყუილი გამოდგა, — მან ვერ გაუძლო „გულის კვნესას“ და ისევ თავის სოფლისკენ გამოეშურა.

„— ირინე, ჩემო ღმერთო, რატომ არ მოვკვდი მაშინ, როცა მამაშენი მნახულავდა? ახლა რა ვქნა?.. ჩემთვის აუტანელი მწუხარება იქნება შენი დაშორება, უამისობა კი არ იქნება, — უთხრა ზურიამ, როცა გული მოიჯერა ალერსით.

„— რატომ?.. თუ კი გვიყვარს ერთმანეთი?..

„— მერე ღმერთი? ხალხი?

„ — ზურია!.. — შესძახა ირინემ, რომელიც შეკრთა, შეშინდა.

„ — გაიხსენე, ირინე, რა შემცოდენი ვართ? ქალმა მიიფარა სახეზე ხელები“.

აქ ირინემ თავის გათხოვებაზე შეჰფიცა ზურიას და შემდეგ დაშორდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ამ დაშორებით კიდევ მეტი სიმწვავე მოემატა ირინეს ტანჯვას:

„ — ნეტა როგორც თქმაა ადვილი, ისე ასრულება გაადვილდებოდეს, დავშორდეთ სამუდამოდ? მერე აიტანს ჩემი გული?—ფიქრობდა ირინე, — ეხლა რო აქ იყვეს, გულში ჩავეკროდი. შორს უნდა ვიქნეთ? შემცოდენი ვართ?.. რათა?.. ერთმანეთი რო გვიყვარს?.. ღმერთს რა საქმე აქვს მერე?... ნათლიები რო ვართ?.. ჩვენი რა ბრალია? იმეორებდა გულში ირინე“.

ამას შემდეგ არ გაუვლია ბევრ ხანს, რომ ირინე მისდა უნებურად მიათხოვეს მისმა მშობლებმა კაი შემძლებელ ოჯახისშვილს, ჯმუხაანთ მიტროს.

ზურიას დაშორებამ, თავის თავადაც უიმედო სიყვარულის სრულიად იმედის დაკარგვამ, ზურიასთვის ღალატმა, ფიცის გატეხამ, თავის უნებურად გათხოვებამ და ისეთს ოჯახში ცხოვრებამ, რომელშიაც ქმრიდან მოყოლებული დედამთილამდის ყველა სძაგდა და ეჯავრებოდა, მოსტეხა და მოშალა ირინეს აგებულება. იგი დაავადმყოფდა; ნერვები აეშალა და ოდესღაც „თხუთმეტის წლის ფერხორცით სავსე ლამაზი ირინე“ ისე დაძაბუნდა, რომ სულ უბრალო აღელვება საკმარისი იყო მისთვის, რომ გული წასვლოდა.

ამ მდგომარეობაში იყო ირინე, როცა ზურია, აქამდის სადღაც გადაკარგული ისევ გამოჩნდა. ესტუმრა ირინეს ისევ წინანდებულად შეპყრობილი სიყვარულით.

„ — მეტად სუსტი გამოვდექ, — ეუბნებოდა ის ირინეს, — გულმა გაიმარჯვა, გონებას ბორკილი დაადო, ღონე გამამილია... აკი თავი დაგანებე, გადვიკარგე, მაგრამ შორიდან თვალს გადევნებდი... მართალია, გითხარი, უნდა დავივიწყოთ ერთმანეთი-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი... აკი აქნობამდინ თავი ვიმაგრე... თვალით არ დაგინახე, მაგრამ მაინც საშველი არ არის... ჩემო საყდარო, შენ უნდა გამითხარო საფლავი, შენ უნდა დამმარხო...

„ — ზურია, რად აბობ მაგასა?.. ღმერთი დაგავიწყდა?.. არ გეშინიან?..—წარმოსთქვა შეშინებულმა ირინემ, როდესაც აღელვებული ზურია მიუახლოვდა მას.

„ — ჩემო სიკვდილო, ჩემო სიცოცხლევ! — შესძახა ამან, შემოჰ-

ხვია ათრთოლებული ხელები ქალს, რომელსაც უნდოდა გაბრძოლება, მაგრამ ვეღარ მოახერხა, ესეც დაითრო, ღონე წაერთო, მოხუჯა თვალები რამდენსამ წამს და მათი ტუჩები ტკბილად შეეწებნენ ერთმანეთს. ბავშვის ტირილმა გამოაფხიზლა შეყვარებულები, გონზე მოიყვანა. ირინემ გაინთავისუფლა თავი სატრფოს მკლავებიდან.

„ — სიკვდილი, ღვთის წყრომა!.. — ჩაილაპარაკა მან, მიიფარა სახეზე ხელები და აქვითქვითდა. ზურია კარზე გამოვარდა“.

მეორე დღეს ზურია და მიტრო, ირინეს ქმარი, ურმით შეშის მოსატანად წავიდნენ და აი აქ, ტყეში, ზურია ბუნების სტიქიონის მსხვერპლი შეიქნა: ვეხი დაეცა. მკვდარი ზურია მიტრომ ურემზე დასდო და შინ მოიტანა; აქ ირინე შეეგება, მაგრამ რა ნახა გაშავებული მკვდარი ზურია, ერთი საშინლად შეჰკივლა და... და ჭკუაზე შესცდა...

ეს არის მოკლედ შინაარსი ქ-ნ ან. ერისთავის მოთხრობისა. როგორც ჰხედავს მკითხველი, აქ უპირველეს ყოვლისა ირინე იტანჯება უიშედო სიყვარულით, მაგრამ არა ნაკლებ სტანჯავს ის გრძნობა, რომ იგი ცოდვის ჩამდენია, „ნათესაობის არ დამნდვე“, ღვთის და სჯულის მგმობელი, სვინდისზე ხელ-აღებული. გათხოვების შემდეგ ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ირინე შეიქნა ფიცის გამტეხი, რადგან ზურიასთვის მიცემული ფიცი ვერ შეასრულა და გათხოვდა. მართალია, სიყვარულის ძლიერებით დამონავებული რამდენჯერმე იმეორებს: „შემცოდენი ვართ?... რათა?.. ერთმანეთი რო გვიყვარს?.. ღმერთს რა საქმე აქვს მერე?.. ნათლიები რო ვართ?.. ჩვენი რა ბრალია?..“ მაგრამ როცა დაფიქრდება და გონებას აალაპარაკებს, ვერ ჰბედავს ამავე სიტყვების განმეორებას. ტყუილად კი არ ეუბნება ზურია: „მეტად სუსტი გამოვდექ, გულმა გაიმარჯვა, გონებას ბორკილი დაადო, ღონე გამომილიაო“... დიაღ, აქ „გონებასა“ და „გულს“ შუა ბრძოლაა, უთანხმოება. გულს ერთი ჰსურს, გონებას—მეორე. პირველი სიამოვნებისკენ იწევს, მეორე კანონისკენ. პირველს პირადობა ახსოვს, მეორეს რაღაც განყენებული მოვალეობა. რატომ ვერ მორიგებულან ეს ორნი ერთად? რად გაურბის თავის საყვარელს ზურია? რას ებრძვის ირინე, ვინ არის მტერი? მაგრამ არა, — ის ჰხედავს, რომ მის გულში დაბადებული გრძნობა მისის პიროვნების მტერი არაა, იმისი განხორციელება მისი პირადი ბედნიერებაა. მაშ რაღასთვის ვერ ისრულებს თავის პირადს ბედნიერებას?—არ შეიძლება.—აკრძალულია. რისთვის?—ნათესაობისთვის. ვინ აღკრძალა?—სჯულმა. კიდევ? ხალხმა, ჩვეულებამ, გონებამ, ზნეობა-სვინიდისმა. კერძოდ ვინ უშლის ეხლა? — ყველა ერთად, უფრო დაახლოვებით კი — ზნეობა...

მაშასადამე, მოთხრობის დედა-ძარღვს, საფუძველს, რომელზედაც აგებულია მთელი მისი შინაარსი, შეადგენს შემდეგი გარემოება: ერ-

თის მხრით სიყვარული, როგორც ორგანიული მოთხოვნილება ადამიანისა, და მეორეს მხრით—ზნეობრივი წარმოდგენა, როგორც ამ-წონ-ამზომი ამ მოთხოვნილების სიავ-კარგისა, თვისება-ღირსებისა.

II

ამგვარად, ირინეს და ზურიას სიყვარულს, მათს პირადს ბედნიერებას ხელს უშლის, ებრძვის ზნეობრივი გრძნობა, რადგან ისინი ნათესავები არიან. აქ ზნეობის შინაარსი დამყარებულია ნათესაობაზე: ისინი რომ ნათესავები არა ყოფილიყვნენ, ზურია რომ ნინიკას (ირინეს მამა) მონათლული არა ყოფილიყო, მათი ცხოვრება იმ ტანჯვას აშორებული იქნებოდა, რომელიც მოთხრობაშია დასურათებული, რადგან ვერაფერი დაუშლიდა „კანონიერ“ ცოლ-ქმრულის კავშირით შეუღლულიყვნენ.

როგორ წარმოიდგა ასეთი ზნეობრივი პრინციპი? ან იქნება არ წარმომდგარა, არამედ ჩანერგილია ჩვენს გულში, როგორც ხშირად ამბობენ, არა ბუნებრივის ძალის პირველ ადამიანის გაჩენიდანვე? მაგრამ ურიცხვი ფაქტები, რომლებსაც გვაწვდის ეთნოგრაფია, სრულიად წინააღმდეგს გვეუბნება. ეს ფაქტები გვიჩვენებს, რომ არა თუ მარტო ის, რაც ზურიას და ირინეს სვინიდისის წინააღმდეგად მიაჩნიათ, ოდესმე არ მიაჩნდა უზნეობად და ცუდ რამედ მთელს კაცობრიობას, არამედ ყველა ჩვენი წარმოდგენანი ცუდსა და კეთილზე, უზნეოსა და ზნეობრივს საქციელზე სრულიად უცხო და გაუგებარი იყო მისთვის. ეხლანდელს დროში ჩვენი ზნეობრივი გრძნობა ძრწუნდება და აღშფოთებაში მოდის, როცა, როგორც იშვიათი დანაშაულობა, გვესმის, რომ მამას თავის ქალთან და ძმას თავის დასთან ჰქონია სქესებრივი დამოკიდებულებაო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძველად მთელს კაცობრიობაში და ეხლაც ბევრ ველურ ხალხში ასეთი მოვლენა სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო და არის. აი ამის ორიოდე მაგალითი. სპენსერს თავის „სოციოლოგიაში“ მოჰყავს ამის შესახებ შემდეგი ფაქტები.—გირნი მოგვითხრობსო,—ამბობს ის,—რომ ჩიპეუელები არიან სქესებრივს დამოკიდებულებაში ნამდვილს დედებთან და ხშირად თავიანთ დებს და ქალიშვილებს ირთავენ ცოლებადაო. ესევე უნდა ითქვას კადიაკელების შესახებაც. გელერის სიტყვით, ტესსახერიმის მცხოვრებთა შორის მეუღლეობითი კავშირი დასა და ძმას შუა ან და მამასა და ქალიშვილს შორის ეხლანდელს დროშიაც კი სრულიად არ წარმოადგენს არა ჩვეულებრივს მოვლენას. გონზალკის და გაბუას მეფეები, აფრიკაში, ირთვენ ცოლებად თავიანთ უმფროს ქალიშვილებს, და დედოფლები კი მიჰყვებიან ცოლებად თავიანთ უმ-

ფროს ვაჟებს. პანუჩეზემში ძმის და დის შეუღლება არ იყო აკრძალული. კალის მცხოვრებნი „ირთავდნენ თავიანთ ძმისწულებს და ზოგიერთი დიდებულები თავიანთ დებსაც“. პერუში „ინკებმა დააწესეს კანონი, რომ სამეფოს მემკვიდრეს შეერთო ცოლად ყოველთვის თავისი უმფროსი და, რომელიც უნდა ყოფილიყო მისი კანონიერი და როგორც მამის, ისე დედის მხრით“. სანდვიჩის კუნძულთა მეფეების შვილები ხშირად უკავშირდებიან თავიანთ დებს ცოლ-ქმრულის კავშირით, დის ცოლად შერთვა ხშირი მოვლენა იყო მალაგაზელთა და ეგვიპტელთა შორისაც. პტალომეები ირთავდნენ თავიანთ დებს, ძმის წულებს და ბიძაშვილებს. ვედახებს შორის გავრცელებული იყო ჩვეულება უმცროსის დის შერთვისა[1].—ტერტულიანის და კლიმენტ ალექსანდრიელის სიტყვით, სპარსელებს ხშირად ჰყავდათ ცოლებად დედები და დები. ამასვე ჰმოწმობს იერონიმეც, რომ მიდიელებს სქესებრივი კავშირი ჰქონდათ თავიანთ დედებთან, ქალიშვილებთან და ძმისწულებთან. კამბიზი, მაგალითად, სპარსელთა მეფე, ქმარი იყო თვისის ღვიძლი დისა. არტაქსერქსს ცოლად ჰყავდა ჯერ ერთი თავისი ქალიშვილი და შემდეგ მეორე. პტალომეის გარდმოცემით, მცხოვრებთ ინდოეთისა, არიანისა, გედროზიის, პარფიის, მიდიის, ბაბილონის, მესოპოტამიის და ასირეთისას შეეძლოთ, — რასაკვირველია, კანონიერად, — თავიანთ დედების შერთვა. წმ. იერონიმეს გარდმოცემით, მიდიელები ინდუსები, სპარსნი და ეთიოპელნი ირთავდნენ ცოლებად დედებს, ბებიებს, ქალიშვილებს და შვილისშვილებს. ასეთივე ჩვეულება იყო გავრცელებული შოტლანდიელთა და ირლანდიელთა, ფრიგელთა და გალატელთა შორის. ქორწინება ახლო ნათესავებს შუა გავრცელებული იყო ქანაანში, ფინიკიაში, საცა ღვიძლი დების და ძმისწულების შერთვა სრულიად ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენდა. მაკედონიაში მშობლები ხშირად ირთავდნენ თავიანთ შვილებს და სხვ.[2] ებრაელებშიაც ნათესავებში ქორწინება ძალიან გავრცელებული იყო. სარრა და იყო და ამასთან მეუღლეც აბრამისა, ნაქორი — ქმარი თავის ძმისწულისა, რაჰილა და ლია, იაკობის ცოლები, იყვნენ შვილები ლევანის, იაკობის ბიძისა. მოსეს მამას, აბრამს, ცოლად ჰყავდა თავისი მამიდა. თვითონ მოსემ აღკრძალა შემდეგ ქორწინება მამიდასა და ძმისშვილს შუა; მანვე აღკრძალა აგრეთვე შერთვა დედისა, დედინაცვლისა, დისა, შვილის შვილისა, რძლისა (ესე იგი შვილის ცოლისა), გერისა, სიდედრისა და ცოლის დის (ცოლის სიცოცხლეში). მაგრამ კანონად დასდო ძმის ცოლის შერთვა მეორე ძმის ან ახლო

[1] Г. Спенсер, Основания социологии, т. II. стр. 673, და შემდ.
[2] იხ. ჟურნ. «Знание», 1876.

ნათესავის მიერ, თუ გარდაცვლილს მემკვიდრე არ დარჩებოდა, ესეთს შემთხვევაში ახლო ნათესავს უნდა შეერთო ქვრივი და ასეთი ქორწინებიდან წარმოშდგარი შვილები ითვლებოდნენ პირველ ქმრის შთამომავლობად.

ეს ორიოდე ფაქტიც, რომლის მსგავსი, რომ საჭირო იყვეს, შეგვიძლია ბლომად მოვიყვანოთ, ნათლად გვიჩვენებს, რომ ნათესაობის საფუძველზე აგებული ზნეობრივი გრძნობა არ შეადგენს თან-დაყოლილს თვისებას ადამიანის ბუნებისას. ეს რომ ასე არა ყოფილიყო, დედასთან სქესებრივის კავშირის დაჭერას ისევე ზიზღით უნდა უყურებდეს ველური კაცი, როგორც უცქერის ამას ეხლანდელი ადამიანი. მაგრამ ეს ასე არ არის. ველურ, განუვითარებელ ხალხის წარმოდგენით სრულიად არაფერი ბიწიერება არ არის, რომ დედა შვილს უკავშირდება, მამა თავის ქალს და ძმა—დას. მათის შეხედულებით ეს ისეთივე ჩვეულებრივი, უბრალო მოვლენაა, როგორც ჩვენში ცოლის თუ ქმრის შერთვა. ვიმეორებთ, ცივილიზაციის ამ ხანში მთელის კაცობრიობისათვის სრულიად უცსოა ყველა ჩვენი ეხლანდელი წარმოდგენანი არა თუ ნათესაობის შესახებ, არამედ საზოგადოდ სქესებრივ დამოკიდებულების შესახებაც. ის, რაც ჩვენ სამარცხვინოდ; უზნეობად, გარყვნილებად მიგვაჩნია, მათში ასეთ რამედ სრულიად არ ითვლება, ავსტრალიაში, მაგალითად, ახალგაზრდა უქმრო ქალი სქესებრივი მოთბოვნილების დაკმაყოფილების მხრით სრულიად არავითარ ფორმალობით არ არის შეზღუდული და თავისის სხეულის მოხმარება ისე შეუძლია, როგორცა ჰსურს. შეუძლია, როცა და ვისაც უნდა, დაჰნებდეს და საზოგადოების აზრი სრულიად არ გაჰკიცხავს ამისათვის, რადგან აქ არა ჩვეულებრივი არა არის-რა. ახალგაზრდა ბიჭები, ჯერ კიდევ მთლად ბავშვები, და ათის წლის გოგოები უკვე იწყებენ ერთმანეთში სქესებრივს დამოკიდებულებას. მათს მშობლებს ეს ცუდ საქმედ სრულიად არ მიაჩნიათ და თვითონაც ხშირად აქვთ მათთან ასეთი დამოკიდებულება. ღამით, თუ ვინმე უცხო ეული ან მოგზაურია მათში მისული, ახალგაზრდა ქალები მიდიან ამ მგზავრთან დასაწოლად და დროების გასატარებლად. ასეთივე ჩვეულებაა გავრცელებული ახალს კალედონიაში, ანდამანის კუნძულებზე და სხვ.[1]. — ორივე სქესისთვის სიტიტვლე სამარცხვინოდ არ ითვლებოდა. ქალები სულ უბრალო მიზეზის გამო იხდიდნენ ტანსაცმელს და ასეთს გატიტვლებას სრულიად არავითარს მნიშვნელობას არ აძლევდნენ. ტიტის კუნძულზე ქალები ტიტვლდებოდნენ წელიდან მოყოლებული ფეხებამდის და ეს, მათი შეხედულებით, მხოლოდ ზრდილობას მოასწავებდა, როგორც

[1] Ch. Letourneau, L'évolution de la morale, Paris, 1887, p. 137.

ჩვენში მისალმებაა. წყალში ბანაობის დროს სრულიად არ ცდილობ-დნენ, რომ სხეული დაეფარათ, ხშირად კოჭებამდის წყალში სდგებოდ-ნენ ისეთ ალაგას, საცა უცხოელნი მრავლად მიდი-მოდიოდნენ. ქრისტია-ნობის გავრცელებამაც კი ვერ აღმოფხვრა მათში ასეთი უზრუნველო-ბა შესახებ ზრდილობიანის მოქმედებისა საზოგადოდ. პოლინეზიელ ქალებსაც, როგორც ბევრ სხვა ქვეყნის ველურთ, სირცხვილისა არა გაეგებოდათ-რა. ახალგაზრდა ქალები, როგორც უსასყიდლოდ, ისე სასყიდლით ეძლეოდნენ მამაკაცებს და მათი მშობლები არა თუ უშ-ლიდნენ ამას, — პირიქით, აქეზებდნენ კიდეც, რადგან შვილების ასე-თის საქციელით ცოტა თუ ბევრი სარგებლობაცა ჰქონდათ... ამ მხრივ დაფარული არა იყო-რა, როგორც დაფარული არა არის-რა პირუტყ-ვთა შორის. თვით სახლშიაც კი არ შეიძლებოდა საქმის დაფარვა, რად-გან კარვებს სახურავების მეტი თითქმის არა გააჩნდათ-რა და წევრნი ერთის კარვისა ყველანი ერთად ერთმანეთის გვერდით წვებოდნენ, სრულიად ტიტველნი... კუკის სიტყვით, მათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ ზრდილობა-სირცხვილზე და თავის მოთხოვნილებას იკ-მაყოფილებდნენ ყველას თვალ-წინ, დაუფარავად, როგორც ჩვენ ვსვამთ და ვჭამთ ხოლმე ჩვენს ნათესავებთან და მეგობრებთან ერ-თად. როგორც კი გამოჩნდებოდა ევროპელი ხომალდი ზღვაში, მაშინ-ვე მკვიდრთა ქალები სხდებოდნენ ნავებში, მიეშურებოდნენ ევროპე-ლებისაკენ და ადიოდნენ ხომალდზე, საცა ჰნებდებოდნენ, ანუ უკედ, ძალად ეძლეოდნენ პასაჟირებს სულ უბრალო ნივთიერებისათვის: უბ-რალო შუშის ნატეხი, ან ლურსმანი ან სხვა რამ. ასეთი უმნიშვნელო ნივთი საკმარისი იყო სასყიდლად... ვინც ნავში ადგილს ვერ პოუ-ლობდნენ, ცურვით მიდიოდნენ გემთან და ადიოდნენ ზედ სრულიად ტიტველნი. როცა ევროპელი აფიცრები გადმოდიოდნენ გემიდან ხმე-ლეთზე, მოსვენება არა ჰქონდათ ახალგაზრდა ქალებისაგან...[1]

III

აი, როგორნი იყვნენ ჩვენი წინაპარნი! უსვინდისონი, უზნეონი, გა-ნა? მაგრამ ეს დასკვნა ბოლომდის შემოვინახოთ. ჯერ საჭიროა გამო-ეარკვიოთ, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია კაცობრიობაში ზნეობრივი მოთხოვნილებანი, როგორ ჩაესახა ადამიანს ზნეობრივი გრძნობა, ერ-თის სიტყვით, როგორ მოხდა, რომ ჩვენს წინაპარს პოლინეზიელს, მაგალითად, მორალისა არა ესმის-რა და ჩვენ კი, მის შთამომავლო-ბას, სწორედ ამ მორალით მოგვაქვს თავი და ის ადამიანი, რომელიც

[1] Letourneau, loc. cit. p. 142—145.

ზნეობა-დაცემულია ზნეობით ნაკლებადაა განვითარებული, ჩვენს თვალში ჰკარგავს ფასს, პატივისცემას.

ამის პასუხს საკმაოდ ნათლად გვაძლევს ეხლანდელი მეცნიერება. ის გვეუბნება, რომ ადამიანის ზნეობრივის კერძოობის განვითარება დამოკიდებული იყო და არის თვით კაცობრიობის საზოგადოებრივ ცხოვრების პროგრესზე, მის განვითარებაზე. რამდენადაც წინ იწევდა საზოგადოებრივი ცხოვრება, იმდენად წინ მიდიოდა მორალური კერძოობაც. არ იყო საზოგადოებრივი ცხოვრება,—არ არსებობდა ზნეობაც; დაარსდა საზოგადოება, დაიწყო საზოგადოებრივი ცხოვრება,—წარმოსდგა ზნეობაც. ვითარცა გამომხატველი საზოგადოების წევრთ შორის არსებულ ურთიერთობისა. ცხოვრება ფერს იცვლიდა, წინ მიდიოდა, ძველი იშლებოდა, ახალი შენდებოდა, ამას თან მოსდევდა საზოგადოების წევრთ შორის ურთიერთობის შეცვლა, გადასხვაფერება, ამ ურთიერთობის შეცვლის თანახმად იცვლებოდა ზნეობაც; ძველის ურთიერთობის გამომხატველი პრინციპები თანდათან უკან დგებოდა, შემდეგ სულ ჰქრებოდა და ახალს ნიადაგზე, ახალის შინაარსის, ახალ ურთიერთობათა გამომხატველი მორალი იბადებოდა...

ამ სახით, ზნეობის წარმოდგომა და მისი განვითარება მჭიდროდ დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრების დაარსებასა და მის პროგრესზე. „როცა ორი არსება, — ამბობს ლეტურნო, — რომელთაც ბუნებით მინიჭებული აქვთ გრძნობა-აზროვნება, თუმცა ძალიან განუვითარებელიც იყოს იგი გრძნობა-აზროვნება, სცხოვრობენ ერთად, ერთმანერთს უკავშირდებიან, თუნდა დროებით, რაიმე სურვილის მისაღწევად,—მორალი, ასეთი თუ ისეთი ზნეობა უნდა დაიბადოს მათში. აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ თვითეულმა მათგანმა დაუმორჩილოს ცოტად თუ ბევრად თავისი პირადი სურვილი თავის ამხანაგის სურვილს. ადამიანთ იმ გროვათ, რომელთ წევრნიც ერთმანეთს დაჰზოგავენ, დაეხმარებიან, მეტი შეძლება ექნებათ გაიმარჯვონ თავის მოწინააღმდეგეებზე ცხოვრებისთვის ბრძოლაში“.[1]

საზოგადოებრივობა კი, სოციალური ცხოვრება გამოიწვია ბრძოლამ არსებობისათვის: ადამიანები შეაერთა, შეაჯგუფა და ამ შეერთებასთან შეთანხმებული, მოხდენილი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაც განავითარა. აქ დიდი ძალა მიეცა საერთო ინტერესებს, ნაცვლად კერძო, პირადის ინტერესებისა, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, კერძო და საერთო ინტერესი შეერთდა, მოისპო მათში წინააღმდეგობა: მთელი საზოგადოებისთვის სასარგებლო, კერძოდ, თვითეულ მისი წეერისთვისაც სასარგებლო შეიქნა. ამის გამო ერთის საზოგადოების წევრნი ერთმანერთს მტრულად არ უყურებენ, რადგან ასეთი მტრობა საზარა-

[1] Letourneau, loc. cit. p. 94.

ლია როგორც თვითეულ მათგანისათვის, ისე მთელის საზოგადოებისათვის. პირიქით, ისინი თვით ბუნებამ, საერთო ინტერესმა ერთმანეთს დაუკავშირა. დაუახლოვა, ერთმანეთს დაუმეგობრა. ამგვარად წარმოსდგა და განვითარდა ძველის დროის კომმუნისტურს საფუძველზე დამყარებული საზოგადოებრივი ცხოვრება.

რასაკვირველია, სოციალურ ცხოვრების ასეთს განვითარებას შესაფერი სქესებრივ ურთიერთობათა ფორმის განვითარებაც უნდა მოჰყოლოდა, და ეს მართლაც ასე მოხდა. ჩვენებური მკითხველი შეჩვეულია იმ ფორმას, რომელიც ეხლანდელს დროში არსებობს ჩვენში: ახალგაზრდა, უმაწვილი კაცი უკეთებს „პრედლოჟენიეს" ახალგაზრდა ქალს და, თუ ეს უკანასკნელი თანახმა გაუხდა, ირთავს ცოლად. აქ პიროვნება, მამა-კაცი, ირთავს, უკავშირდება მეორე პიროვნებას, დედა-კაცს. მაგრამ მკითხველი, რა თქმა უნდა, ძალიან შემცდარი იქნება, თუ ძველის დროის ადამიანთ საზოგადოებამაც ამგვარი ფორმა მიაწერა და იფიქრა, რომ ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი მაშინაც ისევ „პრედლოჟენიით" ირთავდნენ ერთმანეთს, როგორც ჩვენშია ეხლა. საქმე ამაშია, რომ იმ დროის საზოგადოებაში, რომელზედაც ჩვენ აქ ლაპარაკი გვაქვს, არ შეიძლებოდა პიროვნული ქორწინება, პიროვნული ცოლქმრული კავშირი არსებულიყო, რადგან ადამიანი, როგორც პიროვნება, ძველს კომმუნაში არ არსებობდა. ვინ არის კომმუნარი? ადამიანი. პიროვნება? — არა რაა. აქ ყველანი ერთს საზოგადოებას შეადგენენ, მაგრამ ერთი მარტო კი — არაფერს. ამიტომ აქ ადამიანის პიროვნების საზოგადოებიდან გამოცალკევება შეუძლებელია, კომმუნარი თავის კომმუნას ვერ მოსცილდება, რადგან იგი მითი ცოცხლობს. მითი უდგია სული. რას აკეთებს კერძოდ თვითეული კომმუნარი? — არაფერს! რას შვრებიან ყველანი ერთად? — ყველაფერს. აქ ადამიანის პიროვნება დამორჩილებული ჰყავს საზოგადოებრივს პრინციპს. პირველი პასსივური ელემენტია, მეორე—აქტივური, ერთი ბატონია, მეორე—ყმა, ერთი უბრძანებს, მეორე ამ ბრძანებას ასრულებს. მოკლედ რომ ვსთქვათ, კომმუნისტურს წეს-წყობილებაში ყოველი ადამიანი, როგორც მამა-კაცი, ისე დედაკაცი, ეკუთვნის მთელს საზოგადოებას და არა თავის თავს.

ამიტომ აქ თვითეულს მამა-კაცს აქვს კანონიერი უფლება იქონიოს სქესებრივი კავშირი თვითეულს დედა-კაცთან თავის საზოგადოებისა. ყოველი მამა-კაცი de jure ქმარია თვითეულის დედაკაცისა*. ასეთს კავშირს მათ შორის სრულიად არ უშლის ხელს მათი ნათესაო-

* ეს იმას არ ჰნიშნავს მაინც, რომ ამ დროს განუსაზღვრელი არევ-დარევა ყოფილიყოს.

ბა, ამის წარმოდგენა მათში ჯერ არც კი არსებობს. დედ-მამას სქესებრივი დამოკიდებულება აქვთ თავიანთ შვილებთან, ძმებს დებთან და სხვა ახლო ნათესავებთან.

მაგრამ ასეთს სისხლის შერევას, ახლო ნათესავებში სქესებრივს კავშირს ცუდი გავლენა უნდა ჰქონოდა ადამიანთ ჯან-ღონის განვითარებაზე. ამიტომ ასეთი ამბავი დიდ ხანს ვერ გასტანდა, ბუნებრივის შერჩევის კანონის ძალით სისხლის შერევა ახლო ნათესავებს შორის უნდა შეზღუდულიყო, რომ მთელი საზოგადოება არ დასუსტებულ-დაძაბუნებულიყო.

ეს ასეც მოხდა. წარმოსდგა ნათესაობა, რომელიც წინად არ არსებობდა. იმათ შორის, რომელნიც ერთმანეთისთვის ნათესავებად ითვლებიან, სქესებრივი კავშირი აღკრძალულია. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინდელი ნათესაობრივი ურთიერთობა ბევრით განირჩევა ეხლანდელ ჩვენებურ ნათესაობიდან. ჩვენ ვთვლით ნათესაობას როგორც დედის, ისე მამის მხრით. მაშინ კი ასე არ იყო. მაშინ ნათესაობა მხოლოდ დედის მხრით ითვლებოდა და მამა თავისი ნათესავებითურთ შვილებისთვის ნათესავად მიჩნეული არ იყო. ამის მიზეზი შემდეგი გარემოება უნდა იყოს: შვილის დედიდან წარმოდგომა ყველასთვის ცხადი, თვალ-საჩინო იყო, — შვილსა და დედას შუა კავშირი უფრო მტკიცე იყო, მაშინ როცა ნამდვილ მამის გამოცნობა ძალიან ძნელი იყო, რადგან ერთს დედაკაცთან რამდენსამე მამაკაცს ჰქონდა კავშირი ერთსა და იმავე დროს ან მოკლე ხნის განმავლობაში.

ამგვარად, ერთის დედიდან წარმომდგარ შთამომავლობის წევრნი ერთმანეთისთვის ნათესავები შეიქნენ, მათ შორის შეუღლება აიკრძალა და ვინც ამ აღკრძალვას გარდახდებოდა, სასტიკად დაისჯებოდა.

ამის გამო თვითეული ნათესაობა ანუ გვარეულობა (klan, gens, genos, pog) განცალკეედა და თანდათან განკერძოვებული ცხოვრება დაიწყო. თუ შიგ გვარეულობაში მის წევრთ არ შეუძლიათ ერთმანეთში სქესებრივი კავშირი იქონიონ, სამაგიეროდ მეორე გვარეულობასთან მათ სრული უფლება აქვთ, აგრეთვე მეორეს პირველთან. ყოველი მამა-კაცი ერთის გვარეულობის ყველა ქალის ქმარია. ეს არა ძალ-დატანებით, არამედ სრულიად თავისუფლად, ძალ-დაუტანებლად, უფლებით.

ქმრები ცოლების გვარეულობაში არ სცხოვრობენ, — ისინი მეორე გვარეულობას ეკუთვნიან, შვილები კი დედის გვარეულობაში რჩებიან. ამიტომ მამას ხშირად აქვს სქესებრივი კავშირი თავის ქალთან, შვილის-შვილთან, ძმას — დასთან (მამის მხრით), სიძეს — ცოლის დასთან და სხვ.[1].

[1] Ф. Энгельс, Происхождение семьи, частой собственности и государства.

მაგრამ პროგრესის მსვლელობა არ ჩერდება, თანდათან წინ მიისწრაფვის. ამ წინ სვლასთან შეკავშირებულია ახალი ფორმების წარმოშობა... ნუ დაივიწყეთ: შეცვლა, გადასხვაფერება, არსებულის მოძველება, მის უარყოფა, მის ნიადაგზე ახლის დაბადება და განვითარება, — ეს არსებითი კანონია კაცობრიობის პროგრესიულ მსვლელობისა. ამიტომ ძველის დროის კომმუნისტურმა წესწყობილებამ, რომელიც დასაწყისში მეტად პროგრესიული მოვლენა იყო, იწყო მოძველება. თვით ამ წყობილებაში განვითარდა ისეთი მოვლენანი, რომლებმაც მიწა გაუთხარეს შთასანთქმელად. ამ ფორმის დარღვევის საფუძველი იქიდან დაიწყო, რომ საწარმოველელ ძალის განვითარების გამო კომმუნის წევრთა შორის დაიბადა იდეა საკუთრებისა, ე. ი. ისეთი იდეა, რომელიც კომმუნის პრინციპის სრული წინააღმდეგია.[1] აქედან ამ წესწყობილებამ თანდათან იწყო შლა, შემდეგ სრულიად განჰქრა და მისი ადგილი მტკიცედ დაიჭირა კერძო საკუთრებამ.

კერძო საკუთრების განვითარებით სრულიად შეიცვალა ძველი დეკორაცია. წინად თუ ადამიანის პიროვნება მიჩრდილული იყო, ეხლა, სამაგიეროდ, სინამდვილეში გამოვიდა და თვისი თავი დაინახა... აქ მამა-კაცი ცოლს მხოლოდ თავის სარგებლობისათვის უკავშირდება. ცოლი, როგორც ყველა სხვა კერძო საკუთრება, მამა-კაცს მარტო თავისთვის უნდა და სხვის მოზიარობას არას გზით არ სთანხმდება. აქედან წარმოსდგა ველურთა შორის ის სასტიკი კანონები მრუშობის წინააღმდეგ, რომლებსაც აღგვიწერენ მრავალნი მოგზაურნი. თითქმის ყველთვის აქ მრუშობაში დამნაშავე სიკვდილით ისჯება. მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ასეთი სასტიკი დასჯა მემრუშესი თვით მრუშობის უზნეობის შეგნებიდან არ წარმომდგარა,—არა, ასეთი წარმოდგენა ჯერ კიდევ სრულიად უცხოა ამ დროის ადამიანისათვის. აი, მაგალითად, ერთი ბოხიმანელის (ველური) სიტყვები ამ საგნის შესახებ: „ცუდს საქმეს კისრულობს ის, ვინც მე ცოლს მართმევს; მე კი ძალიან კარგს საქმეს ვკისრულობ, როცა სხვას ვართმევ ცოლსაო", ამბობდა ის. აქედან ნათლად სჩანს, რომ ცოლის წართმევას და მრუშობას იგი ზნეობის წინააღმდეგად არ სთვლის და, თუ ცუდ რამედ მიაჩნია, როცა ცოლს ართმევენ, ეს იმიტომ, რომ ცოლი მისი საკუთრებაა, იმაზე საკუთრების უფლება აქვს, და როცა ამ საკუთრებას ართმევენ, რასაკვირველია, ეს უფლება ირღვევა. ამგვარად აქ ადიულტ-

---

[1] იხ. მაგალ. Maxime Kovalevsky, Tableau des origines et de l'évolution de la famille et de la propriété, Stokholm, 1890, p. 54. ამ წიგნის თარგმანი ეხლახან რუსულ ენაზედაც დაბეჭდა.

რი, მრუშობა ითვლება დანაშაულად, როგორც ქურდობა, საკუთრების წართმევა.

IV

რასაკვირველია, ყველა ეს ზემოდ ნათქვამი შეადგენს გარეგანს ნიადაგს, რომელზედაც უნდა აგებულიყო ზნეობრივი კერძოობა ადამიანისა და ამ ნიადაგის ცვლა-განვითარების თანახმად ისიც განვითარებულიყო.

რომ გავიგოთ, თუ როგორ სწარმოებს ეს, რომ ადამიანის წარმოდგენანი, იდეები, რომელიც მის შინაგან კერძოობას შეადგენს, ამგვარს გარეგანს ნიადაგზე შენდება, ესე იგი ისეთს ნიადაგზე, რომელიც თვით მასში კი არ არსებობს, არამედ მის გარეღ, ცხოვრებაში იმყოფება,—საჭიროა ნერვების თვისება მოვიგონოთ. ეს თვისება ის არის, რომ ყოველი საგანი თუ მოვლენა, რომლის ზედგავლენის ქვეშაც იმყოფება ადამიანი, აწარმოებს ამ უკანასკნელზე შთაბეჭდილებას, რომელიც მის ნერვების მდგომარეობაში შესაფერს ცვლილებას იწვევს და თავის კვალს სტოვებს მათში. საკმარისია რამდენჯერმე განმეორდეს ერთი და იგივე შთაბეჭდილება, რომ იგი მკვიდრად ჩაჯდეს, ჩაიბეჭდოს ნერვებში. და რადგანაც ყოველი შთაბეჭდილება შესაფერს შედეგს იწვევს ხოლმე, ამიტომ შთაბეჭდილებათა ნერვებში ჩაჭდობის შემდეგ ასეთის შედეგის გამოწვევა თანდათან ადვილი და უფრო სწრაფია. „ნერვების ცელულები — ამბობს ლეტურნო—შეადგენს ისეთს მანქანებს (appareils), რომლებიც შთაბეჭდილებანით იკვლინთება. ყოველი მიმდინარეობა სამოლეკულო მოძრაობისა, რომელიც მათში გადის, სტოვებს იქ კვალს, ნიშანს. რამდენჯერმე განმეორების შემდეგ ეს ნიშნები წესიერად ერთად გროვდება და მკვიდრდება იქა. შემდეგ შთამომავლობით ერთიდან მეორეს გარდაეცემა“.[1]

აი ეს გარემოებაა მიზეზი იმ მოვლენისა, რომელსაც შთაბეჭდილებათა რეფლექტორულს განმეორებას ეძახიან. ავიღოთ მაგალითი. „რამდენისამე ხნის წინად, — ამბობს დოქტორი ჯონსონი, — მე ვიჯექი ომნიბუსში, რომელიც დიდ ხანს ვერ დაიძრა, რადგან ერთი ცხენი არას გზით ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ბევრი ხერხი სცადეს, რომ მისი ჯიუტობა დაეძლიათ, მაგრამ არ იქნა და არა. ბოლოს მეეტლემ უთხრა კონდუქტორს, ომნიბუსის კარი მაგრად მოაბრახუნე და დაკეტეო (ეს იყო ჩვეულებრივი სიგნალი წასვლისა). ჩემდა გასაშტერებ-

[1] Letourneau, loc. cit., p. 33.

ლად ცხენი მაშინვე დაიძრა და გაუდგა გზას"[1]. ამის მიზეზს ადვილად მივხვდებით, თუ სახეში მივიღებთ, რომ ამ ცხენს საკმაო ხნის განმავლობაში ომნიბუსის კარის მოხურვის შემდეგ ყოველთვის ადგილიდან დაძვრა და გზას გადგომა უხდებოდა. ეს გარემოება მის ნერვებში მაგრად ჩაიბეჭდა, ასე რომ წასვლა, ადგილიდან დაძვრა ომნიბუსის კარის მოხურვას მტკიცედ დაუკავშირდა. ამიტომ იმ დღესაც, როდესაც ეს ამბავი მოჰხდა, ომნიბუსის კარის მოხურვის ხმის გაგონებამ გამოიწვია ჩვეულებრივი შედეგი — დაძვრა ცხენისა და გაუქმება მისის სიჯიუტესი...

ამგვარადვე იბადებოდა და თანდათან იზრდებოდა მორალური კერძოობა ადამიანისა თანახმად საზოგადოებრივის ცხოვრების განვითარებისა. ყველაფერს არსებულს ადამიანი ეჩვევა, რადგან დიდის ხნის განმავლობაში ამ არსებულის ერთგვარობას ჰხედავს. ყველაფერი, რასაც ცხოვრება წარმოუდგენს, მისთვის ჩვეულებრივია. ამის გამო მის გონებაში ფეხს იდგამს ის აზრი, რომ არსებული მტკიცე და შეურყეველია.

ძველს დროს რამდენსამე მამა-კაცს აქვს სქესებრივი კავშირი ერთსა და იმავე დედა-კაცთან. ჩვენის წარმოდგენით ეს უზნეობაა, გარყვნილებაა. მაშინდელ ველურის წარმოდგენით კი ყოველმხრით კარგი და პატიოსანი მოქმედებაა. მაშინდელ ველურს არაფერი არ უმტკიცებს, რომ ეს ვითომ ცუდი საქციელი იყოს. თვით ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია ასეთი ფორმა სქესებრივ ურთიერთობისა. მამასა და ქალიშვილს კანონიერად შეუძლიანთ ერთმანეთ შორის სქესებრივი შეუღლება. ესეც სრულიად უბრალო, უცოდველი მოქმედებაა, რადგან შვილი მამის ნათესავი არაა. ესევე შეუძლიათ ბიძას და ძმის წულს, მაზლსა და რძალს. ყველა ეს მოვლენა ნათესაობრივის ურთიერთობით იხსნება. მამა ნათესავად არ ითვლება შვილისა, ბიძა—ძმისწულისა, მაზლი — რძლის. რა არის აქ ცუდი? გეკითხებათ ველური. ის დედაკაცი ჩემი ნათესავი არაა, გეუბნებათ თავის ქალზე მამა, ამიტომ აქ ცუდი არაფერია. სქესებრივი კავშირი აქვთ დედასა და ქალიშვილს სიძესთან, სიძის ძმასთან, — ესეც კანონიერია, ჩვეულებრივია, რადგან ამათშიაც ნათესაობა არაა. ამ დროის ველურს ეს ჩვეულება მტკიცედ აქვს თავში ჩარჩენილი, რადგან მისი პრაქტიკა დიდი ხნისაა; მისი გონებითი და ზნეობითი წარმოდგენა ამ ჩვეულებასთან დიდი ხანია შეზ-

---

[1] Спенсер, Основания психологии, Спб., 1876, т. II. ст. 228. შეად. Letourneau. L'évolution juridique dans les diverses races humaines, Paris, 1891. p. 8—11, აგრეთვე: Физиологическая психология, д-ра. Т. Цигена, Спб., 1893, p. 11.

რდილია, შესისხლ-ხორცებულია და არსებულის წინააღმდეგი ვერც კი წარმოუდგენია.

მაგრამ არსებულ სოციალურ ცხოვრების ფორმა ირღვევა, მის ნიადაგზე ახალი ფორმა ამოდის და ამის თანახმად ადამიანის ზნეობრივს წარმოდგენაშიაც ძირითადი ცვლილება ჩნდება. რაც გუშინ უზნეობად მიაჩნდათ, — დღეს ზნეობრივი საქმეა, გუშინდელი ზნეობრივი დღეს უზნეობად ითვლება... აი, აქ იწყება შებრძოლება ახალ მოთხოვნილებათა და ძველს, თავში ჩაჭედილ წარმოდგენათა. ახალი ცხოვრება თხოულობს დედა-კაცის დამონავებას, მის სასარგებლოდ გამოყენებას, გონება-ზნეობა კი მიჩვეულია მის თავისუფლებას, პატივისცემას. ვინ გაიმარჯვებს? შედეგი ვიცით: ცხოვრება. იგი არღვევს ძველს წარმოდგენას, რომელიც მხოლოდ ძველის, უარყოფილის სინამდვილის გამომხატველია და ეხლანდელს არ შეეფერება. ახალი ცხოვრება აწვდის ადამიანს ახალს შინაარსს, რომელიც ამოძრავებს მის გონება-ზნეობას. ეს ახალი შინაარსიც მჭიდროდ იბეჭდება ადამიანის თავში. ასე რომ შემდეგში მისი გონებრივი და ზნეობრივი წარმოდგენა მხოლოდ ცხოვრებაში არსებულ ურთიერთობის ფოტოგრაფიულ სურათს წარმოადგენს; სწორედ ის. როგორც წინად ამგვარივე წარმოდგენა მაშინ არსებულ, ეხლა კი გამქრალ, ურთიერთობის გამომხატველი იყო...

რასაკვირველია, ასეთი შეცვლა, როგორც ცხოვრებაში, ისე ზნეობაში უცებ, სწრაფად არ სწარმოებს,—უკვე შეღგენილი წარმოდგენა უცებ არ იშლება და მის ადგილს სხვა სწრაფად ვერ იპერს. რომ ძველის მაგივრად ახალი დამკვიდრდეს, საჭიროა ახალი შთაბეჭდილება დიდის ხნის განმავლობაში ჰმოქმედებდეს ადამიანის ნერვებზე, გროვდებოდეს მათში და ერთის შთამომავლობიდან მეორეზე გადადიოდეს. ეს კი ერთსა და ორს დღეში არ შეიძლება მოჰხდეს. დასასრულ კი მაინც ცხოვრების მოთხოვნილება იმარჯვებს და ზნეობის განვითარებაც ამ მოთხოვნილების თანახმად მიდის.

როგორცა ვსთქვით, კერძო საკუთრების დამყარებამ გამოიწვია დედა-კაცის დაპყრობა, დამონავება. რა ამბავია ამ დროს დედა-კაცის გონებაში? წინად შეჩვეული იყო თავისუფლებას. აქ კი ფრთები ეკვეცება ამ ყოფას. წინად რამდენსამე მამა-კაცთან სცხოვრობდა, სქესებრივ მოთხოვნილებას თავისუფლად იკმაყოფილებდა, აქ კი ერთსაც და მეორესაც უშლიან, უკრძალავენ და სხვის ნებაზე ატარებენ. ძნელი, ძალიან ძნელი იყო ჩვეულების მოშლა, მისი გადალახვა, ამიტომ მიუხედავად ასეთის აკრძალვისა, დედა-კაცი ხშირად ძველს ჩვეულებას მიჰყვებოდა და არღვევდა მამა-კაცის ბრძანებას. ამას შედეგად ყოველთვის მისი სასტიკად დასჯა მოსდევდა, ასე რომ თანდათან დედაკაცი იძულებული შეიქნა ბრძანებას დაჰმორჩილებოდა, ქმრისთვინ არ ეღალატნა და

სქესებრივი კავშირი მარტო მასთან ჰქონოდა. ამგვარად, აუცილებლობამ მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ იძულებული შეიქნა თავისი ძველი ჩვეულებანი ახალ მოთხოვნილებისთვის დაემორჩილებინა. თუ წინად ტიტვლად სიარულს იყო ჩვეული და ასეთს სიტიტვლეს არაკითარს მნიშვნელობას არ აძლევდა, ეხლა თავისი სხეული უნდა დაეფარა. სხვა მამაკაცებს ამ სხეულზე უფლება აღარა ჰქონდათ, — იგი მარტო ქმარს ეკუთვნოდა; ქმარს კი ცოლი მხოლოდ თავისთვის უნდოდა, რადგან ეს უკანასკნელი მის საკუთრებას შეადგენდა. ამიტომ აქ ტანთ ჩაცმა და სიტიტვლის დაფარვა პირველად სავალდებულოა მარტო ქმრიან დედაკაცისთვის. თუმცა ეს ტანისამოსი მარტო წელის არემარეს შეეხება, დანარჩენი სხეული ისევ ძველებურად ტიტველია; მაგრამ მაინც წინანდელ სრულს სატიტვლესთან შედარებით ახალი მოვლენაა, ნაბიჯის წინ გადადგმაა. გაუთხოვარი ქალები კი ამ მხრივ დიდ ხანს თავისუფალნი არიან და ტანისამოსის ჩაცმა მათთვის სრულიად სავალდებულო არაა. ტიტვლად სიარული მათს უფლებას შეადგენს, რომელსაც ენერგიულად იცავენ. მაგალითად, ახალს კალედონიაში მისიონერებმა ჰნახეს, რომ ქმრიანი ქალები იფარავდნენ თავიანთ სხეულს ანუ სხეულის ერთ ნაწილს — წელს. ხოლო გაუთხოვრები კი სრულიად ტიტველნი იყვნენ. მათმა ქადაგებამ, რომ ამათაც შემოეღოთ წელის დაფარვა, უქმროების ძლიერი წინააღმდეგობა გამოიწვია. სრული სიტიტვლე მათს განსაკუთრებულს უფლებას შეადგენდა და ამიტომ არას გზით არ სთანხმდებოდნენ, რომ მათის თავისუფლებისათვის ქმრიანობის ნიშანი, დაღი დაესვათ...[1] მაგრამ როცა კი ქმრის ხელში ჩავარდებოდნენ, მას შემდეგ ესენიც მოვალენი იყვნენ თავისი სხეული ცოტად თუ ბევრად დაეფარათ.

საქმის ასეთს ვითარებას დიდი ხნის განმავლობაში, ეგვი არაა, თავისი ბეჭედი უნდა დაესვა ადამიანის გონებრივს წარმოდგენაზე. ეს მართლაც ასე მოხდა. ის გარემოება, რომ დიდი ხნის განმავლობაში დედა-კაცი ემორჩილებოდა მამა-კაცის ბრძანებას. რომ სქესებრივი კავშირი მარტო მასთან ჰქონოდა, თავის სხეულს [illegible] და სიტიტვლეს არ აჩენდა, მტკიცედ ჩაიბეჭდა მის თავში და ჩვეულებად გარდაიქცა. აი აქედან წარმოსდგა ის, რასაც ჩვენ ეხლა სირცხვილ-ზრდილობის გრძნობას და მეუღლურს ერთგულებას ვეძახით... ასეთი ზედმოქმედება იქონია ამ გარემოებამ მამა-კაცზედაც, მხოლოდ მისი პირადი ქცევის შესახებ კი არა, არამედ შესახებ მარტო დედა-კაცისა. დიდი ხნის განმავლობაში მამა-კაცი დაეჩვია დედა-კაცის მორჩილებას, მის სქესებრივს ერთგულებას და ამის გამო მის გონებაში გაჩნდა და განმტკიცდა ის წარმოდგენა, რომ მეუღლური ერთგულება და საზო-

[1] Letourneau, L'évolution de la morale, p. 147.

გადოდ სქესებრივი თავის დაპერა უმაღლესი მოვალეობაა ქალისა. ამგვარად აქ იმყოფება იმის მიზეზი, რომ ეხლანდელს დროში თითქმის მიუტევებელ ცოდვად ვთვლით ქალისთვის თავის დაუპერლობას, ქმრისთვის ღალატს, უმანკოების შეგინებას...

V

ერთხელ წარმომდგარი ჩვეულება დრო და ხნის განმავლობაში თანდათან მკვიდრდება ადამიანის გონებაში, ასე რომ შემდეგ ამ ჩვეულებას ადამიანი შეუგნებლად, დაუფიქრებლად ემორჩილება. ჩვეულებასთან ასეთს შეზრდას, მოქმედებაში მის დაუფიქრებლად დამორჩილებას შედეგად იმ წარმოდგენის დაფუძნება მოჰყვება ხოლმე, რომ არსებული მკვიდრი და შეურყეველია, ანუ, სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ, იბადება ის წარმოდგენა, რომ ყველაფერი ისე უნდა იყოს და ისე უნდა სწარმოებდეს, როგორც ნამდვილად არის დღესაო. რასაკვირველია, ესეთი წარმოდგენა გონებრივად შეგნებულს რასმეს არ წარმოადგენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანის გონებაში მაინც არსებობს და, როცა შემთხვევა მოითხოვს, კიდეც გამოაშკარავდება. ამგვარად, თუ დიდის ხნის განმავლობაში დედაკაცი მამა-კაცს ემორჩილებოდა და მის ბრძანებას ასრულებდა, თუ იძულებული იყო თავის ქმრისთვის არ ეღალატნა, თავისი სხეული სხვა მამა-კაცთათვის დაეფარა, შემდეგში ყველა ეს საერთო ჩვეულებად გარდაიქცა და ამასთან წარმოსდგა იმის იდეაც, რომ ეს ჩვეულება კანონიერია, რომ ამ ჩვეულებაზე აგებული მოქმედება სწორედ ისეთია, როგორც ნამდვილად უნდა იყოხო. ასეთი წარმოდგენა არსებობს არა თუ ერთს ან ორს ადამიანში, არამედ მთელს საზოგადოებაში და მემკვიდრეობით გადადის წინაპრებიდან შთამომავლობაზე. როგორც ჰხედავთ, — აქ უკვე შემდგარია გრძნობა მოვალეობისა. თუ არსებული ჩვეულება კანონიერია, თუ იგი საზოგადოდ გავრცელებულია, ამიტომ, რა თქმა უნდა, ყველასათვის სავალდებულოცაა. დედა-კაცისთვის სავალდებულო შეიქნა მეუღლური ერთგულება, სიტიტვლის დაფარვა; მაშასადამე, დამკვიდრდა გრძნობა მეუღლურის ერთგულებისა, სირცხვილ-ზრდილობისა...

მაგრამ, როგორც უკვე ვსთქვით, ძველი ჩვეულება, ძველი წარმოდგენა უცებ არ ჰქრება ადამიანის გონებიდან და ამათ ნაცვლად სწრაფადვე ახალი ჩვეულება არ იბადება. ამიტომ ადამიანს ცხოვრებაში ხშირად ისეთი მოქმედება უდგება თვალწინ, რომლის შესრულება ძლიერს ბრძოლას იწვევს. ერთის მხრით მოვალეობის გრძნობა და მეორეს მხრით ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა დამორჩილების,

მათის აღსრულების სურვილი ეჭიდება ერთმანერთს. რასაკვირველია, ასეთის მოძრაობის შედეგი დამოკიდებულია იმაზე თუ რომელი კერძოობა უფრო ძლიერია: მოვალეობის გრძნობა, თუ მისი მოპირისპირე მოთხოვნილება. თუ ამ უკანასკნელმა გადააჭარბა და სძლია, მაშინ წარმოსდგება ის, რასაც ჩვენ სვინიდისის მხილებას ვეძახით ხოლმე...

ასეთი მოვლენა ველურთა ცხოვრებაში შემჩნეულია. ლეტურნოს მოჰყავს შემდეგი მაგალითი, რომელიც ერთს ავსტრალიელს შეეხება. ჯერ უნდა შევნიშნოთ, რომ ავსტრალიელთა რწმენით ყოველის კაცის სიკვდილი ერთს რომელსამე საზოგადოებაში შედეგი იყო მეზობელ საზოგადოების წევრთ მზაკვრობისა. ამიტომ მიცვალებულის ნათესავს უეჭველად უნდა მოეკლა ერთი ვინმე მათგანი და ამნაირად შური უნდა ეძია, თავის მიცვალებულის სისხლი უნდა აეღო. იმ ავსტრალიელმა, რომელსაც ეს მაგალითი შეეხება, თავისი ცოლის სიკვდილის შემდეგ გამოაცხადა ასეთი სურვილი, ესე იგი რომ მეზობელ მტრებში ერთერთი უნდა მოეკლა და შური ვიძიოო. ევროპელებმა ეს დაუშალეს და ციხეში შეგდებას დაემუქრნენ, თუ ასეთს დაშლას არ დაემორჩილებოდა, რამდენსამე ხანს ამ მუქარით შეშინებულმა ველურმა ითმინა თავისი მოვალეობის შეუსრულებლობა, მაგრამ ცხადად ეტყობოდა, რომ მის არსებაში საშინელი ბრძოლა და სვინიდისის ჩხილება იყო. სვინიდისის მხილება კი იქიდან წარმოდგებოდა, რომ არ ასრულებდა მოვალეობის მოთხოვნილებას და თავის ცოლის სისხლს არ იღებდა. ეტყობოდა, რომ სვინიდისი საშინლად სტანჯავდა, რადგან, რაც დღე გადიოდა, იმდენი უფრო თანდათან ჭკნებოდა და ყვითლდებოდა. ბოლოს ვერ გაუძლო ასეთს მდგომარეობას: ერთს დღეს სადღაც გაჰქრა, მაგრამ დაბრუნდა სრულიად მორჩენილი, ჯანმრთელი,—მან შეასრულა თავისი მოვალეობა, შური იძია, მოჰკლა მტერი...

ეს ამბავი იმდენად გასაკვირალი არაა, რამდენადაც ის. რომ სწორედ ასეთის სვინიდისის მხილება ცხოველებშიაც შემჩნეულია!.. რომანესი მოგვითხრობს თავის ძაღლის მიერ ჩადენილ ქურდობას, რომელმაც შემდეგ ამ პირუტყვში ცხადად შესამჩნევი სვინიდისის მხილება გამოიწვია. „ამ ძაღლმა, — ამბობს რომანესი, — თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მოიქმედა ქურდობა. ერთს დღეს, როცა ძალიან მშიერი იყო, ეცა სტოლზე კატლეტს და შეიტანა დივანს ქვეშა. თუმცა ვუცქეროდი ამ ამბავს, მაგრამ ისეთი სახე მივიღე, ვითომ არაფერს არა ვხედავ-მეთქი. ძაღლი რამდენსამე წუთს დარჩა იქ და ეტყობოდა, რომ რყევაში იყო: შეეჭამა კატლეტი და დაედუმებია შიმშილი, თუ მოვალეობას დაჰმორჩილებოდა. ბოლოს მოვალეობის გრძნობამ გაიმარჯვა: გამოძვრა დივნიდან და მოპარული კატლეტი ფეხებ-წინ დამიდვა. შემდეგ ისევ შეძვრა დივან ქვეშ და იქიდან ვერაგვარის ძა-

ხილით ვეღარ გამოვიყვანე. ტყუილად ვუსვამდი ალერსით ხელს ზურგზე.—ძაღლი მარიდებდა პირს, რომელზედაც სწორედ საჭირო შენანება გამოიხატებოდა. ეს გარემოება უფრო საკვირველია, იმიტომ რომ ეს ძაღლი არას დროს არ ყოფილა ნაცემი, ასე რომ არ შეიძლება ვიფიქროთ, ვითომ ამ შემთხვევაში სასჯელისა შეეშინებოდეს. ეს მოქმედება გვიჩვენებს მხოლოდ სვინდისის განვითარებას იმ ოთხ-ფეხში".

დიაღ, სრული ჭეშმარიტებაა, რომ რომანესის ძაღლის მოქმედება სვინდისის არსებობას გვანიშნებს ამ ცხოველში. ეს წარმოსდგა, უეჭველია, იმგვარად, რაგვარადაც დაიბადა ასეთი გრძნობა ავსტრალიელში. რომანესის ძაღლი გაზრდილი იყო, მუმკვიდრეობით გარდაცემული ჰქონდა პატრონის ერთგულება, მისი ქონების დაცვა, და ყველა ეს ხელს უწყობდა, რომ მასში მოვალეობის გრძნობა განვითარებულიყო.

თუ ყველა ზემოთ ნათქვამით ვიხელმძღვანელებთ და ისევ ქ-ნ ან. ერისთავის მოთხრობას მივუბრუნდებით. მისი დედა-აზრი უფრო ნათლად და გარკვევით წარმოგვიდგება. როგორც ვიცით, ამ მოთხრობაში გამოხატულია ბრძოლა სიყვარულისა მოვალეობასთან, რომელიც ნათესაობის გრძნობაზეა დამყარებული: ზურია მონათლულია ირინეს მამისა. ნათლიობის ნათესაობის დარღვევა, ანუ, მათის სიტყვით, ნათელმირონობის გმობა, უარყოფა მიუტევებელ ცოდვად ითვლება მათში. ამ აზრს დიდის ხანიდან შეზრდიან მათი წინაპარნი, ეს აზრი კერძოდ ამათაც შესისხლხორცებული აქვთ, ასე რომ ამგვარი ნათესაობრივის კავშირის შეულახველობა. შეუგინებლობა მათთვის სავალდებულოა. ყველა ვალდებულია ამ შეხედულების თანახმად მოიქცეს და თავისი სურვილი საზოგადოდ ამას დაუმორჩილოს, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ: წარმომდგარია გრძნობა მოვალეობისა, რომელიც სასტიკად თხოულობს ნათესაობრივის კავშირის შეურყეველობას, მის შეუგინებლობას, პატივისცემას.

სიყვარული რომ ისეთ რამეს წარმოადგენდეს, რომლის ჩანერგვა გულში, თუ მისი იქიდან განდევნა, ადამიანის სურვილზე, ნებაზე იყოს დამოკიდებული, მაშინ, რა თქმა უნდა, ირინეც და ზურიაც არ გააჭაჭანებდნენ ამ გრძნობას თავიანთ გულში. მაგრამ, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ეს ადამიანის ნებაზე არაა დამოკიდებული, ამიტომ ამ გრძნობას არ უთხოვია მათთვის ნების მოცემა, უამათნებოდ გაჩნდა და გაიზარდა... მოვალეობის გრძნობამ ამ მოთხოვნილებას ძლიერი ბრძოლა გაუწია, მაგრამ ბოლოს ძლეულ იქმნა, მოთხოვნილებამ გაიმარჯვა და ამ გამარჯვებას სქესებრივი კავშირი ანუ ადიულტერი, მრუშობა მოჰყვა შედეგად. ამის შემდეგ ზურია უცებ კვდება, ირინე

ჭკუაზე იშლება და ამიტომ მათის ზნეობრივის მდგომარეობის შესახებ შემდეგ „ცოდვის“ ჩადენისა მოთხრობიდან არა ვიცით-რა. ავტორს თავის მოთხრობაში დახატულ უმთავრეს გმირთათვის ასეთი ბოლო აურჩევია. აქ შეგვიძლია მხოლოდ ის მოსაზრება გამოვსთქვათ, რომ მოთხრობას ასეთი ბოლო არ ჰქონდეს, ზურია და ირინე ამ ამბის შემდეგ რომ კიდევ ცოცხლები დარჩენილიყვნენ, — მათი ყოფა უფრო მეტად გატანჯული და აუტანელი იქნებოდა, ვინემ აქამდის იყო, რადგან სვინიდისის მხილება მთელის თავისი სიძლიერით წარმოუდგებოდა წინ და მოსვენებას აღარ მისცემდა. რომ ეს ასე იქნებოდა ამის საფუძვლად ის გარემოება შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ასეთის „ცოდვის“ ჩადენამდინაც საკმაოდ სტანჯავს მათ სვინიდისი, ამხილებს, რომ ნათესაობა არ დაინდვეს და ერთმანეთი შეიყვარეს. აი რას ამბობს ირინე, როცა წყალში დასაღრჩობად ემზადება წასვლას:

„ — რიღასთვის ვიყურები?... რიღასთვის ვცოცხლობ? იქნება იმიტომ, რომ ხალხს ანგელოზად ვეჩვენო? არა, კმარა ამდენი მოტყუება... ოხ, ოჯახო, ქმარ-შვილო!.. რომ იცოდეთ, რა შემცოდეა თქვენ წინ ირინე, მაშინ უფრო უჯიათად მომეკიდებოდით, ჩამაქვავებდით!.. რომ არ მიცნობთ! ირინე შემცოდეა და როგორც შემცოდე, დაუტირებლად ჩაკვდება...“.

ასეთს სატანჯველშია ირინე მხოლოდ იმისთვის, რომ შეიყვარა ნათესავი, შეიყვარა არა და-ძმური, არამედ ცოლქმრულის სიყვარულით, თუმცა ეს სიყვარული ჯერ სრულიად „წმინდაა“. შეცოდების შემდეგ ამ გარემოებას ისიც უნდა დაჰმატებოდა, რომ იგი შეიქნა არა თუ მარტო ნათესაობის მგმობელი, არამედ მეუღლურის მოვალეობის მგმობელიცა, რადგან ქმარს უღალატა და ზურიასთან ცოდვა ჩაიდინა. და ეს კერძოობა ზნეობისა, ე. ი. მეუღლურის მოვალეობის გრძნობა ირინესი არა ნაკლებ ძლიერი იყო, ვიდრე მოვალეობა ნათესაობის შეუბღალველობისა.

VI

ამგვარად, როგორც ჰხედავს მკითხველი, ზნეობა არ წარმოადგენს ისეთ რასმეს, რომელიც ვითომ ქვეყნის დასაბამიდანვე თანდაყოლილი თვისება იყოს ადამიანისა და რომელთანაც ზრდა-განვითარების კანონებს არავითარი ხელი არ ჰქონდეს. პირიქით, კაცობრიობის ცხოვრებაში იყო განვითარების ისეთი ხანა, როცა ადამიანში ზნეობრივი გრძნობა სრულიად არ არსებობდა. მხოლოდ საზოგადოებრივობის დაარსებამ, სოციალურ ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია ასეთი

გრძნობა და მისცა შინაარსად ის რეალური ურთიერთობა, რომელიც თვით ცხოვრებაში არსებობდა.

ამიტომ ყოველს ხანაში კაცობრიობის განვითარებისა ადამიანის ზნეობრივი წარმოდგენანი ნამდვილ ცხოვრებაში არსებულ ურთიერთობათა გამომხატველი უნდა ყოფილიყო. აი, მხოლოდ ამაში არსებობდა საბუთი მათის არსებობისა, მათი raison d'être, — წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ისეთს შემთხვევაში, როცა ზნეობრივი წარმოდგენა არ ეთანხმებოდა ცხოვრებაში არსებულ ურთიერთობას, ანუ უკეთ, როცა თავში ჯერ კიდევ დაბუდებული იყო ძველის ზნეობის იდეები, რომლებიც მხოლოდ ძველად არსებულ ურთიერთობას შეეფერებოდა, ახალის ცხოვრების მოთხოვნილების ძალით ისინი მიუცილებლად უნდა დარღვეულიყვნეს, გამქრალიყვნენ, და მათ ადგილას ახალ მოთხოვნილებათა შესაფერი იდეები უნდა წარმმდგარიყვნენ. ეს ხო მართლაც ასე მოჰხდა. — თუ პირველად ადამიანი სქესებრიეის მოთხოვნილებას სრულიად თავისუფლად იკმაყოფილებდა და ამაში არაფერ უზნეობას და საშარცხვინოს არა ჰპოვებდა, შემდეგში — პროგრესის ისეთი პერიოდი დადგა, როცა ასეთი თავისუფლება მავნებელი შეიქმნა, ახალის, ცხოვრების უმაღლესის და უფრო განვითარებულის ფორმის მოთხოვნილებათა წინააღმდეგი დარჩა. ამიტომ აუცილებლად ძველი უნდა დანგრეულიყო და ამის ნაცვლად ახალი გამაგრებულიყო. დედა-კაცი მამა-კაცის საკუთრება გახდა, მისი თავისუფლება ვიწროდ შემოიფარგლა და ზნეობის განვითარებაც ამ გარემოებასთან შეთანხმებით წავიდა. დედა-კაცს დაებადა მეუღლურის ერთგულების მოვალეობა, სირცხვილ-ზრდილობის გრძნობა, რომელიც ეხლანდელ ჩვენ ქალებში საზოგადოდ ძალიან განვითარებულია. რომელი ახალგაზრდა ოუნდ მოხუცი ქალი გაივლის ეხლა ქალაქში ფეხ-შიშველი? იშვიათი გლეხის გოგო გამოვა ჯარში წუღებჩაუცმელი მაინც. ქმრის ერთგულების მოვალეობა, თუ იგი პრაქტიკულად ხშირად არა სრულდება, ხომ მაინც ზნეობრივ მოვალეობადაა მიჩნეული? და ეს კი არც ერთი არ იქნებოდა ეხლა, რომ ერთ დროს მამა-კაცი დედა-კაცის სრული ბატონი არ გამხდარიყო და ქმარს ცოლი სრულს თავის საკუთრებად არ გაეხადა. რომ ეს ასე არ მომხდარიყო, უნდა ვიფიქროთ, ჩვენი ეხლანდელი ქალებიც ისე ტიტლიკანები ივლიდნენ, როგორც მარი ტაიტელი და პოლინეზიელი დები დადიან დღესაც...

მაშ თუ ეს ასეა, თუ ზნეობა შეურყეველ რასმეს არ წარმოადგენს, არამედ საზოგადო ცვლა-განვითარების კანონებს ექვემდებარება, აქედან ის ლოღიკური დასკვნა უნდა გამოვიყენოთ, რომ სვინდისი არ არის ყოველთვის უტყუარი მსაჯული, გამრჩევი ზნეობრივის თუ უზნეურის მოქმედებისა და ამის გამო სვინიდისის მხილება არ შეიძლება

ჩავთვალოთ ჭეშმარიტ ნიშნად უზნეო საქციელის ჩადენისა, ხომ ჰნახეთ, როგორ იტანჯება ავსტრალიელი ველური თავისის ზნეობრივის მოვალეობის შეუსრულებლობისათვის! მოვალეობა თხოულობდა, რომ წასულიყო და ვინმე მოეკლა მეზობლებში, ამით შური ეძია და მიცვალებულის სული დაეკმაყოფილებია. ემუქრებიან, ნუ იზამ მაგასო, შეშინდა კიდეც, ბევრიც ითმინა, მაგრამ სვინიდისი ყურში ჩასძახოდა: უზნეო ხარ, მოვალეობის მოთხოვნილება არ შეასრულეო. ველური იტანჯება, უნდა დაემორჩილოს, მაგრამ ციხეში ჩაგდების შიში ისევ აჩერებს. როგორია მისი სვინიდისი? ჭეშმარიტების გზაზედ აყენებს? რასაკვირველია, ჩვენის წარმოდგენით უზნეო მოქმედების შესრულებაზედ აქეზებს. ველური ბოლოს ვერ უძლებს სატანჯველს,— მიდის და ჰკლავს მტერს. სვინიდისი კმაყოფილდება, თვითონ ადამიანი სენისაგან იკურნება. რა აკმაყოფილებს აქ სვინდისს? კაცის მოკვლა, სისხლის დაღვრა, ესე იგი ისეთი საქმე, რომელიც ჩვენს დროს ზნეობრივად განვითარებულ ადამიანს ჟრუანტელს ჰგვრის ტანში...

როგორია ირინეს სვინიდისი, — ჭეშმარიტების მაჩვენებელი? მგონია, ამის პასუხს მკითხველი უკვე მიმხვდარია. როცა ამ საგანს ჩაუკვირდებით, უნებურად წარმოგიდგებათ თვალწინ ადამიანის სისუსტე, უძლურება, არარაობა. სად არის კაცის თავისუფლებითი ძალა, — ეკითხეთ თავს, — სად არის ესრედ-წოდებული მისი თავისუფალი ნება, როცა მას უნდა თავის ცხოვრების სასურველად მოწყობა, მაგრამ ვერ მოუხერხებია, — ის მოწინააღმდეგე მიზეზები, რომელიც ისტორიას ჩაუნერგია ადამიანში, ვერ უძლევია. თითქოს ეს მიზეზები ისეთს დიდს ძალას არ უნდა შეადგენდეს, მათი ძლევა ადვილი უნდა იყოს, — ჰფიქრობთ, — მაგრამ ბრძოლის შედეგი ცხადად გარწმუნებთ, რომ ეგ მაგრე არ არის... გაგონდებათ, რომ ადამიანს ბუნების მეფეს ეძახიან და გეცინებათ მწარედ: კარგი მეფეა სწორედ ის მეფე, რომელიც, იმის მაგივრად, რომ სხვისი ბატონი იყოს, თვითონვე ყმაა ყველასი...

ჟურნ. „მოამბე", 1895, № XI

მგზავრის შენიშვნები

(ევროპაში)

1

ესეც ევროპა! ესეც ევროპის ერთი დიდი ქალაქი! ახლაც თვალწინ ძიდგას პირველი შთაბეჭდილება: სადგურთან ვარ, — ჯერ შიგ ქალაქში შესვლა ვერ გამიბედნია... იქით-აქეთ ვიხედები, თვალებს ვიფშვნეტ, თითქოს ნამძინარევი ვიყო!.. საით წავიდე, აღარ ვიცი; რომელ ქუჩას

ენდა გავყვე, საინკენ ვქნა პირი. მაგრამ ერთ ადგილას გაჩერებაც ხომ არ შეიძლება,—სადმე უნდა წავიდე. ბევრ რყევა-სჯას შემდეგ იმ გადაწყვეტილებას ვადგები, რომ შემთხვევას დავენდო და გავყვე პირდაპირ ქუჩას, — უნებურათ თვალები დავხუჭე და გავუდექი გზას... თვალი ისევ მალე გავახილე, მაგრამ სამაგიეროთ ყურზე მივიფარე ხელი: ყურთასმენა აღარაა, — ბრახი, ბრუხი, სტვენა, ზარის წკარუნი, ეტლი-ეტლზე, ომნიბუსი ომნიბუსზე, დროგი, ველოსიპედი, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ყოველ მხრიდან,—ეს ყველაფერი ერთი ერთმანერთში ირევა... გადავწყვიტე, ან ეტლი გამეყულტს, ან რომელიმე გაგიჟებული ველოსიპედისტი გამიტანსთქო და შემრცხვა. გასაჭირ მდგომარეობაში ვარ: ერთი მხრით იძულებული ვარ თვალი ვადევნო ყოველგვარ მოძრაობას, რომ რამე არ დამეჯახოს და მეორე მხრით უნდა ვეცადო, რომ ნაკლები ცნობისმოყვარეობა გამოვიჩინო და ხალხს ჩემი სიხამე არ ვაჩვენო... ამისთვის იქით აქეთ, მხოლოდ ცალი თვალით ვიხედები, ისეთ კაცსავით, რომელსაც არაფერი გარშემო არ აოცებს, არ აკვირვებს, — ყველა ამას იგი შეჩვეულია; მივდივარ დინჯათ, როგორც ნაცნობს ადგილს და ყველაფერს გულგრილათ ვუყურებ. ასე რომ ძნელათ ვინმე შემამჩნევს, თუ ამ აქეთ-იქით ხედვაში რაიმე ცნობის მოყვარეობა, რაიმე გაკვირვება იმალება...

მაგრამ ეს ხომ გარეგნობით... ნამდვილათ კი, აბა, ნუ გაჰკვირდები?.. პირველათ როგორღაც გაბრუებული რჩებით, ათასი სხვადასხვა შთაბეჭდილება ერთი ერთმანერთში ირევა. ველარ ასწრებთ, რომ ამ შთაბეჭდილებათ ერთათ თავი მოუყაროთ და შეადგინოთ ერთი ვრცელი წარმოდგენა, თვალი ერთი საგნიდან სწრაფათ მეორეზე გადადის, მეორედან მესამეზე და ასე დაუსრულებლათ. ამ აქით-იქით ცქერას დასასრული აღარ უჩანს., თვალებიც თანდათან გეღლებათ, საგანთა სხვადასხვა ფერობა თქვენს მხედველობის წინ იკარგება და ჰხედავთ მხოლოთ სახლებს, უზარ-მაზარ სახლებს, დაუსრულებელ სახლებს, რომლებიც მთებივით გადმოგცქერიან თავზე. პატარა, ძალიან პატარა მეჩვენა ჩემი თავი ამ უშველებელ შენობებს შუა! საკმარისია ერთი რომელიმე გადმოიქცეს, რომ რამოდენიმე ათასი სული ქუჩაში მოსიარულე ადამიანი ქვეშ მოიტანოს და გასრისოს. ახიც იქნება მათზე! რაღა ამ ერთ ქუჩაში მოუყრია ყველას თავი და ერთმანერთს გვერდებს აგლეჯენ, — ზოგმაც სხვა ქუჩაში გაიაროს, რომ ცოტა „ხალვათობა" იყოს..: ჰმ! მეორე ქუჩაც ასე ხალხით გაჭექილია, მესამეც, მეოთხეც,— ყველა, ყველგან... ეს თვალ გადაუწვდენელი ხალხის გროვა მიდი-მოდის, გორგოსობს და შორიდან რომ უყურებთ, ჰხედავთ მხოლოდ ერთ რაღაც გაურჩეველ გუნდს, რომელიც ცოტათი შეშფოთებულ ზღვასავით ღელავს, მოძრაობს. როცა თანდათან უახლოვდებით, არჩევთ

შიგ სხვადასხვა ფერადებს: შავს, თეთრს, ჭრელს... ათას გვარი შლიაპები, კაბები, ცილინდრები, ქოლგები, „ტროსტები“, სერთუკები ერთი ერთმანერთში ირევა და ამ არევ-დარეულობაში მხოლოდ ერთი გამოურკვეველი გუგუნი გამოისმის. შეეერიე ამ უთვალავ ხალხში და გავყევ მიმდინარეობას... სად მივდივარ? განა კი ვიცი! მივდივარ ისე—რაღა: ღვთის ანაბარათ... ხშირათ მომდის თავში: კარგია, თუ არ დავიკარგე... ნეტა მაინც, ერთ იმერელსავით, ფეხზე აგუერი შემება, რომ სხვაში არ შევცვლილიყავ!.. მაგრამ თან ამასაც ვამბობ გულში: რას ტუტუცობ! განა მაგასაც ნანობ, თუ შეიცვლები,—გაევროპიელდები?..

დავიღალე სიარულით... ვიშოვე ერთი განცალკევებული სკამი, ჩამოვჯექ და მივეცი თავი ფიქრებს.. აი, მე ახლა ევროპიელების სტუმარი ვარ, — ვფიქრობდი. კაცს ამ სიგრძე მანძილი გამომიელია, დავღალულვარ უძილობისა და მოუსვენრობისაგან. ახლა მეშვირება კარგი მასპინძელი, მასპინძელი გულ კეთილი, გულ უხვი, სტუმრის მოყვარე,—მისას მოსვენება, ღონის მოკრეფა, მაგრამ... მაგრამ სადაა ასეთი მასპინძელი...

ბევრი სხვადასხვა ფიქრები გამოიწვია მაშინ ჩემში პირველმა შთაბეჭდილებამ. ამ ფიქრებში ბევრი ოცნება, ფანტაზია იყო, ბევრიც არა რასაკვირველია, მუდამ ერთ სკამზეც დამჯდარი არ დავრჩებოდი, — სადმე წავიდოდი, რამეს ვნახავდი, დავათვალიერებდი. მაგრამ ყველა ეს მკითხველისთვის ნაკლებსაინტერესოთ მიმაჩნია, საინტერესოც რომ იყოს, მკითხველის ცნობის მოყვარეობის სავსებით დაკმაყოფილება მაინც არ შემიძლია, რადგან იმ ქალაქში სულ რამდენიმე დღე დავჰყავ და ასე მოკლე დროში კი უზარ-მაზარი ქალაქის გაცნობა შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, ჩემი მაშინდელი მასპინძლის ნატვრა მხოლოდ ნატვრათ-ღა დარჩა: აბა, ვის უნდა დავეპატიჟნე. ჩემი თავი მეევ დავპატიჟე და ერთ უხეირო სადილში გულდენ ნახევარი გადავიხადე, რაც უნდა ვთქვა, ჩემ ჯიბეს ძალიან ეძვირა...

ან კი რა არის მასპინძლობა, რა არის მასპინძელი? იცის კი ევროპიელმა, რას ჰქვია სტუმრის მიღება და გაპასპინძლება? არის კი ევროპაში სტუმართ-მოყვარეობა? და რას წარმოადგენს თვით სტუმართ-მოყვარეობა? როგორ უნდა ვუყურებდეთ მას? როგორ წარმოდგა იგი? როდის? ეს კითხვები კი უფრო საყურადღებოთ მიგვაჩნია და, რახან სიტყვამაც მოიტანა, ჩვენი წერილიც მათი ახსნა-გარკვევით დავიწყოთ.

ხშირათ, ძალიან ხშირათ ვყოფილვარ მოწამე, რომ სხვადასხვა „დღეობაში“ ჩვენებურ სოფლელს — გლეხი ყოფილა იგი, მღვდელი თუ ერი, სულ ერთია, — დაუპატიჟნია თავისს სახლში სრულიათ მისთვის უცნობი კაცი, რომელიც შორეული ადგილიდან მოსულა, და მანამ არ მოჰშვებია, სანამ თავისას არ ყაუყვანია და იქ არ გამასპინძლებია. აქ კი, აბა უამბეთ ეს ევროპიელს, — ვერ გაიგებს, გაშტერდება... მას წარმოდგენაც არა აქვს იმისი, თუ რა არის ჩვენებური სტუმარი, მასპინძელი, სტუმრობა, გამასპინძლება... ვთქვათ, ესტუმრეთ აქ თქვენს ნაცხობს თავის „ოჯახში“ და სწორეთ იმ დროს დაგირჩათ მისვლა, როცა მასპინძელი სადილს ან ვახშამს შეექცევა. მიგიღებსთ, სკამს მოგართმევსთ, მიგიწვევსთ სტოლთან, დაგიწყებსთ საუბარს, თქვენც ეპასლაათებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი საჭმელს მიირთმევს და თან გელაპარაკებათ, თქვენ კი მას შეექერით და ჭამის მაგივრათ პაპიროზს ეწევით, — თუ რომ წევას დაჩვეული ხართ, რასაკვირველია. თუ თქვენც მოისურვებთ ჭამას ან სმას, რომ gesellschaft leisten, ის გაჰგზავნის კაცს რესტორანში, მოატანინებს, რაც გსურთ, და ერთათ მასთან შეექცევით. შემდეგ თქვენს ნახარჯს გადაიხდით და ასეთ საოცარ მეპურმარილე მასპინძელს გამოემშვიდობებით... აქაური დაპატიჟება ასეთია: ნაცნობი ნაცნობს, მეგობარი მეორე მეგობარს უნიშნავს რესტორანს, ყავახანას, რომელშიაც ის ჩვეულებრივ სადილობს, უნიშნავს საათს, რომ მეორე იქ იმ დროს მივიდეს. დანიშნულ დროზე იქ შეხვდებიან ერთმანერთს, — ილაპარაკებენ, იმასლაათებენ, ბოლოს თითო სული თავის წილს გადიხდის და იქიდან თავთავიანთ გზას გაუდგებიან. რომ ერთმა მეორე ოჯახში დაჰპატიჟოს, — ჰმ, რას ბრძანებთ! სადაა ოჯახი? ისეთი, როგორც ეს ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი, აქ დიდი ხანია გაფრენილა... ევროპიელი ვერ წარმოიდგენს, როგორ შეიძლება, რომ მასპინძელმა სტუმარი სახლში მიიღოს, მასპინძლობა გაუწიოს, პატივი სცეს, ღამით სუფთა, კარგი ლოგინი გაუშალოს და მოასვენოს. და ყველა ეს ჩაიდინოს არა ერთ დღეს, არამედ რამდენსამე დღეს, ხშირათ კვირაობითაც!.. რას ბრძანებთ! ამას ხომ ხარჯი უნდა? საჭმელ-სასმელს ყიდვა, სახლში მეტი ალაგი, მეტი ლოგინი, მოსამსახურე და სხვ. და ამ პატივის ცემაში სტუმრის მადლობის მეტი არა მიიღოს რა? ასეთი გამოუსადეგარი მადლობა მას არ რწამს. ასეთი წესი მას სულელობათ, ველურობის ნიშნათ მიაჩნია.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ქვეყანაზე უმიზეზოთ არა ხდება რა. ეს კითხვა — სტუმართ მოყვარეობა — ერთი შეხედვით, შეიძლება, უმნი-

შენელოთ გვეჩვენოს, მაგრამ თუ მას ჩავუკვირდებით, მაშინ სულ სხვას დავინახავთ. არ კმარა ერთ რომელსამე მოვლენას დავარქვათ სულელობა, ველურობა, როგორც, მაგალითათ, ევროპიელი სტუმართმოყვარეობას ველურობათ თვლის, ისევე ჩათვლის აზიელი ევროპიელის სტუმრის უპატივცემულობას, როგორც აზიელს, ისე ევროპიელს ამ შემთხვევაში თავ-თავიანთი საფუძველი აქვთ. ამიტომ, თუ გვსურს, რომ თვით ჩვეულება გავიგოთ, ამ საფუძველთ უნდა მივაქციოთ ყურადღება. ამასთან შეიძლება, რომელიმე მოვლენა, რომელიმე ჩვეულება „ველურობის“ ხალხის განუვითარებლობის მომასწავებელი იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს უეჭველათ, რომ თვით ჩვეულება ვითომ „ცუდს“, ზნეობის მხრით დასაგმობ რასმე წარმოადგენდეს... განვაგრძოთ...

ქართველი, მაგალითათ, ევროპიელზე ბევრათ უფრო სტუმართ მოყვარეა. ჩვენებურ ოჯახში ხშირათ არიან ხოლმე იმის ფიქრში, თუ „როგორ დახვდნენ სტუმარს, მტერს, მოყვარეს“. ხშირათ, ძალიან ხშირათ ოჯახის წევრნი თვითონ საჭმელს იკლებენ, ქათამს, ბატს, ინდოურს კვერცხს და სხვ. ინახავენ, თავიანთთვის ნაკლებს ხარჯავენ, იმ განზრახვით, რომ სტუმარი მოგვივა და სირცხვილს ვჭამთ, რომ არ დაგვრჩესო. ოჯახის წევრნი იკლებენ ტანთ-საცმელს, და ამზადებენ საბნებს, ლეიბებს, ბალიშებს, ზეწრებს, რომ, როცა სტუმარი ესტუმრებათ, კარგი სუფთა ლოგინი გაუშალონ და კარგათ მოასვენონ.

რასაკვირველია, მკითხველი არ იფიქრებს, ვითომ ასეთი გულკეთილობით მარტო ჩვენ, ქართველები, ვიყვნეთ ღვთისგან დაჯილდოვებულნი. უკვე მეცნიერულად გამოკვლეული და დამტკიცებულია, რომ სტუმართმოყვარეობა საზოგადოთ თვისება ყოფილა განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხთა. ასეთი თვისება შემჩნეულია სხვადასხვა „ველურ“ ხალხთა ცხოვრებაში და აწერილია მრავალ მოგზაურთა წიგნებში. ჩვენ აქ ორიოდე მაგალითს მოვიხსენიებთ მხოლოთ. ცნობილი მეცნიერის მორგანის სიტყვით სტუმართ მოყვარეობა ირიოკეზთა შორის მის დროს ყოფილა ძლიერი. რა დროც უნდა იყოსო, — ამბობს ის. — სტუმარი თუ მიადგა კარს ირიოკეზს, მასპინძელი ვალდებულია მაშინვე კარი გაუღოს მას, მიიწვიოს სახლში და პატივი სცეს. სტუმარი მისი სოფლელია, თუ სულ სხვა გარეშე ქვეყნის, ეს ამ შემთხვევაში სულ ერთია. ქალები სტუმარს გაუშლიან სუფრას, მოუტანენ საჭმელს და სასმელს. მასპინძელმა რომ ეს ასე არა ჰქნას, ეს ისეთი სირცხვილი იქნება, რომ მეტი არ შეიძლება. სტუმარს თუ შია, რასაკვირველია, ჭამს. თუ არა და — „ცოტას ხელს დაჰყოფს“ და მასპინძელს მადლობას გადაუხდის. — ასეთ სტუმართმოყვარეობაზე მოგვითხრობს ტაციტი ძველ გერმანელების შესახებ. მისი გადმოცემით,

გერმანელებში რომ ვისმე სტუმრისთვის საკმაოთ პატივი არ ეცა, დიდ სირცხვილს დაიმსახურებდა და ამისთვის კიდეც დაისჯებოდა. არ მგონიაო, ამბობს ტაციტი, იყოს ქვეყანაზე სხვა ხალხი ვერმანელებზე უფრო სტუმართ-მოყვარეო. თუ მასპინძელს არა აქვს თავისს სახლში საკირო ხორაგეულობა, რომ სტუმარს გაუმასპინძლდეს და პატივი სცეს, იმ შემთხვევაში ორივე, სტუმარმასპინძელი, მიდიან მეზობლისას, რომელიც ჩვეულების ძალით ვალდებულია ორივეს გაუმასპინძლდესო. სტუმარი მეგობარია, თუ უცნობი, ამას სრულიად ყურადღებას არ აქცევენ ამ შემთხვევაშიო. ვეზენბერგი ამბობს, კუნძულ სამოის მცხოვრებლებზე: თუ ვინმე მათგანი მოისურვებს რაოდენსამე ხანს სადგომი გამოიცვალოს და სხვა ალაგას იცხოვროს, ის სრულიად მოურიდებლათ მიდის სხვის სახლში და რჩება იქ, რამდენი ხანიც მას სურს. ამ დროის განმავლობაში ის სტუმარია და მას სახლის პატრონი უმასპინძლდება. თუნდა ძალიან შესაწუხებელიც იყოს მასპინძლისთვის ასეთი სტუმრობა, მას არას გამომჟღავნება არ შეუძლია, რადგან მათში ძუნწობისთანა სასირცხო არა არისრა. თუ ასეთი თვისება ვისმე გამოაჩნდა, იგი მთელი საზოგადოების ზიზღს და დაცინვას დაიმსახურებს. — მოგზაური პარკი მოგვითხრობს, თუ როგორი პატივისცემით და სიყვარულით მიიღეს იგი სენეგამბიაში ქალაქ კულფანის მცხოვრებლებმა: როგორ მივიდენ მასთან, როცა ის იწვა, იქაური ქალები და უმღერიდენ ნანინას დასაძინებლათ და ამ ნანინაში შემდეგს სიტყვებს აყოლებდენ: „ქარი ჰქროდა და წვიმდა, საწყალი თეთრი კაცი მოვიდა ჩვენში და ჩამოჯდა ჩვენ ხის ძირას; მას არ ჰყავს თან დედა, რომ რძე აძლიოს, არ ჰყავს ცოლი, რომ პური დაუმზადოს. შევიბრალოთ თეთრი კაცი, მას არ ჰყავს დედა“ და სხვ. — მეორე მოგზაური, რაფენელი, ასე აგვიწერს მის სტუმრობას იმავე ქვეყანაში: ჭილოფზე ვიწექი,—ამბობს ის; — მოვიდენ ადგილობრივი ქალები, შემომეხვიენ ჭილოფთან დაჩოქილნი და ზოგი მათგანი მარაოთი მაგრილებდა, ზოგი რძეს მაწვდიდა და ზოგიც შემწვარ ნიგოზსაო. თან დამღეროდენ და ამ სიმღერაში შემდეგ სიტყვებს ამბობდენო: „თეთრი კაცი შორი ქვეყნიდან მოვიდა ჩვენში ზღვით; ის ძალიან დაღალულია, ბევრი იარა და გზაში ზევიდან მზე აცხუნებდა; მას ძალიან ცხელა და ოფლი შუბლიდან წარწკალით ჩამოსდის, მას ძალიან შია და ძალიან წყურია; აიღეთ საუკეთესო ჭილობები და გაუშალეთ ქვეშ თეთრ კაცს, რომ მოისვენოს; აიღეთ დიდი მარაოები, გაიშალეთ წინსაფრები და უგრილეთ თავზე თეთრ კაცს, რომ შეაშრეს ოფლი, რომელიც შუბლზე ჩამოსდის; აიღეთ ლამაზი გოგრის ბოთლები, აავსეთ ყელამდის საუკეთესო რძით და მიართვით თეთრ კაცს, რომ მან მოიკ-

ლას წყურვილი“ და სხვ. — არაბთა სტუმართ-მოყვარეობა ხომ ყველამ იცის, ებრაელთა შესახებ თვით ბიბლიაში ბევრი მაგალითებია.

ასეთი მაგალითები მოგზაურთა სხვა-და-სხვა ხალხების ცხოვრების აღწერილობაში მრავალთ მრავალი მოიპოვება და ყველა ესენი იმის მაჩვენებელია, რომ ძველათ სტუმართ-მოყვარეობა ძალიან გავრცელებული ყოფილა და ახლაც გავრცელებულია იმ ხალხთა შორის, რომელნიც განათლება-განვითარების მხრით უკან ჩამორჩენილნი არიან. არა თუ მარტო სტუმართ-მოყვარეობა, არამედ ბევრი სხვა სიმპატიური მხარეებიც, როგორიც არის: მოყვასის სიყვარული, მეგობრობა, ამხანაგისთვის თავის დადება, შებრალება, დახმარება და სხვ. ასეთ ხალხებში ძალიან იყო და არის განვითარებული, ასე რომ ჩვენი დროის ესრეთ წოდებული ქველ-მოქმედება სრულიადაც „განათლების“ გამოგონილი არაა.

რასაკვირველია, ამას დამტკიცება არ უნდა, რომ სტუმართმოყვარეობა, საზოგადოთ, სტუმრის მიღება და პატივის ცემა მეტათ სიმპატიური თვისებაა. ევროპიელსაც, თუმცა იგი პრაქტიკულათ, თავის ცხოვრებაში სტუმრობის წინააღმდეგია, თეორიულათ მაინც სტუმართ-მოყვარეობა საქებურ თვისებათ მიაჩნია...

მაგრამ აქ რაღაც გაუგებარია, რაღაც არეულია... ევროპა ხომ განათლებული ქვეყანაა, იქ ცხოვრება წინ, ძალიან წინაა წასული; ევროპა მაგალითია სხვა ქვეყნებისათვის. ეს ყველა კარგი. მაგრამ ეს როგორ მოხდა, რომ სტუმართ-მოყვარეობა, თუ იგი კარგი, საქებური თვისებაა, სწორეთ ევროპაში, ამ განათლებულ-გაბრწყინვალებულ ქვეყანაში ჩამქრალა და დარჩენილა ისეთ ქვეყნებში, რომელთა ცხოვრების განვითარება ევროპასთან შედარებით გაცილებით უკანაა ჩამორჩენილი? გამოდის, რომ პროგრესი არ ნიშნავს ყოველი მხრით წინ სვლას... რკინის გზა, ელექტრონი, ტელეგრაფი, ქარხნები, ფაბრიკები, მანქანები — ეს პროგრესია, მაგრამ სტუმართ-მოყვარეობის, ვითარცა „სიმპატიური თვისების“, ჩაქრობა კი — რეგრესი, უკან სვლაა... როგორ მოხდა ეს? ავხსნათ.

II

რომ ეს კითხვა სავსებით ავხსნათ და შევიგნოთ, ამისთვის საჭიროა გავითვალისწინოთ ის საფუძველი, ის მიზეზები, რომლებსაც უნდა გამოეწვია თავდაპირველათ სტუმართ-მოყვარეობის წარმოდგომა და განვითარება.

ასეთ საფუძვლათ მეცნიერებს ძველი დროის წარმოების წესრიგი მიაჩნია. იმ დროს, რომელზედაც ჩვენ აქ ლაპარაკი გვაქვს, საწარმოვო

იარაღი იმდენათ განუვითარებელია, რომ თითოეულს ცალკე, სხვისგან დამოუკიდებლათ, არ შეუძლია ცხოვრებისთვის საჭირო მასალების მოპოება. ბუნება სასტიკია, ხოლო ადამიანის ძალა კი სუსტი. საჭიროა ძალთა შეერთება და საერთო ძალით ბრძოლა. ამიტომ ადამიანთა განვითარების პირველ საფეხურზე ჩვენ ვხედავთ სრულს კომუნიზმს (ერთობას) წარმოებაში; ნადირობაში თუ თევზაობაში საზოგადოების ყველა წევრნი თანასწორათ იღებენ მონაწილეობას. რა თქმა უნდა, როცა მხეცთან მიპარვის დროს დიდი სიფრთხილე და მოფიქრებაა საჭირო, იქ ყველა ვერ მიიღებს მონაწილეობას, არამედ რამდენიმე უფრო გამოცდილნი და საქმის მცოდნენი. მარა სამაგიეროთ სხვები ამ დროს ტყის გარშემო დგანან დარაჯებათ და გამოდენილ ნადირს უთვალთვალებენ. როცა ნადირობა დასრულდება, ნანადირევი ყველა მონაწილეთ შორის იყოფა და თვითეულს თვისი წილი უწევს, ასე რომ როგორც წარმოება საზოგადოებრივი ხასიათისაა, ისევე ნაწარმოების, ნადავლარის განაწილებაც ამ გვარივეა. აქ არ არსებობს წინააღმდეგობა, განხეთქილება წარმოებისა და ნაწარმოების განაწილების ფორმათა შუა, ე. ი. რახან ყველა ამგვარათ იღებს მონაწილეობას წარმოებაში, ისევე ყველა თანასწორათ სარგებლობს ნაწარმოებით. აქ მეტ-ნაკლებობა, დიდ-პატარაობა, შენ-ჩემობა არ არსებობს, ადამიანები ერთათ მუშაობენ, ერთათ სჭამენ და სმენ, ერთათ დადიან, ერთათ მხიარულობენ, ერთათ იბრძვიან, ერთათ სარგებლობენ მოპოებული ეოხებით. აქ ერთი განცალკევებული ადამიანი არაფერს არ ნიშნავს და არც შეუძლია მას განცალკევებულათ ცხოვრება. ის მხოლოთ მა'ძინ არის უშიშრათ, როცა ამხანაგებშია, როცა საერთო ჭირსა და ლხინ'ში მონაწილეობას იღებს. აქ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მთელ საზოგადოებას, მთელ გროვას, ამ დროის ადამიანი თავის ამხანაგთაგან გაბშორებას ისე უფრთხის, როგორც სიკვდილს. ველურისთვის საკუთარი საზოგადოებიდან გაგდება სიკვდილს ნიშნავს, რადგან მას საზოგადოების გარეთ ცხოვრება არ შეუძლია. ეს ისეთი სასტიკი სასჯელია, რომ ღმერთმა ძმის მკვლელს კაინს უბრძანა მხოლოთ თავის სოფელს მოშორებოდა, აგრეთვე დედის მკვლელს ორესტს ესევე სასჯელი გადაუწყვიტეს. „თავისიანებიდან განდევნილს, — ამბობს პოეტი თეოგნისი,—არ ჰყავს ერთგული ამხანაგნი და მეგობარნი და ამიტომ ასეთ განდევნაზე უფრო საშინელი სასჯელი არა არის'რა ქვეყანაზეო“.

ასე მჭიდროთაა შეკავშირებული ველური ადამიანი თავის საზოგადოებასთან. ამიტომ აქ ყველანი, ასე ვთქვათ, ერთ ერთეულს, ერთ პიროვნებას შეადგენენ. ერთი წევრი თავის თავს მეორისგან ვერ არჩევს, ვერ აცალკევებს, არამედ მასთან ერთათ, განუშორებლათ უნდა წარმოიდგინოს ხოლმე. ვთქვათ, ერთი საზოგადოების წევრმა ანდო

მეორე საზოგადოების წევრს რაიმე ნივთი ნისიათ და დანიშნულ დროზე მყიდველმა აღთქმული ფასი ვერ გადუხადა. მოვალეს უფლება აქვს მოსთხოვოს ვალი არა თუ მარტო იმას, ვისაც მან ნივთი მიჰყიდა, არამედ ყველა მის თანამოძმეებს. მისი წარმოდგენით მთელი საზოგადოება ვალდებულია ასეთი ვალი გადაიხადოს. ან, ვთქვათ, ერთმა ვინმემ შეჰლახა საერთო ღმერთის კერპი; ამ შემთხვევაში ღვთის რისხვას ელოდება არა მარტო დამნაშავე, არამედ მთელი საზოგადოება. აქ კერძო პირის დანაშაულობა მთელი საზოგადოების დანაშაულობაა, როგორათაც მთელი საზოგადოების კუთვნილებაა ყველაფერი, რასაც კი თითოეული წევრი მოიპოვებს და შეიმუშავებს.

კერძო საკუთრებაზე ამ დროის კაცს წარმოდგენა სრულიად არა აქვს. „ინდიელთა ძმური ურთიერთობაო,—ამბობს იეზუიტი შარლევუა,—უეჭველია იქიდან წარმოდგება, რომ მათ არ იციან თუ რა არის ჩემი და შენი, — ეს, იოანე ოქროპირის სიტყვით, გაყინული სიტყვებიო. ის დახმარება, ის ზრუნვა, რომელსაც ისინი უწევენ ობლებს, ქვრივებს, უძლურთ, სტუმართ პატივისცემა, ყველა ეს იმის შედეგია, რომ ყველაფერს, რაც მათ აქვთ, ისინი საერთო კუთვნილებათ სთვლიანო". ამასვე იმეორებს მეორე მოგზაური ლაოტანი: „ველურებმა არ იციანო, — ამბობს ის, — თუ რას ჰქვია შენი და ჩემი, რადგან რაც ერთს ეკუთვნის, ის იმავე დროს მეორეს კუთვნილებაც არის. საზოგადოთ მათ არ იციან აგრეთვე ფულის ხმარება და თუ ხმარობენ ფულს, მხოლოთ ისინი, რომელნიც ჩვენს ქალაქებთან ახლოს ცხოვრობენ და გაქრისტიანებული არიანო. დანარჩენთ ფულის დანახვაც კი ეზარებათ. ფულს ისინი ფრანგების გველს (serpent des français) ეძახიან. იმათ საკვირველათ მიაჩნიათ, რომ ქონება ზოგს მეტი ჰქონდეს და ზოგს ნაკლები და ვინც უფრო მდიდარია, იმას რომ მეტს პატივს ცემდენ, ვინემ ღარიბს...“ „...მართალია, იმათში არ მოიპოვებიან მდიდრები, მარა აგრეთვე არც ღარიბნიო, ამბობს ვეზენბერგი. ავათმყოფთ მოხუცთ, უსინათლოთ, დავრდომილთ ყოველთვის შეუძლიათ მათში სახლი, სასმელ-საჭმელი და ტანისამოსი მოიპოვონ, როცა ეს მათ ესაჭიროებათ. თუ დაუკვირდებით კანაკელებს, იმათ ქონებას, დაინახავთ, რომ ყველაფერი, რაც კი მათ გააჩნიათ, ბევრათ ნაკლებია იმაზე, რაც ჩვენში სულ ღარიბი კაცის საკუთრებას შეადგენს; მარა, მიუხედავათ ამისა, რომის მცხოვრებმა არ იცის, თუ რა არის სიღარიბე: ეს შემეცნება მისთვის სრულიად უცხოა. მას არც კი შეუძლია წარმოიდგინოს, რომ სადმე ქვეყანაზე არიან ღარიბნი, რომლებსაც არ აქვთ სახლი, საჭმელი, ტანისამოსი... „როგორ შეიძლება ესო? ამბობს ის: თვითოეული ხომ სადმე დაბადებულა, მაშასადამე მას ჰყავს მეგობრები, მას აქვს სამშობლო: რატომ ეს მეგობრები არ წაიყვანენ

მას თავის სახლში და არ მისცემენ საჭმელ-სასმელს და ტანისამოსს, ნუ თუ მათ არა აქვთ ერთმანერთის სიყვარულიო?!.“

როგორც ვთქვით, ძველი დროის კომმუნელი, ყველაფერს იყოფს თავის ამხანაგებთან ერთათ: ჭირს, ლხინს, ქონებას... დარვინი მოგვითხრობს თავის მოგზაურობის აღწერილობაში ერთ ფუეგიელზე, „ველურზე“, რომელმაც ერთი საჩუქრათ მიღებული საბანი დაჭრა და თავის ამხანაგებს დაურიგა... „მაუდის უბრალო ნაჭერსაც კი ჰგლეჯენ და იყოფენ ერთმანერთში თანასწორათო“, ამბობს იგივე დარვინი. კლუჩაკის სიტყვით, „როგორც სადილი, აგრეთვე ყველაფერი სამზადისი, რაც კი მოიპოვება ესკიმოსების სოფელში, საზოგადო კუთვნილებას შეადგენს. სანამდის სანოვაგე არ გამოლევიათ და უკანასკნელი ხორცის ნაჭერი მოეპოვებათ, მანამდის ყველას აქვს მათში თავისი წილის მიღების უფლება და განაწილების დროს ყველანი მიიღებიან ხოლმე სახეში, განსაკუთრებით უშვილო ქვრივები და ავათმყოფნი...“.

ასე ძლიერია პირველ ყოფილ კომმუნის წევრთშორის საზოგადოებრივი გრძნობა და კავშირი. ძმობა, მეგობრობა, ერთი მეორის დახმარება, შებრალება. თანასწორობა—აი ამ ძველებურ კომმუნისტურ წეს წყობილებაშია დაბადებული. რომელიმე „ველური“ ბოშიშანელი თუ მდინარის პირათ უცაბედათ მკვდარ ვეშაპს წააწყდა, თუნდა რომ შიმშილითაც ჰკვდებოდეს, ხელს არ ახლებს, იგი წავა თავის ამხანაგებთან, ნაპოვნს გააგებიებს, შემდეგ ყველანი მოიყრიან თავსა და საჭმელს ერთათ შეექცევიან... თავის ამხანაგებს კომმუნელი არ უღალატებს, რომ თავის თავი დაიხსნას შიმშილისგან ან საზოგადოთ გასაჭირიდან დარვინი მოგვითხრობს ასეთ ამბავს სამს ინდიელზე. ჩხუბის დროს ინდიელებმა გაუგზავნეს არგენტინის (ამერიკაში) რესპუბლიკის მმართველს სამი მოციქული მოსალაპარაკებლათ. მმართველმა სამივე დაიჭირა და უნდოდა მათგან მოჩხუბარ ინდიელების შესახებ ცნობები გამოეტყუა, მაგრამ მათგან ამაზე ცივი უარი მიიღო. გაჯავრებულმა მმართველმა ბრძანა — დაეხვრიტათ. დააყენეს ერთათ სამივე, თოფები დაუმიზნეს და უთხრეს, თუ ჩვენ კითხვაზე პასუხს არ მოგვცემთ და არ გვეტყვით საიდუმლოს, დაიხვრიტებითო. ორმა უარი თქვა, — „არ ვიციოთო“ და დაჰხვრიტეს. შემდეგ მესამემაც მიუგო: „არ ვიციო“ და დაუმატა: „მესროლეთ! მე ვაუკაცი ვარ და შემიძლია საქებურათ მოვკვდეო“! ასე და ამგვარათ არც ერთმა მათგანმა არ გასცა თავისიანები.

ამ ძველ დროს ეკუთვნის სტუმართ-მოყვარეობის გრძნობის წარმოდგომაც. თუ ჩვენ დროში სტუმართ-მოყვარეობა მხოლოდ „კარგ რამეთ, საქებურ თუ სიმპატიურ თვისებათაა მიჩნეული, მაშინ წინააღმდეგ. ეს ჩვეულებრივ, უბრალო მოვლენას შეადგენდა და მეტი არაფერი.

ასეთი ჩვეულება მაშინ თვით მატერიალურ, ცხოვრებაში არსებულ პირობებიდან გამომდინარეობდა. ინდიელს სწამს, რომ ღმერთმა ქვეყანა ყველას სასარგებლოთ გააჩინა და რაც რამ ქვეყანაზეა, ყველას საერთოთ უნდა ეკუთვნოდეს; როცა ღმერთმა დედა მიწა დაასახლა და ტყეში ნადირი გაამრავლა, — ეს არა ერთის ან ორის სასარგებლოთ, არამედ საერთოთ, ყველას საბედნიეროთ მოიმოქმედა. მართალიაო, სჯის ის, მე მოვჰკალ ნადირი, მოვიტანე სახლში, მარა ის ნადირი, სანამ მე მოვკლავდი, საერთო ტყეში იზრდებოდა; ის სიმინდი, რომელიც მე დავთესე, საერთო მიწაზე აღმოცენდა. მაშასადამე, ყველა ეს საკუთრათ მე არ მეკუთვნის, არამედ საერთოა. სტუმარიც „საერთოს", საზოგადოების რიცხვში ურევია და ამიტომ ჩემი მონაგარით მასაც შეუძლია სარგებლობა... ასეთი შეხედულება დრო და ჟამის განმავლობაში თანდათან გაფართოვდა და თუ წინეთ საკუთარი სოფლის, საკუთარ საზოგადოებაში მცხოვრებ სტუმარს ერგებოდა ოჯახში მიღება და პატივის ცემა, შემდეგ ყველა ეს სხვა საზოგადოებიდან, შორიდან მოსულ სტუმარზედაც გადვიდა და გავრცელდა...

ბევრმა დრომ გაიარა, ბევრი ხალხი განვითარების გზაზე წინ წავიდა, ძველებური კომმუნისტური წესწყობილება მიიმალა, მის მაგიერ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ფორმები წარმოსდგა და განვითარდა, მარა ძველებური სტუმართ-მოყვარეობა კიდევ დიდ ხანს ცოცხლობდა ადამიანის გონებაში და ჩვეულებაში, რადგან საზოგადოდ ერთხელ შეთვისებული, შეჩვეული იდეები და წარმოდგენანი მათი რეალური საფუძვლის დანგრევის და გაქრობის შემდეგაც რჩებიან ადამიანის გონებაში...

მაგალითათ, ჩვენ ქართველები, კომმუნისტურ წეს-წყობილებას დიდა ხანია გამოვცილებივართ, მარა სტუმართ-მოყვარეობა ასე თუ ისე ჩვენში კიდევ არსებობს, თუმცა ძველებურთან შედარებით ძალიან სუსტათ და მილეულათ: რაც დრო მიდის, თანდათან ჩვენც ვიტოვებთ ამ ჩვეულებას, ახლა ისე ძველებურათ აღარ ვეკიდებით მხარში სტუმარს, „არ ვაგლეჯთ კალთებს", დიდ ხანს აღარ ვეხვეწებ-ვემუდარებით „შენი ჭირიმე, მოგვიცადე, პატივი გვეცი, რაც ღვთის და ბატონის წყალობა გვაქვს, მივირთვათ ერთათ და ვიმხიარულოთო..." ან თუ ხანდისხან ვეხვეწებით, დავპატიჟებთ, ეს მხოლოთ შესახედათ, „ვალს ვიხდით", და სტუმარმაც კარგათ უნდა იცოდეს, რომ ყველა ეს მხოლოთ მოგონილია, ფარისევლურია და თუ წავა და მოგეშორდება, ძალიან მოხარულნიც ვიქნებით... თვით ჩვენი ცხოვრება შესამჩნევათ იცვლება და ამის შესაფერათ ჩვეულებაც უნდა შეიცვალოს... ამ სტრიქონების დამწერს ახსოვს, რომ გურიაში ხშირათ მონადირე მის მიერ ნანადირევი-

დან თავის მეზობლებს წილს, „მოსაკითხს“ გაუგზავნიდა. დღეს კი ამ-
გვარი აღარა ხდებარა. მონადირემ ათიც ველური ღორი ან შველი რომ
მოჰკლას ტყეში, თავის მეზობლებს ერთ პოპოკსაც არ გაუგზავნის...
ან და: ვინ არ იცის, ჩვენში ქორწილ-ტირილზე უზომო ხარჯი იციან და
ძველათ კიდევ მეტი იცოდენ. განსაკუთრებით ტირილზე. ათასზე მე-
ტი სული შეიყრებოდა და მასპინძელი ყველას უნდა გამასპინძლებო-
და, ე. ი. მიერთმია კარგი საჭმელი, კარგი სასმელი, „სატირალიდან“
დაბრუნებული ხალხი უფრო ხშირათ იმაზე ლაპარაკობდა, თუ როგო-
რი „წაგება“ ე. ი. მაგარი ხარჯი ჰქონდა მასპინძელს, როგორ „გააპა-
ტიოსნა“ ჭირისუფალმა მიცვალებული... თუ ვინმე სიღარიბის გამო
კარგ პურმარილიანობას ვერ გამოიჩენდა, იმაზე გაიძახოდენ მოხუ-
ცი დედაკაცები: „ფუი, ფუი! ამას ჰქვია, წავხდი, ჭირის უფლობა!
ღვინო არ უვარგოდაო“!.. ახლა კი, ახლა აბა უყურეთ რას იწერება გუ-
რული კორესპონდენტი: „... ახლა-ხან იჩინა თავი მაგალითმა, რომელ-
მაც ნათლათ დაგვიმტკიცა, რომ ხალხი გრძნობს ქელეხის მავნებლო-
ბას... ამას წინეთ აქ იყო შემთხვევა: ერთმა ოჯახმა უარჰყო ტირილ-
ზე ჩვეულებრივი ქელეხი. საზოგადოების თითქმის უმეტესმა ნაწილ-
მა სიხარულით მიიღო ეს მოვლენა, ჩვეულებრივი პატივი სცეს მიც-
ვალებულს. სასაფლაომდის მიაცილეს და შემდეგ სადილისთვის (გას-
ვენება თერთმეტ საათზე მოხდა) ყველა თავ-თავის სახლში დაბრუნ-
და („ცნობ. ფურც.“ №217). ასეთი ამბავი ჩვენში 20—30 წლის წინეთ
ვერ მოხდებოდა.

მარა ახლა დავუბრუნდეთ ევროპას...

III

ევროპაში რისთვის გამქრალა სტუმართ-მოყვარეობა? რისთვის არ
იცის ევროპიელმა სტუმრის მიღება და პატივის ცემა? ამის მიზეზი
თვით ევროპის სოციალური ცხოვრებაა. სტუმართ-მოყვარეობას აქ რე-
ალური ნიადაგი არა აქვს და უნიადაგოთ ხომ ვერაფერი ვერ იხეი-
რებს. ძველ დროში, როცა სტუმართ-მოყვარეობა წარმოდგა და განვი-
თარდა, წარმოება და ნაწარმოების საზოგადოების მიერ მოხმარება
კომმუნისტურ წეს-რიგზე იყო დამყარებული. ევროპის ახლანდელ
ცხოვრებაში კი სასტიკი ინდივიდუალიზმი მეფობს. თუ არ ვცდები,
ჰობსმა შემდეგი სიტყვები — Bellum omnium contra omnia (ბრძო-
ლა ყველასი ყველასთან) — ძველი დროის „ველურების“ საზოგადოე-
ბათა შესახებ წარმოთქვა. ძველებურ კომმუნისტურ საზოგადოების შე-
სახებ ასეთი აზრი შემცდარათ უნდა ჩაითვალოს, მარა სამაგიეროთ იგი

დღევანდელ ევროპის ცხოვრებაზე ზედ გამოჭრილია და სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. დიაღ, ევროპის თანამედროვე ცხოვრებაში სასტიკი ბრძოლაა გამეფებული, სწორეთ აქაა, რომ ყველა ყველას ებრძვის. ავიღოთ, მაგალითად, ფაბრიკანტი, ზავოდების, მანქანების პატრონი. ებრძვის ფაბრიკანტი ფაბრიკანტს. თითოეული ცდილობს მეორეს აჯობოს, შეტოქობა გაუწიოს, საკუთარი საქონელი გაჰყიდოს და მეორე მშრალზე დატოვოს. ვინც უფრო იეფათ ჰყიდის საქონელს, შეყიდველსაც ის შოულობს. ამიტომ ყოველი ფაბრიკის პატრონი, ყოველი კაპიტალისტი მუდამ იმის ცდაშია, რომ საქონელი, რაც შეიძლება, ნაკლებ ფასათ დაისვას. ეს შეიძლება მანქანების გაუმჯობესებით და მუშისთვის ნაკლები ქირის ძლევით. იგი იძულებულია მუდამ თავის მეტოქეს უთვალთვალოს, მისი წარმოების საიდუმლოება გაიგოს, რომ თვის სასარგებლოთ გამოიყენოს. ვინც მეტ საქონელს დაამზადებს და ამასთან დაკლებულ ფასათ, გამარჯვებულიც ისაა. ის ფირმა კი, რომელიც გუშინ მილიონებს ატრიალებდა და რომელსაც დღეს წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებაში მეორემ აჯობა, კრახს იძახის და მისი მილიონები ჰაერში იფანტება... ებრძვის წვრილი მწარმოებელი მსხვილს, ე. ი. პატარა კაპიტალისტი დიდს. პატარა შეძლების მწარმოებელს, რასაკვირველია, არ შეუძლია იმდენი საქონლის დამზადება, რამდენიც დიდს. ამასთან მას საქონლის დამზადებაც შედარებით ყოველთვის უფრო ძვირათ უჯდება, ვინემ იმას, რომელსაც უშველებელი ფაბრიკა-ზავოდები აქვს, მრავალი მუშა ხელი, დიდძალი გაუმჯობესებული მანქანები, დიდძალი შედარებით ნაკლებ ფასათ ნაყიდი დასამზადებელი მასალა. მიუხედავათ ამისა, ჩვენ წარმოვიდგინოთ, რომ ორივეს, დიდსაც და პატარასაც, საქონელი ერთ ფასათ დაუჯდება, ბაზარზე მაინც მსხვილი მწარმოებელი აჯობებს წვრილს. პირველი, რადგან მას დიდი კაპიტალი აქვს, შედარებით წვრილთან ბევრ საქონელს ამზადებს და, მაშასადამე, ბევრსაც იგებს. წარმოება წვრილებს თანდა-თან ხელიდან ეცლებათ და დიდი კაპიტალისტების ხელში გადადის.—ებრძვის კაპიტალისტი მუშას და მუშა კაპიტალისტს. პირველი ცდილობს მუშა მეტ ხანს ამუშაოს, მეტი საქონელი დაამზადებიოს, მეტი ოფლი დააღვრევინოს და ქირა კი ნაკლები მისცეს. თუ კაპიტალისტი წინეთ მამაკაცს ჰქირაობდა და ამუშავებდა, შემდეგ მან მუშას ოჯახიდან ცოლი, ქალიშვილი გამოსტაცა და თავის ფაბრიკაში შეგოიყვანა სამუშაოთ; ეს იმ განზრახვით, რომ ქალის შრომა ნაკლებ ფასობს და სამუშაოში ნაკლები ხარჯი გასვლოდა. მაგრამ ის ასე ქირა დაკლებულ მუშა-ქალითაც არ დაკმაყოფილდა და ოჯახიდან გამოიყვანა სულ ჩვილი ბავშვებიც სამუშაოთ, რომ ამით საქონლის დამზადება კიდევ ნაკლებ ფასათ დაესვა. ამ გვარათ მან ბრძოლა თვით გაღა-

ტაკებულ ოჯახშიაც შეიტანა და ქმარი და ცოლი, დედ-მამა და შვილები სარჩოს მოსაპოვებლათ ერთი ერთმანერთს შეატაკა... ებრძვის მუშა კაპიტალისტს, ცდილობს ნაკლებათ გააყვლეფინოს თავი, ტანჯვა შეიმციროს, მეტი ქირა მიიღოს.... ეს ბრძოლა გადადის მწერლობაში, პოლიტიკაში, კანონმდებლობაში... ებრძვის.., აბა, ვინ არ იბრძვის აქ? ებრძვის მედუქნე მედუქნეს, მოხელე მოხელეს, ექიმი ექიმს, მასწავლებელი მასწავლებელს და თვით სკოლაშიაც კი ბრძოლაა მოწაფეებისა (კონკურსი, ეგზამენი, „დიპლომი"). ყველა იბრძვის და აქ ბრძოლაში ყველას ნერვები დაჭიმულია...

ასეთი ბრძოლა არსებობისათვის ხელს არ უწყობს, რასაკვირველია, ისეთი მხარეების განვითარებას, რომლებსაც ეკუთვნის, მაგალითათ, სტუმართმოყვარეობა, და, თუ გნებავთ, საზოგადოთ მოყვრის სიყვარული, შებრალება, დახმარება, სხვისთვის თავის დადება, თავის თავის განწირვა და ბევრი სხვა ასეთი კარგი რამეები. ასეთი თვისებანი ძველებურ იდეალურ ცხოვრებას ეკუთვნის, აქ კი იდილიას ადგილი არა აქვს. ცხოვრების მეხანიზმი სულ სხვაგვარათაა მოწყობილი. შეიძლება კერძო ადამიანი ძალიან კეთილი გულისაც იყოს, თვისი მოყვასი ძალიანაც ებრალებოდეს, მაგრამ ცხოვრებაში, პრაქტიკულ მოქმედებაში ის ამას ვერ გამოიჩენს, სურვილს საქმეთ ვერ აქცევს. ავიღოთ მაგალითი. წარმოვიდგინოთ, რომ კაპიტალისტი, როგორც ადამიანი, ძალიან კეთილი გულის კაცია, სხვისი ტანჯვა მასაც ტანჯავს, სხვისი შეწუხება მასაც აწუხებს და აღონებს. მაგრამ შეუძლია კი მას ნამდვილ ცხოვრებაში მუშები არ დატანჯოს, არ გაყვლიფოს, არ მოატყუოს? რასაკვირველია, არა. მანაც ისევე უნდა ჰყვლიფოს მუშა ხალხი, ისევე უნდა ტანჯოს, როგორც ამას მისი მოწინააღმდეგენი შვრებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მან მუშებს მეტი ქირა აძლია და ნაკლები ამუშავა, მის ფაბრიკა-ზავოდში დამზადებული საქონელი სხვისაზე უფრო ძვირათ დამზადებული გამოდგება, ბაზარზე მას ამ ხარჯის კვალობაზე არავინ იყიდის, რადგან სხვები უფრო იეფათ ჰყიდიან, ერთი სიტყვით „გულ-კეთილი" კაპიტალისტი კონკურენტებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს და გაკოტრდება; დარჩება მას ხელში მხოლოთ თვისი „გულ კეთილობა", რომელიც არც იჭმება, არც ისმება და არც გაიყიდება...

ვინ მოთვლის, ვის შეუძლია გაითვალისწინოს, რამდენი სული ადამიახი უმსხვერპლია ევროპის სასტიკ ბრძოლას და რამდენი ახლა იწირება მის მსხვერპლათ. თუ როგორ სისასტიკემდის, როგორ შეუბრალებლობამდის მიდის ეს ბრძოლა, ამის დანახვა მკითხველს შემდეგი ორიოდ მაგალითიდანაც შეუძლია. — როგორც ვთქვით, კაპიტალისტები საქონლის გაიაფების ძებნით გატაცებულნი, იქამდის მივიდენ, რომ მათ

მუშათა ოჯახებიდან გამოჰყავთ ჩვილი ბავშები და თავიანთ ფაბრიკებში ამუშავებენ. ამ მხრით განსაკუთრებით უკვდავი სახელი მოიხვეჭეს დევონშირის ფაბრიკანტებმა. მათ ფაბრიკა-ზავოდებში შეჰყავთ 3—4 წლის ბავშები და წკეპლების ცემით აჩვევდენ მანქანების ხმარებას. თუ პატარა წვალებულნი შიმშილით ღონე მიხდილნი ტირილს დაიწყებენ, მათ მიაბამდენ სკამებზე მანქანებთან და წკეპლების ცემით დააჩუმებდენ... თუ წინეთ პატარა ბავშვების მიერ თავის მკვლელობის მაგალითი წარმოუდგენელი იყო, ასეთი მაგალითები აქ მოხდა და შემდეგ თან-და-თან გახშირდა.—ამაზე არა ნაკლებ სასახელოთ ექცეოდენ კაპის (Le Cap) მადნებში მუშა-ზანგებს კაპიტალისტები. აქ მუშებს დღით და ღამით ადგენ თავზე დამბაჩებით შეიარაღებული მეთვალყურეები და უდარაჯებდენ, რომ მათ ძვირფასი ქვები არ მოეპარათ. მაგრამ კაპიტალისტებს ასეთი თვალყურის გდება საკმარისათ არ მიაჩნდათ, მაინც ეპვი ჰქონდათ, რომ მუშები ძვირფას თვლებს მოიპარავდენო. ამისთვის მათ ერთგვარ ბუნებრივ მოთხოვნილებას ბრძანებით შეასრულებიებდენ და შემდეგ განავალს სინჯავდენ, თუ ვინმემ ჩაყლაპა თვალი, აქ გამოჩნდებაო... ან და, აი, როგორ ოინებს ჩადიოდენ და, იქნება, ჩადიან კიდევ ახლაც ინგლისელი და გერმანელი გემის პატრონები. დააზღვევენ დიდძალ ფულში ყოვლად უვარგის, დაძველებულ და მოშლილს და გაუშვებდენ ზღვაში. რასაკვირველია, ასეთ გემებს ზღვის ტალღები ადვილად ამსხვრევდა, გემზე მოსამსახურეები დამტვრეულ გემთან ერთათ ზღვის ძირში თევზების სარჩოთ ხდებოდენ და კაპიტალისტები კი დამზღვევ საზოგადოებიდან დაღუპულ გემის ფასს იღებდენ და თავის უთვალავ სიმდიდრეს კიდევ სიმდიდრეს უმატებდენ. რაში ენაღვლებოდათ მათ ზღვაში ჩამარხული მოსამსახურეები; — ერთ ქართულ გაზეთში ამას წინეთ ვრცელი წერილები იბეჭდებოდა „შაუმოვის სელდებზე". რასაკვირველია, „შაუმოვები" ყოველ ზნეობადაუჩლუნგებელ ადამიანში ზიზღს გამოიწვევენ. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ამით მაინც შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი, რომ ბედს შაუმოვები მარტო ჩვენთვის არ ურგუნებია. ევროპასაც ჰყავს თავისი შაუმოვები და ევროპიული სხვა-და-სხვა საქონლის ფალსიფიკაცია, გაყალბება „შაუმოვის სელდებს" არ ჩამოუვარდება. თუნდა ის გავიხსენოთ, რომ ინგლისში გამომცხვარ პურს ანალიზი უყვეს და აღმოჩნდა შიგ შაბი, საპონი, კირი და ცარცი!.. და ეს ყველა ერთი ერთმანერთში არეული „პურის" სახელით იყიდებოდა...

ასეთი ბრძოლაა, ასეთი სისასტიკეა შინაურობაში „თავისიანებში". ბრძოლა სხვა ხალხთან, სხვა ნაციასთან ამაზე ბევრათ შეუბრალებელია. აი, დავუგდოთ ყური, როგორ აგვიწერს ჩუდი პორტუგა-

ლიელების გამგეობას ამერიკაში და პორტუგალელ კოლონისტთა ქცევას ინდიელების მიმართ. „პორტუგალელნიო,—ამბობს ის,—საგანგებოთ წვრთნიდენ დიდ ძაღლებს განსაკუთრებით ინდიელებზე სანადიროთ და საცა შეუბრალებელი მონადირე თვითონ ვერ იპოვიდა მტერს, იქ გაწვრთნილი მეძებარი უწევდა დახმარებას და მტერს უჩვენებდა, აფიცრები ერთმანერთს ეჯიბრებოდენ ასეთი ძაღლების მოპოებაში და ერთმა მათგანმა ისეთ ველურობამდის მიაღწია, რომ თავის ძაღლებს ინდიელების ხორცს აჭმევდა და ამგვარათ ნადირობისთვის „ჰგეშავდა“. როცა ინდიელებით ვაჭრობა გავრცელდა, მათ თითქმის სრულიად დაეკარგათ ფასი და ამიტომ ექსპედიციების, ე. ი. ინდიელებზე ნადირობის დროს პორტუგალელნი იმას კი აღარ ეძებდენ, რომ ისინი დაეჭირათ და ტყვეთ წაეყვანათ, არამედ იმის ცდაში იყვენ, რომ რაც შეიძლება, მეტი გაეწყვიტათ, მათ გასაწყვეტათ არც ერთ სამარცხვინო საშუალებას არ ერიდებოდენ. ტყეში ჰკიდებდენ სკარლატინით და ყვავილით გარდაცვალებულთა ტანისამოსებს იმ განზრახვით. რომ ინდიელები ამ ტანისამოსებს წაიღებენ და ამ გვარათ მათში გავრცელდება მოარული და ერთიანათ გაწყვეტსო...“—იქნება, თქვათ, ეს ამბები ძველი დროისაა. ჯერ ერთი რომ ეს არც მაგდენი ძველი დროისაა და გარდა ამისა ასეთივე საზიზღარი ამბები სულ უკანასკნელ ხანებშიაც ხდებოდა. მაგალ., „1880 წ. ცელლერი (მოგზაური) დაჰპატიჟა კუკტოუნის აფიცერმა ინდიელებზე ნადირობის საყურებლათ, რასაც იგი უბრალო გართობისათვის ჩადიოდა,—ჩრდილო ამერიკელები უტახის უდაბნოების ჭებში ტრიხინებს ამრავლებდენ, რომ წითელ კანიანები ამ ჭებიდან წყლის ხმარებით მოწამლულიყვენ, ინგლისელი კოლონისტები ტასმანიაში სწყვეტდენ ადგილობრივ მკვიდრთ, რომ მათი ხორცი ძაღლებისთვის ეძლიათ სარჩოთ...—ინგლისელი ქალები ავსტრალიაში შიმშილობის დროს ფქვილში თაგვის შაქარს ურევდენ და ისე აძლევდენ ადგილობრივ მათხოვრებს, რომ სრულიად გაეწყვიტათ...“.

როგორც ხედავს მკითხველი, ევროპის ცხოვრებაში იდილია აღარაა, არამედ გამწარებული ბრძოლაა, ბრძოლა სიკვდილ-სასიცოცხლო. მოელი ამ ბრძოლის მიზანი კი ქონების, ფულის შეძენაა. ფული! აბა, რა არ არის ფული? ფული ყველაფერია. რა არ შეუძლია ფულს, რას ვერ გააკეთებს ფული? ყველაფერს. „ფული ვისაც აქვს, კაციც ის არის“! რას ვერ იშოვით ფულით?! ფული გაქვთ, — ბატონი ხართ, არ გაქვთ ფული — ყმა. აქ ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ყველგან ფული გჭირიათ, უფულოთ ერთ ფეხს ვერ გადადგამთ. არ გაქვთ ჯიბეში ფული, — გარეთ ტყვილა ნუ გადიხართ. ან რის მაქნისი იქნებით, რას ნახავთ, რას გაიცნობთ, რას იშოვით, ვინ რას მოგცემთ! მაგ-

რაშ ფული ქუჩაში არ ჰყრია, მას ტყვილა არავინ მოგცემს, მის მოსაპოებლათ შრომაა საჭირო და უშრომლათ მას მდიდარს გარდა ვერავინ იშოვის. აქედან წარმოდგება ფულის დაზოგვის საჭიროება, ყაირათი, ანგარიში. ევროპიელი მუდამ ანგარიშშია: მიდის ბაზარში—ანგარიშობს. გზა რა დაუჯდება; ყიდულობს,—ანგარიშობს; სვამს, ჭამს,—ანგარიშობს. ჩვენში გაძღომა მუცლით იზომება, აქ კი—დანახარჯით. ევროპიელმა დღეს ჩვეულებრივ ჭამა,—ეყო, არ ეყო, გაძღა, არ გაძღა, — ეს სულ ერთია: უნდა იკმაროს. ქართველი დღეს „მაგრათ გაძღება“ და ხვალინდელ დღეს აღარ უყურებს, თუნდა ბმიერიც იქნეს. აქ კი ამ ჭკუას არ მისდევენ. ევროპიელს უნდა დღესაც გაძღეს და ხვალაც. მიტომ ზომიერათ გამოანგარიშებულათ, როცა მას ცოტა ჩვეულებრივზე გადაჭარბებულათ სმა-ჭამა უნდა, „ლხინი“ უნდა, ის ამისთვის დიდიხნით წინეთ ინახავს ფულს, განსაკუთრებით ამ მიზნისთვის „განზე“ გადადებს, ასე რომ „ლხინი“ მის ჩვეულებრივ ცხოვრებას არ არყევს, არ შლის.

III

წინეთ ვთქვით, ოჯახი, როგორც ჩვენ ვართ ამას შეჩვეული, აქ არ არსებობსო. ამასაც ანგარიშთან აქვს დამოკიდებულება. ოჯახში საჭმლის გაკეთება ძვირათ დაჯდება, რესტორანში გაკეთებული კი უფრო იეფათ იყიდება. სახლში საჭმელი ხუთიოდე სულისთვის უნდა გაკეთდეს, რესტორანებში კი ათასი სულის საჭმელი ერთათ კეთდება, ცხადია, იქ გაკეთებულიც უფრო იეფათ უნდა იქნეს, ამას გარდა ოჯახში საჭმლის გაკეთებას დრო უნდა და აქ კი დრო—ფულია. ნაცვლათ საჭმლის კეთებისა აქაური ქალები საქმეზე არიან: მაღაზიებში, დუქნებში, ზავოდებში, კანტორებში, სახელოსნოებში, მუშაობენ და ფულს იღებენ. ჩვენ ქალებს მუშაობა საზოგადოთ ან მუშაობის ზოგიერთი დარგი სასირცხოთ მიაჩნიათ. აქ კი არავის ფიქრათ არ მოუვა, რომ მუშაობაში რაიმე სასირცხო და სათაკილო დაინახოს. ფული მუქთათ არ იშოვება და ამიტომ ყველა იძულებულია (მდიდრებს გარდა, რასაკვირველია) გაისარჯოს, იშრომოს და ფული მოიპოვოს.

მთელი ევროპის ცხოვრება საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე, ყიდვა-გაყიდვაზეა აშენებული და ამ ყიდვა-გაყიდვის ჩარხი კი ფულია. ძველ დროში, როცა ვაჭრობა არ იყო განვითარებული, ხალხი ვაჭარს და ფულს ზიზღით უყურებდა. აი, როგორ გამოთქვამს ცეზარი თავის თანამედროვეთა აზრს ვაჭრობის შესახებ: „დუქანი და ვაჭრობა—ამ-

ბობს ის — პატიოსანი კაცის საკადრისი არაა. ვაჭარს, თუ არ იცრუა არ შეუძლია მოგება და ცრუობაზე უფრო სასირცხო რამე კიდევ შეიძლება? ყველა ისათი მოხელეობა, რომელნიც ჰყიდიან თავიანთ შრომას და ნაწარმოებს, სასირცხოთ და საზიზღარ რამეთ უნდა ჩაითვალოს, რადგან ვინც თავის შრომას ფულის გულისთვის იძლევა, ის ამით ჰყიდის თავის თავს და მონის მდგომარეობაში გადადის!.. რა თქმა უნდა, ახლა ევროპაში ცეზარის თვალით აღარ უყურებენ ვაჭრობას და ის, რასაც ცეზარი სასირცხოთ თვლიდა, ახლა ძალიან მოწონებაში და პატივშია. ევროპაში ყველაფერი ყიდვა-გაყიდვაა. იყიდება ნივთი, იყიდება თვით ნივთის გამკეთებელი — ადამიანი, იყიდება ნამუსი, პატიოსნება, სირცხვილი... მუშა, რომელსაც თავისი მკლავების მეტი არა გააჩნია რა, იძულებულია ფულის გულისთვის მიჰყიდოს თავი კაპიტალისტს და მისი ყმა გახდეს, ესრეთ წოდებული „ინტელიგენცია“ იძულებულია მდიდრების მოჯამაგირეობა იკისროს. ქალი, რომელიც ღარიბია, იძულებულია თავისი სილამაზე გაჰყიდოს, საკუთარი სხეულით ივაჭროს. ვინ მოთვლის, რამდენ კაცს საკუთარი პიროვნების ღირსებაზე და თავმომწონეობაზე აღებინებს ხელს ფული!.. შედიხართ, მაგალითად, variété-ს ტიპის თეატრში და, აი, ასეთ სანახავს ხედავთ: გამოდის სცენაზე ახალგაზრდა კაცი და თავის „ხელოვნებას“ უჩვენებს ხალხს. ჰბაძავს ვირის, ჯორის, აქლემის და სხვა ცხოველთა სიარულს და ხტუნვას; ათასნაირათ იღმიჭებ-იგრიხება, გორავს მიწაზე და სხვ. უყურებთ გაკვირვებული და თან ფიქრობთ იმაზე, თუ რამდენი დრო, რამდენი შრომა უნდა მოენდომებია ამ კაცს. რომ ასე საუცხოოთ, ასე სავსებით შეესწავლა ვირის ყროყინი და კუნტრუში; იქვე სცენაზე ვხედავთ ახალგაზდა ქალს, რომელსაც ღოთობისგან და გარყვნილებისგან ხმა დაჰკარგვია, მარა მაინც მომღერლათ თვლის თავის თავს; მღერის უწმაწურ ფრანგულ ლექსებს, თან უხეიროთ ფეხებს ატრიალებს, მოკლე კაბას ზევით იწევს და თავზე იფარებს; ხტის, ტაშის დაკვრისთვის, მადლობის ნიშნათ ხელით კოცნას გიგზავნისთ და შემდეგ, დასასრულ, pour la bonne bouche, ტიტველი ცოცხალ სურათათ გეჩვენებათ სცენაზე...

ყველა ეს და ათასი ამგვარი რამეები სულ ფულის გულისთვის ხდება. ასეთია ფულის ძლიერება. ახალგაზდა კაცს, რომელიც სხვა გარემოებაში, შეიძლება, საზოგადოების სასარგებლო წევრი ყოფილიყო, ფული პირად ღირსებას, პირად თავმომწონეობას აკარგვინებს. საცა ცხოვრება ამგვარათაა მოწყობილი, იქ, რა თქმა უნდა, ხალხს სტუმრობისთვის და „მრავალჟამიერისთვის“ აღარ ცალია. ქეიფი და უდარდელათ ცხოვრება ევროპაში მხოლოთ მდიდრებს შეუძლიათ.

ღარიბი კი მუდამ ლუკმა-პურის ძებნაშია, მუდამ შრომაშია, მაგრამ ასეთი მუდმივი ჯაფის მიუხედავათ იგი მუდამ სიღარიბეშია, მუდამ ნახევრათ მშიერია. ბურჟუაზიული წარმოების თვისება ისეთია, რომ აქ მდიდარი მუდამ მდიდრდება და, ჩვენებური ანდაზის არ იყოს, — „ვისაც ჰქონდეს, იმასვე მიემატოსო“, სწორეთ ისე მის მილიონებს მუდამ მილიონები ემატება. ღარიბი მუშა ხალხი კი, რომლის ოფლითაც ეს მილიონები კეთდება, ყოველთვის ცარიელ-ტარიელი რჩება და სიღარიბის ბნელეთში შიმშილით და სხვა-და-სხვა ავათმყოფობით უდროვოთ წუთი სოფელს ესალმება. აი, რას ამბობს ამის შესახებ სტატისტიკა: ბერლინში 1—5 წლის ბავშვთა 5% იხოცება საზოგადოთ, მაგრამ ღარიბთა შორის ეს 34 ½%-ით გამოიხატება. ბრიუსელში მდიდართა შორის ბავშვების 6% იხოცება, ხოლო ღარიბებში კი 54%. ერფურტში ჰკვდებიან 30 ½% პროლეტარების შვილები, მდიდრების შვილები კი 8—9%. პარიჟში მდიდართა უბანში (Madeleine) მცხოვრებთა 10% იხოცება, ხოლო ღარიბთა უბანში (Montparnasse) 43%. ვენაში 1881—1891 წწ. მიცვალებულთა რაოდენობა ასეთია: მდიდრების უბანში 11,99% და ღარიბებისაში 28,49%. ლიონში იხოცება 35% ღარიბებისა და 10% მდიდრების. ინგლისში საშუალო რიცხვით მდიდრები ცოცხლობენ 44 წელს, ხოლო ღარიბები 19,58 წელს.

ასე გამოიხატება გავლენა მუშა ხალხზე შიმშილის, ცუდი სადგომის, დაღალულობისა. ერთი მწერლის გამოანგარიშებით, დანების დასამზადებელ ფაბრიკებში მუშამ დღეში 28000-ჯერ უნდა დაჰკრას ჩაქუჩი, რომ დღიური ლუკმა პურის ქირა მიიღოს.

მაგრამ, იქნება, ეს პროგრესი იყოს? იქნება მთელი საზოგადოების წინმსვლელობისთვის საჭიროა, რომ უმრავლესობა სიღარიბეში იღრჩობოდეს და საზოგადოების მცირე ნაწილი კი განცხრომაში და ფუფუნებაში იყვეს? ზშირათ გაიგონებთ, „დარვინმა დაამტკიცაო“ და სხვ... ბურჟუაზიულ წეს-წყობილების დამცველთ და წარმომადგენელთ ხშირათ მოჰყავთ არსებული წესწყობილების დასაცველათ, საზოგადოების კლასსებათ დაყოფვის დასაკანონებლათ დარვინის სახელი, დარვინის მოძღვრება. ბუნებას ასე უნებებიაო, ამბობენ ისინი, რომ ქვეყნათ დიდპატარაობა, ძლიერნი და უძლურნი, რჩეულნი და არა რჩეულნი ე. ი. მდიდარნი და ღარიბნი არსებობდენო და ცხოვრების მეჯლისშიაც მხოლოთ მდიდრებს უნდა ჰქონდეთ ალაგი, რადგან თვით ბუნებისაგან ისინი არიან რჩეულნიო...

მართლა ასეა? ვნახოთ. მხოლოთ მკითხველს ვთხოვოთ არ დაივიწყოს, რომ ჩვენ ევროპაზე, ევროპის სოციალურ მდგომარეობაზე გვაქვს ლაპარაკი. ყველა ქვეყნებზე ერთგვარათ სჯა, რასაკვირველია,

არ შეიძლება, რადგან რაც ერთი ქვეყნისთვის პროგრესს ნიშნავს, ის, შეიძლება, მეორე ქვეყნისთვის უკვე რეგრესსი იყოს....

IV

რა თქვა დარვინმა?

მკითხველმა რასაკვირველია, იცის, რომ დარვინი ეკონომისტი არ იყო, იგი ადამიანთა ცხოვრებას, სოციოლოგიურ კანონებს არ იკვლევდა. ის იყო ბიოლოგი და მისმა გენიალურმა თეორიამ ბიოლოგიაში მართლაც მთელი ეპოქა შეჰქმნა. ხსენებული თეორია მოკლეთ ასე გამოიხატება: ბუნებაში ყველა ორგანიულ არსებათა საყოფი საკვები მასალა არ მოიპოვება, ორგანიული არსებანი მუდამ მრავლდებიან, ხოლო ბუნებაში არსებული საკვები მასალა კი ერთ დონეზე დგას. აქედან წარმოდგება ცხოველთა შორის ცხოვრებისთვის აუცილებელი ბრძოლა. სიცოცხლე ყველას უნდა, მარა რახან ბუნებას სარჩო ყველასთვის არ დაუმზადებია, ყველა იძულებულია იბრძოლოს, ერთმა მეორეს სარჩო გამოტაცოს და თავისი თავი შიმშილით სიკვდილს გადაარჩინოს. ვინც სუსტია, ვინც უძლურია, ის ამ ბრძოლაში კვდება, მას ძლიერი, ღონიერი ერევა და მისი წილი სარჩოც ღონიერს მიაქვს. მარა აქ „ღონიერი“ იმ აზრით არ უნდა გვესმოდეს, რომ ვითომ ვინც ბრძოლაში იმარჯვებს და ცოცხალი რჩება, ის უთუოთ ფიზიკურად მართლა ღონიერი იყოს. ცხოვრებისათვის ბრძოლაში გამარჯვება საზოგადოთ განისაზღვრება არა ფიზიკური ღონით, ძალით, არამედ იმ გარემოების მიხედვით, თუ რამდენათაა ორგანიზმი ბუნებრივს არეს შეთანხმებული, შესაბამებული. ამ გვარათ ბრძოლაში „ძლიერნი“ ე. ი. ბროძლისთვის უფრო განვითარებულნი, ბუნებრივ არესთან უფრო შეთანხმებულნი იმარჯვებენ, ხოლო სუსტნი, რომელთაც ბრძოლის ატანა არ შეუძლიათ, იხოცებიან. თანდათან რჩება ორგანიზმთა საუკეთესო ელემენტები, ასე ვთქვათ, არისტოკრატია, რომელიც შთამომავლობას გადასცემს თავის საუკეთესო, ბრძოლის მოთხოვნილებასთან შეთანხმებულს თვისებებს. მაშასადამე შემდეგი შთამომავლობა ყოველთვის უფრო განვითარებულია წინანდელზე და ამგვარათ ცხოვრებისთვის ბრძოლას ცხოველნი მუდამ განვითარებისკენ, პროგრესისკენ მიჰყავს.

გამოქვეყნდა თუ არა დარვინის თეორია, მოჰყვენ მდიდრები ცეკვას, ტაშის ცემას და მათ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ხუმრობა საქმეა! საკუთარი ბატონობის დასაკანონებლათ მათ მეცნიერული საფუძველი, მეცნიერული არგუმენტიც იშოვეს! აჰა, სოციალისტების უვიცობა,—მათ მეცნიერების არა იციან რა, დარვინი არ შეუაწავ-

ლიათ... გამოდის, რომ ბრძოლა ბუნების კანონია, აუცილებელი კანონია და მისი მოსპობა შეუძლებელია. გამოდის, რომ საზოგადოებაში ფაქტიური უთანასწორობის აცილება არ შეიძლება, ესეც ბუნების კანონია, სუსტნი ე. ი. ღარიბნი უნდა გაწყდენ და ცხოვრებაში ალაგი მხოლოთ რჩეულთ, პროგრესიულ ელემენტთ უნდა დარჩეს. და ეს „რჩეულნი", ეს პროგრესიული ელემენტი კი ჩვენ, მდიდრები ვართო... ამიტომაო,—ეუბნებოდენ ისინი მთავრობას,—არ ჩაერიოთ საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრების ურთიერთობაში,—ღარიბთა, „სუსტთა" საჯარგებლოთ რასაკვირველია,—არ გამოცეთ მუშა ხალხის მფარველი კანონები, რადგან, წინაღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ხელს შეუწყობთ ისეთი ელემენტების სიკვდილისაგან გადარჩენას, რომლებიც თვით ბუნებისაგან განწირულნი არიან სასიკვდილოთო... თქვენ ამით პროგრესს შეაფერხებთ, მთელ კაცობრიობას დაღუპავთო!.. გაგვიშვით ჩვენ, ჩვენ ვართ, რაცა ვართ, — laissez faire, laissez passer-ო... თქვენ კი, უტოპისტებო, ოცნებით მოცულნო, — ეუბნებოდენ ისინი მუშათა ქომაგთ, — თქვენ უტოპიებს თავი დაანებეთ და მეცნიერებას, დარვინის ნამდვილი მეცნიერება შეისწავლეთო...

როგორც ვთქვით, დარვინის თეორიამ მთელი ეპოქა შექმნა ბიოლოგიაში. ურიცხვი წიგნები, უთვალავი „პოპულარიზაციები" დაიწერა დარვინის თეორიის შესახებ, გარდა ამისა, მოგეხსენებათ, ყოველგვარი დიადი მოვლენა, მომხდარი ერთ რომელსამე ხალხში, ვრცელდება სხვა ხალხებშიაც. დარვინის თეორიაც გავრცელდა არა მარტო მეცნიერებაში და მეცნიერებში, არამედ უბრალო მომაკვდავთა შორისაც, ასე რომ დღეს დარვინი და დარვინის თეორია გიმნაზიის მეოთხე კლასის შეგირდსაც კი აქვს გაგონილი... ამიტომ, თუ ევროპის ბურჟუაზია დარვინის სახელს თავის კლასსიური ინტერესების დასაცველათ იყენებს და ბურჟუაზიულ „მეცნიერთ" ხსენებული თეორია ბიოლოგიიდან სოციოლოგიაში გადააქვთ, ჩვენში მოიპოვებიან ისეთი „ინტელიგენტები, რომელნიც ამას უბრალო გულმარტივობით ჩადიან. მაგალითათ, „მოამბის" მარტის ნომერში შემდეგს წაიკითხავთ: „ბუნებისთვის სულ ერთია, ვინ დაიჩაგრება და ვინ გაიმარჯვებს, მხოლოთ ეა კი ნამდვილია, რომ უკეთესი დარჩება და უარესი მოისპობა. თუ ყოველთვის ასე არ არის, ეს ცალკე შემთხვევაა და არა კანონი. ამას ხომ დარვინიც გვიმტკიცებს არა ნაკლებ საფუძვლიანათ... რა დროს მოისპობა ბრძოლა? მაშინ, როდესაც კაცობრიობას, აგრეთვე ყოველ ცხოველს, მოესპობა სურვილი თავის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მოკლეთ, რომ ვთქვათ: ან სიცოცხლე და მიუცილებელი ბრძოლა, ან სამარადისო მშვიდობა საფლავსა შინა...".

სწორედ უნუგეშო მდგომარეობაში იქნებოდა მთელი კაცობრიობა, ამ ქართველი პესიმისტის და ევროპის ბურჟუაზიის აზრი რომ მართალი იყოს. მართალ, საერთოდ, ასეთი აზრი კლასიური ინტერესების, ან უბრალო გულუბრყვილობის შედეგია.

სრულიად შემცდარად უნდა ჩაითვალოს დარვინის თეორიის ბიოლოგიიდან სოციოლოგიაში გადმოტანა და ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამ თეორიის საფუძველით ახსნა-გამორკვევა. მართალია, ადამიანთა საზოგადოებაშიაც და ცხოვრებაშიაც ბრძოლაა, ცხოვრებისათვის ბრძოლა. მარა ეს ერთი ერთმანეთისგან დიდად გადირჩევა. ადამიანთ შორის ბრძოლა სხვა გვარად წარმოებს, ვინემ ეს ცხოველებშია.

პირველად, ეკონომიურ ბრძოლაში ებრძვის ადამიანი ადამიანს ე. ი. თავისს მსგავსს, მაშინ როდესაც ცხოველებში ბრძოლა სულ სხვა ხასიათისაა, სახელდობრ იქ ერთი გვარის ცხოველები ებრძვიან მეორე გვარისას. შინაურობაში, თავისიანებში კი მშვიდობიანობაა. ადამიანთ შორის ასეთი ცხოველური ბრძოლა პირველ ყოფილ კომმუნისტურ წეს-წყობილების დროს არსებობდა; როცა თითოეული საზოგადოება (gens) მუდამ სხვა საზოგადოებას ებრძოდა, ამ დროს ადამიანი წმინდა ველურ მდგომარეობაში იყო და მას ძალიან განუვითარებელი საწარმოვო იარაღი ჰქონდა.

მეორე თავი-და-თავი განსხვავება ადამიანურ და ცხოველურ ბრძოლას შუა ის არის, რომ ცხოველი იბრძვის თავისი საკუთარი სხეულით, ან სხეულის ნაწილებით: კლანჭებით, ფეხებით, კბილებით, ე. ი. აქ ბრძოლა წმინდა ორგანიულია, მაშინ როდესაც ადამიანთა შორის ეს ხელოვნურ ნიადაგზე წარმოებს და ბრძოლა ხელოვნური, წარმოებისთვის გამოგონილი იარაღებით სრულდება. ცხოველი იბრძვის თავის სხეულის ნაწილებით და ამ ბრძოლაში მისი ორგანიზმი თანდათან ვითარდება. ამასთან ის იბრძვის წმინდა ბუნებრივს არეში ე. ი. მისი შექმნილ-გაკეთებული იქ არაფერია. ცხოველი იკვებება იმითი, რასაც ბუნება მზა-მზარეულათ აწვდის. ბუნების მიერ დამზადებულ საკვებს ის თავის შრომით არას უმატებს. ადამიანი კი მარტო ცხოველი როდია, არ არის ცხოველი მისი საწარმოვო იარაღის განვითარების წყალობით. მეცნიერულათ გამოკვლეულია და ცხად-ყოფილი, რომ რამდენათაც ადამიანი ახალ-ახალ იარაღებს იგონებდა, იმდენათ ის განვითარების გზაზე წინ მიდიოდა. კაცობრიობა განვითარების სულ დაბალ საფეხურზე ველურ მდგომარეობაშია, იკვებება ხილით და ხის ძირებით, ტყეში ხეებზე ცხოვრობს და ცხოველებისგან თითქმის არაფრით განირ-

ჩევა. ის შემდეგ თან-და-თან გამოდის ასეთი მდგომარეობიდან, რადგან თან-და-თან იგონებს იარაღებს: ცეცხლს, შვილდს, ისარს, თიხის ჭურჭლეულობას, კაჟის ცულს, დანას, შემდეგ ბრონზის, სპილენძის და რკინის იარაღებს, ელექტრონს, რკინის გზას, ტელეგრაფს, საქსოვ და სხვა ათას გვარ მაშინებს. მთელი თანამედროვე ევროპიული წარმოება უზარმაზარი მაშინებით სრულდება და საქმეც ის არის, რომ ეს მაშინები, ახლანდელი წარმოებისთვის საჭირო იარაღები, საზოგადოების მცირე ნაწილის, მდიდრების ხელშია. უმაშინებოთ ევროპიული წარმოება ყოვლად შეუძლებელია. მთელი ეკონომიური განვითარება, წინსვლა ამ გაუმჯობესებული მაშინების წყალობით ხდება და რახან ეს მაშინები კაპიტალისტებს აქვთ, მუშა ხალხიც ე. ი. ხალხი, რომელმაც უნდა იმუშაოს, რომ თავისი ოფლით თავი დაირჩინოს, იძულებულია კაპიტალისტების ფაბრიკა-ზავოდებში წავიდეს, სადაც ეს მაშინებია მოგროვილი და მათი შემწეობით საქონელი დაამზადოს. ღარიბს, რომელსაც თავისი მკლავების მეტი არა გააჩნია რა, რასაკვირველია, არ შეუძლია ეს ძვირფასი მაშინები შეიძინოს და თავის სასარგებლოთ გამოიყენოს. ეს რომ სხვა ნაირათ იყოს, მაშინ ისიც ხომ კაპიტალისტი იქნებოდა.

ამ განვითარებული მაშინების წყალობით მთელი საზოგადოების ქონება, სიმდიდრე საკვირველი სისწრაფით ვითარდება; თუ ბუნების მიერ ცხოველთათვის საკვების რაოდენობა განსაზღვრულია, აქ ამას ადგილი აღარ აქვს. ევროპიული ტეხნიკა დღითი-დღე ახალ სასწაულებს შვრება, ასე რომ ტყუილია ის აზრი, ვითომ მთელი კაცობრიობის ნაწარმოები ყველას სარჩოთ და საკეთილდღეოთ საკმარისი არ იყოს. და თუ ახლა კაცობრიობის უმრავლესობა სიღარიბეში იტანჯება, ხოლო ერთი მუჭა მდიდრები განცხრომაში არიან, ეს მხოლოთ საზოგადოებაში არსებულ წესწყობილებიდან წარმოდგება. ევროპის მართვა-გამგეობა ბურჟუაზიის ხელშია და, რასაკვირველია, მის სასარგებლოთ მოწყობილიც.

ცხადზე უფრო ცხადია, რომ სიმდიდრეს ადამიანის ორგანიზმის განვითარებასთან არაფერი კავშირი არა აქვს. რასაკვირველია, მდიდარი ღარიბზე უფრო კარგა ცხოვრობს, კარგს ჭამს, კარგს სვამს, ნებივრობს და ამიტომ მეტსაც ცოცხლობს. მაგრამ მისი სიმდიდრე იქიდან კი არ გამომდინარეობს, რომ მდიდარი ვითომ „რჩეული“ იყოს და, როგორც ორგანიზმი. სხვებზე უფრო განვითარებული. მის სიმდიდრეს მუშა ხალხი ჰქმნის მუდმივი ოფლის დენით, შეუწყვეტელი მუ-

შაობით. ამ მუშაობის ჯილდოთ მას მცირე ნაწილი ეძლევა ქირათ, ხოლო უდიდესი წილი კი საწარმოვო იარაღების პატრონს, ე. ი. კაპიტალისტს.

ერთი იტალიელი ეკონომისტი მდიდრებს პარაზიტებს ადარებს და, ჩვენი აზრით, საუცხოოთაც. მოგეხსენებათ, პარაზიტი სხვა განვითარებული ორგანიზმების სხეულით იკვებება. იგი შეუძვრება, მაგალითათ, სპილოს, ლომს ტყავში და იქ წოვს იმათ სისხლს. ეს არის მისი საკვები. სპილო, ლომი ბევრს წვალობს, ბევრს იტანჯება, მარა რას მოუხერხებს, რას უზამს იმ პაწაწკინა, უჩინარ ცხოველს, რომელიც მას სხეულში ჩაჯდომია და ხორცს ჰგლეჯს. მეტი რა გზა აქვს, უნდა ითმინოს და მისი სისხლის მწოველი, საცა წავა, ყველგან თან ატაროს. აქ გამარჯვება პარაზიტებისაა. მარა ნიშნავს ეს იმას, რომ პარაზიტები ლომზე და სპილოზე უფრო „რჩეულნი“, უფრო პროგრესის, განვითარების წარმომადგენელნი არიან? ბრძოლაში გამარჯვება პარაზიტს არ ავითარებს. იგი მუდამ პარაზიტათ უნდა დარჩეს, მუდამ განუვითარებელი, რომ შეიძლოს სხვა ორგანიზმის ტყავში შეძრომა და სხვისი სისხლით თავის კვება.

კიდევ მაგალითი: წარმოვიდგინოთ მილიონების პატრონი, მაგრამ ამასთან ბრმა, კოჭლი, ჭლექიანი ან დამბლა დაცემული, — ასეთი წარმოდგენა დამეთანხმეთ, ძნელი არაა. ასეთი მდიდარი დააჯიბრეთ ღარიბს სირბილში, მარა მილიონერი ეტლით, ხოლო ღარიბი კი ფეხით. რა თქმა უნდა, ეტლში ჩაბრძანებული ბურჟუა გაასწრებს ფეხმარდ პროლეტარს. მარა ნიშნავს ეს იმას, რომ ხსენებული ბურჟუა ფეხმარდ ღარიბზე უფრო განვითარებულია სხეულით, უფრო „რჩეულია“? — რასაკვირველია, არა. აქ მისი უპირატესობა ხელოვნურია და არა ორგანიული.

წინააღმდეგ: ქონებრივი პრივილეგია განვითარების მაგივრათ ასუსტებს, აძაბუნებს ორგანიულათ მდიდართა კლასს. მუდამ ნებივრობა, მუდამ დასვენება, სიზარმაცე, ბევრი ჭამა, ბევრი სმა, ბევრი ქონი და ნანასებური ზნეობის გამხრწნელი როსკიპები — ყველა ეს ერთი ერთმანეთში ზავდება, რომ ბურჟუას ფიზიკურ სიმრთელეს ბოლო მოუღოს...

მარა თუნდა დავივიწყოთ ყველა ეს. ვთქვათ, რომ ყველა მდიდრები განვითარებულ ორგანიზმებს წარმოადგენენ და ბრძოლაშიაც. ბუნების კანონის ძალით, იმათ უნდა გაიმარჯვონ. ყველა ეს ტყუილია მარა ერთ წუთს სიმართლეთ ჩავთვალოთ. მათი შვილები? შთამომავლობაც, უეჭველათ, ასეთი უპირატესობისაა. ნუ თუ ამის გამო ის წინსვლის, პროგრესსის ჰომძსწავებელია? კაპიტალისტი სიკვდილს შემდეგ თავის მილიონებს შვილებს უტოვებს, რომლებსაც ამ უთვალავი

სიმდიდრის შექმნა-შეძენაში ერთი თითიც კი არ გაუსძრევიათ. იმათში თუნდა ბევრი იდიოტიც იყოს, ცხოვრებაში გამარჯვებული მაინც ის არის, მაშინ როცა ღარიბის შვილი, თუ გინდ ის ბუნებით გენიოსური ნიჭით იყოს დაჯილდოებული, მაინც სიღარიბეში მოკვდება. რადგან შეუძლებლობის გამო სასწავლებელში ვერ შევა, სწავლას ვერ მიიღებს, თავის ბუნებრივ ნიჭს ამ გვარათ ვერ გაზრდის და ვერ გამოიჩენს. და რომ ბურჟუათა შთამომავლობა თან-და-თან სუსტი გამოდიოდეს, ამას ხელს უწყობს თვით ბურჟუაზიული ცოლქმრული შეუღლება, ქორწინება. ახალგაზდა, ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე ცოლ-ქმრისგან უფრო ჯანსაღი შთამომავლობაც წარმოდგება. ასეთი შერჩევა (selection) კაცობრიობის ფიზიკურ განვითარებას ხელს უწყობს, მარა ბურჟუაზიამ ფული და ანგარიში ქორწინებაშიაც გადაიტანა და ბურჟუაზიული ქორწინება ისეთსავე ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტს შეადგენს, როგორც ყველა ჩვეულებრივი ვაჭრული კონტრაქტი. ბურჟუა ცოლის შერთვასაც მოგება-წაგების თვალით უყურებს, ქალი, რომელსაც ბევრი ფული აქვს, თუნდა ბებერიც იყოს, ოთხმოცი საყვარელიც გამოეცვალოს, დამჭკნარი და სიცოცხლე გამოლეული, მაინც იშოვის ახალგაზრდა ქმარს, რომელიც მას ფულის გულისთვის შეირთავს და ამგვარათ ცოლის მზითევით მდიდარი გახდება. მარა ასეთ საპატარძლოს თვით დიდი კაპიტალის პატრონიც კი არ დაიწუნებს, რადგან მას წარმოებაში რაც მეტი ფული ექნება, მით უკეთესია, მით მეტ მოსაგებს იშოვის, მით მეტათ გაადიდებს თავის სიმდიდრეს. ქორწინება კი რას დაუშლის? სახლში ერთი ბებერი ქალი მოემატება, რომელსაც „ცოლი" ერქმევა, მაგრამ ეს მარტო სახელი იქნება, რადგან საყვარლები ბლომათ იშოვებიან... „ხან მოხუცი მამაკაცები ყიდულობენ ახალგაზდა ქალებს და ხან ბებერი ქალები ახალგაზდა ვაჟებსო", ამბობს ლეტურნო და მოჰყავს ამის დასამტკიცებლათ სტატისტიკური ციფრები. ამ ციფრებიდან ჩანს, რომ საფრანკეთში ერთ მილიონ ქორწინებათა რიცხვში 769 ქორწინება ხვდება 18—35 წლ. ვაჟებს, რომელნიც 50 წლისაზე უფრო ხნიერ ცოლებს ირთავენ, ხოლო 651 ქორწინება 18—35 წლის ქალებს, რომლებიც მიჰყვებიან ცოლებათ 60 წლისაზე უფრო ხნიერ ქმრებს. ეს ციფრები, ცხადია მხოლოთ მდიდრებს შეეხება: მდიდარ კაცებს და ქალებს. 18 წლის ღარიბი ქალი რასაკვირველია, 70 წლის ღარიბ მოხუცს არ შეირთავს ქმრათ... ამასთან ეკვი არაა, რომ აქ მოყვანილი ციფრები სინამდვილეზე ძლიან დაშორებულია.

„Bellum omnium contra omnes — ამბობს ზემოხსენებული ეკონომისტი, — თუ დაბალ არსებათა შორის აუცილებელი საფუძველია

პროგრესის, განვითარებისა, ადამიანთა საზოგადოებაში იგივე bellum ადამიანთა დაცემის, რეგრესსის მიზეზს წარმოადგენს და კაცობრიობა თავისი განვითარების, წინსვლის საშუალებას ასეთ მხეცურ ბრძოლაში არ უნდა ეძიებდეს. ის, რაც ბუნებაში დაბალ არსებათა პროგრესის აუცილებელი პირობაა, ადამიანთათვის საკმარისი არაა, რადგან ადამიანი—ადამიანია ე. ი. ცხოველებზე უფრო განვითარებულია, უფრო მაღლა დგას. რისთვის უნდა ვფიქრობდეთო, კითხულობს ის, რომ სასტიკი ბრძოლა ძლიერთა და სუსტთა კაცობრიობაში მუდამ უნდა არსებობდესო"?..

და რომ კაცობრიობაში ერთ დღეს ბრძოლა, რომ ერთ დღეს homo homini lupus (კაცი კაცის მგამელია) არ იქნება, ეს არა უბრალო „ფიქრია" ფანტაზიური კეთილი სურვილი, არამედ მეცნიერების, ნამდვილი კლასსიური ინტერესების გარეშე მყოფ მეცნიერების. გამოკვლეული და დამტკიცებულია. და როგორ გგონიათ? სწორეთ ამ სასურველი მამულის შემქმნელი მხოლოდ მუშა ხალხია, ის მუშა ხალხი, რომელიც, ბურჟუათა აზრით, დაბალ საზოგადოების წარმატებისთვის მავნებელ ელემენტს წარმოადგენს... ეს „სუსტი", ეს „რეგრესსიული" ელემენტი ნამდვილად მთელი კაცობრიობის პროგრესსის მატარებელია და რომ სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ, მარტო ეს გარემოება სრულიად თვალსაჩინოთ ჰხდის იმათ აზრის შეცდომილებას, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ ადამიანთა საზოგადოებაში ბრძოლა აუცილებელია და ამ ბრძოლიდან გამარჯვებულნი ძლიერნი ე. ი. ჩვენი დროის მდიდრები წარმოადგენენ პროგრესსისთვის რჩეულ ელემენტსაო...

ვიმეორებთ, — თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სიმდიდრესა და ამ სიმდიდრის პატრონს ვითომ და ორგანიულ უპირატესობას შუა არავითარი კავშირი არაა. მდიდრის ფიზიკური აგებულება და მისი მატერიალური ქონება—სულ სხვა-და-სხვაა. სიმდიდრე ბურჟუაზიის ორგანიულ აგებულების განვითარებას ხელს არ უწყობს, — წინააღმდეგ, ასუსტებს და აძაბუნებს მას.

V

ყველა ჩვენ მიერ აქ ნათქვამი საკითხის, ანუ ვთქვათ, ბიოლოგიურ მხარეს შეეხებოდა: ადამიანს, როგორც ორგანიზმს და მისი ფიზიკური აგებულების განვითარებას. ჩვენ ვნახეთ, რომ მილიონების აუცილებელ შედეგს არ შეადგენს თვით ამ მილიონების პატრონის სხეულის განვითარება, ე. ი. ქონებით გამდიდრებას არ მოსდევს შედეგათ ადა-

მიანის ორგანიზმის „გამდიდრება“, წინსვლა, რადგან ბურჟუაზიულ წეს-წყობილებაში სიმდიდრე, მილიონები ადამიანის ფიზიკური განვითარების წყალობით არ შეიძინება.

რასაკვირველია, ყოველი ადამიანი ორგანიზმია და ადამიანთა კრება — ორგანიზმები, ასე რომ ბურჟუათა კრებულიც ორგანიზმთა გროვას წარმოადგენს. მარა ეს ორგანიზმები საზოგადოებრივი ორგანიზმები არიან, საზოგადოებაში ცხოვრობენ, საზოგადოებრივ ურთიერთობაში არიან, ე. ი. ისეთ წრეში, რომელიც თვით ამ ორგანიზმთა და მის მსგავსთა მიერ არის შექმნილი და, მაშასადამე, ხელოვნურია და არა ბუნებრივი. ამიტომ ადამიანთა გროვაზე, როგორც ორგანიზმთა უბრალო კრებულზე, მსჯელობა არ შეიძლება. ბურჟუათა კრებული წარმოადგენს არა უბრალო ორგანიზმთა კრებულს, არამედ განსაზღვრულ საზოგადოებრივ კატეგორიას, განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასს. კლასთა ურთიერთ შორის ბრძოლა, საზოგადოთ ურთიერთობა შეადგენს შინაარსს კაცობრიობის ისტორიისას...

ადამიანთა საზოგადოებაში, მას შემდეგ რაც მას ისტორიულად ცხოვრება დაუწყია, ყოველთვის არსებულა სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი კლასები. ყოველი კლასი პირველათ საზოგადოების წინ-მსვლელობისათვის პროგრესიული ყოფილა, რადგან მისი დაბადება და განვითარება თვით საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებას და განვითარებას გამოუწვევია. მარა, როგორც კი მას დაუსრულებია თვისი საზოგადოებრივი მოვალეობა,—რასაკვირველია, შეუგნებლათ—იგი გამქრალა საზოგადოებრივი ასპარეზიდან და მისი ადგილი სხვა, უფრო პროგრესიულ, ცხოვრების მოთხოვნილებასთან უფრო შეთანხმებულ კლასს დაუჭერია.

ევროპის თანამედროვე ბურჟუაზიაც პირველათ საზოგადოებრივ განვითარებისთვის დიდ პროგრესიულ ელემენტს შეადგენდა, მარა მან უკვე შეასრულა თვისი მისსია და ახლა იგი ევროპისთვის რეგრესის (უკან დახევის) მეტს არას წარმოადგენს და მისი სიცოცხლე რამდენიმე წლითაა და არა საუკუნით დათვლილი. კლასი რომელმაც მას ცოცხი უნდა მოუსვას, მუშა ხალხია.

განვიხილოთ ეს. ჯერ ბურჟუაზიის ზრდა-განვითარების ისტორია მოვიგონოთ და სიტყვაც აქ მასწავლებელს დავუთმოთ, რადგან ის ჩვენზე ბევრათ უკეთესად იტყვის.

„საშუალო საუკუნოების ყმებისგან წარმოდგენ პირველი ქალაქების მცხოვრებლები და ამათგან—ბურჟუაზიის შემადგენელი ნაწილები.

„ამერიკის აღმოჩენის და აფრიკის გარშემო ნაოსნობის წყალობით ნორჩ ბურჟუაზიას ახალი საბოქვედო ასპარეზი გაუჩნდა. ინდოეთის და ჩინეთის ბაზარმა, ამერიკის კოლონიზაციამ, კოლონიალურმა ვაჭრობამ, ფულის და საქონლის გამრავლებამ ფართო გზა და მისწრაფება მისცა ვაჭრობას, ზღვაოსნობას, მრეწველობას და ამგვარათ ხელი შეუწყო ფეოდალური საზოგადოების რევოლუციონურ ელემენტების განვითარებას.

„წარმოების ძველ წესს აღარ შეეძლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომლებიც, ახალი ბაზრების გაჩენით, თანდათან იზრდებოდა. ხელოსნობამ, რომელიც ფეოდალური პრივილეგიებით იყო გარემოცული, მანუფაქტურას დაუთმო ადგილი. ცეხების გამგეთა ადგილი წვრილმა მწარმოებელმა ბურჟუაზიამ დაიჭირა და შრომის განაწილება, რომელიც წინეთ სხვა-და-სხვა კორპორაციებს შორის არსებობდა, სახელოსნოში გადავიდა“.

აქედან იწყება კაპიტალისტური წარმოების განვითარება. ცხენების არსებობის დროს ვაჭარი-კაპიტალისტი — საქონლის დასამზადებელ მასალას მოხელეს აძლევდა და ეს უკანასკნელი დაკვეთილს საქონელს თავის სახლში ცოლ-შვილის დახმარებით ამზადებდა და მუშაობაში ვაჭრისგან გარიგებულ ფასს იღებდა. ამ სახით სხვა-და-სხვა საქონელი წვრილ-წვრილათ მზადდებოდა, და არა ერთათ, არა ერთათ შეგროვილი ძალით. ასეთი წარმოება ძალიან მოუხერხებელი იყო,— ვაჭარს ათას სხვა-და-სხვა კერძო ხელოსანთან უნდა დაეჭირა საქმე და ამას კი ბევრი დრო და ტყვილა-უბრალოთ შრომის დაკარგვა უნდებოდა. როცა ვაჭარმა თვითონ გახსნა დიდი სახელოსნო (ამას ჰქვია „მანუფაქტურა“) და შიგ ხელოსნები შემოიყვანა, — საქმე სულ სხვა გვარათ შეიცვალა. აქ, ერთ სახელოსნოში, მას შეეძლო პირადათ თვალყური ედევნებია, მუშაობაში მოხელეთათვის ძალა დაეტანებია და ამ გვარათ შრომის ნაყოფიერობაც გაედიდებია. ამასთან სახელოსნოში შრომა მუშათა შორის თან-და-თან უფრო და უფრო განაწილდა. წინეთ ყოველი მოხელე ერთ რომელიმე საქონელს მთლათ აკეთებდა. აქ კი თითოეული საქონლის ერთ განსაზღვრულ ნაწილს აკეთებს, ასე რომ მთელი სამუშაოს დასასრულებლათ საჭიროა, რომ საქონელი ერთი მუშიდან მეორეს ხელში გადადიოდეს, და შრომის ასეთი განაწილებით კი ნაყოფიერება შრომისა მეტათ იზრდება.

„ბაზრები მუდამ დიდდებოდენ და (საქონლის) მოთხოვნილება ამასთან თანდათან იზრდებოდა, ასე რომ მანუფაქტურაც საკმარისი აღარ შეიქნა. მაშინ მაშინამ და ორთქლმა მოახდინა წარმოებაში რევოლუცია. მანუფაკტურამ თანამედროვე დიდ წარმოებას დაუთმო ადგილი და მანუფაკტურულათ მწარმოებელმა წვრილმა ბურჟუაზიამ — მილიონერ მწარმოებელთ, თანამედროვე ბურჟუებს.

„კაპიტალისტურმა მრეწველობამ შეჰქმნა მსოფლიო ბაზარი, რომლისათვის ნიადაგი ამერიკის აღმოჩენით იყო უკვე დამზადებული. მსოფლიო ბაზარმა საკვირველი სისწრაფით წაიყვანა ვაჭრობის, ზღვაოსნობის, მიმოსვლის და საზოგადოთ მრეწველობის განვითარება. და რამდენათაც ვითარდებოდა მრეწველობა, ვაჭრობა, რამდენათაც ფრცელდებოდა რკინის გზები, იმდენადვე იზრდებოდა ბურჟუაზია, ერთი ათათ იზრდებოდა მისი კაპიტალები და საშუალო საუკუნოების გადმოცემული კლასები თან-და-თან უკან რჩებოდნენ.

„ბურჟუაზია დიდი ხნის განვითარების ნაყოფია... თითოეული მის მიერ გავლილი ევოლუციის საფეხური პროგრესს მოასწავებდა.

„ბურჟუაზიამ ისტორიაში მეტად რევოლიუციონური როლი შეასრულა. დიდი მრეწველობის და მსოფლიო ბაზრის დაარსების შემდეგ მან ჩაიგდო ხელში სახელმწიფოს პოლიტიკური ძალა და სხვა კლასები მმართველობიდან განაძევა: თანამედროვე მთავრობა მხოლოდ ბურჟუაზიის საქმეების გამგე კომიტეტია.

„საცა კი ბურჟუაზიამ ძალა მოიპოვა, ყველგან ფეოდალური, პატრიარქალური და იდეალური ურთიერთობანი მან ფეხით გასრისა. ყველა ის სხვადასხვა ფეროვანი კავშირნი, რომლებიც არსებობდა ფეოდალური დროის ადამიანსა და მის უფროსთა შორის, მან დაარღვია და ადამიანთა შორის კავშირათ ნაღდ ფულს გარდა არა დატოვა რა. რელიგიური ეკსტაზი, რაინდული ენტუზიაზმი, წვრილი ბურჟუას სანტიმენტალობა მან ეგოისტური ანგარიშით გააქრო. პირადი ღირსება ებრალო გასაცვლელ ღირებულებათ გადააქცია და ვაჭრობის თავისუფლება დაამყარა. ერთი სიტყვით, ნაცვლათ რელიგიური და პოლიტიკური ღრუბლით დაფარული ყვლეფისა, ექსპლუატაციისა, მან დაამყარა ექსპლუატაცია დაუფარავი, პირ-და-პირი...

„მან დაანახვა ქვეყნიერობას, თუ რა ძლიერება აქვს ადამიანის მოქმედებას. მან შეჰქმნა უფრო საკვირველი სასწაულები, ვინემ ეგვიპტის პირამიდები, რომაული არხები, გოთიური სობოროები და წარმოშობა სულ სხვა გვარი, უფრო ძლიერნი მოძრაობანი, ვინემ ხალხთა ძველ დროს გადასახლება და ჯვაროსანთა მოძრაობა.

„მუდამ ახალი და ახალი მაზრების ძებნაში ბურჟუაზია ედება მთელს ქვეყანას, მისთვის საჭიროა ყველგან შევიდეს, ყველგან ფეხი მოიკიდოს და მიმოსვლა დაამყაროს.

„მსოფლიო ბაზრის შემწეობით ის ვაჭრობას აწარმოებს და ამ გვარათ ყველა ქვეყანათა წარმოებას კოსმოპოლიტურ ხასიათს აძლევს. რეაქციონერთა სამწუხაროთ, წარმოებას იგი ნაციონალურ საფუძველს აცლის. ძველი ნაციონალური წარმოება მისგან დანგრეულია ან ეს-ეს არის ინგრევა. აგის მაგიერ ახალი მრეწველობა მყარდება და ეს ახა-

ლი სხვა-და-სხვა ხალხებში ვრცელდება. ამ ახალი წარმოებისთვის საჭირო მასალა სულ სხვადასხვა, ერთიერთმანეთისგან მეტათ დაშორებულ ქვეყნებიდან გროვდება. ერთი ქვეყნის ნაწარმოები არა მარტო ამ ქვეყანაშივე, არამედ დედა-მიწის ყველა კუთხეებში იხმარება.

„ძველ მოთხოვნილებათა მაგიერ, რომლებიც ნაციონალური ნაწარმოებით კმაყოფილდებოდა, იბადება ახალი მოთხოვნილებანი და ამათ დასაკმაყოფილებლათ სხვა-და-სხვა ქვეყნების ნაწარმოები საჭირო. ძველ განკერძოებულ, კარჩაკეტილ ნაციათა მაგივრათ, რომელნიც თავიანთ მოთხოვნილებათ შინაურულათ იკმაყოფილებდენ, ბურჟუაზიამ განავითარა მსოფლიო ვაჭრობა და ამით სხვა-და-სხვა ნაციათა ერთი-ერთმანეთისგან დამოკიდებულება. ეს შეეხება მატერიალურ წარმოებას, მაგრამ გონებრივს წარმოებაზეაც იგივე უნდა ითქვას. ერთი ხალხის გონებრივი ნაწარმოები ყველა ხალხთა საერთო კუთვნილებათ ხდება. ნაციონალური განცალკევება და კარჩაკეტილობა დღითი დღე შეუძლებელი იქმნება. სხვა-და-სხვა ნაციათა ლიტერატურა ერთი მსოფლიო ლიტერატურათ ხდება.

საწარმოო იარაღების, გზების და მიმოსვლის განვითარებით ბურჟუაზიას შეჰყავს ცივილიზაციაში სხვა-და-სხვა უკან ჩამორჩენილი ხალხები. მის ნაწარმოებთა სიიაფე შეადგენს დიდ არტილერიას, რომელიც ანგრევს ჩინეთის კედლებს და იპყრობს ბარბაროსებს. თუმცა ისინი ძალიან წინააღმდეგნი არიან, რომ ეს უცხოელები იმათ მხარეში თავისუფლათ შემოდიან. იგი აიძულებს ყველა ნაციებს ბურჟუაზიული წარმოების წეს-რიგის მიღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიკვდილს უქადის, ერთი სიტყვით, ის მთელ ქვეყანას თავის მსგავსათ ხდის.

„ბურჟუაზიამ დაუმორჩილა სოფელი ქალაქს. მან შეჰქმნა დიადი ქალაქები, გაამრავლა ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი და ამ სახით იგი ხალხის დიდ ნაწილს იფარავს გონების დამხშველ სოფლის ცხოვრების გავლენისაგან. როგორც სოფელი ქალაქს, ისევე დაუმორჩილა მან გაუნათლებელი ხალხნი განათლებულთ, მიწის მუშა ნაციები—მწარმოებელთ, აღმოსავლეთი—დასავლეთს.

„მან მოსპო ხალხის, ქონების და საწარმოო იარაღთა გაფანტულობა. შეჯგუფა ეროათ ხალხი, მოახდინა საწარმოო იარაღთა ცენტრალიზაცია და ქონება (სიმდიდრე) რამდენსამე ადამიანთა ხელში შეაგროვა. ამ ცვლილებათა აუცილებელი შედეგი იყო პოლიტიკური ცენტრალიზაცია. ძველი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პროვინციები, რომელნიც ერთათ ფედერალური კავშირით იყვენ შეერთებულნი, მარა თითოეულს მათგანს საკუთარი ინტერესები, კანონები, მმართ-

ველობა და საბაჟო ტარიფი ჰქონდა, ერთ ნაციათ იქნენ შეერთებული და მათ ყველას ერთი მმართველობა, ერთი კანონი, ერთი საბაჟო ტარიფი და ერთი ნაციონალური, კლასსიური ინტერესი გაუჩნდათ.

„სულ რაღაც ასი წლის განმავლობაში ბურჟუაზიამ დიდათ აქცია საწარმოვო ძალა, და ამის მსგავსი მთელ წინანდელ კაცობრიობას არა მოუმოქმედნია რა. ბუნების ძალთა დამორჩილება, მაშინები, ქიმიის მრეწველობაში და მეურნეობაში გამოყენება, ორთქლის შემწეობით ნავოსნობა, რკინის გზები, ელექტრონის ტელეგრაფები, მიწის გულის გარღვევა და გადმობრუნება, მდინარეთა კანალიზაცია, — რომელიც წინანდელ საუკუნეში შეიძლებოდა ადამიანს დასიზმრებიყო, რომ საზოგადოებრივს შრომაში ასეთი ძლიერი ძალა არსებობდა“...?

ახლანდელ კაპიტალისტურ წარმოებაში მაშინების ძალა სწორეთ წარმოუდგენელია და მათი გამრავლება, საკვირველი სისწრაფით მიდის. მაგალ., 1837 წ. პრუსიაში ორთქლის მაშინების რიცხვი 423 იყო და 7500 ცხენის ძალას ეთანასწორებოდა, ხოლო 1888 წ. კი 43370 და ძალით 1,500000 ცხენის ღონეს წარმოადგენდა. ახლანდელ დროში მთელ დედამიწის ზურგზე მაშინების ძალა ორასი მილიონი ცხენის ძალას ეთანასწორება ან, ადამიანის ღონეს რომ შევუფარდოთ, ამ მაშინებით იმდენი საქმე კეთდება, რის გაკეთებაც საკუთარი ღონით ადამიანთა ერთ მილიარდს შეუძლია.

მაშინები წარმოების ყველა დარგში ვრცელდება და ფეხს იკიდებს. თუ წინეთ მინდვრებისა და ყანების მაშინების შემწეობით შემუშავება შეუძლებლათ, მოუხერხებლათ მიაჩნდათ, ახლა ასეთი მოუხერხებლობა აღარ არსებობს და ეს უკვე ფაქტიურათ განხორციელებულია. მაშინების მეურნეობაში ხმარება ნამეტნავათ გავრცელებულია ამერიკაში. იქ გამართულია დიდი ფერმები და წარმოებაც ფართო ნიადაგზეა დაყენებული. მაგალითათ: 1874 წლიდან ცნობილი ამერიკელი აგრონომი დალრიმპლი განაგებს ერთი კამპანიის 6 დიდ ფერმას. ამ ფერმებს 30000 ჰექტარი მიწა უჭირავს. ეს დიდი ძალი ადგილი დაყოფილია სექციებათ, თითო შეიცავს 800 ჰექტარს. ეს სექციებიც თავის მხრით კიდევ სამ-სამ ნაწილათაა დაყოფილი და თითო ნაწილი 267 ჰექტარს შეიცავს. ყველა ნაწილები შეერთებულია ტელეგრაფით ცენტრალურ გამგეობასთან. ოცდა ათი ათასი ჰექტარ მიწის შესამუშავებლათ დაჭერილია ექვსასი მუშა, მოსავლის მომკის დროს გამგეობა ამათ გარდა კიდევ ექვსას მუშას ქირაობს. ხვნა, თესვა, კრეფა—ყველა ეს მაშინებით სრულდება. მუშაობას აგრონომები და მეხანიკოსები ადევნებენ თვალყურს. თუ რომელიმე მაშინა გაცხარებულ მუშაობაში წახდება და შესაკეთებელი შეიქნება, ამას იმ წუთშივე იქვე აკეთებენ-

ყოველგვარი მუშაობა აქ სწრაფათ წარმოებს. სათიბი მაშინა წამში 3—4 საჟენის სიფართე ადგილს თიბავს. მაშინავე ლეწავს, ბზეს აგროვებს და სხვ...

ასეთია მაშინის ძლიერება. არ რჩება არც ერთი წარმოების დარგი, რომელშიაც მაშინა არ შედიოდეს, ჩვენ დროში გაზეთების ბეჭდვა და გამოცემაც კი მაშინურს საფუძველზე წარმოებს და დიდ ძალი კაპიტალების საშუალებით სრულდება. ამის თვალსაჩინო მაგალითს ლონდონის გაზეთი Times-ი წარმოადგენს. ამ გაზეთის უთვალავი კორესპონდენტები მთელი ღედამიწის ზურგზე არიან გაფანტულნი. რედაქცია შეერთებულია ტელეგრაფის მავთულით კონტინენტის უმთავრეს სატახტო ქალაქებთან; მას აქვს თავისი ფაბრიკა, რომელშიაც თავის გაზეთისთვის საჭირო ქაღალდს ამზადებს; აქვს საკუთარი ასოების ჩამოსასხმელი ზავოდი, ჰყავს მთელი გუნდი მეხანიკოსთა წამხდარი მაშინების შესაკეთებლათ და შესასწორებლათ; ის ადგენს და ჰბეჭდავს თავის უშველებელ 16 გვერდიან გაზეთს და ურიგებს გამყიდველებს ღა ხელის მომწერლებს. მას მხოლოდ პლანტაციები აკლია აფრიკაში, რომ ქაღალდისთვის საჭირო მასალა დაამუშაოს, უეჭველია, ამასაც შალე შეასრულებს... (P. Lafargue— L'èvolution de la propriétè).

საწარმოო ძალა ისე განვითარებულია, ისე საოცრათ გაზდილია, რომ ამ ძალას თვით ბურჟუაზიული საზოგადოება ვეღარ იჭერს, ამისთვის მას საკმაო ,ალაპოტი ვერ უშოვია, — აზვირთებული მდინარე კიდეებზე გადმოდის და არე-მარეს ჭლეკავს და აოხრებს...

„თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელმაც ასეთი ძლიერი წარმოების და გაცვლის საშუალებანი (Verkehrmittel) აამოძრავა, წააგავს იმ ჯადოსანს, რომელმაც ჯადოსნობით დედა-მიწის ჯურღმულიდან ქაჯები გამოიწვია, მარა შემდეგ მათი დამორჩილება კი ვეღარ შეძლო. ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ვაჭრობის და მრეწველობის ისტორია საწარმოო ძალთა დაუმორჩილებლობის ისტორიაა. ეს ისტორია გვიჩვენებს, რომ არსებული ქონებრივი ურთიერთობანი, ანუ უფლებანი, რომელნიც ბურჟუაზიის არსებობის და ბატონობის საფუძველს შეადგენს, არ შეესაბამება ამ ძალთა განვითარებას. საკმარისია გავიხსენოთ კომმერციული კრიზისები, რომელთა პერიოდული განმეორებით ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობა თან-და-თან საეჭვო ხდება. თითოეული კრიზისი აოხრებს არა მარტო მრავალ ნაწარმოებს, არამედ უკვე შექმნილ მწარმოებელ ძალასაც აქრობს. აქ საკვირველი მოარული (ეპიდემია) ხდება, ეპიდემია, რომელიც ძველს დროში წარმოუდგენელი იყო და რომელიც გადამეტებულ წარმოებაში გამოიხატება. მთელი საზოგადოება უცებ ბარბაროსულ მდგომარეობაში ვარდება. ასე გგონიათ, საერთო შიმშილობა ან გამანად-

გურებელი ომი უსპობს ადამიანთ ცხოვრების საღსარსაო: მრეწველობა და ვაჭრობა თითქოს სულ მთლათ დაირღვევა. გაქრება... და ყველა ეს რათა? იმიტომ რომ საზოგადოება ნამეტანი განვითარებულია, მას ცხოვრების საღსარი ნამეტანი ბევრი აქვს, მეტათ დიდი მრეწველობა და ვაჭრობა აქვს... ბურჟუაზიული სისტემა ვიწრო ხდება საზოგადოებაში შექმნილი სიმდიდრის დასატევათ, მოსათავსებლათ"...

ეს წარმოებაში. მარა ამას მეორე ელემენტიც ემატება. ეს ელემენტი, ბურჟუაზიის მოწინააღმდეგე კლასი—მუშა ხალხია.

„ბურჟუაზიის ანუ კაპიტალის განვითარებასთან ერთათ ვითარდება პროლეტარიატიც ე. ი. კლასი თანამედროვე მუშათა, რომელნიც საქირაო მუშაობით ცხოვრობენ. მუშა, რომელიც მუდამ ჟამს იძულებულია თავი გაჰყიდოს (ქირაზე დადგეს), ისეთსავე საქონელს წარმოადგენს, როგორც სხვა ყოველგვარი სავაჭრო საქონელი. ამ გვარათ, მისი ასეთი თუ ისეთი ცხოვრება მუდამ ბაზრის რყევაზეა დამოკიდებული.

„მაშინების წარმოებაში გავრცელებისა და შრომის განაწილების გამო მუშის შრომას დაეკარგა პირადი, ინდივიდუალური ხასიათი და მიმზიდველობა. მწარმოებელი ე. ი. მუშა მაშინის უბრალო „მაჩანჩალათ" გარდაიქცა. მან უნდა შეასრულოს ხოლმე სრულიად უბრალო, ერთგვარი ოპერაციები, რომლებიც ძალიან ჩქარა და ადვილად შესასწავლია.

„რამდენათაც შრომა ნაკლებ სიმარჯვეს, ანუ მოხერხებულობას და ღონეს თხოულობს, ე. ი. რამდენათაც თანამედროვე მრეწველობა წინ მიდის, იმდენათ სხვა-და-სხვა სამუშაოებში მამაკაცების ადგილს ქალები იჭერენ. წლოვანების და სქესის გარჩევის, სხვა-და-სხვაობას მუშა ხალხისთვის არავითარი სოციალური მნიშვნელობა არა აქვს. აქ მხოლოდ წარმოების იარაღებია. რომელთა ფასი წლოვანობის და სქესის მიხედვით სხვა-და-სხვა-ნაირია.

„წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მწარმოებელნი, ვაჭარნი, წვრილი rentiers, მოხელეები და საკუთრების პატრონი გლეხები პროლეტარდებიან. მათი პატარა კაპიტალით წარმოების ფართო ნიადაგზე დაყენება არ შეიძლება და ამიტომ დიდ კაპიტალისტებს ისინი მეტოქობას ვერ უწევენ. ამ სახით პროლეტარი საზოგადოების ყველა კლასსებიდან გროვდება."

პროლეტართა რიცხვი დღითი დღე მრავლდება. მრავალი მათგანი ნახევარჯერ სამუშაოს ვერ შოულობს, გულზე ხელებ დაკრეფილი დადის და შიმშილით იტანჯება. ეს გარემოება კიდევ უფრო ამწვავებს

ესრეთ წოდებულ სოციალურ კითხვას და ბურჟუაზიული საზოგადოება ძირიანფესვიანათ ინძრევა...

საით მიექანება ამ დროს კაპიტალისტური წარმოება და რას სწავლობს მუშა ხალხი ამ წარმოების სკოლაში?

VI

პირველათ, როცა ბურჟუაზია ახალი ფეხადგმული იყო, წარმოებაში კაპიტალისტის პირადობას, პირად ნიჭს, გამჭრიახობას, მოხერხებას, ენერგიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვაჭარს, მრეწველს უუდამ თავის საქმეზე უნდა ეზრუნა, ეფიქრა, მის კარგათ წასაყვანათ ახალი და ახალი საშუალებანი უნდა გამოენახა. ასეთ მუდმივ ფიქრს, მუდმივ ზრუნვას მისი ბუნებრივი ნიჭი წარმატებაში მოჰყავდა და მის პიროვნებას, როგორც ადამიანს, ავითარებდა.

მარა მრეწველობა თან-და-თან იმ ზომამდის გაიზარდა, გადიდდა, რომ მის წასაყვანათ სახეიროთ მოსაგვარებლათ თითო განცალკევებული კაპიტალისტის მილიონებიც საკმარისი აღარაა. ამასთან წარმოებაში უწეს-რიგობა, ერთი მწარმოებლის მეორისგან დამოუკიდებლობა, საზოგადოთ საალალ-ბედოთ მოქმედება მრეწველობაში საშინელ არეულობას იწვევს, კრიზისები კრიზისებს მოსდევს; ამ დროს მრავალი კაპიტალისტი კოტრდება, კრედიტი ჰქრება, საქონელს მყიდველი არა ჰყავს და უსარგებლოთ საწყობებში ლპება და სხვა და სხვა.

ასეთი გარემოება აიძულებს კაპიტალისტებს ერთათ შეერთებით და საერთო კაპიტალებით წარმოების წაყვანას, დგება კომპანიები, ათასი აქციონური საზოგადოებები. გამოდის აქციები, ობლიგაციები... ესენი იყიდება, ამით გაბნეული დაქსაქსული კაპიტალი გროვდება და საქმე იჩარხება...

მარა კაპიტალისტი, მისი პირადობა? აქ პირადობა აღარაა. გამქრალია, ფიქციათ ქცეული... აქ არის კამპანია, „საზოგადოება", და არა ვინმეს სახელი პიროვნება. კამპანიაში თვითეული კაპიტალისტი ერთი მონაწილეა, მისთანა სხვა იქ კიდევ ათასია. თვითონ მას წარმოების წაყვანაზე თითქმის არავითარი გავლენა აღარ აქვს. საქმის წასაყვანათ ტრიცხვი მუშები, გამგენი, ინჟინრები და მექანიკოსებია. თვითონ კაპიტალისტი წარმოებას დაშორებულია. ის მას აღარ ჰხედავს, აღარ უყურებს, რადგან წარმოებისთვის მისი თვალის ჭერა სრულიათაც საჭირო აღარაა. ის სამოქმედო ასპარეზიდან გამორიყულია... მან იცის აქ კუპონების მოჭრა და დივიდენდის აღება. მეტი შრომის მიღება მას აღარ ეპირვება. ის ვეღარ ჰხედავს თავის ქონებას, თავის საკუთრებას, — ეს „იქ" არის, იმ კამპანია-საზოგადოებაშია, წარმოებაში სხვის ქონებასთან

შერეულია, შეერთებულია. აქ ამის გამოცნობა, სხვისგან გამოცალკევება თითქოს შეუძლებელიცაა... ქონება პატრონს შორდება, პატრონი საკუთრებას... ინდივიდუალურ ქონებას ბინდი ეფარება, კერძო საკუთრებას ფეხქვეშ საფუძველი ერყევა და კოლექტიურ მფლობელობისთვის ნიადაგი მზადდება...

ამავე დროს კაპიტალისტური წარმოების სვლა ძალიან საგულისხმიერო გაკვეთილებს აძლევს მუშა ხალხს.

წვრილ წარმოებაში ნაწარმოებს ინდივიდუალური ხასიათი აქვს. მაგალ., მეწაღე მთელს წაღას თვითონ აკეთებს: ჭრის ტყავს, ზომავს, ჰკერავს, კალაპოტში დებს, ასე რომ ბოლოს წაღები სრულდება და მეწაღე თვალსაჩინოთ ჰხედავს, რომ გაკეთებული წაღები მისი ნაწარმოებია, მისი საკუთარი მუშაობის ნაყოფია. აქ ნაწარმოების დამოკიდებულება მწარმოებლის პიროვნებასთან ცხადათ და თვალსაჩინოთ ჩანს.

კაპიტალისტურ წარმოებას, კი, წინააღმდეგ ამისა საზოგადოებრივი ხასიათი აქვს და ნაწარმოებიც აქ ასეთივე ხასიათისაა. ფაბრიკაში ერთ წყვილ წაღებს აკეთებს არა მარტო ერთი მუშა, როგორც მეჩექმე თავის სახელოსნოში, არამედ მუშათა მთელი გუნდი. თითო წაღა აქ, სანამ დასრულდებოდეს, მრავალი მუშის ხელში გაივლის, თითოეული მათგანი მაშინების შემწეობით ერთ განსაკუთრებულ ნაწილს აკეთებს: ერთი ტყავს ჭრის, მეორე ამას კალაპოტს უთანასწორებს. მესამე ძირის პირს აკრავს, მეოთხე ჭედს, ჰლებავს და სხვა... ყველა ეს იქიდან წარმოდგება, რომ ფაბრიკაში ძლიერი შრომის განაწილება არსებობს. და ბოლოს წაღა სრულდება, ის დამზადებულია, მარა არც ერთ მუშას არ შეუძლია თქვას, რომ ის მისი გაკეთებულია. მან აქ მხოლოდ ნაწილი გააკეთა და არა მთელი ნივთი, მთელი ნივთი ყველას გაკეთებულია, საერთო მუშაობით შექმნილია.

ამის გამო კაპიტალისტურ წარმოებაში კერძო პირი ვერ იტყვის: ეს „ჩემი“ გაკეთებულია და ის — „შენიო“. ასეთი გარჩევა აქ შეუძლებელია, რადგან ნაწარმოებზე კერძო პიროვნების ხელი, მუშაობა არ ატყვია. აქ ნაწარმოები შორდება მწარმოებლის პიროვნებას, ჰკარგავს პირადს, ინდივიდუალურ ხასიათს.

მუშა ხალხი თან-და-თან ეჩვევა საერთო შრომას, კაპიტალისტური წარმოება ისეთი დიდია, რომ კერძო ადამიანი აქ ვერას გააწყობს; უთვალავი მაშინების გარშემო საჭიროა მრავალი მუშა, ადამიანთა შეერთებული ძალა.

ამასთან პროლეტარისთვის კერძო საკუთრება აღარ არსებობს. მას არავითარი ქონება არ გააჩნია გარდა იმისა, რაც მას ტანზე აცვია და

რასაც დღიურათ მოიმუშავებს და შეჭამს. ამიტომ ის კერძო საკუთრების დამცველი აღარაა. მისი გონება ამ მხრით სრულიად განთავისუფლებულია. ის ჰხედავს კოლეკტიურ შრომას, ჰხედავს კოლეკტიურათ დამუშავებულ საქონელს და, რასაკვირველია, ამის გამო მისი გონება ეჩვევა იმ წარმოდგენას, იმ აზრს, რომ ყველაფერი ასე შეერთებული ძალით, საერთო შრომის ნაწარმოები საერთო კუთვნილება უნდა იყოს და არა რომელიმე კერძო პირის.

ამგვარათ მომართული მუშა ხალხის გონება წარმოადგენს ძალიან ნაყოფიერ ნიადაგს პროგრესსიულ მოძღვრების შესათვისებლათ. მუშა ხალხი თან-და-თან თვით ცნობიერებაში მოდის, ერთიანდება, იგებს თავის დანიშნულებას, საკუთარ კლასსიურ ინტერესებს მდიდართა წინააღმდეგ, ჰხედავს, რომ მას მხოლოდ შეერთებული ძალით შეუძლია ბრძოლა და ბრძოლის მოგება, — და იზრდება ბურჟუაზიისთვის საშიშარი ძალა... მუშა ხალხი თან-და-თან შედის პოლიტიკაში, მისი პოლიტიკური ძალა დღითი დღე იზრდება... ყველა ამას საზოგადოების ეკონომიური განვითარება ხელს უწყობს და შორს აღარ არის ის დრო, როცა პროლეტარი კლასსთა არსებობას მოსპობს, საწარმოვო იარაღთ მთელი საზოგადოების საკუთრებათ აქცევს, და კაცობრიობის ცხოვრებაში სრულიად ახალ ხანას შეჰქმნის...

საზოგადოების კლასსებათ დაყოფვა ახლანდელ დროში, ადამიანთა ცხოვრების წინ მსვლელობისთვის, აუცილებელ საჭიროებას აღარ შეადგენს. დღემდის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ მუდამ კლასსებს. ისტორიული ცხოვრების განმავლობაში ადამიანთა საზოგადოება მუდამ ყოფილა კლასსებათ დაყოფილი. ეს იქიდან წარმოდგებოდა, რომ საწარმოვო ძალა არას დროს არ ყოფილა ისე განვითარებული, რომ ნაწარმოები მთელი საზოგადოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ საკმარისი ყოფილიყოს. მარა ასეთი ნაკლულევანება დღეს აღარ არსებობს. წარმოება იმდენათ განვითარებულია და თან-და-თან ისე ვითარდება, რომ კეთილდღეობა, გაუჭირვებლათ ცხოვრება, არა მარტო ერთი რომელიმე კლასსისთვის, ერთი რომელიმე ნაწილისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის შესაძლებელი ხდება.

როცა ეს „შესაძლებელი" განხორციელდება, ცხადათ იქცევა,— აი, მაშინ დაიწყება კაცობრიობის ბედნიერება, ნამდვილი „ოქროს საუკუნე" მაშინ დადგება...

მაშინ „მოისპობა საქონლის წარმოება და მასთან ნაწარმოებ ნივთთა მწარმოებლებზე ბატონობა. არეულობა საზოგადოებრივ წარმო-

ეპაში შეიცვლება და მის მაგივრათ წინ და წინვე მოაზრებული წეს-რიგი დამყარდება. მოისპობა ადამიანთა ერთმანერთში ცხოვრებისთვის ბრძოლა. კაცი განთავისუფლდება ცხოველობიდან და ცხოვრების ცხოველურ პირობებიდან გადავა ისეთ პირობებში, რომლებიც მართლა ადამიანურ ცხოვრებას შეეფერება. ადამიანნი მხოლოთ აქ გახდებიან ნამდვილათ შეგნებული მბრძანებელნი ბუნებისა. საზოგადოებრივ ურთიერთობათა კანონები, რომლებიც ახლა კაცობრიობაზე სტიქიურათ, დაუმორჩილებლათ მოქმედობენ, მაშინ ადამიანის მიერ იქნებიან მომართულნი. საზოგადოებრივი წეს-წყობილება, რომელიც ახლა თითქოს რაღაც ზეგარდმო—ნაბოძებსა ჰგავს, მაშინ ადამიანის ნამდვილი თავისუფალი მოქმედების შედეგი შეიქნება და მის კონტროლს დაუმორჩილდება. კაცობრიობა მხოლოთ მაშინ შეჰქმნის შეგნებულათ თავის ისტორიას. ერთი სიტყვით, ეს ადამიანის აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში გადასვლა იქნება...".

ეურ. „კვალი", 1897, № 39 (გვ. 710—713), 40 (გვ. 727—730), 41 (გვ. 746—748), 44 (გვ. 785—789), 45 (გვ. 810—811), 47 (გვ. 841—842), 49 (გვ. 870—871) 50 (გვ. 891—892).

შეუსაბამო სახელი

(სამეურნეო ბანკი)

აგერ ექვს წელიწადზე მეტია, რაც ამ ჩვენ ქალაქში, დაარსდა და მოქმედობს ერთი ბანკი, რომელსაც სახელათ „სამეურნეო კრედიტის საერთიერთო საზოგადოება" ეწოდება. მის დამაარსებელთ აზრათ ქონიათ მეურნეთათვის კრედიტის მოპოვების გაადვილება და ამით მეურნეობის განვითარებისთვის ხელის-შეწყობა. ამის-და მიხედვით ბანკისთვისაც სახელათ, „სამეურნეო" დაურქმევიათ. ეს ყოფილა მათი განზრახვა.

მაგრამ ცხოვრებაში განზრახვა ხშირათ განზრახვათვე რჩება, და იქაც სწორეთ ასე მოხდა. ბანკი დაარსდა, მოქმედებს კიდეც, მხოლოდ ამ მოქმედებაში მეურნეებისთვის სესხის მიცემას და კრედიტის მოპოვებას ძალიან ცოტა ადგილი უკავია, ისე ცოტა ადგილი, რომ შეიძლება ვთქვათ, სულ უადგილოთ არისო.

ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოთ ბანკის 3 წლის (1898—1900 წწ.) ანგარიშები, მაგრამ ამ აზრის ცხად-საყოფელათ აქ მოქცეული ცნობებიც საკმარისია.

1901 წლის 1 იანვრისთვის ბანკს ყოლია 810 წევრი. ანგარიშიდან არა ჩანს, რა და რა ხელობის არიან ეს წევრები, სახელდობრ რამდენია მათში მეურნე. მაგრამ არ გვგონია შევცდეთ, თუ ვიგულვებთ, რომ

წევრთა დიდ-ძალ უმრავლესობას შეადგენენ ვაჭრები და მრეწველები და არა მეურნეები.

ბანკი უშვრება დისკონტს მხოლოთ წევრების ვექსილებს. ბოლო-ბულ 3 წლის განმვალობაში მას შესვლია 1.401.270 მანეთის ვექსილები სადისკონტოთ და ამ ფულის შესაფერი ფულიც მიუცია ვექსილების წარმომადგენლებისთვის. ე. ი. ერთ მილიონზე მეტი კრედიტით უსარგებლიათ ბანკიდან იმ წევრებს, რომლებსაც სავაჭრო ვექსილები წარუდგენიათ სადისკონტოთ, რადგანაც ბანკის წევრთა უმრავლესობას ვაჭრები და მრეწველები შეადგენენ, ცხადია, ეს კრედიტიც უმთავრესად მათ ხვდენიათ წილათ.

იმავე 3 წლის განმავლობაში ბანკს აუღია წევრებისგან გირაოთ სარგებლიანი ქაღალდები და სხვა-და-სხვა სავაჭრო საქონელი და ამაებში გაუცია სესხათ 217.983 მანეთი. ცხადია, რომ მეურნეები აქაც არაფერ შუაში არიან. ჩვენ მეურნეებს ჯერ, სამწუხაროთ, არც სარგებლიანი ქაღალდები მოეპოვებათ და არც სავაჭრო საქონელი დასაგირავებლად. აქაც კრედიტით ისევ ვაჭრებსა და მრეწველებს უსარგებლიათ. მაშასადამე, ამათ 3 წელიწადში, ვექსილებით თუ სარგებლიან ქაღალდებისა და საქონლის დაგირავებით, სულ 1.519.254 მანეთი გამოუტანიათ „სამეურნეო“ ბანკიდან სესხათ. მოკლედ თუ მოვჭრით, ეს არის ერთ ნახევარი მილიონი მანეთი, 3 წელიწადში სესხათ გაცემული ვაჭრებსა და მრეწველებზე.

ახლა ვიკითხოთ: რამდენია ის კრედიტი, რომლითაც მეურნეებს უსარგებლიათ? 1898—1900 წლებში, „სამეურნეო“ ბანკს სხვა-და-სხვა სამეურნეო ნაწარმოებნიც აუღია გირაოთ. რასაკვირველია, სამეურნეო ნაწარმოების დამგირავებელი უეჭველათ მეურნე არ უნდა იყოს. იგი შეიძლება ვაჭარიც იყოს, რომელსაც მეურნისაგან ნაწარმოები უყიდია, მაგრამ, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ჯერ ვერ ყიდის, თანაც ფული სხვა რამეზე ესაჭიროება და ამიტომ საქონელს აგირავებს. მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც სამეურნეო ნაწარმოებთა დამგირავებლები მეურნეებათ ჩავთვალოთ, ასეთ ნაწარმოებებში ბანკისგან გაცემული სესხი უდრის 28.469 მანეთს და 73 კაპეიკს. ეს არის,—არც მეტი და არც ნაკლები. ზემოთ ნაჩვენებ ჯამთან შედარებით ეს 53-ჯერ ნაკლებია.

იქნება ვინმემ გვითხრას, რომ რა ბანკის ბრალია, თუ მეურნეები არ ეწერებიან წევრებათ და კრედიტით არ სარგებლობენო. მაგრამ ჩვენ აქ ბრალიანობაზე სრულიათაც ლაპარაკი არა გვაქვს. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტს, რომელიც ასე თუ ისე საგულისხმიეროა. და ამ ფაქტის ახსნა-განმარტებაზე ფიქრი და ლაპარაკი უფრო მნიშვნელოვნათ მიგვაჩნია, ვინემ ვინმესი მხილება უსაქმურობაში და სიზარმაცეში.

წევრათ არ-ჩაწერასა და კრედიტით ვერ-სარგებლობასაც ხომ თავისი მიზეზები აქვს. რა მიზეზებია ეს? ნუ თუ ჩვენს მეურნეს კრედიტი არ ესაჭიროება?

მეტიცაა თქმა იმისი, რომ კრედიტი მისთვის ძალიან საჭიროა. რამდენათაც მრავლდება მოთხოვნილებები და ირღვევა ძველებური კარჩაკეტილი ეკონომია სოფელში, რამდენათაც მრავლდება იმ ნაწარმოებთა რიცხვი, რომლებიც მეურნემ უნდა იყიდოს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, იმდენათვე მატულობს ბაზარზე გამოსატან და გასაყიდ სამეურნეო ნაწარმოებთა რიცხვი. ის ძველი დრო, როცა თითოეული ოჯახი ყველა თავისთვის საჭირო ნაწარმოებებს თვითონვე ამზადებდა, სამუდამოთ გაქრა. ახლა მეურნე ბევრ ისეთ ნაწარმოებს ხმარობს, რომელსაც თვითონ იგი აღარ ან ვეღარ ამზადებს. მის შესაძენათ საჭიროა ფული. მან ბაზარზე უნდა გაიტანოს, უნდა გაყიდოს სხვადასხვა სამეურნეო ნაწარმოები, რომ აქ აღებული ფულით სხვა საჭირო ნივთთა შეძენა შეიძლოს. რამდენათაც, ამ გვარათ. სამეურნეო წარმოება საბაზრო წარმოების სახეს იღებს, რამდენათაც სამეურნეო ნაწარმოები ბაზარზე გასატან და გასაყიდ ნაწარმოებათ ხდება, საქონლათ იქცევა, იმდენათვე დამოკიდებული ხდება მეურნე ბაზრისა და ფასების მდგომარეობისაგან, იმდენათვე მატულობს მისთვის ფულისა და კრედიტის საჭიროება. აქ მეურნე, წვრილი მწარმოებელია იგი თუ დიდი მემამულე, უკრედიტოთ საქმის წაყვანას და მოთხოვნილებებისთვის გაძღოლას ვეღარ მოახერხებს. აი, მოიწია გლეხმა ჭირნახული; უნდა გაყიდოს, მაგრამ, ფასები დაცემულია. ამ დროს ადგება კარს ხარჯის მკრეფავი, ღვდლის გასტუმრება, ქალის გათხოვა, მიცვალებულის დამარხვა და სხვ. მევახშემ ეს კარგად იცის და დროს შოულობს. ან ფულს აძლევს სესხათ უზომო სარგებელით და ან ჭირნახულს ყიდულობს მისგან ჩალის ფასათ. ცხადია, ის საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ასეთ შემთხვევაში მეურნეს პატარა სარგებლით კრედიტს მიაწვდის, დიდ სამსახურს გაუწევს და დიდათ დაეხმარება. კიდევ უფრო დიდია კრედიტის საჭიროება მსხვილ მწარმოებლისთვის. მართალია, მას ჩარჩი და მევახშე ისე ადვილათ ვერ დაიმორჩილებს, როგორც წვრილ და ეკონომიურათ უძლურ მწარმოებელს, მაგრამ დიდ და ფართო წარმოებას დიდი კაპიტალიც უნდება და ამიტომ მას ხელის მონაცვლება და კრედიტით სარგებლობაც უფრო ხშირათ სჭირდება. ხშირათ ასეთ მწარმოებელსაც ნაწარმოებნი ფუჭად უწყვია, ფასების მდგომარეობისა თუ სხვა მიზეზებისა გამო ვერ გაუყიდია და იმავე დროს იძულებული ხდება დიდი სარგებლით ეძიოს ფული მევახშეებისაგან სხვა-და-სხვა ვალდებულებათა გასასწორებლათ. ეს დიდი სარგებელი, კარგ მეურნის ხელშიაც, მძიმე

ტვირთათ აწვება წარმოებას და აფერხებს მის წინმსვლელობას, ცხადია აქაც, რომ ის ბანკი, რომელიც ნაწარმოებთა დაგირავების საფუძვლით კრედიტს მისცემს მეურნეს, შესამჩნევ დახმარების გამწევი იქნება.

სამეურნეო კრედიტი რამდენიმე ნაირია. ჩვენ განგებ ვიხსენიებთ აქ ამ კრედიტის მხოლოდ იმ ფორმას, რომლის გამომხატველიც სამეურნეო ნაწარმოებთა დაგირავებით მოპოვებული კრედიტი არის. თფილისის „სამეურნეო" ბანკს, რომელზედაც ჩვენ აქ ბაასი გვაქვს, მხოლოთ ნაწარმოებთა დაგირავების საფუძვლით შეუძლია მეურნეებისთვის კრედიტის მიცემა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მიუხედავათ ამ უფლებისა და ცხოვრებაში უეჭველათ არსებულ მოთხოვნილებისა, ხსენებულ ბანკის მოქმედებას ამ მხრით ძალიან ცოტა ნაყოფი მოუტანია. მეურნეებისთვის კრედიტის მოპოვება ბანკს ვერ მოუხერხებია. რით და როგორ უნდა აიხსნას ეს გარემოება?

რომ ეს ბანკი წვრილ მეურნეებისთვის ყოვლათ უმნიშვნელო და გამოუსადეგი იქნებოდა, ეს თავიდანვე თვით დამაარსებელთაც უნდა ქონოდათ გათვალისწინებული. წესდება ბანკისა მათი შედგენილია, და ვინც ამ წესდებას გაეცნობა, დარწმუნდება, რომ წვრილი მეურნე ამ ბანკში ვერც წევრათ ჩაწერას და ვერც მისგან კრედიტით სარგებლობას ვერ მოახერხებს.

ვისაც ამ ბანკში წევრათ შესვლა სურს, უნდა შეიტანოს საწევროთ მეათედი იმ ფულის, რომლითაც იგი პასუხის მგებლობას კისრულობს. კრედიტიც მხოლოთ იმდენი გაეხსნება, მას, რამდენის პასუხისმგებლობასაც იგი იკისრებს წევრათ შესვლის დროს. საპასუხისმგებლო ფულის მინიმუმი 50 მანეთია. მაშასადამე, 5 მანეთის შეტანით შეიძლება წევრი შეიქნეთ.

ამ ნაირათ წესდება თითქოს უადვილებს წვრილ მეურნესაც ბანკში წევრათ ჩაწერას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. წევრათ გახდომისთვის საჭიროა ზოგიერთ ისეთ ფორმალურ მხარეების შესრულება, რომელიც ჩვენებურ გლეხისთვის მოუხერხებელია. თუ წევრათ ჩაწერილს მსურველს ვინმე სანდო პირის თავდებობა არა აქვს და ან ბანკის კომიტეტი ვერ იცნობს, მან საპასუხისმგებლო ფულში უნდა დაუგირაოს ბანკს ეს სარგებლიანი ქაღალდები და ან მამული. უკანასკნელ შემთხვევაში უნდა წარადგინოს სხვა-და-სხვა დოკუმენტები: პლანი, სია, დაზღვევის მოწმობა, საკუთრების დოკუმენტი და სხვ. თავის თავათ ცხადია, რომ ჩვენებურ გლეხისთვის ყველა ეს ძნელათ-მოსახერხებელია.

მაგრამ ეგეც რომ მოახერხოს და წევრათ ჩაეწეროს, არის მაინც სესხის აღების დროს ისეთი პირობები, რომლების ასრულებას იგი

ვერ შეძლებს ან ვერ მოახერხებს. ის სამეურნეო ნაწარმოებები, რომლებსაც ბანკი გაცემულ სესხის უზრუნველ საყოფელათ, გირაოთ იღებს (პური, ქერი, სიმინდი, ღვინო, მატყლი, აბრეშუმი, თუთუნი, ბრინჯი, ბამბა, დაზღვეული უნდა იყოს, რომ, ვინიცობაა ნაწარმოები წახდეს ან დაიწვას, ბანკს გაცემული სესხი არ დაეკარგოს და ზარალი არ მოუვიდეს. არ ვიცი, რამდენი გლეხი უნდა იყოს ჩვენში, რომ დაზღვევის მნიშვნელობა შეგნებული ქონდეს და თავისი ჭირნახულის დაზღვევას ახერხებდეს.

გირაოთ მიღებისათანავე იმ საწყობზე ან შენობაზე, რომელშიაც ნაწარმოები ინახება, ბანკი ბეჭედს ასვამს. სესხის გამტანს არა აქვს უფლება, ბანკის გაუგებინებლათ და იმის ნებადაურთველად, ეს ბეჭედი ახადოს. რა უნდა ქნას მეურნემ, როცა მუშტარი გამოუჩნდება? ბეღელს ბეჭედი აკრავს, ქვევრს პლომბი ადევს და ამეებს ამძრობი დაწესებულება-კი თფილისში არის. მართალია, შეიძლება მეურნეს ნიმუშები ქონდეს შენახული, მაგრამ მუშტარი რით უნდა დარწმუნდეს, რომ ნიმუშის ღვინო ქვევრისას გავს და ნიმუშათ აღებული ხორბალი ბეღლისას? მეურნემ, — შეტი გზა არა აქვს, — ბანკს უნდა აცნობოს და თხოვოს ბეჭდის აღება. ბანკიც გაგზავნის იმ ადგილას თავის კაცს, რომელიც ნაწარმოებს ბეჭედს ახდის, მუშტარს აჩვენებს და, თუ ამ უკანასკნელმა არ იყიდა, ისევ ახალ ბეჭედს მიაკრავს და თფილისში დაბრუნდება. და ასე, ყოველ მუშტრის მოსვლის დროს, მეურნემ ბანკს უნდა სწეროს და ბანკმაც კაცები გზავნოს. ამ მიწერ-მოწერაში და მგზავრობაში რომ ბევრი დრო, შრომა და ხარჯი უნდა დაიკარგოს, ამის გაგება ძნელი არაა. რაღა ვასაკვირია, რომ ასეთ პირობებში მეურნემ, განსაკუთრებით წვრილმა გლეხობამ, ამდენ დავი-დარაბას ისევ თავისი შეჩვეული მევახშე არჩიოს და ბანკს ზურგი შეაქციოს. არაა გასაკვირი და აკი ასეც მომხდარა. მეურნეთა წრეებში ბანკს ვერც წევრები მოუპოვებია და ვერც სესხი გაუცია.

რასაკვირველია, ბანკს უნდა ქონდეს გარანტია და სიფრთხილე, რომ სესხი არ დაეკარგოს, გაცემული ისევ თავის დროზე შემოუვიდეს. ბანკი ვერ მიიღებს საპასუხისმგებლო ფულში, რა თქმა უნდა, ისეთ მამულს, რომელსაც იურიდიული სიმტკიცე არ ახლავს, დოკუმენტები აკლია; ვერ მიიღებს ისეთ სახლს, რომელიც დაზღვეული არაა. დაიწვის დაუზღვეველი სახლი,—დაიწვის საპასუხისმგებლო ფულიც. მაშინ როდესაც, როცა სახლი დაზღვეული იყო, მისი ღირებულება დაზღვევ საზოგადოებამ უნდა გაიღოს. ამიტომ ვერც წესდებას და ვერც ბანკის გამგეებს მთლათ ვერ დაედება ბრალათ, რომ ბანკს წვრილ გლეხობაში წევრები ვერ მოუპოვებია, და კრედიტი ვერ მიუწოდებია.

აქ უმთავრესი მიზეზი არის ჩვენი კულტურული განუვითარებლობა და სიფხიზლის ნაკლებობა.

მაგრამ ესევე არ ითქმის მსხვილ მწარმოებლების შესახებაც. ამათ წრეებში ბანკს უეჭველათ მეტი წევრებიც უნდა მოეპოვა და მეტი კრედიტიც გაეცა. რამოდენიმეთ შეძლებულ მეურნეს არც წევრათ ჩაწერისთვის საჭირო ფულის გადახდა გაუჭირდება და არც ფორმალურ მხარეების შესრულება, და თუ, მიუხედავათ ამისა, იგი მაინც ბანკში წევრათ არ შედის და ბანკის კრედიტს არ ეძებს, ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, უმთავრესად სამეურნეო ნაწარმოებთა დაგირავების მოუწყობლობაში იმალება. ის წესი დაგირავებისა, რომლითაც ბანკი ახლა ხელმძღვანელობს, ძალიან შემავიწროველი და ხელის შემკვრელია სესხის გამტანისათვის. აბა, მართლა რომელ მეურნეს შეუძლია, ყოველ მუშტრის გამოჩენაზე ბანკს სწეროს: კაცი გამოგზავნე, მუშტარს ნაწარმოები უნდა ვაჩვენოვო? საჭიროა, ნაწარმოებთა გირაოთ აღების წესი ისე მოეწყოს, რომ არც ბანკი რჩებოდეს უგარანტიოთ და სესხის გამტანიც არ იყოს შევიწროვებული.

ჩვენში რომ საზოგადო საწყობები და ელევატორები არსებობდეს, სამეურნეო ნაწარმოებთა დაგირავების საქმე ადვილათ მოეწყობოდა. ასეთ საწყობთა საშუალებით მეურნეები ადვილათ მიიღებდენ ბანკებიდან კრედიტს, რადგან სესხის მისაღებათ საკმარისია საწყობისაგან მიღებულ კვიტანციის წარდგენა. მაგრამ ეს ჯერ ჩვენში არ არის. ამიტომ საჭიროა. „სამეურნეო“ ბანკმა აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ რკინის გზის სადგურებზე საბაჟინო ხარჯით აგებულ იქნეს საწყობები და ელევატორები. ვინ იცის, ასეთ შუამდგომლობას იქნებ მართლა რამე სასურველი შედეგი მოყვეს. თავის მხრით მთავრობა სასარგებლოთ თვლის საწყობ-ელევატორებს, და მათი აგება რუსეთში 1884 წლიდან კიდეც დაიწყეს. ეს საწყობები მხოლოთ პურის დასაწყობათ და შესანახათ არის რკინის გზის სადგურებზე აშენებული. 1895 წელს რუსეთის რკინის გზებზე 332 პურის საწყობი და ელევატორი იყო აგებული. 1888 წელს მთავრობამ ნება დართო, რომ რკინის გზების კასიდან საწყობებში დალაგებულ პურში პატრონებს სესხიც მიეცეთ. მთავრობას აზრათ ქონდა, რომ რკინის გზებზე ელევატორების რიცხვი ძალიან გაემრავლებია. შიდა რუსეთში დღესაც ძალიან ცდილობს მათ გავრცელებას. ამიტომ შეიძლება, თუ შუამდგომლობა დასაბუთებული იქნება, მთავრობა დათანხმდეს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედაც გაჩართულ იქნეს ელევატორები.

თავის მხრით ბანკს შეუძლია თვითონაც შეუდგეს სადგომების აგებას. უბრალოთ მოწყობილ პატარ-პატარა საწყობების აგება არც დიდ ხარჯებს თხოულობს და არც საძნელოა. გერმანიაში ხშირათ ხედავ,

რომ ერთი ან ორი პატარა სასოფლო ბანკი აშენებს საწყობს და თავისთვის ხელსაყრელათ აწარმოებს მას. საკუთარ საწყობებში „სამეურნეო“ ბანკი მიიღებს გირაოთ სამეურნეო ნაწარმოებებს და დაკარგვის შიშიც არ ექნება, როგორც ეს უთუოთ დღეს აქვს. სესხის ამღებისთვისაც ეს უფრო მოხერხებული იქნება. იქ მას ყოველთვის შეეძლება თავის ნაწარმოების მუშტრისთვის ჩვენება და ისე შეეიწროვებული არ იქნება, როგორც დღეს, როცა წამ და უწუმ ბანკს უნდა მიმართოს და ბანკის წარმომადგენელი მოითხოვოს.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენში საწყობები და ელევატორები გავრცელდება თუ არა, ახლანდელი წესი სამეურნეო ნაწარმოებთა გირაოთ აღებისა ბანკმა უეჭველათ უნდა შეცვალოს და შეცვალოს ისე, რომ თვითონაც ხელში გარანტია ქონდეს და სესხის გამტანსაც საქმეს უადვილებდეს. ჩვენი აზრით, სრულიათ საჭირო არ არის, რომ თითოეულ შემთხვევაში ბანკი აგზავნიდეს მეურნესთან თავის კაცს ნაწარმოებებზე ბეჭედის ასაღებათ და დასაკვრელათ. აქ ცენტრალიზაცია არ ვარგა; უფრო საჭირო, სასარგებლო და მოსახერხებელია დეცენტრალიზაცია. ბანკს შეუძლია ის ადგილები, საცა მას გირაოს აღება და სესხის გაცემა უხვდება, რაიონებათ დაყოს და თითოეულ რაიონში თავისი წარმომადგენლობა და გირაოებზე თვალ-ყურის ჭერა ერთ რომელიმე იქაურ წევრს მიანდოს, რომელიც უფრო სანდო და ქონებრივ პასუხის-მგებლობითაც საიმედო იქნება. მაშინ საჭირო აღარ დარჩება კაცის ხშირი „კომანდიროვკა“ თფილისიდან. ხარჯიც ნაკლები იქნება და ფუჭათ დროს კარგვაც. ის წევრი, რომელსაც ბანკი გირაოების ზედამხედაობას მიანდობს, ვითარცა ადგილობრივი მცხოვრები, უფრო ადვილათ შეასრულებს თვის მოვალეობას, ვინემ ერთი საათით მისული მოხელე ბანკისა. ამით ბანკიც უფრო უზრუნველყოფილი იქნება გირაოს დაკარგვის მხრით და სესხის ამღებიც განთავისუფლებული ტყვილა-უბრალოთ წვალებისაგან. ეს გარემოება თავის მხრით ხელს შეუწყობს მეურნეთა წრეებში ბანკის წევრთა რიცხვის გამრავლებას. ბანკი, მეტ თანაგრძნობას, სახელს და წევრებს მოიპოვებს.

ბანკის გამგეობის მოვალეობას უნდა შეადგენდეს სხვა მხრივაც ზრუნვა მეურნე წევრების რიცხვის გადიდებაზე. საჭიროა წესდება ქართულ ენაზე მეურნეებში გავრცელდეს. ამას შეიძლება თან ახლდეს მოკლეთ და გასაგებათ შედგენილი წიგნაკი სამეურნეო კრედიტის მნიშვნელობის შესახებ. ბანკს უნდა ყავდეს აგენტები, რომლებიც მსურველთ უნდა უხსნიდენ საჭირო კითხვებს და უადვილებდენ წევრობისთვის საჭირო ქაღალდების შედგენას. თუ ენერგიულათ და ბეჯითათ იქნება საქმე წაყვანილი, შეიძლება ბანკმა წვრილგლეხობაშიაც

ნოიპოვოს წევრები და, მაშასადამე, მევახშეების მსხვერპლთა რიცხვი შეამციროს.

ერთი სიტყვით საჭიროა, რომ ბანკმა მეტი ყურადღება მიაქციოს მეურნეებს და მათთვის კრედიტის გაძლიერების საქმეს. როგორც ვიცით, ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს ბანკის წევრთა საზოგადო კრება. ვიმედოვნოთ, რომ ამ კრებაზე ჩვენ მიერ აღძრულ საკითხის შესახებ მსჯელობას იქონიებენ და საქმეს ასე თუ ისე საუმჯობესოთ მოაგვარებენ, თორემ სირცხვილია, ხვა რომ არა იყოს რა, ბანკს სახელათ „სამეურნეო“ ერქვას და იმავე დროს მეურნეებთან თითქმის არავითარი დამოკიდებულება არ ქონდეს.

ჟურნალი „კვალი“, 1902 წ., № 10, გვ. 157—160.

ქალაქის მართვა-გამგეობა

I. ქალაქი და მისი საჭიროებანი

ქალაქის საჭიროებებზე, მის სასურველათ მართვა-გამგეობაზე წერა და ლაპარაკი ჩვენში არასოდეს არ არის უდროვო. მით უფრო ახლა. მაისში თფილისის ქალაქის არჩევნები უნდა მოხდეს და ამიტომ ჩვენ მიერ აღებულ საგანს actualité, დროსთან შეფერულობა არ აკლია. ჩვენ პრესაში ამ საგნის შესახებ გვარიანი ხიჩუმე სუფევს და საჭირო კია ამაზე მეტი ფიქრი და ყურადღების მიქცევა.

„ქალაქის მართვა-გამგეობა“. მაგრამ ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: რა არის ქალაქი და რაა აქ „სამართავ-საგამგეგო? მართვა და გამგეობა ნიშნავს პრაქტიკულ მოქმედებას საქმეების ასე თუ ისე მოწესრიგებისათვის. ეს მოქმედება მხოლოთ მაშინ იქნება შეგნებული და სასურველ შედეგის მომტანი, როცა წინდაწინვე გამორკვეული და გაგებულია ცხოვრების მოთხოვნილებები, ნათლად დანახული და გათვალისწინებულია გასაკეთებელი საქმეები. ყოველი პრაქტიკული მოქმედება ცხოვრების მოთხოვნილებებზე უნდა იყოს აგებული და მათთან შეთანხმებული. და, აი, მხოლოთ მაშინ იქნება იგი სასარგებლო და ნაყოფიერი, ამიტომ, სანამ პირდაპირ ქალაქის მართვა-გამგეობაზე ლაპარაკს დავიწყებდეთ, საჭიროა იმ საგნის ახსნა, რომელსაც ეს გამგეობა უნდა შეეხებოდეს, საჭიროა თანამედროვე ქალაქის ძირითად თვისების გარკვევა და მის მოთხოვნილებათა აღნუსხვა და განმარტება.

მაშ რას წარმოადგენს თანამედროვე ქალაქი? არ მგონია, ამ კითხვაზე ბევრისგან ერთნაირი პასუხი მიიღოთ. ბიუროკრატის აზრით, მაგალითათ, ქალაქი ის ადგილია, საცა ბლომათ კანცელარიები მოიპოვება და „ჩინოვნიკები“ ცხოვრობენ. ასეთ გულუბრყვილო ადამიანს არ გაეგება, რასაკვირველია, რომ ადმინისტრაცია ქალაქს არ შეადგენს.

საადმინისტრაციო დაწესებულებები შეიძლება სოფელშიაც გადატანილ იქნეს, მაგრამ ამით სოფელი ვერ გაქალაქდება. მართალია, ეს ხელს შეუწყობს სოფლის გადიდება-გაფართოვებას, მიმოსვლის გაძლიერებას, ვაჭრობის გაღვიძებას და ხელოსნობის განვითარებას. კანცელარიაში მთხოვნელები მოვლენ, „ჩინოვნიკები" ბინას დაიქირავებენ. მიკიტნები მეტს ივაჭრებენ, ვაჭრები მეტ საქონელს გაასაღებენ, სოფლელები მეტ ქათამს და კვერცხს გაყიდიან და მეჩექმე ხელოსნებსაც უფრო ხშირათ მიუვათ გაცვეთილი ჩექმები დასაკერებლათ. მაგრამ ხელის შეწყობა სულ სხვაა და ქალაქის ღერძათ ყოფნა კიდევ სხვა. ასეთი ეკონომიური მნიშვნელობა საადმინისტრაციო დაწესებულებებს ქალაქშიაც აქვს. მხოლოთ ეს მნიშვნელობა შედარებით ძალიან პატარაა, ასე რომ იგი ქალაქის საფუძვლად და მის დამახასიათებელ მთავარ მხარეთ ვერ ჩაითვლება.

თუ სოფლელს დაეკითხებით, იგი უეჭველად ქალაქის ნიშნობლივ თვისებათ ხალხის და სახლების სიმრავლეს დაგისახელებთ. ქალაქი ის ადგილია, გეტყვით ის, საცა მრავალი ხალხი ცხოვრობს და ბევრი სახლია აგებულია. ცხადია, რომ ესეც ზერელე შეხედულებაა. ერთათ მოგროვებული ლაშქარი, შეიძლება, 200 ათასზე მეტიც იყოს რიცხვით, მაგრამ ეს ხალხი, მარტო სიმრავლის გამო, მოქალაქეებათ ვერ ჩაითვლება. და რაც შეეხება სახლების სიმრავლეს, განა იშვიათია ისეთი სოფელი, რომელიც სახლებს ბლომათ შეიცავდეს? მიუხედავათ ამისა, იგი მაინც სოფლათ რჩება, ქალაქათ ვერ იქცევა და ქალაქის ურთიერთობათა სახეს ვერ იღებს. ამის მიზეზი ის არის, რომ სოფლის ეკონომიური ცხოვრება და ქალაქისა ერთმანეთისგან ძალიან განირჩევა. და სწორეთ ეს სხვა-და-სხვა ნაირი ეკონომიური ცხოვრება არის ძირითადი დამახასიათებელი თვისება როგორც სოფლის ისე ქალაქისა.

ვინც ჩვენებურ სოფლის ეკონომიურ ცხოვრებას დააკვირდება, შეამჩნევს, რომ აქ ან სულ არა და ან ძალიან ცოტაა შრომის განაწილება. სოფლის ხალხი უმთავრესათ მიწას მუშაობს, სამეურნეო ნაწარმოებებს ამზადებს. თითოეულ ოჯახს აქვს, ცუდია თუ კარგი, თავისი საკუთარი საცხოვრებელი სახლი, მის მიერვე მოწეულ სამეურნეო ნაწარმოებებით ჯერ თავს იკვებავს, ხოლო ზედ-მეტს ყიდის ვაჭრებზე. რომ აქ აღებული ფულით ისეთი საგნები იყიდოს, რომლებსაც იგი აღარ ან ვეღარ აწარმოებს და რომლებიც მას მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ კი ესაჭიროება. ამგვარათ სოფელში ყიდვა-გაყიდვა თუმცა არსებობს, მაგრამ ქალაქთან შედარებით ძალიან სუსტი და მცირე. და სწორეთ ეს გაცვლა-გამოცვლის სისუსტე არის შრომის განაწილების ნაკლებობის მაჩვენებელი. სოფლის ყველა ოჯახები, თუ

ზოგადათ ვიტყვით, ძალიან გვანან ერთმანეთს თავიანთი წარმოებით, ერთი იმას აწარმოებს და იწვევს, რასაც მეოთხე და მესამე, ასე რომ მათ ერთმანეთში გასაცვლელი არა აქვთ-რა. გაცვლა-გამოცვლა, ყიდვა-გაყიდვა მხოლოთ მაშინაა შესაძლებელი, როცა ერთს ისეთი ნაწარმოები აქვს, რომელიც მეორეს არ მოეპოვება, ხოლო ამ მეორეს კი ისეთი, რომელიც პირველს არა აქვს და საჭიროებით კი ესაჭიროება. უამისოთ ყიდვა-გაყიდვა არ იქნება. აბა რომელ გლეხს მოუვა თავში პური პურში გაუცვალოს თავის მეზობელს და ღვინო—ღვინოში.

ასეა სოფლის გარემოება. აქ წარმოებაში ერთფეროვნება არის. ამის გამო მწარმოებლები ეკონომიურათ ერთმანეთისაგან დამოკიდებულნი არ არიან. ვთქვათ, სახლი და სარჩო-საბადებელი დაეწვა ერთ რომელიმე სოფელს. ეს ნიშნავს მხოლოთ მის გაღატაკებას და მევახშის პრჭყალებში ჩავარდნას. ამით, შეიძლება ვთქვათ, მის მეზობელს თითქმის არავითარი ზარალი არ მიეცემა. ის ისე განაგრძობს ცხოვრებას, როგორც წინეთ უცხოვრია. ეს ისევ ძველებურათ მომკის თავის პურს და დაამზადებს თავის ღვინოს. მეზობლის გაჩანაგება მის გაჩანაგებასაც არ იწვევს და არ იწვევს იმიტომ, რომ იგი არ არის მასთან აღებ-მიცემობითი ურთიერთობით დაკავშირებული.

რადგანაც, ამნაირათ, სოფელში მცხოვრებთა ერთმანეთზე ეკონომიურათ გადაბმა არ არსებობს, ეკონომიური დაკავშირება ნაკლებია, ამიტომ იქაური ცხოვრებაც სადა და მარტივია. მართალია, ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ სოფლებსაც ეტყობა შესამჩნევი ცვლილება, იქაც ემჩნევა მცხოვრებლებში შრომის განაწილების დაწყება და ურთიერთობათა გართულება, მაგრამ ჯერ ეს მაინც დასაწყისია და სოფლის საზოგადო ნიშნათ ვერ დაისახება.

სულ სხვაა ქალაქური ცხოვრება. თუ სოფელი ჩვეულებრივ თავის სახლში ცხოვრობს, ქალაქში მცხოვრებთა უმრავლესობას არ მოეპოვება საკუთარი ბინა. თუ სოფელი მეურნეობით არსებობს, ქალაქი მრეწველობით და ვაჭრობით ინახავს თავს. თუ იქ მცხოვრები თავის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებებს საკუთარი ნაწარმოებებით იკმაყოფილებს, აქ მან ყველაფერი სხვისგან უნდა შეიძინოს. თუ იქ ფული შედარებით იშვიათათაა საჭირო, აქ უამისოთ ერთ ფეხსაც ვერ გადაგამთ და ეს კი იმის მომასწავებელია, რომ წარმოებაში შრომის განაწილება მომხდარა და რომ თითოეული მწარმოებელი თავის მოთხოვნილებათა უმცირეს ნაწილსაც კი საკუთრათ, თავის თანამოქალაქესთან მიუმართავათ, ვეღარ იკმაყოფილებს. თითოეული მუშაობს თავის ფარგლებში, თავის ხელობაში, აკეთებს ისეთ ნივთებს, რომლებიც სხვებს ესაჭიროებათ და მათი გაყიდვით აღებულ ფულით იძენს ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც სხვებს გაუკეთებიათ და მას კი ესაჭიროება. ამ-

გვარათვე იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს ისიც, ვინც დამოუკიდებელი მაწარმოებელი არაა, მხოლოთ, ნაცვლათ ნაწარმოებთა, იგი ყიდის თავის საკუთარ ძალ-ღონეს და თავს დღიური ქირით ან მოჯამაგრეობით ინახავს.

ასეთ განწყობილებაში რომ მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება არსებობს, ეს ადვილი დასანახი და გასაგებია. ჩვენ ზევით სოფლელის სახლკარის დაწვა მოვიხსენიეთ მაგალითათ. აქაც იმგვარივე მაგალითი გავიმეოროთ. ვთქვათ, თფილისში ცეცხლმა გადაწვა ერთი დიდი ტყავის ქარხანა. ვიგულისხმოთ ისიც, რომ ქარხანა დაზღვეული არ ყოფილა, ასე რომ პატრონმა ახალი ვეღარ ააგო,—იგი სრულიათ გაკოტრდა. რა შედეგი ექნება ამ მოვლენას?

ისეთი ფართო და მრავალ-მხრივი, რომ, იქნება, ზოგიერთ მკითხველს არც კი ეგონოს. ქარხნის დაწვის გამო იმ მეურნეებს, რომლებიც საქონლის ტყავს ყიდიან, მყიდველი დაეკარგებათ. ტყავის ფასი დაეცემა და, მაშასადამე, მათ შემოსავალი შეუმცირდებათ, სხვა-და-სხვა ვალდებულებათა გაძღოლა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება გაუჭირდებათ. გაკოტრებული მექარხნე თავის მუშებს სამუშაოს ვეღარ მისცემს. ესენი უადგილოთ დარჩებიან. სახლის პატრონს ქირას ვერ გადაუხდიან, მეწვრილმანეს ნისიას. პირველი სახლიდან გამოაძევებს, მეორე ნისიათ ძლევას მოუსპობს. წვრილშვილებიანი მუშა რჩება უმწეოთ და ვარდება უკიდურეს სიღატაკეში. ამით მეწვრილმანესაც მუშტარი აკლდება, ვაჭრობა უმცირდება, და სახლის პატრონსაც ქირა ეკარგება. მეწვრილმანემ, დანაკარგი რომ შეივსოს, საქონელს ფასი უნდა აუწიოს და სხვა მუშტრებს აზღვევიოს. სახლის პატრონმაც აქ დაკარგული ქირა მერმინდელმდგმურებს უნდა გადაახდევიოს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. იმ მექარხნეს, რომელიც ცეცხლმა გააკოტრა. უეჭველათ ექნებოდა კრედიტი ბანკებში და კერძო პირებთან. მას, გაკოტრებულს, რასაკვირველია, აღარ შეეძლება თავისი ვექსილების დახსნა. ბანკსაც და კერძო პირებსაც აქ გაცემული სესხი დაეკარგებათ, რაშაც, შეიძლება, მათი გაკოტრება გამოიწვიოს. კიდევ კარგი, რომ საქმე აქ შეჩერდებოდეს. მაგრამ ჩვეულებრივ ეს ასე არ ხდება და აქ მაგალითათ მოყვანილ ეკონომიურ მოვლენის შედეგი კიდევ უფრო შორს მიდის. ბანკისა და კერძო ვაჭრების გაკოტრება გამოიწვევს თავის მხრით სხვების გაკოტრებასაც ან მაინც შესამჩნევ ზარალს. და აქ განმეორდება ის, რაც მექარხნის მუშების შესახებ ვთქვით: ნოქრები დათხოვნილ იქნებიან, მეპოვოზკეებს სამუშაო მოესპობათ, პოვოზკების შემკეთებლებს უქმობა დაუდგებათ და სხვა-და-სხვა. კიდევ დიდ-ხანს შეიძლებოდა ასეთი შედეგების აღნუსხვა. მოვიხსენიებდით,

მაგ., იმას, რომ ერთ დიდ ტყავის ქარხნის მოსპობას, დროებით მაინც, შედეგად მოყვება ტყავის ნაწარმოებებზე ფასების აწევა, მაშასადამე, მომხმარებლებისთვის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გაძნელება. მოვიხსენიებდით კიდევ სხვა რამეებსაც, მაგრამ გვეშინია მკითხველის თავის მობეზრების და ამიტომ აქ შევჩერდებით.

ნათქვამიც საკმარისი უნდა იყოს იმ აზრის განსამარტებლად, რომ ქალაქი არ წარმოადგენს მარტო სახლებისა და ადამიანების გროვას. არა, ქალაქი უფრო ფართოთ უნდა განისაზღვროს, ქალაქის სახელი უნდა ეწოდოს ისეთ ვიწრო ფარგლით მოსაზღვრულ ადგილზე მცხოვრებ საზოგადოებას ადამიანთა, რომლებიც მრეწველობა-ვაჭრობას ეწევიან და ერთმანეთთან ეკონომიურ ინტერესებით არიან მჭიდროთ დაკავშირებული.

მაშასადამე, ქალაქი პატარა განსაზღვრულ საზოგადოებას წარმოადგენს. ყველამ იცის, რომ ყოველ საზოგადოებაში, რა პატარაც უნდა იყოს იგი, ასეთი თუ ისეთი წეს-რიგი და მართვა-გამგეობა არის საჭირო. თვით ადამიანთა ერთათ შეგროვება და ერთათ ცხოვრება იწვევს ისეთ საჭიროებას. რაიმე საკომერციო ამხანაგობა აბა რა არის ისეთ საზოგადოებასთან შედარებით, როგორსაც ქალაქი წარმოადგენს, მაგრამ განსაზღვრული წეს-რიგი და გვარიანათ რთული მოქმედება მის საქმეების წაყვანასაც უნდება. რაღა უნდა ითქვას ქალაქზე რომელსაც საზოგადო მოთხოვნილებები მრავალი აქვს და საერთო ინტერესის საქმეები მუდამ გამოულეველი.

თუ ნატვრაზე მიდგება საქმე, სასურველია, რა თქმა უნდა, ქალაქი ისე განიგებოდეს და იმართებოდეს, რომ მის ყველა მცხოვრებთ სარგებლობა და წარმატება ეძლეოდეთ. მაგრამ სურვილი ხშირათ ცხოვრებაში ვერ სრულდება. და აქაც ეს ასე ხდება. როგორი მართველობაც უნდა მიცეთ ქალაქს, რანაირ კაცებსაც უნდა მიანდოთ ქალაქის საქმეების გამგებლობა, ისინი ვერა-გზით ვერ მოახერხებენ ქალაქის საჭიროებათა ისე დაკმაყოფილებას და გაძღოლას, რომ ეს საერთოთ ყველა მოქალაქეთათვის სასარგებლო იყოს. ვერ მოახერხებენ იმიტომ, რომ წარმოების წესის იმ ფორმაში, რომელიც დღეს გამეფებულია, ეს მოუხერხებელი და მოუგვარებელია.

ჩვენ ვთქვით, რომ ქალაქი საზოგადოება არისო და მისი წევრები ერთმანეთთან ეკონომიური ინტერესებით არიან დაკავშირებულიო. მაგრამ ეს დაკავშირება, მოქალაქეთა ერთმანეთისგან ეკონომიურათ დამოკიდებულება სრულიათაც არ ნიშნავს, ვითომ მათ ერთმანეთში ეკონომიურ ინტერესთა შეთანხმებულობა და სოლიდარობა ქონდეთ. რეალურ ინტერესების მხრით ქალაქის ხალხი საერთოთ არ წარმოადგენს ისეთ ერთგვარ მთელს, როგორც, მაგ., სააქციო საზოგადოება. აქ

შეერთება ნება-ყოფლობით არის მომხდარი, იქ კი ცხოვრების განვითარების ძალ-დატანებით. აქ ყველა წევრებს ერთნაირი ინტერესები აქვთ, ეს ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება; საჯაქიო საზოგადოება ერთათ ეწევა წარმოებას და წლის ბოლოს იყოფს თანასწორათ მოგებას. იქ კი ეს ასე არაა. ქალაქის მცხოვრებლებს არც საერთო შეთანხმებული წარმოება აქვთ და არც გასანაწილებელი ნაყოფი წარმოებისა. მოქალაქენი, მიუხედავათ იმისა, რომ ყველანი ერთი ქალაქის წევრნი არიან, განირჩევიან ერთმანეთისგან ქონებით და სოციალური მდგომარეობით. მათში არიან სხვადასხვა კლასის და წოდების წარმომადგენლები: მემამულეები, ვაჭრები, ნოქრები, ფაბრიკანტები, ბელოსნები, მუშები და სხვ. და რახან დღეს ყველა „enrichissez-vous"-ს (გამდიდრდით!) იძახის და ცხოვრებაში ულმობელათ იბრძვის, ამიტომ ძნელი გასაგები არაა ის, რომ ქონებით მძლავრი კლასი ყოველთვის ცდილობს და ახერხებს კიდეც თავისკენ ბლომათ მოითალოს და სხვებს ნაკლები ულუფა დაუტოვოს. და ასეთ ინტერესთა განხეთქილებაში, ცხადია, არავითარ მართველობას არ შეუძლია ყველას ინტერესები დაიცვას და ყველას სასარგებლოთ იმოქმედოს.

ამ აზრს, გვგონია, განმარტება აღარ ეჭირვება, მაგრამ ჩვენ მაინც მის უფრო ნათელსაყოფელათ ერთ მაგალითს მოვიყვანთ. ავიღოთ თუნდა მდგმურებისა და სახლის პატრონების ურთიერთობა ქალაქში. რამდენათაც ქალაქი იზრდება ვაჭრობა-მრეწველობით და მცხოვრებლებით, იმდენათვე მატულობს მასში საბინადრო სახლების საჭიროება, იმდენათვე იწევს და იწევს ზევით ბინების ქირა. მდგმური ყოველ წელიწადს იძულებულია ბინის მომატებული ქირა იხადოს, რადგან სხვა გზა არა აქვს.—უბინოთ ვერ დარჩება და ქუჩაში ვერ იცხოვრებს. სახლის პატრონთან საბრძოლველათ მას არავითარი სახსარი არა აქვს. ყოველ თეის ან ყოველ წლის დასაწყისში მაინც იგი უნდა ელოდეს, რომ სახლის პატრონი ან ქირის მომატებას მოითხოვს და ან სახლის დაცლას. დადგა ვაჭრობისა ან მრეწველობისთვის გაცოცხლების დრო, — მდგმურმა მეტი ქირა ან ჯამაგირი აიღო. რათ უნდა: სახლის პატრონი უდარაჯებს და ამ მომეტებულ შემოსავალს იგი მომეტებულ ქირის საშუალებით წყნარათ ამოართმევს ჯიბიდან. აქ ჩნდება ერთნაირი ბატონ-ყმობა, რომელიც ამ ჩვენ დროში, როცა ყველა კაცში პირადი თვით-ცნობიერება ასე თუ ისე ცოტათი გაღვიძებულია, მეტათ ძნელი ასატანია. რა უნდა ქნას აქ ქალაქის მმართველობამ? რასაკვირველია. თუ მას ქალაქის მცხოვრებთა დიდძალ უმრავლესობის ყოფამდგომარეობის გაუმჯობესობა სწადია, უნდა ეცადოს იაფ-ფასიან ბინების გავრცელებაზე და ხელი შეუწოს საზოგადოთ ბინის ქირების დაწევას. მაგრამ ასეთი მოღვაწეობა რომ სახლის პატრონებს შემოსა-

ვალს რა გაუდიდებს და მართველობის თავს ვერ შეაყვარებს, ეს მაინ-ცა და მაინც ძნელი გამოსაცნობი არაა.

ერთი სიტყვით, როცა კი საქმე მიდგება ეკონომიურ კითხვებზე ღა მცხოვრებთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, თვით-მართველობა, როგორიც უნდა იყოს იგი, ზოგიერთ კლასთა წინააღმ-დეგობას და უკმაყოფილებას ვერ აცდება .იგი აქ ვერ მოახერხებს ყვე-ლას ინტერესების დაცვას და ყველასთვის მატერიალურ სარგებლო-ბის მოტანას. მიუხედავად ამისა, მაინც ქალაქის თვითმართველობის ერთ მთავარ მოვალეობას შეადგენს მცხოვრებთა უმრავლესობის ეკო-ნომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და მეცადინეობა, თუნდა ამის უმცირესობა კიდეც ეწინააღმდეგებოდეს. ეს ქონებით შეუძლო უმრავლესობა წარმოადგენს ქალაქის ნამდვილ ძალას თავი-სი გარჯით და შრომით. ამათი წელში გამაგრება და გაღონიერება ნიშ-ნავს მთელი ქალაქის ეკონომიურ და კულტურულ ძალის გაზრდას და გადიდებას.

მაგრამ ქალაქს, გარდა ეკონომიურისა, სხვა მოთხოვნილება-საჭი-როებანიც აქვს. ჩვენ-და სასიამოვნოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მო-თხოვნილებები ისეთი ხასიათისაა, რომ მათი დაკმაყოფილება ქა-ლაქის ყველა მცხოვრებლებისთვის სასარგებლო და წარმატების მომ-ცემია. ამიტომ მათი დაკმაყოფილებისთვის ზრუნვა და მოღვაწეობა მცხოვრებთა ყველა კლასებში და წოდებებში მოიპოვებს სიმპატიას და თანაგრძნობას. ამ მოთხოვნილებების ორ ჯგუფად გაყოფა შეიძლება: პირველს ეკუთვნის მცხოვრებთა ჯან-ერთელობის დაცვა და ქალაქის ჰიგიენურად მოწყობა და მეორეს—ხალხში სწავლა-განათლების გავ-რცელება და, მაშასადამე, სკოლების გამრავლება.

ამ სახით ჩვენ ქალაქის საჭიროებანი სამ ჯგუფად დავანაწილეთ. ჰი-გიენა, სკოლა და ეკონომია, — ამ სამი სიტყვით გამოიხატება, ჩვენი აზრით, ქალაქის მთავარი საჭიროებანი.

შემდეგ წერილებში ამაებზე დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

II. ჰიგიენა

წინა წერილში ჩვენ ქალაქის ჰიგიენურად მოწყობა-მომართვა და ნოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა ისეთ საქმეთ ჩავთვა-ლეთ, რომელიც საერთოთ ქალაქის ყველა მცხოვრებლებისთვის სასარგებლო და წარმატების მომცემია. მართალია ეს? არის აქაც ზო-გიერთი ისეთი შემთხვევები, რომლებმაც, შეიძლება, კაცი დააეჭვოს და აფიქრებიოს: არა, ეს ყველასთვის სასარგებლო არ იქნებაო. გან-ვიხილოთ.

თვით-მართველობის ზრუნვა ქალაქის ჰიგიენაზე იმაში გამოიხატება, რომ იგი აარსებს ისეთ დაწესებულებებს, რომლებიც მცხოვრებთა ჯანმრთელობის დაცვას ხელს უწყობს, და ადგენს ისეთ წეს-რიგს ქალაქის მართვა-გამგეობაში, რომელიც იმავე მიზანს ემსახურება. და, აი, აქ მოხდება ხოლმე, რომ პირადი ანგარიშებით გატაცებული მოქალაქე თვით-მართველობის მიერ მიღებულ ზომებს თავის საზარალოთ და პირადი თავისუფლების შემბოჭველათ ჩათვლის.

ავიღოთ მაგალითათ ხორცის გასინჯვის საქმე. ცნობილი და დამტკიცებულია, რომ თუ საქონელი ჭირიანია, მისი ხორცის ჭამით ადამიანსაც გაუჩნდება სენი. მცხოვრებთა ჯანმრთელობის დასაცველათ აუცილებლათ საჭიროა, რომ ხორცი, სანამ გასაყიდათ გამოიტანებოდეს, გაშინჯულ იქნეს თვით-მართველობის მიერ დანიშნულ სპეციალისტებისაგან. ჭირიანათ და მავნებლათ ცნობილი ხორცი უნდა წაერთვას ყასბებს და გასაყიდათ არ იქნეს გამოტანილი. ამას მოითხოვს მოქალაქეთა სიცოცხლე და ამასვე უნდა თხოულობდეს ქალაქის გამგეთა სინდისი და ზნეობრივი მოვალეობა. მაგრამ ამასვე არ თხოულობს ხშირათ ყასბის არც სინდისი და არც ნივთიერ სარგებლობის გამოანგარიშება... ყასაბს უნდა თავისი საქონელი, ჭირიანია იგი თუ საღი, გაყიდოს და სარგებლობა ნახოს. გამოდის, რომ მართველობა, რომელიც მას ჭირიანის გასაღებას უკრძალავს, სარგებლობას უმცირებს, ჯიბის გასქელებას უძნელებს.

კიდევ უფრო შორს შეიძლება ამ მაგალითის აზრის გატარება. ქალაქის მცხოვრებლებში მოიპოვებიან ისეთი ხელობის პირნი, რომლების ნივთიერ სარგებლობის ინტერესი ამ შემთხვევაში ყასბის ინტერესთან არის შეთანხმებული. გავიხსენოთ ექიმები, გავიხსენოთ მეაფთიაქეები... რამდენათაც ხშირია სენი და ავათმყოფობა, იმდენათვე ხშირათ უხდება ექიმს ავათმყოფებთან სიარული და, მაშასადამე, გასამრჯელოს აღება, იმდენათვე მეტ წამლებს ყიდის და მეტ ფულს იძენს მეაფთიაქეც.

ამიტომ შეიძლება მართლა იფიქროს ვინმემ, რომ ვითომ „სხვისი ჭირი“ ყველა აქ მოხსენებულ ხელობათა წარმომადგენლებისთვის სასარგებლო და ხელ-საყრელი იყოს. მაგრამ ეს შეცდომა იქნება, შეცდომა, აგებული ყალბ ანგარიშზე და ყალბ საფუძველზე. ყასბისათვის ის ჯობს, რომ ქალაქში მცხოვრებნი მრავლდებოდნენ და მას ყოველ დღე ყავდეს მეტი მუშტარი და არა ის, რომ ერთ დღეს დახოცოს ჭირიანი ხორცით თვისი მუშტრები და მეორე დღეს დაჯდეს ცარიელ დაზგასთან და თვალოს დუქნის გასუქებული ბუზები. და რაც შეეხება ექიმებსა და მეაფთიაქეებს, განა ისინი კი ადამიანები არ არიან? ჭირიანი ხორცი იმათაც ისე მოწამლავს, როგორც მე და თქვენ, რომლებიც

არც რეცეპტებსა ვწერთ და არც წამლებს ვყიდით მამასისხლათ. და ესეც რომ არ იყოს, ექიმსაც და მეაფთიაქესაც მეტი ხეირი ექნება, თუ მოქალაქე მეტს იცოცხლებს და უცებ არ მოკვდება. ორივესთვის ის ჯობს, რომ მოქალაქემ 80—100 წელიწადს იცოცხლოს და ბათ ორმოცჯერ მიმართოს, და არა ის, რომ სამ დღეში გაჭიმოს ფეხი, თუნდა ამ სამ დღეში ათჯერაც დასჭირდეს ექიმის მოწვევა და ამდენჯერვე წამლების გამოტანა აფთიაქიდან. ეს არის უფრო მართალი ანგარიში. ის ფაქტი, რომ ყასაბი, მაგალ., ხორცის გაშინჯვის წინააღმდეგი იქნება, არ ამტკიცებს, რომ ვითომ ხორცის გაუშინჯველობა და, მაშასადამე, მოქალაქეთა ხშირი მოწამვლა მისთვის სახეირო იყოს. ადამიანი ბუნებით ძალიან ზანტი და ძალიან ძნელათ შემგნებელია. იგი ხშირათ ვერიგებს ისეთ რამეებსაც, რომლებიც მისთვის გამოსაღეები და სასარგებლოა. სიხარბე მას დეღვანდელი სარგებლობით ბევრჯერ ხვალინდელს და ზეგინდელს ავიწყებიებს.

არა, ქალაქის ჰიგიენურათ მოწყობა ყველასთვის საჭირო და სასარგებლოა. სასარგებლოა მდიდრებისთვის, სასარგებლოა ღარიბთათვისაც. აქ ვერ იტყვის მდიდარი დაინტერესებული არა ვარ, ეს ჩემთვის საჭირო არაა. ყველა მოქალაქეები ისუნთქვენ ერთ და იმავე ჰაერს, ყველანი ხმარობენ ერთ და იმავე წყალს. ყველანი ცხოვრობენ ერთ და იმავე ნიადაგზე, მყრალი გაფუჭებული ჰაერი მდიდარსაც მოხვდება ცხვირში და ღარიბსაც. იგი ერთსაც ავნებს და მეორესაც. ქუჩებში მდიდარიც დადის და ღარიბიც. თუ ქუჩა მტვრიანია, დაუგველი და მოურწყველია, ჭლექის ბაცილებს მტვერთან ერთათ ღარიბიც ჩაყლაპავს და ჩასუქებული-ჩაკურტებული ბურჟუაც. სუფთა და კარგათ მოფენილი ქუჩები ორივესთვის სასიკმოვნოა, ორივესთვის სასარგებლოა. მართალია, შეძლებული ეტლით სიარულსაც მოახერხებს, მაგრამ ოღრო-ჩოღრო და ტალახიან ქუჩების გამო, სხვას რომ ალალფერს თავი დავანებოთ, ეტლის რეზინების გამოცვლა მაინც ხშირათ დაჭირდება. და ჩვენისთანა ხალხს კი, მკითხველო ჩემო, ჩექმები დაუსკდება ტალახისაგან, და ჩვენთვის ესეც ანგარიშია.

ასე საჭიროა ქალაქის ჰიგიენა ყველა მოქალაქეებისთვის. განურჩევლად კლასისა და წოდებისა; მაგრამ მისი საჭიროება განსაკუთრებით დიდია დაბალ, შეუძლო, მშრომელ ხალხისთვის. ისეთ ადამიანის სხეულს, რომელიც მუდამ ჯაფაში და შრომაშია, მუდამ მოქანცულია, საკმარისათ ვერ ჭამს და ვერ იცვამს, მუდამ ადვილათ ეკიდება და ერევა ყოველგვარი სენი და ავათმყოფობა. ხშორედ ასეთ კაცს ეჭირვება უკეთესი ჰიგიენური პირობები, მეტი საექიმო მოვლა და დახმარება. მიუხედავად ამისა, რას შვრება ჩვენი ქალაქის თვით-მართველობა? სწორეთ ის უბნები დაუვიწყებია, საცა უმთავრესათ დაბალი,

შეუძლო ხალხი ცხოვრობს. იქ არის გასაშტერებელი უსუფთაობა. სიმყრალე, სიმყრალე და კიდევ სიმყრალე. ასეთია ჩვენებურ ქალაქის მმართველობის „ზრუნვა“ ხალხზე, იმ ხალხზე, რომელიც თვისი დაუღალავი შრომით და მეცადინეობით ბურჯია მთელი ქალაქისა.

ხალხის ჯან-ვრთელობაზე ზრუნვა, ამისათვის შრომა და მოღვაწეობა არ ეოასწავებს ვარტო ფილანტროპობას, ვარტო ჰუმანურ გრძნობათა ამოძრავებას და ამოქმედებას. არა, ეს ნიშნავს უმთავრესათ ხალხის ეკონომიურ წარმატებისთვის ზრუნვას, მის კულტურულ წინსვლისთვის მოღვაწეობას, მხოლოთ ჯან-საღ ხალხს შეუძლია ეკონომიურ პროგრესის შექმნა, მხოლოდ ასეთ ხალხს ძალუძს კულტურის ნაყოფთა შეთვისება და შესისხლ-ხორცება. ისეთ ეკონომიურ წესწყობილების ხანაში, როგორიც ეს ჩვენი ხანაა, საცა ყველანი ერთმანეთზე ვართ ეკონომიური კავშირით გადაბმულ-გადაჯაჭვული, ერთის დაავადება და დასუსტება ნიშნავს მეორის დასუსტებასა და დაზარალებას. ერთის უდროოდ სიკვდილი და გაქრობა შედეგათ იწვევს მეორის ეკონომიურ საქმეების გაწეწას და არევ-დარევას. აქ არ შეიძლება იმის თქმა, მაგალითად, რომ მუშის, ხელოსნის, ან ნოქრის, ან სხვა ვინმეს დაავათმყოფება, სხეულით დაძაბუნება მთელ ქალაქს არ შეეხება, მთელ საზოგადოებას არ აინტერესებსო. არა, ეს ყველას შეეხება, ეს ყველასთვის საინტერესოა. ეს ხალხი ხომ რამეს აკეთებს, მუშაობს, რამეს აწარმოებს. ამიტომ მისი დაავათმყოფება და ლოგინათ ჩავარდნა ნიშნავს საზოგადოებაში საწარმოო ძალის შემცირებას და შესუსტებას. განა სულ ერთია მექარხნისთვის ან ვაჭრისთვის, მუშა მაგარი იქნება აგებულებით თუ სუსტი, ნოქარი ჯანმრთელი იქნება თუ დასუსტებული? ცხადია, ეს მათთვის სულ ერთი ვერ იქნება. სხეულით სუსტი მუშა სამუშაოსაც სუსტათ ასრულებს, მის მუშაობას ნაკლები ძალა აქვს, მის მუშაობას ნაკლები ნაყოფი მოაქვს. ეს ნაყოფის ნაკლებობა საგრძნობელია კაპიტალისტისთვის, საგრძნობელია მთელი საზოგადოებისთვისაც. საზოგადოების ინტერესი მოითხოვს ხალხის საწარმოო ძალა ვითარდებოდეს, ადამიანის შრომა მეტ ნაყოფს იძლეოდეს. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ეოთხოვნილებების გაჭრავლება და დაკმაყოფილება, ცხოვრების გაუმჯობესება და საერთოდ კულტურის გაძლიერება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ხელს არ უწყობს სამუშაო ძალის დაზოგვას, რაც უდროოთ აფუჭებს და აჩანაგებს ადამიანის ძალ-ღონეს, ხელს უშლის საზოგადოების წინ-მსვლელობას, აფერხებს და აბრკოლებს ეკონომიურ წარმატებას და კულტურულ განვითარებას.

ასე დიდია ჰიგიენის მნიშვნელობა. ამიტომაც ევროპის ქალაქები მილიონებს ხარჯვენ ქალაქის ჰიგიენურათ მოწყობისთვის და მცხოვ-

რებთა კანმრთელობის დასაცველათ დაარსებულ დაწესებულებათა შენახვისთვის. და ჩვენში? ჩვენში კი ეს კითხვა თითქმის სულ მთლათ მივიწყებულია, ამისთვის ძალიან ცოტა რამ იხარჯება და კეთდება. ნეტა მაინც არ იყოს გასაკეთებელი საქმეები, ნეტა მაინც არ არსებობდეს საჭიროება და მოთხოვნილება! საჭიროება დიდია, შესასრულებელი საქმეები მრავალთ-მრავალია, მხოლოდ არ არის მხნეობა და ენერგია, არ არის შრომა და მოქმედება.

ჰიგიენის მხრით ქალაქის მოსაწყობათ იმდენი რამეებია საჭირო, რომ ჩვენ აქ ამ მოკლე წერილში მათ მარტო ჩამოთვლასაც ვერ მოვახერხებთ. ამიტომ მოვიხსენიოთ მხოლოთ ისეთი საგნები, რომლებიც უმთავრესი და უმნიშვნელოვანესია. სიწმინდე ქალაქის, სისუფთავე ცხოვრებთა, ჰიგიენური ბინები, წმინდა და საღი საკვები მასალა, საავათმყოფოები და ავათმყოფთა მოვლა, — აი ეს არის ქალაქის ჰიგიენის უმთავრესი საგნები.

ქალაქის გასუფთავების საქმეში პირველი ალაგი უეჭველათ ფეხისადგილების გაწმენდას უჭირავს. ეს გაწმენდა შეიძლება სხვა-და-სხვა წესით სრულდებოდეს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქნება ფეხისადგილები მოწყობილი. საზოგადოთ სამნაირი წესი იხმარება ფეხისადგილების გასაწმენდათ. პირველი წესია უწმინდურების ორმოდან ბოჭკებში გადაღება და ქალაქს გარეთ გატანა. მეორე წესი არის ფეხის-ალაგის ორმოში ბოჭკის ჩადგმა და გავსების შემდეგ შინაარსის ბოჭკიანათ გატანა ქალაქიდან (tosses mobiles), ხოლო მესამე წესი კანალიზაციით სრულდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიწაში მილები გაყავთ და ფეხის ალაგები უწმინდურებას ამ მილებით უშვებენ მდინარეებში. ეს წესი, უეჭველათ, როგორც ჰიგიენის, ისე უსტეტიკის მხრით საუმჯობესოა. მაგრამ ეკონომიურ სარგებლობის მხრით კი პირველ ორ წესთან შედარებით საუმჯობესოთ ვერ ჩაითვლება, რადგან აქ ნაკელი ფუჭათ იკარგება და იქ კი მიწის პატივათ იხმარება და მეურნეობაში გამოსადეგი რჩება. გარდა ამისა კანალიზაციის სისტემას შედეგათ მოსდევს მდინარის ნამეტნავათ გაბინძურება, ასე რომ თუ მდინარე საკმარისათ დიდი არ არის, რომ ქალაქის მიერ საჩუქრათ ბოძებული ჭუჭყი აიტანოს, საჭირო ხდება უწმინდურების გასაწმენდ მოწყობილობის აგება (Kláranlage). რომ მდინარეში მხოლოდ გაწმენდილი წყალი იქნეს ჩაშვებული. ახლანდელი მრეწველობა და ტეხნიკა ისეა განვითარებული, რომ ამ დაწმენდისაგან დარჩენილ ნივთიერებას ევროპაში ბევრ რამეში იყენებენ. ამას ნახშირის მაგივრათაც კი ხმარობენ ქარხნებში. მაგრამ აქ ნახსენებ მოწყობილობის აგება ბევრ ფულს თხოულობს, ასე რომ მისი მომართვა პატარა ქალაქებს

გაუპირდებათ. მიუხედავათ ამ სიძნელისა, კანალიზაცია, უეჭველათ ქალაქის გაწმენდის საუკეთესო წესათ უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ქალაქის გაწმენდის საქმე მარტო ამით არ სრულდება. უნდა იწმინდებოდეს ქუჩები, მოედნები და ბაღები, უნდა სუფთავდებოდეს სახლები. რაც შეიძლება, ნაკლები უწმინდურება უნდა იყრებოდეს ქუჩებზე და მოედნებზე. მერე ზრუნავს კი ამისთვის ჩვენი თვით-მართველობა? აი ერთი მაგალითი მრავალთაგან. მთელ თბილისში ორი საზოგადო ფეხისადგილიც კი ძლივსაა გამართული. ხალხისთვის ხომ ასეთი ალაგი შინაც საჭიროა და გარეთაც. აბა ვინ ზის ქალაქში მუდამ შინ კარ-ჩაკეტილი. ქალაქში მუდმივი მოძრაობაა, მუდმივი მიმოსვლაა, ნუ თუ ამ გარეთ მოსიარულე ხალხს არ დასჭირდება ბუნებრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილება? თვით-მართველობამ რომ ბძანოს მარტო: ქუჩების გაბინძურება „воспрещено"-ვო, ამით არა იქნებარა, ეს აღკრძალვა ქალალდზე დარჩება და ქუჩებს სიბინძურე არ მოაკლდება. ალბათ ქალაქის „გამგეებს", ვითარცა ესტეტიურათ ფრიად განვითარებულ გვამთა სასირცხოთ და საძრახისათ მიაჩნიათ საზოგადო ფეხის-ალაგების აგება, ამით ხომ შეილახება და შეურაცხყოფილ იქნება ზრდილობა-ნამუსის გრძნობა. როგორ შეიძლება! ფილისტერი მარის ფილისტერია: იგი ჯიბეში ჩაიდებს ნეხვს და სხვას კი არ აფიქრებიებს თავის ნეხვიანობას და განა მარტო აქ ჩანს ჩვენი თვით-მართველობის უსაქმურობა და არა-რაობა? საცა კი გაიხედავთ, ყველგან ამასვე შენიშნავთ. აი, თუნდა გავიხსენოთ ქალაქის ბაღები. ყველა განათლებულ ქვეყნებში ქალაქები ცდილობენ ბაღების და პარკების გადიგებას და გალამაზებას. ამისთვის არ ერიღებიან არც ხარჯს, არც შრომას, რომ მცხოვრებთ საშუალება მიცენ წმიდა ჰაერით და ბუნებით დატკბობისა. ჩვენი თვით-მართველობა? იგი, ნაცვლათ გაკეთებისა აფუჭებს იმ ბაღებსაც, რომლებიც მას დროთა ვითარებით გადმოცემია. უთმობს შიგ ადგილს რაღაც უცნაურ შენობებს და სრულიათ ასახიჩრებს ქალაქის ორათ-ორ ბაღს.

ქალაქის გაწმენდა-გასუფთავებასთან მცხოვრებთა სისუფთავესაც არ უნდა ივიწყებდეს მართლამომქმედი და მოღვაწე თვით-მართველობა. მართალია, მას არ შეუძლია მოქალაქეებისთვის პერანგების გამოცვლა, მაგრამ ამას სხვა ქვეყნებშიაც არ შვრებიან, სამაგიეროთ სხვა ქვეყნების ქალაქები აარსებენ იაფ-ფასიან აბანოებს და შეუძლო ხალხებს აძლევენ ტანის ხშირათ გასუფთავების საშუალებებს. ერთ შაურათ გერმანიის ქალაქში ტანის დაბანა შეგიძლიათ. იბანებთ ცალკე ოთახში და საჭირო საპონსაც აბანოშივე მოგცემენ. არც ერთ ჩვენს ქალაქში ასეთი აბანოები არაა დაარსებული. ამ ჩვენ თფილისში მაინც, საცა საბანავო წყალი მიწიდან ამოქუხს ბუნებისგან გაცხელე-

ბული, იაფ-ფასიან აბანოების აგება კი უნდა ყოველიყო მოსახერხებელი. და თუ ქალაქის მართველობამ ეს ვერ შეძლო, კერძო აბანოს პატრონებთან მაინც უნდა დაეჭირა საქმე. მართველობას შეუძლია მეაბანოებში კონკურენცია აღძრას და იმას შეპირდეს მუშტრების გაგზავნა, რომელიც უფრო იაფათ გაურიგდება. ამის შემდეგ იგი დაამზადებს მარკებს და მიცემს მთხოვნელებს, რომლებიც ამ მარკებს აბანოს კასაში წარადგენენ და აბანოში შესვლისთვის დაკლებულ ფასს გადაიხდიან. ამით ხალხი შეეჩვევა ტანის სისუფთავეს; აბანოს პატრონსაც გაუდიდდება შემოსავალი და ხალხსაც გაუმაგრდება სხეული და მოემატება ჯან-მრთელობა.

სახლებისა და ბინების ჰიგიენის მხრივაც ბევრ რამის გაკეთება შეუძლია ქალაქის მართველობას. იგი გაცემს სახლის ასაგებათ ჰიგიენასთან შეთანხმებულ გეგმას, დაუშლის საშზარეულოსთან ფეხის-ალაგის აგებას და მის უწესოთ მოწყობას, აღკრძალავს მიწაში გათხრილ და, მაშასადამე, სველ ოთახების გაქირავებას, დაავალებს სახლის პატრონთ ეზოების გაწმენდას და სხ., და სხ. მისი მოღვაწეობა უნდა შეეხოს ფაბრიკების, ქარხნების და საზოგადოთ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა ჰიგიენურათ მოწყობას და მომართულობასაც. იგი უნდა ცდილობდეს ამაებში მომუშავე ხალხის ჯანმრთელობის დაცვას და ძალღონის დაზოგვას.

და რაც შეეხება სხვა-და-სხვა სანოვაგეზე კონტროლს და თვალ-ყურის ჭერას, ამას ავალებს ქალაქის გამგეებს კანონიც და მათი ადამიანური მოვალეობაც. სანოვაგის სისაღეზე კიდია მთელი ქალაქის ჯან-მრთელობა და კარგათ ყოფნა. ამიტომ აქ უნდა იყოს დაწესებული ძალიან საფუძვლიანი შინჯვა და თვალყურის ჭერა. ფქვილი, კართოფილი, რძე, ხორცი, ერთი სიტყვით, ყოველგვარი საკვები მასალა უნდა იქნეს გაშინჯული და ღირსება თვისების მხრით გამოკვლეული. ყველაზე უფრო რთული და მნიშვნელოვანია ხორცის გაშინჯვის საქმე და ჩვენც აქ მხოლოდ ამაზე შევჩერდეთ.

ხორცის გაშინჯვის მოწყობა მტკიცეთ არის დაკავშირებული ქალაქის საყასბოს მოწყობა-მომართვასთან.

საყასბო ქვია ისეთ შენობას ან შენობებს, რომლებშიაც იმ ცხოველებს, რომელთ ხორციც ადამიანის საკვებათ იხმარება, კლავენ, ატყავებენ, მათ ფაშვ-ნაწლავებს რეცხენ, ხორცს—სისაღისა და ჭირიანობის გამოსარკვევათ—შინჯავენ და შემდეგ რამდენიმე ხანს გაუფუჭებლათ ინახავენ.

საყასბო შეიძლება იყოს: ა) კერძო ან ბ) საზოგადო. კერძო საყასბოები არსებობს იქ, საცა თითოეულ ყასაბს თავისი საყასბო აქვს. მაგალითათ, როცა ყასაბი თავისი დუქნის ეზოს ერთ კუთხეში საქონელს

კლავს, ატაყვებს და კეპავს, მას საკუთარი საყასბო აქვს, რომლითაც მხოლოთ იგი სარგებლობს. მართალია, ასეთ „საყასბოში“ თითქმის არავითარი მოწყობილობა არ მოიპოვება, მაგრამ რახან იქ საქონელი იკვლება, მას მაინც სახელათ საყასბო უნდა ეწოდოს. შეიძლება აგრეთ-ვე ყასაბს ქალაქგარეთაც ქონდეს მოწნული ან მოფიცრული ალაგი საქონლის დასაკლავათ. ესეც კერძო საყასბო იქნება.

სულ სხვაა საზოგადო საყასბო. საცა ასეთი საყასბო არსებობს, იქ თითოეული ყასაბი თავის საკუთარ საყასბოში კი არ კლავს საქონელს, არამედ ერთ ყველასათვის დანიშნულ ადგილას. ამ საყასბოთი ქალაქის ყველა ყასბები სარგებლობენ და ამიტომაც მას საზოგადო ეწოდება.

ქალაქის ჰიგიენის დასაცავათ აუცილებლათ საჭიროა, რომ კერძო საყასბოები მოისპოს და მათ ნაცვლათ ერთი საზოგადო საყასბო იქ-ნეს დაარსებული. ხორცის გაშინჯვა-გამოკვლევის საქმე მხოლოთ მა-შინ შეიძლება საუკეთესოთ მოწყობილ იქნეს. კერძო საყასბოები გა-ფანტულია და მათზე თვალ-ყურის ჭერა ძალიან ძნელია. ყასაბს ად-ვილათ შეუძლია დამალოს ზოგიერთ საქონლის ხორცი, რომელიც მას საეჭვოთ ეჩვენება, და არ უჩვენოს მართველობისაგან დანიშნულ ბე-ითალს. რომ ამით, თუ ვინიცობაა, ხორცი მართლა ჭირიანი გამოდგა, ზარალი არ ნახოს. საზოგადო საყასბოში კი ასეთი რამე შეუძლებელია. მთელი ქალაქისთვის საჭირო საკლავი მხოლოდ აქ იკვლება. ეს არის, ასე ვთქვათ, ერთი დიდი აუზი, საიდანაც ქალაქის მცხოვრებთ თავის საკვები ხორცი მიუდით. და, რა თქმა უნდა, ამ აუზში დაკლულ ხორ-ცის გაშინჯვა და მისი თვისების გამოკვლევა ბევრათ უფრო ადვილია, ვინემ კერძო საყასბოებში.

საზოგადო საყასბოში და მასთან აგებულ ბაკში უნდა გაიშინჯოს არა თუ დაკლული ხორცი, არამედ ცოცხალი საქონელიც. ჭირიანი ან საეჭვოთ ცნობილი საქონელი ცალკე უნდა დაიკლას, რომ ჯან-საღს ჭირი არ გადაედვას.

დასასრულ, ვითარცა ქალაქის ჰიგიენის ნაწილი, უნდა მოგვეხსე-ნებია საავთმყოფოები და ავათმყოფთა მოვლის მოწესრიგება, მაგრამ ეს წერილი ცოტა გაგვიგრძელდა და ამისთვის ადგილი აქ აღარ გვრჩება.

III. სწავლა-განათლება

რომ „სწავლა სინათლეა და უსწავლელობა სიბნელე“, ეს დღეს თითქმის ყველამ იცის, ყველას შეგნებული აქვს, ამიტომ შეიძლება, ზოგიერთმა მკითხველმა გვისაყვედუროს კიდეც ასეთ ძველ საგანზე წერა, მაზე ბაასის გაბმა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ დღეს მაინც ამ ძველ საგანზე უნდა ვილაპარაკოთ. საგნის სიძველე არაფერი სასაყვედუროა. ბევრია ისეთი ძველი საგანი, რომლებზედაც ფიქრი და მსჯელობა არასოდეს არ არის მოსაწყენი და უსარგებლო. და ერთ ასეთ საგნათ უეჭველათ სწავლა-განათლების საქმეც უნდა ჩაითვალოს. ამასთან ჩვენ გვაქვს ლაპარაკი ქალაქზე და მის საჭიროებებზე. და სწავლა-განათლების გაძლიერება და გავრცელება ერთი მთავარი საჭიროებაა ქალაქისა, უუდიდესი მოთხოვნილებაა ქალაქის მცხოვრებლებისა. ამ მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილება, როგორც წინეთაც ვთქვით, სასარგებლოა ყველა მოქალაქეთათვის, წარმატების მომცემია მთელი ქალაქისათვის.

რაში გამოიხატება ეს სარგებლობა და წარმატება?

ამის პასუხი ძნელი მოსაცემი არაა, ჩვენ ვიცით, რომ ქალაქი უმთავრესათ მრეწველობით და ვაჭრობით ცხოვრობს. ვერც მრეწველობა და ვერც ვაჭრობა ვერ წავა წინ, ვერ განვითარდება, ქალაქი ეკონომიურ წარმატების გზას ვერ დაადგება, თუ მცხოვრებნი უვიცნი და გონებით განუვითარებელნი იქნებიან. სწავლა-განათლება აუცილებელი პირობაა ხალხის ეკონომიურ წინმსვლელობისათვის. ამიტომ ამ საქმეში ყოველი მოქალაქე დაინტერესებულია, აქ ყველას ინტერესი, განურჩევლათ კლასისა და წოდებისა, შეერთებული და შეთანხმებულია, — განვმარტოთ ეს აზრი უფრო დაბიურათ და გააგებათ.

ჯერ მარტო ზერელათაც რომ შევხედოთ საგანს, ვნახავთ, რომ სწავლა-განთლების გავრცელება ნივთიერ სარგებლობის მომცემია მრავალ მოქალაქეთათვის. სწავლა-განათლების გასავრცელებლათ, რა თქმა უნდა, საჭიროა სკოლების დაარსება და მასწავლებლების დანიშვნა. რამდენათაც გადიდდება ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი, იმდენათვე მეტი სკოლების დაარსება იქნება საჭირო, იმდენათვე მეტ მასწავლებელთა მოწვევა გახდება აუცილებელი. და ეს გარემოება სახეირო იქნება მრავალ ხელობის ხალხისთვის. ამით სამუშაო მოემატება მეაგურეს, კალატოზს, მხერხავს, დურგალს, მებუხრეს, მეშუშეს, მკერვალს, მეყდეს და ბევრ სხვას. მეტს ივაჭრებს მექაღალდე, მეფართლე და მეწვრილმანეც. ცხადია, ყველა ამ ხალხისათვის სკოლების გამრავლება სასურველი და სასიამოვნო უნდა იყოს.

მაგრამ ეს არ არის მაინც საგნის მთავარი მხარე. სწავლა-განათლებას პირ-და-პირ გავლენა აქვს ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაზე. მათ გაძლიერებასა და წარმატებაზე ახლანდელ დროში ყოველგვარ წარმოების წესი მუდმივ იცვლება და უმჯობესდება. ამიტომ წარმოებაში ძველ წესზე შეჩერება უცხო შეცდნე ერთაგან ხალის გადმოუღებლობა ნიშნავს უკან ჩამორჩენას და დაძაბუნებას. უცხო ხალხთაგან ეკონომიურათ დამოკიდებულებას და ყმათ ყოფდომას. და წარმოებაში

ძველი წესის შეცვლა არ მოხერხდება, ტექნიკური გაუმჯობესება ვერ შეიტანება, თუ ხალხი, რომელიც ამ წარმოებას ეწევა, უვიცი და განუვითარებელია, თავის ხელობისთვის განუსწავლელი და მოუმზადებელია. რამდენათაც ნაკლები ცოდნა და მომზადება აქვს მწარმოებელს, იმდენათვე ნაკლები ნაყოფი მოაქვს მის შრომას, იმდენათვე მეტი სიმდარის დაღი აზის თითოეულ მის ნაწარმოებს და მთელ მის წარმოებას.

რომ უვიც და განუვითარებელ მუშის შრომა ნაკლებ ნაყოფს იძლევა, ეს გამოკვლეული და დამტკიცებულია სტატისტიკურათაც. მაგალითათ, შულცე-გეევერნიცის სიტყვით რუსეთში ვლადიმირის საქსოვ ფაბრიკებში ერთი მუშა ორ ქსელზე მუშაობს; მეტზე ვერა, მაშინ როდესაც ინგლისში ერთი მუშა 6 ქსელს ამუშავებს და უძღვება. დ-რ ბალოდის ცნობები ამაზე კიდევ უფრო საინტერესოა. იგი ამბობს, რომ 1893 წელს ურალში 142.486 მუშამ მხოლოდ ნახევარი მილიონი ტონი გადაუმუშავებელი რკინა და 360.000 ტონა გადამდნარი რკინა და ფოლადი დაამზადეო. ბელგიაში კი ამდენსავე ნაყოფს მხოლოთ 11,165 კაცის შრომა მოიტანდა. ურალის რკინის მადნებიდან საშუალო რიცხვით თითოეულ მუშას 50 ტონი მადანი გამოაქვს წლიურათ, მაშინ როდესაც გერმანელ მუშის წლიური ნაწარმოები 370 ტონს აღემატება.

ეს ციფრები ცხადათ გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მწარმოებლის ცოდნა განვითარებას შრომის ნაყოფიერობისათვის. მწარმოებლის უვიცობა და გონებრივი განუვითარებლობა ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ხელის შემშლელია ყოველგვარ წარმოების განვითარებისათვის, დაბრკოლების მომცემია ეკონომიურ წინ-სვლისა და წარმატებისთვის.

და ეს ისეთი საგანია, რომელიც აინტერესებს წარმოების პატრონსაც და მთელ საზოგადოებასაც. უსწავლელი და მოუმზადებელია მუშა-ხელი,—ნაკლები ნაყოფიერობა აქვს შრომას, ნაკლები და მდარე საქონელი უმზადდება მეფაბრიკეს, მეტი ხარჯები აქვს მას და ნაკლები გასავალი მის საქონელს. ეს ნიშნავს მოსაგების შემცირებას მეფაბრიკესთვის, საქონლის ფასის სიძვირეს და, მაშასადამე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გაძნელებას მომხმარებლებისთვის. ამიტომ იმ მიზეზის მოსპობა, რომელიც შედეგათ იწვევს ამ გარემოებას, ორივე მხარესთვის სასარგებლოა,—სასარგებლოა მწარმოებლისთვის, სასარგებლოა მომხმარებლისთვისაც. და სწორედ ასეთი მოსასპობი მიზეზი არის ამ შემთხვევაში ხალხში სწავლა-განათლების ნაკლებობა.

იქნება ვინმემ გვითხრას: ეს რა სიტყვაზე მოსატანია; ჩვენში ხომ ფაბრიკები კანტი-კუნტათ არი და ნაწარმოებთა უმრავლესობა სხვა

ქვეყნებიდან და ადგილებიდან შემოგვაქვსო, მაგრამ ეს შენიშვნა სწავლა-განათლების იმ მნიშვნელობას რომელზედაც ჩვენ ვუთითებთ, სრულიათაც არ აქრობს და მის დასაბუთებას არ არღვევს. მით უფრო საჭიროა სწავლა-განათლების გავრცელება ისეთ ხალხში, რომელშიაც თანამედროვე მრეწველობას და წესიერ ვაჭრობას ჯერ ხეირიანათ ფეხი ვერ მოუკიდია და ფესვები ვერ გაუდგამს. მით უფრო საჭიროა ცოდნის შემოტანა იქ, საცა ცოდნა და განათლება ნაკლებია. როგორ უნდა წარმოდგეს და გაძლიერდეს თანამედროვე მრეწველობა, თუ ამისთვის მცოდნე და მომზადებული ხალხი არ იქნება? ვინ იცის, რამდენ უცხოელ და არა-უცხოელ კაპიტალისტს განუზრახავს ჩვენში ახალი ფაბრიკის გახსნა, მაგრამ მომზადებელ მუშა-ხელის უქონლობისა გამო განზრახვაზე ხელი აუღია. და ასე იქნება ეს კიდევ დიდხანს, თუ ჩვენში მეტი ცოდნა და განათლება არ გავრცელდა. მართალია, საქონელი უცხო ქვეყნებიდანაც შემოიტანება, მაგრამ ეს ჩვენი ეკონომიურ წინმსვლელობის მაჩვენებელი არ იქნება, შემოტანილი საქონელი ხომ უნდა გასაღდეს, ხალხში გაყიდულ იქნეს. და რით იყიდის ხალხი, თუ სამუშაო არ ექნება, თუ ჩვენში მრეწველობა არ გაიზრდება და არ განვითარდება? ხალხი იძულებული იქნება თავისი მოთხოვნილებები შეამციროს და, მაშასადამე, კულტურულათ უკან დაიწიოს. მას დაუმცირდება მყიდველობითი ძალა. და ეს გამოიწვევს თვით ვაჭრობის შემცირებას და უკან დაწევას, საერთოდ აღებ-მიცემობის დაპატარავებას და დასუსტებას.

ასე მჭიდროთ გადაბმულია ერთმანეთზე ხალხის განათლება და ეკონომიური განვითარება. ეკონომიას (wirtschaft) ორი მთავარი მხარე აქვს: წარმოება და ნაწარმოებთა განაწილება. აქამდის ჩვენ პირველ ნალაპარაკევი ეკონომიის მხოლოთ პირველ მხარეს, სახელდობრ წარმოებას, შეეხებოდა. ჩვენ მივუთითებთ იმ მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას წარმოების გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის, ნაწარმოებთა გაიაფებისა და, მაშასადამე, საზოგადო კულტურის წინ-წაწევისათვის.

არ მოგვიხსენებია ჯერ სწავლა-განათლების გავლენა ნაწარმოებთა განაწილებაზე, ეს გავლენა კი ძალიან დიდი გახლავთ — Knowledge is power,—ცოდნა ძალა არისო, უთქვამს ბეკონს, და ეს სრული ჭეშმარიტება არის. მცოდნე და შეგნებულ ხალხს უფრო ადვილათ შეუძლია თავის ინტერესების დაცვა, ვინემ უვიც და თვით-ცნობიერებას მოკლებულს. ხალხი, ცოდნით და თვისი ღირსების ცნობით შეიარაღებული, შეძლებს ცხოვრებაში მეტ ხმის და გავლენის მოპოვებას და შრომის ნაყოფის განაწილებაშიაც მეტ სარგებლობის ნახვას... ცოდნა და სწავლა უმრავლებს ადამიანს მოთხონვილებებს, და ეს ერთი უდიდესი

ძალაა ცხოვრების გაუმჯობესების და საზოგადოების კულტურულათ წინ მსვლელობისა...

ერთი სიტყვით, საიდანაც უნდა შეეხედოთ სწავლა-განათლების საქმეს, იგი ყოველ მხრით მნიშვნელოვანი და საპარგებლო გვეჩვენება. ასე აქვთ შეგნებული ეს ევროპის ქალაქებსაც, რომლებიც ამისათვის აუარებელ ფულს ხარჯავენ და სახალხო სკოლებს მუდამ ამრავლებენ, აი, ამის მაჩვენებელი. რამდენიმე ციფრებიც. 1896—97 სამოსწავლო წელში გერმანიის შემდეგ ქალაქებს დაუხარჯავთ:

	სახალხო სკოლებზე მარკა *).	სკოლებზე საზოგადოთ მარკა.	თითო მოწაფეზე მარკა
ბერლინს	10 523,537	13.368,883	59.8
ბრესლავლს	2.110,503	2.934,036	54,7
მიუნხენს	1.875.850	2.380,792	48,0
დრეზდენს	1.158,976	2.077,746	52,4
ლეიპციგს	2.844,837	3.690,262	54,8
კელნს	1.386,580	1.677,888	34,9
ფრანკფურტს მაინზე	1.218.610	2.011,262	72,9
ჰანნოვერს	894,663	1.473,341	48,2
შტუტგარტს	444,959	913,078	41,2
ბრეიენს	815,313	1.505.430	70,5
მაგდებურგს	1.102,165	1.396,513	39,0

ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ აქ არ არის შესული ის დიდი ხარჯები, რომლებიც გაუღიათ ამ ქალაქებს სასკოლო შენობების აგებისთვის.

ჩვენში? ჩვენში სწავლა-განათლების საქმე კუს ნაბიჯით მიდის. ჩვენი ქალაქის „მამები“ თავს იმით იქებენ, რომ ჩვენ ინტელიგენტები ვართო, საბჭოს „სოსტავის“ 75% უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებული ხალხი არიაო (იხილე ჟურნალი „Право“, 1902 წლ. № 1, გვერ. 26). რა თქმა უნდა, ეს გარემოება ძალიან სანუგეშოა ქალაქისათვის. ქალაქის მცხოვრებთ რაღათ უნდათ სკოლები. მათი ხმოსნები ხომ „კურსოვნიკები“ არიან და განა ეს მათთვის საკმარისი არაა! მაგრამ არ გვგონია კი, რომ ეს მათ იკმარონ...

ვამბობთ, არ გვგონიაო, რადგან დღეს ყველას შეგნებული აქვს, თუ რა ეპირვება ქალაქს ხალხში სწავლა-განათლების გასავრცელებლათ. სკოლები, სკოლები და კიდევ სკოლები,—ეს სამჯერ განმეორებული სიტყვა ხატავს უმთავრესათ ქალაქის გონებრივ საჭიროებას. ეს ისეთი ასპარეზია, რომ რაც უნდა იერთგულოს ქალაქის მართველობამ, ვაინც ვერ გადააჭარბებს ზომასა და მოთხოვნილებას. რუსეთის სახელმწიფოში სახალხო სკოლა არ არის ჯერ საკალდებულოთ გამხდარი. ამიტომ აქ ეხსნება ქალაქს კერძო ინიციატივის და მოღვაწეობის ფართო ნიადაგი. ის, რაც ვერ შესრულებულა ჯერ კანონ-მდებლობითი გზით მთელ სახელმწიფოში, მას შეუძლია შეასრულოს თავის ვიწრო ქალაქის

*) მაკა 46 კაპეიკს ეთანასწორება.

ფარგალში. მას შეუძლია აქ სკოლა გახადოს სავალდებულო და პირველ დაწყებითი სწავლა მიაღებიოს ყველას, განურჩევლათ ეროვნებისა და წოდებისა, სქესისა და სარწმუნოებისა. მართალია, ქალაქში სკოლის სავალდებულოთ გამოსაცხადებლად (Schulzwang) თვით-მართველობას დაჭირდება მთავრობასთან შუამდგომლობა და უმაღლესი ნებართვა, მაგრამ ეს ადვილი მისაღებია, თუ სკოლებისთვის საჭირო ნივთიერი სახსარი გამონახული იქნება. სახსარი კი, მიუხედავათ იმისა, რომ საძნელო იქნება, უნდა გამოინახოს. აქ უსახსრობით თავის გამართლება არ შეიძლება. ჩვენ შემდეგში ლაპარაკი გვექნება ქალაქის ფინანსებზე და იქ ვუჩვენებთ იმ წყაროებსაც, საიდანაც სასკოლო და ბევრ სხვა ხარჯების დაფარვაც შესაძლებელი იქნება.

აქ ჩვენ ვერ გამოვუდგებით სასკოლო გეგმის ვრცლათ აღწერას. ვიტყვით მხოლოთ, რომ სახალხო სკოლაში ბავშვი უნდა იძენდეს ერთი მხრით საზოგადო ელემენტარულ ცოდნას და მეორე მხრით უნდა სწავლობდეს სხვა-და-სხვა დარგის ხელობასაც. საზოგადო განათლება და ხელობათა პრაქტიკული ცოდნა — ეს არის ორი მთავარი მხარე ახლანდელ დროში საჭირო სახალხო სკოლაში. ეს ორი მხარე შეიძლება ერთ და იმავე სკოლაში იყოს შეერთებული და შეიძლება ისიც, რომ თითოეულისათვის განცალკევებული სკოლები არსებობდეს. ყოველ შემთხვევაში, ეს ასე იქნება თუ ისე, პირველ-დაწყებითი ელემენტარული სკოლა სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის, მის გარეთ ვერ უნდა რჩებოდენ ვერც ვაჟები და ვერც ქალები. სულ ერთია მდიდრების შვილები იქნებიან ისინი თუ ღარიბების. სწავლება უნდა იყოს უსასყიდლო და სასწავლო ნივთები მუქთი.

პირველ-დაწყებითი სკოლის სავალდებულოთ გამოცხადებით იგულისხმება იმის დაკანონებაც, რომ ბავშვი განსაზღვრულ ასაკამდი (13—14—15 წლამდი) სკოლას ეკუთვნის და ამ ხნის განმავლობაში მისი მუშაობა მრეწველობაში ან სხვაგან სადმე ქირაზე იკრძალება. თუ რა კეთილი შედეგი ექნება ასეთი წესის შემოღებას, ამას ყველა ადვილათ გაითვალისწინებს. დღეს რვა-ათი წლის ბავშვები ყრიან ბიჭებათ ქალაქის სარდაფებში, და სამიკიტნოებში. მათთვის არ არის არც მოვლა, არც დარიგება, არც ძილი და მოსვენება, მათი ერთათ-ერთი სკოლაა გალოთებულ ხალხის ლანძღვა და გინება, უზნეობა და გარყვნილობა. და რაღა გასაკვირია, ასეთ პირობებში და ასეთ წრეში აღზრდილი ადამიანი ადამიანს აღარ ემზგავსებოდეს, მას ყოველგვარი სინდისის და ზნეობის გრძნობა დახშული და დაკარგული ქონდეს. და აკი ასეც ხდება. ხშირათ ვკითხულობთ გაზეთებში (და რამდენი შემთხვევა იმალება!), რომ ამან და ამან საშინელი დანაშაულობა ჩაიდინაო. კითხულობთ და თვალს არ უჯერით. არ გჯერათ, რომ თუ არ ნადირს

სხვა ვინმეს შეეძლოს ასეთი საზიზღრობის ჩადენა. და ან კი რით გ
სხვავდებიან ნადირისგან, მაგალითათ, ის ვითომ და ადამიანები, რო
ლებმაც ამას წინეთ, როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული, ერთი
წლის ბავშვი კლდეზე აიყვანეს, გააუპატიურეს და შემდეგ კლდიდ
ძირს გადმოაგდეს? არაფრით! ანუ უკეთ, განსხვავდებიან იმით, რ
ნადირზე უარესები არიან. მაგრამ ადამიანი ასე ბუნებით განადირებ
ლი არ იბადება. მას ნადირათ ხდის ცხოვრება, არე, საცა იგი ცხო
რობს და ტრიალებს. ცუდი პირობების შეცვლით ადამიანი, შეიძლ
ბა, სიბოროტეს აშორდეს და საზოგადოების სასარგებლო ნ
ზნეობრივათ ჯან-საღი წევრი გახდეს. პატარაობიდანვე წესიერი აღზ
დით აქ შეიძლება ბევრი, ძალიან ბევრი რამ გაკეთდეს. და რამდენათ
ქალაქი მეტს ეცდება ამისთვის, იმდენათვე გაიდიდებს იგი თავ
ეკონომიურ ძალას და ზნეობრივ სისაღეს.

სკოლის სავალდებულოთ გამოცხადებითაც ახალ-გაზდობის აღ
რდის საქმე არ სრულდება. სავალდებულო სკოლას ის მიზანი აქვ
რომ წერა-კითხვა ყველამ ისწავლოს, ელემენტარულ სწავლა-განა
ლების მიუღებლათ არავინ დარჩეს. ქალაქი კისრულობს საერთო ძ
ლით მხოლოთ სკოლების ხარჯის გაძღოლას, ხოლო ბავშვების მრჩ
ნელნი და მომვლელნი მათი მშობლები არიან, მაგრამ ქალაქში ხშ
რია ისეთი შემთხვევა, რომ მცირე-წლოვანი ობოლია და მაშასადამ
მომვლელს და მრჩენელს მოკლებულია. შეიძლება, ბავშვს დასნე
ლებული მამა ყავდეს, რომელიც ვერ იზრუნებს რიგიანათ მის მოვლ
ზე; შეიძლება ქვრივი დედა ზნეობა დაცემული იყოს, რომელიც თ
ვის შვილს კეთილ და ზნეობის სწორე გზაზე ვერ დააყენებს. ხშირა
მოხდება ქალაქში უკანონოთ შობილ ბავშვთა მიგდება. ყოველთვ
მოიპოვებიან ქალაქში ყრუ, მუნჯი და ბრმა ბავშვები, რომლებსაც ს
ზოგადო სკოლებში სიარული და სხვებთან სწავლის მიღება არ შ
ეძლებათ. ყველა ამგვარ ბავშვთ ქალაქმა მამობა უნდა გაუწიოს ე
მათი რჩენისა და აღზრდის საქმე ძოაწესრიგოს.

ახლა ჯერი მიდგა სრულ-წლოვანებაზე, ამათ გონების განვითარ
ბისთვისაც ბევრის, ძალიან ბევრ რამის გაკეთება შეუძლია ქალაქ
ენერგიულ და მომქმედ თვით-მართველობას. საკვირაო სკოლები, ს
ხალხო სახლი და სახალხო კითხვები, თეატრები, მუზეუმები, წიგნთ-ს
ცავები და სამკითხველოები — ყველა ესენი ისეთი დაწესებულებები
რომლებიც ხალხის სწავლა-განათლებას და გონების განვითარებას ე
სახურება. როგორც ბავშვებისთვის სკოლები, ისევე საჭირო და სასარ
გებლოა ყველა ამ გვარ დაწესებულებათა დაარსება და გამრავლება. ე
საჭიროება და სარგებლობა, ვფიქრობთ, ყველასთვის — გარდა თფილ
სის თვით-მართველობისა — ცხადი და ნათელია, ასე რომ მასზე კიდე
სიტყვის გაგრძელება საჭირო აღარაა.

IV. ბინები

ერთ მთავარ საჭირ-ვარამო კითხვას ქალაქისათვის ბინების სიძვირეც შეადგენს. საჭირ-ვარამოა ეს კითხვა სხვა ქვეყნებში და ასეთივეა იგი ჩვენშიაც. რაც დღე გადის, მით უფრო იწევს და იწევს ზევით ბინების ქირა, მით უფრო საძნელო და გასაჭირი ხდება სახლების არამესაკუთრე ხალხისთვის ქალაქში დაბინავება და ცხოვრება. ბინების ქირის სიდიდე მძიმე ტვირთათ აწვება საზოგადოთ სახლის ყველა მქირავებელთ, განსაკუთრებით კი შეუძლო ან მცირე შეძლების ხალხს. ე. ი. ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას. რა არის ამის მიზეზი, რა იწვევს ქალაქში სახლების გაძვირებას, ქირის მუდმივ გადიდებას?

ეს ძნელი გამოსაცნობი არაა. ქალაქში, ვიწრო ადგილზე თავმოყრილია მრავალი ხალხი. ჯერ ერთი, თვით ქალაქის მცხოვრებნი მრავლდებიან და, მაშასადამე, თან-და-თან მეტ საბინადრო სახლებს საჭიროებენ. მეორე მხრით, რამდენათაც ქალაქში იზრდება და ვითარდება ვაჭრობა და მრეწველობა, მრავლდება საადმინისტრაციო დაწესებულებები, მით უფრო მეტი ხალხი ემატება გარედან ქალაქს. გადიდებულ ვაჭრობა-მრეწველობისთვის საჭიროა მეტი სახლები, გამრავლებულ და შემომატებულ ხალხისთვის აუცილებელია მეტი ბინები. ამ სახით მატულობს მოთხოვნილება, რაც ყოველთვის იწვევს ფასების აწევას და ამ შემთხვევაში ბინის ქირის გადიდებას. სახლების რიცხვი კი გადიდებულ მოთხოვნილებასთან შეთანხმებულათ ვერ მატულობს და ან თუ მატულობს, ამას მაინც დიდი ვერაფერი გავლენა აქვს ქირის დაწევაზე და, მაშასადამე, საქირავებელ სახლების გაიეფებაზე. ეს იმიტომ, რომ ქალაქში მიწას, რომელზედაც აგებულ უნდა იქნეს სახლი, მონოპოლიური ხასიათი აქვს,—გვგონია, აქ აზრი ყველასათვის გასაგებათ ვერ არის გამოთქმული და საჭიროა მისი განმარტება.

ვთქვათ, გოლოვინის პროსპექტზე თავისუფალი ადგილი მოიპოვება, რომელზედაც სახლის აგება შეიძლება. ცხადია, ამ ადგილს პატრონი იმ ფასათ არ გაყიდის, რა ფასათაც გაყიდდა, მაგალითად, ავჭალაში ან მოხისში. ეს არის საუკეთესო ქუჩა, შუა ადგილას, უდიდეს სავაჭრო და საადმინისტრაციო დაწესებულებებთან ახლოს. აქ აგებულ სახლს ყოველთვის მეტი მუშტარი ეყოლება და მიწის პატრონიც ამით სარგებლობს. იგი უზომოთ აძვირებს მიწის ფასს. ის, რაც ავჭალაში 60 მანეთი ეღირებოდა, აქ 60 ათასათ და მეტათ იყიდება. იყიდება იმიტომ, რომ საჭიროება ანუ მოთხოვნილება არის და მიწის პატრონს კონკურენტი, მეტოქე არა ყავს. მიწა რაც ბუნებით არის, ის არის, — მისი აღებ-დაღება, გაზრდა-გადიდება არ შეიძლება. და, აი ამას ქვია მონოპოლია. საცა კონკურენცია არ არსებობს, საცა მეტოქეობა არ მოი-

პოვება. სახლის აგების მსურველი, თუ უნდა თავისი სურვილი სრულეში მოიყვანოს, უნდა დათანხმდეს მიწის პატრონის პირობებს. მიწა ძვირათ უნდა იყიდოს და საკუთრებათ გაიბადოს. მიწის ყიდვის და სახლის აგების შემდეგ იგი იანგარიშებს დახარჯულ ფულზე სარგებელს, წლიურ რემონტს, ამორტიზაციას, გადასახადს, თავის მოსავლებს და ყველა ამაების მიხედვით დაადებს თავის სახლს მინიმალურ ქირაა. მიწის პატრონი იღებს საამამულო რენტას, სახლის ამშენებელი კაპიტალის სარგებელს და კაპიტალისტურ მოგებას. ხოლო მდგმური აკმაყოფილებს ერთსაც და მეორესაც. ანგარიშის წესი იგივეა მაშინაც, როცა მიწის პატრონი არ ყიდის სხვაზე მიწას და თვითონ აშენებს სახლს.. ამ შემთხვევაში იგი მიწის რენტას ცალკე იანგარიშებს და კაპიტალის სარგებელს და თავის მოგებას კიდევ ცალკე. ორივე შემთხვევაში გადამხდელი მდგმურია და სხვა არავინ.

მართალია, ქალაქში ყველა ქუჩები ისე მიმზიდველი და მოხდენილი არაა, როგორც გოლოვინის პროსპექტი, ყველა უბნები ისე საამო საცხოვრებელი არაა, როგორც სოლოლაკი, ამიტომაც ქალაქის ყველა ნაწილებში ერთნაირი მოთხოვნილება არ არსებობს სახლებზე. განაპირა უბნებში ცხოვრება ბევრს უჭირს, მოუფენელ და ტალახიან ქუჩებზე დაბინავება ბევრს ეზარება და არ უნდა. ამიტომ ქალაქის ასეთ ნაწილებში სახლებზე შედარებით ნაკლები მოთხოვნილებაა და, მაშასადამე, მიწის ფასიც ნაკლებია. მაგრამ რაც დრო მიდის, აქაც თანდათან ძვირდება მიწა. ხალხის გამრავლების გამო საჭირო ხდება ახალ სახლების აგება. ეს შეიძლება მოხდეს თავისუფალ მიწებზე და ასეთი მიწები კი უფრო ქალაქის განაპირათ არის. ქალაქი მატულობს, იზრდება და ამის გამო ქალაქის გარშემო მდებარე ადგილების ფასიც მატულობს და იზრდება. და ქალაქში მიწის ფასის აწევაც ნიშნავს ქირის აწევას და ბინების გაძვირებას.

ეს ბუდმივი ზრდა მიწის ფასებისა იწვევს „გეშეფთმახერთა“ დაუცხრომელ სპეკულაციას. უკანასკნელ ხანებში, როცა ქალაქის თვითმართველობას ეძინა, ასეთმა პირებმა თფილისის გარშემო დიდ-ძალი ადგილები იყიდეს. რა მიზნით. რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ რამდენიმე წელიწადში ფასი აიწევს და დიდ მოგებას ვნახავთო. და, მართლაც, ანგარიში სწორეთ ნამდვილია, იგი „რისკს“ სრულიათ მოკლებულია. ბანკში შეიტანთ ფულს და—რა იცით, ბანკს რა მოუვა. მრეწველობაში დაბანდებთ კაპიტალს და—ვინ იცის, იქნებ ყოველთვის მოსაგები არ გექნეთ. აქ კი ყოველგვარი „რისკი“ თავიდან აცილებულია. მიწა არც დალპება და არც გაცვთება. აქ საჭიროა მხოლოდ მოცდა და დინჯათ ლოდინი. 5—10 წელიწადში მიწის ფასი გაორკეცდება, და

მიწაში გაღებული ფული გამრავლებული დაგიბრუნდებათ. ფული იბარტყებს, ფულსა შობს თქვენს უშრომლათ და უზრუნველათ.

და არა მარტო მიწების ყიდვა-გაყიდვის დროს იჩენს ხოლმე თავს სპეკულიაცია. ეგეთვე ხდება ხშირათ სახლების აგებისა და ყიდვა-გაყიდვის დროსაც. ეს დღეს ყველამ იცის, რომ ქალაქში სახლები თანდათან ძვირდება. ხშირათ პატარა ფულის პატრონი იწყებს სახლის შენებას; საძირკველი არ ამოუყვანია, რომ ფული აკლდება. დარბის ფულია საშოვრათ, სესხულობს დიდი სარგებლით, აშენებს სახლს, აძვირებს ქირას და ამ სახით მისი ვალების დიდი სარგებელი მდგმურებს აწვება გადასახდელ ტვირთათ. სახლის აშენებელს სხვა მოსაზრებაც აქვს. ქირის აწევით, გარდა იმისა, რომ მას წლიური სარგებლობა ემატება, სახლის ფასიც დიდდება. მეტია სახლის შემოსავალი,—მეტია მისი ფასიც. ვთქვათ, წლიურათ სახლი 900 მანათს იძლევა წმინდა შემოსავალს და ფულის შუათანა სარგებელი 6% არის. ასეთ სახლს მყიდველი ასე დააფასებს: 6 მანათი სარგებლის მისაღებათ დამჭირდება 100 მანათის გასესხება: 900 მანათი სარგებელი რომ მივიღო, ამისთვის 15.000 მანათი იქნება საჭიროვო. ეს სახლი იძლევა 900 მანათს წლიურ შემოსავალს. მაშასადამე, მისი ფასი 15.000 მანათს ეთანასწორებაო. ეს არის კაპიტალიზაცია (900 : 6×100) და მუშტარიც მისცემს ასეთ სახლში ფასათ 15.000 მანათს. ვთქვათ, ხუთი წლის შემდეგ, ქირების აწევის მეოხებით, იგივე სახლი 1200 მანათს, ე. ი. 300 მანათით მეტს იძლევა წლიურათ წმინდა შემოსავალს. ამ შემთხვევაში სახლის ფასი 20.000 მანათი იქნება (1200:6×100). როგორც ხედავთ, ქირების ამაღლებით აწევით სახლის პატრონმა 5000 მანათი მეტი აიღო გაყიდვის დროს. მყიდველიც ასეთსავე სპეკულიაციაზე ფიქრობს, როგორც პირველი გამყიდველი. ისიც ცდილობს ბინის ქირის აწევას და სახლის ფასის გადიდებას. და ასე მიდის შეუჩერებლივ crescendo სახლების სიძვირე. ამას არ ეტყობა არც შეჩერება, არც დასასრული.

განსაკუთრებით მძიმე ასატანია ქირების გაძვირება მცირე შეძლების ხალხისათვის, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატება 1000 მანათს. მძიმე ასატანია ჯერ მარტო იმიტომ, რომ იგი შედარებით უფრო მეტს ხარჯავს ბინისათვის, ვინემ შეძლებული და მდიდარი ხალხი. ცოლშვილიანი ხელოსანი, რომლის შემოსავალი არ აღემატება 400—500 მანათს და რომელიც სახლის ქირათ იხდის 240 მანათს, ხარჯავს თავისი შემოსავლის ნახევარს. საშუალო შეძლების კაცი, კი, რომელსაც წლიურათ 500 თუმნის შემოსავალი აქვს და 700 მანათიანი სახლი უჭირავს, ხარჯავს თავისი შემოსავლის ერთ მეშვიდედს. გარდა ამისა პატარა ბინა, რომელიც 2—3 ოთახისაგან შედგება, შედარებით უფრო ძვირია, ვინემ 6 და 7 ოთახიანი, ასე რომ შეუძლო ხალხი მდიდ-

რებზე უფრო ძვირათ ქირაობს ბინებს. ნამეტან ძვირათ უჯდებათ ბინის ქირაობა იმ პირებს, რომლებიც ვითარცა უცოლშვილონი, თითო ოთახს იჭერენ. ცალკე გასაქირავებელ ოთახების სიძვირე და მოუწყობლობა ჩვენ ქალაქებში სწორეთ გასაშტერებელია. ასეთ ბინებს ქირაობენ უცოლშვილო ნოქრები, მუშები, ხელოსნები, წვრილი ჩინოვნიკები და სხვ., ყველა ისეთი ხალხი, რომელიც ძალიან ცოტა შეძლების პატრონია. მათ არა აქვთ ჩვეულებრივ არავითარი სახლის მოწყობილობა და ამიტომ მებელიან ოთახებს იჭერენ. ნამდვილათ ეს ოთახები ცარიელია, მაგრამ აქ „მებელიანს“ და „მორთულს“ ეძახიან. ერთი გაფხეკილი სტოლი, ერთიც გაცვეთილი სკამი და ერთი ხის თანადროული კუშეტკა, რომელიც თავისი ჭრიჭინით კაცს გულს გაუწვრილებს და ნერვებს აუშლის,—აი, ეს არის სულ აქაური მებელიან ოთახების მორთულობა. ამგვარათ „მორთულ“ ოთახებში გამქირავებლები 15 და 20 მანათს თხოულობენ თვიურათ.

ევროპის მწერლობა ურიცხვ წიგნებს შეიცავს ესრეთ წოდებულ „ბინის კითხვის“ შესახებ. პრესსაში ცალკე გამოკვლევებში, ბროშურებში ყველგან ბინების ნაკლებობასა და სიძვირეზე ჩივიან. და ჩივიან ისეთ ქვეყნებში, საცა ვაჭრობა და მრეწველობა აყვავებულია, მშრომელი ხალხის შემოსავალი გადიდებულია. და რაღა უნდა ითქვას ჩვენში, საცა არც ერთია, არც მეორე და არც მესამე. აქ ვაჭრობაც ნაკლებია, მრეწველობაც და ხალხის ეკონომიური კეთილ-დღეობაც. მიუხედავად ამისა, საშინლათ ძვირია ბინები. პარიჟში სახლის ქირა ისე ძვირი არ არის, როგორც თფილისში.

და, აი, სწორეთ აქ არის ერთი მეტათ ფართო და მადლიანი ნიადაგი ქალაქის თვით-მართველობის მოქმედებისათვის. ეს ისეთი საგანია, რომელიც შეეხება ქალაქის მცხოვრებთა დიდ-ძალ უმრავლესობის კეთილ-დღეობას და წარმატებას. თვით-მართველობა, რომელიც უნდა ზრუნავდეს ქალაქის წარმატებაზე, მოვალეა ამ საგანს დიდი ყურადღება მიაქციოს და ეცადოს ბინების გამრავლებას, გაიაფებას და გაუმჯობესებას. როგორ და რა საშუალებით უნდა მოხდეს ეს.

ამ ვიზნის მისაღწევათ ევროპის ქალაქები სხვა-და-სხვა გვარ ზომებს ხმარობენ. ეხმარებიან კერძო კაპიტალისტებს, რომლებიც შეუძლო ხალხის საცხოვრებლათ დანიშნულ პატარა ბინებს აგებენ, ეწევიან ფილანტროპიული განზრახვით პატარა სადგომების გასამრავლებლათ დაარსებულ ფერაინებს და სახლების ამშენებელ ამხანაგობებს და სხვ.[1] ჩვენშიაც შესაძლებელია და სასურველიც არის ასეთ ამხანა-

---

[1] ob. ამის შესახებ Hugo, Die Deutsche Städteverwaltung, Stuttgart, 1901, S. 335—461. მისივე Städteverwaltung in England, Stuttgart, 1897, S. 71—109.

გონათა დაარსება. ეს უნდა იქნეს კერძო პირთა ინიციატივის საქმე. რომელსაც თვით-მართველობა ფულით და სხვა მხრივაც უნდა დაეხმაროს. სახლების ამშენებელ ამხანაგობას მიზნათ აქვს, რომ თავის წევრებს სახლები იაფათ აქირავებიოს და ამით ისინი მევახშე სახლის პატრონებისაგან დაიფაროს. შეიძლება ამხანაგობას ისიც ქონდეს მიზნათ, რომ თავისი წევრები თან-და-თან ფასის გადახდევინებით სახლების მესაკუთრეებათ გახადოს. ამისთვის იგი წევრებში მოგროვებული ფულით ყიდულობს მიწას, იწყებს სახლების შენებას, რომლებისთვისაც საჭირო ფულს ზოგს ქალაქისგან შოულობს სესხათ და ზოგსაც საჰიპოტეკო ბანკებისაგან. რამდენათაც გავრცელდებიან ასეთი ამხანაგობები ჩვენში და რამდენათაც მეტ დახმარებას გაუწევს მათ ქალაქი, მით უფრო წინ წავა ბინების გაიაფებისა და საზოგადოთ მოწესრიგების საქმე.

მაგრამ ამ საქმის განვითარება მხოლოთ მაშინ იქნება მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული, როცა თვითონ ქალაქი მოკიდებს ხელს სახლების შენებას და პატარა ბინების რიცხვის გამრავლებას. ქალაქს ამისთვის ფულის შოვნაც უფრო ადვილათ შეუძლია, მიწის შეძენაც, ტეხნიკურ ძალის მოპოვებაც და მოთხოვნილების დანახვა და გათვალისწინებაც. დღეს აღარავის მიაჩნია უცნაურათ, რომ ქალაქმა თვითონ იკისროს წყლის გამოყვანა, ქალაქის განათება, მიმოსვლის საშუალებათა მოწყობა-წარმოება, საყასბოს აგება და მართვა და რისთვის მაინცა და მაინც სახლების აგება უნდა იყოს გასაკვირი ან მოუხერხებელი.

მართალია, სახლების მოვლა ქალაქისაგან რთულ ორგანიზაციას მოითხოვს, მაგრამ საგნის ეს მხარე შეიძლება გამარტივებული იქნეს. შეიძლება დაარსდეს მდგმურთა ამხანაგობანი და ქალაქმა ამ ამხანაგობებთან იქონიოს ურთიერთობა და არა თითოეულ კერძო მდგმურთან. მიწა და სახლები ქალაქის კუთვნილება იქნება, ხოლო მათი მართვა-გამგებლობა ამხანაგობებს ჩაებარებათ. ესენი თავიანთ წევრებში მოაგროვებენ საწარმოო კაპიტალს და აქედან ნაწილს ქალაქს წარუდგენენ გირაოთ. პასუხისმგებლობას იკისრებენ ქირის დროზე შეტანისა და სახლების კარგათ მოვლისათვის. ბინების ქირა დაწესებული იქნება ხარჯების მიხედვით. ქირა უნდა ფარავდეს მიწის და სახლის ღირებულობის სარგებელს, ამორტიზაციას, გადასახადს და დაზღვევის ხარჯს. ერთი სიტყვით ქალაქი არ უნდა ზარალობდეს ამგვარ სახლების აგებით; მისი მოქმედება და ზრუნვა ბინების გაიაფებისათვის არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოთ ქველ-მოქმედებას და ქალაქის საერთო კასიდან შეუძლო ხალხისთვის საჩუქრების მიცემას. იგი მკვიდრ ეკონომიურ საფუძველზე უნდა იყოს დამყარებული და მხოლოთ მაშინ ექნება მას მომავალი. მაგრამ ამასთან ქალაქი არც იმას უნდა ცდილობ-

დეს, რომ უმთავრესათ ღარიბ ხალხისთვის დანიშნულ სახლების ქირით მოგება ნახოს და თავისი კასა გაივსოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოქმედება ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებს ხალხის ეკონომიურ წარმატებაზე: იგი დაემსგავსება კერძო სახლის პატრონთა მოქმედებას, რომლებიც ფიქრობენ მუდამ ქირის აწევაზე და სახლის ფასის გადიდებაზე. შემოსავლით ხარჯების დაფარვა—აი, პრინციპი. რომელიც აღიარებულ უნდა იქნეს ქალაქისგან ამ შემთხვევაში.

V. ქალაქის ფინანსები და აღებ-მიცემობითი ეკონომია

აქამდის ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ქალაქის საჭიროებებზე. ამ საჭიროებათაგან ბევრი, ძალიან ბევრი რამ,—ზოგი უადგილობისა და ზოგიც ჩვენგან დამოუკიდებელ გარემოების გამო, — ვერ მოვიხსენიეთ. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, გვგონია, მკითხველი ნათქვამიდანაც დაინახავდა, რომ ქალაქში გასაკეთებელი საქმეები მრავალთ-მრავალია, საზოგადო ხასიათის საჭიროებანი და მოთხოვნილებები აუარებელია. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება თითოეულ მოქალაქეს ცალკე არ შეუძლია, ეს მის ძალ-ღონეს აღემატება. შეუძლებელია, თითოეულმა ქალაქის მცხოვრებმა ხელში სანთელი დაიჭიროს და ღამით გზა გაინათოს. შეუძლებელია, ყველამ თავ-თავისთვის მდინარეზე გასასვლელი ხიდი გამართოს, ბაღები გაიშენოს, საავათმყოფო აიგოს და ცალკე ექიმი დაიჭიროს, სკოლა გაიმართოს და თავისთვის ცალკე მასწავლებელი დაიქირავოს. ეს და სხვა მრავალი მოთხოვნილებები საზოგადო ხასიათისაა. მათი დაკმაყოფილება მხოლოთ მაშინ მოხერხდება კარგათ და თანაც ეკონომიურათ, ე. ი. ნაკლები შრომის დახარჯვით, როცა ამისთვის საზოგადო შეერთებული ძალ-ღონე იხმარება. ამიტომ მოქალაქე, რაც უნდა უსიამოვნო იყოს მისთვის გადასახადის გაღება, საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ხარჯის გაწევას ვერ აცდება. ასეთ ხარჯების გაღებას აუცილებლათ ხდის თვით საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მოქალაქენი იხდიან გადასახადს, ხოლო მათ მიერ არჩეული გამგეობა ხარჯავს ამას ქალაქის საქმეების გასაძღოლათ და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. და აი, ეს იწოდება ფინანსებათ. საჭირო სახსრის გამონახვა, მისი აღების და მოგროვების წეს-რიგი, ერთი სიტყვით ქალაქის შესავალი და ამისი დახარჯვა ქალაქის საჭიროებებზე—ეს არის ქალაქის მართვა-გამგეობის ის მხარე, რომელსაც ეწოდება ფინანსები. როგორც ყველა ცალკე ოჯახს აქვს შესავალი და აქვს გასავალი, ისევე აქვს ეს იმ დიდ საზოგადოებრივ ოჯახსაც, რომელსაც ქვია ქალაქი.

რაც უფრო იზრდება და დიდდება ქალაქი, მით უფრო მატულობს

ქალაქის მოთხოვნილებები, მით უფრო იზრდება და დიდდება ამათ დასაკმაყოფილებლათ საჭირო ხარჯები. თან და თან ეროვნდება ხალხში სწავლა-განათლება, მატულობს შრომის ნაყოფიერება, იზრდება კულტურული ცნობიერება და ეს იწვევს საერთო მოთხოვნილება-საჭიროებათა გადიდებას და გამრავლებას, ქალაქის ხარჯების თანდათანი ზრდა ვეიჩვენებს, რომ თვითონ ქალაქიც თანდათან იზდება და ვითარდება.

საკმარისია გადავხედოთ ევროპის ქალაქების საფინანსო სტატისტიკას, რომ დავრწმუნდეთ ამ აზრის სიმართლეში, მაგალითად, 1896 წელს გერმანიის შემდეგ ქალაქებს დაუხარჯავთ:

	ქუჩების გასაწმენდათ მარკა	ქუჩების მოსარწყავათ მარკა	უწმინდურების გასატ. მარკა	ბაღებზე მარკა
ბერლინს	2842 965	300 000	3 236 543	396 3000
ჰამბურგს	967 920	95 777	506 415	226 6000
მიუნხენს	2[illegible]0 875	29 345	1 882 855	115 977
ლეიპციგს	192 020	58 395	347 431	76 112
ბრესლავს	276 122	29 755	412 637	185 590
დრეზდენს	423 285	91 678	484 584	63 423
კელნს	204 296	27 540	1 316 700	109 916
ფრანკფურტს	482 647	61 240	549 908	92 070

[1] რა თქმა უნდა, მარტო ამ ხარჯებით არ განისაზღვრება ხსენებულ ქალაქების ჰიგიენურათ მოწყობის ხარჯები. აქ არ არის მოხსენებული ის დიდ-ძალი ფული, რომელიც დაუხარჯავთ ამ ქალაქებს საავათმყოფოებზე, ბინების ჰიგიენურათ მოწყობაზე, ხორაგეულობის გაშინჯვასა და თვალ-ყურის ჭერაზე და კიდევ ბევრ სხვა რამეებზე.

ასევე დიდ-ძალი ფული ჭირდება ევროპის ქალაქებში სწავლა-განათლების საქმესაც. ამის შესახებ ზოგიერთი ციფრები ერთ წინა წერილში გვქონდა აღნიშნული და აქ აღარ ვიმეორებთ. ვიტყვით მხოლოთ, რომ, მაგალითათ, ქალაქ პარიჟის 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში სწავლა-განათლების საქმისთვის 30 მილიონი ფრანკი არის შეტანილი.

ქალაქს, ვითარცა მრავალ ხალხის შემცველ საზოგადოებას, ჭირდება სხვა-და-სხვა ნაირი პოლიცია: პოლიცია საამშენებლო, პოლიცია მშვიდობიანობის დასაცველათ, ხალხის ჯანმრთელობაზე საზრუნველათ. ამასაც ხარჯი უნდა და ძალიან დიდი ხარჯიც. ამ ხარჯებში ქალაქებს ჩვეულებრივ სახელმწიფოც ეხმარება, მაგრამ ის, რაც ქალაქებს უწევს გადასახდელათ, მაინც საკმარისათ დიდია. ბერლინში სულზე სამი მანათი ჯდება მშვიდობიანობის პოლიციის შენახვა და მთელი ხარჯი 9

[1] იხ. „კვალი", № 13, გვ. 206.

მილიონ მარკას აღემატება. პარიჟის 1899 წლის ხარჯთაღრიცხვაში საპოლიციო პრეფექტურის ხარჯები 32 მილიონ ფრანკით არის აღნიშნული.

მშვიდობიანობის პოლიციაზე კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის ცეცხლის ქრობის საქმის მოწყობა-მომართვას. რასაკვირველია, ეს საქმე ისე ჩათლახათ არ არის ევროპაში მოწყობილი, როგორც ჩვენში. იქ არის გამართული ელექტრონის ყუთები სადგურისთვის ცნობის მისაცემათ, აქვთ მრავალგვარი იარაღები ცეცხლის ქრობის დროს სახმარათ და ყავთ საკმაო ხალხი ზარალის მომცემ სტიქიურ ძალასთან საბრძოლველათ. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ცეცხლის ქრობის საქმე ქალაქში ყველას არ აინტერესებს, ეს მხოლოთ სახლის პატრონების საზრუნავ საგანს შეადგენსო, მაგრამ ეს შეცდომა იქნება. ეს საქმე ყველასთვის საჭირო და საინტერესოა. ყველა ქალაქის მცხოვრებთ, ასეა თუ ისე, აქვთ ბინები, და მაშასადამე, ცეცხლის გაჩენა ყველას მიცემს ზარალს და დაბრკოლებას. სახლის პატრონს ჩვეულებრივ თვისი სახლი დაზღვეული აქვს, ხოლო მდგმურის ქონება-ავეჯი ასში ერთი არ არის დაზღვეული და პატრონისთვის უზრუნველყოფილი. დაიწვის სახლი და — სახლის პატრონი ფასს დამზღვევ საზოგადოებისგან მიიღებს, ხოლო მდგმურს მის დამწვარ ქონებაში არავინ არას მიცემს. ამიტომ ქალაქი, რომელიც აწესრიგებს ცეცხლის ქრობის საქმეს, ყველასთვის სასარგებლოთ მოქმედობს, ყველას სარგებლობას აძლევს. ამიტომაც არის, რომ ცეცხლის ქრობის ხარჯები ქალაქის ფინანსების ერთ-ერთ მთავარ საგანს შეადგენს. 1896 წ. ბერლინს დაუხარჯავს ამ საგანზე 1708527 მარკა, ლეიპციგს 252979, მიუნსენს 238959, ბრესლავს 264159, კელნს 207400 მარკა და ასე სხვა დიდ ქალაქებსაც.

გარდა აქ ჩამოთელილისა კიდევ ბევრი სხვა ხარჯები აქვს ქალაქს, რომლებსაც აქ უადგილობის გამო ცალ-ცალკე ვეღარ მოვიხსენიებთ. მხოლოთ ერთი საგანი კი მაინც უნდა აღვნიშნოთ. ეს არის ღარიბთა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესება, ამისთვის ხარჯების გაღება და საჭირო დაწესებულებათა დაარსება.

რასაკვირველია, ყველა ამ ხარჯების გასაწევათ ქალაქს უნდა ქონდეს შემოსავალი. ქალაქის კასიდან აბა რა უნდა იქნეს გატანილი და საზოგადო საქმეებზე მოხმარებული, თუ იქ არაფერი არ იქნება შეტანილი და მოგროვებული. გასავალი ვერ იქნება, თუ არ არის შემოსავალი, სხვა-და-სხვა საზოგადო საჭიროება ვერ დაკმაყოფილდება, თუ არ არის ღონე და სახსარი. ამიტომ ქალაქის კასას გასავალთან ერთათ უნდა ქონდეს და აქვს კიდეც შემოსავალი.

ეს შემოსავალი სხვა-და-სხვა გზით და ფორმით გროვდება. ერთ

ეთავრეს გზას შეადგენს თვით მოქალაქეებზე დადებული სავალდებულო გადასახადი. გარდა ამისა ქალაქს შეიძლება შემოსავალი ეძლეოდეს სხვა-და-სხვა გვარ ბაჟების დაწესებით (пошлины, gebühen), საქალაქო ქონების იჯარით გაცემით, გაქირავებით ან გასესხებით. საკუთარ აღებ-მიცემობითი წარმოებით, სახელმწიფოსგან დახმარებით და დასასრულ სესხის აღებით. — ყველა ამაებზე თეორიულ მსჯელობის გამართვა შორს წაგვიყვანს და ეს არც შეეფერება საგაზეთო წერილის დანიშნულებას. ვგონებთ უმჯობესი იქნება თფილისის საქმეებს დავუახლოვდეთ და მისი ფინანსები მოვიხსენიოთ.

თფილისის საქალაქო შემოსავლის სამ მთავარ საგანს შეადგენს ა) დაფასებითი და ბ) ვაჭრობა-მრეწველობაზე დაწესებული გადასახადი და გ) საქალაქო მამულები, რომლებსაც ქალაქი იჯარით იძლევა და მოიჯარადრეთაგან საიჯარო ფასს იღებს. პირველ შემთხვევაში გადასახადს იხდიან სახლის პატრონები, მეორეში—ვაჭარ-მრეწველები, ხოლო მესამეში ქალაქის მოიჯარადრენი. შეიძლება ამიტომ ზოგიერთი მკითხველი დარწმუნებულიც იყოს, რომ ვითომ აქ გადასახადს მართლა ეს აქ ჩამოთვლილი პირები იხდიან, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. სახლის პატრონის მიერ გადასახადის გაღება არ ნიშნავს იმას, რომ ნამდვილათ იგი არის გადამხდელი. თვისი გადასახადი მას სახლის ქირაში შეაქვს და მდგმურებისაგან იღებს, ასე რომ ნამდვილი გადამხდელები მდგმურები არიან და არა სახლის პატრონები. ასევეა საქმე სამრეწველო და სავაჭრო გადასახადის შესახებაც. მართალია, აქ გადასახადი ვაჭრებსა და მრეწველებს შეაქვთ, მაგრამ ამას ისინი შემდეგ საქონელს ადებენ და ფასს უმატებენ. მუშტრები, როცა რამეს ყიდულობენ ვაჭრისა თუ მრეწველისაგან, იხდიან საქალაქო გადასახადსაც, ოფელიც გამყიდველს საქონლის ფასში აქვს შეტანილი. და რაც შეეხება საქალაქო მამულებს, აქაც რომ საქმე სხვა ნაირათ არ არის, ეს ინელი გასაგები არაა: ქალაქის ადგილის მოიჯარადრე ხმარობს ადგილს ან ვაჭრობისა და ან სამრეწველო მიზნისათვის. რასაკვირველია, მას მოგება უნდა და არა ზარალი. ისიც საარენდო ქირას საერთო ხარჯებში შეიტანს და საქონლის ფასს დაადებს მყიდველების მიერ გადასახდელათ. მიუხედავათ ამისა მოიპოვებიან ისეთი უბადრუკი პირები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქალაქის მართვა-გამგეობაში ხმა და გავლენა მხოლოთ სახლის პატრონებს და განსაზღვრულ ცენზის მქონე ვაჭარ-მრეწველებს უნდა ქონდეთო, რადგან მხოლოთ ესენი არიან საქალაქო გადასახადთა გამღებნიო. ამით მოჩვენება სინამდვილეთ მიიჩნიათ და გადასახადის პირველი გამღებნი ნამდვილ გადამხდელებად ყავთ წარმოდგენილი.

რუსეთის ქალაქების საფინანსო პოლიტიკის ერთ მთავარ ნაკლათ

უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მათ არ აქვთ შემოღებული შემოსავალზე გადასახადი. კარგ გადასახადის სისტემაში ის მიმართულება უნდა იყოს გატარებული, რომ გადამხდელებს შეძლების კვალობაზე ერთმანეთს გადასახადი. გადასახადის სიმძიმე შეუძლოს არ უნდა აწვებოდეს დიდ ტვირთათ და შეძლებულს არ უნდა ტოვებდეს შეუხებლათ. და ამ მიზნის შესრულება შეუძლია შემოსავალზე პროგრესიულ გადასახადის დაწესებას. მარტო სამამულო და სავაჭრო სამრეწველო გადასახადით კი ეს არ ხერხდება. წარმოიდგინეთ-ამის წარმოდგენა ძნელი არაა,—წარმოიდგინეთ თფილისში ისეთი შეძლებული კაცი, რომელიც არც სახლის პატრონია, არც ვაჭარი და არც მრეწველი. ის არის მხოლოთ „რენტიე"—კაპიტალისგან სარგებლის ამღები. ასეთ ადამიანს, თუნდ მას რამდენიმე ასი ათასი თუმანი ქონდეს, სრულიათ თავისუფლად ტოვებს ქალაქში არსებული სისტემა გადასახადისა და მერე სამართალია ეს? განა ასეთი ბურჟუა არ სარგებლობს ქალაქის მოწყობილობით, არ დადის ქალაქის საერთო ძალ-ღონით მოფენილ ქუჩებზე, არ ისუნთქავს ქალაქის ბაღების ჰაერს, არ ცვეთს ქალაქის ტროტუარს და არ ინათებს გზას ქალაქის მიერ დადგმულ ფარნებით? რა თქმა უნდა, ყველა ამაებით იგი სარგებლობს, სარგებლობს კაცი, რომელიც შეძლებულია, რომელიც უშრომლათ, თვისი კაპიტალის გასესხებით ნაღებს ართმევს საზოგადო ეკონომიას და ცხოვრობს თავისთვის უდარდელათ. თავისუფლათ დატოვება კი არა, სწორეთ ასეთ ადამიანებს უნდა კიდებდეს ხელს მაგრათ ფისკალური მართველობა და ართმევდეს დიდ, მათ შეძლებასთან შეთანხმებულ, გადასახადს. მართალია, ქალაქის თვით-მართველობას შუამდგომლობა დაჭირდება უმაღლეს მთავრობასთან, რომ მას ნებართვა მიეცეს ასეთი გადასახადის შემოღებისა. მაგრამ საქმის სიძნელე საკმარისი საფუძველი არაა იმისი, რომ მან მეცადინეობაზე სულ ხელი აიღოს და ქალაქის ფინანსების გაუმჯობესებაზე არ იზრუნოს. იგი იმისთვის არის მოქალაქეთაგან ამორჩეული, რომ ასეთი შრომა გასწიოს და ქალაქის საქმეებს უწინამძღვროს.

თვით არსებულ სამამულო გადასახადის სისტემაშიაც შეიძლება ქალაქისთვის სასარგებლო ცვლილებების შემოტანა. უკანასკნელ წერილში ჩვენ მოვიხსენიეთ ქალაქში მიწების ყიდვა-გაყიდვის სპეკულიაცია, რომელსაც იწვევს ქალაქის გადიდება და ამით მიწის რენტის ზრდა. ჩვენ ვნახავთ იქ, რომ სპეკულიანტები დღეს მიწას ყიდულობენ და რამდენიმე წლის შემდეგ, რადგან ხელში მონოპოლია აქვთ, იმავე მიწას ერთი სამათ და ერთი ხუთათ ყიდიან და აქ შეუძლია ქალაქს ხელის მოთბობა. მიწის რენტის აწევა ქალაქის გაზრდის და განვითარების წყალობით ხდება. და ადამიანური სამართლიანობა ამის შესახებ ვერას იტყვის, რომ ქალაქმა ამ სპეკულიანტებს მეტი გადასახადი დაადვას და

გადიდებული ფასებით მარტო ისინი არ ასარგებლოს. ამათგან მეტის აღება არც ღმერთს ეწყინება და არც კაცს. ამით მეტი სახსარი შეეძინება საქალაქო კასას და მეტი სარგებლობა მთელ ქალაქს.

მაგრამ ამაზე სრულიათაც არ ფიქრობს ჩვენი ქალაქის თვით-მართველობა. საზოგადოთ მის მოქმედებაში არ ჩანს ნიშანიც, რომ იგი ცდილობდეს შეუძლო მცხოვრებთათვის გადასახდელ ტვირთის შემსუბუქებაზე და შეძლებულებისთვის მომატებაზე. ვთქვათ, ის, რაც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ გადასახადის ახალ სისტემის შესახებ, რთული და საძნელო საქმეა. სამაგიეროთ იმაში, რასაც ახლა მოგახსენებთ, ასეთი თავის გამართლება აღარ შეიძლება. თფილისში აგებულია ქალაქის ხარჯით საქალაქო საყასბო. მართალია, ევროპიელმა რომ ნახოს ეს „საყასბო“, ამ სახელს არ უწოდებს, არამედ ნეხვის ერთ დიდ საწყობს დაარქმევს, მაგრამ ჩვენ ხომ ევროპიელები არა ვართ. ჩვენში ისიც დიდი საქმეა, რომ რაღაცა საზოგადო ჯანმრთელობისთვის საჭირო დაწესებულების მსგავსი რამ დაარსებულა. ყოველ შემთხვევაში, ასეთია თუ ისეთი, კარგია თუ ცუდი, — „საყასბო“ არსებობს. აქ შეეძლო თვით-მართველობას თავისი დემოკრატიული მიმართულება გამოეჩინა და შეუძლო ხალხის ინტერესებზე ეზრუნა. მაგრამ ამას ჩვენ ვერ ვხედავთ მის მოქმედებაში. საყასბოში მორეკილ საქონელზე მას დაუწესებია გადასახადი და იმდენი, რომ საყასბოს ხარჯები იფარება, კაპიტალის სარგებელიც, ამორტიზაციაც და გარდა ამისა კიდევ საკმაოთ დიდი „მოგება“ რჩება. ამას, იქნება, მართლა „მოგებათ“ თვლის ჩვენი განსწავლული თვით-მართველობა. ნამდვილათ-კი ეს გახლავთ არა მოგება, არამედ არა პირდაპირი გადასახადი, დაწესებული ქალაქის მცხოვრებლებზე. ის გადასახადი, რომელსაც იღებს ქალაქი საყასბოში მორეკილ საქონელზე, ყასაბმა ხომ ხარჯათ უნდა იანგარიშოს და ხორცის ფასში შეიტანოს. ის ზედ-მეტი, რომელიც რჩება წლიურათ ქალქს საყასბოსაგან, ნიშნავს, რომ ქალაქი ხარჯებზე მეტს იღებს საყასბოთი სარგებლობისთვის. ეს მეტი, რომელსაც ქალაქი თავის კასაში იტოვებს, უნდა გადიხადონ ქალაქის მცხოვრებლებმა. ეს ასეც ხდება, საყასბოს გადასახადს, რომელიც ხორცის ფასში შეაქვს ყასაბს, იხდის თითოეული ხორცის მყიდველი. აქ არ არის გარჩევა მდიდრის ღარიბისაგან. შეძლებულის შეუძლოსაგან. ყველამ ერთ ფასათ უნდა იყიდოს გირვანქა ხორცი და, მაშასადამე, ყველამ ერთ ნაირათვე უნდა გადაიხადოს საყასბოსგან აღებული ზედმეტი გადასახადი. ღა განა ეს სამართალია? იმდენივე გადასახადი ღარიბ-ღატაკს, რამდენიც მდიდარს, ასიათასების და მილიონის პატრონს! რომ ამით გაუძვირდება ქალაქის შეუძლო უმრავლესობას საკვები ხორცი, ეს ერთი

მთავარი საღსარი ადამიანის არსებობისა, ამაზე არ ფიქრობს და თავს არ იტკივებს ჩვენი „განათლებული“ თვით-მართველობა.

თვით-მართველობის ასეთივე უზრუნველობა ჩანს წყლის ტარიფის დაწესებაშიაც, სასმელ წყლისთვის გადასახდელი ფასი ყველასთვის ერთნაირათაა დაწესებული. აქაც არაა გარჩევა მდიდრის ღარიბისაგან, შეძლებულის შეუძლოსაგან. ერთ და იმავე ტარიფით ეძლევა წყალი, ყველას, განურჩევლათ შეძლება-ქონებისა. კიდევ კარგი, რომ ქალაქი წყალში იმდენს იხდევინებოდეს, რაც საჭიროა მხოლოთ ხარჯების, კაპიტალის სარგებლის და ამორტიზაციის დასაფარავათ. მაგრამ ეს ასე არ გასლავთ. მილის წყალი ქალაქს ყოველ წელიწადს ხარჯებზე ბევრათ მეტ შემოსავალს აძლევს. მილის წყალი დღეს ერთი უუდიდესი წყაროა ქალაქის შემოსავლისა. ამასაც, უთუოთ, ჩვენი ქალაქის „მამები“ მოგებას ეძახიან. ცხადია, ესეც ისეთი „მოგებაა“, როგორც საყასბოს ზედ-მეტი შემოსავალი. ეს არის არა-პირდაპირი გადასახადი, რომელსაც იხდიან ქალაქის მცხოვრებნი, წყლის ყიდვის სახით, ქალაქის საჭიროებათათვის. თუ რა ანტიჰიგიენური წესია ეს, ამის გაგება, მგონი, ყველასთვის ადვილი უნდა იყოს. წყლისათვის ხარჯებზე მეტის აღება ნიშნავს მომხმარებელთათვის ამ უუსაჭიროეს საგნის გაძვირებას. ეს გაძვირება განსაკუთრებით საგრძნობელია ღარიბი ხალხისათვის. წყლის დიდი ტარიფი აიძულებს ღარიბ კაცს, წყლის ხმარება შეამციროს თავის ოჯახში. იგი ვერ დაიბანს ხელ-პირს, ვერ გაირეცხს საცვალს, ვერ გარეცხს ოთახს და სამზარეულოს. ერთი სიტყვით ყოველთვის იმის ფიქრში იქნება, წყალს გაუფრთხილდეს და ნაკლები დახარჯოს. ამის შედეგი იქნება უსუფთაობა სახლში, ჭუჭყი ტანზე და ტან-საცმელში. ასეთ ადამიანის სახლი და სხეული გახდება ბუდეთ სხვადა-სხვა პარაზიტთა და ავათმყოფობათა. და ყველა ამისთვის ვინ იქნება ზნეობრივი პასუხისმგებელი? არავინ სხვა გარდა თვით-მართველობისა, რომელიც ხალხს არსებობისთვის აუცილებელ საგანს, წყალს, უძვირებს და სისუფთავის დაცვას უძნელებს.

მართალია, იმ წესით, რა წესითაც დღეს თფილისში წყლის გაცემა წარმოებს, შეუძლებელია მომხმარებელთა შეძლებისა თუ შეუძლებლობის მხედველობაში მიღება. წყალი არ არის ყველა სახლებში გაყვანილი. კრანთან მიმსვლელის ვინაობა კი აბა როგორ უნდა გაიგოს და დააფასოს ქალაქის თვით-მართველობამ. ამის აქ გაგება და მხედველობაში მიღება ყოვლათ შეუძლებელია. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ წყალი ყველა სახლებში იქნეს გაყვანილი, თითოეულ სახლში მოიწყობა წყლის საზომი აპარატი და წყლის ფასს დახარჯულ წყლის რაოდენობის მიხედვით აიღებს ქალაქის თვით-მართველობა.

მაგრამ სახლებში წყლის გაყვანა კიდევ არ კმარა მცხოვრებთა

უმრავლესობის ინტერესების დასაცავად. არ კმარა, თუ ქალაქმა წყალი სახლის პატრონს მიცა და მხოლოთ მასთან დაიჭირა საქმე. სახლის პატრონი წყლის ფასს მდგმურებს უანგარიშებს, ე. ი. სახლის ქირას გაიძვირებს და თავს იმით იმართლებს, — ქალაქი დიდ-ძალ ფულს მახდევინებს წყლის გულისთვისო. ხუთ მანათს რომ იხდიდეს, მდგმურებს 10-ს და 20-ს უანგარიშებს, ასე რომ მდგმურებისთვის ამ წესით სახლებში წყლის გაყვანა საზარალო თუ იქნება, თორემ სასარგებლო და ხელ-საყრელი არა. ამიტომ ქალაქის მოვალეობაა სახლის დამქირავებლები არ დაუმონავოს სახლის პატრონთა თვით-ნებობას და გაუმაძღრობას. სახლის პატრონებს ისიც ეყოფათ, რომ სახლებზე მონოპოლია აქვთ, და წყალიც რომ მათ სამონოპოლიოთ გახდეს, ეს დიდი და შეუნდობელი დანაშაულობა იქნება ქალაქის საზოგადო ინტერესთა დასაცავად დანიშნულ თვითმართველობისა. ქალაქი წყალს უნდა აძლევდეს არა სახლის პატრონს, არამედ პირ და პირ მოხმარებელს. თითო ბინის სამზარეულოში უნდა იყოს წყლის მილი გაყვანილი და წყლის საზომი აპარატი მოწყობილი. მაშინ ქალაქს ადვილათ შეუძლია გაიგოს, რომელმა მდგმურმა რამდენი წყალი დახარჯა და რამდენი უნდა გადაუხადოს ქალაქს წყლის ფასათ. ადვილათ შეეძლება აგრეთვე მას იმის გამოკვლევაც, თუ მდგმური რა ქონების პატრონია. შესაძლებელი გახდება ღარიბების ნამდვილათ და შეუცთომლათ გაგება და მათთვის წყლის სრულიათ უსასყიდლოთ დათმობა.

ყოველ შემთხვევაში, როგორც სახლებში წყლის გაყვანამდი, ისე გაყვანის შემდეგაც, წყლის ტარიფი ისე უნდა იყოს დაწესებული, რომ წყლისგან ქალაქს „მოგება“ არ ეძლეოდეს, აქ მოგებისთვის გამოდევნება საზარალოა ხალხის ჯან-მრთელობისათვის და ცხოვრების გამძნელებელი მცხოვრებთა უმრავლესობისათვის. წყლის შემოსავალი უნდა ფარავდეს მხოლოთ ხარჯებს. უნდა მოისპოს ხარჯებზე მეტის აღება, რადგან იგი არის ყოვლათ ანტიჰიგიენური საფინანსო საშუალება.

არც წყალი და არც ხორცი არ არის ისეთი საგნები, რომელთა წარმოებასაც ქალაქი მხოლოთ საალებ-მიცემო მიზნით უნდა კიდებდეს ხელს. აქ პირველი საქმეა საზოგადო ჰიგიენა, და ქალაქიც ამ ჰიგიენის დასაცავად უნდა იწყებდეს ამგვარ წარმოებას. ფისკალურ ინტერესებისთვის გამოდევნება აქ, ვითარცა საზარალო ხალხისათვის, ყოვლათ შეუწყნარებელია.

სამაგიეროთ მოიპოვება წარმოების ისეთი დარგები, რომლებსაც, თუ ქალაქი ხელს მოკიდებს, ბევრი მოგების მოცემა შეუძლია. მაგ., ჭუჩების რკინის გზა, რომლითაც კერძო კაპიტალისტები დიდ ძალ ფულს იგებენ, ქალაქს შეუძლია თვითონ აწარმოვოს და მოგებით თა-

ვისი კასა გაიმდიდროს. აგრეთვე ქუჩების და სახლების განათება გაზითა და ელექტრონით ისეთი საქმეა, რომლის წაყვანა და პატრონობა უფრო ქალაქს შეეფერება. ამით ქალაქსაც შემოსავალი გაუდიდდება და ხალხიც კერძო კაპიტალისტთაგან გაყვლეფას ასცილდება. მუშა ხალხისთვისაც უფრო სასარგებლო იქნება ქალაქის ხელში მუშაობა. ქალაქი, წინააღმდეგ კერძო კაპიტალისტთა, ეცდება შრომის ურთიერთობაში მეტ სოციალ-პოლიტიკურ პრინციპების გატარებას და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას...

ქურ. „კვალი", 1902, №№ 11 (გვ. 175—177), 12 (გვ. 189—191), 13 (გვ. 205—207), 14 (გვ. 221—223), 15 (გვ. 237—240).

თფილისის საქალაქო არჩევნები

მოახლოვდა არჩევნების დრო და—საარჩევნო მოძრაობაც გაცხოველდა და გაძლიერდა, ყველა ერთა წარმომადგენლები მართვენ კრებებს, მსჯელობენ, ადგენენ გეგმებს და ეძიებენ საშუალებებს ახალ საბჭოში თავისიანების გასაყვანათ და გავლენის მოსაპოვებლად. სომხების მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც დღეს თვითმართველობაში გაბატონებულია, ცდილობს გავლენის და ძალის შერჩენას, ხოლო ქართველობა—ასეთი ძალა-გავლენის ახლათ მოპოებას. დღეს ქალაქის თვითმართველობიდან ქართველები თლათ გამოდევნილი არიან, მიუხედავათ იმისა, რომ კანონიერ ცენზის მქონეთა კვალობაზე მათ იქ რამდენიმე წარმომადგენელი უნდა ყოლოდათ. და, რა თქმა უნდა, მათი სურვილი და მეცადინეობა ამ მოვლენის შესაცვლელათ და საბჭოში საკუთარ წარმომადგენლების გასაყვანათ სრულიათ სამართლიანია.

მხოლოთ კითხვა ის არის, როგორ უნდა განხორციელდეს ეს სამართლიანობა. ქართველებს უნდათ ქალაქში „სოლოლაკელთა" ბატონობის შესუსტება და შემცირება. ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ამ მიზნის მისაღწევათ ბრძოლის ეროვნულ ნიადაგზე გადატანა უადგილოა და რომ ეს ყოვლათ ფუჭი და უნაყოფო იქნება. თუ ვინმე კიდევ მოიპოვება ქართველებში ისეთი, რომელიც ფიქრობს, რომ ჩვენ არჩევნებში საერთოდ სომხებს შეებრძოლებით მარტო და დავამარცხებთო, იგი მხოლოთ ოცნებას ეწევა და ოცნების სიტკბოებით იკვებება. აბა ვინ არ იცის, რომ ცენზთან და, მაშასადამე, არჩევნებში ხმის მქონებელ სომეხთა რიცხვი ქართველებისას დიდად აღემატება. „სოლოლაკელებსაც" სწორეთ ეს უნდათ, რომ ქართველებმა თავის დროშაზე „სომეხი თუ ქართველი?" დააწერონ. მაშინ ისინი დატრი-

ალდებიან სომეხ ამომრჩეველებში და თავიანთ თავს სომხის ეროვნების დამცველათ გამოიყვანებენ და ამის წყალობით სახელსაც შეიძენენ და თვით-მართველობაში ბატონობასაც შეინარჩუნებენ: ქართველები საბჭოს გარეთ დარჩებიან, ხოლო ისინი ძველებურათ შიგ მოექცევიან. ბრძოლის ეროვნულ ნიადაგზე გადატანა სარგებლობას მოუტანს მხოლოთ ქალაქის მსხვილ ბურჟუაზიას, იმ ბურჟუაზიას, რომელმაც თვისი უნიჭობა და უენერგიობა ქალაქის საქმეების მართვა-გამგეობაში ბრწყინვალეთ დაუმტკიცა სომეხსაც და ქართველსაც. საზარალო იქნება ასეთი ბრძოლა, როგორც ქართველისთვის, ისე სომეხთა დიდძალ ნაწილისთვისაც.

რაც შეეხება კერძოთ ქართველებს, მარტო ეროვნობის რეკლამაით გამოფენა საკმარისი არ იქნება თვით ქართველ ამომრჩეველების მოსამზრობათაც. ვთქვათ, ამა თუ იმ ქართველ ამომრჩეველს ეუბნება ქართველების საარჩევნო კომიტეტი: დანიშნულ დღეს უეჭველათ გამოეხადი ყუთს არ მოაკლდე, ჩვენ კანდიდატს ხმა მიეცით. მაგრამ იმას კი აღარ უხსნის, ვინ არის ეს კანდიდატი, რა ელ-ფერისაა, რის მცოდნეა; როგორ და რას იქოლვაწებს იგი ახალ საბჭოში, როგორ დაიცავს თავის ამომრჩევლის ინტერესებს, რას გაუკეთებს, რას შეძენს მას მისი ქოლვაწეობა გონების ან ქონების მხრით. და რაღა გასაკვირია, რომ ამომრჩეველმა ამ შეთხვევაში საქმეს გულგრილათ შეხედოს და კენჭის მისაცემათ სირბილს შინ ჯდომა ან თავის საქმეზე მუშაობა არჩიოს. მერე იცით კი, რა გაჭირვებაშია იგი. ის ქუჩა, რომელზედაც მისი სახლია აგებული, გაუნათებელი და მოუფენელია: იქ დგება საშინელი ტლაპო, რომელსაც მდგმურები ყამივით გაურბიან. მის ახლოს არ გადის ქუჩის რკინის გზა. მდგმურებს იშვიათათ შოულობს სახლის პატრონი, ბინა ხშირათ ურჩება გაუქირავებელი. ბანკი, საცა სახლი აქვს მას დაგირავებული, ფულსა თხოვს ან სახლის გაყიდვას უქადის. საზალხო სკოლა მისი სახლიდან სამი ვერსის მანძილზეა გაშართული. იქ მოსიარულე ბავშვებისთვის მარტო ფეხსაცმლის ყიდვას ვერ აუდიან ოჯახის მამა. წყალი ძვირია და ამღვრეული, ხორცი ძვირი და რაღაც განგებით სულ ძვლათ ქცეული... აბა დაუგდეთ ყური, რამდენი რამე შემოგჩივლოთ ამ ამომრჩეველმა. თქვენ კი ეუბნებით: „კენჭი, კენჭი, ჩვენი კაცი უნდა გავიყვანოთო“. მაგრამ მარტო ამით მას ვერ დაიინტერესებთ. იგი მოგთხოვთ თვისი რეალურ ინტერესების დაცვას, და მხოლოთ ამ დაცვის შეპირებით და განმარტებით დაძრავთ მას ყუთთან მოსასვლელათ და კენჭის მისაცემათ.

ცხადია, ქართველებისთვის აუცილებელია არა-ქართველ ამომრჩეველებთან შეთანხმება და შეერთება, რომ მათ თავიანთი კანდიდატები გაიყვანონ არჩევნებში. როგორ და რა საფუძველზე უნდა მოხდეს ეს შე-

თანხმება? რა საშუალებით უნდა მოიმხრონ ქართველებმა სხვა ერთა ამომრჩეველები და თვითონაც მიემხრონ მათ.

ეს შეიძლება მოხდეს მხოლოთ გამორკვეულ და განსაზღვრულ პროგრამის საშუალებით. ისეთი პროგრამით, რომელიც განსაზღვრულ ინტერესებს იცავს, ყველა ერთაგან შესაძლებელი იქნება ამომრჩევლების საერთო ინტერესების გარშემო მოგროვება და მომხრობა. რამდენათაც ამ პროგრამაში დაცულ ინტერესების მქონებელნი სომხებში მოიძებნებიან, იმდენათვე ხსენებული პროგრამა და მისი მაღიარებელი კანდიდატები სომეხ სახლის პატრონებშიაც პოვებენ თანაგრძნობას და ძომბრეობას. ამ გარემოებას ხელს შეუწყობს კრიტიკაც ახლანდელ ქალაქის „მამათა“ მოღვაწეობისა, რომელიც ასე საოცრათ ბრწყინავს თავისი უნაყოფობით.

ახლანდელმა ქალაქის „გამგეებმა“ კვეხნით ყურები გამოგვიქექეს, ჩვენ განათლებული ხალხი ვართ, დიპლომიანები და, მაშასადამე, ქალაქის საქმეების მართვა კარგათ ვიცითო. თუ რა კარგი მართვა და საქმეების წაყვანა ცოდნიათ მათ, ეს დღეს საკმაოთ აქვს დანახული ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას. ქალაქის საქმეთა რომელ დარგსაც კი უნდა გადაავლოს თვალი ოპოზიციამ, ყველგან აურაცხელ ფაქტებს ნახავს, რომლებიც ახლანდელ თვით-მართველობის არა-რაობის გამომხატველია. მარტო ქალაქის სანიტარულათ მოუწყობლობა რამდენ ფაქტებს იძლევა საარჩევნო აგიტაციის გასაადვილებლათ. აქ არის ნამდვილი embarras de richese—აღარ იცით, საიდან დაიწყოთ და რომელი გამოარჩიოთ, ისე ერთი მეორეზე უკეთესი და საინტერესოა.

„გარეგან და შინაგან კეთილ-მოწყობილობის მხრით ქალაქი თფილისი ძალიან გლახა პირობებში იმყოფება, რომლებიც მცხოვრებთა კეთილდღეობისათვის დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოსპობილი. როგორც ქალაქის კეთილ მოწყობილობის საქმეში, ისე იმ დაწესებულებათა და შენობათა შენახვის მხრითაც, რომლებსაც ქალაქის გამგეობა განაგებს, აღმოჩენილ იქნა მრავალი სხვა-და-სხვა გვარი უწესოება: ქალაქის მართველობის აგენტთა დაუდევარი მოქცევა თავიანთ საქმეებში; თვალყურის დაუჭერლობა ქალაქის გამგეობის მხრით; უანგარიშო და უნაყოფო ხარჯვა ქალაქის ფულისა; სრული გულგრილობა მცხოვრებთა უუმნიშვნელოვანეს ინტერესებზე ზრუნვაში; დარღვევა ძირითად სანიტარულ წესისა: სრული უზრუნველობა ქალაქის მცხოვრებთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მავნებელ ანტისანიტარულ და ანტიჰიგიენურ პირობების მოსპობისათვის. მოუწყობლობა ქალაქისა განსაკუთრებით განაპირა ადგილებში, და მრავალი სხვა ფაქტი უწესოებისა და უგვანობისა.

ყველა ეს წერია მთავრობის ერთ ოფიციალურ ქაღალდში. ამ ერთი წლის წინეთ მთავარმართებელმა დანიშნა კომისია ქალაქის დასათვალიერებლათ და შესამოწმებლათ სანიტარულ მხრით. კომისიამ შეასრულა ბრძანება, დათვალიერა ქალაქი და წარუდგინა მთავარ-მართებელს მოხსენება. და, აი, სწორეთ ამ მოხსენებაში წერია ასეთი ამბები. სწორეთ ეს ოფიციალური მოხსენება ეძახის ქალაქის მდგომარეობას „ბეზობრაზიეს".

ამ მოხსენებაში დაწვრილებით არის ანუსხული ყველა ის უწესოება და ანტისანიტარული სისაძაგლე, რომელიც უნახავს კომისიას ქალაქის დათვალიერების დროს. კითხულობთ ამ ოფიციალურ ქაღალდს და თმა ყალყზე გიდგებათ. ნუ თუ ასე უღვთოთ, ასე შეუბრალებლათ არის გამეტებული სასიკვდილოთ ქალაქის ხალხი, ფიქრობთ თქვენ, და ვერ დაგიჯერიათ, რომ ამას ჩადიოდენ სწორეთ ისეთი პირები, რომლებსაც ექიმობის დიპლომები მიუღიათ უნივერსიტეტებში და აქ ხუთ-ხუთ მანათობით და თუმნობით ეძლევათ თითო ვიზიტში. მაგრამ შემდეგ აღნიშნულ მოხსენებაში ხვდებით ერთ ადგილს, რომელიც ცოტათი განუგეშებთ, სახელდობრ იქ ნახავთ, რომ ჩვენი ქალაქის „გამგეებს" თურმე მარტო ფეხზე მყოფნი, ჯანმრთელნი არ გაუმეტებია, არამეთ ავათმყოფებიც გაუწირავს. კომისია შესულა საავათმყოფოში და უნახავს, რომ „ავათმყოფთათვის მისაცემი წვენი მხოლოთ მარილიან წყალს წარმოადგენდა, რომელსაც ცოტათი გადაჰკრავდა ქონის სიბრაყვიალე. საცვლების განყოფილებაში საცვლები გლახათ გარეცხილ-იყო, ცუდათ გამშრალი, ცუდ სუნიანი, სამრეცხელოში ერთათ რეცხენ ყველა ავათმყოფების სარეცხებს, განცალკევებული ვარცლი გადამდებ სენით ავათმყოფთა საცვლების გასარეცხათ არა აქვთ... საავათმყოფოს ეზო უწმინდურათ ინახება... ათაშანგიან ქალთა საავათმყოფოში ლოგინების თეთრეული ჭუჭყიანია, განსაკუთრებით ბალიშის პირი და საბნები. საბნებს იშვიათათ რეცხენ: ხშირათ საბანი გადადის გაურეცხელათ ერთი ავათმყოფიდან, რომელიც გამოეწერა, მეორე ახლათ შესულზე... ამ გზით შეიძლება ათაშანგი გადაედვას ავათმყოფებს, რომლებსაც სხვა ვენერიული სენი აქვთ და ამ საავათმყოფოში ღებულობენ მოსარჩენათ..."

ასე უვლიან ავათმყოფებს ჩვენი სამკურნალო მეცნიერებით განსწავლულნი. ერთმა ფრანგმა თქვა ერთ ცნობილ ერზე: Grattez-le et le Tartare apparait-ო (მოფხაჭნეთ მას და თათარი გამოჩნდებაო). იმას რომ ჩვენი ქალაქის „მამები" ცოდნოდა, აბა ამათზე იტყოდა მოხდენილათ: „მოფხაჭნეთ მაგათ, მოაცილეთ გარეგნული კულტურის ლაქა და ნახავთ, თუ რა ნადირი გამოჩნდესო".

ვიმეორებთ, ოპოზიციამ ფართოთ უნდა ისარგებლოს ახლანდელ თვით-მართველობის მოქმედების კრიტიკით. საკუთარი უნდა დაანახვოს ამომრჩეველებს, რომ „სოლოლაკელებმა“ ვერ შეძლეს ქალაქის ვერც ჰიგიენურად მოწყობა, ვერც სწავლა-განათლების შესამჩნევად წინ წაწევა და ვერც ქალაქის ფინანსების და მოქალაქეთა შეუძლო ნაწილის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქართველების საარჩევნო პროგრამა უნდა იქნეს წვრილ მესაკუთრეთა ინტერესების გამომხატველი. იგი შეესაბამება ქართველების ეროვნებრივ მდგომარეობას და დღევანდელ პირობებშიაც მხოლოთ ასეთი პროგრამით შეუძლიათ მათ რამდენიმე წარმომადგენლის საბჭოში გაყვანა. წვრილ მესაკუთრეთა პროგრამა ჩვეულებრივ დემოკრატიული ხასიათისაა და ქართველების პროგრამასაც დღეს სხვა მიმართულება ვერ ექნება. ქალაქის ქუჩების თანაბრად მოფენა და განათება, მოწყვა და დაგვა, ბაღების გალამაზება, საავათმყოფოების გამრავლება და გაუმჯობესება, საქალაქო აფთიაქების დაარსება; საყასბოს მოწყობა და ქალაქის მიერ ხორცის ვაჭრობის ხელში აღება, ხორაგეულობისათვის საზოგადო ბაზრის დაარსება, იაფ ფასიან აბანოების აგება, სასმელ წყლის გაუმჯობესება და გაიაფება, ხორაგეულობის ვაჭრობაზე კონტროლის გაძლიერება, უსუსურ ბავშვთათვის მისაცემ საღ რძის მოსაპოვებლათ საქალაქო ფერმის დაარსება; სახალხო სკოლებისა და წიგნთსაცავ-სამკითხველოების გამრავლება, მიგდებულ და ობოლ ბავშვთა მოვლა-პატრონობა; მუშების ჰიგიენურ და ეკონომიურ პირობების გაუმჯობესება, დაზღვევა, საავათმყოფო და საპენსიო კასსების დაარსება, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში მცირე წლოვან ბავშვთა მუშაობის აკრძალვა ან შემცირება, შრომის ბირჟის დაარსება; ქალაქის ფინანსების გაუმჯობესება, გადასახადებში მეტ სამართლიანობის პრინციპის შეტანა, დიდ ქონებებზე გადასახადის მომატებაზე შუამდგომლობა, შემოსავალზე პროგრესიულ გადასახადის დაწესება, ანდერძით მიღებულ დიდ ქონებებზე საქალაქო გადასახადის შემოღება, ქალაქის ფულის ხარჯვაში სიფრთხილე და ყაირათობა, ქალაქის მიწების არ გაყიდვა და ქალაქის ხელში შენახვა; საქალაქო არჩევნებისათვის ცენზის შემცირებაზე და საარჩევნო უფლების გაფართოებაზე შუამდგომლობა; ქალაქის მიერ სავაჭრო და სამრეწველო წარმოების დაწყება, ახლანდელ კონცესიონერთაგან მეტ სარგებლობის გამოტანა, კერძო მწარმოებელ კაპიტალისტების წინ ქალაქის მცხოვრებთა ინტერესების დაცვა, — აი, ეს და ბევრი სხვა ასეთი საგნები შეიძლება შეტანილ იქნეს პროგრამაში.

ეს პროგრამა იქნება არა მარტო ქართველების, არამედ ყველასი, ვინც მას თანაგრძნობას გამოუცხადებს და მიემხრობა და რომ იგი

მრავალ მომხრეებს მოიპოვებს ამომრჩევლებში, ეს მოსალოდნელია. რადგან ორ საარჩევნო რაიონში მაინც ამომრჩეველთა უმრავლესობას წვრილი და საშუალო ქონების მესაკუთრენი შეადგენენ. მხოლოთ საჭიროა, რომ ერთგვარ ინტერესთა მქონე სხვა-და-სხვა ამომრჩევლები ერთმანეთს დაუახლოვდენ, მოელაპარაკონ და საერთო მოქმედების პლანისა და კანდიდატთა სიების შესახებ შეთანხმდენ. ეს შეთანხმება მოხდება საერთო ინტერესთა და სურვილთა გამომხატველ პროგრამის წყალობით. ეს იქნება შეთანხმება მოფიქრებული, ანგარიშზე აგებული. ამით, შეიძლება, გაწყდეს „სოლოლაკელთა" რკინის ჯაჭვი და პლუტოკრატიის ბატონობისაგან განთავისუფლდეს ქალაქი.

ჟურ. „კვალი", 1902 წ. № 18, გვ. 289—291.

ეკონომიური წერილები

შაქარი და შაქრის საექსპორტო პრემიები

ამ სამი კვირის წინეთ შაქარმა, ტკბილმა, გემრიელმა შაქარმა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, „შაქრის საკითხმა" გერმანიის რეიხსტაგში დიდი ალიაქოთი და პარტიების შეტაკება გამოიწვია. რამდენათაც ტკბილი და სასიამოვნოა თვით საგანი, იმდენათ მწარე და მკვახე იყო რეიხსტაგში წარმოთქმული სიტყვები. აგრარიები და შაქრის ფაბრიკანტთა ინტერესების დამცველი ნაციონალ-ლიბერალები მთავრობას სამშობლოს ღალატს წამებდენ და გერმანიის შაქრის მრეწველობის მოსალოდნელ დაღუპვაზე ბოთქვამდენ. ისე გაამწარეს იმპერიის კანცლერი ბიულოვი, რომ მან ლიბერალებს შეუტია შემდეგი სიტყვებით: „მე სახელმწიფოს მობელე ვარ და არა შაქრის ფაბრიკანტების ნოქარიო". მეორე მხრით თავისუფალი ვაჭრეები და უკიდურესი დემოკრატები აგრარიებს და მრეწველებს გაუმაძღრობას და ხალხის უზომო გაყვლეფის სურვილს უმტკიცებდენ. ერთი მხრიდან ისმოდა სტვენა და ირონიული სიცილი, ხოლო მეორე მხრიდან — ტაშის კვრა და ვაშას ძახილი.

რა იყო, რამ ააღელვა პრუსიელი მემამულეები და მრეწველი ბურჟუაზია?

ამის სავსებით შესაგნებათ საჭიროა მოვიხსენიოთ ჯერ შაქრის ბიოგრაფია და მერე მისი დაბაკვის ისტორია, ე. ი. ჯერ შაქრის წარმოება და მერე მისი სახელმწიფოს საფინანსო მიზნისთვის გამოყენება.

შაქარს დღეს უმთავრესათ ორი მცენარისაგან ამზადებენ: შაქრის

ლერწმისა და შაქრის ჭარხლისაგან, თუმცა მისი გაკეთება რამდენიმე სხვა მცენარეებისგანაც (ქართობილი, სიმინდი) შეიძლება და ზოგიერთ ქვეყნებში წარმოებს კიდეც. შაქრის ლერწამს (saccharum officinarum) ჭარხალთან შედარებით ბევრათ უფრო წინეთ ხმარობდენ შაქრის გასაკეთებლათ. აღმოსავლეთ ინდოეთის მცხოვრებლებმა უკვე რამდენიმე ათასი წლის წინეთ იცოდენ ლერწმის ტკბილი წვენის გამოწურვა და მისი სხვა-და-სხვა მიზნისთვის ხმარება. თავდაპირველათ ხალხი შაქრის ლერწმის წვენს მხოლოთ წვენის სახით ხმარობდა,—მისი გადადუღება და მაგარ შაქრათ ქცევა არ იცოდა. ზოგიერთ ავტორების აზრით ლერწმის წვენის ნამდვილ შაქრათ გადამუშავება მე-3—6 საუკუნეში (ქრისტეს შემდეგ) უნდა დაწყებულიყოს. როგორც აღმოსავლეთ ინდოეთში, ისე ჩინეთში და სპარსეთში შაქრის ლერწამი ძველის ძველათვე ბლომათ მოდიოდა. მესოპოტამიის დაპყრობის შემდეგ არაბებმა აქ გაიგეს შაქრის გემო. მერე ძალიან შეეჩვიენ შაქარს, ასე რომ საგრძნობელ მოთხოვნილებათ გადაექცათ მისი ხმარება. ამიტომ ყველა მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ისინი ცდილობდენ შაქრის ლერწმის პლანტაციების გაშენებას და შაქრის ხმარების გავრცელებას. არაბებისგან გავრცელდა შაქრის ლერწამი, მაგალითათ, ეგვიპტეში და შემდეგ აქედან სირიაში. კრეტის კუნძულზე, სიცილიაში, ისპანიაში და ბევრ სხვა ადგილებში.

მე-19 საუკუნის დამდეგამდე ყველგან მთელ დედამიწის ზურგზე ლერწმისგან დამზადებულ შაქარს ხმარობდენ. იმ ქვეყნებში საცა ლერწამი არ ხარობს, დამზადებული ან ნახევრათ დამზადებული შაქარი შექონდათ ვაჭრებს. ევროპაში ამ შაქარს უფრო ხშირათ წმენდდენ ქარხნებში და ისე ხმარობდენ. რასაკვირველია, იმ დროინდელ გზების და ტეხნიკის მიზეზით შაქარი მაშინ ძალიან ძვირი იყო და მხოლოთ მცხოვრებთა შეძლებულ ნაწილს შეეძლო მისი ხმარება. მაგრამ ეს გარემოება მე-19 საუკუნეში შეიცვალა და შეიცვალა იმის წყალობით, რომ ლერწამს ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა. ეს კონკურენტი არის შაქრის ჭარხალი: ევროპაში ჭარხლისგან დაიწყეს შაქრის მზადება და მას მერე ლერწმის როლი და მნიშვნელობა შაქრის წარმოებაში თან და თან შესუსტდა.

ის კაცი, რომელმაც პირველათ აღმოაჩინა, რომ ჭარხლისგან შესაძლებელია შაქრის გაკეთება, იყო გერმანელი, სახელით მარგრაფი და ხელობით ქიმიკოსი. 1747 წელს ბერლინში მან დაამტკიცა, რომ ჭარხალი შეიცავს ერთ ისეთ ნივთიერებას, რომელიც სრულიათ ემსგავსება შაქარს. ეს აღმოჩენა მარგრაფისა ნახევარ საუკუნის განმავლობაში პრაქტიკულათ უნაყოფოთ დარჩა. მხოლოთ მე-19 საუკუნის დასაწყისში გერმანელმა ახარდმა მოკიდა ხელი მარგრაფის აზრის პრაქ-

ტიკულათ განხორციელებას. გააშენა თავის მამულში პატარა ჭარხლის პლანტაცია და ააგო ქარხანა ჭარხლისგან შაქრის დასამუშავებლათ. მაგრამ იმ დროში ხშირმა ომებმა ახალდის დაწყებულება გაანადგურა. მხოლოთ აზრი კი მაინც არ გამქრალა. ფრანგებმა გადაიღეს გერმანელების იდეა და შეუდგენ მის პრაქტიკულათ სისრულეში მოყვანას. ნაპოლეონ პირველიც ძალიან ხელს უწყობდა ამ აზრის განხორციელებას, ასე რომ მის დროს საფრანგეთში რამდენიმე ფაბრიკა დაარსდა ჭარხლისგან შაქრის დასამზადებლათ. ნაპოლეონის დაცემის შემდეგ გერმანია თან და თან წელში გაიმართა და შაქრის წარმოებასაც იქ ახალი ხანა დაუდგა. გამრავლდა ჭარხლის პლანტაციები და შაქრის ფაბრიკები არა თუ გერმანიაში, არამედ რუსეთში, ავსტრიაში, საფრანგეთში და ბევრ სხვა ქვეყნებშიაც. თან და თან კულტურით შაქრისთვის ხმარებული ჭარხალი გაუმჯობესდა ანუ, როგორც გერმანელები იტყვიან, „გაკეთილშობილდა“, ასე რომ ჩვეულებრივ ჭარხლისაგან იგი შესამჩნევათ განსხვავდება.

როგორც ვთქვით, ჭარხლის შაქრის წარმოებამ შაქრის ლერწამს მნიშვნელობა დაუკარგა. თუ წინეთ შაქარი მხოლოთ ლერწმისგან მზადდებოდა, ახლანდელ დროში შაქრის უუდიდესი ნაწილი ჭარხლისგან კეთდება. ლერწმის შაქარს აწარმოებენ დღეს უმთავრესათ შემდეგი ქვეყნები: აღმოსავლეთ-ინდოეთი, ჩინეთი, ფილიპინის კუნძულები, ეგვიპტე, ავსტრალია, მექსიკა და სამხრეთ-ამერიკა. საკვირველია, რომ უმეტესათ ამ ქვეყნებში დღესაც წარმოება მეტათ პრიმიტიულ წესრიგზე არის დაყენებული. წარმოება ძველი წესით და ძველი იარაღებით ხდება: ლერწამს ჩეჩქვენ წისქვილის ქვებით, რომლებსაც ადამიანი ან ცხოველი ამოძრავებს, და შემდეგ წვენს ხარშავენ ქვაბებში. სიროფს თან და თან აკლებენ, სანამ გამაგრებული შაქარი არ დარჩება ქვაბებში. ეს ისეთი წესია, როგორსაც ხმარობენ სწორეთ ათასი წლის წინეთ.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ტეხნიკის მხრით ჭარხლის შაქრის წარმოება. მართალია, თავდაპირველათ ესეც ძალიან მარტივათ და პრიმიტიულათ წარმოებდა, მაგრამ ეს შემდეგში შეიცვალა. დღეს შაქრის წარმოება მსხვილი მრეწველობაა. თითოეულ შაქრის ფაბრიკის დასაარსებლათ და საწარმოებლათ საჭიროა დიდძალი კაპიტალი და მეტათ რთული მაშინური მოწყობილობა.

ტეხნიკა შაქრის წარმოებისა ასეთ მოკლე წერილში ძნელი გადმოსაცემია. ამიტომ მოვიხსენიებთ მხოლოთ წარმოების პროცესის მთავარ მომენტებს. ჭარხალს ჯერ გადაჭრიან ფოთლების მხარეს, შემდეგ გარეცხენ და მაშინით წვრილათ დაჭრიან. წვრილათ დაჭრილი ჭარხა-

ლი გადადის რამდენიმე ერთმანეთზე გადაბმულ აპარატებში, რომლებშიაც მას ტკბილი (შაქრის) წვენი ეცლება. დარჩენილი, ტკბილ წვენგამოცლილი ნაჭრები გადადის მეხანიკურათ ჭახრაკს ქვეშ, საცა მათ წყალს (სისველეს) აცლიან. გამშრალ ნაჭრებს ჭახრაკი სროლილობა საწყობში. ეს ჭარხლის წვენ-გამოცლილი და გამშრალი ნაჭრები პირუტყვების საკვებათ იხმარება. ის ტკბილი წვენი, რომელიც გამოეცალა ჭარხალს აპარატებში, საჭიროა მალე გადამუშავდეს, რომ არ ადუღდეს და არ წახდეს. ეს წვენი გადადის მაშინვე ესრედ წოდებულ განმაცალკევებელ მაშინაში, რომელშიაც მას კირის შერევით უშაქრო ნივთიერებებს აცლიან. შაქრისაგან კირის გამოსაცლელათ ნახშირმჟავას ხმარობენ, ამ წვენში ურევია, რასაკვირველია, ტალახი და ლორწო. ამისთვის წვენს ფილტრის პრესში უშვებენ და იქ წმენდენ. გაწმენდილი წვენი შედის ორთქლის აპარატში, საცა იგი ხქელდება. იმ უშაქრო ნივთიერებათა გამოსაცლელათ, რომლებიც გამოცალკევდება ამ აპარტში ხარშვის დროს, წვენს ისევ ფილტრში უშვებენ და წმენდენ. აქედან იგი გადადის სახარშავ მაშინაში და იხარშება. ხარშვის დროს მას ურევენ ცოტა სიროფს. ამ მაშინიდან გამოღებულ ნივთიერებას განსაკუთრებულ ჭურჭლებში აცივებენ და შემდეგ მოძრავ ქვაბში უშვებენ. ამ ქვაბს კედლები დახვრეტილი აქვს. ქვაბი ქანაობს და ახლის კედლებს იმ ნივთიერებას, რომელიც შიგ ქვაბშია, ამ ქანაობის დროს სიროფი ნახვრეტებში გამოდის და ქვაბში რჩება კრისტალისებურათ გამაგრებული შაქრის მარცვლები. ეს არის ნახევრათ დამუშავებული ანუ ნედლი შაქარი. ნედლი შაქრის გადამუშავება განსაკუთრებულ გასაწმენდ ფაბრიკებში ხდება. აქ ნედლ შაქარს გაადნობენ ცხელ წყალში, ფილტრში გაწმენდენ, შემდეგ გადახარშვენ, ფორმებში ჩაასხამენ და გააცივებენ.

როგორც ხედავთ, წარმოების პროცესი ძალიან რთული და დახლართულია. რაც დღე მიდის, იმდენათ წარმოების ტეხნიკა წინ მიდის და წარმოების პროცესები კიდევ უფრო რთულდება. ტეხნიკის განვითარება კი იმის მაჩვენებელია, რომ წარმოებას თან და თან მეტი კაპიტალი ჭირდება, რომ წარმოება თან და თან მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებათ იქცევა.

თუ რამდენათ იზრდება და წინ მიდის ჭარხლის შაქრის მრეწველობა, ამას მკითხველი შემდეგი ციფრებიდან დაინახავს (იხ. 263-ე გვ.).

ასე დიდია დღეს ჭარხლის შაქრის წარმოება სხვა-და-სხვა ქვეყნებში. რა თქმა უნდა, სახელმწიფო, რომელიც მუდამ ეძებს საგნებს ბაჟის და გადასახადების დასადებათ თავის ხაზინის საშუალებათა გასაძლიერებლათ, არ დატოვებდა შაქარს თავისუფლათ,—უბაჟოთ და უგადასახადოთ. დღეს იშვიათია ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ბაჟი

და შინაური მოხმარების გადასახადი არ ქონდეს შაქარზე დაწესებული. დიდ სახელმწიფოებში ერთათ ერთი ინგლისი იყო, რომელიც უბაჟოთ უშვებდა თავის საზღვრებში უცხოეთის შაქარს. შარშან ბურებთან ბრძოლაში გაწეულ ხარჯების ნაწილის დასაფარავათ იმანაც შემოიღო შაქრის ბაჟი.

	დაამზადა 1000 ტონა[1] ჭარხლის შაქარი							
საწარმოო წელს	გერმანიამ	საფრანგეთმა	რუსეთმა	ავსტრიამ	ბელგიამ	ნიდერლანდიამ	სხვა ქვეყნებმა	ყველამ ერთად
1859—60 წ.	145	111	30	84	17	3	—	451
1869—70„	217	189	132	151	43	12	—	846
1879—80„	415	277	309	439	75	23	7	1539
1889—90„	1260	763	444	740	203	69	32	3503
1890—91„	1331	694	544	778	225	70	35	3566
1891—92„	1198	650	550	730	180	40	43	3437
1892—93„	1231	528	455	802	180	68	52	3372
1893—94„	1366	548	647	834	220	72	108	3795
1894—95„	1826	748	601	1045	240	80	157	4699
1895—96„	1637	660	717	781	220	103	163	4281
1896—97„	1821	742	720	928	280	156	190	4837
1897—98„	1844	811	720	822	234	126	198	4755
1898—99„	1722	782	755	1042	209	150	167	4827
1899—1900„	1795	918	898	1098	270	169	308	5456
1900—01„	1970	1146	928	1064	320	180	432	6040

შაქარზე გადასახადის დასაწესებლათ საფინანსო მართველობა სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში სხვა-და-სხვა სისტემას ხმარობს, ეს სისტემები ოთხ ჯგუფათ შეიძლება დავყოთ. 1) გადასახადი წესდება შაქრის მასალაზე, ე. ი. ჭარხალზე, კანონი ამბობს, ფაბრიკანტმა, ვთქვათ, ერთ ფუთ ჭარხალზე, რომელსაც იგი თავის ფაბრიკაში დაამუშავებს, ამდენი და ამდენი გადასახადი უნდა გადაიხადოსო. ამ შემთხვევაში, რადგან გადასახადი მასალაზეა აღებული, დამზადებული შაქარი განთავისუფლებულია გადასახადისაგან და ფაბრიკანტს თავისუფლათ შეუძლია ფაბრიკიდან თავისი შაქრის გატანა და გაყიდვა. 2) ან სახელმწიფო ნახევრათ დამზადებულ ნაწარმოებზე აარსებს გადასახადს. კანონი ამბობს, ამდენი წონისა და სისქის წვენში, რომელიც ფაბრიკაში შაქრათ კეთდება, ამდენი და ამდენი გადასახადი უნდა იქნეს აღებულიო. 3) ან კიდევ გადასახადი სრულიათ დამზადებულ შაქარზე წესდება. კანონით გამოცხადებულია, თუ რამდენი გადასახადი უნ-

1 ტონა შეიცავს 1000 კილოგრამს. კილო 2,44 გირვანქას ეთანასწორება.

და იქნეს აღებული სახელმწიფოსათვის შაქრის განსაზღვრულ რაოდენობაზე, და ამის მიხედვით იხდის ყოველი ფაბრიკანტი მის მიერ დამზადებულ შაქარში გადასახადს. 4) სამივე აქ მოხსენებული სისტემა შაქარზე გადასახადის დანიშვნისა შეეხება მხოლოთ თვით სახელმწიფოში დამზადებულ შაქარს. ეს არის შინაურ მოხმარების გადასახადის დაწესების სისტემები. იმ შაქარზე კი, რომელიც შემოდის საზღვრებში უცხოეთიდან, სახელმწიფო ბაჟს აწესებს და შემოტანილ საქონლის რაოდენობის მიხედვით ახდევინებს შემომტან ვაჭარს.

თითოეულ აქ ნახსენებ სისტემას საფინანსო ტექნიკის და პოლიტიკის მხრით თავისი ღირსება და ნაკლულევანება აქვს. ამის დაწვრილებით ახსნა-განმარტებას აქ ვერ გამოვუდგებით, რადგან ამას ნაკლები ინტერესი აქვს. საკმარისია ვთქვათ, რომ საზოგადოთ შაქარზე დაწესებული გადასახადი, რომელი სისტემითაც უნდა იყოს იგი, სულ ერთია, უეჭველათ უარსაყოფელი და დასაგმობია. დასაგმობია, რადგან იგი, ვითარცა არაპირდაპირი გადასახადი, მძიმე ტვირთათ აწვება ხალხის ღარიბ ნაწილს, ე. ი. უმრავლესობას, უძნელებს ცხოვრებას და კულტურულათ წინვსვლელობას. ვთქვათ, ფუთ შაქარზე ცხრა აბაზი გადასახადი არის დაწესებული. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ თითო გირვანქა შაქარზე 4 $^1/_2$ კაპ. უნდა იხადოს მყიდველმა სახელმწიფოსათვის. შაქარს ყიდულობს მდიდარიც და ღარიბიც; ერთიც და მეორეც $4^1/_2$ კაპ. იხდის თითო გირვანქა შაქარზე. და მერე სამართალია ეს? მდიდრისთვის ეს გადასახადი სრულიათაც საგრძნობელი არაა, ღარიბისთვის კი 4 $^1/_2$ კაპ. დღიური შემოსავლის მეათედს ან კიდევ მეტ ნაწილს შეაღგენს. სამართალი მოითხოვს, რომ გადასახადი ყველასთვის ერთნაირათ საგრძნობელი იყოს, ყველას ერთნაირათ აწვეს ტვირთათ, რომ გადასახადის აღების დროს გადამხდელის ქონება—შემოსავალი, შეძლება-შეუძლებლობა მხედველობაში მიღებული იყოს. აქ კი არც ერთი ეს არ ხდება. თუნდა ორათ-ორი აბაზის პატრონი იყო, თუ გირვანქა შაქარს ყიდულობ, $4^1/_2$ კაპ. გადასახადი უნდა გასწიო სახელმწიფოსათვის. მართალია, ყიდვის დროს არავინ გეუბნება, რომ გადასახადს იხდი, მაგრამ ამით გარემოება არ იცვლება. გადასახადი თავდაპირველათ ფაბრიკანტს აქვს გადახდილი, შემდეგ ეს მან ვაჭრისგან აიღო, რადგან აწეულ ფასში მიყიდა; ვაჭარიც ასე აწეულ ფასში ყიდის შაქარს და გაღებულ გადასახადს შენგან, მყიდველისაგან, იბრუნებს.

რამდენათაც მატულობს შაქრის ხმარება ხალხში, იმდენათვე დიდდება ის შემოსავალი, რომელიც აქვს სახელმწიფოს შაქარზე დაწესებულ გადასახადისაგან. მაგალითად, გერმანიას შესვლია ამ წყაროთი 1876 წელს 30 მილიონი მან. ხოლო 1900 წ. 60 მილიონი მან., საფრან-

გეთს (1899 წ.) 80 მილიონი მან., რუსეთს (1896 წ.) 42 მილ. მანათი.

სანამ ევროპაში ჭარხლის შაქრის წარმოებას დაიწყებდენ, შაქარზე მარტო ბაჟი იყო დაწესებული. ამ ბაჟს იღებდა სახელმწიფო იმ ლერწმის შაქარზე, რომელიც შექონდათ იქ ვაჭრებს უცხოეთიდან. შემდეგ, როცა შინაურ შაქრის წარმოება განვითარდა, სახელმწიფომ შინ წარმოებულ შაქარსაც დაადვა გადასახადი.

ასე იყო შაქრის გადასახადის საქმე კერძოთ გერმანიაშიც. 1841 წლამდე აქ მხოლოდ ბაჟი არსებობდა. მაშასადამე, იმდროინდელი გადასახადი მხოლოთ უცხოეთიდან შემოტანილ შაქარს ეხებოდა. მაგრამ შემდეგ განვითარდა შინაურ შაქრის წარმოება და საფინანსო მართველობასაც მადა აღეძრა. დააწესეს გადასახადი შინაურ შაქარზედაც. ეს იყო გადასახადი, დაწესებული მასალაზე, ე. ი. ჭარხალზე. კანონით დადგენილი იყო, თუ განსაზღვრული წონის ჭარხალზე რამდენი გადასახადი უნდა გადახდილიყო.

ერთი შეხედვით ასეთი სისტემა გადასახადის დაწესებისა მარტივი უნდა იყოს. მაგრამ ნამდვილათ ეს ასე არ გამოდგა. მე-19 საუკუნის მესამოცე წლებში შაქრის წარმოება გერმანიაში ისე გაიზარდა, რომ მას შინაური ბაზარი ვეღარ აკმაყოფილებდა. შაქარს დაუწყეს ზიდვა: მწარმოებლებმა საზღვარგარეთ მსოფლიო ბაზარზე გასასაღებლათ. და, აი, აქ წარმოდგა კითხვა: როგორ უნდა დაუბრუნოს სახელმწიფომ შაქრის მსოფლიო ბაზარზე გამტანთ ის გადასახადი, რომელიც აუღია მათგან შაქრის ფაბრიკაციის დროს. დაწესებული გადასახადი, თვით კანონმდებლის განზრახვით და მიზნით, შინაურ მომხმარებლებს უნდა გადახდენოდათ. მაგრამ, როცა ფაბრიკანტს შაქარი საზღვარ-გარეთ გაქონდა, იგი შინაურ მომხმარებლებს აშორებდა ნაწარმოებს. მაშასადამე, თუ მთავრობა წაღებულ გადასახადს არ დაუბრუნებდა, გადასახადი ფაბრიკანტის საკისრებელი გახდებოდა. რა თქმა უნდა, ფაბრიკანტები მოყვენ ყვირილს და მთავრობასთან ჩივილს: თუ წაღებული არ დაგვიბრუნე, მსოფლიო ბაზარზე სხვებს კონკურენციას ვერ გავუწევთ, საქონელს მათსავით იაფათ ვერ გავყიდით, გავკოტრდებით და ჩვენი ეროვნული შაქრის მრეწველობა გაქრებაო. კანონით ფაბრიკანტები სრულიათ მართალი იყვენ,—ექსპორტერ ფაბრიკანტებისთვის მთავრობას აღებული გადასახადი უნდა დაებრუნებია. მხოლოთ გასაჭირი იმის დადგენა შეიქნა, თუ რა ნაირი ანგარიშის მიხედვით უნდა დაებრუნებია. მას გადასახადი დაუმუშავებელ ჭარხლის რაოდენობის მიხედვით ქონდა აღებული. აქ კი ფაბრიკანტს მზა-მზარეული შაქარი გაქონდა გასაყიდათ. სხვა ნაირათ არ მოხერხდებოდა,—მთავრობამ ივარაუდა დაუმუშავებელ ჭარხლისგან რამდენი წმინდა შაქარი მიიღებოდა, დაადგინა ნორმა და ამ ნორმის კვალობაზე დაუწყო ექსპორტერ

ფაბრიკანტებს მიღებულ გადასახადის უკან ძლევა. მაგალითათ, აზრის მარტივათ წარმოსადგენათ, ვთქვათ, 12 ფუთ ნედლ ჭარხლისაგან ფაბრიკანტი 1 ფუთ შაქარს ამზადებდა. 12 ფუთ ჭარხალზე 1 მანათი იყო გადასახადათ დაწესებული. მთავრობამ მიიღო ეს ნორმა და რამდენ ფუთ შაქარსაც გაიტანდა ფაბრიკანტი საზღვარ-გარეთ, იმდენ მანათს უბრუნებდა.

მაგრამ წარმოების ტეხნიკა ერთ დონეზე არ დგას, იგი თანდათან წინ მიდის. განვითარებული ტეხნიკის წყალობით ფაბრიკანტი ახერხებს ამ ნორმაზე ნაკლები ჭარხალი დახარჯოს და შაქარი კი წინანდელის ოდენა გააკეთოს. ვთქვათ, ტეხნიკის წარმატების წყალობით, მან, ნაცვლათ 12 ფუთისა, 8 ფუთ ჭარხლისგან გააკეთა ერთი ფუთი შაქარი. იგი საზღვარ-გარეთ გზავნის 3 ფუთ შაქარს და მთავრობას გადასახადის დაბრუნებას თხოვს. მთავრობაც ფუთ შაქარზე 12 ფუთ ნედლ ჭარხლის ანგარიშით აძლევს სამ მანათს. ცხადია, აქ ფაბრიკანტი იგებს. მან დახარჯა მხოლოთ 24 ფუთი ჭარხალი, რომელშიაც გადასახადათ სახელმწიფოს 2 მანათი მისცა აქ კი იგი, ნაცვლათ ორისა, 3 მანათს იღებს სახელმწიფოსაგან. 1 მანათი მას ფარულ პრემიათ რჩება.

ასეთი მოვლენა, როგორიც ჩვენ აქ ამ მაგალითში აღვნიშნეთ, ნამდვილათ მოხდა. ტეხნიკის განვითარების წყალობით გერმანიის შაქრის ფაბრიკანტები ახერხებდენ ჭარხლისგან თანდათან მეტი შაქრის გამოწოვას. აი, ამისი მაჩვენებელი ორიოდე ციფრიც. გაკეთებული შაქარი

1836	წელს	ეთანასწორებოდა	დახარჯულ	ჭარხლის	5,55%-ს
1880	"	"	"	"	9,04 "
1885					11,85
1890					12,54
1895					14,02
1900					14,86

ამ სახით საქონლის საზღვარ-გარეთ გატანის დროს ფაბრიკანტები იბრუნებდენ მთავრობისაგან იმაზე მეტს, რაც თვითონ გაეღოთ გადასახადის სახელით. აქ მათ გაეხსნათ მუდმივი მოგება, რომელსაც ფარულ პრემიას უწოდებენ.

1891 წ. გერმანიაში შეიცვალა შაქარზე გადასახადის დადების სისტემა. ნაცვლათ ჭარხლისა გადასახადი დამზადებულ შაქარს დაედვა. ამ სახით ფაბრიკანტებს დაფარულ პრემიის მიღება აღარ შეეძლოთ. მსოფლიო ბაზარზე გატანილ შაქარში მთავრობა გადასახადს არ ახდევინებდა და ამიტომ არც არაფერს დაუბრუნებდა. მაგრამ ხომ მოგებსენებათ დაჩვეულსა ნუ მოაკლებო. ფაბრიკანტები დაეჩვიენ პრემიის

მიღებას და ახლა აღარ უნდოდათ გამოთხოვებოდენ. იმათ გამართეს საშინელი აგიტაცია და მოახერხეს, რომ კანონით შაქრის ექსპორტერებისთვის ცხადი პრემია დანიშნულიყო. დაინიშნა პრემია. ჯერ 1 მანათი დაადგინეს ყოველ 6 ფუთ მსოფლიო ბაზარზე გატანილ შაქარზე პრემიათ და შემდეგ 1896 წ. ეს მანათ ნახევრათ გახადეს. ეს იყო საჩუქარი, რომელიც ეძლეოდათ შაქრის ფაბრიკანტებს ნაწარმოების საზღვარ-გარეთ გასაყიდლათ გატანისათვის.

უადგილობის გამო არ შეგვიძლია, თუნდა მოკლეთაც, მოვიხსენიოთ აქ შაქრის დაბაჟვის ისტორია რუსეთში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ბელგიაში და სხვა ქვეყნებში, გაკვრით ვიტყვით მხოლოთ, რომ რუსეთში დაწესებულია ბაჟი უცხოეთიდან შემოტანილ შაქარზე და მოხმარების გადასახადი შიგ რუსეთშივე დამზადებულზე. საფრანგეთში, ავსტრიაში და ბელგიაში გარდა ამისა ცხადი პრემიებიც არის საექსპორტო შაქარზე დაწესებული. ინგლისში არ მოდის ჭარხალი და შაქრის წარმოებაც არ არის. უცხოეთიდან შემოტანილ შაქარზე ინგლისმა, როგორც წინეთ შევნიშნეთ, მხოლოთ შარშან შემოიღო ბაჟი.

თუ რას ნიშნავს სახელმწიფოს მიერ შაქრის ექსპორტერებისათვის პრემიების მიცემა, ეს ყველასთვის ცხადი და აშკარა უნდა იყოს. პრემიების ფული იხარჯება სახელმწიფოს ხაზინიდან. როგორ გროვდება აქ ფული? სხვათა შორის აი ამ გზით: შაქარზე გადასახადია დადებული. ხალხი შაქარს, ამ დიდ მოთხოვნილებათ გადაქცეულ სმარების საგანს. ყიდულობს და გადასახადს იხდის, ვინ მოთვლის, ვის რა წვითა და დაგვით, რა ოფლით და წვალებით მოუპოვებია ის ფული, რომელსაც მას შაქრის ჭამისთვის ახდევინებენ. მაგრამ სახელმწიფო ამას არ ჯერდება. იგი ამ ფულის ნაწილს მეშაქრე ფაბრიკანტებს აძლევს, რომ მათ ხალხს ღონე გამოაცალონ და თვითონ მილიონები შეიძინონ.

ეს მილიონების შეძენა ძალიან მარტივათ ხდება. პრემიების წყალობით ფაბრიკანტს შეუძლია იმაზე ნაკლებ ფასში გაყიდოს შაქარი მსოფლიო ბაზარზე, რაც თვითონ უზის. იქ რომც ზარალობდეს, შინაური ბაზარი იხსნის და ზარალს მოგებათ უქცევს. მსხვილი კაპიტალისტური წარმოება ნიშნავს წარმოების მუდმივ ზრდას, ნაწარმოებთა ჯამის მუდმივ გადიდებას. წარმოების გადიდებით მცირდება ხარჯები, რომლებიც უწევს თითოეულ ნაწარმოებს. მაშასადამე, მსხვილ მწარმოებელს შეუძლია თან და თან გააიაფოს თავისი ნაწარმოები. შაქრის ფაბრიკანტიც ამ წესს ადგია, იგი იღებს მოწყალე მთავრობისაგან პრემიებს, ადიდებს წარმოებას, ყიდის საზღვარ-გარეთ იეფათ, რომ მეტოქეებს აჯობოს, ხოლო შინ, თავის სამშობლოში, ადგენს თავის ამხანაგებთან ერთათ კარტელებს და აძვირებს ნაწარმოებს. მან იცის, რომ შინაურ ბაზარში ვერავინ შეეცილება,—უცხოეთიდან შემოსულ

საქონელზე დიდი ბაჟია დადებული. და ასე შაქრის მკეთებელი შაქარსავით ტკბილათ თლის და თლის თავის თანამოძმეებს, თანაც პატრიოტობს და თავი მოაქვს, სამშობლოს ვემსახურები, ეროვნულ მრეწველობას ვავითარებო.

დაბრო მკითხველი, რომელსაც სხვა და სხვა პოლიტიკო-ეკონომიურ თეორიებით ტვინი არ გალაყებია, უეჭველია, ასეთ ამბავზე გაკვირდება და განა არ არის გასაკვირი? სახელმწიფო საზოგადო ფულს ხარჯავდეს იმისთვის, რომ შინაურ ხალხს ნაწარმოები გაუძვიროს, ხოლო უცხოეთს ჩალის ფასათ აძლიოს, ერთი სიტყვით საკუთარი ხალხის უმრავლესობა ეკონომიურათ დააბეჩავოს და დააუძლუროს, რომ ამით რამდენიმე ფულის მაგნატებს სიმდიდრე და ეკონომიური ძალაგავლენა შესძინოს, — აბა რა უნდა იყოს ამაზე უფრო გასაკვირი და გასაოცარი. მიუხედავათ ამისა, ეს ამბავი მოგონილი არ არი; ამას ამტკიცებს ჩვენი ტკბილი შაქარი.

ყველა სახელმწიფოს მთავრობა გრძნობდა პრემიებით შექმნილ ანორმალურ მდგომარეობას, მაგრამ თავისთავათ, სხვებთან შეუთანხმებლათ, ვერაფერი მოუხერხებია. რამდენჯერმე გამართულა საერთაშორისო შაქრის კონფერენციები, მაგრამ ამ კონფერენციებს დღემდი ძალიან ცოტა ნაყოფი მოყოლია შედეგათ, როგორც ეტყობა, ყველა წინანდელებზე უფრო ნაყოფიერი უნდა იქნეს ბრიუსელის კონფერენცია, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინეჯ გაიმართა.

ამ კონფერენციაზე შეკრებილი იყვენ შემდეგ სახელმწიფოთა წარმომადგენლები: გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრო-უნგრეთის, ინგლისის, ბელგიის, ესპანიის, იტალიის, ნიდერლანდიის, რუმინიის და შვეციის. წარმომადგენლებს ქონდათ ხანგრძლივი ბჭობა შაქრის საერთაშორისო აღებ-მიცემობის მოწესრიგების შესახებ. ამ მოწესრიგებაში პირველი ალაგი უჭირავს პრემიების კითხვას. სახელმწიფოთა შორის მოხერხდა შეთანხმება. წარმომადგენლებმა შეადგინეს ხელ-შეკრულობა და ხელი მოაწერეს, რომ კონფერენციაში მონაწილეობის მიმღებ სახელმწიფოებში 1903 წლის 1 სექტემბრიდან 5 წლის ვადით შაქრის პრემიები მოსპობილ იქნეს.

საკვირველი ის არის, რომ პრემიების მოსპობაზე ინგლისი დათანხმებულა, — ამათი მოსპობა ყველაზე უფრო ენერგიულათ მას მოუთხოვია. ერთი შეხედვით ეს გაუგებარი მოვლენაა. თითქოს ინგლისს თავისი ინტერესები ვერ შეუგნია და ვერ დაუცავს. იმ პრემიების წყალობით, რომლებიც ევროპის კონტინენტის სახელმწიფოებში არსებობს, ინგლისი მუდამ იეფათ ყიდულობდა შაქარს. ყოფილა ისეთი დრო, როცა ინგლისში შემოტანილი შაქარი ისე იეფი ყოფილა, რომ იმით ღორებს ასუქებდენ. ახლა, პრემიების მოსპობით, შაქრის ფასი ინგ-

ლის ბაზარზე აიწევს. მაშასადამე, ბრიუსელის კონფერენციაზე შეთანხმების წყალობით ინგლისელ ხალხს უფრო ძვირათ მოუხდება შაქრის ყიდვა.

რასაკვირველია, ინგლისმა ეს გარემოება კარგათ იცოდა, როცა ხელ-შეკრულობაზე თანხმობა გამოაცხადა. მაგრამ მას უნდა, რომ მის კოლონიებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ-ინდოეთში არსებულ შაქრის წარმოების ინტერესები დაიცვას. სანამ კონტინენტზე პრემიები არსებობს, ვერც კოლონიების და ვერც ინდოეთის შაქარი ევროპისას კონკურენციას ვერ გაუწევს. ახლა, პრემიების მოსპობის შემდეგ, მსოფლიო ბაზარზე შაქრის ფასი აიწევს და, მაშასადამე, ინგლისის კოლონიების შაქრის ექსპორტერებსაც შეეძლებათ თავიანთ შაქარში უკეთესი ფასის აღება.

თუმცა ხელშეკრულობას ხელი მოაწერეს სხვა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, მაგრამ ამით მაინც ჯერ ხელშეკრულობა ძალაში არ შესულა. ხსენებულ სახელმწიფოებში ყველგან პარლამენტარული წეს-წყობილება არსებობს. ხელშეკრულობას მხოლოთ მაშინ მიეცემა ნამდვილი ძალა, როცა ამაზე თითოეულ სახელმწიფოს მთავრობა პარლამენტისგან დასტურს მიიღებს.

და, აი, სწორეთ ამის გამო ატყდა ამ სამი კვირის წინეთ ალიაქოთი და შეტაკება გერმანიის რეიხსტაგში. მთავრობას უსაყვედურებდენ ჭარხლის მწარმოებელი აგრარიები და შაქრის ფაბრიკანტების ვექილები, რომ იგი დათანხმდა და ხელი მოაწერა ბრიუსელის ხელ-შეკრულობას. კონსერვატორებს და ლიბერალებს არ უნდათ, რასაკვირველია, რომ რეიხსტაგმა დასტური მისცეს მთავრობას და პრემიების მოსპობა დააკანონოს.

მაგრამ, როგორც ეტყობა, მათი ტლინკვა ნაყოფს ვერ მოიტანს. მთავრობის მომხრეა ამ შემთხვევაში რეიხსტაგის უმრავლესობა. ამიტომ, თუ სხვა სახელმწიფოთა პარლამენტებმა ხელშეკრულობაზე თანხმობა გამოაცხადეს, ეჭვი არ არის, ბრიუსელში მომხდარი შეთანხმება ძალაში შევა და ამით ხალხისთვის ერთი სასარგებლო სავაჭრო-პოლიტიკური ზომა განხორციელდება.

„ყვალი", 1902 წ., № 27, გვ. 431—435.

საქართველოს ეკონომიური განვითარება მე-XIX საუკუნეში

I

დიდი, ძალიან დიდი ცვლილება მოიტანა წარსულმა საუკუნემ საქართველოს ცხოვრებაში არა თუ პოლიტიკურათ, არამედ ეკონომიურათაც. ამ საუკუნეში დაირღვა ძველი, ფეოდალური პირობები ეკო-

ნომიურ ცხოვრებისა და მათ ნაცვლათ შეიქმნენ და განვითარდენ ახალი ეკონომიური პირობანი. რაში მდგომარეობს ეს ცვლილება, როგორ მომდინარეობდა იგი წარსულში და რა სახისაა აწმყოში—აი, კითხვები, რომლებიც ინტერეს მოკლებული არ უნდა იყოს არც ერთი მკითხველისათვის. მათი სავსებით გარკვევა და აღნუსხვა მოითხოვს მეტ დროს და მეტ მასალების ცოდნას, ვიდრე ეს ჩვენა გვაქვს, მაგრამ ის მცირე ფაქტებიც და მოსაზრებანიც, რომლებსაც აქ მოვიხსენიებთ, გვგონია, არ უნდა იყოს სულ უმნიშვნელო და დაუსაბუთებელი.

მაშ ვიკითხოთ: რას წარმოადგენდა საქართველო ეკონომიურათ ამ ერთი საუკუნის წინეთ?

ამ კითხვაზე თამამათ შეგვიძლია ვთქვათ: ეკონომიურათ კარჩაკეტილ მხარეს, რომელსაც სხვა ქვეყნებთან ძალიან, ძალიან სუსტი დამოკიდებულება ქონდა, მეტათ ცოტა ნაწარმოები შემოქონდა მათგან და ასევე ცოტა რამ გაქონდა მათთან. აქ არ იყო მაშინ განვითარებული ვაჭრობა, არ იყო გასპეციალებული მრეწველობა. ფრანგი გამბა, რომელმაც მე-19 საუკუნის დამდეგს მოიარა და გაიცნო საქართველო, ამბობს თავის წიგნში ერთ ადგილას[1]: „ვაჭრობა ამ მხარეში სულ ახალი მოვლენაა... სამეგრელოში მრეწველობა ოჯახებში სწარმოებს. აქ არა დროს არ ყოფილა ფაბრიკები ან მანუფაქტურები“. და ეს სიტყვები გამბასი სინამდვილის გამომხატველია არა თუ სამეგრელოს შესახებ, არამედ მაშინდელ დროის მთელი დასავლეთ-საქართველოს შესახებაც.

საქართველოს დასავლეთ ნახევარში ძალიან განუვითარებელი იყვენ იმ დროს ქალაქები, როგორც გარეგანი სახით, ისე თავისი შინაგანი ცხოვრებითაც ისინი უფრო სოფლებს წააგავდენ ვიდრე ქალაქებს და სოფლებისთვის ეკონომიურათ მცირე მნიშვნელობა ქონდათ[2].

სამრეწველო ნივთებს ხალხი ამზადებდა ოჯახებში და არა სახელოსნოებში ან ფაბრიკებში. ეს იყო მრეწველობა ოჯახური და არა ხელოსნური ან ფაბრიკული. ყოველი გლეხის ოჯახი თვითონ აკეთებდა დიდძალ უმრავლესობას ნაწარმოებთა, რომლებიც მისი არსებობისთვის საჭირო და აუცილებელი იყო: ნნავდა, თესავდა, აყენებდა ღვინოს, ქსოვდა საკუთარი თუ ნაყიდი მატყლისა, ბამბისა, აბრეშუმისა და ლერწმისაგან ტანისამოსებს, აკეთებდა ხისგან სხვა და სხვა ჭურჭლეუ-

---

[1] Voyage dans la Russie mèridionale, I, p. 342, II, p. 207—208.

[2] შეად. გ ა მ ბ ა ibid. ტ. I, გვ. 171, 322, 399, 400; Klaproth, Reise in den Kaukasus und nach Georgien, ტ. I, გვ. 722, G ü l d e n s t ä d t, Reisen nach Georgien unb Imerethi, გვ. 166; ი. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი ს ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტ., 1, გვ. 247—249; გაზ. „მეურნე“, 1895 წ., № 24 და 25.

ლობას, ერთი სიტყვით ცდილობდა, თავისი მოთხოვნილებანი საკუთარი წარმოებით დაეკმაყოფილებია.

ამ სახით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მოქმედება იმ ხანებში ერთმანეთთან მტკიცეთ იყო დაკავშირებული, მჭიდროთ იყო ერთმანეთზე გადაბმული. მიწის მუშაობით და საქონლის მოშენებით გლეხი იძღებდა კუჭს და იმზადებდა მასალას მრეწველობისთვის, ხოლო ოჯახური მრეწველობით იკმაყოფილებდა კომფორტისა და საზოგადოთ კულტურულ მოთხოვნილებებს. ცხადია, მაშინდელი გლეხის მეურნეობა უფრო რთული ანუ მრავალმხრივი იყო, ვინემ ახლა, როცა გლეხს ჩვეულებრივ სამრეწველო წარმოებაზე ხელი აღებული აქვს და მარტო სასოფლო-მეურნეობას ეტანება. ამიტომ მუშა ხელი ოჯახში მაშინ მრავლათ უნდა ყოფილიყო, რომ შესძლებოდა ასეთი მრავალმხრივი წარმოების შესრულება. სწორეთ ამ მოთხოვნილებას შეესაბამებოდა მაშინდელი ოჯახი. იგი ისე პატარა და ოთხი თუ ხუთიოდე სულის შემცველი არ იყო, როგორც დღეს არის. თუ ამ ჩვენ დროში ძმა ძმასთან აღარ დგება და შვილი მამასთან, ყველა გაყრას ცდილობს და თავისთვის დასახლებას, მაშინ, პირიქით, ოჯახის წევრნი გაყრას უფრთხოდენ, ერთათ ყოფნას ირჩევდენ და საოჯახო წარმოების ჭაპან-წყვეტას ერთათ ეწეოდენ. აქ შრომა განაწილებული იყო: სამუშაო ასპარეზი მამაკაცებს თავისი ქონდათ და დედაკაცებს კიდევ თავისი.

რასაკვირველია, იმ დროშიაც თითოეული ოჯახი ვერ მოახერხებდა ყოველთვის საკუთარი შრომით, სხვის დაუხმარებლათ, უკლებლივ ყველა თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ყველა ვერ მოახერხებდა, მაგალითათ, უცოდინარობისა თუ სხვა მიზეზის გამო, სახლის დახურვას, ქოხის აშენებას, ურმის გაკეთებას, ვერ მოერეოდა თავის ვენახს გასათოხნათ. მაგრამ ყველა ამგვარ შემთხვევებში მას ეხმარებოდა, ვითარცა ნადი. მცოდნე და იმ დროებით მოცლილი მეზობელი, რომელიც სამაგიეროს შრომითვე მიიღებდა დავალებულისაგან. ან და: ყველა სოფელში არ იყო ცხვარი და, მაშასადამე, მატყლი, არ მოდიოდა ბამბა, არ მოიპოვებოდა ჭურჭლისთვის გამოსადეგი თიხა. მატყლს და ბამბას ყიდდენ ისინი, ვისაც ცხვარი ყავდა. ვისაც ბამბა მოყავდა, თიხის ჭურჭლებს აკეთებენ იმ სოფლის გლეხები, საცა თიხა მოიპოვებოდა, და ყიდდენ იმ სოფლებში, საცა მცხოვრებლებს არც თიხა და არც ჭურჭლის გაკეთებისთვის საჭირო ცოდნა არ გააჩნდათ. მაგრამ აქაც მწარმოებლები ახერხებდენ უფულოთ იოლათ წასვლას: ხშირათ ერთმანეთს ნაწარმოებებს უცვლიდენ და ამიტომ ფულს ძალიან ნაკლებ საჭიროებდენ.

ამ ნაირათ, საკუთარი ოჯახური წარმოება და საკუთარივე ოჯახუ-

რი მოხმარება—აი, რა იყო მაშინდელი გლეხის მეურნეობის დამახასიათებელი ნიშანი.

და არა თუ ყმა გლეხების ოჯახებში, თვით ბატონების ოჯახებშიაც სწარმოებდა იმ დროებში სამრეწველო მუშაობა. ბატონების სასახლეებში ქსოვდენ გლეხის დედაკაცები ტანისამოსებს, რითვისაც საჭირო მასალა: მატყლი, ბამბა, ლერწამი და კანაფი, აბრეშუმი ყმებს უნდა მოეტანათ. აგრეთვე საკუთრათ ბატონის მეურნეობაშიაც მოყავდათ ლერწამი და აკეთებდენ აბრეშუმს. როგორც მიწის შემუშავება ლერწმისთვის, ისე ყაჩისთვის ბეჟოლის ფოთლების მოტანა ყმების მოვალეობას შეადგენდა[1], გარდა ამისა მებატონეს ზოგიერთი მზა-მზარეული სამრეწველო ნაწარმოებიც მისდიოდა გლეხებისაგან, მაგალ., ყმებს უნდა ეძლიათ ბატონისთვის მოქსოვილი ტილო და დაგრეხილი თოკები. კიდევ ბევრ სხვა მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა ბატონი ყმა გლეხების სამრეწველო მუშაობით. გლეხებს უნდა აეგოთ მისთვის სახლი, ბოსელი, ბეღელი და სხვ., განეახლებიათ სახლის სახურავი, გაეკეთებიათ ურემი და გუთანი. ბატონი იმის ვალდებულიც კი არ იყო, რომ მისას მომუშავე „მოხელეებისთვის“ საჭმელი მიეცა,— ამათი საჭმელი სხვა ყმებს უნდა გამოეგზავნათ[2]. გარდა ამისა ბატონს ყავდა ყმებში ნამღვილი ხელოსნებიც: მჭედლები, მესპილენძე-მექვაბეები, ოქრომჭედლები, რომლებიც, რა თქმა უნდა, მისთვის უსასყიდლოთ მუშაობდნენ.

ამ სახით, ბატონიც გლეხებსავით თითქმის ყველა თავის მოთხოვნილებებს შინაურული ნაწარმოებით იკმაყოფილებდა. საჭმელ-სასმელი თავზე საყარათ უგროვდებოდა გლეხებისაგან და სამრეწველო ნაწარმოებთაგანაც უმრავლესობა შინვე უმზადდებოდა. იმ ნაკლის შესავსებათ, რომელსაც ვერ უვსებდა საკუთარი თუ ყმა-გლეხების მეურნეობა, ბატონს შესდიოდა გლეხებისგან გადასახადი ფულათ და ამ ფულით იგი ყიდულობდა იმ მცირე ნაწარმოებთ, რომლებიც კანტიკუნტათ ვაჭრებს შემოქონდათ უცხოეთიდან.

ყოველ შემთხვევაში ბატონიც ისე, როგორც გლეხი, შედარებით ძალიან ცოტას ყიდულობდა და, მაშასადამე, ფულსაც ნაკლებ საჭიროებდა. რახან ვაჭრობა, ყიდვა-გაყიდვა არ იყო განვითარებული, ამიტომ გლეხებსაც არ შეეძლოთ ფულის შოვნა და, მაშასადამე, ბატონისთვის გადასახადის სულ ფულათ ძლევა. ბატონისადმი ვალდებულებას ისინი იხდიდენ ნაწარმოებით და ძალიან ცოტას ფულით. ხალხში შრომის

---

[1] იხ. И. Бахтадзе, Податное обложение госуд. крестьян. Зак. кр., გვ. 16.

[2] იქვე, გვ. 17.

გაუნაწილებლობისა და ამის გამო ვაჭრობის განუვითარებლობის მიზეზით ფულის შოვნა ისე ძნელი იყო, რომ ბატონები, როცა ყმებს საკმაოდ ფულს ვეღარ აძრობდენ, თვითონ მათ ყიდდენ თათრებზე დასპარსელებზე. შარდენს გულის შემზარავი სურათები აქვს აღწერილი, რომლებიც ჩვენი თავადებისგან ყმების გაყიდვას შეეხება.

აღმოსავლეთ საქართველოშიაც ფულით გადასახადი გლეხებს საერთო გადასახადებთან შედარებით ცოტა ქონდათ. აქაც ყმები გადასახადთა უდიდეს ნაწილს ნაწარმოებით იხდიდენ, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ამერეთის გლეხობა ფულათ უფრო მეტს იხდიდა, ვინემ იმერეთისა. ეს განსხვავება, ჩვენი აზრით, იმით უნდა აიხსნას, რომ ამერეთში ქალაქები და მოქალაქობრიობა უფრო განვითარებული იყო, ვინემ იმერეთში და გურია-სამეგრელოში.

მართალია, აქაც ქალაქები თავისთავათ დიდს არაფერს წარმოადგენდენ. მაგალ., კლაპროტი ამნაირათ ასწერს მაშინდელ გორს[1]: „თფილისს შემდეგ გორი უშესანიშნავესი ქალაქია საქართველოში. ამ ქალაქში 300-დე სახლია და გარს კედელი აქვს შემოვლებული. გორში არავითარი ფაბრიკები არ მოიპოვება. არის მხოლოთ რამდენიმე ქსელი, რომლებზეაც განით ნახევარ არშინიან ხამებს და პატარა ოთხკუთხედ ბამბის ქსოვილებს ქსოვენ საბნების პირებათ... ბაზარი შესდგება ასიოდე დუქნისაგან; დუქნები დიდია, მაგრამ შიგ ისე ცოტა საქონელი აწყვია, რომ მედუქნე თავისუფლათ მოიკიდებს ზურგზე და წაიღებს“ სხვა ქალაქები ხომ იმ ხანებში გორზე კიდევ უმნიშვნელონი იყვნენ[2].

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ამერეთს ქონდა მაინც ერთი ქალაქი, თფილისი, საცა ვაჭრობა და ხელოსნური მრეწველობა კარგა დიდი იყო. მე-17 საუკუნეში, შარდენის სიტყვით, თფილისში მრავალი ხელოსნობა იყო და ვაჭრობა შესანიშნავათ გაზრდილი[3]. მე-18 საუკუნის მესამოცე წლებში თფილისში 20.000-მდე მცხოვრები ითვლებოდა[4], რაც ცოტა არაა, თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელ დროს და ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სიპატარავეს.

აღვილი გასაგებია, რომ ქალაქების შედარებითი სიძლიერის ზედგავ-

---

[1] Loc. cit., 2 ტ., გვ. 328—329.

[2] შეად. Егиазаров, Исследование по истории учреждений в Закавказье ტ I., გვ. 15 ტ. 2. გვ. 252. Güldenstädt. loc. cit. გვ. 98—99.

[3] Chardin, Voyage en Perse et cuntres lieux de l'orient, ტ. I, გვ. 86; დასტურლამალი გვ. 23, 100, 104. შეად. Ахвердов, Тифлисские амкары, გვ. 8—9. Егиазаров, loc. cit, ტ. 2., გვ. XXVI—XXVII.

[4] Güldenstädt, loc. cit, გვ. 128. Freygang, Briefe über den Kaukasus und Georgien, გვ. 106.

ლენით ამერეთში საოჯახო მრეწველობა ისე მკვიდრათ ვეღარ იქნებოდა და საზოგადოთ ხალხის მეურნეობას სულ მთლათ ისეთი მარტივი სახე ვერ ექნებოდა, როგორც იმერეთში. აქ ქალაქის გასპეციალებული ხელოსნური წარმოება უკეთესს სამრეწველო ნაწარმოებს ამზადებდა, ვინემ ოჯახური მრეწველობა და ვაჭარსაც უკეთესი საქონელი შემოქონდა უცხოეთიდან, ვინემ ადგილობრივ მოიპოვებოდა. ცხადია, ხალხში შრომის განაწილება აქ მეტი უნდა ყოფილიყო, ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა-გამოცვლა უფრო ხშირი, გლეხებისთვის ფულის შოვნა თავისი ნაწარმოების გაყიდვით უფრო ადვილათ მოსახერხებელი, ვინემ იმერეთ-გურია-სამეგრელოში. ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების მდგომარეობა ამერეთის თავად-აზნაურობას შეძლებას აძლევდა, თავისი მოთხოვნილებები გაედიდებია და უკეთესათაც დაეკმაყოფილებია, ვინემ ეს საოჯახო მრეწველობის საშუალებით შეიძლებოდა მომხდარიყო. ამიტომაც იგი გლეხებს ფულათ მეტს ახდევინებდა და მოთხოვნილებებსაც უფრო ფართოთ იკმაყოფილებდა ვინემ მისი იმერელი თანამოძმე წოდება.

თუმცა საზოგადოთ მთელ საქართველოში გლეხობას ფულით გადასახადი ბევრათ ნაკლები ქონდა, ვინემ ნაწარმოებით, მაგრამ ისიც, რაც ფულათ უნდა გადაეხადა, მაინც ძალიან საგრძნობელი და საძნელო იყო მისთვის. ქალაქები საერთოთ ისე გაზრდილი, ხალხით და ეკონომიურათ ისე გამაგრებული არ იყვენ, რომ ხალხს შესძლებოდა სოფლის სამეურნეო ნაწარმოებთა გაყიდვით იმდენი ფულის აღება, რამდენიც საჭირო იყო ბატონების გასასტუმრებლათ და საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათაც. ქალაქის მცხოვრებლები მაშინ ზოგიერთ სასოფლო მეურნეობის დარგებსაც აწარმოებდენ: მოყავდათ ხილი, ბოსტნეული, ბამბა, და აყენებდენ ღვინოსაც[1]. და ეს კი ამცირებდა, რასაკვირველია, სოფლიდან ქალაქში გასაყიდათ შესატან ნაწარმოებთა რაოდენობას. ირგვლივ მაჰმადიანები ცხოვრობდენ და იმათში ხომ, თავისთავათ ცხადია, ღვინისთვის ბაზარი არ არსებობდა. და ის ცოტა ფული, რომელსაც გლეხი იღებდა სხვა და სხვა სანოვაგის ქალაქელებზე გაყიდვით ან ზოგიერთ დაუმუშავებელ მასალის ექსპორტერ ვაჭართან გასაღებით, მას გადასახადის სახით უნდა ჩაებარებია ბატონისათვის და თვითონ კი ცარიელ-ტარიელი დარჩენილიყო. ამასთან გახუწყვეტელ ომისა და აოხრების წყალობით მისი მეურნეობა ისე იყო დაცემული, რომ იგი ხშირათ შიმშილის კერძი ხდებოდა და ლუკმა პურისთვის თავის თავის ნებით ყიდდა. ეკონომიური გა-

---

[1] დასტურლამალი, გვ. 103—104; Güldenstädt, loc, cit, გვ. 131. Егиазаров, loc. cit, I. გვ. 248.

ჭირვება აიძულებდა მას თავისი მოთხოვნილებანი ერთ დონეზე შეეჩერებია და ხშირათ კიდეც შეემცირებია. ხელოსნისა და ვაჭრისაგან იგი ყიდულობდა მხოლოთ ისეთ საგნებს, ურომლებოთაც მას მეურნეობის გაწევა და, მაშასადამე, არსებობა არ შეეძლო, იგი უძლური და დაბეჩავებული იყო ბატონ-ყმობით და გაპირუტყვებული თავის მოთხოვნილებათა განუვითარებლობით. ამიტომ მას მეტი გზა არ ქონდა, საოჯახო მრეწველობას მაგრათ უნდა ჩაბღაუჭებოდა და ცდილიყო, რომ თავისი მცირე მოთხოვნილებები როგორმე თავისთავათ, გარედან ეყიდლათ დაეკმაყოფილებია.

თუ როგორ და რით შეიცვალა შემდეგში ეს ეკონომიური წყობილება, ამას მეორე წერილში დავინახავთ.

II

ასეთი იყო მიახლოვებით საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა ამ ერთი საუკუნის წინეთ, როგორც ეს აღვნიშნეთ წინა წერილში. იქ ჩვენ ვთქვით, რომ საქართველოს ხალხი მაშინ კარჩაკეტილი ოჯახური მეურნეობით ცხოვრობდაო და ვეცადეთ, ეს აზრი მოკლეთ დაგვესურათებია და ფაქტებით დაგვესაბუთებია.

მას შემდეგ განვლო ასმა წელიწადმა, მაგრამ საქართველოში არის დღესაც ისეთი კუთხეები, საცა ძველი კარჩაკეტილი მეურნეობა კიდევ არსებობს, ძველებური ეკონომიური წყობილება კიდევ არ შეცვლილა ძირიანათ. ასეთი მხარეა, მაგალითათ, სვანეთი. „სვანებს აქვთ ყველაფერი, რაც მათ ცხოვრებაში ესაჭიროებათ“, სწერდნენ ამ ოციოდე წლის წინეთ „ივერიაში“[1]. „ისინი თვითონ იქსოვენ თავის ტანისამოსებს, თვითონ იკეთებენ იარაღს, თოფის წამალს და ოქრო-ვერცხლის ნივთებსაც-კი. ერთი სიტყვით სვანებს ყველაფერი თავისი აქვთ და სხვა მხარეებიდან აქ არაფერი შემოდის... ვაჭრობა აქ სულ არ არსებობს; ვაჭრობის მნიშვნელობა სვანებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ. ვაჭარს სვანები სრულებით პატივს არ სცემენ. თუმცა სვანეთში არის გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ ეს არის გაცვლა ნაწარმოებთა, ფული ვაჭრობაში არ იხმარება. აქ არც დუქანია და არც ბაზარი. მოკლეთ რომ ვთქვათ. ვაჭრობა, როგორც ეს კავკასიის სხვა მაზრებშია, აქ არ მოიპოვება“.

ასეთი მდგომარეობა არ იყო შესაჩვევათ შეცვლილი სვანეთში მე-80 წლებშიაც. 1886 წელს მ. კოვალევსკიმ მოიარა სვანეთი და, აი, რას მოგვითხრობს იგი სვანების ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ:

---

[1] 1877 წ. № 25 (ამოწერილია სტატიიდან „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, „მოამბე“, 1893 წ., VI, გვ. 11, 13).

„ნატურალური მეურნეობა და ხალხში ქონებრივათ დიდი უთანასწორობის არ არსებობა შეადგენს დამახასიათებელ ნიშანს სვანეთის ეკონომიურ მდგომარეობისას. აქ ვერ შეხვდებით ვერც ერთ მათხოვარს, ვერ შეხვდებით ისეთ ადამიანს, რომელიც სამოწყალოს თხოულობდეს, გარდა რკინის, მარილის და ჩითისა. სვანები ყველა საგნებს, რაც მათ ესაჭიროებათ, თვითონ აკეთებენ. აკეთებენ კანაფისგან ტილოს, მატყლისგან ტანისამოსს, ტყავისგან ფეხსაცმელს; აკეთებენ ნაბდის ქუდებს, საოჯახო ჭურჭლეულობას, იარაღს, უნაგირს, აღვირ-ავშარას, სამეურნეო იარაღებს და სხვ. რადგანაც საკმაო შალის მოსაქსოვათ და ფეხსაცმლის დასამზადებლათ სვანებს საკუთარი დაუმუშავებელი მასალა არ ყოფნით, ამიტომ ისინი იძულებული არიან, მატყლი და ტყავი გარედან იყიდონ. ამაებში სამაგიეროთ სვანები აძლევენ თაფლს, თოფის წამალს, ხილს, გობებს, სტოლებს, სკამებს, დივანის გამოჭრილ ფეხებს და კარგი მოსავლის დროს, ჭირნახულსაც“[1].

მართალია, მას შემდეგ სვანეთში ძველი ეკონომიური წყობილება შეირყა და ცვლილებების გზას დაადგა, მაგრამ მაინც იქ საოჯახო მრეწველობა დღესაც გავრცელებულია და ძველებური კარჩაკეტილობა დღესაც ძლიერია. მაგალ., ერთი კორესპონდენტი შემდეგს სწერდა შარშან „ივერიას“[2]: „სვანეთში კანაფით სარგებლობენ გლეხები, რადგანაც იქსოვენ ტილოებსა და იცმენ საცვლებს; თითქმის სანახევროთ გლეხის ქალსა და კაცს კანაფის საცვლები აცვიათ. კანაფისგანვე გრეხენ თოკებსა და თესლისას აკეთებენ მშვენიერს მარხვის შეჭამანდს... თხიდგან სვანები ხორცისა და წველის გარდა, ტყავითაც თავისებურათ სარგებლობენ: სვანი გადაჭრის თხის ტყავს კისერს, მოაკერებს, ვიწრო საყელოს მაგიერ. ძველ ნაბდის ნაგლეჯს. წინა ფეხების ადგილას მოაკერებს სახელოებს და ამ რიგათ სვანის ქურქი მზათ არის. ამ ტყავს სვანი მთელ ზამთარს არ იშორებს და ზოგიერთს ისე უყვარს, რომ თბილს ამინდშიაც კი ატარებს. ასევე სარგებლობენ ცხვრითაც; მთელს ზამთარს სვანის ქალები მატყლის რთვასა და შალების ქსოვაში ატარებენ: აკეთებენ შალებს, რომელიც ქალისთვისა თუ კაცისთვის სვანების უმთავრეს ტანისამოსს შეადგენს; აკეთებენ ნაბდის ქუდებს, წინდებს და სხვა...“.

როგორც ხედავთ, სვანეთი დღესაც ეკონომიურ დამოუკიდებლობას ეტანება: დღესაც იქ თითოეული ოჯახი ცდილობს, თავისი მოთხოვნილებანი, რამდენათაც შეიძლება, საკუთარი წარმოებით დაიკმაყოფილოს. იგი ეწევა სასოფლო მეურნეობას და საოჯახო მრეწველობასაც.

---

[1] М. Ковалевский и И. Иванюков, В Сванетии, «Вестник Европы», 1886 г., VIII, стр. 588, 592.

[2] წერილი თავისუფალ სვანეთიდან გ. მუსერიძისა, „ივერია“, 1901 წ. № 87.

ამიტომ იქ ჯერ არ განშორებია მრეწველობა სოფლურ მეურნეობას, არ გასპეციალებულა წარმოება, არ მომხდარა ხალხში შრომის განაწილება. ამის პირდაპირი შედეგია გაცვლა-გამოცვლის სისუსტე, აღებ-მიცემობის ნაკლებობა.

და სვანეთი ამ მხრით ერთათ-ერთი მხარე არაა საქართველოში. ეკონომიური კარ-ჩაკეტილობით თუშეთ-ფშავ-ხევსურეთიც ძალიან გავს სვანეთს. ამ მთის მიდამოებშიაც ძალიან გავრცელებულია საოჯახო მრეწველობა და ნაკლებ განვითარებული ვაჭრობა, აღებ-მიცემობა. არ ვიცი, ახლა როგორ არის და—ამ 15 წლის წინეთ-კი ხევსურეთში და ზევითა თუშეთში სავაჭრო დუქნები სრულებით არ მოიპოვებოდა. მხოლოთ ზაფხულის თვეებში მიდიოდა იქ ბარიდან თითო-ოროლა მეწვრიმალე. რომ სხვა და სხვა საწვრიმალო ნივთები ხალხში გაესაღებია[1]. ბამბის ფაბრიკული ქსოვილები მხოლოთ ფშაველებში და თუშებში ვრცელდება, ხევსურები კი ამის სამაგიერო ქსოვილებსაც შინ იკეთებენ და შინაური ნაწარმოებით კმაყოფილდებიან. „ხევსურელი მამა-კაცი და დედა-კაცი სხვა არა გვარ სამოსელს არ ხმარობენ გარდა შალისას და მათი საცვალიც-კი შინ მომზადებული შალისაა. ისინი ამას სიღარიბით ხსნიან და აგრეთვე იმითი, რომ ყოველგვარი ტვირთი ზურგით უნდა ვატაროთო და ამას სხვა ქსოვილი, თუ არ შალი, ვერ გაუძლებს და მალე გაცვდებაო"[2].

რასაკვირველია, ზემოხსენებულ მთიულებშიაც თანდათან ვრცელდება, ვაჭრობის საშუალებით, ფაბრიკულ და ხელოსნურ ნაწარმოებთა ხმარება, მაგრამ მაინც მათში ოჯახურ წარმოებას მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში დღესაც ფართო ალაგი უჭირავს. დღესაც იქ თითქმის ყოველ ოჯახში ამზადებენ სამრეწველო ნაწარმოებებს. შალის სამოსელი, ავეჯეულობა, ჭურჭლეულობა, ხის სამუშაო იარაღები, უნაგირები და კეხები, ტყავისა და ქეჩის ფეხსაცმელები, ტყავის გუდები, ქუდები და ქურქები და მრავალი სხვა იქ დღესაც ძველი წესით ოჯახებში მზადდება და ოჯახებშივე იხმარება[3].

გარდა აქ მოხსენებულ მხარეებისა საქართველოს ზოგიერთ სხვა მივარდნილ და სავაჭრო ცენტრებს დაშორებულ კუთხეებშიაც არის კიდევ ოჯახური მრეწველობა და ამ მრეწველობას ხალხის არსებობისათვის თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს. მაგალითათ, ჯავახეთშიო, ამ-

---

[1] შეად. М. Мачабели, Экономический быт госуд. крестьян в Тионетском уезде (Материалы для изучения экономич. быта государ. крест. Зак. кр., ტ. 5, ნაწ. I, გვ. 491).

[2] იქვე, გვ 472.

[3] იქვე, გვ. 473, 491.

ბობს ხ. ვერმიშევი[1], არ მოიპოვება ისეთი ოჯახი, საცა ერთი ან რამ-დენიმე ჭსელი არ იდგეს და შალებსა თუ სხვა ქსოვილებს არ ამზადებ-დენო.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც ისეთი კუთხეები, საცა ხალხი თავის მოთხოვნილებებს უმთავრესათ თავისი ნაწარმოებით იკმაყოფილებს და კარ-ჩაკეტილათ ცხოვრობს, დღეს საქართველოს ძალიან მცირე ნაწილს შეადგენენ. ის ეკონომიური ურთი-ერთობა, რომელიც არსებობს სვანეთში ან ფშავ-ხევსურეთში, ამ ჩვენ დროში მთელი საქარ-თველოს დამახასიათებლათ ვეღარ ჩაითვლება. როგორც ეთქვით, იყო დრო. როცა მთელი ქართველი ხალხი მოთხოვნილებათა დაკმაყოფი-ლების საქმეში ისე შინაურულათ გამოდიოდა, როგორც დღეს სვანე-ბი ან ფშავ-ხევსურები. მაგრამ ახლა ისე აღარაა. საქართველოს უუდ-ღეს ნაწილისთვის ეკონომიურ ცხოვრების ძველი პირობები შეიცვალა და ეკონომიურ ურთიერთობათა სახემაც ფერი იცვალა და სულ სხვა კალაპოტში ჩადგა.

დიდი ეკონომიური ცვლილება დაიწყო საქართველოში რუსეთის შემოსვლის დღიდანვე. საქართველო რუსეთისათვის იყო ცენტრი კავ-კასიაში, საიდანაც იგი თანდათან იწევდა კავკასიის სხვა კუთხეების დასაპყრობათ. რუსეთმა განაწესა ჩვენში დიდ-ძალი ჩინოვნიკობა, შე-მოიყვანა ურიცხვი ჯარი და თავის ძლიერების დასამკვიდრებლათ სა-ქართველოში და განსაკუთრებით კავკასიაში მრავალი ფული დახარ-ჯა და აურაცხელი სისხლი დააქცია. იმ უზარმაზარმა სტიქიურმა ძა-ლამ, რომელსაც წარმოადგენდა რუსეთი, ჩვენ ქვეყანას მისცა პოლი-ტიკური მშვიდობა და უშიშრობა. მანამდი ყოველ მხრიდან მტრები იკ-ლებდენ საქართველოს. არ დაგვკლია ხალხი, რომელსაც ჩვენზე არ გა-დაევლოს და არ გადავეჯეკნოთ. მთელი მხარე ისე იყო დასუსტებული, რომ ლეკების შემოსევასაც კი ვეღარ უძლებდა. კაცი ერთ ვერსტს ვერ გაივლიდა უშიშრათ და უხიფათოთ. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში რიმოსვლა და აღებ-მიცემობის განვითარება შეუძლებელი იყო. რუსე-თის ფლობელობის დამყარებით ეს მდგომარეობა ერთი დაკვრით შე-იცვალა, ადამიანს მოშორდა შიში თავის ფიზიკურ არსებობისათვის. იმავე რუსეთმა მე-XIX საუკუნის პირველ წლებში რამდენიმე შარა-გზა გააკეთა თავისი ჯარის შემწეობით საქართველოში და საქართვე-ლოს გარეთაც,— გაჩეხა ტყეები, გასწორა აქა-იქ გაუვალი კლდეები, გასდო მდინარეებზე ხიდეები. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, ხელათ გააძლიერა მიმოსვლა და ხალხის მოძრაობა.

ამნაირათ, წარსულ საუკუნის დამდეგს ჩვენში მოგროვდა მრავლათ

---

[1] Х. Вермишев, Экономич. быт госуд. кр. в Ахалцихском и Ахалкалакском уездах (Материалы, ტ. 3. 2 ნაწ., გვ. 183).

ისეთი ხალხი (რუსის ჯარი და ჩინოვნიკობა), რომელიც არც ხვნა-თესვასა და არც მრეწველობას არ მისდევდა, ხოლო ცხოვრებით კი უნდა ეცხოვრა: ეჭამა, ესვა, ჩაეცვა და დაეხურა. ამასთან ჩვენი თავადაზნაურობაც მაშინვე გაეცნო ასე თუ ისე რუსის ჩინოვნიკების უფრო კულტურულ ცხოვრებას, მათ ზნე-ჩვეულებას და ამიტომ მასაც შეესაბამებოდა გაეზარდა და გაუმრავლდა კულტურული მოთხოვნილებები. ვის უნდა დაეკმაყოფილებია ეს ხალხი, ვის უნდა მიეწოდებია ნაწარმოებნი ამ გადიდებულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ? რასაკვირველია, ერთი მხრით ვაჭარს და ხელოსანს, ე. ი. ქალაქს, მის ვაჭრობა-მრეწველობას, ხოლო მეორე მხრით გლეხობას, ე. ი. სოფელს, სოფლის მეურნეობას. და, აი, დადგა ვაჭრობისა და ხელოსნურ მრეწველობის ზრდის ხანა. თფილისის ვაჭრებმა დაიწყეს ვაჭრული დამოკიდებულება რუსეთის ქალაქებთან, და არა თუ რუსეთთან,— დასავლეთ ევროპისკენაც კი გაიწიეს: 1825 წ. რამდენიმე თფილისელი ვაჭარი სომეხი ქ. ლეიპციგშიაც კი წავიდა იქაურ იარმურკობაზე სხვა და სხვა საქონლის საყიდლათ და ჩვენში შემოსატანათ[1]. თავის მხრით მთავრობამ 1821 წელს ჩვენში ევროპიდან შემოტანილ საქონლისთვის დაკლებული საბაჟო ტარიფი გამოსცა, რომ ამით უცხოეთის საქონლის შემოტანა კავკასიაში გაეადვილებია და გაეძლიერებია. მართალია, ეს საბაჟო ტარიფი 1832 წელს ისევ გაადიდეს, მაგრამ 1846 წელს ხელ-ახლა შეამცირეს და ასე დაკლებული ბაჟით შემოდიოდა ჩვენში უცხოეთიდან საქონელი 1850 წლამდი. ამ წელს კი ისევ გაადიდეს ბაჟი, რომ ამით დასავლეთ ევროპის საქონლის შემოტანას ეკლო, ხოლო რუსეთისას კი ემატა და გაძლიერებულიყო. თუმცა ამ გარემოებამ რუსეთის საქონელს კავკასიის ბაზრის მოპოება გაუადვილა, მაგრამ ამით ევროპიდან საქონლის შემოტანას მაინც არ უკლია,— პირიქით, ევროპიდან შემოტანილ საქონლის რაოდენობა ჩვენში ყოველ წლივ მატულობდა[2].

ასე და ამნაირათ ვაჭრობა ჩვენში თან და თან ზრდის გზას გაყვა. ხოლო ვაჭრობის ზრდა ნიშნავს იმავე დროს ქალაქის ზრდას ხალხით და ეკონომიურათ. ვაჭრობაში საჭიროა საქონლის გადამტანი, მუშა, საწყობები და მათი მეთვალყურე, ნოქრები და გამგემბლები, მაშასადამე, მეტი ხალხი და მეტი მოძრაობა. და მართლაც ვაჭრობის გაძლიერებას თან მოყვა ქალაქების შესაფერი ზრდა და გაღონიერება.

---

[1] Gamba, Voyage dans la Russie mèridionale, II, ტ. გვ. 209—211; I ტ, გვ. 355 და შემდ.

[2] А. Аргутинский-Долгоруков, История сооружения и эксплоатации Зак. жел. дор. გვ. 664—665, 668.

თფილისი, რომელიც 1795 წ. შაჰბაზმა სრულიათ დაანგრია და ააოხრა, ხელახლა აშენდა და შეიქნა მთავარი ქალაქი არა თუ საქართველოსთვის, არამედ მთელ კავკასიისთვისაც. აქ მოგროვებულ იქნა მთელი მხარის უმაღლესი ადმინისტრაცია და გამგებლობა. გარდა თფილისისა სხვა ქალაქებსაც დაეტყო გადიდება. ეს ფაქტები, წერილის ციფრებით აპრელებას რომ არ ვერიდებოდეთ, სტატისტიკურათაც შეიძლებოდა გამოგვეხატა.

ადვილი მისახვედრია, რომ ქალაქის გადიდებამ და მიწის არ მომქმედ ხალხის შემომატებამ ბაზარი გაუდიდა სოფლის სამეურნეო ნაწარმოებებს. გადიდდა მოთხოვნილება პურის, ღვინის, ხორცის, შეშის, ხის და სხვა ამგვარების და, მაშასადამე, სოფლის ხალხისთვის უფრო ადვილი გახდა ნაწარმოების გასაღება და ამით ფულის შოვნა. ამიტომაც ახლა მთავრობისთვის შესაძლებელი შეიქნა, გლეხების გადასახადი, რომელიც წინეთ ნაწარმოების სახით შესდიოდა ხაზინაში, ფულათ ექცია და გადამხდელებზე ფულის გადასახადი გაეწერა, მართლაც ნატურით გადასახადი საუკუნის პირველ ნახევარში თან და თან ფულის გადასახადზე შეიცვალა[1].

რა თქმა უნდა, ამ შეცვლას თავისთავათ გლეხებისთვის არც ბაზარი გაუდიდებია და არც ფულის შოვნა გაუადვილებია; მაგრამ ეს ფაქტი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მან იძულებული გახადა ხალხი გაცვლა-გამოცვლისათვის, ვაჭრობისთვის მეტი ყურადღება მიექცია და ამით კარჩაკეტილ მეურნეობის კედელი გაერღვია.

გადასახადების შეცვლაზე მეტი მნიშვნელობა ქონდა ქართველ გლეხობისთვის რუსეთის ხანგრძლივ ომს კავკასიის სხვა და სხვა ნათის ხალხებთან. მეომარ ჯარისთვის საჭირო იყო მუდმივ სანოვაგის და ბარგის გადატან-გადმოტანა. ამას ასრულებდენ თავისი ცხენებით და ურმებით ადგილობრივი გლეხები, რომლებსაც შრომისთვის ქირა ეძლეოდათ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ საქართველო, ვითარცა გასატარებელი (სატრანზიტო) გზა ევროპის საქონლისთვის. მე-XIX საუკუნის მე-20 წლებამდი ევროპას თავისი სავაჭრო საქონელი სპარსეთში შესატანათ ხმელთა-შუა ზღვით სირიაზე მიქონდა. აღნიშნულ წლებს შემდეგ კი შავ ზღვაზე დაიწყეს გზავნა ევროპიდან სპარსეთისთვის დანიშნულ საქონლისა, მოქონდათ შავი ზღვის პირათ სამეგრელოში და აქედან ხმელეთით გაქონდათ სპარსეთის საზღვრამდი. მთავრობაც ერთ ხანათ ხელს უწყობდა უცხო საქონლის მოძრაობას კავკასიის გზით: გაამარტი-

---

[1] შეად. И. Бахтадзе, Податное обложение госуд. крест. Зак. края., გვ. 34—70, 82—102.

ვა საბაჟო ფორმალიზმი, გააკეთა შარა-გზა თფილისიდან ჯულფამდე (სპარსეთის საზღვარი) და ზოგიერთი სხვა ზომებიც მიიღო უცხო საქონლის გადატანის გასაადვილებლათ[1]. რასაკვირველია, ტრანზიტი, როგორც რუსეთის ომები კავკასიაში, სასარგებლო იყო გლეხებისათვის. მაშინ რკინის გზები არ იყო გაკეთებული: გლეხებს გადაქონდათ საქონელი ნავებით, ცხენებით, ურმებით და კარგ ქირასაც იღებდენ.

1864—66 წლებში მოისპო საქართველოში ბატონ-ყმობა და ცოტა ხნის შემდეგ გაყვანილ იქნა ამიერ-კავკასიის რკინის გზა, რომელსაც, როგორც ყველას მოეხსენება, ბევრი ადგილობრივი მასალა და მუშახელი დასჭირდა. პირველათ მატარებლების ორთქლ-მავალებს შეშით ახურებდენ, მაზუტის ხმარება იმერეთის რაიონში ამ ათიოდე წლის წინეთ შემოიღეს, მანამდი კი რკინის გზა აუარებელ შეშას ხარჯავდა და, მაშასადამე, ადგილობრივ მშრომელ ხალხს სამუშაოს და ნამუშევარის გასაღების საშუალებას აძლევდა. რკინის გზამ თავის მხრით სულ ერთიანათ შეესცვალა მიმოსვლის ძველი წესი. დაუახლოვა როგორც საქართველო კავკასიას, ისე კავკასია უცხო ქვეყნებს. რკინის გზამ ვთელი რევოლუცია მოახდინა მიმოსვლის საშუალებათა მოწყობილობაში და დიადი გავლენა იქონია ქალაქების ზრდასა და ვაჭრობა-მრეწველობის გაძლიერებაზე.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში დაწყებულია რამდენიმე მთა-მადნის ექსპლოატაცია—შემუშავება, გაყვანილია რამდენიმე ახალი რკინის გზა და მრეწველობის ზოგიერთ დარგებში დაარსებულია ფაბრიკაც.

აი, მოკლეთ, ძალიან მოკლეთ, ის მომენტები, რომლებმაც გავლენა იქონია საქართველოს ძველ ეკონომიურ მდგომარეობის შეცვლაზე და ახლის დადგენაზე. ამ მომენტთა ზედგავლენით საქართველოს მეურნეობამ ანუ ეკონომიამ მიიღო მე-XIX საუკუნის გასულს ის ფორმა, რომელსაც ეკონომიურ მეცნიერებაში ხშირათ ფულის მეურნეობას ეძახიან.

რა მეურნეობა არის ეს და რა შინაარსისაა იგი,—ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ჟურნ. „ქვალი", 1902, № 49 (გვ. 782—784), № 50, (გვ. 800—803).

---

[1] შად. Аргутинский-Долгоруков, loc. cit. გვ. 666 — 667; Кавказский календарь на 1886 г., გვ. 180; Н. Шавров, Обзор производительных сил Кавказского Наместничества за 1879 г. Тифл. 1880 г., გვ. 350-353.

ფელეტონი

კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრება

I

თანამედროვე ცხოვრების ერთ დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს მისი სირთულე და მასში არსებულ ურთიერთობათა მრავალ-ფეროვანობა. და რამდენადაც წინ მიდის კულტურა და განვითარება, იმდენად უფრო ფართოვდება საზოგადოებრივობა, რთული და დაკვანძული ხდება საზოგადოებრივი ცხოვრება. ეს ცხოვრების თანდათანი გართულება ნიშნავს სოციალურ კავშირის გამაგრებას და გაძლიერებას, კერძო ადამიანთა ერთმანეთთან დაახლოვებას და დაკავშირებას. თანამედროვე ცხოვრების მექანიზმი ისეა მიმართულ-მოწყობილი, რომ ყოველი ჩვენგანი, თავისი ინტერესებით და არსებობის პირობებით, ბევრნაირად არის სხვებისაგან დამოკიდებული; ყოველი წევრი საზოგადოებისა მრავალ უჩინარ ძაფებით არის სხვა წევრებთან დამოკიდებულ-დაკავშირებული. სხვა-და-სხვაგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობა და დამოკიდებულება ობობას ქსელივითაა დღევანდელ ცხოვრებაში გაბმული. და აი, აქ,—ამ ქსელში გახლართული,—მოქმედობს ყოველი ჩვენგანი: მუშაობს, იბრძვის, მოძრაობს და ამ თავისი გაუწყნარებელი საქმიანობით კიდევ უფრო აძლიერებს და მჭიდროდ ხდის ადამიანთა ურთიერთკავშირს და დამოკიდებულებას.

შეიძლება, ეს ჩვენი აზრი ბევრს ერთის შეხედვით ყალბათ და სინამდვილესთან შეუთანხმებლად ეჩვენოს. დღეს ხომ, როგორც ყველამ იცის, ეკონომიურ ინდივიდუალიზმის ხანაა: ყველა მოქმედობს თავის ანგარიშისა და მიდრეკილების მიხედვით და ცდილობს ცხოვრებაში თავის გატანას საკუთარის ძალ-ღონით და გამჭრიახობით. თითქოს ისეთ დროში, რომელიც თავის პრინციპად აღიარებს კერძო ადამიანის თავისუფალს—სხვისაგან იურიდიულად დამოუკიდებელს—მოქმედებას, საცა შრომის თავისუფლებაა გამოცხადებული და მთელი ცხოვრების მექანიზმი კერძო ადამიანთა მეტოქობასა და ბრძოლაზე დამყარებული, ადგილი არ უნდა ჰქონდეს მჭიდრო საზოგადოებრივ კავშირს და დამოკიდებულებას. აბა, მართლა, რა ინტერესების ერთობა და დაკავშირება უნდა იყოს იქ, საცა სასტიკი ბრძოლაა, ბრძოლა არსებობისათვის, გაჩაღებული და თითოეული ცდილობს თავისი მეტოქე დაამარცხოს და თითონ გამოვიდეს მძლეველი და გამარჯვებული? მაგრამ სწორედ საქმეც ისაა, რომ ამგვარ „დამოუკიდებელ ურთიერთობათა“ ქვეშ სულ სხვანაირი განწყობილებაა დამალული და იქ, საცა ადამიანთა სრული დამოუკიდებლობა და თავისუფალი მოქმედება გვეჩვენება, ნამდვილად არის კავშირი რთული, დამოკიდებულება მჭიდრო სოციალური. ამ აზრის ნათელსაყოფელად საკმარისია

შევადაროთ ერთმანეთს ორი ხანა: ძველი პატრიარქალური, — ხანა ოჯახურ მეურნეობის, და ახალი ბურჟუაზიული, — ხანა სახალხო მეურნეობისა და გავითვალისწინოთ ზოგიერთი მათი ნიშნობლივი თვისებები.

პატრიარქალურ დროის დამახასიათებელი ნიშანია წარმოება ოჯახური, მეურნეობა კარ-ჩაკეტილი და თავისი თავის თვითონ დამკმაყოფილებელი. აქ თითოეული აწარმოებს თითქმის ყველაფერს, რაც მისთვის საჭიროა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია: იგი ამუშავებს მიწას და ამზადებს სამრეწველო ნაწარმოებთაც. ოჯახს შემოაქვს გარედან ნაწარმოების გაცვლით მხოლოდ ისეთი საგნები, რომლების დამუშავებას და წარმოებას ადგილობრივი ბუნება ხელს არ უწყობს: გარედან უნდა შემოტანილ იქმნეს, მაგალ., რკინა ან მარილი იქ, საცა ამ ნივთიერებათა მადანი არ მოიპოვება. ამიტომ მეურნეობის პატრიარქალურ ხანაშიაც არსებობს ყიდვა-გაყიდვა, ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლა, არის აღებ-მიცემობა, მაგრამ ესაა დაფუძნებული არა შრომის სოციალურ განაწილებაზე, არამედ ხალხით დასახლებულ ადგილთა ბუნებრივ სხვა-და-სხვაობაზე. ამ ძველს დროში ოჯახი იძენს გარედან მხოლოდ იმ საგნებს, რომლებსაც ადგილობრივი ნიადაგი არ იძლევა, ყიდულობს ბამბას, მატყლს, ღვინოს მხოლოდ მაშინ, როცა ადგილობრივ ჰავისა და მდებარეობის გამო ბამბის თესვა, ცხვრის ყოლა ან ვაზის მოშენება არ შეუძლია. მაგრამ ამგვარი ბუნებრივი საფუძვლით წარმომდგარი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ძალიან მცირე და უმნიშვნელოა. თავის მოთხოვნილებათა დიდძალ უმრავლესობას თითოეული ოჯახი საკუთარის ძალ-ღონით და წარმოებით იკმაყოფილებს. ამიტომ ამ დროში თითოეულ სოფლის ყველა ოჯახები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს თავისი მეურნეობით და ეკონომიურ მოქმედებით. ერთიც იმას აწარმოებს და იწევს, რასაც მეორე და მესამე, ასე რომ მათ ერთმანეთში გასაცვლელი არა აქვთ-რა. გაცვლა-გამოცვლა, ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ერთს ისეთი ნაწარმოები აქვს, რომელიც მეორეს არ მოეპოვება, ხოლო ამ მეორეს—კი ისეთი, რომელიც პირველს არა აქვს და საჭიროებით კი ესაჭიროება. ერთის სიტყვით, იმ დროინდელ წარმოებას ნიშნად ერთფეროვნების ბეჭედი აზის. და ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ხალხში შრომის განაწილება არ მომხდარა, ეკონომიური ერთეულები ერთმანეთთან არ დაკავშირებულან, ურთიერთი დამოკიდებულება არ გართულებულა და საერთოდ საზოგადოებრივობა არ გაფართოებულა.

ამიტომ მწარმოებელნი ერთმანეთისაგან ეკონომიურად დამოკიდებულნი არ არიან, — ყველა ცხოვრობს თავისთავად და სხვებთან კავ-

შირისა და საზოგადოდ ურთიერთობის გაუბმელად. ვთქვათ, რომელსამე ოჯახში მოარულმა გასწყვიტა წევრთა უმრავლესობა. ეს ნიშნავს მხოლოდ ამ ოჯახის ძალის შემცირებას, მის ეკონომიურად დაქვეითებას. ამით, შეიძლება ვთქვათ, მის მეზობელს არავითარი ზარალი არ მიეცემა, — ეს ისე განაგრძობს ცხოვრებას, როგორც წინეთ უცხოვრია. მეზობლის გაჩანაგება არ იწვევს მის გაჩანაგებასაც, არ იწვევს იმიტომ, რომ იგი არ არის მასთან აღებ-მიცემობითი ურთიერთობით დაახლოვებული და დაკავშირებული. და ეს ასეა არა თუ ერთ რომელსამე სოფელში, არამედ ყველგან, — მთელ ხალხში. ამ დროში ძალიან ცოტაა ისეთი მოტივები და საერთო საქმეები, რომლებიც ხალხის ნაწილებს ერთად თავს უყრიდეს, საერთო ინტერესებს უჩენდეს და აერთიანებდეს. და ისიც, რაც არის (მაგ., არხების გაყვანა, ციხე-სიმაგრეების აგება, მტრებისაგან თავის დაცვა), უფრო გარეგანი და შემთხვევითი ხასიათისაა, რომელიც მხოლოდ დროებით, განსაზღვრულ საჭიროების დასრულებამდის, აახლოვებს ერთმანეთთან ხალხის დაქსაქსულ ნაწილებს და იწვევს საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა გადაბმულობას. ცხადია, ასეთ პირობებში ძალიან ძნელია სახელმწიფურ ცენტრალიზაციის შექმნა და განმტკიცება. საშუალო საუკუნეების ისტორია ამ აზრის მრავალ დამამტკიცებელ საბუთს და ფაქტს შეიცავს.

მაგრამ ასეთი ეკონომიური წყობილება დროის განმავლობაში თანდათან შეიცვალა. ოჯახს შეუმცირდა ის როლი და მნიშვნელობა, რომელიც მას საეკონომიო წარმოებაში ჰქონდა. ხალხში ფეხი აიდგა და განვითარდა შრომის განაწილება და ამით ოჯახურ წარმოებას მიეცა ვიწრო და ცალმხრივი მიმართულება. თუ წინეთ სოფელი მიწასაც ამუშავებდა და საოჯახო მრეწველობასაც ეწევოდა,—თავის საჭიროებისათვის სამრეწველო ნაწარმოებთაც ამზადებდა, ახლა იგი მარტო სასოფლო მეურნეობაზე დადგა და მრეწველობა თავის სამოქმედო ასპარეზიდან ჩამოიშორა. სამრეწველო ნაწარმოებთა დასამზადებლად წარმოსდგა სპეციალი ხელოსანი და ხელოსნური მუშაობა და შემდეგში ფაბრიკა და ფაბრიკული წარმოება. გაზრდილმა ვაჭრობამ და აღებ-მიცემობამ დაწინაურებულ ქვეყნებიდან შემოიტანა ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომლის მსგავსს ადგილობრივი ტეხნიკა ვერ ჰქმნიდა. თანდათან გამრავლდა რიცხვი წარმოების დარგთა და ამით გართულდა საზოგადოებრივი ურთიერთობაც. თუ წინათ კაცი თავის მოთხოვნილებებს საკუთარ ნაწარმოებით იკმაყოფილებდა, დღეს მან ყველაფერი სხვისგან უნდა შეიძინოს. თუ იქ ფული იშვიათად იყო საჭირო, აქ უიმისოდ ერთ ფეხსაც ვერ გადადგამთ. და ეს კი იმის მომასწავებელია, რომ მთელი ხალხის ეკონომიურ შრომა-მოღვაწეობაში

ცვლილება მომხდარა, — შრომა განაწილებულა და რომ თითოეული მწარმოებელი თავის მოთხოვნილებათა უმცირეს ნაწილსაც კი საკუთრად, სხვებისადმი მიუმართავად, ვეღარ იკმაყოფილებს. ყველა მუშაობს თავის ფარგალში, თავის ხელობაში, აკეთებს ისეთ ნივთებს, რომლებიც სხვებს ესაჭიროებათ, და მათი გაყიდვით იძენს ისეთ ნაწარმოებს, რომელიც სხვებს გაუკეთებიათ და მას კი ესაჭიროება. ამ გვარადვე იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს ისიც, ვინც დამოუკიდებელი მწარმოებელი არაა, მხოლოდ, ნაცვლად ნაწარმოებთა, იგი ჰყიდის თავის საკუთარ ძალღონეს და თავს დღიური ქირით ან მოჯამაგირეობით ინახავს. დაწინაურებულ ქვეყნებში დღეს შრომის ასეთი განაწილება უკიდურეს ხარისხამდის არის განვითარებული. და რამდენადაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ წყობილებაში ამგვარი მოვლენები მრავლდება, იმდენად ჩვენი ცხოვრებაც მოწინავე ხალხთა ცხოვრებას ემსგავსება და უახლოვდება.

ასეთ განწყობილებაში რომ ხალხის ყველა წრეებს შორის მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება არსებობს, ეს ყველასათვის ადვილი დასანახი და გასაგებია. ყველამ იცის, რომ ამ ჩვენს დროში ერთი რომელიმე ბანკის გაკოტრება იწვევს მრავალ სხვა ბანკთა გაკოტრებას, ბევრ ვაჭარ-მრეწველთა საქმეების აწეწას და არევ-დარევას. თქვენ, ვთქვათ, სახლის პატრონი ხართ: შეიძლება, დღეს მდგმურისგან ქირა ვერ მიიღოთ მხოლოდ იმიტომ, რომ სადმე მეორე ან მესამე ქალაქში რომელიმე ბანკი გაკოტრდა. როგორ? ისე, რომ სწორედ იმ ბანკთან ჰქონდა საკრედიტო ურთიერთობა იმ ფაბრიკანტს ან ვაჭარს, რომელთანაც თქვენი მდგმური მსახურობს. ჯიბე დაცარიელებულმა ვაჭარმა თუ მრეწველმა თავისი საქმე შეაჩერა ან, თუ არ შეუჩერებია, თავის მოსამსახურეს დროზე ვერ გაუსწორდა და ამანაც ამ მიზეზით სახლის ქირა ვერ მოგართვათ. აი, ასეთი რთული და მასთან მჭიდრო დამოკიდებულებაა დღევანდელ საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანებს შორის. ხშირად ეს დამოკიდებულება და ერთის პიროვნების მეორესთან დაკავშირება იქ იჩენს თავს, საცა დაუკვირვებელი ადამიანი თავის დღეში ვერ მოიფიქრებდა.

ამგვარ სოციალურ პირობებში ძალიან ძნელია კერძო და საზოგადო ცხოვრების ერთმანეთისაგან თეორიულად გათიშვა და განცალკევება. ხშირად ადვილი არაა იმის განსაზღვრა, თუ როდის აკეთებს ადამიანი ისეთ საქმეს, რომელიც მარტო მას და მის კერძო ცხოვრებას შეეხება, და როდის ისეთს, რომელიც საზოგადოების შესახები და საინტერესოა. ადვილი საქმე არაა საზღვრის გავლება და აღნიშვნა, თუ სად თავდება ადამიანის ცხოვრება კერძო და სად იწყება საზოგადო. და ეს იმიტომ, რომ ორივე ეს მხარე დღეს ერთმანეთშია გადახლარ-

თული და ადამიანის კერძო ცხოვრება უსაზოგადოებრივოდ მოუხერ-ხებელი და წარმოუდგენელია. ვთქვათ, რომელსამე სამრეწველო და-წესებულებაში მუშებმა ქირის მომატება მოითხოვეს, ამისათვის გა-ფიცვა მოახდინეს — მუშაობაზე ხელი აიღეს. ცხადია, ეს მათი კერძო მოქმედებაა, რომელსაც მიზნად აქვს დაინტერესებულ პირთა ეკონო-მიურ მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ეს არ უშლის, რომ ამ მოქმედებას ჰქონდეს დიდი საზოგადოებრივი ინტერესი და მნიშვ-ნელობა. ვთქვათ, იმავე სამრეწველო დაწესებულებაში გაფიცვის დროს მოდიან ახალი მუშები, რომელნიც თანახმა და მსურველნი არი-ან ძველი ქირითა და წესით მუშაობისა. რასაკვირველია, ეს მავნებე-ლია გაფიცულთათვის, რომლებიც ამის გამო ეწინააღმდეგებიან და იბრძვიან კიდეც. რათა, რა საფუძვლით? იმ საფუძვლით, რომ ახალ-მოსულთა „კერძო მოქმედება“ მავნებელი და საზარალოა უმრავლე-სობისათვის. ან ავიღოთ მაგალითისათვის ისეთი რამ, რომლის „კერძო“ ხასიათი არავის არ მიაჩნია საეჭვოდ და საცილობლად: ძილი. ჩვენ ვგმობთ და სასაცილოდ ვიღებთ ისეთ ადამიანს, რომელიც გადაჭარ-ბებულად ბევრ დროს ძილში ატარებს, — არ ვერიდებით არც მის კერძო უფლებას და არც კერძო ცხოვრებას, და ჩავდივართ ამას სა-ზოგადოებრივი პრინციპის საფუძვლით: ზარმაცი კაცი ძილისა და მოსვენების დროის გადიდებით სამოქმედო დროს ამოკლებს და ამით საზოგადოებას ქონებრივ თუ გონებრივ ძალას უკლებს და უმცირებს. ვკიცხავთ მოქეიფე ადამიანს, რომელიც მხოლოდ სჭამს, სახალხო მე-ურნეობას ნაღებს ართმევს და სამაგიეროდ საზოგადოებას არაფერს სძენს. საზოგადო საქმედ მიჩნეულია ექიმობის მოწყობა და ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა არა იმიტომ, რომ ვითომ კარგად თუ ავად ყოფნა ადამიანის კერძო ცხოვრებას არ შეადგენს, არამედ იმ საფუძ-ლით, რომ ხალხის სიმრთელესთან შეკავშირებულია მთელი საზოგადო-ების ინტერესი და სარგებლობა. საზოგადოებისათვის სულ ერთი არაა, მშრომელი ადამიანი ჯანმრთელი იქნება, თუ დასუსტებული. სხეულით სუსტი ადამიანი სამუშაოსაც სუსტად ასრულებს, მის მოძრაობას ნაკ-ლები ძალა აქვს, მის მუშაობას ნაკლები ნაყოფი მოაქვს. საზოგადოე-ბის ინტერესი მოითხოვს ხალხის საწარმოო ძალა ვითარდებოდეს, ადამიანის შრომა მეტ ნაყოფს იძლეოდეს. მხოლოდ მაშინ იქმნება შე-საძლებელი მოთხოვნილებათა გამრავლება და დაკმაყოფილება, ცხოვ-რების გაუმჯობესება და საერთოდ კულტურის გაძლიერება.

აი, ასე დაახლოვებულია და ხშირად გადაბმული ერთი-მეორეზე ადამიანის ცხოვრების კერძო და საზოგადოებრივი მხარე. და რამდე-ნადაც დრო მიდის, იმდენად კერძო, საზოგადოებისაგან დამოუკიდე-

ბელ ცხოვრების ფარგალი ვიწროვდება, ხოლო მხარე სოციალური ფართოვდება და შეტის მნიშვნელობისა ხდება. ამას ნათლად გვიჩვენებს იმ ინსტიტუტის ცვლა და განვითარება, რომელსაც ოჯახი ეწოდება. ძველს დროში ოჯახი ერთ პატარა სამეფოს წარმოადგენდა, საცა ოჯახის უფროსი იყო სრული გამგე და ბატონი ოჯახის წევრებისა. მისი მოქმედება და განკარგულება არავითარ სხვის კონტროლს არ ემორჩილებოდა. თვითონ ცოლქმრობაც, სქესთა შეუღლება, კერძო ხელშეკრულობის ნიადაგზე იყო დაფუძნებული, — მას არავითარი იურიდიულ-სოციალური სანქცია და ბეჭდის დასმა არ ეჭირვებოდა. მაგრამ შემდეგმა ისტორიულმა განვითარებამ ეს „კერძო სფერა ცხოვრებისა“ შეჰკვეცა და მასზე მაღლა საზოგადოებრივი ავტორიტეტი და ძალა დააყენა. ოჯახის ბევრი უფლებები საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე, — სახელმწიფოზე გადაეიდა. დღეს ჩვენში რომ უთხრათ ვინმე ოჯახის მამას: სახელმწიფოს შეუძლია ძალა დაგატანოს და შენი შვილების აღზრდა სავალდებულოდ გაგიბადოსო, უთუოდ გაუკვირდება. ჩემს შვილებთან სხვას რა ხელი აქვსო. გეტყვით ის გაოცებული,—განა ჩემს ნებაზე არაა ვასწავლი და გამოვზრდი მე იმათ თუ არაო? გეტყვით ამას იმიტომ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ძველ წყობილების შესაფერი წარმოდგენა არ გამქრალა და არც სოციალური კანონდებულება საკმაოდ განვითარებულა. დასავლეთ ევროპაში ეს საგანი არავის გააკვირვებს, — იქ დიდი ხანია ახალთაობის სავალდებულო აღზრდა შემოღებული და განხორციელებულია, და არავის ფიქრადაც არ მოსდის, ამაზე პროტესტი განაცხადოს და თქვას: ეს ჩემი კერძო საქმეა და სხვას აქ ხელი არა აქვსო.

ამგვარ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით ჩვენ, როცა ერთ წინა წერილში მკითხველს ოჯახზე მივუთითეთ და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, შეძლებისდაგვარად გავუთვალისწინეთ. იქ ვამბობდით და აქაც ვიმეორებთ, რომ არც ერთ ახალგაზდას, რომელიც დაოჯახიანებას გაურბის, არა აქვს ზნეობრივი უფლება თავი იმართლოს და ერის წინაშე პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ეს ვითომ „მისი კერძო საქმეა“ და მასში გარევის უფლება სხვას არავის აქვს“. და ეს იმიტომ, რომ აქ, ამ „კერძო ცხოვრებას“ დღევანდელს პირობებში საზოგადოებრივი მნიშვნელობა ახლავს. დაოჯახიანება და შკილების აღზრდა სწორედ ისეთი „კერძო საქმეა“ ადამიანისა, რომელიც ბევრის მხრით მთელს საზოგადოებას ეხება და ეინტერესება. თუ თანამედროვე ცხოვრებაში კერძო ადამიანის გადაჭარბებული ძილიც-კი საზოგადოებისათვის ინტერესს და მნიშვნელობას მოკლებული არაა, რაღა უნდა იყოს ოჯახი, ეს წყარო

ცოცხალ ძალის ნაკადულისა, რომელიც აძლევს საზოგადოებას მუდამ ქამს ახალ ღონეს და ენერგიას.

ამიტომ ყოველი ცოლშვილიანი ადამიანი, რომელიც თავის ოჯახისთვის იღწვის და შვილებს ზრდის, ჩვენ მიგვაჩნია ამ მხრით საზოგადოებისათვის სასარგებლო პირად. მაგრამ სარგებლობის მოტანა კიდევ არ ნიშნავს საზოგადო მოღვაწეობას. ფაბრიკანტი, რომელიც თავის სარგებლობისა და გამორჩენის გულისთვის, წარმოებას ეწევა და მრეწველობის განვითარებას ხელს უწყობს, დღევანდელს წესწყობილებაში, უეჭველად, სასარგებლო კაცია, მხოლოდ მისი საზოგადო მოღვაწედ ჩათვლა მარტო ამ საფუძვლით არ შეიძლება. ოჯახის მამა ჩვენ მაშინ მიგვაჩნია ნამდვილ საზოგადო მოღვაწედ, როცა მას ჩვენი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა გათვალისწინებული აქვს და თავის შვილებს ისე სწრთვნის და ზრდის, რომ იგინი შემდეგში შეიქმნენ სასარგებლო წევრნი ჩვენის ერისა, გულწრფელნი მუშაკნი ჩვენი ხალხის ეროვნულ გათვით-ცნობიერების და კულტურული წინმსვლელობისა.

ეს არის ჩემი აზრი, — ვფიქრობ, გამოთქმული ნათლად და გასაგებად. ეს მქონდა ნათქვამი, ცოტა უფრო ვრცლად და გარკვევით, ზემოხსენებულ წერილშიაც. მეგონა, ამით საანბანო ჭეშმარიტებას ვამბობდი, მაგრამ შემცდარი გამოვდექი. გაზეთ „კვალში“ ეს აზრი თავიდან ბოლომდი ყალბად სცნეს და მის დარღვევას ვრცელი წერილი უძღვნეს. შემდეგ წერილში მოგახსენებთ, ვინ, როგორ და რა ნაირად,

Rira bien. qui rira le dernies.

II

დაოჯახიანება და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა

> Eine möglichstzahlreiche Bevölkerung ist nicht ein Hinderniss, sondern ein Mittel des Kulturforischritts (ხალხის სიმრავლე არის არა დაბრკოლება, არამედ საშუალება კულტურულ წინმსვლელობისა).
>
> ავგუსტ ბებელი.

წინა წერილში ჩვენ გავარკვიეთ თანამედროვე ცხოვრების ურთიერთობათა დაკვანძულობა და განვმარტეთ საზოგადოების წევრთა შორის არსებული კავშირი და დამოკიდებულება. თეორიულმა მსჯელობამ და რეალურ მოვლენათა ანალიზმა იმ დასკვამდის მიგვიყვანა,

რომ ამ ჩვენს დროში, როცა წარმომდგარია შრომის საზოგადოებრივი განაწილება და რთული სახალხო მეურნეობა, ადამიანის ცხოვრების „კერძო“ და „საზოგადო“ მხარე არაა ხშირად ერთი მეორისაგან დაშორებული და განცალკევებული. პირიქით, ეს ორი მხარე ერთმანეთშია მჭიდროდ გადახლართული და ადამიანის კერძო ცხოვრება უსაზოგადოებრივოდ მოუხერხებელია და წარმოუდგენელი. თანამედროვე ადამიანი ერთ დღესაც ვერ იცხოვრებს ისე, რომ სხვებს არ მიჰმართოს და, მაშასადამე, მათთან განსაზღვრული საზოგადოებრივი განწყობილება და ურთიერთობა არ იქონიოს, და რამდენადაც დრო მიდის, იმდენად კერძო, საზოგადოებისაგან დამოუკიდებელ ცხოვრების ფარგალი ვიწროვდება, ხოლო მხარე სოციალური ფართოვდება და ამით მთელი საზოგადოების შესახები და საყურადღებო ხდება. ხშირად კაცი ისეთ „კერძო საქმეს“ ადგია, რომელიც ბევრის მხრით სხვებსაც შეეხება და ეინტერესება. ამაზე უფრო „კერძო საქმე“ რაღა იქნება, როგორიც არის დღევანდელ წეს-წყობილებაში კერძო საკუთრების საგანთა მოხმარება და გამოყენება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკმარისია რომელიმე მსხვილმა მრეწველმა თავისი მაშინები დააყენოს, წარმოება უცებ შეაჩეროს, რომ ეს მაშინვე მწვავედ იგრძნოს როგორც უსაქმოდ დარჩენილმა მუშა ხალხმა, ისე მთელმა საზოგადოებამაც. და ეს იმ მიზეზით, რომ თანამედროვე საზოგადოების წევრთ შორის გამართულია რთული ეკონომიური კავშირი და დამოკიდებულება და ერთს უმეოროდ და უმესამოდ ცხოვრებაში თავის გატანა და არსებობა არ შეუძლია. ამიტომაც ადამიანთა კერძო ცხოვრებას და ასეთ თუ ისეთ მოქმედებას ხშირად აქვს დიადი საზოგადოებრივი ინტერესი და მნიშვნელობა.

ერთ ამგვარ საზოგადოებრივ ხასიათისა და მნიშვნელობის საგნად მიგვაჩნია ჩვენ დაოჯახიანება და შთამომავლობის გამრავლება, ოჯახის წარმართვა, შვილების წესიერად გამოზრდა და ცხოვრებისთვის მოუზადება. ეს შეადგენს ადამიანის ისეთ „კერძო საქმეს“, რომელიც ძალიან ბევრის მხრით მთელი საზოგადოებისთვის საყურადღებო და მნიშვნელოვანია. ამ საგნის გარკვევას ჩვენ ვეცადეთ ცალკე წერილში („ცნ. ფ.“ № 2317), რომელსაც სათაურად „ოჯახი და საზოგადოებრივი ცხოვრება“ ჰქონდა. იქ გამოვთქვით და, ადგილის უქონლობის გამო, მოკლედ დავასაბუთეთ ორი აზრი: 1. რომ ოჯახების გახშირება და ხალხის გამრავლება საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ერისთვის საჭირო და სასარგებლოა; 2. რომ ოჯახის რიგიანად წარმართვა და თავის ერისადმი ზნეობრივ მოვალეობის თანახმად შვილების გამოზრდა საზოგადო მოღვაწეობად ჩასათვლელია.

არც ერთი ეს აზრი—არ ეჭაშნიკა გაზეთ „კვალს“, რომელმაც მია

დარღვევას და მისი გამომთქმელის სასაცილოდ აგდებას ერთი მეთაური წერილი უძღვნა (№ 29). წერილი ეკუთვნის ამ გაზეთის ახალ მოღვაწილ „პუბლიცისტს“, რომელსაც პსევდონიმად ბ-ნი ყვირილელი ეწოდება. ეს ყმაწვილი კაცი (ვფიქრობ, — ყმაწვილი უნდა იყოს) სულ რამდენიმე თვეა, რაც ბრწყინვალე ვარსკვლავად მოეკლინა „კვალს“, მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაშიაც მოასწრო და თავი შესანიშნავად ისახელა. რითო, — იკითხავთ? ბევრი რამით, განსაკუთრებითაი თავისი რიჩხით, გაბედულობით და მეტის მეტ კადნიერებით. Le stile — c'est l'homme, — მწერალს მისი ნაწერის კილო ახასიათებსო, უთქვამს ერთ ფრანგს და ამით სწორედ უტყუარი სიმართლე და ჭეშმარიტება გამოუხატავს. ბ-ნ ყვირილელს სავსებით ახასიათებს მისი კილო და საერთოდ წერის მანერა.

„ჩვენ ეს აზრი—სწერს იგი ჩემს შესახებ — ტიპიურად მიგვაჩნია იმ წრისათვისაც, რომელმაც ის შეჰქმნა, და იმ მწერლისთვისაც, რომელმაც ის გამოსთქვა, და რადგანაც არც ამ წრეს და არც ამ მწერალს ჩვენი მკითხველი კარვად არ ჩაჰკვირვებია დღემდის, ჩვენ გვსურს გამოვარკვიოთ დღეს მათი ფიზიონომია“. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ბ-ნი ყვირილელი ჩემს „ფიზიონომიას“ „ჩაჰკვირვებია“. ხედავთ აგრეთვე, რომ ჩემი აზრი რომელიღაც „წრეს“ შეუქმნია. საუბედუროდ, ბ-ნ ყვირილელს დაპირების აღსრულება დავიწყებია და თავის წერილის არც ერთ ადგილას არ აქვს ნახსენები ის „წრე“, რომელმაც ჩემი „აზრი შეჰქმნა“. ამიტომ ძნელია დანამდვილებით თქმა, თუ რა წრეს გულისხმობს იგი. მაგრამ, სამაგიეროდ, არ დავიწყებია ჩემი „ფიზიონომიის“ გამორკვევა: წერილის ბოლოში, საცა მრავალშნიშვნელოვანი წერტილებია მიყრილი, იგი ამბობს, რომ მე მისთვის და მისიანებისთვის „საკმაოდ გამორკვეული“ ვარ. და იცით როგორც? ვითარცა... ფილისტერი.

აბ დიაგნოზს, მართალი გითხრათ, არ გავუკვირვებივარ. აბა საიდან გავიგებდი მე მოწინავე აზრებს, როცა ამათ პირი სულ ყვირილა—ზეინტაფონისაკენ უქნიათ და ის „წრე“, რომელშიაც ჩემი აზრი „შექმნილა“ თუ შემუშავებულა, სულ ერთიანად დაუვიწყნიათ. კიდევ კარგი, რომ ბ-ნი ყვირილელი კეთილი გულის ახალგაზრდა კაცი ყოფილა და ჩემისთანა ფილისტერის სასწავლებლადაც მოუცლია. და, უნდა გითხრათ, ნამდვილ სასკოლო მეთოდით ხელმძღვანელობს. გიმნაზიის მესამე თუ მეოთხე კლასში მოწაფეებს გრიბოედოვს აკითხებენ; მეც მესამე კლასამდის მისულად მივუჩნევივარ, — პირველ სტრიქონებიდანვე გრიბოედოვის სიტყვებით მიხსნის გონებას და შემდეგი ციტატით არღვევს და უარჰყოფს ხალხის გამრავლების მნიშვნელობას: „Чтоб

иметь детей кому ума не доставало?“ ე. ი., ქართულად რომ ვთქვათ,—შვილების გასაჩენად რა დიდი ჭკუაა საჭიროო. მეც მგონია, — დიდი არაფერი, მხოლოდ ძნელი გასაგებია, რა სიტყვაზე მოსატანი უნდა იყოს აქ ეს შენიშვნა. შეიძლება, რაიმე საქმის გაკეთებას დიდი ჭკუა არ სჭირდებოდეს, მაგრამ სარგებლობით კი ძალიან სასარგებლო იყოს. მაგალითად, წყლის მილთან ბოჭკის წყლით ავსებას და სახლებში მოტანას ჭკუა არ ესაჭიროება, მაგრამ მიუხედავად ამისა, წყლის მზიდველთა შრომა ძალიან სასარგებლო მოქმედებაა. თანამედროვე სამრეწველო წარმოებაში, ტეხნიკის განვითარების წყალობით. შრომა ისეა დაყოფილ-დანაწილებული, რომ პატარა ბავშვსაც კი შეუძლია მანქანასთან მუშაობა და სამრეწველო ნაწარმოებთა დამზადება. მაგრამ ამით მშრომელ ხალხს საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ აკლდება და როგორც წინეთ, ისე ეხლაც მის შრომაზეა დაფუძნებული მთელი საზოგადოების არსებობა და საერთო კულტურის განვითარება. ასე ფიქრობენ ჩემისთანა „ფილისტერები“. ალბათ სცდებიან, რადგან „კვალის“ რადიკალ სიბრძნის კარაბადინში სულ სხვანაირად წერებულა.

ეს არის ბ-ნ ყვირილელის ერთად ერთი „საბუთი“, რომელიც ამტკიცებს ვითომ, რომ ხალხის გამრავლებას არავითარი საზოგადოების წინწაწევა ძალა და მნიშვნელობა არა აქვს. ცოტა ქვევით თავის წერილში იგი იმასვე იმეორებს ქართული პროზით, რაც ზევით სთქვა რუსული ლექსით. „არც ერთის გარემოება, — სწერს იგი,—რომელზედაც გვითითებს ბ-ნი გოგიჩაიშვილი, არ წარმოადგენს ერის წინ წაწევ მოვლენას. თავის თავად ვერც ქორწინების გამრავლება, ვერც ის აღზრდა, რომელსაც ბ-ნ გოგიჩაიშვილისაგან აღებული ოჯახი აძლევს შვილს, ვერ გააძლიერებს ერს, ხალხს, საზოგადოებას“. ზევით მოგახსენეთ, რომ ბ-ნმა ყვირილელმა თავი ისახელა თავისი წინდაუხედავ მამაცობით და გაბედულობით მეთქი. აქ თქვენის თვალით ხედავთ, თუ როგორის რიხით და სიმტკიცით ლაპარაკობს იგი. საბუთიო, — იქნება ჰკითხოთ მას. ტყუილად დროს დაჰკარგავთ,—საბუთისთვის ბ-ნი ყვირილელი თავს არ იწუხებს. მან სთქვა,—„ვერ გააძლიერებსო“ და შაბაშ,—მორჩა და გათავდა: ჩვენი „ფილისტერული“ აზრი დაირღვა და „კვალის“ რედაქციის რადიკალიზმმა გაიმარჯვა.

ან-კი ახალ და მოწინავე აზრებით გაჟღენთილი ყმაწვილი კაცი თავს როგორ შეიწუხებდა საბუთების მოსაძებნად. განა ეს არ ეყოფა, რომ „გამოარკვევს“ ხოლმე სხვის „ფიზიონომიას“ და „ფილისტერობას“. ფილისტერული აზრი მა რიღასი ფილისტერულია თუ მის დასარღვევად ვინმეს საბუთების ძებნა და ჭკუის შეწუხება დასჭირდება. ასეთია ეხლანდელ სამეცნიერო „კვალის“ მეცნიერ მეთაურის ლოგიკა.

მაგრამ,—არ ვიცი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ,—ჩვენისთანა ფილისტერებს ასეთი ჩვეულება არა აქვთ. ფილისტერი პატარა კაცია. არის გართული წვრილმანებში და აქცევს თავის ყურადღებას წვრილმან საგნებს, რომლებსაც ბ-ნ ყვირილელისთანა დიად საქმეებით და იდეებით გატაცებული რადიკალი თავის დღეში არ შეხედავს და არ გახდის თავის ყურადღების ღირსად. ის, რასაც ბ-ნი ყვირილელი უმნიშვნელოდ სთვლის, ჩვენ დიდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. ცხადია, აქ არის აზრთა შეუთანხმებლობა და წინააღმდეგობა. „კვალის“ „პუბლიცისტი“ უარჰყოფს იმას, რასაც ჩვენ ვექომაგებით და ვიცავთ. მართალია, ამის საბუთებს არ აცხადებს, მაგრამ ეს მას არც ესაჭიროება.—უსაბუთობა ბ-ნ ყვირილელის პრივილეგიაა. სულ სხვაა ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა: ჩვენ იძულებული ვართ, რაიმე აზრის დასამტკიცებლად მკითხველს, რაც შეიძლება, მეტი საბუთები წარვუდგინოთ, რადგან ფილისტერული აზრების გასაღება საბუთებითაც სჭირს, თორემ უსაბუთოდ ხომ ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელია. მაშ გადავხედოთ საგანს ერთხელ კიდევ ჩვენებურად—„ფილისტერულად“ და გავითვალისწინოთ დაოჯახიანებისა და ხალხის გამრავლების საზოგადოებრივი აზრი და მნიშვნელობა.

ადამიანის ბუნებრივ, ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებში ერთი ძლიერთაგანი არის სქესებრივი მოთხოვნილება, შთამომავლობის გამრავლება-გავრცელების ლტოლვილება. ეს იცოდა უკვე ოთხასი წლის წინეთ ერთმა გერმანელმა ბერმაც, რომელსაც სახელად ლუტერი ეწერება, „ვინც ცდილობს,—სწერს იგი, — რომ ბუნებრივი მოთხოვნილება უარჰყოს, — ეწინააღმდეგება ბუნებას. ამგვარ კაცის ცდა ასეთი მიზნისკენაა მიმართული: რომ ბუნება არ ბუნებობდეს, ცეცხლი არ სწვავდეს, წყალი არ ასველებდეს, ადამიანი არ სვამდეს, არ ჭამდეს და არ იძინებდეს“. ეს სიტყვები,—დასძენს ის ავტორი, რომელიც ამ წერილის დასაწყისში გვყავს ნახსენები, — ღირსია იმისი, რომ დაწერილ იქმნეს იმ შენობათა კარებზე, რომლებშიაც ხორცისა და სხეულის ცოდვიანობაზე ხშირად ჰქადაგობენო.

ფილოსოფოსის კანტის სიტყვით, „კაცი და ქალი მხოლოდ ერთად შეერთებულნი შეადგენენ ერთ სრულ ადამიანს,—ერთი სქესი ასრულებს და ამდიდრებს მეორეს“. ამასვე ამბობენ და ამტკიცებენ ყველა ფიზიოლოგები და პსიხოლოგები. მაგალ., დებე ამბობს: „სქესთა შეკავშირება ერთი უდიდეს კანონთაგანია ცოცხალ ბუნებისა. ქალი და კაცი, როგორც ყველა სხვა არსებანი, ამ კანონის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და არ შეუძლიათ მისი უარის ყოფა უიმისოდ, რომ მათმა სხეულმა ეს არ იგრძნოს და ზიანი არ განიცადოს“. დოქტორი ბუში

სწერს ერთ თავის სამკურნალო თხზულებაში: „განსაკუთრებით ქალის ორგანიზმისთვის სქესებრივ კავშირის უქონლობა დიდად მავნებელია“.

ამ მავნებლობას ცხადად და ნათლად გვიჩვენებს სტატისტიკა. 1853 წელს ბავარიაში 4899 სულით ავადმყოფი იყო (ორივე სქესისა). აქედან 81%-ს შეადგენდნენ უცოლო მამაკაცები და უქმრო ქალები, ხოლო მარტო 19%-ს დაქორწინებულები. 1882 წელს პრუსიაში 10000 მამაკაცზე მოდიოდა 9 დაქორწინებული სულით ავადმყოფი, 33 დაუქორწინებელი და 32 დაქვრივებული. ასევე 10000 ქალში 9 ქმრიანი სულით ავადმყოფი, 29 დაუქორწინებელი და 25 დაქვრივებული. 1895 წელს პრუსიის სულით ავადმყოფთა სამკურნალოებში იყო სულ 18159 მამაკაცი, რომელთაც დაბადების შემდეგ გასჩენოდათ ეს სენი. ამათგან ცოლიანი იყო 5103, უცოლო (დაუქორწინებელი) 12106, დაქვრივებული 789 და ცოლებისგან განშორებული 161. იმავე წელს ამგვარ სენით შეპყრობილ ქალთა რიცხვი შეადგენდა 16710, აქედან ქმრიანი იყო 4717, უქმრო (დაუქორწინებელი) 9319, დაქვრივებული 2395 და ქმრებისგან განშორებული 279. მკითხველი ცხადად ხედავს, რომ დაუქორწინებელთა რიცხვი აქ ძალიან დიდია შედარებით დაქორწინებულებთან.

იგივე სტატისტიკა გვიჩვენებს აგრეთვე, რომ თავის-მკვლელობა შედარებით უფრო ხშირია დაუქორწინებელ მამაკაცებსა და ქალებში, ვიდრე დაქორწინებულებში. საფრანგეთში (1889-91 წ.) 1 მილიონ მამრობითი სქესის მცხოვრებთა რიცხვზე მოდის 435 ცოლიანი თავის-მკვლელი მამაკაცი, 1011 დაუქორწინებელი და 714 დაქვრივებული. ასევე ერთ მილიონ მდედრობითი სქესის მცხოვრებთა რიცხვზე: ქმრიანი თავის-მკვლელი ქალი 108, დაუქორწინებელი 156 და დაქვრივებული—210.

რა თქმა უნდა, როგორც სულით ავათმყოფობის, ისე თავის-მკვლელობის ერთად-ერთი მიზეზი უცოლობა და უქმრობა არ არის, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აქ ამ გარემოებასაც თავისი გავლენა და მნიშვნელობა აქვს. პროფესორი კრაფტებინგი სწერს ამ საკითხის შესახებ სხვათა შორის შემდეგს: „ერთი საყურადღებო მიზეზი ქალთა სულით ავადმყოფობისა მათს სოციალურ მდგომარეობაში არის დამარხული. ბუნებით ქალში ძლიერია დედად გახდომის მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილების განმხორციელებელი და დამაკმაყოფილებელი საშუალება ერთად-ერთი ქორწინებაა. მრავალ შთამოებათა და საუკუნეების განმავლობაში ქალის ხასიათი ამ ხრით შემუშავებულა და დამკვიდრებულა. უკვე სულ პაწაწა გოგო ეთამაშება და დედობას უწევს დედოფალას. მაგრამ თანამედროვე ცხოვრებაში, რომელშიაც მოთხოვნილებანი გადიდდა და გაიზარდა, ქალისთვის თანდათან სა-

ძნელო ხდება ქორწინებით თავისი სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. განსაკუთრებით გაძნელებული ქორწინება საზოგადოების უმაღლეს წრეებშია.

„ახლანდელ საზოგადოებრივ წეს-წყობილებაში მამაკაცი თავისუფლად იკმაყოფილებს მოთხოვნილებას,—მას აქვს სოციალური თავისუფლება. და ესეც რომ არ იყოს, შეუძლია ისეთ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რომელიც მთელ მის ძალ-ღონეს მოითხოვს და ამნაირად მასში ჰპოვოს ცოლ-შვილისა და ოჯახის სამაგიერო დაკმაყოფილება. მაგრამ სულ სხვაა ქალის სოციალური მდგომარეობა. პატიოსან ქალს არ შეუძლია მამაკაცსავით „თავისუფლად“ მოქმედება. ამიტომ იდუმალად თუ ცხადად ქალში იბუდებს უკმაყოფილების გრძნობა როგორც თავისი თავისა, ისე მთელ ქვეყნიერობის მიმართ. ეშლება ნერვები, ემართება ისტერია და უჩნდება სულით ავადმყოფობა. ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქალებს უფრო ხშირად 25—35 წლისას უჩნდებათ სულიერი სენი და გონების არეულობა.“

დოქტორი პლოსი, რომელიც აგრეთვე სპეციალისტია ფიზიოლოგიაში, დიდ მნიშვნელობას აძლევს ქორწინებას ქალის ჯანმრთელობისათვის. „ხშირად შეამჩნევთ ხოლმე,—სწერს იგი,—რომ ქალი, რომელიც უდროოდ დამჭკნარა და დამლრალა. გათხოვების შემდეგ ხელად იცვლება და იფურჩქნება; ტანის მოყვანილობა ზომიერად უმრგვალდება, ლოყებს ვარდის ფერი უბრუნდება და თვალებს ახალგაზრდული სიბრჭყვიალე და გამომეტყველება ეძლევა. ქორწინება ნამდვილი გაახალგაზრდების და განახლების წყაროა დედა-კაცთა სქესისათვის“.

ეხლა ჭკითხველს შევეკითხებით: რას მოწმობენ ყველა აქ ჩამოთვლილი საბუთები და სპეციალისტთა სიტყვები? თუ ძლიერ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადამიანისთვის აუცილებლად საჭირო და სასარგებლოა, თუ მის დაკმაყოფილებას გავლენა აქვს ადამიანის პსიხიურ ორგანიზაციაზე, სულის ავადმყოფობისა და თავისმკვლელობის გავრცელებაზე, თუ დაქორწინებას განმანახლებელი და გამაახალგაზდაევებელი ძალა აქვს ქალთა სქესისათვის, ე. ი. კაცობრიობის სრულ ნახევრისათვის, თუ ყველა ეს მართალი და დამტკიცებულია სპეციალისტ მეცნიერთაგან, რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ დაქორწინებისა და დაოჯახიანების შესახებ? ყოფილა თუ არა იგი საზოგადოებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი? არა მგონია, რომ აქ ორნაირი პასუხი შეიძლებოდეს. რამდენადაც ქორწინების გახშირება ხელს უწყობს ზემოხსენებულ ცუდ მოვლენათა შემცირებას, ზნეობის გაფაქიზებას და ადამიანთა ბიოლოგიურ და სოციალურ ცხოვრების განკარგებას და გაუმჯობესებას, იმდენად იგი აუცილებლად სა-

ბერია და სასარგებლოა მთელი საზოგადოებისთვის. ეს ისე ცხადია, რომ ბავშვის გონებისთვინაც-კი მისაწვდომი და გასაგებია.

დაოჯახიანებას ახლავს ამას გარდა მეორე მხარეც, რომელიც საზოგადოებისთვის ამაზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელ სარგებლობის მომტანია. ეს არის—შთამომავლობის წარმოშობა, ხალხის შეუწყვეტელი გამრავლება და გადიდება. „ოჯახის საშუალებით,—ვწერდით ჩვენ წინეთ,—საზოგადოებას მუდამ ახალი ელემენტი ემატება, რომელიც იჭერს ძველების ადგილს, იწყებს მოქმედებას, მუშაობას, ანახლებს ძველ ცხოვრებას და ჰქმნის კულტურულ წარმატებას". ამ სიტყვებისთვის ბ-ნმა ყვირილელმა გაუსწორებელი ფილისტერი გვიწოდა და გრიბოედოვის ლექსით ჭკუა გვასწავლა. „მოლიერის ერთმა გმირმაო—ოხუნჯობს ის—მხოლოდ სიბერის დროს შეიტყო, რომ ის მთელ თავის სიცოცხლეში პროზით ლაპარაკობდა. შენც, თუ შვილები გყავს, მხოლოდ ახლა შეიტყობ, რომ მათი გაჩენით საზოგადო მოღვაწეთა რიცხვში ჩაეწერე". რასაკვირველია, მე არასად არ მითქვამს, რომ შვილების გაჩენა საზოგადო მოღვაწეობას ნიშნავს მეთქი. რა ჰქნას ახალგაზრდა რაინდმა, თუ ოხუნჯობით არ გადააფუჩეჩოს. მე ვთქვი მხოლოდ, რომ ხალხის გამრავლება საზოგადოების წინსვლას ხელს უწყობს, რადგან მრავლდება მუშა და მომქმედი ელემენტი, და, როგორ გგონიათ,—ბ. ყვირილელმა ეს სიტყვებიც გადააუკულმართა და მომაწერა, ვითომ მე ქორწინებისა და ხალხის „სიმრავლეს ყოვლად მხსნელ" პანაცეად ვთვლიდე. ასეთ ლოღიკის პატრონს რომ უთხრათ: პური ადამიანის საზრდოაო, მაშინვე გიკიჟინებს,—გეტყვის: არ გცოდნია, რომ პურს გარდა სხვა რამეც ასაზრდოებს ადამიანსო. არ ვიცი,—როცა მე ლოღიკის კურსს გავდიოდი, მაშინ ამგვარ დასკვნას ულოღიკობა ეწოდებოდა. ალბათ, მას შემდეგ მეცნიერებაში ცვლილება მოხდა და ჩემამდის აღარ მოაღწია.

ნაგრამ ამ ცვლილებას არ მიუღწევია, როგორც სჩანს, შუაგულ ევროპაში მცხოვრებ ბებელამდინაც. ხალხის სიმრავლეს ისიც ისეთსავე მნიშვნელობას აწერს, როგორც ჩვენ. რა თქმა უნდა, ბებელის ნაწერები ჩვენ გუშინ და გუშინ-წინ არ გაგვიცვნია და თუ დღეს მისი ერთი წინადადება ამ წერილის სათაურში ამოვწერეთ —მხოლოდ ბ-ნ ყვირილელის საყურადღებოდ და მკითხველის დასარწმუნებლად, რომ ჩვენი მოკამათე იმ მწერალსაც არ იცნობს, რომლის მოძღვრების ცოდნას თავგამოდებით ჩემობს.

„ხალხის მატება და გამრავლება — სწერს იტალიელი ეკონომისტი ლორია (Problèmes sociaux contemporains)—ძალას ატანს ადამიანებს, წარმოება გაადიდონ და გარეშე ბუნებასთან ბრძოლის ენერგია გააძლიერონ. ადამიანის ჭკუა-გონება იძულებული ხდება წარმოების

უკეთესი მეთოდი გამოიგონოს და ეკონომიური ურთიერთობა გააუმჯობესოს."

ხალხის ზრდას და გამრავლებას, გარდა ეკონომიურისა, დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ერისათვის. ბ-ნი ყვირილელი, რასაკვირველია, ამის თანახმაც არაა, ხოლო რაზეა მისი უთანხმოება დაფუძნებული, ამას, ჩვეულებისამებრ, არ გვიმხელს და არ გვაგებინებს. სამწუხაროდ, აქ ადგილი აღარ გვრჩება ამ საგანზეაც მოვილაპარაკოთ და იძულებული ვართ ამის შესახებ წინანდელ წერილში ნათქვამს დავკმაყოფილდეთ.

დასასრულ ოჯახს ახლავს კიდევ ერთი მხარე, რომელიც დიადი მნიშვნელობისაა მთელ საზოგადოებისა და ერისათვის. ესაა შვილების აღზრდა,— ისეთი სფერო კერძო ოჯახურ ცხოვრებაში, საცა მეოჯახეს შეუძლია შეგნებულად თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანოს თავის ერს და ნამდვილ საზოგადო მოღვაწედ მისაჩნევი და საღიარებელი გახდეს.

ამას ჩვენ დაწვრილებით შემდეგ (უკანასკნელ) წერილში გავარკვევთ.

III

მეოჯახეობა და საზოგადო მოღვაწეობა

ვფიქრობთ, წინა წერილებში ჩვენ საკმაოდ ვრცლად შევეხეთ ადამიანის ცხოვრების კერძო და საზოგადოებრივ მხარეებს და,—იმედი გვაქვს, — ნათლად და გასაგებად გავარკვიეთ იმათ შორის არსებული კავშირი და დამოკიდებულება. კერძო ცხოვრების ერთ მაგალითად ჩვენ ავიღეთ დაოჯახიანება და დავასაბუთეთ ამისი საზოგადოებრივი ინტერესი და მნიშვნელობა,—დავამტკიცეთ ოჯახის სოციალური სარგებლობა და საჭიროება. დაოჯახიანება აკმაყოფილებს ადამიანის ძლიერ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას, ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას, ზნეობის გაფაქიზებას, ბიოლოგიურ და სოციალურ ცხოვრების გაუმჯობესებას; ამრავლებს ხალხს,—აძლევს საზოგადოებას მუდამ ახალ ელემენტს, რომელიც იჭერს ძველების ადგილს, იწყებს მოქმედებას, მუშაობას, ანახლებს ძველ ცხოვრებას, ჰქმნის კულტურულ წარმატებას და განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ხალხს ჰმატებს ეროვნულ ძალას და მნიშვნელობას. ამიტომ,—ვითარცა ლოღიკური დასკვნა ყველა ზემოდ ნათქვამიდან: — ყოველი ადამიანი, რომელიც ასრულებს ამ სოციალ-ორგანიულ ფუნქცი-

ას,—ჰკიდებს ხელს ოჯახს, იჩენს ცოლ-შვილს და იღვწის ოჯახისათვის. ჩვენ მიგვაჩნია ამ მხრით საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო პირად.

მაგრამ სარგებლობის მოტანა კიდევ არ ნიშნავს საზოგადო მოღვაწედ გახდომას. არც ერთი აქამდის ნახსენები სიკეთე და სარგებლობა, რომელიც მოაქვს ოჯახს საზოგადოებისათვის, არ ხდის მეოჯახეს საზოგადო მოღვაწედ და საზოგადო მუშაკად მისაჩნევად. მართალია, ოჯახის, ასე ვთქვათ, ფიზიოლოგიური მხარე სასარგებლო და საჭიროა საზოგადოებისათვის, მაგრამ შეცდომა იქნება, აქედან რომ ვინმემ დასკვნას: ყოველი დაქორწინებული ადამიანი, რომელიც თავის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს, შთამომავლობას ამრავლებს და ამით საზოგადოებას ორგანიულ სამსახურს უწევს, საზოგადო მოღვაწე და მუშაკი არისო. და ეს იმიტომ, რომ მარტო სარგებლობის მოტანა არ მოასწავებს საზოგადო მოღვაწეობას. „ყოველ კაცს,—ვწერდით ჩვენ იმ წერილში, რომლის გამო „კვალმა“ ფილისტერის დიპლომი გვიბოძა, — რომელსაც თავისი მოქმედებით ასე თუ ისე საზოგადოებისათვის სარგებლობა მოაქვს, საზოგადო მოღვაწის სახელით ვერ მოვნათლავთ. მაგალითად, ბ-ნი პალმი უეჭველად საზოგადო მოღვაწე არის. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მის „მოღვაწეობას“, თუ არ ვნება, სარგებლობა არაფერი მოაქვს. ამიტომ თუ საზოგადო მოღვაწის სახელი მხოლოდ სარგებლობის მომტან კაცს ვარგუნეთ, მაშინ ბ-ნი პალმი სიაში არ მოჰყვება და დაგვემდურება. სამაგიეროდ გლეხი, რომელიც სამეურნეო ჭირნახულის მოწევით დიდ სარგებლობას აძლევს საზოგადოებას, საზოგადო მოღვაწედ ჩასათვლელი გახდება“. ასეა მეოჯახის შესახებაც, რამდენადაც მის ცხოვრებაში არის პირად სიამოვნების სამსახური და სხეულის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მოღვაწეობა განსაზღვრულ მიზნითა და მიმართულებით მუშაობას ნიშნავს. ხოლო ფიზიოლოგიურ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როგორიც არის, მაგალითად, ჭამა, სმა, ძილი და სხვა ამგვარი, მხოლოდ ფუნქციაა ორგანიზმისა, რომელიც არავითარ შრომას და გარჯას არ შეიცავს.

აი, ამ საფუძვლით ეჩვენა „კვალის“ „პუბლიცისტს“ ჩვენი წინანდელი წერილი სასაცილოდ, რომელშიაც ჩვენ მეოჯახის საზოგადო მოღვაწეობაზე ვლაპარაკობდით. „კარგია სწორედ,—დაგვცინის ბ-ნი ყვირილელი. — დაიკმაყოფილეთ თქვენი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი და... გათავდა, — საზოგადო მოღვაწის სახელი თქვენთვის მზად იქნება“. ასეთი აზრი მხოლოდ ისეთ ძალიან ახალგაზრდა კაცს მიეტევება, როგორიც უნდა იყოს ჩვენი მოკამათე. მოგეხსენებათ, რომ ბავშვს, როცა იგი სქესებრივ სიმწიფის ასაკში გადავა, განსაზღვრულ

შინაარსისა და მიმართულების ფანტაზია ძალიან გაუცხოველდება... ბ-ნი ყვირილელიც სწორედ ისე ფიქრობს, როგორც ერთი ბარის გლეხი, რომელიც ეუბნებოდა მეცხვარეს: „შენ რა გიჭირს, ცხვრები გყავს და მუდამ ცხვრის დუმას სჭამო". მას ჰგონია, რომ ოჯახის შინაარსს მარტო „ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება" შეადგენს და სხვა არაფერი.

ნამდვილად კი ოჯახს ახლავს რამდენიმე მხარე და ამათში განსაკუთრებით ერთი, რომელიც „ფიზიოლოგიის" ფარგალს გაცილებულია და ამასთან დიდად მნიშვნელოვანია მთელ საზოგადოებისა და ერისათვის. ეს ისეთი სფერაა კერძო ოჯახურ ცხოვრებაში, საცა მეოჯახეს შეუძლია შეგნებულად დიდი სარგებლობა მოუტანოს თავის ერს და აქ, ამ „კერძო ცხოვრების" ნიადაგზე, საზოგადო მოღვაწედ მისაჩნევი და საღიარებელი გახდეს. ეს გახლავთ შვილების გაზრდა,—თავის ერისთვის შეგნებულ, მშრომელ და სასარგებლო წევრების მომზადება. ჩვენ ეს მხარე ოჯახურ ცხოვრებისა ისე დიდ მნიშვნელოვნად და საკეთილოდ მიგვაჩნია, რომ ერთ წუთსაც არ შეედრკებით,—ის შამა, რომელიც აქ თავის მოვალეობას წესიერად ასრულებს, ჩუმ, მაგრამ სასარგებლო საზოგადო მუშაკად აღვიაროთ და მისი ღვაწლი შესაფერად დავაფასოთ.

სულ სხვაა ბ-ნი ყვირილელი,—იგი რადიკალურად უარჰყოფს ყველაფერს. მას სულ სხვანაირად ესმის როგორც საზოგადო მოღვაწეობა, ისე ოჯახის საზოგადოებრივი აზრი და მნიშვნელობა. მისი აზრით, ჩვენ თურმე ისე ფართო ფარგალს ვაძლევთ „საზოგადო მოღვაწეობის" ცნებას, რომ შიგ „ყველა ფილისტერი, რომელიც კი დედამიწის ზურგზე არსებობს, დაეტევა". სამაგიეროდ, თვითონ ისე ვიწროდ ფარგლავს ამ ცნებას, რომ შიგ არა თუ „ფილისტერები", ბევრი ნამდვილი მოღვაწეებიც ვერ მოთავსდებიან. იგი სწერს: „საზოგადო მოღვაწე—ეს ისეთი ადამიანია, რომელმაც თავის პიროვნება გააფართოვა, შეითვისა და შეისისხლხორცა რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფის ინტერესები, ჩაერია საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავის მოქმედებას სარჩულად ამ ჯგუფის ინტერესთა დაცვა დაუდვა". იმედია, მკითხველი მიმხვდარია, თუ სად უკაკუნებს ჩვენი მოკამათე: რომელიმე კლასის ინტერესების დაცვა საზოგადო მოღვაწეობას ნიშნავს და ბებელი, მაგალითად, საზოგადო მოღვაწედ ჩასათვალია და ითვლება: მაგრამ ქვეყანაზე ბებელისა და მისი პარტიის მსახურთა გარდა სხვა მოღვაწენიც მოიპოვებიან. რა ვუყოთ და როგორ მივიჩნიოთ ისეთი მოღვაწეები, რომლებიც ერთ რომელიმე „ჯგუფს" არ ემსახურებიან? შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ მაგალითისთვის ბ-ნი იაკ. გოგებაშვილი. ამ კაცის მოქმედების და მუშაობის მთავარ საგანს ქართული ენის დაც-

ვა და გახმტკიცება შეადგენდა მუდამ. და ენის დაცვა ხომ „ერთი რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფის ინტერესების დაცვას“ არ მოჰყვა-ვებს. რა ვუყოთ გოგებაშვილს, გამოვრიცხოთ მოღვაწეთა სიიდან? და რამდენი იცის ისტორიამ ისეთი მოღვაწეები, რომლებიც მარტო „ერთი ჯგუფისთვის“ არ იღვწოდნენ. მაგალითად, პასტერის აცრის საშუალება, რომლის გულისთვის, ვინ იცის, მეცნიერს რამდენი უძილო ღამეები გაუტარებია, ნეტა რომელ ჯგუფისათვისაა“ გამოგონებული? ან, იქნება, პასტერი საზოგადო მოღვაწედ ჩასათვლელი არ იყოს. რადგან იგი „საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ არ „ერევოდა“, მიტინგებს არ მართავდა და პოლიტიკურ სიტყვებს არ ამბობდა? ჩვენ, ფილისტერებს, ასე გაგვიგონია მეცნიერულ განსაზღვრის დანიშნულება: რომ იგი სავსებით უნდა იტევდეს და ჰფარავდეს თავის კალთას ქვეშ იმ ცნების ყველა მაგალითებს, რომლისთვინაც დადგენილია. ბ-ნ ყვირილელის განმარტება-კი მოგვაგონებს პატარა ბავშვს, რომელმაც მასწავლებლის კითხვაზე: ვის ეწოდება მშობლები?— უპასუხა. „პაპა“ ალიოშას და „მამაშა“ მარუსიასო.

ვნახოთ ეხლა ის განმარტებაც, რომელიც, თავისი სიფართოვის გამო, „მთელი დედამიწის ფილისტერებს დაიტევს“. „საზოგადო მოღვაწედ უნდა ვიგულისხმოთ ისეთი კაცი,—ვწერდით ჩვენ,—რომელიც თავისი მოქმედებით—სიტყვით თუ საქმით—ხელს უწყობს საზოგადოებრივ ცხოვრების მოძრაობას, იღებს მონაწილეობას ამ მოძრაობაში, საზოგადო საქმეებში, ჰპატებს საზოგადოებას ძალას, შეაქვს—ან განზრახვა აქვს მაინც შეიტანოს თავისი წვლილი ხალხის კულტურულ განვითარებაში და მთელ თავის ამგვარ მოქმედებაში ხელმძღვანელობს უწინარეს ყოვლისა არა საკუთარ გამორჩენისა და სარგებლობის მიზნით, არამედ მისგან ამა თუ იმ სახით შეთვისებულ ჰეშმარიტებით და საზოგადო სარგებლობით“.

როგორც ჰხედავთ, ჩვენ ერთი რომელიმე პარტიის ან „ჯგუფის“ მუშაკთა გარდა სხვანიც მიგვაჩნია საზოგადო მოღვაწეებად. საზოგადო მოღვაწედ ვსთვლით ისეთ პირსაც, რომელსაც განზრახვა აქვს საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოს, მოქმედობს და იღვწის, მაგრამ თავისი უნიჭობისა და სხვა მიზეზის გამო ცხოვრებაში კვალს ვერ აჩენს და მიზანს ვერ აღწევს. ბ. ყვირილელის შემეცნება ამ მარტივ აზრამართლიანობასაც ვერ ითვისებს, რომ ყოველი ადამიანის მოქმედება უნდა დავაფასოთ ზნეობრივად იმ მოტივებისა, ლტოლვილების და მეცადინეობის საფუძვლით, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობდა, და არა იმ მცირე ნაყოფით ან უნაყოფობით, რომელიც მის მოქმედებას მოჰყვა შედეგად. ნაცვლად ამის შეგნებისა, ჩვენი მოკამათე ასეთ აზრს გვაწერს, ვითომ ეს ჩვენ გამოგვეთქვას: „ოღონდ გამოაცხადეთ,

განზრახვა გვქონდა საზოგადო სარგებლობისა, ვხელმძღვანელობდით ამა თუ იმ სახით შეთვისებულ ჭეშმარიტებითო, და გათავდა, — საზოგადო მოღვაწის სახელი თქვენთვის მზად იქნებაო“.

ბ-ნ ყვირილელის მიერ აზრის ასე გადამახინჯება პირველი და უკანასკნელი არაა და არც ღირს ამაზე ყურადღების მიქცევა. უფრო საინტერესოა აქ შემდეგი გარემოება. მას არ მოსწონს, როცა ჩვენ საზოგადო მოღვაწეზე ვამბობთ, რომ იგი „ხელმძღვანელობს მისგან ამა თუ იმ სახით შეთვისებულ ჭეშმარიტებით და საზოგადო სარგებლობითო“. ალბად, იგი სავალდებულოდ უხდის ყველას იმ „ჭეშმარიტებით“ ხელმძღვანელობას, რომელიც მას, ბ-ნ ყვირილელს, „ამა თუ იმ სახით“ (ე. ი. ყურის მოკვრით თუ აქა-იქ ამოკითხვით) „შეუთვისებია“, და საზოგადო მოღვაწეებადაც მხოლოდ იმათ სთვლის, ვისაც ეს მისი „ჭეშმარიტება“ მიაჩნია სიმართლედ და ქვეყნის სამსახურად. აი, ეს გაბლავთ მსჯელობა, რომელიც მოწმობს სრულ თეორიულ უძლურებას და უსუსურობას.

ნამდვილად—კი მოქმედება და საზოგადოებისათვის სასარგებლო მუშაობა არსებობს ბ. ყვირილელის გონებრივ „ფარგლის“ გარედაც. და ერთი ამგვარი მოქმედებაა ოჯახის მამის გარჯა და მეცადინეობა, რომელსაც საგნად აქვს მოზარდ თაობის აღზრდა-განვითარება და საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრებად მომზადება. დღევანდელ წესწყობილებაში კერძო კაცი, მამა შვილებისა, თავისი შვილების გამოზრდით ასრულებს იმ როლს ანუ საქმეს, რომელსაც მომავალ „გასოციალებულ“ საზოგადოებაში გაუძღვება და შეასრულებს საზოგადო ორგანიზაცია და ერთობა. რამდენადაც ჩვილი ბავშვი წარმოადგენს ადვილად შემთვისებელ ნიადაგს ყოველგვარ გრძნობა-შთაგონებისათვის, იმდენად დიდია ზნეობრივი მოვალეობა ოჯახისა, რომელიც აძლევს მას განვითარების დასაწყისს და განსაზღვრულ მსვლელობას. ამდენადვე დიდია საზოგადოებრივი როლი და მნიშვნელობა მშობლებისა, რომლებიც უწევენ მოზარდ არსებას გონიერ აღმზრდელობას, მის ჩვილ გულსა და სულს უნერგავენ მაღალ გრძნობას და გონებას აძლევენ სასურველ შინაარსს და მიმართულებას.

„მე მგონიაო,—ამბობს მონტენი, — რომ ყველა ჩვენ ნაკლულევანებათა დასაწყისი ჩვილ ბავშვობაშია წარმომდგარი და ჩვენი ასე თუ ისე წარმართვა უმთავრესად იმათ ხელშია, ვინც ბავშვობისას ძუძუს გვაწოვებსო“. „ნამდვილი აღზრდა აკვნიდანვე იწყება,—სწერს პროფესორი მარიონი.—მემკვიდრეობის შემდეგ არაფერი ისე ხელს არ გვიწყობს გავხდეთ იმად, რაცა ვართ, როგორც აღზრდა... ბავშვის ზნეობრივი მხარე სულ ერთიან მშობლების გავლენის ქვეშ ვითარდება.

შეგნებულად თუ შეუგნებლად, გავლენით თუ ყურადღების მიუქცევლად, განზრახ თუ სრულიად დაუფიქრებლად მშობლები ჰქმნიან ბავშვის ზნეობა-გონებას და აძლევენ მას განსაზღვრულ ელ-ფერს და გამოხატულებას". ასე დიდია მშობლების გავლენა მოზარდ თაობაზე. და იმ მშობლებს, რომლებსაც შეუგნიათ ეს, შეუგნიათ აგრეთვე თავისი ზნეობრივი მოვალეობა და თავიანთ შვილებს პატარობიდანვე შეძლების დაგვარად კეთილ და პატიოსან გზაზე აყენებენ, საზოგადოებას კარგ მოქალაქეებს და ერს კარგ წევრებს უმზადებენ, განა არ მიუძღვით საზოგადოებისა და ერის წინაშე ღვაწლი და დამსახურება? ოჯახურ აღზრდის შემდეგ მშობელი აძლევს შვილს სასწავლებელში. იტანს ამისთვის ათასგვარ დანაკლისს და გაჭირვებას, ხელს უწყობს ყოველ მხრით, რომ იგი გახდეს შეგნებული და განვითარებული ადამიანი, და ყველა ეს, ბ-ნ ყვირილელს რომ ჰკითხოთ, იცით, რა ყოფილა? სრულიად „კერძო" საქმე და მარტო „ფიზიოლოგიურ მოთხოვნილების" დაკმაყოფილება.

მამა იმიტომ იღვწის, რომ თავისი შვილი უყვარსო, იტყვის ვინმე, მაგრამ სიყვარულის გრძნობა სრულიად არ აქარწყლებს და არ აბათილებს იმ მნიშვნელობას და სარგებლობას, რომელიც მოაქვს საზოგადოებისათვის მის „კერძო" შრომას და მოღვაწეობას. ვერ ნახავთ ვერც ერთ წერილს, რომელსაც თავის ნაწერ-ნაშრომზე დახედვა არ ეამებოდეს, მკითხველ საზოგადოებაში იმისი ქება და მოწონება არ სიამოვნებდეს. ყველას სიამოვნების გრძნობას ჰგვრის საკუთარ შრომის ნაყოფი: გლეხი გულწრფელად შეჰხარის თავის ყანას, სტკბება თავისი ოფლის ნაყოფით; მეჩექმე კმაყოფილებით გადახედავს თავის ნაკეთებ ჩექმებს, უბრალო კანცელარიის გადამწერიც—კი სიამოვნებით გადაათვალიერებს ხოლმე მისგან გადაწერილ საქმის ქაღალდებს. ეს არს პსიხოლოგიური მოვლენა, სულიერი დაკმაყოფილება, რომელსაც იწვევს ადამიანში საკუთარ შრომის განხორციელება და დასანახად გახდომა. ეს დაკმაყოფილება, რასაკვირველია, კიდევ მეტი და ძლიერია მშობლის გულში საკუთარ შვილის მიმართ. ცალკე ბუნებრივ ინსტიქტით და ცალკე თან-და-თანი შეჩვევით შვილი უხდება მშობელს ძვირფას და საყვარელ არსებად. მაგრამ ეს გარემოება არ გვაძლევს მაინც საფუძველს, მამის შრომა და ჯაფა შვილის რიგიანად გაზრდა-მომზადებაზე მხოლოდ მის კერძო საქმედ მივიჩნიოთ და საზოგადოებისთვის მოტანილი სიკეთე მას საზოგადო ღვაწლად და სამსახურად არ ჩავუთვალოთ.

გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიებიდან ჩვენ ვიცით, რომ მამებს თავიანთი შვილების კარგად გამოზრდით დიდი სამსახური გაუწევიათ კაცობრიობისათვის. ვისაც წაუკითხავს, მაგალითად, ჯონ სტიუარტ

შილის ავტობიოგრაფია, ეცოდინება, თუ როგორის თავ-გამოდებით და მართლა საკვირველის გულდადებით ასწავლიდა მას მამა, ჯეკს სტიუარტი. გამოჩენილი კაცები სრულებით ისეთი გამოფიტული „რიგორისტები“ არ იყვნენ, როგორადაც ეს ჰგონია ბ-ნ ყვირილელს, და თავის შვილების სწავლებას და აღზრდას დიდის გულმოდგინებით ჰკიდებდნენ ხელს. მარქსის ერთი კარგად მცნობი სწერს ამის შესახებ შემდეგს: „უნდა გენახათ მარქსი თავის შვილებთან ერთად, რომ აბ მეცნიერების გმირის გულითადობაზე და ბავშვურ სირბილზე ნამდვილი წარმოდგენა შეგედგინათ. ყოველთვის თავისუფალ წუთებში, სეირნობის დროს იგი თან დაატარებდა (schleppte mit) თავის პაწია შვილებს, თამაშობდა მათთან გიჟურად, ერთი სიტყვით ბავშვებთან იყო ნამდვილი ბავშვი... ხშირად ჩვენ „ცხენობანასაც“ ვთამაშობდით. მარქსი შეისვამდა მხარზე ერთ თავის გოგოს, მე—მეორეს, და ასე დავრბოდით და დავხტოდით. მარქსისთვის ბავშვების საზოგადოება მოთხოვნილებას შეადგენდა. და როცა თავისი შვილები წამოეზარდნენ, სამაგიეროდ შვილის შვილები მოესწრნენ. ერთხელ, როცა მარქსისას ვიყავი, შემდეგი სურათის მნახველი გავხდი. პატარა ჯონის, მარქსის შვილის შვილს, უცნაური აზრი მოუვიდა: თავისი ბაბუასი ოშნიბუსად ვადაქცევა, ხოლო ჩემი და ენგელსისა — ცხენებად. იგი შეაჯდა მარქსს მხარზე, მე და ენგელსი ცხენებად შეგვაბა, ხელში მათრახი დაიჭირა და წინ გაგვიგდო: „წინ, ჩქარა, ურა!“ გაჰკიოდა იგი. მარქსი ხვნეშით გარბოდა და შუბლიდან წურწურით ჩამოდენილ ოფლს იწმენდდა. თუ სადმე შევჩერდებოდით ან სირბილს ვუკლებდით, მაშინვე ჰაერში მათრახი გაიზუზუნებდა და ჩვენს ზურგზე წყვიდინს მოადენდა. „აბ, ბქვე გლახა ცხენებო, წინ!“ იძახდა შეუბრალებელი მეეტლე. და ასე დავრბოდით, სანამ მარქსი სულ ერთიან არ მოიქანცა და პატარა ჯონის ვედრება არ დაუწყო: შეგვასვენეო“. ასეთი ხასიათის კაცი, რა თქმა უნდა, ხალისით და ყურადღებით მოეკიდებოდა თავის შვილების აღზრდას. „მარქსი დიდ ყურადღებას აქცევდა,—ამბობს იგივე მწერალი, — რომ მის შვილებს გერმანული ენა კარგად შეეს‌წავლათ, მაშინ როდესაც მე ვიცი ცნობილი გერმანელი „პატრიოტები“, რომელთაც უცხოეთში გერმანული ენა თავის ოჯახიდან გაუძევებიათ“. იმ შრომამ, რომელიც მოანდომეს მარქსმა და მისმა ცოლმა თავის ქალების სისტემატიურად გაწვრთნას და განვითარებას, თვალსაჩინო პრაქტიკული ნაყოფიც მოიტანა. მარქსის ერთი ქალი სიკვდილის დღემდის დაუღალავი მუშაკი იყო იმ კლასისათვის, რომლისთვისაც მისმა მამამ შეჰქმნა დიადი სამეცნიერო სისტემა და გამოიწვია მსოფლიო იდეოლოგიური მოძრაობა. და მარქსს სხვა რომ არაფერი გაეკეთებია, მარტო ამითიც არ იქნებოდა მნიშვნელობას და დამსახურებას მოკლებული,

რომ ინგლისის მუშა ხალხს შესძინა ელეონორასავით მომზადებული და საქმიანი მოღვაწე ქალი.

რასაკვირველია, ყველა მილი და მარქსი არ არის და მათ ჩვეულებრივი მოსაკვდავი ვერ შეედრება. მაგრამ აქ არის განსხვავება რაოდენობითი და არა თვისებითი. ჩვეულებრივი ოჯახის მამაც, რომელიც ზრდის თავის შვილებს და ამისთვის მრავალგვარ გაჭირვებას იტანს, აკეთებს პატარა ზომით იმას, რასაც დიდი და გამოჩენილი კაცი.

კარგ დედ-მამობის გაწევას და შვილების რიგიანად აღზრდას, რა თქმა უნდა, ყველგან და ყველა ხალხებში დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს; მაგრამ ჩვენში არის განსაკუთრებული გარემოებანი, რომელნიც კიდევ უფრო უაღრესად და ყურადღების ღირსად ხდიან მეოჯახე ადამიანის ამგვარ „ცერძო" მოღვაწეობას. ჩვენი მოზარდ თაობის ნორმალურად განვითარებას ბევრი დაბრკოლება ხვდება წინ სასწავლებელსა და ცხოვრებაში, რომელიც შექმნილია ხელოვნურად.—განსაზღვრულის მოსაზრებით და მიზნით. ოჯახს შეუძლია, რამდენიმედ მაინც, ამ დაბრკოლებათ წინააღმდეგობა გაუწიოს და მოზარდ თაობას შეუსრულოს ის ნაკლებობა, რომელსაც უჩენს მას სკოლა და სახელმწიფურ განათლების ჰიღება. და რამდენადაც ჩვენებური ოჯახი ჩვენს ამგვარ მდგომარეობას შეგნებულად უყურებს და თავის ეროვნულ მოვალეობას არ ივიწყებს, იმდენად იგი ჩვენთვის უფრო საყურადღებოა, იმდენადვე ოჯახის მამა, ამ მოვალეობის აღმსრულებელი, ჩვენი ერისათვის ძვირფასი და პატივსაცემია.

ამ სახით ჩვენ აქაც იმასვე ვიმეორებთ, რაც წინანდელ საკმაოდ გამხდარ წერილში გამოვთქვით. ბ-ნ ყვირილელის „კრიტიკაში" ჩვენ ვერ ვპოვეთ ვერც ერთი ისეთი შენიშვნა, რომლის გამო იძულებული გავმხდარვიყავით—აზრი შეგვეცვალა ან რაიმე მსჯელობის სიყალბე გაგვესწორებია: როგორც მაშინ, ისე ეხლაც ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ, ოჯახისათვის ხელის მოკიდება და მისი ზნეობრივი მოვალეობისამებრ წარმართვა დიდი საზოგადოებრივ მნიშვნელობის საქმეა და, ვითარცა ასეთი, იგი ბევრ[1] სხვაგვარ საზოგადო მოღვაწეობაზე დაბლა დასაყენებელი არაა".

გაზ. „ცნობის ფურცელი", 1903, №№2337 (გვ. 1—3), 2344 (გვ. 1—3), 2351 (გვ. 2—4).

---

[1] წინანდელ წერილში ამ სიტყვის მაგივრად შეცდომით დაბეჭდილია: „არც ერთ".

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

ჩვენი ხალხი და ქართულ პრესის მოვალეობა

I

საზოგადოებრივი ჯგუფნი

ვინც დაჰკვირვებია მოწინავე ერთა კულტურულ ცხოვრებას, ის, უეჭველად, ერთ საინტერესო მოვლენას შენიშნავდა: ეს არის ჟურნალ-გაზეთების პარტიებად დაყოფა-დანაწილება და თითოეულ იმათგან განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასის ინტერესების დაცვა და ცხოვრებაში გატარება. რამდენადაც რთულია დაწინაურებულ ხალხთა საზოგადოებრივი ურთიერთობა და მათში წარმომდგარ კლასთა ეკონომიურ ინტერესების სხვა და სხვაობა, იმდენადვე თვალსაჩინოა გაზეთების პარტიებად დანაწილება და ძლიერი მათი ურთიერთ შორის გამართული ბრძოლა და წინააღმდეგობა. პრესსა ცხოვრების სარკეა, რომელიც ხატავს რეალურ მოვლენათ და ბარომეტრივით მგრძნობიარედ აღნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრების მოძრაობას, მის განვითარებას და განსაზღვრულ მიმდინარეობას. თუ საზოგადოებაში არსებობს, ეკონომიურ ინტერესების მხრით, ხალხის ჯგუფებად დაყოფა, სწარმოებს ბრძოლა, არის მოქმედებისა და მისწრაფების მრავალფეროვანობა, ცხადია, ამგვარ საზოგადოების პრესაშიაც გამოიხატება იგივე ბრძოლა და მიმართულების სხვა და სხვაობა.

მართალია, თანამედროვე სახალხო მეურნეობაში ხალხის ყველა წევრნი ერთმანეთზე არიან ეკონომიურად გადაბმული, — მათ შორის არსებობს კავშირი მტკიცე, დამოკიდებულება სოციალური, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მათში იყოს შეთანხმება თავისუფალი და სოლიდარობა ჰარმონიული. არა, კავშირსა და დამოკიდებულებასთან ერთად სხვა და სხვა კლასებს შორის არის ანტაგონიზმი ჩუმი თუ გამოცხადებული, ბრძოლა ცხარე და გამუდმებული. ფაბრიკანტს ესაჭიროება მუშა, ისე როგორც მუშას—ტეხნიკა კაპიტალისტის; მომხმარებლისთვის საჭიროა სხვა და სხვა ნაწარმოები და ვაჭრისთვის მუშტარი,—საქონლის გამსაღებელი; ქალაქის მრეწველობა თხოულობს მრავალ მუშა ხალხს და, მაშასადამე, საჭიროებს სოფლის მეურნეს, — ბაზრისათვის პურის მწარმოებელს; ხელოსანი ხმარობს ბევრ ფაბრიკულ ნაწარმოებს, მაგრამ ამასთანავე ეწევა ხელოსნურ წარმოებას თავისუფალს, ფაბრიკისგან დამოუკიდებელს. ეს და სხვა ბევრი ამგვარი გარემოება მოასწავებს კავშირს და დამოკიდებულებას, მაგრამ არა—თანხმობას და სოლიდარობას. მუშა ეძებს მეტ ქირას, მრეწვე-

ლი მეტ მოსაგებს; მომხვარებელი საქონლის გაიაფებას, ხოლო ვაჭარი კონკურენციის შემცირებას და ფასის აწევას. სოფლის მეურნე პურის ძვირად გაყიდვას, ხოლო ქალაქის მრეწველი მცირე ქირის მუშახელს და ამისთვის სამეურნეო ნაწარმოებთა გაიაფებას; ხელოსანი შეტრფის დამოუკიდებელ არსებობას, მაგრამ მრეწველობა ავითარებს ტეხნიკას და ამით ართმევს მას ბაზარს და თავისუფლად ცხოვრების საშუალებას. ცხადია, ეს ნიშნავს ინტერესთა განხეთქილებას. იგი არსებობს რეალურ ცხოვრებაში და აქედან გადადის ცხოვრების აღმბეჭდელ და გამომხატველ პრესსა-მწერლობაშიც.

ამიტომაც ევროპის გაზეთები მრავალ პარტიებად არიან დაყოფილი და თითოეულს იმათგან აქვს პროგრამა განსაზღვრული და მიმართულება გარკვეული. იქ არის პრესსა, რომელიც იცავს მსხვილ მემამულეებს და მაღალ არისტოკრატიას, არის ისეთიც, რომელიც ემსახურება წვრილ გლეხობას და სოფლის დაბიო ხალხს. ასევე თავის ინტერესთა გამომხატველი გაზეთები აქვთ მუშათა კლასს, მსხვილ და წვრილ ბურჟუაზიას — ფაბრიკანტებს, ვაჭრებს, ხელოსნებს და სხვათ თითოეულ გაზეთს მკითხველთა განსაზღვრული წრე ჰყავს, რომელიც გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფს ეკუთვნის და ეკონომიურ ინტერესების მხრით სოლიდარულ ერთეულს წარმოადგენს. ყველა გაზეთი ამა თუ იმ ჯგუფის მოთხოვნილებებზეა დამყარებული,—თავის მკითხველებში ჰკრეფს იგი თავის ძალას, იძენს მხნეობას და საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ერთის სიტყვით, გაზეთი კი არ ჰქმნის იქ ხალხის მიმართულებას, არამედ პირიქით. თვითონ ხალხი, მკითხველთა წრე, თავისი სოციალურ მდგომარეობით და მოთხოვნილებით აძლევს გაზეთს შინაარსს და იდეურ განსაზღვრელობას. რამდენადაც დიდია ძალა და საზოგადოებრივი როლი იმ კლასისა, რომლის ინტერესებსაც ესა თუ ის პრესსა იცავს და ემსახურება, იმდენადვე მეტია ამ პრესსის ცხოველმყოფელობა, სოციალური გავლენა და მნიშვნელობა.

რას წარმოადგენს ამ მხრით ჩვენი ცხოვრება? აი საკითხი, რომელსაც გვინდა ჩვენ შევეხოთ დღეს ვაკვრით, ხოლო შემდეგში, თუ „გარემოებამ“ დაგვანება, უფრო ვრცლად და დაწერილებით.

რა თქმა უნდა, საქართველო ევროპა არ არის, და შეცდომა იქნება ჯულტურით დაწინაურებულ ქვეყნის წახედულობით ჩვენს ცხოვრებას სავსებით ის მოვლენანი მივაწეროთ, რომლებიც თუმცა საჯურველია, მაგრამ ნამდვილად-კი ჩვენში არ მოიპოვება. საზოგადოებრივი დიფერენციაცია, დანაწილება, რომელიც ევროპის ხალხებში დღეს უკიდურესობამდის არის განვითარებული, ჩვენში იმ ზომით და სიდიდით არ

არსებობს და ამიტომ მარტო იქაურ მაგალითით ჩვენს შესახებ არაფრის დამტკიცება და დასაბუთება არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა ადგილობრივ ცხოვრების პირობათა გარკვევა და გათვალისწინება.

საუბედუროდ, ჩვენი ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ ისე ცოტა და სუსტი მასალები მოიპოვება, რომ, რა საგანიც უნდა აიღოთ მეცნიერულის სისწორით აზრის დასაბუთება და დასკვნის შედგენა მეტად ძნელია და ხშირად შეუძლებელიცაა. მაგრამ, სამაგიეროდ, არის ზოგიერთი ისეთი მოვლენა, რომელიც ყველასათვის ისე თვალსაჩინო და ცხადია, რომ მის დასამტკიცებლად ბევრი საბუთების ძებნა მაინცა და მაინც საჭირო არაა. ერთი ამგვარი ცხადი მოვლენაა — ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი ცხოვრების შესამჩნევი ცვლილება და მისი მოქალაქეობრივობის გზაზე დაყენება. ჩვენი ხალხი დღეს ისე აღარ ცხოვრობს, როგორც ამ 50 წლის წინად ცხოვრობდა, და იმით ვეღარ კმაყოფილდება, რასაც მაშინ სჯერდებოდა. ქართველ ხალხის ცხოვრების ერთად-ერთ სახსარს დღეს სასოფლო მეურნეობა აღარ შეადგენს. უკანასკნელ ხანებში მომხდარმა ცვლილებამ იგი იძულებულ-ჰყო სხვა საქმეებისათვისაც მოეკიდა ხელი და მიწის ნაკლებობა სხვა გვარ მოქმედებით და ზომჭირნეობით შეევსო. თან და თან გამოვიდნენ ქართველთა წრიდან ელემენტები, რომლებიც ვაჭრობა-მრეწველობის ასპარეზს დაადგნენ და ხელობად გაიხადეს. ამ სახით ევროპიული საეკონომიო დიფერენციაცია ჩვენშიაც არის დაწყებული, მხოლოდ არაა გაზრდილი და განვითარებული. ვაჭრობისა და მრეწველობის ასპარეზზე გამოსულ ქართველ ელემენტებს ჯერ კიდევ ვერ მოუსწვრია შესამჩნევად ვერც რიცხვით გამრავლება და ვერც ნივთიერ ქონებით გამაგრება. ჯერ-ჯერობით ქართველებში იშვიათად მოიპოვებიან მსხვილი ვაჭრები და მრეწველები. საერთოდ ვაჭრობასა და მრეწველობაში მომჭედი ნაწილი ქართველობისა თითქმის სულ „წვრილი ხალხისაგან" შესდგება: ესენი არიან წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, ნოქრები, დღიური მუშები თუ შინა-მოსამსახურენი.

არც ერთი აქ ნახსენები ჯგუფი სათითაოდ არ არის რიცხვით შესამჩნევად მრავალი. 1886 წლის აღწერით მოქალაქენი შეადგენდნენ ხალხის საერთო რიცხვის 10,26%-ს ტფილისის გუბერნიაში და 5,46%-ს ქუთაისისაში (1897 წ. 14,4%-ს ორივე გუბერნიაში) უეჭველია, პირველი გუბერნიის 10 პროცენტში ქართველობას ძალიან ცოტა წილი უდევს სხვა ეროვნების ხალხთან შედარებით. 1893—1896 წწ. მთელს საქართველოში იყო 27695 ხელოსანი ანუ 1,35% ხალხის საერთო რიცხვისა. აქედან ოსტატი 13109, ქარგალი 5565 და შეგირდი 9021. 1898 წ. საქართველოს ორივე გუბერნიაში იყო 13006 (1899 წ.—

16582) მუშა (1782 ფაბრიკა-ქარხანაში). ამათგან 26,9% მუშაობდა ისეთ სამრეწველო დაწესებულებებში (71,3%), რომლებშიაც მუშების საერთო რიცხვი 5 კაცს არ აღემატებოდა; 24,5% იყო ისეთი სამრეწველო (24,4%), საცა მუშების საერთო რიცხვი 10-მდის ადიოდა. ამ სახით მუშების უმრავლესობა (51,4%) ისეთ წვრილ წარმოებაში მუშაობდა, რომელსაც ფაბრიკული არც კი დაერქმევა. ყველა ის 13006 მუშაც რომ ნამდვილ ფაბრიკის მუშებად ჩავთვალოთ, მათი რიცხვი მხოლოდ ხალხის საერთო რიცხვის 0,73%-ს შეადგენს და მეტს არა. ამასთან ფაბრიკის მუშების რიცხვი ბევრად ნაკლებია ხელოსნებისაზე: ესენი შეადგენენ 64,7%-ს, ხოლო პირველნი 35,3%-ს.

ჩვენი ხალხის დიდ-ძალ უმრავლესობას დღესაც გლეხობა წარმოადგენს. 1886 წ. ტფილისის გუბერნიაში გლეხობა შეადგენდა 85%-ს, ხოლო ქუთაისისაში 86%-ს. მას შემდეგ გლეხების რიცხვმა სოფლებში იკლო, რადგან ნაწილი ქალაქებში წავიდა სამუშაოდ (დაბადებით შემატებულებზე მეტი), მაგრამ იმდენად მაინც არ უკლია, რომ იგი დღეს 80%-ზე ნაკლები იყოს. გლეხობაც, ზოგადად თუ ვიტყვით, სულ წვრილ მეურნეებისაგან შესდგება. ჩვენში არ არის ისეთი ბსხვილ მესაკუთრე გლეხის (grossbauer) ტიპი, როგორიც მოიპოვება, მაგალ., გერმანიაში. მთელ ქუთაისის გუბერნიაში მიწის ისეთი სიმეტრიულობა, რომ იშვიათია ისეთი გლეხი, რომელსაც საკუთარი მიწა ჰყოფნიდეს დასამუშავებლად. ქართლში, საცა მე 25 სხვა და-სხვა სოფელში ავსწერე გლეხების მეურნეობა, გლეხ-მეურნეთა მხოლოდ 9 პროცენტს აქვს 5 დესეტინაზე მეტი მიწა, დანარჩენ 91%-ს მიწის რაოდენობა კომლზე 5 დესეტინას არ აღემატება.

უდიდესი ნაწილი ბამულებისა ჩვენში ქართველ თავად-აზნაურობის ხელშია, ეს წოდება რიცხვით მცირე ნაწილია ჩვენი ხალხისა (2,89% ტფილისის გუბ. და 6,78% ქუთაისისაში). ამიტომ ბევრს ჰგონია, რომ ამ წოდების ყველა წევრნი უზრუნველ ყოფილნი არიან ბამულით და მათს მამულის ნაკლებობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ნამდვილად კი თავად-აზნაურობა არ წარმოადგენს ერთ მთელს და ერთგვარ ნაწილებისაგან შემდგარ ორგანიზმს. ამ წოდების წევრთ შორისაც არის დიდი განსხვავება მამულიანობისა და საზოგადოდ ქონებისა. სახაზინო პალატის ცნობებით ტფილისის გუბერნიაში არის სულ 4701 თავად-აზნაურის მამული. აქედან ისეთი მამულები, რომლებიც სივრცით 50 დესეტინას არ აღემატებიან, შეადგენენ ახალქალაქის მაზრაში 63,70%-ს, ახალციხის მაზ.—54,49%-ს, ბორჩალ. მაზრ. 40,29%-ს, გორის მაზ. — 67,94%-ს, დუშეთის მაზრ.—47,97%-ს, სიღნაღის მაზრ.—62,37%-ს, თელავის მაზრ.—61,39%-ს, თიანეთის მაზრ.—34,24%-ს, ტფილისის მაზრ.—47,11%-ს და სულ ტფილისის

გუბერნიაში 57,16%-ს. ცხადია, 50 დესეტინა მიწა, რომელშიაც შედის ტყე, საძოვარი და უვარგისიც, პატრონს ვერ დააკმაყოფილებს და ყოველ შემთხვევაში ვერ მისცემს საშუალებას მარტო რენტით ცხოვრებისას. ასეთი მემამულე იძულებულია გლეხებსავით მიწის მუშაობას ხელი მოჰკიდოს და საკუთარის გარჯითა და ოფლით სარჩო მოიწიოს.

ერთის სიტყვით, ჩვენი ხალხის დიდ-ძალი უმრავლესობა მცირე შეძლებისა და ქონების პატრონია. წვრილი მეურნე-გლეხი, სრულიად ცარიელი ან მცირე მამულიანი აზნაურობა, წვრილი ვაჭარი და მრეწველ-ხელოსანი, მუშა და ნოქარი, შინა მოსამსახურე და მცირე თანამდებობის მოხელე,—აი ის ელემენტები, რომელნიც ქართველ ხალხის უმრავლესობას წარმოადგენენ და თავისი გაუწყვეტელი შრომით და მომჭირნეობით მის კულტურულ ძალას და ეროვნულ სიმაგრეს შეადგენენ.

როგორ და რანაირად? ამას შემდეგ წერილში მოგახსენებთ.

(გაზ. „ცნობის ფურცელი", № 2358, 20 დეკემბერი 1896—1903 გვ. 2, 3)

II

ეკონომიური მხარე

მწერლობაში და ლაპარაკში ხშირად ბევრი ისეთი სიტყვა იხმარება, რომლის შინაარსი არ არის ნათლად გარკვეული და მტკიცედ განსაზღვრული. ამიტომ ამგვარ სიტყვებით გამოსახატავი ცნება რჩება იდეიურ ბურუსით გარემოცული, რომელშიაც თითოეული ჩვენგანი ხედავს—თუ კი საზოგადოდ ხედავს—მხოლოდ იმას, რაც მას მოესურვება ან, თავისი აზრის დასამტკიცებლად, მოუხდება. ერთი ასეთი სიტყვაა „ხალხი". „ხალხი", „ხალხის ინტერესები", „ხალხის სამსახური"—ყველას პირზე აკერია პრესასაში და კერძო ლაპარაკშიც; მაგრამ იშვიათად გაიგონებთ გარკვეულ აზრს თვით იმ ცნების შესახებ, რომლის რეალურ ობიექტის (ე. ი. ხალხის) „ინტერესების დაცვა" და „სამსახური" საპატიო და უმაღლესთ მოვალეობადაა ყველასაგან მიჩნეული და აღიარებული. ბევრს ჰგონია, რომ „ხალხი" წარმოადგენს ორგანიულ ერთეულს, რომლის წევრთა ინტერესები ყველაფერში ჰარმონიულადაა ერთმანეთთან შეთანხმებული და შეკავშირებული. ამიტომ საძნელოს არაფერს ხედავენ საერთოდ ამ ინტერესთა დაცვაში და პრაქტიკულად განხორციელებაში.

ნამდვილად კი ეს ასე არ არის,—ხალხი ,რაა, ეკონომიურის მხრით, ერთეული და მის წევრთ არა აქვთ ინტერესები შეთანხმებული. ყოველი ხალხი, როცა იგი ნატურალურ მეურნეობის ხანას შორდება, ეკონომიურ დიფერენციაციის, დანაწილების გზაზე დგება და ვითარდება. მასში ჩნდებიან და იზრდებიან სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფნი ანუ კლასები, რომლების ეკონომიური ინტერესები და მისწრაფებანი ერთი მეორესას ეწინააღმდეგებიან. ეს დაყოფვა-დანაწილება და ეკონომიურ წინააღმდეგობის გაძლიერება მაჩვენებელია ხალხის განვითარებისა, მისი კულტურულ წინმსვლელობისა, და ის პრესსა, რომელიც ამ მოვლენას არ ხედავს ან ხელს აფარებს,—ცხოვრებას ჩამორჩენილია, თავს ატყუებს და ოცნებით იკვებება. არავითარ პრესსას არ შეუძლია შეუთანხმებელის შეთანხმება და ხალხის ყველა კლასთა ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა.

წინა წერილში ჩვენ გავარკვიეთ და სტატისტიკური ციფრებით დავასაბუთეთ ჩვენში ეკ-რ დიფერენციაციის სიმცირე, საზოგადოებრივ კლასთა სისუსტე და განუვითარებლობა. მაგრამ განუვითარებლობა არ ნიშნავს სრულიად არ არსებობას. ყოველ მოვლენას, რაც უნდა სუსტი იყოს იგი, თავის გავლენა და მნიშვნელობა აქვს, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ჩვენშიაც არსებობს კლასთა ჩანასახი და რამდენადაც დრო მიდის, იმდენად ეს ჩანასახი იზრდება და ძლიერდება, იმდენადვე კლასობრივი განხეთქილება ფართოვდება და ყველასთვის შესამჩნევი ხდება. ჩვენი ხალხის უმრავლესობა სოფლის მეურნე გლეხებისაგან შესდგება, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს, გლეხებს გარდა სხვები არავინ დავინახოთ და მათი როლი და მნიშვნელობა არ გავითვალისწინოთ. გარდა გლეხებისა ჩვენს ხალხს ეკუთვნიან რიცხვით მცირე მემამულეები, ვაჭრები, მრეწველები, ხელოსნები, ნოქრები, მუშები. ყველა ამ ჯგუფთა რეალური მოთხოვნილება ხშირად არის ერთი მეორის წინააღმდეგი და შეუთანხმებელი.

მუშა ხალხისა და მრეწველის ეკ-რი ინტერესები ჩვენშიაც ისე სხვა-და-სხვა და ერთმანეთის წინააღმდეგია, როგორადაც ევროპაში და საზოგადოდ დაწინაურებულ ხალხებში. იქ, საცა იწყებს განვითარებას კაპიტალისტური წარმოების წესი, არ შეიძლება არ წარმოსდგეს ის მოვლენები, რომლებიც თანამყოლი და დამახასიათებელია ამ წყობილების. ადვილი გასაგებია, რომ მშრომელი ხალხი ცდილობს თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, სამუშაო ქირის გადიდებას და მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებას, ხოლო მრეწველი ერიდება ხარჯს და მოგების შემცირებას. მემამულის ინტერესი მოითხოვს, სოფელში მუშა ხელი ბლომად იყოს, მიწის მოთხოვნილებამ იმატოს და ამან რენტა გაადიდოს; ხოლო მიწათმოქმედების ინტერესია—საიჯა-

რო ფასის შემცირება და წასვლა-წამოსვლის თავისუფლება, რომ მას, საცა უნდა, იქ შეეძლოს დაბინავება და ცხოვრების სახსრის მოსაპოებლად ზრუნვა. ასეთივე წინააღმდეგობაა სხვა ჯგუფთა ინტერესების სფეროშიაც. ვაჭარი, მაგალითად, ფაბრიკულ ნაწარმოებთა შემოტანით და გავრცელებით ხელოსანს მუშტარს აკლებს და ცხოვრებას უძნელებს და სხვა.

ცხადია, პრესსა, რომელიც ცხოვრებას უნდა ხატავდეს და მის მიმდინარეობას კვალ-და-კვალ მისდევდეს, არ შეუძლია ამ განწყობილებას ყურადღება არ მიაქციოს და საზოგადოებრივ კლასთა ურთიერთობაში გარკვეული ალაგი არ დაიჭიროს. იგი მხოლოდ მაშინ მოიპოვებს ხალხში მკვიდრ ნიადაგს, როცა თავის მიდრეკილებას გარკვეულად გამოსთქვამს და ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესებს ქომაგობას და მომხრეობას გაუწევს. და რაც უფრო დიდია რიცხვით და სუსტი ქონებით ის ნაწილი ხალხისა, რომელსაც პრესსა სოლიდარობას და თანაგრძნობას გამოუცხადებს, იმდენად ფართო და საფუძვლიანი იქნება მისი ნიადაგი და, ზნეობის მხრივ, მაღალი და სპეტაკი მისი შრომა-ამაგი.

მაგრამ ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ვითომ ჩვენში პრესსა მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ჯგუფის ეკ-რ ინტერესებს უნდა იცავდეს და სხვებისას ყურადღებას არ აქცევდეს. როგორც ვთქვით, ჩვენში ჯერ საზოგადოებრივ კლასების მხოლოდ ნასახია გაჩენილი ამიტომ სხვა-და-სხვა ჯგუფთა ინტერესები არაა მტკიცედ გათიშული და განცალკევებული. მოქალაქობრივობა, რომელიც აუცილებელი პირობაა ხალხის კლასობრივ დანაწილების და განვითარებისა, აქ ჯერ კიდევ სუსტია და გაუმაგრებელი. ამიტომ ბევრ გვარი მოვლენა, რომელიც დაწინაურებულ ევროპაში პროგრესის დამაბრკოლებელია, ჩვენში ხელის შემწყობია კულტურისა და წინმსვლელობისა. იქ, მაგალითად, ხელოსნურ წარმოების აღსადგენად შრომა და მეცადინეობა უნაყოფო ჩხირკედელაობად ითვლება, რადგან ტეხნიკის განვითარებამ ხელოსნურ წარმოებას დიდი ხანია ნიადაგი გამოაცალა. ჩვენში კი, საცა ხალხი არა იშვიათად თავის სკამს, ტახტს, კიდობანს და სხვა ამგვარებს თავისი ხელით ეკეთებს, ხელოსნობის განვითარება და გაძლიერება ეკონომიურ წინმსვლელობას ნიშნავს, რადგან ამით წარმოება სპეციალდება და ადამიანის მოთხოვნილება უფრო კულტურული ხდება. ევროპაში წვრილი ვაჭრების სიმრავლე სახალხო შრომის გაფლანგვად მიაჩნიათ და დაბის ხალხისთვის ცხოვრების გაძვირების ხელის შემწყობად სთვლიან,—იმიტომ, რომ დიდ საკაჭრო სახლებში და მომხმარებელ ამხანაგობათა მაღაზიებში ხალხი უფრო იაფად და თავისთვის სასარგებლოდ შოულობს

ამ ნაწარმოებთ, რომლებიც მას ესაჭიროება. ჩვენში-კი წვრილი ვაჭარი, შეიძლება ვთქვათ, „კულტურტრეგერია“, რომელიც არღვევს ძველებურ კარჩაკეტილობას, უმრავლებს ხალხს, ფაბრიკულ ნაწარმოებთა მიწოდებით, მოთხოვნილებებს და უღვიძებს უკეთესი ცხოვრებისა ვემოს და ტრფიალებას. დაწინაურებულ ქვეყნებში სასოფლო მეურნეობაშიაც გაუმჯობესებულ ტეხნიკას ხმარობენ. და რახან ამისი შექენა დიდ კაპიტალს მოითხოვს, ამიტომ რაციონალური მეურნეობა მხოლოდ შეძლებულ მემამულეებს აქვთ გამართული. წვრილი გლეხობა შედარებით ძალიან ჩამორჩენილია. ჩვენში კი ეულ სხვა მოვლენას ვხედავთ. აქ მსხვილ მემამულეებს არავითარი ტეხნიკური გაუმჯობესება არ შეაქვთ წარმოებაში. შარშან სამეურნეო საზოგადოების ერთ კრებაზე აგრონომმა დემენტიევმა, რომელიც მცოდნეა სოფლის ცხოვრებისა, განაცხადა: ტეხნიკური წარმატება წარმოებაში და ინტენსიერ მეურნეობის შემოღება ისევ წვრილ მიწათ-მოქმედთ ემჩნევათ და არა მსხვილ მემამულეებს. ამ აზრს ამტკიცებენ სტატისტიკური ციფრებიც, რომლებიც თავად-აზნაურთა მიწათმფლობელობას შეეხებიან. იმ მამულებში, რომლების სივრცე 10 დესეტინას არ აღემატება ვენახი შეადგენს 15%-ს, სახნავი 65%-ს, 10—25 დესეტინიან მამულებში: ვენახი 4%-ს, სახნავი 60%-ს, 25—50 დესეტინიან მამულში: ვენახი 2%-ს, სახნავი 52%-ს, 50—100 დესეტინიანში: ვენახი 1%-ს, სახნავი 40%-ს, 100—250 დესეტინიანში: ვენახი — 0,79%-ს, სახნავი— 33%-ს და სხვ. და ასე, რამდენადაც მამული დიდია, იმდენად შედარებით ვენახი და სახნავი მიწა ნაკლებია, ხოლო ტყე და საძოვარი ადგილები მომეტებული.

ერთის სიტყვით, ყველგან დაწინაურებულ ქვეყნებში საწარმოო ტეხნიკისა და მატერიალურ კულტურის განვითარებას სათავეში უდგანან მსხვილი მემამულეები და მრეწველები; ქართველებში კი ამ საქმეს მეთაურობენ არც პირველნი და არც მეორენი: მსხვილი მრეწველები ჩვენ არ გვყვანან, ხოლო მემამულეები თვითონ არ ეწევიან მეურნეობას,—ამათ მამულებს გლეხები იღებენ და საღალოდ მუშაობენ. და თუ რამ ნივთიერი წარმატება და წინსვლა ჩვენში სრულდება,—ისევ „წვრილი“, შეუძლო ხალხის მეოხებით, რომელიც როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ ციფრებით, დიდძალი უმრავლესობაა ქართველი ერისა.

და, აი, ქართულ პრესსის მოვალეობაა ამ უმრავლესობას მიაქციოს ყურადღება და გახდეს მის ნივთიერ და სულიერ საჭიროებათა გამომხატველად.

გაზ. „ცნ. ფურცელი“, 1904, № 2375, 10/II, გვ. 1—2.

ხალხის მოთხოვნილებანი და პრესსის გარკვეულობა

ერთი წინანდელი წერილი („ცნ. ფურც“. 2353) ჩვენ შემდეგი სიტყვებით გვქონდა დასრულებული: „ჩვენი ხალხის დიდძალი უმრავლესობა მცირე შეძლებისა და ქონების პატრონია. წვრილი მეურნე—გლეხი, სრულიად ცარიელი ან მცირე მამულიანი აზნაურობა, წვრილი ვაჭარი და მრეწველ-ხელოსანი, მუშა და ნოქარი, შინა მოსამსახურე და მცირე თანამდებობის მოხელე,—აი ის ელემენტები, რომელნიც ქართველ ხალხის უმრავლესობას წარმოადგენენ და თავისი განუწყვეტელი შრომითა და მომჭირნეობით მის კულტურულ ძალას და ეროვნულ სიმაგრეს შეადგენენ“.

ეს სიტყვები, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ვითომ ჩვენ მარტო ქართველ ხალხის თვალსაჩინო მხარედ და დამახასიათებელ ნიშნად მიგვაჩნდეს უმრავლესობის სიღარიბე დახლ-მოკლეობა, ქვეყანაზე არ მოიპოვნება არც ერთი ისეთი ერი, რომლის უმრავლესობასაც ბაოლოდ მდიდრები და ნივთიერად შეძლებული შეადგენდნენ. ასეთი მოვლენა არ სცოდნია ისტორიას ძველად და არ იცის დღესაც. ნივთიერი ქონება და სიმდიდრე ყველა ხალხებში უმცირესობის ხელშია მოგროვებული და უმრავლესობა არის შედარებით ღარიბი და ქონებას მოკლებული. და ქართველი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა განსხვავდება განვითარებულ და დაწინაურებულ ერებისაგან არა იმით, რომ ქართველთა უმრავლესობა „მცირე შეძლების პატრონია“, არამედ ამ მეორე გარემოებით,—რომ ქართველობაში არ არის ჯერ გაზრდილი და გაძლიერებული კლასი კაპიტალისტთა, მსხვილი ბურჟუაზია, რომელსაც ჰქონდეს ნაყოფი, ნივთიერი სიმდიდრე და საზოგადოებრივი ძალა და გავლენა. საზოგადოდ ვაჭრობა და მრეწველობა ჩვენში სუსტი და განუვითარებელია და ისიც, რაც არის, უფრო უცხო და მოსულ ტომის ხელშია.

ამ გარემოებას ძალა-უნებურად გავლენა აქვს ქართულ პრესსის ელფერსა და მიმართულებაზედაც. ცხადია, არ შეიძლება იმ ხალხის მომხრეობა და ქომაგობა, იმ ჯგუფის ინტერესების დასაცველად და განსახორციელებლად მოქმედება, რომელიც ეკონომიურ განვითარებას არ წარმოუშვია და ცხოვრებას არ გაუღონიერებია. ამიტომ როგორც ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, რომელიც შეადგენს ამ კლასის სოციალ-პოლიტიკურ მოძღვრებას, ისე ამ მოძღვრების გამომხატველი პრესსა მოკლებულია ჩვენში ჯერ-ჯერობით მკითხველთა მჭიდრო წრეს და საარსებო რეალურ ნიადაგს. ჩვენში არაა ფულის (ბურჟუაზიული)

არისტოკრატია და ამიტომ ბაზარს მოკლებულია მისი შესაფერი პრესა და იდეოლოგია.

მაგრამ იგივე არ ითქმის სავსებით ჩამომავლობითს არისტოკრატიაზეც. ქართველ თავად-აზნაურობას დღესაც, მიუხედავად მამულების დაკიკვნისა და დავალიანებისა, შედარებით დიდი ნივთიერი ძალა და საზოგადოებრივი გავლენა აქვს. განსაკუთრებით ტფილისის გუბერნიაში დღემდის დაცულნი არიან ისეთი მამულები, რომელნიც თავისი ქონებითა და ხალხთან განწყობილებით ნამდვილ საშუალო საუკუნეებს მოგვაგონებენ. და როცა ამ საზოგადოებრივ კლასის არსებითობას ვარკვევთ და მის თავისებურობას ვიგებთ, მხედველობაში უნდა გვყავდეს მარტო ეს ნაწილი თავად-აზნაურობისა, რომელიც წარმოადგენს ძველი დროის კეთილდღეობას როგორც თავისი როლით საეკონომიო ურთიერთობაში, ისე აზრ-შეხედულებითა და მისწრაფებით გონებრივ შემეცნებისა და იდეების სფერაში. „გახუნებული აზნაური", რომელიც დღეს ასე ხშირი მოვლენა გახდა ჩვენში, თავის ეკონომიური მდგომარეობით ისევე არ არის აზნაური, როგორც გლეხი—შემამუშავე და ხელოსანი — კაპიტალისტი.

თითქოს იქ, სადაც არსებობს განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასი, რომელსაც აქვს დიდი ხნის ტრადიცია, ისტორიული წარსული და გონებრივი მომზადება, შესაძლებელი უნდა იყოს ამ კლასის საპატიო პრესსის შექმნა და აღორძინება. ასეა ეს ევროპის ყველა ქვეყნებში, სადაც თითოეულ წოდებას თუ კლასს თავის წარმომადგენელი პრესსა და იდეოლოგები ჰყავს. მაგრამ ჩვენში არის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ხელს არ უწყობენ ვიწრო თავად-აზნაურულ წოდებრივ მიმართულების პრესსის შექმნას და ამ სახით კონსერვატიულ აზრ-შეხედულების გავრცელებას. წინა წერილში, რომელშიაც აგრარიულსა (თავად-აზნაურსა) და გონებრივს (ინტელიგენცია) არისტოკრატიაზე ვწერდით, ჩვენ გავარკვიეთ და დავასაბუთეთ, თუ რა ჰხდის ასეთ დაწყებულებას უნიადაგოდ და მოუხერხებლად. ეს არის—არისტოკრატიის რიცხვითი სიმცირე, მათში ქართული ენის სუსტი ცოდნა და ეროვნულ პრესსა-მწერლობისაგან დაშორება. ამნაირად ჩვენ აქამდის სხვა-და-სხვა მხრით შევხედეთ საგანს, გავსიჯეთ უმთავრესი გარემოებანი, რომელთაგან ზოგი ნაყოფია პოლიტიკური მდგომარეობისა და ზოგიც შედეგი ეკონომიურ განწყობილებისა, და იმ დასკვნამდის მივედით, რომ არც ბურჟუაზიული, არც აგრარიული და არც გონებრივი არისტოკრატია ქართულ პრესსისათვის არ შეეცავს ნაყოფიერ და საიმედო ნიადაგს. ქართული პრესსა ვერც ერთგვარ არისტოკრატიაში ვერ ჰპოვებს არსებობის წყაროს, ზნეობრივ ძალას და საზოგადოებრივ გავლენას. მისი ერთად-ერთი გზა დაბიო მშრომელ

ხალხისაკენაა რომელიც თავისი სიმრავლით, შრომა-გარჯით და მოქმედებით ბურჯია ქართველ ეროვნებისა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სიტყვას „მშრომელი ხალხი" აკლია განსაზღვრულობა. ყველა, ვინც მშრომელია, არ ეკუთვნის ერთ კლასს და წოდებას და მათ შორის არ არსებობს ყოველ მხრით ინტერესთა თანხმობა და სოლიდარობა. მშრომელია, მაგალითად, გლეხი, მუშა და მეწვრიმალეც. მიუხედავად ამისა, მომხმარებელ ამხანაგობის დაარსება გლეხებისაგან ზარალს აძლევს წვრილ ვაჭრებს; ფასების აწევა სამეურნეო ნაწარმებზე ვნებს მუშების ინტერესებს. მაგრამ ეს ინტერესთა განხეთქილება ისეთ ხალხში, რომელიც უმთავრესად წვრილ მესაკუთრეებისაგან შესდგება, ისე ღრმა და გაუვალი არაა, რომ პრესასას არ შეეძლოს საერთოდ მათი წარმომადგენლობა და გონებრივი წინამძღოლობა. მარტო კლასობრივ განხეთქილებასა და ბრძოლაზე აყვირილი იქ, სადაც ნატურალური მეურნეობა მთლად არც-კი გამქრალა და ხალხი მოქალაქეობრივობას არ შესჩვევია, სადაც ადამიანურ პიროვნების შეგნება ჯერ კიდევ გასაჩენი და გასავითარებელია, ნიშნავს მჩოლოდ მხედველობის სისუსტესა და მთავარ საჭიროებათა უყურადღებოდ დატოვებას.

რას უნდა ელტვოდეს და რა აზრებს უნდა ავრცელებდეს ასეთი წრის მკითხველებში პრესსა, რომ მან შესძლოს გავლენის მოპოვება და ცხოვრებაში შესამჩნევ კვალის დაჩენა?

ქართულ პრესსის მოვალეობას და მიმართულების ხასიათს გვასწავლის თვით იმ ხალხის მდგომარეობა, რომელშიაც მას უხდება შრომა-მოღვაწეობა და მკითხველთა მოპოება. ქართველ ხალხის მშრომელი უმრავლესობა მუშაობს და იბრძვის არსებობისათვის, ცხოვრობს განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში და ცდილობს ცოდნა-გამოცდილების შეძენას და კულტურულად განვითარებას. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საქმიანობს ეკონომიურად, ცხოვრობს სოციალურად და წინ მიდის ეროვნულად. და ის საკითხებიც, რომლების გარკვევა და განმარტება უნდა შეეძლოს პრესასას, არის ეკონომიურის, სოციალურის და ეროვნულის ხასიათისა.

მართალია, ჩვენი ძველებური ეკონომიური წყობილება და ცხოვრება შესამჩნევად შეიცვალა და, რაც დრო მიდის, მით უფრო თან და თან იცვლება, მაგრამ ეს პროცესსი ისე დიდი ხნის არაა, რომ მუდამ ჭაპანწყვეტაში მყოფ დაბის ხალხს ჰქონდეს შეძენილი საჭირო პრაქტიკული გამოცდილება, კონკრეტულ მოქმედებაში გაზომილ-გათვალისწინებული გეგმა და რეალურ ურთიერთობის შეგნება. ხშირად იგი უგზო-უკვლოდ ფათურობს, ბევრ დროსა და ჯაფას ხარჯავს იქ, საცა ნაკლებიც საკმარისი იქნებოდა და მეტ ნაყოფსაც მოიტანდა, ვერ ხმარობს

ეკონომიკის გამო, თავის ყოფა-მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ისეთ საშუალებასაც, რომლის დაწყებასა და შესრულებას იგი შეესძლებდა და სხვა. ყველა ამას ვერ ახერხებს, რადგან არ აქვს საკმაოდ თანამედროვე ცხოვრების ალღო აღებული და მისი რთული აგებულობა გაცნობილი. და პრესის მუშაკთ, რომელთაც გონებრივი შრომა გაუბღიათ თავის ხელობად, აქვთ მეტი შეძლება და მოხერხებაც დაწინაურებულ ერთა ცხოვრება და ეკ-რი განწყობილება შეისწავლონ და ჩვენს ხალხს გააცნონ და გააგებინონ. ევროპიულ იდეების და სწავლა-ცოდნის გამოღებას და ჩვენში გავრცელებას ქართული პრესსა უნდა სთვლიდეს ერთ-ერთ თავის მთავარ მოვალეობად და დანიშნულებად. იგი უნდა იყოს მომზრე და გამავრცელებელი ყველა იმ ღონისძიებათა ცოდნისა, რომლებიც ხელისშემწყობია ხალხის უმრავლესობის ეკონომიურად გაღონიერებისა, თუნდაც ეს უმცირესობას ვნებას უქადიდეს და მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს.

ჩვენს ცხოვრებაში არის ბევრი ისეთი გარემოება სოციალ-პოლიტიკური ხასიათისა, რომელიც აბრკოლებს და აფერხებს მშრომელის ეკ-რ მოქმედების ნაყოფიერებას. სჩაგრავს პიროვნებას და ხელს უშლის კერძო თაოსნობისა და შემოქმედების განვითარებას. ყოველგვარი ეკონომიური საქმიანობა მოითხოვს თავის გაუმჯობესებისათვის შეგნებულს და აწონ-დაწონილ მოქმედებას, მოითხოვს გონებრივ სიფხიზლეს, ცოდნას და პრაქტიკულ დაკვირვებას, ხოლო უწინარეს ყოვლისა საჭიროებს მოქალაქეობრივობისა და ადამიანის თვით მოქმედების გაძლიერებას, და ეს თვით-მოქმედება შეუძლებელია გაიფურჩქნოს და განვითარდეს იქ, საცა ადამიანის პიროვნება შებოჭილია და ხალხი გარეშე ძალთაგან დაბეჩავებულ-დამონებულია. იგი საჭიროებს მეტ თავისუფლებას, უფლებრივ თანასწორობას, თვით-მმართველობის ნიადაგზე აგებულ პრაქტიკულ მოქმედების სკოლას და გამოცდილებას, რომ შესძლოს უცხოთა ცოდნის შეთვისება, გადაღება და პრაქტიკულად განხორციელება. მუდმივ სხვის აპეკუნობის ქვეშ ყოფნა აჩლუნგებს გონებას და აზანტებს ადამიანის მოქმედებას. ამ მუხრუჭის შეშვება და თვით მოქმედებისათვის ასპარეზის გაფართოვება შეადგენს უმთავრეს პირობას ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებისათვის, და პრესსა, რომელიც ამ მხარეს ყურადღებას აქცევს, თვით-ცნობიერებას აღვიძებს და პიროვნების უფლებისა და ადამიანობის შემეცნებას აფხიზლებს, — ხალხის სულს წვდება და მის გულითად სურვილ-მისწრაფებათ ელამუნება.

ამ და მსგავს პრინციპთა განვითარება, ჩვენს ადგილობრივ ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებასთან შეგუება და ასე „გაქართულებულად"

მკითხველებში გავრცელება ნიშნავს ხალხის კულტურულად მომზადებას, მის გონებით ამაღლებას და ამავე დროს ეროვნულ ნიადაგზე მუშაობას. ეროვნების დაცვას აქვს აზრი და მიზანი, როცა იგი ჰხდება სინათლისათვის, წინმსვლელობისა და განვითარების გულისათვის. ეროვნული მხარე ის ნიადაგია, რომელზედაც უნდა გადმოინერგოს და აიგოს დაწინაურებულ ხალხთა თანამედროვე სწავლა და განათლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ხალხი ვერ შეითვისებს უმაღლეს განვითარებას, ვერ დაადგება წინმსვლელობისა და წარმატების გზას. ეროვნულ საფუძველს შეადგენს ენა, ზნე-ჩვეულება, ხალხის პსიხიური ფიზიონომია, ხასიათი, ასე გასინჯეთ — გონებრივი შემეცნების წესიც. კი, რადგან ესეც ისტორიის განმავლობაში შემუშავებულია და ხალხის დამახასიათებელ თვისებად გადაქცეულა. ყველა ამ პირობებს ანგარიში უნდა გაეწიოს უმაღლეს კულტურის გადმოღებისა და გავრცელების დროს. ყოველგვარ ნასესხ თუ არა ნასესხ სწავლა-ცოდნას ამ ცხრილში უნდა ვატარებდეთ, თავისებურ ელფერს და ხასიათს უნდა ვდებდეთ, რომ ხალხმა იგი თავისად გაიხადოს, შეითვისოს და შეისისხლხორცოს. და პრესის უწმინდესი მოვალეობაა, განსაკუთრებით იმ პრესისა, რომელიც ჩვენთან შევიწროებულ მდგომარეობაში მყოფ ხალხს ეწესახურება, ამ მხარეს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება,—გამოაღვიძოს და აამაღლოს ხალხოსნობის შეგნება და ეროვნული თვითცნობიერება.

ეს არის ზოგიერთი ნიშნები იმ მიმართულებისა, რომლითაც, ჩვენის აზრით, ქართული პრესსა მოიპოვებს ჩვენს ხალხში ნაყოფიერს ნიადაგს და დიდს გავლენა-მნიშვნელობას.

გაზ. „ცნობის ფურცელი", 1904 წ., №№ 2358 (გვ. 2—3), 2375 (გვ. 1—2), 2430 (გვ. 2—3).

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

ბიბლიოგრაფია

ნორვეგიული პიესა ქართველთა ცხოვრებიდან

Knut Hamsun: Königin Tamara, übersetzt von G. J. Klett, München, 1903 (ნუტ ჰამსუნი: თამარ მეფე, გერმანული თარგმანი გერტრუდა ინგებორგ კლეტისა, მიუნხენი, 1903 წ.).

I

ჰამსუნის პიესას, რომლის გერმანული თარგმანი ეხლახან დაიბეჭდა, საქართველოს დიდის მეფის ცხოვრება აქვს საგნად, — თამარ დედოფლის პიროვნების დასურათება უდევს სარჩულად და შინაარ-

სად. ეს პიესა ჩვენთვის, ქართველებისათვის, ბევრის მხრით არის საინტერესო. ჯერ ერთი — თვითონ ავტორი გამოჩენილი მწერალია ნორვეგიისა. გარდა ამისა ეს, თუ არ ვცდებით, პირველი მაგალითია, რომ ევროპიელ მწერალს ჩვენი წარსულის ცხოვრების მომენტი ან ისტორიული პირი აეღოს სათეატრო ხელოვნების საგნად და სცენისათვის შესამუშავებლად. საინტერესოა გავიგოთ როგორ შეხედა უცხო მწერალმა ჩვენს ძველ ცხოვრებას, რა მხრით ეჩვენა მას ხელოვნებისათვის საყურადღებოდ დიდებული მეფის პიროვნება, როგორ გამოხატა ამისი ხასიათი, პსიხიური ძლიერება, საზოგადოდ ქართველთა ძველი ზნე-ჩვეულება და თავისებურობა.

ნორვეგიული დრამა სამ მოქმედებიანია. ჩვენ ჯერ გავაცნობთ მკითხველს მის შინაარსს ისე, როგორც ავტორს აქვს, — ისტორიულ შეცდომათა გაუსწორებლად. და შემდეგ გავუზიარებთ საერთოდ პიესის შესახებ ჩვენს მოსაზრებას.

პიესის კვანძს შეადგენს თამარისა და მისი ქმრის გიორგის ცოლ-ქმრული განწყობილება, ანუ უკეთ მოუწყობლობა. გიორგის, რომელიც არის ხასიათით სასტიკი, სიტყვა-პასუხში მოურიდებელი და ქალებთან თავ-დაუჭერელი, თამარის სიყვარული და თანაგრძნობა ღიდი ხანია დაუკარგავს. თუმცა ერთ ჭერ-ქვეშ ცხოვრობენ, მაგრამ თამარი მისგან გულითა და გრძნობით დაშორებულია და ისე ეპყრობა, როგორც უცხოს. და აფასებს მხოლოდ, ვითარცა სახელმწიფოსთვის საჭირო და სასარგებლო კაცს, რადგან გიორგი მამაცია და მტრებთან ბრძოლაში — შესანიშნავი მეომარი. და აი, ეს გარემოება აგდებს გიორგის ფიქრსა და საგონებელში. მას უნდა ისეთი რამ გმირული საქმე მოიქმედოს, რომ თამარის სიყვარული დაიბრუნოს და მისი გული დაისაკუთროს.

— მე ვარ პირველი მსახური დედოფლისა, — ეუბნება ის ერთ მასთან დაახლოებულ ბერს, — მე ვარ ჯარის მეთაური. მე ვიმარჯვებ ომებში. ხომ მართალია?

— მართალი გახლავს.

— მაგრამ მე მეფე არა ვარ. მე ვარ მხოლოდ მამა დედოფლის შვილებისა. — მისი ვაჟის და ქალიშვილისა. როცა დედოფლის წინ ვდგევარ, ქუდი უნდა მოვიხადო და ხელში დავიჭირო. რა უნდა იფიქროს ქალმა თავის ქმარზე, რომელიც თავშიშველი, ქუდით ხელში დგას მის წინა? რა თქმა უნდა, იგი არაფრად ჩააგდებს მას... ეს ყოფილა ჩემი ბედის წერა, რომ მე მხოლოდ მეუღლე უნდა ვიყო ამ სახლში და მეტი არაფერი. ჩემი შვილი ჩემზე დიდია. ჩემი ქალიც. შეიძლება, ერთ დღეს ჩემი ბატონ-მბრძანებელი გახდეს... ეს შენც გეს-

შის, ბერო. მე დავიპყარ ტრაპიზონი, ერზერუმი, ანი, მაგრამ მე მაინც ხელოლოდ მოსამსახურე ვარ ჩემი შვილებისა... ძე წინააღმდეგი არა ვარ, მინდა ჩემი შვილების მოსამსახურე ვიყო. მაგრამ მე არ მსურს დედოფლის მონად ყოფნა...

— მონად ყოფნა?.. ნუ თუ დედოფალმა გითხრა მართლა, რომ...?

— სამი დღის წინეთ მე შევიპყარ დოვინის ხანი; მოკვლა ვერ გავბედე, რომ დედოფალი არ გამერისხებია. ეხლა აი იქაა დამწყვდეული (უჩვენებს რკინით მოჭედილ კარზე) და უცდის, თუ როგორ გადასწყვეტს მის. ბედს დედოფალი.

— დედოფალი მას სიცოცხლეს აჩუქებს.

— მართალს ამბობ, — აჩუქებს, იმიტომ რომ მე მეფე არა ვარ... არავინ თქვენგან არ იცის, თუ რას ნიშნავს მუდამ ჟამს დედოფლის მხოლოდ მეუღლედ ყოფნა. თუ ვინმეს ბრძანება მივეცი. ესა და ეს გააკეთე მეთქი, მაშინვე შემეკითხებიან: დედოფალმა ასე ბრძანაო? აი, შეხედე ამ ყვავილებს დედოფლისთვის აწყობენ და ამზადებენ, როცა იგი გამოჩნდება, საყვირს უკრავენ, ჯარის კაცები შვილდებით სალამს აძლევენ. მე კი, მე მხოლოდ ბატონიშვილი გიორგი ვარ და მეტი არაფერი.

გიორგი უმხელს ბერს თავის პლანს და სთხოვს დახმარებას. ქართველებს ამ დროს ომი ჰქონდათ ყარსის ხანთან. ქართველების ჯარი გარს ერტყა ყარსს და დღე-დღეზე ელოდნენ ხანის დამარცხებას. გიორგიმ გადასწყვიტა მალულად ხანის დახმარება, — ღამით მისი ჯარის ქართველების ბანაკში შემოყვანა და ამათი აკლება: შემდეგ ხანის ჯარით ანის ციხეზე წამოსვლა, საცა ამ ჟამად დედოფალი იმყოფება თავის ამალით, ციხის აღება და ამნაირად დედოფლის „დაპყრობა". გიორგი სთხოვს ბერს ყარსის ხანთან წერილის წაღებას და საქმის მოწყობას, რაზედაც, ყოყმანის შემდეგ, ისიც თანხმდება.

— ეს ძალიან სახიფათო საქმეა, — ეუბნება ბერი, — მაგრამ რა ხან მეფედ გახდომა გინდა, კიდეც უნდა გაბედო.

— მეფედ? მე მეფობა არ მინდა.

— განა შენ დედოფლის სამეფოს დაპყრობა არ გინდა და თვითონ ტახტზე ასვლა?

— სცდები. მე მინდა თვითონ დედოფალი დავიპყრა.

— არ მესმის. დედოფალი ხომ დაპყრობილი გყავს, იგი ხომ შენია?

— მე ვსტყუოდი. დედოფალი ჩემი არაა. თამარს არ ვუყვარვარ. დიდი ხანია, მე მასთან მალულად ვიბრძვი. მე ვარ მარტო, ხოლო შის გვერდით არის მოხუცი იღუმენი. არასდროს ჩემთვის სიყვარულით არ შემოუხედნია,—ბებერი იღუმენი უშლის. და მე ხომ არ დავი-

ნოქებდი და თხოვნას არ დავუწყებდი? არასდროს!... და ასე გადის დრო... მე მინდა დედოფალი დავსაჯო, — მას აგდებულად არ უნდა მივაჩნდე. როცა ხანის ჯარით მის წინ წარვდგები, ქუდს კი აღარ მოვიხდი, არამედ მოვახსენებ: თამარ, აი მე გახლავარ შენი მეუღლე, — მამჩნევ ეხლა თუ არა?

— და მიწა-წყალს, სამეფოს რას უშვრები?

— ვსტოვებ მის ფეხ ქვეშ ხელშეუხებლად.

ეს არის გიორგის იდუმალი განზრახვა. თამარ, თავისი ჩვილი და სათნოიანი ბუნებით, ვერ შეეწყო გიორგის მოუხეშავ ხასიათს და მასზე გული აიყარა. მისმა გულგრილობამ გამოიწვია გიორგის გარდაწყვეტილება, რომლის სისრულეში მოყვანით ის ჰფიქრობს თამარის ვულის მოგებას და სიყვარულის დაბრუნებას. მათი ცოლ-ქმრული გაწყობილება ნათლად სჩანს პიესის შემდეგი ადგილიდან:

— შენს მეუღლეს მაღალი ადგილი არ უჭირავს შენს სახლში, — ეუბნება თამარს გიორგი.

— მაგრამ ერთხელ ეჭირა, — უპასუხებს თამარი, — დიახ, ერთხელ უმაღლესი ადგილი ჰქონდა ჩემთან, განა არ იცი, ტფილისში? შენ იყავ ერთად ერთი, რომელიც მე ამოვარჩიე და რომლითაც ვაწყობდი.. მხოლოდ შენ-ღა გხედავდი, როცა სახლში ბრუნდებოდი, წინ გეგებებოდი მუსიკით და ყვავილებით, და როცა სხვაგან წახვიდოდი, ბნელი და მოსაწყენი ხდებოდა ჩემთვის ტფილისი. ეს იყო დრო, რომელიც მნათობებით მოცულ ცასავით კაშკაშებდა...

— ეხლა? ეხლა აღარ არის იგი დრო?

— აღარ, იგი დრო გაჰქრა.

— მაშ კარგი, — მე შენ წინ მათხოვრობას არ დავიწყებ.

— პირველად — განაგრძობს თამარი — შენ ბავშვსავით ჩვილი გული გქონდა, ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით ქალაქებში და სოფლებში. მაგრამ შემდეგ შენ სხვა გვარი ცხოვრება დაიწყე...

— ჰა, სასახლის ქალებთან არშიყობას მისაყვედურებ, განა?

— გაჩუმდი, მე ეს არ მჯერა... როგორც გენებოს, — აინუნში არ ზომდის. შენ მგონია სულ მაგაზე ფიქრობ! უმჯობესია სთქვა, რამ შეგიცვალა გული? წინეთ ბევრი ტყვეები მოგყავდა და მტერს ნაკლებ ხალხს უხოცავდი. დღეს კი აგრე აღარ იქცევი, — სისხლის ნიაღვარს არ ერიდები.

როგორც ისტორია გადმოგვცემს, თამარი იყო მეტად ღვთის შმოსავი, კეთილი, შემბრალე და ადამიანის ღირსების პატივის მცემელი. ეს თვისებები ჰამსუნსაც აქვს თავის პიესაში ჩაქსოვილი. პირველ მოქმედებაშივე გიორგი წარუდგენს თამარს ორას დატყვევე-

ბულ ქართველ ჯარის კაცს, რომლებსაც ბრძოლის ველისთვის თავი დაუნებებიათ და გაქცევა მოუწადინიათ.

— მე ესენი ცოცხალი დავტოვე, ეუბნება გიორგი, — სანამ შენ არ გადასწყვეტ, თუ რა გვარის სიკვდილით უნდა დაიხოცნენ.

— და მე რომ გადავწყვიტო, რომ არ დაიხოცონ და ცოცხალი დასტოვონ?

— თამარ, ამ გვარის შებრალებით შენ ვნებ ჩვენს ლაშქარს. ეს წინეთაც ბევრჯერ მითქვამს შენთვის.

— არა, წინეთ შენ ასეთი სასტიკი არ იყავი... წაიყვანე ტყვეები და დაამწყვდიეთ, სანამ მე მათთვის რამე სამუშაოს გამოვნახავდე... მაგრამ თქვენ, მეომრებო, უნდა იცოდეთ, რომ ბრძოლის ველიდან გაქცევა არ ვარგა, ამაღამ ბორკილებით დარჩებით, რომ ეს გაკვეთილი არ დაგავიწყდეთ.

დიდის თავაზიანობით და ღირსების პატივისცემით ეპყრობა თამარი დოვინის დატყვევებულ ხანსაც.

— ეგ არის ხანი? — კითხულობს იგი, როცა ტყვეს წარუდგენენ.

გიორგი: ეგ არის. რა იყო?

თამარ: უიარაღოდ?

გიორგი: იგი ტყვე არის და იარაღი ავხსენით.

თამარ: მოუტანეთ მისი იარაღი.

ხანი: დიდებულო მეფევ, ნება მიბოძე მადლობა გამოგიცხადო იარაღის დაბრუნებისათვის.

თამარ: შენი ხალხი გთხოვს შენს თავს, ხანო. შენთან ერთი სათხოვარი მაქვს და თხოვნას თუ ამისრულებ,—თავისუფალი იქნები.

ხანი: რასაც ინებებ მიბრძანო, მე ყველაფრის აღმსრულებელი ვარ.

თამარ: აბა ვნახოთ. გაიღებდი რამოდენიმე მიწა-წყალს თავისუფლების სასყიდლად?

ხანი: დიახ, ძალიან ბევრს.

თამარ: მაგრამ მიწა უშენოდაც ბევრი მაქვს, რომ გაგანთავისუფლო, დათანხმდები რჯული გამოიცვალო და ქრისტიანულად მოინათლო?

ხანი: (ხმას არ იღებს).

თამარ: იცოდე, აი ეს არის ჩემი სათხოვარი.

ხანი ძალიან ღონდება ასეთ წინადადების გაგონებაზე. იგი მზადაა თავის სამფლობელოს დიდძალ ნაწილზე ხელი აიღოს, მაგრამ ისლამის გამოცვლა შეუძლებლად ეჩვენება. იგი უარს ეუბნება დედო-

ფალს მის თხოვნაზე და უცხადებს, რომ მზადაა სიცოცხლე დასთმოს რჯულისთვის. ხანი მიჰყავთ ისევ სატუსაღო ოთახში.

მიუხედავად გიორგის რჩევისა, თამარს ერთ წუთსაც კი არ უფიქრია ხანის სიკვდილით დასჯა ან საზოგადოდ ძალის დატანება. პირიქით, მან თავის გულში გადასწყვიტა მეორე დღეს ხანის განთავისუფლება. და ეს იმ მიზნით, რომ დოვიბის თათრებზე ამგვარის სულგრძელობით შთაბეჭდილება მოეხდინა, თავისი გულკეთილობით მათზე გაემარჯვა და ქრისტიანობის მიღებაზე დაეთანხმებია.

მაგრამ ამ განზრახვის შესრულება ვერ მოუხდა. ერთი დამარცხებულ თათრის ხანის სასახლიდან მოყვანილმა ოსმალოს ქალმა (ფატმამ), რომელიც თამარის ამალაში ერია და მასთან დაახლოებული იყო, ღამით იმ ოთახის კარის გასაღები მოიპარა, რომელშიაც პატიმარი ხანი აყავდათ. გაუღო კარი და საიდუმლო გასასვლელიც ასწავლა. თამარის მშვენიერებამ და სულით სათნოებამ ხანი ისე მოაჯადოვა, რომ იგი გაპარვაზე არ თანხმდებოდა და სასახლეში ტყვედ დარჩენას რჩეობდა. მაგრამ ცბიერმა ფატმამ დაარწმუნა, — ეს დედოფლის სურვილია, თვითონ თამარს უნდა, რომ გაიპაროვო. მაშინ ხანი დამორჩილდა, — ჩაძვრა ხვრელში და გასასვლელისკენ გასწია.

დილას, როცა აპირობდა ხანისთვის თავის ბადაწყვეტილების გამოცხადებას და თავისუფლების მინიჭებას, თამარმა გაიგო პატიმრის გაპარვა და დიდადაც აღშფოთდა. გაგზავნეს ჯარის კაცები გაქცეულის საპოვნელად და შესაპყრობად. სწორედ ამ დროს ხანი ისევ სასახლეში გამოცხადდება: თამარის სიმშვენიერეზე ფიქრი მან თავიდან ვერ მოიშორა, გაპარვას ისევ მის ახლოს ტყვედ დარჩენა არჩია,—დაბრუნდა უკან და თამარის შვილებთან — გიორგისა და რუსუდანთან — მალულობიას თამაშობა იწყო. ხანის მოსვლა შენიშნეს მის საძებნელად გაგზავნილმა ჯარის კაცებმა, მიცვივდნენ და შვილდებით დაჰვრიტეს.

ამ გვარად ხანის სიკვდილის მიზეზი შეიქმნა ფატმა, რომელსაც ვითარცა მაჰმადიანს, უნდოდა ხანი მალე მოშორებოდა თამარის თვალწარმტაც მშვენიერების გავლენას და საფრთხეში არ ჩაეგდო მაჰმადის სარწმუნოება. ამ მკვლელობით ნაწყენმა და გაჯავრებულმა თამარმა ფატმა გარისხა და დაემუქრა, — ხანის ცხედარს დოვინელებს არ მივსცემ, არამედ აქ დავამარხვინებ ქრისტიანულადო, რელიგიურ ფანატიზმით გამსჭვალულმა ფატმამ ამ მუქარის აღსრულება საშინელებად ჩასთვალა და მის წინააღმდეგ საშუალებაც გამოსძებნა. შეუმჩნევლად გაიტაცა თამარის პატარა ვაჟი და ციხის გარშემო მიმალულ დოვინელ თათრებს მიჰგვარა. მოტაცებულ ვაჟის საძებრად წავიდა მამა (გიორგი), იპოვა თათრები, რომლებთანაც მიეყვანა

ბავშვი ფატმას, დარჩა თვითონ იქ საწინდრად, ხოლო შვილი გამოიხსნა და დედასთან გამოგზავნა. დოვინელებმა გამოგზავნეს თამართან მოციქულები და ითხოვეს გარდაცვლილ ხანის გვამი, რომ მათ მაჰმადის ოჯულისამებრ მიებარებიათ იგი მიწისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაშია, განაცხადეს იმათ, თქვენი მეუღლე, რომელიც ეხლა ჩვენს ხელშია, ცოცხალი ვერ დაგიბრუნდებათო. თამარმა, ფანატიკოს იღეენის რჩევით, ისევ და ისევ გაქრისტიანება ბოლთხოვა და მხოლოდ ამ პირობით შეჰპირდა ცხედრის მიცემას. თათრებმა რჯულის გამოცვლაზე ცივი უარი განაცხადეს და ცარიელი წავიღნენ თავის ბანაკში.

ამ დროს ქართველთა ჯარის სარდლისგან ამბავი მოუვიდა მეფეს, რომ ყარსის ხანი დავამარცხეთ და ქალაქი ავიღეთო. ამასთან სარდლისაგან გამოგზავნილმა კაცმა გააგებინა თამარს, რომ მკვდარ ხანს უპოვეს ჯიბეში წერილი, რომელიც მისი მეუღლის გიორგის —მოღალატობას ამტკიცებდა. ამ ამბავმა თამარი ძალიან ააშფოთა: უცებ გადასწყვიტა გიორგის დასახსნელად არ ეზრუნა და იგი დოვინელთა ხელში მიეტოვებია. მაგრამ თვითონ წერილის წაკითხვამ სრულიად შესცვალა მისი გუნება. წერილიდან თამარმა დაინახა, რომ გიორგი მისი გულისთვის, მისი სიყვარულის მოსაპოვებლად დაადგა იმგვარს გადაწყვეტილებას და — გული მოულბა, მიძინებულმა სიყვარულის გრძნობამ ხელ-ახლა გაიღვიძა. მაშინვე გასცა ბრძანება, ხანის კუბოს ძვირფასი ყვავილებით მოერთოთ და მუსიკითა და მრავალის ხალხ დასწრებით დოვინიელებისთვის ჩაებარებიათ.

კუბოს მორთვა არ იყო დასრულებული, რომ ციხის გარედან ხმლებისა და შვილდების ჩხარუნი მოისმა: გიორგის დოვინელთა ჯარი ვამოეყოლებია, თამარის ციხეს მოსდგომოდა და ციხის მცველებს დაუნდობლად ჟლეტდა. მან სძლია ამ უკანასკნელთ, — გაჰფანტა მცველები და ციხეში ძალით შემოვიდა. წინ შეეგება თამარი, მოღიმარი და ნეხიარული: „გიორგი, მიყვარხარ და წამოვალ ყველგან, სადაც შენ წახვალ“, ეუბნება მას აღფრთოვანებული დედოფალი.

ამ სახით გიორგიმ შეასრულა თავისი განზრახვა, — „დაიპყრო“ თამარი და გახდა მისი საყვარელი ქმარი.

ეს არის მოკლედ ჰამსუნის დრამის შინაარსი.

II

წინა წერილში ჩვენ გავაცანით მკითხველს მხოლოდ შინაარსი ჰამსუნის დრამისა, — არაფერი გვითქვამს მის ღირსებასა თუ ნაკლულევანებაზე. რას წარმოადგენს ნორვეგიული პიესა ისტორიული სინამდვილისა და სათეატრო ხელოვნების მხრით? რამდენად არის

მასში დაცული ისტორიული სიმართლე, რამდენად ეთანხმება და შეეფერება ეს „ქართველთა ცხოვრებიდან“ აღებული პიესა ქართულ ხასიათს და ზნე-ჩვეულებას? რამდენად ჰგავს ჰამსუნის „თამარი“ ნამდვილ თამარს, საქართველოს დიდებულ მეფეს?

როგორც ეტყობა, ჰამსუნი ძალიან ზერელედ იცხობს ჩვენს წარსულს. მის ნაწარმოებში არის რაღაცნაირი ადგილი, რომელიც ისტორიულ გადმოცემას პირდაპირ ეწინააღმდეგება. თამარის ქმარი, გიორგი, მას ბაგრატიონთა შთამომავალი ჰგონია: „ჩემი ცოლი — ამბობს გიორგი — ბაგრატიონია, მეც ბაგრატიონი ვარ, ჩვენ ორივე ერთ და იმავე გვარეულობისა ვართ. მაგრამ იგი იყო ერთადერთი შვილი გიორგი III-ისა და ამიტომ დედოფალი გახდა. მამა ჩემი რომ მეფე ყოფილიყო, მეც მისი მემკვიდრე ვიქნებოდი და მეფე გავხდებოდი.“ ნამდვილად-კი, როგორც ყველამ იცის, თამარის პირველი ქმარი ქართველი არ ყოფილა, — იგი ტომით რუსი იყო და არა ბაგრატიონი. შეცდომაა აგრეთვე, როცა ჩვენი ავტორი თამარის შვილების (გიორგისა და რუსუდანის) მამად სახავს გიორგის: თამარს გიორგისგან შვილი არ მისცემია, — გიორგისა და რუსუდანის მამა დავით სოსლანი (თამარის მეორე ქმარი) იყო და არა „გიორგი რუსი“.

ქართული სახელებიც ნაკლებ უნდა იცოდეს ჰამსუნმა. ყოველ შემთხვევაში, ქართველ ქალებს იგი უცნაურ სახელებს არქმევს: ს-ტიმატ (ფატმა), ცაიდატა, იუანატა, სოფიატ (სოფიო?), მეცედუ; — ამგვარი სახელებით ჰყავს მას თამარის ამალის ქალები მონათლული. ამასთან ამ ქალების ქცევა და სიტყვა-პასუხი ისე აქვს მას დასურათებული, რომ, ჩვენის აზრით, სრულიად არ შეეფერება არც მაშინდელ დროს და არც ქართველი ქალის ხასიათს. მაგალითად:

— ჰე, ცაიდატა! — უძახის გიორგი სასახლის ერთ ქალს, რომელიც თავის ამხანაგებთან ერთად ყვავილებს აწყობს.

ცაიდატა: მიბრძანე, ბატონო.

გიორგი: ამ ყვავილების დაწყობა ძალიან ბევრ დროს გართმევს.

ცაიდატა: დედოფალი მალე მოვა, — უნდა დავახვედროთ.

გიორგი: დედოფალი! იგი ჩემი ცოლია, მაგრამ შენ შეგიძლია ჩემი სატრფო გახდე.

ცაიდატა: ამას შენ მხოლოდ სიტყვით ამბობ: რამდენი ხანია ასე მეუბნები... დედოფალს მე ვეჯავრები. იუანატა და სოფიოც არ უყვარს, რადგან შენ იმათ შენს სატრფოებს უწოდებ.

იუანატა (გიორგის): ხომ გიხარია, რომ დედოფალი მოდის?

გიორგი: ჩუმად, იუანატა, თვითონ შენ ხარ დედოფალი, შენ არავინ გჯობნის ქვეყანაზე.

ცაიდატა: მე?

გიორგი: შენც.

სოფიო: და ბე?

გიორგი: შენც, სოფიო! შენ ცეცხლის მსგავსი ხარ... გეუბნები, ცეცხლივით მწველი ხარ მეთქი (და სხვ. და სხვ.).

როგორც ხედავთ, პიესის ეს ადგილი (და ასეთი რამდენიმე სხვაც არის) არ მოწმობს მაინცა და მაინც ავტორისაგან ქართველი ქალის ბუნების ცოდნას და ქართული ხასიათის შეგნებას. ახალგაზრდა ქალები მეფეს არ ერიდებიან, ერთმანეთს პირში სიტყვას აცლიან და ისე ეკითხებიან: როგორი ვართ ან ჩვენში რომელი უფრო მოგწონსო. მორიდება, მორცხვობა, თავდაჭერილობა, სიმშვიდე, დარბაისლური სიტყვა-პასუხი, — ყველა ის თვისებები, რომლებიც დამახასიათებელი ყოფილა ქართველი ქალისა ძველად, ეტყობა, ჩვენს ავტორს სრულებით არ სცოდნია. თითქოს ლიუდვიკო მე-XVI-ის სასახლე იყოსო, თამარის ციხეშიც ახალგაზრდა ქალები ისე არშიყობენ და ისევე მოურიდებლად ისმენენ საარშიყო სიტყვებს, რომ თანამედროვე „ფლირტის" მოყვარულ „დამებს" არ ჩამოუვარდებიან.

— ცაიდატა, ელაპარაკება გიორგის მეგობარი მსუნაგი ბერი სასახლის ქალს ისე, რომ სხვა ქალებსაც ესმისთ.—ცაიდატა, შენ უფრო ლამაზი ხარ, როცა ტანისამოსი სრულებით არ გაცვია.

— რას ამბობს! მერე და — საიდან იცი ეს? — ცოდნით არ ვიცი... მაგრამ შენ ღმერთს უნდა მადლობდე, რომ ისეთი ლამაზი ხარ უტანისამოსოდ.

ალბად ჰამსუნს თავისი პიესის წერის დროს ევროპის მაგალითებით უხელმძღვანელებია და მე-XII საუკუნის საქართველოს მეფის სასახლეშიაც იმგვარი ურთიერთობა და განწყობილება უგულისხმია.

საზოგადოდ ქართველის შინაგანი ბუნება, სულიერი ბეჭედი და თავისებურობა გამოუცნობი და გაუგებარი დარჩენილა ნორვეგიელ მწერლისათვის. ეს ჩანს არა მარტო მაშინ, როცა ავტორი სასახლის ქალების ქცევას ასურათებს, არამედ მაშინაც, როცა თამარსა და გიორგის ცოლქმრულ განწყობილებას ახასიათებს. ჰამსუნს ისე აქვს დახატული, რომ დოვინის ხანის ნახვამ თამარზე ძლიერი შთაბეჭდილება იქონია და გული რაღაც სასიამოვნო გამოურკვეველ გრძნობით აუძგერა. იგი წითლდება. ამას ამჩნევს გიორგი და, ნაცვლად იმისა, რომ დამალოს, საჯაროდ დასცინის და გესლიანად ეუბნება:

— შენ წითლდები დედოფალო, ამ დარბაზშიაც ხომ არ ცხელა?

— არა... მაგრამ ჰო, აქაც სიცხეა...

— ფატმა, მოუტანე წითელი ჩადრი, რომ დედოფალს სიწითლე დაუფაროს...

შეიძლება, ასეთი ქცევა სხვა რომელსამე ხალხში ბუნებრივად ითვლებოდეს და არავის არ ეხამუშებოდეს. ‘ბაგალითად, საფრანგეთის რომანისტების ნაწერებში ხშირად წაიკითხავთ ამგვარ ამბავს: ქმარი არ ჰფარავს და თითქმის საჯაროდ აცხადებს, ჩემს ცოლს საყვარელი ჰყავსო. მაგრამ ჩვენში, ქართველებში, არ მგონია ასეთი „გულახდილობა“ დამახასიათებლად ჩაითვლებოდეს. ქართველი დღესაც ‘ბიუხედავად ცხოვრებისა და, მაშასადამე, ახრ-შეხედულებათა ღრმა ცვლილებისა, დიდი სიფრთხილითა და ზრუნვით ჰმალავს თავის გრძნობის სამფლობელოს და სქელ ფარდას აფარებს თავის ოჯახურ ცხოვრებას. მით უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო ეს პსიხიური თვისება ძველად, როცა ცხოვრება იყო სადა, მარტივი და მოქალაქეობრიობა განუვითარებელი. გიორგი კი არ ერიდება არც დოვლათის ხანს, არც სასახლის მთელს ამალას და ყველას აგებინებს, რომ თამარს ხანი მოეწონა და მისი გამოისობით სახეზე სიწითლემ გადაჰკრა. ჩვენ გვგონია, აქ უცხო მწერალი სცდება და ძველ ქართველების პსიხოლოგიას ეწინააღმდეგება.

ჰამსუნის პიესის მთავარი მომქმედი პირი თამარია, რომელიც ახვებთან შედარებით გარკვეულად და ნათლადაა დასურათებული. ღრმა სარწმუნოებრივი გრძნობა, გულის სიკეთე, სინაზე და სირბილე, რომელსაც ისტორია გადმოგვცემს თამარის შესახებ, ჰამსუნსაც აქვს პიესაში ჩაქსოვილი. მაგრამ ამ უკანასკნელ თვისების გამოხატვას ავტორი ისე გაუტაცნია, რომ მის ნაწარმოებში თამარი ბოლოს და ბოლოს უფრო წვრილმანი ჯინის პატრონი და ხასიათით სუსტი ადამიანი გამოდის, ვიდრე სულით ‘ბტკიცე და ენერგიით ძლიერი. მეფე, რომელიც პატივისცემით ეპყრობა სხვის ღირსებას და ადამიანობას, თითქოს არაფრად აგდებს თვის საკუთარს ღირსებას და პიროვნებას. იგი ხან თავს იმდაბლებს და ხან კიდევ უღონოდ შეჰყურებს თავის ქვეშევრდომის თავგასულობას. როცა მასთან დატყვევებული დოვლათის ხანი შემოჰყავთ, თამარი ეკითხება: „ინებებ, ხანო, რომ მიპასუხოვო?“ თითქოს ხანი ტყვე კი არა, მისი ბატონი და მბრძანებელი იყოს.

— დიდი უბედურება მეწია, — განაგრძობს შემდეგ ხანი, — მაგრამ ამ უბედურებაში ბედნიერებაც ურევია. მე ვნახე შენი სიმშვენიერე და გავიგონე შენი ხმა.

თ ა მ ა რ: მაგრამ შენ რომ ჩემთვის არ შემოგიხედავს, ხანო? შენ დაბლა იცქირები.

ხ ა ნ ი: ჩვენი ადათი სხვაა, ვიდრე თქვენი, დედოფალო.

თ ა მ ა რ ი: ჩადრი რომ მეფაროს, მაშინ ასწევდი თვალებს და შეგომხედავდი?

ხ ა ნ ი: დიახ, შემოგხედავდი. ახლა კი შენი ხელები დავინახე, რომელიც ისე მშვენიერია.

თ ა მ ა რ: ფატმა, მათხოვე ერთი ჩადრი, გავიკეთო, რომ ხანს აღარ სჭირდებოდეს ძარს ცქერა.

თამარი ჩადრს იხვევს და ისე იწყებს ხანთან ლაპარაკს. ამით იგი მეტ ყურადღებასა და პატივისცემას უცხადებს თათრების ადათს და უფლებას, ვიდრე თავისას, და ეს ვითომ იმიტომ, რომ ნაზის გრძნობისაა და ცდილობს ყველას სიამოვნებას და გულის მოგებას. ავტორი, ალბად, ვერ ამჩნევს, რომ ამგვარის ქცევით მისი მოწონებული დედოფალი ქარაფშუტად ისახება და მკითხველისათვის სასაცილო ხდება.

ასეთი ხასიათის მაჩვენებელია პიესის შემდეგი ადგილიც.

— !საძაგელი! — ამბობს თამარი ხანზე, როცა გაიგებს მის გაპარვას. — სიტყვის გამტეხი! თქვენ, მაჰმადიანები, სულყველა მოღალატენი ხართ, თქვენი წინასწარმეტყველიც მოღალატე და სიტყვის გამტეხი იყო.

ფ ა ტ მ ა: სთქვი. რაც გინდა. მაგრამ წინასწარმეტყველზე კი არაფრის თქმა არ შეგიძლია.

თ ა მ ა რ: თქვენი წინასწარმეტყველი არ იყო, რომ წმინდანთა თვეში ქარავანს თავს დაეცა? ცოცხალი რომ იყოს, მე იმას ჩამოვახრჩობდი!

ფ ა ტ მ ა: ალახმა დასწყევლოს და გაახმოს ამ სიტყვებისათვის შენი ენა.

აი, ასეთი სიტყვებით ამკობს დედოფალს მისი მოსამსახურე და დედოფალი ჰყლაპავს ამ წყევა-კრულვას და არ სჯის უმცროსის თავაშვებულობას. შემცდარია ჩვენი ავტორი, თუ ჰგონია, რომ ეს „სულგრძელობის მაჩვენებელია. ადამიანის არც ერთი თვისება და მათ შორის „სულგრძელობაც“ განყენებულად არ წარმოიდგინება, — იგი მხოლოდ კონკრეტულ პირობებთან შეთანხმებულად არის წარმოსადგენი და გასაგები. თამარი, რომელმაც გამოუთქმელს ძლიერებამდის მიიყვანა მთელი სახელმწიფო, დაიპყრო და შემოიმტა უცხოხალხები, შეუძლებელია ისეთ სუსტ პირად წარმოვიდგინოთ, რომელსაც ვერ მოეხერხებინოს თვის საკუთარს სახლში დისციპლინისა და თავის ზნეობრივ ავტორიტეტის გამეფება. მეფე, რომელსაც მთელი სამეფო დიად ადამიანად სთვლიდა და უსაზღვრო პატივისცემას უცხადებდა, არ შეიძლება მხოლოდ განყენებულ „სულგრძელობის“ გრძნობით

ყოფილიყოს გამსჭვალული და იმდენად მოკლებული ჩვეულებრივ ადამიანურ თვისებას, რომ მოსამსახურის მოურიდებელი წყევა-კრულვა შეურაცხყოფად არ მიეღო და დამნაშავესთვის სასჯელი არ მიეყენებია.

მაგრამ ყველა აქ ნახსენები ნაკლი მცირეა შედარებით ერთ მთავარ ნაკლულევანებასთან, რომელსაც ჰამსუნის პიესა შეიცავს. ეს არის თამარის რომანტიკული ეპიზოდის გაურკვეველობა. ეს ეპიზოდი ისე ბუნდოვნად და სუსტად არის დრამაში გატარებული, რომ ძნელია კაცმა დანამდვილებით სთქვას, თუ რა გრძნობით ხელმძღვანელობდა თამარი, როცა დატყვევებულ ხანს სასახლეში ულოლიავებდა და, შეიძლება ვსთქვათ, ეალერსებოდა. ერთის მხრით პიესა იმ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ თამარს ხანი მოეწონა და მის გამო სიყვარულის მსგავს გრძნობით აძგერდა. იგი ისწორებს ტანისამოსს, ისწორებს წინდებს, ეიებს, ლამაზ ფეხ-საცმელს, სარკეს და ცდილობს ლამაზად და მოსაწონად ეჩვენოს ხანს. რომელიც, მისი ბრძანებით, შეორეხელ გამოჰყავთ სატუსაღო ოთახიდან. მასთან ატარებს მარტოდ რამდენსამე წუთს სასიამოვნო მასლაათში. ღამით დიდ-ხანს ხანის სახეს ვერ ივიწყებს და ვერ იძინებს. მეორე მხრით ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველა ამის მიზეზი პოლიტიკური მოსაზრება იყო და სხვა არაფერი: თამარს უნდოდა ხანზე ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა, მისი გრძნობა-გონება დაეტყვევებია და ამნაირად მის თხოვნაზე დასათანხმებლად და ქრისტიანობის მისაღებად მოემზადებია. რომელი აზრის გამოთქმა უნდა ავტორს, ეს პიესიდან ცხადად არა სჩანს, და ეს კი, ჩვენის აზრით, ნაწარმოების დიდი ნაკლულევანებაა. ეს იმას ჰნიშნავს, რომ ის პირი პიესისა, რომელსაც ეპიზოდი შეეხება, არ არის საკმაოდ განსაზღვრული და ტიპიურად დასურათებული. პიესა რამდენჯერმე რომ წაიკითხოთ, თამარის ფიზიონომიას მაინც ნათლად ვერ წარმოიდგენთ და ვერ გაითვალისწინებთ, — იგი სამუდამოდ რაღაც ბურუსით მოცული რჩება თქვენთვის.

კიდევ უფრო ნაკლებ განსაზღვრული და შემუშავებულია ჰამსუნის დრამაში გიორგის ხასიათი და სულიერი ელფერი. ვითომ თამარის სიყვარულით იგი ისეა გატაცებული, რომ მისი გულის მოსაგებად თავზე ხელს იღებს და მტრის დახმარებით მის „დაპყრობას“ აპირებს, მაგრამ არსად პიესაში არ ჩანს, რომ მასში გრძნობა ასე ძლიერი იყოს. მკითხველი იმ შთაბეჭდილებას იღებს, რომ გიორგი ემორჩილება არა თავის სურვილს და გადაწყვეტილებას, არამედ ავტორისას, რომელსაც მოუწადინია „დაპყრობით“ დაუბრუნოს მას

გულითა და გრძნობით დაშორებული თამარი. ამიტომ ღიმილი მოგდით, როცა კითხულობთ, რომ გიორგი რაღაც ათიოდე დოვინელ თათრის დახმარებით ძალით შემოვიდა თამარის ციხეში, იმ ციხეში, რომელსაც შურითა და შიშით უცქერიან აურაცხელი მტრები, გიორგის მოქმედება, ავტორის განზრახვით, უნდა ყოფილიყო გმირული: წამდვილად-კი გამოვიდა სასაცილო დონკიხოტური. ჯერ მართლა გმირულიც რომ ყოფილიყო, მაშინაც ამ მოქმედებას ის შედეგი ვერ მოჰყვებოდა, რასაც თვითონ მოელოდა. „დაპყრობით“ გიორგის არ შეეძლო შეეცვალა მისდამი თამარის განწყობილება. თამარმა წინათაც იცოდა, რომ გიორგი მამაცი მეომარი იყო, მაგრამ ეს გარემოება არ უშლიდა მასთან ცივად და სიყვარულის გრძნობას მოკლებული ყოფილიყო, როგორ უნდა გაეთბო მისი გული ახალ მამაცობას და გამბედავობას, ეს ჩვენთვის, მართალი უნდა ვსთქვათ, გაუგებარია.

თუ ასე სუსტად და მკრთალად დახასიათებულია პიესაში მთავარი შომქმედი პირები, რაღა გვეთქმის მეორე ხარისხოვანთა შესახებ. ესენი ავტორისაგან სულ მივიწყებულნი არიან. ამათგან ერთი სრულიად ზედმეტადაც არის პიესაში შეჩხირული. გიორგის მეგობარს ბერს არავითარი რეალური როლი არ აქვს მთელ დრამაში. მისი მოქმედება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ გიორგის წერილი მიაქვს ყარსის ხანთან. და მარტო ამისთვის, რასაკვირველია, საჭირო არ იყო მისი სცენაზე გამოყვანა და გრძელი ლათაიების გაბმა.

ერთი სიტყვით, ჰამსუნის პიესა საკმაოდ სუსტი ნაწარმოებია. ეტყობა, ავტორს მის დასაწერად დიდ-ხანს არ უმუშავნია და ისეთი ფაპრიკული რეცეპტით გამოუცხვია, როგორადაც ევროპაში ყოველ წლივ არა ერთი და ორი მდარე დრამა ცხვება.

დასანანია. ნორვეგიელს მწერალს ჰქონდა აქ შემთხვევა ერთი შეტად საინტერესო ისტორიული პირის პსიხოლოგია გაერკვია და სულიერი მდგომარეობა ხელოვნურად დაესურათებია. თამარი, რომელიც იყო ბრწყინვალე და ძლევამოსილი თავის, ასე ვთქვათ, საგარეო ურთიერთობაში და საქმეებში, იყო უბედური და დაჩაგრული თავის ოჯახურ ცხოვრებაში. რამდენადაც საშურველი და შესანატრი იყო გარედან მისი მეფობა, იმდენადვე სამწუხარო და სავალალო, პირველი ქმრის ხელში, მისი ოჯახური მდგომარეობა. და, აი, დაკვირვებულს და ნიჭიერს მწერალს შეეძლო ხელოვნურად დაეხატა ამ ორი მხარის შეუთანხმებლობისაგან წარმომდგარი დრამატიზმი და მწუხარება...

გაზ. „ცნობის ფურცელი“,
1904 წ., №№2381, 2391.

ფელეტონი

პეტრე უმიკაშვილი

სამძიმო და საძნელოა ახლად გარდაცვლილ მეგობარზე, რომლის გვამი ჯერ კიდევ თითქმის სულ მთლად არ გაციებულა, ნეკროლოგის წერა და პირადი დახასიათების შედგენა. სამძიმოა ეს მორალურად და საძნელო — ტექნიკურად; კაცს, რომელთანაც მრავალი წლების განმავლობაში მჭიდრო მეგობრული განწყობილება და დაძოკიდებულება გაკავშირებდა, ხედავ, რომ უცებ თვალები დაეხუჭა, მაჯის ცემა შეუწყდა, სიცოცხლის ნაპერწკალი გაუქრა და შენ, ცოცხალ და მგრძნობელ მეგობარს სამუდამოდ და დაუბრუნებლად გამოგეთხოვა. ხედავ, რომ დიდუმდა ის ენა, რომელიც ყოველთვის წრფელ მეგობრულ გულითადობას გადმოგცემდა და მუდამ გამხნევებდა, ხედავ, — უსიცოცხლო და გამომეტყველი გახდა ის სახე, რომელზედაც შენდამი ყოველთვის სიყვარული, თანაგრძნობა და პატივისცემა იხატებოდა. სამძიმოა, დამტანჯველია ასეთ სურათის ცქერა. იგი იპყრობს ერთიან ადამიანის სულიერ არსებას, აძლიერებს მგრძნობიარობას და ასუსტებს გონებასა და ლოგიკურ მსჯელობას. ასეთ მდგომარეობაში ადვილი და ბუნებრივია გრძნობაზე დაფუძნებული ტანჯვა და მწუხარება, მაგრამ ასევე ადვილი არაა მსჯელობის გაბმა, გარდაცვალებულის შრომა-მოღვაწეობის აღნუსხვა-დაფასება და მისი პირადი დახასიათება. ეს მოითხოვს მტკიცე და მიუკერძებელ ლოღიკას. რომელსაც იოტის ოდენადაც კი არ უნდა აყალბებდეს სუბიექტური გრძნობა და მეგობრული დამოკიდებულება.

ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფები მე დღეს, როცა ვიღებ კალამს ხელში პეტრე უმიკაშვილის შესახებ ამ მცირე შენიშვნის დასაწერად. სწორედ ათი წელიწადია მას შემდეგ, რაც იგი გავიცანი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა დამოკიდებულებამ თანდათან მეგობრული ხასიათი მიიღო და ბოლოს განსვენებულს ისე შეუყვარდი, რომ მამასაც კი თავისი ღვიძლი შვილი მეტად არ ეყვარება. მის ჩემზე მზრუნველობას საზღვარი არ ჰქონდა, და ეს გამოიხატებოდა ყველგან და ყველაფერში, — უბრალო და უმნიშვნელო წვრილმანებშიაც. და ასეთი ჩემთვის მამის მსგავსი კაცი უკანასკნელ დღეებში ჩემ თვალწინ იტანჯებოდა და ებრძოდა სიკვდილს, ჩემ თვალწინ ლევდა სულს და ესალმებოდა წუთისოფელს. ეხლა იგი წევს უსულო ცხედრად, რომელიც დღეს დაიმარხება და სამუდამოდ მიწას შეუერთდება. მუნჯად დავსცქერი მის უსიცოცხლო გვამს და ვგრძნობ მხოლოდ, თუ რას ნიშნავს საყვარელ, გულითად მეგობრის დაკარგვა. უეჭველია მკითხველი თავისთავად მიხვდება, რომ მე დღეს არ ვარგივარ პეტრეს ბიო-

გრაფიის დამწერად და მისი მოღვაწეობის დამფასებლად. ამგვარ დაფასებას სულიერი სიმშვიდე ეჭირვება.

მაინც საზოგადო მოღვაწეობა ისეთი მხარეა ადამიანის მოქმედებისა, რომელსაც ფართო საზოგადოება ჰხედავს და შეუმჩნეველი ვერ დარჩება. პეტრე უმიკაშვილი მთელი 40 წლის განმავლობაში მუშაობდა შეძლებისდაგვარად ქართულ მწერლობაში და იღებდა მონაწილეობას ჩვენს საზოგადოებრივ საქმეებში. ეს ისეთი მხარეა მისი ცხოვრება-მოქმედებისა, რომელზედაც ასე თუ ისე აზრი შედგენილი ექნება ყველას, ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენს მწერლობას და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამის საცოდნელად საჭირო არაა განსვენებულთან ახლო ნაცნობობა ან მეგობრობა.

მაგრამ არის მეორე მხარეც, რომელიც შეეხება აწ გარდაცვლილის ინდივიდუალობას და ახასიათებს მის პირადობას. როგორი იყო პეტრე უმიკაშვილი, როგორც კაცი, როგორც ადამიანი? ამაზე გარკვეულ აზრის გადმოცემა მხოლოდ ახლო ნაცნობსა და მეგობარს შეუძლია. 10 წელიწადი საკმაო დროა, რომ კაცმა კაცი გაიცნოს და მისი ინდივიდუალობა შეისწავლოს. და მეც დღეს განსვენებულის რამდენიმე თვისება მინდა მოვიხსენიო, რომელიც მის პიროვნებას შეეხება და მის ადამიანობას ახასიათებს.

განსვენებულის ერთი მთავარი თვისება იყო სიმართლე და პატიოსნება. ეხლანდელ დროში, როცა ადამიანებში სიყალბე და ორპირობა ძალიან ფეხაღგმულია, ხსენებული თვისება მართლა რომ დიდად მისაჩნევი და დასაფასებელია. განსვენებული სწორედ საარაკო სიმართლის მომხრე და აღმსრულებელი იყო. თავის დღეში იგი სხვის მოტყუებას არ მოინდომებდა და ვინმეს განზრახ ცრუობას არ ეტყოდა. ადვილად არავის არ შეჰპირდებოდა რამეს, მაგრამ შეპირების შემდეგ კი აღთქმულს უეჭველად შეასრულებდა. ეს ისეთი კაცი იყო, რომელთანაც თამასუქები და პირობები არ გჭიროდათ. შეგეძლოთ მისთვის მილიონი მიგებარებინათ უკვიტანციოდ და უმოწმებოდ და ამავე დროს სრულიად გულდამშვიდებული ყოფილიყავით,— იგი მიბარებულ ფულიდან არა თუ დახარჯავდა რამეს, არამედ იქიდან ერთ კაპეიკსაც-კი თავის საკუთარ ფულში არ გაურევდა. მიუხედავად ასეთი თვისებებისა, თავის დღეში არ დასთანხმდებოდა, რომ ვინმეს ფული მიებარებინა და მიღების ბარათი არ მიეცა. ხშირად იტყოდა: არ მინდა იმ კაცს გულში ეჭვმა გაუაროს, ან უცებ რომ მოკვდე, მის ქონებას რაიმე ხიფათი მიადგესო, მაგალითად,— და ეს ერთი მაგალითია ათასში, — ამას წინედ ერთმა შავი ქვის მრეწველმა 15 ათასი მანეთი დაუტოვა სხვისთვის გადასაცემად, ლაპარაკ-

ში გართულ პეტრეს დაავიწყდა მიღების ბარათის მიცემა, ხოლო მომტანმა, იცოდა რა მისი სიმართლე და პირიანობა, არავითარი კვიტანცია არ მოსთხოვა. მხოლოდ ამის წასვლის შემდეგ მოაგონდა მას, რომ ბარათი მიცემული არ ჰქონდა. მაშინვე დასწერა და ჩასაბარებლად თავისი კაცი რკინის გზის სადგურზე აფრინა. ერთის სიტყვით სიმართლე და პირიანობა ისე ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი რომ არ მგონია სიყალბე მას არა თუ მოემოქმედოს, არამედ გულშიაც-კი ოდესმე გაეტარებინოს, ისე არაფერი ეჯავრებოდა, როგორც ცრუობა და ტყუილის მოლაპარაკე ადამიანი. როგორც-კი ვინმეს ერთ თუნდა სულ პატარა ტყუილს შეამჩნევდა, მერე მისი აღარაფერი სწამდა და სჯეროდა. სიმართლე და სიტყვის გაუტეხლობა მისი მთავარი მცნება იყო ცხოვრებაში.

პეტრე უმიკაშვილის მეორე თვისებას შეადგენდა საზოგადოებრივი ინსტიქტი და მისწრაფება. ხშირად მის ხანში შესული ადამიანი მოეშვება, მოდუნდება და საზოგადო საკითხები ნაკლებ ან სრულიად არ ეინტერესება. განსვენებული ამის კონტრასტს წარმოადგენდა. საცა უნდა ყოფილიყო, რომელ ნაცნობსაც უნდა შეხვედროდა, უეჭველად ჩვენს საზოგადო საქმეებზე დაუწყებდა ლაპარაკს და ამ ლაპარაკში მთელი საათობითაც არ მოიწყენდა. თეატრი, გაზეთი, ჟურნალი, წარა-კითხვის საზოგადოება, წიგნების გამოცემა და სხვა ამგვარები— აი, ეს იყო მისი საყვარელი საგნები მასლაათისა. უნდა გენახათ, როგორ მთელის გულითა და სულით მხიარულობდა და სტკბებოდა, როცა რომელსამე ქართულ გაზეთსა ან ჟურნალში რაიმე ფხიან წერილს წაიკითხავდა. მის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იგებდა, რომ ჩვენს პრესსას მკითხველი და ხელის მოწერი ემატება. ეს სიხარული და აღტაცება იყო ნამდვილი გულის სიღრმიდან ამოსული, მასში არ ერია სიყალბე და ან თვალთმაქცობა. და ეს ჰხიბლავდა გარეშე ადამიანს და აყვარებდა ამ სულით ცოცხალ მოხუცებულ კაცს. ამ მოხუცებულობის დროსაც იგი, როცა კი თავისუფალი წუთი ჰქონდა, ცდილობდა რამე დაეწერა ან გადმოეთარგმნა და ამნაირად ჩვენს მწერლობაში თავისი წვლილი შეეტანა. საქმეში ისეთი დაუზარებელი იყო, რომ ბევრ ახალგაზრდას შეშურდებოდა. მაგალითად, ახალგაზრდების ერთმა წრემ სერგეი მესხის სახსოვრად საღამოს გამართვა განიზრახა: პეტრეს სთხოვეს მესხის ცხოვრებიდან რაიმე სცენის დაწერა. ისიც ხელად საქმეს შეუდგა, დიდი ნაწილი დასწერა კიდეც, მაგრამ მთლად დასრულება სიკვდილის გამო

არ დასცალდა. სწორედ ამ უკანასკნელ დღეებში, როცა ავად იყო, მოუვიდა საზღვარ-გარეთიდან პიესები იტალიურ ენაზე, — უნდოდა ცნობილ დრამატურგების პიესები გადმოეთარგმნა და ჩვენს სცენაზე დაგვედგმევინებია. ერთი პიესა გულდონისა უკვე გადმოთარგმნა ამ სამიოდე თვის წინად.

განსვენებულის მესამე თვისებად უნდა ჩაითვალოს ოპტიმისტობა და სულით ახალგაზრდობა. ყველა ნაცნობს აკვირვებდა ამ მოხუცის მუდმივი იმედი, სასოება. იმისგან ვერ გაიგონებდით უიმედობას და სასოწარკვეთილებას, ყოველ პატარა ნაბიჯს, ჩვენს საზოგადოებრივ თვითცნობიერების საქმეში წინ-გადადგმულს, იგი დიდ-მოვლენად სთვლიდა და „პესიმისტ"-ს ამით შავ-ფიქრებს უქარწყლებდა, როგორც-კი დაღვრემილ ნაცნობს შეეხვეწებოდა, მაშინვე ამ სიტყვებით მიჰმართავდა: „რაა, რომ ცხვირი ჩამოგიშვია, — ნუ მოეშვები და ნუ დაძაბუნდები"-ო. უყურებდი და გავიწყდებოდა, რომ ასეთი ნუგეშისა და გამამხნევებელ მოძახილის მომცემი იყო თვითონ მოხუცებული კაცი 65 წლისა.

დასასრულ, ვითარცა მეოთხე თვისება, მოსახსენებელია განსვენებულის ტკბილი და უწყინარი ბუნება. ეს თვისება ჰქონდა მას ყველა ნაცნობისათვის საყვარელ და სასიამოვნო პირად. მას არ შეეძლო ვინმესათვის ცუდი სიტყვა ეთქვა და ეწყენინებია. არ შეეძლო არავისი მტრობა და შურის ძიება, — მისი ბუნებით კეთილი გული ამას ეწინააღმდეგებოდა და ვერ იშვნევდა.

და ეს „ტკბილი პეტრე" უნდა მივაბაროთ დღეს მიწას. სამწუხარო და გულ-დასაწყვეტია მისი სიკვდილი ყველა მის ნაცნობისათვის და დასანანი—ვითარცა სიკვდილი საზოგადო მუშაკისა—მთელის საზოგადოებისათვის. განსვენებულს ყურის ტკივილი რომ არ ჰქონოდა, კიდევ შეეძლო სიცოცხლე და მუშაობა. 6 კვირის წინად დაემართა ინფლუენცია, რომლის გავლის შემდეგ ყურის ტკივილი დასჩემდა. ყურის სენმა გამოიწვია ტვინის ანთება და ამ ანთებამ ორ-დღეში მოუღო ბოლო მის ჯერ კიდევ მაგარ აგებულებას. ანთების დაწყებისთანავე დაეკარგა გრძნობა და უკანასკნელ ორ-დღეს ვეღარავის სცნობდა. როცა ცოტა სიცხე დაეტყო, თითქოს სიკვდილი იგრძნოვო, შემდეგი სიტყვებით მომმართა: „ჩემო ფილიპე, სახალხო ლექსები მრჩება გამოუცემელი,—ვეღარ მოვასწარი დამთავრება, და შენ იცი, როგორ უპატრონებ მათ".

ვეცდები, პატიოსანო ადამიანო, ღირსეულად შეგისრულო ეს შენი უკანასკნელი თხოვნა. ეს სამსახური იმისი მეათასედიც არ იქნება, რაც შენ ჩემგან გეკუთვნის და შეგეფერება. შენმა სწრაფმა

სიკვდილმა წამართვა ამის შემთხვევა და მომისპო შენი მეგობრობის სამაგიეროს ზღვის საშუალება.

მშვიდობით, პატიოსანო მეგობარო! შენ იყავ ჩემთვის მეგობარი კეთილი. იცოდე, შენს ხსოვნასა და მეგობრობას არ დაივიწყებს, სანამ ცოცხლობს ფილიპე გოგიჩაიშვილი.

გაზ. „ცნობის ფურცელი", 1904 წ., № 2507..

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

მოხერხებული დრო

„ერთობ ჩამოქვეითებულ, სრულიად ღარიბ და უმეცარ ქვეყნებში ხალხს და მთავრობას არაფერი სჭირია, პოლიციის მეტი. იქ ცხოვრება იმდენად მარტივი და უმოძრაოა, რომ პოლიცია ყველას ჰყოფნის და უვლის. იქ პოლიციას თავისი საკუთარი საქმეც აბარია და ყველა სხვისიც: მსაჯულიც ისაა, გზის-მკეთებელიც, ვაჭრობის ძფარველიც, ჯანმრთელობის მცველიც და სხვ. და სხვ. ყველგან ასეა, რომ ყრუ და ღარიბ მხარეში თავი და ბოლო პოლიციაა, და პოლიციის მეტი არაფერია საჭირო. მაგრამ რაც უფრო და უფრო იზრდება მხარე, რაც მისი ცხოვრება თანდათან ვითარდება და ჰყვავის. ძით ნაკლები ჰხდება საკუთრივ პოლიციის როლი, მის გვერდით იბადება და თან-და-თან იზრდება ახალ-ახალი ორგანოები: სამსჯავრო, სამკურნალო, სამოსწავლო, სავაჭრო, საგზაო და სხვ. რაც უფრო და უფრო მდიდრდება და ნათლდება ხალხი, მით უფრო მრავალ მხრიანი ხდება მისი ცხოვრება და, მასთან, მით უფრო მეტ ორგანოებს, მეტ დაწესებულებას იძენს ის თავის სხვა-და-სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სრულიად განათლებულ და განვითარებულ ქვეყნებში პოლიციათავი და ბოლო კი აღარ არის ყველაფრისა,—მარტო ერთი რგოლია იმ ვრცელი ჯაჭვისა, რომელიც ერის ცხოვრებას ჰმართავს. იქ პოლიციას მარტო წესიერების დაცვა აბარია და სხვა არაფერი. ე. ი. ყოველგვარი ძალადობის მოსპობა, ქურდების და ავაზაკების დევნა და სხვა ამგვარი რამ. ეგეც დიდი და მძიმე მოვალეობაა, რომლის რიგიანად ასრულება მეტის-მეტად საჭიროა ქვეყნისთვის და თანდათან კი უფრო და უფრო ძნელდება. ამიტომაც, ყოველთვის. როცა რომელიმე მხარე იმგვარ წარმატებაში შედის, როგორიც ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანას ეღირსა, ყველასათვის თვალსაჩინო ხდება, რომ პოლიცია, რაგინდ ღონიერ და პატიოსან პირებისაგან იყოს შემ-

დგარი, თავს ვეღარ გაართმევს დღითი-დღე წინმსვლელ ცხოვრებას. ეზის გაკეთებას თუ მიაწვა, ქურდები დასძლევენ, ქურდებს თუ გამოუდგა, ფოშტა ხელში შერჩება; ფოშტას თუ მიალია თავისი ღონე, ჯანმრთელობის საქმე წაუხდება და აგრეთვე სხვაც. საზოგადოების თუ ქვეყნის ზრდასთან, თანაბრად, პოლიციის გვერდით იბადება და იზრდება ახალ-ახალი ორგანოები, სხვა-და-სხვა საჭიროების მოსავლელად და დასაკმაყოფილებლად. მეცნიერება გვასწავლის: ხალხის დაწინაურების უტყუარი მაჩვენებელი პოლიციის მოვალეობის ჩამოთვლაა. რაც უფრო მეტი საქმე აბარია იმას, მით, სჩანს, ნაკლებად ყოფილა განვითარებული იმ ხალხის ცხოვრებაო. რაღა თქმა უნდა, რიგიანად გამართულ ქვეყნებში თვით ხალხს და მის არჩეულ წარმომადგენლებს აბარებს უმაღლესი მთავრობა ყველა ამ ახალ-ახალი ორგანოების მართვას და ხელმძღვანელობას.

ეს სტრიქონები ამოღებულია ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მშვენიერ წერილიდან, რომელიც ერობას შეეხება და ამ შვიდი წლის წინად ჟურნალ „მოამბე"-ში დაიბეჭდა (1897,№VI.) მაშინ ჩვენს მწერლობასა და საზოგადო დაწესებულებებში ბევრს ლაპარაკობდნენ ჩვენში ერობის შემოღების საჭიროებაზე და ქართველ თავად-აზნაურობამ აღძრა კიდეც მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, მსგავსად რუსეთის შიდა გუბერნიებისა, ჩვენი მხარესთვის საერობო დაწესებულებათა მონიჭებისათვის. შუამდგომლობა არ იქმნა დაკმაყოფილებული და ადგილობრივ საერობო, ე. ი. საზოგადო მოთხოვნილებათა გაძღოლა და დაკმაყოფილება დღესაც, როგორც წინად, პოლიციას აქვს ჩაბარებული. ამ საქმეებს ყველას პოლიცია განაგებს, და ამ მართვა-გამგეობაში ადგილობრივ საზოგადოებას არა აქვს არავითარი წილი. გარდა იმისა, რომ იხდის გაწერილ გადასახადს და ემორჩილება განკარგულებას. თვით-მართველობა, რომელსაც ასე თუ ისე წარმოადგენს რუსეთში დაწესებული ერობა, ჩვენს მხარეს არ აქვს მინიჭებული და ამ გვარად ჩვენ მოკლებულნი ვართ იმ უფლებასაც რომლითაც — აგერ 40 წელიწადია — სარგებლობენ იმპერიის შიდა გუბერნიებში მცხოვრებნი.

ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფი ხალხი არ არის ხოლმე ბედისგან „განებივრებული" და ამიტომ არც გვიკვირს, რომ მრავალჯერ აღძრული შუამდგომლობა ერობის შემოღების შესახებ უმაღლეს მთავრობისაგან არ იქმნა შეწყნარებული. რუსეთის არა ერთ და ორ გავლენიან წრეებში იყვნენ ისეთი პირები, რომელნიც ეშვისა და უნდობლობის თვალით უცქეროდნენ ერობას და ერობის მოღვაწეთ-იქაც კი სადაც ეს თვით-მართველობა არსებობს, არა თუ „განაპირა ქვეყნის" ხმა ყურად ეღოთ და „სხვა ტომთათვის" ერობის სარგებ-

ლობა ეცნოთ. რუსეთში ერობა შემოღებულ იქნა იმ დროს, როცა დიდი რეფორმების ხანა იყო და სახელმწიფოს გამგე პირებში რეფორმებს მომხრეები ჰყავდა. მაგრამ მალე სხვა სიომ დაჰბერა, და ახლად წარმოშობილ ერობას ძალიან გაუძნელდა განვითარება და ნაყოფიერი მოქმედება. მისი დაუძინებელი მტერი გაჰხდა პოლიცია და პოლიციური ბიუროკრატია. ერობა რომ არ ყოფილიყო, ყველა საერობო საქმეების სრული გამგე იქაც, როგორც დღეს ჩვენში, პოლიცია იქნებოდა და ეს კი პოლიციისთვის ბევრის მხრით სასურველი იყო. გაიმართა ამ ორ დაწესებულებათა შორის დაუსრულებელი შუღლი და წინააღმდეგობა: დღე არ გავიდოდა, რომ ერობა იძულებული არ ყოფილიყო საჩივრები თუ „თავის გასამართლებელი“ ქაღალდები არ ეწერა უმაღლეს მთავრობასთან გასაგზავნად რუსეთის შინაგან მართვა-გამგეობის მიმდინარეობამ თანდათან ისეთი ელფერი და ხასიათი მიიღო, რომ ერობა ხშირად ვერაფერს აწყობდა და ბრძოლიდან დამარცხებული გამოდიოდა და ბოლოს (1890 წ.) ეს დამარცხება კიდეც დაკანონდა, — წინანდელი (1864 წლის) წესდება შეიცვალა და მის მაგიერ ახალი გამოიცა, რომლითაც ერობას უფლებები ძალიან შეუზღუდეს და შეუმცირეს და თვით დაწესებულებას უფრო კონსერვატიული შედგენილობა მისცეს: შეამცირეს ხმოსანთა რიცხვი, გაამრავლეს და გააძლიერეს თავად-აზნაურთა ელემენტი, შეზღუდეს არჩევანის უფლება, შეუმცირეს მოქალაქეთა და გლეხობის რიცხვი ხმოსნებისა და სხვ. ერთის სიტყვით, 1890 წლის წესდება 1864 წელთან შედარებით ძალიან რეაქციონურია და შემოღებულია ერობათა „ლიბერალობის“ ასალაგმავად...

ამ წესდებისა და სხვა „ცნობილ“ ღონისძიებათა შემოღება ერობის შესახებ ერთი ეპიზოდია რუსეთის შინაურ გამგეობის ურთიერთობაში. ამ უკანასკნელს განსაზღვრული მიმართულება ჰქონდა და ეარ სცნობდა სასარგებლო საქვეყნო საქმეების მართვა გამგეობაში არც თვით-მართველობისა და არც საზოგადოების დახმარებას. ამ გარემოების წყალობით არა თუ ერობის მოქმედება და ცხოველმყოფელობა შესუსტდა, არამედ საზოგადოდ ადამიანის პირად თაოსნობასა და თვით-მოქმედებას ფრთები შეეკრა და სამოქმედო ასპარეზი დაეხურა. ეს შედეგი საზოგადოებისთვის ისეთი მავნებელი და თან ცხადი შეიქნა, რომ დღეს ყველა ჰხედავს და მასზე რუსეთის მოწინავე პრესსაც ერთხმად ლაპარაკობს.

მაგალითად, გაზეთ „Право“-ში (№39) დაბეჭდილია წერილი კიევის პროფესორის თავ. ევგ. ტრუბეცკოისა, რომელიც ეხება რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებს და ნათლად ამტკი-

ცებს, რომ სახელმწიფო ვერ იხეირებს, თუ მარტო ბიუროკრატიაა ყოვლის-შემძლებლად დასახული და უარყოფილია საზოგადოების თვითმოქმედებისა და შემოქმედების პრინციპებიო. იგი ეხება ეხლანდელ ომს, აღნიშნავს, რომ სამხედრო მოქმედება რუსეთის სასარგებლოდ ვერ მიდის, და კითხულობს: „ვისი ბრალია ეს? რუსეთის საზოგადოებისა? საზოგადოებას ეძინა მთავრობის განკარგულებით. მრავალ წელთა განმავლობაში ყოველგვარ ღონისძიებათ ხმარობდნენ, რომ იგი არ გამოღვიძებულიყო. როდესაც იშვიათად ვინმე ეცდებოდა წამომდგარიყო და ადამიანური სიტყვა ეთქვა, ამას მაშინვე საზოგადოებრივი მყუდროებისა და წესის დარღვევად ჩასთვლიდნენ. მაშინვე გაისმოდა ბრძანების ხმა: „ჩუმად, წყნარად იწექიო," და ძლიერი ხელი ადამიანს ძირს ახლევინებდა წამოწეულ თავს. უკანასკნელ წლებში რუსეთი საპოლიციო სახლის დასაძინებელ ოთახს დაემსგავსა. რუსეთის ამა თუ იმ საზოგადო საჭიროებათა გამო წარმოდგენილ მოხსენებაზე ერობათ ყოველთვის ერთ და იმავე პასუხს აძლევდნენ: „რუსეთის საზოგადო საქმე თქვენ არ შეგეხებათო". ერობას დანაშაულად უსახავდნენ სულ მცირე და სრულიად სამართლიან შუამდგომლობასაც-კი, როგორიც არის, მაგალ., შუამდგომლობა ფიზიკურ სასჯელის მოსპობის შესახებ, რომელიც, როგორც ყველამ იცის ეხლა ხან გაუქმებულ იქნა უმაღლესის მანიფესტით. ჩვენი ბეჭედითი სიტყვა, რომელიც მაჩვენებელია იმისა, თუ რის დაბეჭდვაა ნება-დართული, სდუმდა და, მიუხედავად ამისა გაზეთში მუდამ იბეჭდებოდა ცნობები, თუ რამდენ პერიოდულ გამოცემას ჰხვდა წილად აუცილებელი საცენზურო სასჯელი. ჩვენს საზოგადოებას არ შეეძლო ჩვენი საზოგადო ნაციონალურ ინტერესების დარაჯად მდგარიყო, რადგან მას არ ჰქონდა ამისთვის საჭირო ორგანოები, რადგან ეს აღემატებოდა მისი კომპეტენციის საზღვრებს მასში სისტემატიურად აძინებდნენ თვით-ცნობიერებას. და სანამ მას ეძინა, ფხიზლობდა მისთვის ყოვლის-ძლიერი ბიუროკრატია. ამას ებარა ჩვენი საზოგადო საქმე; მას უნდა გაეწია ჩვენთვის მფარველობა და აპეკუნობა, უნდა გაეთვალისწინებია და აეშორებია ჩვენთვის ყოველი ხიფათი და უბედურება. და რა გაითვალისწინა? ამის პასუხს შორეულ აღმოსავლეთის ომის ამბები იძლევა... საზოგადოების დამძინებელი ბიუროკრატია თვითონ მიეცა მძინარა საზოგადოებრივ ატმოსფეროს ჰიპნოზს და ამიტომ თავისში განახორციელა ყველა ჩვენი მთავარი ნაკლულევანებანი,—ჩვენი უხალისობა, ზარმაცობა და უზრუნველობა: ის ეძებდა მტერს, მაგრამ გარეშე მტერი ვერ შენიშნა, რადგან მისი ყურადღება სულ სხვა მხარეს

იყო მიქცეული. მას შიგ სახელმწიფოში ებლანდებოდა მტერი. მტრად ეჩვენებოდა, ვისაც მისი სახე და გამოხატულება არ ჰქონდა; საეჭვოდ მიაჩნდა ყველა ვინც „ჩინოვნიკი“ არ იყო, ვისაც დამოუკიდებელი რწმენა შეხედულება ჰქონდა და თავის სინიდისის ბრძანებას ბიუროკრატიის ბრძანებაზე მაღლა აყენებდა; მან დააჩუმა ყველანი, ვისაც დროზე შეეძლო გაფრთხილება და ნამდვილ ხიფათის ჩვენება. და ეხლა, ეხლა ჩვენ ვიმკით ნაყოფს იმისას, რაც აქამდის დაგვითესია“...

ასეთ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული თვით რუსეთში თვით-მართველობის ორგანოები და ასეთი გავლენა და შედეგი იქონია საზოგადოებრივ სინიდისსა და თვით-ცნობიერებაზე აპეკისა და ზედამხედველობის გაძლიერებამ. ამგვარ პირობებში ადვილი გასაგებია რომ ჩვენი მხარე დღემდის კიდევ ვერ ეღირსა, ერობას და თვითმართებულობ-ს საფუძველზე განვითარებას.

თუ ბიუროკრატიული წესი ასეთ გამოუსადეგარი და უნაყოფო აღმოჩნდა რუსეთის შუაგულში, სადაც მთავარი საზოგადოებრივი ძარღვი სცემს და გონებრივი ძალა მოქმედობს, რაღა უნდა ითქვას კავკასიაზე და კერძოდ საქართველოზე, რომელიც ბევრის მხრით ჩამორჩება რუსეთის შიდა გუბერნიებს თუ კიდევ საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ ადმინისტრატიულის წესით არ შეიძლება ეკონომიურ საკითხების გადაწყვეტა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ეს ცხად ჰყო და ნათლად დაამტკიცა აქაურ სასოფლო მეურნეობის მდგომარეობამ და ჩვენი ცხოვრების მოწყობილობამ. საითაც უნდა გაიხედოთ, ყველგან აუარებელ მოთხოვნილებათა და საჭიროებათ შეამჩნევთ, ხოლო ამათ დასაკმაყოფილებლად გაწეული შრომა და მეცადინეობა იმდენად მცირეა, რომ სათქმელადაც კი არ ჰღირს.

ჩვენ ყველამ უკეთ ვიცით გერმანიისა გინდ საფრანგეთის ხალხის ყოფა-ცხოვრება, ვიდრე ჩვენი გლეხობის მდგომარეობა, ჩვენში არაა სტატისტიკის ჭაჭანება, არ ჰხდება ეკონომიურ ცხოვრების შესწავლა და გამოკვლევა. არ ვიცით რამდენი მიწა აქვთ მემამულეებს, რამდენი — გლეხობას, არ ვიცით რამდენია დღეს ჩვენში უმამულო, მესაკუთრე, ხიზანთა ან დროებით ვალდებული გლეხი და რამდენი მამული უჭირავს თითოეულ მათგანს: არ ვიცით, რამდენი მიწა ითესება წლიურად, რით ითესება, როგორი მოსავალია: რა მდგომარეობაშია წარმოების ტეხნიკა, როგორია ამა თუ იმ ადგილას ნიადაგი, რა შემოსავალს იძლევა წარმოების სხვა-და-სხვა დარგი, — მევენახეობა, მებაღეობა, საქონლის მოშენება და

სხვა-და-სხვა. და აბა როგორ უნდა გაარკვიოს და გადასწყვიტოს ვინმემ ეკონომიური საკითხები, როცა ამის შესახებ სწორი ცნობები და საჭირო მასალები არ იკრიბება.

ჩვენში არაა საკმაოდ სკოლები, არაა გავრცელებული სწავლა და ცოდნა. არც მემამულემ და არც მიწის მუშამ არა იცის რა გაუმჯობესებულის ტეხნიკისა. მელიორაცია, სპეციალური კულტურა სხვა-და-სხვა გვარ სამეურნეო ნაწარმოებთა, ბალახის თესვა, ინტენსიური წარმოება, საქონლის ჯიშის განკარგება, ფერმები, სანერგეები, საცდელი მინდვრები, სამაგალითო სადგურები — არც ერთი ეს ჩვენში არ არის და არც არავინ ცდილობს მის გასავრცელებლად.

მეურნეს ხშირად ზარალი ეძლევა სეტყვისა და ცეცხლისაგან, საქონლის ჭირისაგან, ფილოქსერისა და სხვა-და-სხვა მავნე მწერებისაგან. არ არის მოწესრიგებული დაზღვევის საქმე დაზარალებულისთვის შემწეობის აღმოსაჩენად, არც რაიმე ორგანიზაცია მავნე მწერებთან საბრძოლველად, დაეწვის სახლი თუ ყანა, მოუკვდება ხარი თუ ძროხა, გაუხმება ვენახი თუ ნათესს გაუნადგურებს კალია, — მეურნემ თავის ბედს უნდა შესჩივლოს და კარ და კარ იწყოს მათხოვრობა.

ყველამ იცის, სოფლად გზები რა მდგომარეობაში იმყოფება. ჰატარა წვიმის შემდეგ მდინარეები, უხიდობის გამო და გზები, ტალახის გამო, გაუვალი ხდება. ხშირად რუსეთიდან გინდ უცხოეთიდან უფრო იაფი ჯდება საქონლის მოტანა, ვიდრე შინაურ ნაწარმოების 60 ვერსიდან ქალაქში მოზიდვა: ქართლის პური რუსულ პურს კახეთში ვერ უწევს კონკურენციას: ჩვენს ტყიან ქვეყნებში ხის მასალა რუსეთიდან შემოაქვთ, ხოლო ქუჩების მოსაფენად ქვებს ოსმალეთიდან ეზიდებიან.

ხალხი თანდათან მრავლდება და მიწა აღარ ჰყოფნის დასამუშავებლად. ჩნდება გროვა სრულიად უმამულო გლეხებისა, რომლებსაც ქალაქშიაც უჭირთ, მრეწველობის განუვითარებლობის გამო, სამუშაოს შოვნა და სოფლადაც არ აქვთ საშუალება, უმამულობის მიზეზით, წარმართონ სამეურნეო წარმოება, არ არსებობს არავითარი საკრედიტო დაწესებულება, რომელმაც მცირე მამულიან გლეხებს მცირე სარგებლით სესხი მისცეს და მამულის შეძენაში კრედიტით გაუწიოს დახმარება. — ესრედ წოდებული წვრილი კრედიტი, რომელიც წვრილ მწარმოებლისთვის აუცილებლად საჭიროა, ჩვენში სრულიად არ არის შემოღებული და ამიტომ სოფლის მეურნე მევახშის საწველ ფურადაა დატოვებული.

ხალხის ჯანმრთელობისათვის მთელს მაზრაში ერთად-ერთი მაზ-

რის ექიმია განწესებული, ხოლო თვით მაზრა იმ ზომისაა და ისეთ კლდე ღრეებს შეიცავს, რომ ერთი კაცი ბედაურ ცხენითაც-კი რამდენსამე წელიწადს ვერ შემოივლის. მაზრის ექიმი თავის დანიშნულებით უფრო სასამართლოს ემსახურება: იგი მოვალეა, საჭირო შემთხვევებში სასამართლოს ოქმები წარუდგინოს და „ჩინოვნიკის" როლი შეასრულოს ხალხის ჯანმრთელობასა და სანიტარულ მდგომარეობაზე ზრუნვა მეორეხარისხოვან საქმეს შეადგენს. და ასეთ გარემოებაში ხალხი თურმე ძალიან გასამტყუნარი და დასაგმობი ყოფილა, რადგან იგი ავადმყოფობის დროს მკითხავებთან გარბის და ხშირად სოფლის მატყუარა ექიმბაშებზე აგებს თავის საცხოვრებელს.

ერთის სიტყვით ნაკლულევანება და მოუწყობლობა ბლომადაა ჩვენს ცხოვრებაში, ხოლო ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც ხალხის სასარგებლოდ პოლიციას განეხორციელებიოს და თვალსაჩინო ნაყოფიც მოეტანოს, სანთლითაა საძებნელი, და ეს ასე იქნება, სანამ ძველი წესი არ შეიცვლება და ადგილობრივ საერობო საქმეების მართვა გამგეობის უფლება თვითონ საზოგადოებას და მისგან არჩეულ პირებს არ მიეცემა. რუსეთის ერობამ, მიუხედავად მრავალჯვარ დაბრკოლებათა, დიდი სამსახური გაუწია რუსეთის ხალხს. არ არის არც ერთი თვალსაჩინო მხარე ეკონომიურ ცხოვრებისა, სადაც მას არ ემუშაოს და გარდუვალი კვალი არ დაეჩნიოს თავის ნაყოფიერ მოქმედებისა. საკმარისია აღვნიშნოთ სულ ორი თუ სამი ციფრი, რომ მკითხველმა ხელად დაინახოს თვითმართველობის პრინციპის უპირატესობა. რუსეთის 34 გუბერნიაში ერობა ჰხარჯავს სახალხო განათლების საქმეზე თავის ბიუჯეტის მეხუთედს ანუ 20%-ს. კავკასიის საერობო ბიუჯეტიდან კი ამავე საგანს ჰხმარდება მხოლოდ 3%. ხალხის ჯანმრთელობის დასაცავად ერობას ეხარჯება ბიუჯეტის 23%, ხოლო კავკასიას, პოლიციის განაწილებით, — 10%. საბეითალო ნაწილზე ერობის ხარჯია 2%, ხოლო კავკასიისა — ერთ პროცენტზე ნაკლები (0,9%). სამაგიეროდ კავკასიაში ეძლევა ხაზინის სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად ბიუჯეტის სამი მეოთხედი, ხოლო ერობის მქონებელ გუბერნიებში — მარტო 7% კავკასიის საერობო ბიუჯეტი, სულ 4 მილიონი. ამისი სამი მეოთხედი ანუ სამი მილიონი მანეთი იხარჯება უმთავრესად საერობო დარაჯთა რაზმების შესანახად. რომელნიც ამ ოთხი წლის წინად დააწესეს ჩვენში. ცხადია, რუსეთის ერობათა ხარჯები უფრო ნაყოფიერია მცხოვრებთათვის...

დღეს ჩვენში ყველას შეგნებული აქვს ერობის მნიშვნელობა და

შისი შემოღების საჭიროება. და ჩვენ ამ სტრიქონებს ვწერთ არა იმიტომ, რომ უკვე აღმოჩენილი ამერიკა ხელ-მეორედ აღმოვაჩინოთ და ერობის მნიშვნელობაზე ჩვენს მწერლობაშიაც ბევრჯერ გამოთქმული აზრი ერთხელ კიდევ გავიმეოროთ. არა, არის ამ ჟამად ერთი სხვა გარემოება, რომელიც მიზეზსა და საფუძველს გვაძლევს, რომ საზოგადოებაში ხელ-ახლა აღვძრათ ერობის შესახებ მსჯელობა და მას მოსაპოვებლად გავწიოთ ზრუნვა და გავმართოთ შუამდგომლობა.

ამ ერთის თვის წინად შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა თავ. სვიატოპოლკ მირსკი. ახალმა მინისტრმა თავის დანიშვნის შემდეგ პირველსავე დღეებში ისეთი სიტყვები წარმოსთქვა რომ მთელი რუსეთის პრესსა დღეს მასზე ლაპარაკობს და დიდ იმედსაც ამყარებს. მან საჯაროდ გამოსთქვა თავისი profession de foi რწმენა და აღიარა, რომ იგი მეგობარია პრესსისა და მომხრეა „პროგრესისა, სარწმუნოებრივ თავისუფლებისა, მთავრობასა და საზოგადო დაწესებულებათა შორის ნდობის გამართვისა, თვითმართველობისა და დეცენტრალიზაციის პრინციპის განვითარებისა და სხვ. „მე მრწამს, — სთქვა მან სხვათა შორის, — რომ ერობის მოქმედება ნაყოფიერია. ერობაში მე სამსახურის ყველა ხარისხი გამოვიარე და დარწმუნებული ვარ, რომ ერობას ფრიად სასარგებლო მოქმედება შეუძლიან“ ეს ისეთი სიტყვებია, რომელთა მსგავსი რუსეთს დღემდის შინისტრის პირიდან არ სმენია და ამიტომ ადვილი გასაგებია რუსეთის მოწინავე პრესსის სიხარული და აღტაცება. ერობა, რომელსაც რუსეთის „საფუძველთა“ აღმომფხვრელად და, მაშასადამე, გასრესის ღირსად სთვლიდნენ გუშინ ბნელეთის მოტრფიალენი, დღეს მინისტრმა ნაყოფიერ და სასარგებლო დაწესებულებად გამოაცხადა. გაზ. „რუს“-ის თანამშრომლისათვის შემდეგი სიტყვები უთქვამს მინისტრს ისევ ერობის შესახებ: „ერთობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა იმ საქმეში, რომელსაც აზრად აქვს სარჩოთი უზრუნველჰყოს ერი. საზოგადოდ ერობას დიდ მნიშვნელობას ვაძლევ. გამოცოცხლება ერობისა კეთილად იმოქმედებს ჩვენი სამშობლოს დოვლათიანობაზე. ზემოხსენებულ საქმის გამოწირვა ერობისაგან არ ივარგებს, ეგ არა თუ უფლებაა მისი, არამედ მოვალეობაც. ერობის შემოღებაც საჭიროა იქაც, საცა ჯერ არ არის შემოღებული.“

რაჟან ასეთია აზრი თვითონ მინისტრისა, ერობის შემოღებას ჩვენს მხარეში დიდი დაბრკოლება აღარ უნდა შეხვდეს. ჩვენ გვგონია, რომ ერობის სათხოვნელად ეხლანდელი დრო სწორედ მოხერხებული დროა და ამიტომ საჭიროა ჩვენმა თავად-აზნაურობამ ხელ-ახლა გამართოს ამ საგანზე მსჯელობა და, რაც შეიძლება, მალე აღძ-

რას შესაფერი დასაბუთებული შეამდგომლობა. რა თქმა უნდა, შიდა გუბერნიებზე უკეთეს წესდების ერობას ჩვენ არავინ მოგვცემს და თხოვნისა და შუამდგომლობის აღძვრა მხოლოდ იმგვარ ერობის გამო შეიძლება, როგორიც დღეს არსებობს რუსეთში. მართალია, 1890 წლის „წესდება“ ძველთან შედარებით ბევრის მხრით ჰდარია, მაგრამ „კრიტიკასა“ და ნაკლულევანებათა ჩვენებას ჩვენ არავინ გვთხოვს და რომ ვიკისროთ კიდეც ეს როლი, გამგონი არ გვეყოლება. როგორც სამართლიანად სწერდა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა და ამას უნდა შევადაროთ ერობისაგან მოსალოდნელი ცვლილება. ასეთ შედარებით კი უეჭველად იმ დასკვნაზე მივალთ, რომ რაგინდ ნაკლულევანებიანი იყოს ეხლანდელი ერობის წესდება, ჩვენთვის მაინც სასიკეთო და სასარგებლო იქნება. და ამიტომ ჩვენ ამ შემთხვევაში ქებისა და მადლობის მეტს ვერაფერს ვეტყვით იმ პირთ, რომელნიც ეცდებიან, თაოსნობას გასწევენ და ჩვენს ქვეყანას მოუპოვებენ თუნდა ისეთ „მდარე“ თვითმართველობას, როგორითაც სარგებლობს დღეს რუსეთის საზოგადოება.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ., № 2634.

შინაური მიმოხილვა

ჩვენი ეკონომიური გაჭირვება

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება წარსულ წელს არ ყოფილა მდიდარი „დიდი ამბებით“ და არა ჩვეულებრივ მოვლენებით. და მკითხველი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს უცხოეთის ცხოვრების მიმდინარეობას და შეჩვეულია იქაურს ცვალებად მოვლენათა მოსმენას, შესცდება და მოსტყუვდება, თუ ასეთის მოლოდინით შეხედავს ამ ჩვენს „შინაურს მიმოხილვას“. ჩვენ, მოწინავე ერებთან შედარებით, ჩამორჩენილი ვართ და ასევე ჩამორჩენილია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებაც. აქ არ არის ის ძლიერი დუღილი, მძლავრი მაჯის ცემა, საზოგადოებრივ ძალთა შეჯახება, ბრძოლა და სწრაფი წინმსვლელობა, რომლითაც განსხვავდება ევროპა და საზოგადოდ დაწინაურებული კაცობრიობა. აქ, ჩვენში, ყველაფერი კეთდება en petit, პატარად, ცოტა-ცოტაობით, ნაკლები ღონით და ენერგიით, არაა გაზდილი და განვითარებული საზოგადოებრივი ძალა და შემოქმედება და ამიტომ ჩვენს ცხოვრებას აკლია უცხოეთისებური მოელვარება და ცხოველმყოფელობა, აკლია ჩვეულებ-

რივ მიმდინარეობის დროგამოშვებითი შეკუმშვა-შეზვირთება, რომელიც, „საყურადღებო ამბის“ სახით, ყველასთვის შესამჩნევი და სანახი ჰხდება.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს მაინც, რომ მთელს წელიწადს ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობაში, არ ყოფილიყოს ისეთი მხარეები, რომლებიც ღირსია აღნიშვნის და განმარტებისა. წარსული წლის განმავლობაში ჩვენი ხალხიც ცხოვრობდა მოქმედობდა, იღწვოდა და იბრძოდა არსებობისათვის. რა პირობები ეხვია გარს მის საქმიანობას, რა დაბრკოლება ხვდებოდა წინ მის მოქმედებას, რა უპირდა და აწუხებდა ჩვენი ხალხის მშრომელ უმრავლესობას — აი კითხვები, უმთავრესად ეკონომიურ ხასიათისა, რომლებსაც გვინდა ჩვენ შევეხოთ ამ „მიმოხილვა“-ში და ზოგიერთი მათგანი გავარკვიოთ შეძლებისდაგვარად.

ეკონომიურ საკითხებს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ჰქონდა შარშან მიქცეული ჩვენს პრესსაში და საზოგადოებაშიც. სამინისტროსაგან გამოცხადებულ პროგრამისა და სურვილის თანახმად, შესდგა სამეურნეო კომიტეტები და როგორც ამ კომიტეტებში, ისე „სამეურნეო საზოგადოებაში“ იმართებოდა კრებები და ირჩევოდა ადგილობრივი ეკონომიური საკითხები. ამ კრებებს და იქაურ ბჭობა-კამათს დიდის ინტერესით ეპყრობოდა პრესსა და საზოგადოება. ჩვენი ცხოვრების ბევრი საინტერესო მხარეები გამოირკვა ამ დროს, ბევრგვარი დაბრკოლება და დაქვეითება იქმნა აღნიშნული და განმარტებული. სხვათა შორის, განხილულ იქმნა ჩვენებურ მიწათმფლობელობის ვითარება, რომელიც თავისი მნიშვნელობით ღირსია განსაკუთრებულ ყურადღებისა და მზრუნველობის.

სასოფლო მეურნეობაში მიწა არის უმთავრესი სახსარი წარმოებისა. ამიტომ მეურნესთვის იგი არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს. მიწის ნაყოფით მან უნდა დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილებანი, — უნდა ირჩინოს თავი, გადაიხადოს სახელმწიფო თუ საზოგადო გადასახადი და აწარმოვოს თავისი მეურნეობა. ხალხის მოთხოვნილება მუდამ ერთ დონეზე არა დგას, იგი ყოველთვის იცვლება და ვითარდება. ერთის მხრით მიმოსვლის გაადვილებისა და მეორე მხრით ვაჭრობისა და ხელოსნობის გავრცელების გამო ხალხი ეცნობა ყველა იმ ნაწარმოებთ, რომელნიც თანამედროვე მატერიალურ კულტურას წარმოადგენენ, და ეჩვევა კიდეც თანდათან იმათ ხმარებას. მას უჩნდება ბევრი ახალი კულტურული მოთხოვნილებანი, რომლებიც ძველად არ იყო და ამიტომ არც დაკმაყოფილებას საჭიროებდა. დღეს კი მეურნემ ყველა ამათ ანგარიში უნდა გაუწიოს და დააკმაყოფილოს. და ამის შესრულებას იგი

მხოლოდ მაშინ შესძლებს, როცა მიწა საკმაოდ აქვს, როცა მიწის მოსავალი ჰყოფნის ხარჯების დასაფარავად.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ მოთხოვნილებები გამრავლდა, თორემ მიწას არც სივრცით უმატნია და არც თავისი ნაყოფიერებით. თუ აქა-იქ გლეხობამ თავად-აზნაურობისაგან მამულები შეიძინა, სამაგიეროდ ხალხი იმდენად გამრავლდა, რომ ამ შენაძენს ბევრად გადააჭარბა, ასე რომ დღეს ჩვენში მიწის საშინელი სივიწროვეა. სტატისტიკური ცნობები მიწათმფლობელობის შესახებ გვარწმუნებს, რომ გლეხობა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ძალიან შევიწროებულია მიწის სიმცირის გამო. საშუალო რიცხვით თითო კომლზე მოდის ტფილისის გუბერნიაში 8 დესეტინა ვარგებული მიწა. სხვა და სხვა კატეგორიის გლეხობაში მიწა მეტად უთანასწოროდაა განაწილებული. თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, თითო კომლ სახაზინო გლეხს უწევს 10 დესეტინა, დროებით ვალდებულს 2 დესეტ. და ხიზანს 3½ დესეტ. ქართლის 27 სხვა და სხვა სოფელში გლეხთა 43%-ს აქვს ერთ დესეტინაზე ნაკლები მიწა, 21%-ს 1—2 დესეტ., 15%-ს 2-3 დესეტ., 12%-ს 3-5 დესეტ. და დანარჩენ 9%-ს 5 დესეტ. მეტი. ამ სახით გლეხთა ცხრა მეათედს კომლზე 5 დესეტინაზე ნაკლები მიწა უწევთ. „თელავის მაზრაში, მაგალითად, — იწერება კორესპონდენტი („ივ.“ №72). — დიდად შევიწროებულია გლეხობა მამულის სიმცირით. საშუალო რიცხვით თითოეულს გლეხს საკუთრებად 3/4 დღიურისა ძლივს ჰხვდება სახნავი და სათესი ვენახითურთ“.

განსაკუთრებით მიწის დიდი სივიწროვეა ქუთაისის გუბერნიაში. თითო კომლ სახაზინო გლეხს უწევს იქ 3 დესეტ. მიწა, ხიზანს 2 დესეტ., მესაკუთრეს 2 1/3 დესეტ. და დროებით ვალდებულს 3 დესეტ. (შეად. Сборник статистических сведений о землевладении и т. д.; Труды местных комитетов о нуждах с.-хоз. пром, ტომი 52). ისეთი ოფიციალური დაწესებულება, როგორიც იყო სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა განსახილველად შემდგარი ქუთაისის კომიტეტი, თავის მოხსენებაში ამბობს, რომ მიწის სიმცირე უმთავრესი დაბრკოლებაა ადგილობრივ მეურნეთა ეკონომიურ წარმატებისაო (გვ. 230). გლეხთა 60—70%-ს არა აქვს საკმაო მიწა და ამიტომ ძალიან გაჭირვებაშიაო. იქვე „ქუთაისის გუბერნიაში, — სწერია ამიერ-კავკასიის რკინის გზის წლიურ ანგარიშში. — ისე ძნელია თავის გამოკვებვა, რომ გარედ სამუშაოზე წაუსვლელად ხალხი ღატაკურად ცხოვრებასაც-კი ვერ შესძლებდა... ხშირად სიმინდს ისეთ ხრიოკებზე სთესენ, საცა ადგილობრივი ხარიც-კი ვერ ადის და ამიტომ მიწას კი არ ხნავენ, არამედ თოხით სთოხნიან. პირველსავე

წვიმას ნათესი ძირს ჩამოაქვს, მიწათ-მომქმედის შრომა იღუპება. მაგრამ რა ჰქნას, როცა მიწა აღარაა. საალალბედოდ სთესავს იგი ხრიოკებზე, სადაც არავითარ მოსავლის მიღება არ შეიძლება". (Краткий обзор коммерческой деятельности зак. ж. д. за 1901 г., Тифл. 1903 г., გვ. 52).

უდიდესი ნაწილი მამულებისა ჩვენში ქართველ თავადაზნაურობის ხელშია (1011719 დესეტ. ტფილისის გუბერნიაში და 815321 დესეტ. ქუთ. გუბ.). ეს წოდება რიცხვით მცირე ნაწილია ჩვენი ხალხისა (2,89% ტფილ. გუბ. და 6,78% ქუთ. გუბ.). ამიტომ ბევრს ჰგონია, რომ ამ წოდების ყველა წევრნი უზრუნველყოფილნი არიან მამულით და მათს მამულის ნაკლებობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ნამდვილად კი თავადაზნაურობა არ წარმოადგენს ერთ მთელს და ერთგვარ ნაწილებისგან შემდგარ ორგანიზმს. ამ წოდების წევრთ შორისაც არის დიდი განსხვავება მამულიანობისა და საზოგადოდ ქონების. სახაზინო პალატის ცნობებით, რომლებიც ჩვენ დავაწყვეთ და შევამუშავეთ, ტფილისის გუბერნიაში არის სულ 4701 თავად აზნაურის მამული. ეს მამულები, სიდიდის მიხედვით, ასე განაწილდებიან:

მაზრები:	10 დესეტინამდის	10—25 დეს.	25—50 დეს.	50—100 დეს.	100—250 დეს.	250—500 დეს.	500—1000 დ.	1000—2000 დესეტ.	2000— დესეტ ზეტი	სულ მამულ.
ახალქალაქის	55	17	21	17	22	10	1	3	—	146
ახალციხის	55	23	7	17	27	13	7	3	4	156
ბორჩალოს	89	59	76	80	79	61	51	38	23	556
გორის	682	263	246	188	190	90	56	25	13	1753
დუშეთის	98	116	102	146	137	37	16	4	3	659
სიღნაღის	113	56	46	39	42	17	15	10	6	344
თელავის	165	63	52	63	58	22	15	17	1	456
თიანეთის	26	5	7	11	26	10	20	5	1	111
ტფილისის	157	32	56	77	102	56	20	15	5	520
სულ ტფილისის	1440	634	613	638	683	316	201	120	56	4701
გუბერნიაში			პროცენტობით:							
ახალქალაქის	37,63	11,64	14,38	11,64	15,07	6,85	0,68	2,06	—	100%
ახალციხის	35,26	14,75	4,49	10,90	17,31	8,33	4,48	1,93	2,56	100%
ბორჩალოს	16,01	10,61	13,67	14,39	14,21	10,97	9,17	6,84	4,13	100%
გორის	38,90	15,00	14,04	10,72	10,84	5,13	3.19	1,43	0,75	100%
დუშეთის	14,88	17,61	15,48	22.16	20,78	5,62	2,43	0,60	0,44	100%
სიღნაღის	32,82	16,28	13,37	11,34	12,22	4,95	4,36	2,91	1,75	100%
თელავის	36,18	13,81	11,40	13,82	12,73	4,82	3,29	3,73	0,22	100%
თიანეთის	23,42	4.51	6,31	9,91	23,43	9,01	18.01	4.50	0,90	100%
ტფილისის	30,19	6.15	10,77	14,81	19.6[illegible]	10,77	3,84	2.89	0.96	100%
სულ ტფილისის გუბერნიაში	30,69	13,48	13,04	13,57	14,52	6,72	4,28	2,56	1,19	100%

ამ ცხრილიდან მკითხველი დაინახავს, რომ ტფილისის გუბერნიაში თავად-აზნაურთა ისეთ მამულების რიცხვი, რომლების სივრცე 10 დესეტინას არ აღემატება, 31%-ს ანუ თითქმის ერთ მესამედს შეადგენს, ხოლო საერთოდ ყველა წვრილ მამულების რიცხვი, რომლების სივრცე 25 დესეტინამდის ადის, 44,12% ანუ თითქმის ნახევარია ყველა მამულებისა.

უფრო წვრილი მიწათ-ფლობელობაა ქუთაისის გუბერნიაში. აქ დიდ მემამულედ ითვლება, ვისაც 50 დესეტინა მიწა აქვს. სტატისტიკურ კომიტეტის „Сборник"-ის ცნობებით, რომლებიც ამოკრეფილია სახაზინო პალატის წიგნებიდან, თავად-აზნაურთა მამულები ქუთაისის გუბერნიაში ამგვარად განაწილდებიან:

მაზრები:	2 დესეტინამდე	2—4 დესეტ.	4—8 დესეტ.	8—19 დესეტ.	19—36 დეს.	36—72 დესეტ.	72—190 დესეტ.	190—380 დესეტ.	380 დესეტ. ზეტ	ყველ. მამული
ქუთაისის	94	282	496	546	221	67	70	10	46	1833
შორაპნის	166	469	536	466	192	16	52	11	39	1997
რაჭის .	126	199	496	116	37	9	7	1	18	1009
ოზურგეთის	36	116	176	156	97	65	94	47	82	869
ლეჩხუმის (სვანეთის საბოქაულოს გამოკლებით) . .	38	112	201	172	35	25	27	13	26	649
სვანეთის საბოქაული	9	24	31	14	2	—	—	—	4	84
სენაკის . .	101	243	402	482	157	120	74	29	27	1625
ზუგდიდის .	70	135	319	141	261	143	61	25	19	1174
სულ გუბერნიაში	640	1580	2657	2093	1002	496	375	136	261	9240
%	6,9%	17,2%	25,5%	25,9%	10,9%	5,2%	4,1%	1,6%	2,7%	100%

ამ სახით თითქმის ცხრა მეათედი (89%) თავად-აზნაურთა მამულებისა სივრცით 50 დესეტინაზე ნაკლებია, ხოლო შვიდი მეათედი (69%) 19 დესეტინას არ აღემატება. ქუთაისის გუბერნიის კომიტეტის აზრით იქაურ თავად-აზნაურთა 25%-ს ისე ცოტა მიწა აქვს, რომ მიწის მოსავლით არ შეუძლია თავის გამოკვებვა და მეურნეობის წარმართვა (გვ. 230).

თუ ასეთ მდგომარეობაშია იქ თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი, რაღა უნდა ითქვას გლეხობაზე: ესენი ყველგან დიდ გაჭირვებას ითმენენ მიწის ნაკლებობისა და სამეურნეო მოსავლის სიმცირის გამო. ეს გაჭირვება ცოტათი შემცირებული იქნებოდა, რომ ჩვენებური წარმოების ტეხნიკა გაუმჯობესებული იყოს. ტეხნიკის გაუმჯობესება იმას ნიშნავს, რომ მწარმოებელი მიწას შედარებით მეტ

ნაყოფს აღებინებს და პატარა მამულზე იმდენ სარჩოს იწევს, რომ წინეთ ამისთვის, ძველებური ტეხნიკით, ბევრად უფრო ფართო სივრცის მიწა მოუნდებოდა. ამ სახით ტეხნიკის განკარგება ზღავს და ასწორებს მიწის ნაკლებობას. იქ, საცა მიწას თანამედროვე ცოდნისა და გამოცდილების თანახმად მუშაობენ, მწარმოებელს ბევრად ნაკლები მიწა ჰყოფნის, ვიდრე იქ, საცა ტეხნიკა ძველი და განუვითარებელია. მაგალითად, საფილარის ოლქში (აღმოსავლეთ ფლანდრიაში) 12 ათასი დესეტინა მიწა არჩენს 30 ათას გლეხს, 10720 მსხვილფეხსაქონელს, 3800 ცხვარს, 1815 ცხენს და 6550 ღორს. მეორე ოლქში საშუალო რიცხვით 1/3 დესეტინა იმდენ მოსავალს იძლევა, რომ ორ ადამიანს ჰყოფნის სარჩოდ და კიდევ გარედ გასასყიდადაც რჩება. ყველგან, საცა მეურნეობა წესიერად მიპყავთ, მოსავალი ბევრად მეტია, ვიდრე ჩვენს ბუნებით ნოყიერ მიწაზე. ერთ დესეტინაზე მოდის იქ 368 ფ. პური, 259 ფ. ჭვავი, 464 ფ. შვრია, 282 ფ. ქერი, 270 ფ. ფეტვი და სხვ. (იხ. К о л б и с წიგნი: Влияние хлебных цен и т. д).

ჩვენებურის წარმოების ტეხნიკა-კი მამა-პაპის დროინდელია, — იკი თხოულობს მეტ დროს და ჯაფას, თან რიგზე შეუმუშავებლად სტოვებს მიწას. ასეთ პირობებში გლეხს, რომ ჰქონდეს, არ შეუძლია თვითონ, საკუთარის ძალ-ღონით, ბევრი მიწის გამოყენება, და თუ ვამბობთ, რომ იგი უმამულობის გამო გაჭირვებას განიცდისო, ეს ისე უნდა გვესმოდეს, რომ მას დღეს იმდენიც არა აქვს, რამდენსაც, ხმარებულ ტეხნიკითა და წარმოების წესით. მოახერხებდა მოჰრეოდა და შეემუშავებია. ქართლში მაგალ., ხვნის დროს 8 უღელი ხარია საჭირო. გლეხები ადგენენ ამ მიზნისთვის ერთგვარ ამხანაგობას. რომელიც 40 დღის განმავლობაში ამხანაგთა მიწებს ხნავს. ამას ისინი თაობას ეძახიან. ეს თაობა ხშირად ორ თვესაც გასტანს. რადგან შუაში ხან უქმე და ხან ავდარი გამოერევა. წარმოიდგინეთ გლეხი, რომელსაც ერთი უღელი ხარი ჰყავს. იგი მუშაობს ორ თვეს თავის საქონლით ამ ამხანაგობაში და ამისთვის მას მხოლოდ ოთხი დღიურის ანუ ორი დესეტინა მიწის მოხვნა ხვდება წილად.

და არა მარტო ხვნის დროს, არამედ ბევრ სხვა გვარ მუშაობაშიაც ჩვენებურ ტეხნიკის ჩამორჩენა საგრძნობელი და შესამჩნევია. ამის გამო ჩვენს მეურნეს მეტად ძვირად უჯდება წარმოება, იგი თითქმის მუდამ წაგებაშია და თუ, მიუხედავად ამისა, მეურნეობას თავს არ ანებებს და მიწას არ შორდება, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის შრომას არ ანგარიშობს და სხვა გვარი მუდმივი და უფრო სახეირო სამუშაო არსად უჩნდება. „ერთი დღიური, ორთა-შუა რომ ვიანგარიშოთ — იწერებოდა კორესპონდენტი ქართლიდან, — სამი თუ-

მანი ჯდება. რაც უნდა მოსავალი იყოს, დღიურზე უნდა ვიანგარიშოთ ათი კოდი. აქედან უნდა მიეცეს ღალა მამულის პატრონს, ზოგს მოსავლის ნახევარი, ზოგს მესამედი და იშვიათად მეოთხედი, — ასე დაძვირდა ჩვენსკენ მამული. ვთქვათ, მიწა იხვნება სანახევროდ. დღიურიდან გამოვიდა ათი კოდი, ნახევარი მიეცა მამულის პატრონს და გლეხს დარჩა ხუთი კოდი. ამ ხუთი კოდიდანაც კიდევ ორი ჩანახი თუ ნახევარი კოდი სამეველო უნდა მისცეს; ნუ ვიანგარიშებთ ნურც სამწყემსურს, ნურც მღვდლის დრამას, ნურც დიაკვნისას. რჩება საცოდავ მუშას რაღაც ოთხი კოდი, რომელიც უჯდება მას სამი თუმანი. დიახ, ბეჩავ მუშას ერთი სამად და ოთხად იმაზე მეტად უჯდება კოდი პური, როგორც ფასობს დღეს".

ამ სახით მიწის სიმცირეს ჩვენში ერთვის საწარმოო ტეხნიკის ჩამორჩენა და განუვითარებლობა და ეს კიდევ უფრო გასაჭირად და მწვავედ ჰხდის მიწათ-მომქმედის ეკონომიურ არსებობას და მის სოციალურ მდგომარეობას. მშრომელი ვერ უბრუნებს მიწას დანაკლისს, — ზოგი შეუძლებლობისა და ზოგიც უვიცობის გამო, ნიადაგს არც პატივს აძლევს და არც ასვენებს. მიწა თან და თან იფიტება და მეურნე მისგან მუდამ ნაკლებ მოსავალს იღებს.

იგი იძულებული ხდება რამე სხვა წყარო გამონახოს, ახალ სამუშაოს დაადგეს და ამისი შემოსავლით შეივსოს თავისი ბიუჯეტის დანაკლისი. ასეთ ბიუჯეტის „შემავსებელ" წყაროდ თეორიულად რამდენიმე ღონისძიებისა და საშუალების დასახელება შეიძლება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელება თანამედროვე ცხოვრების პირობებში ფრიად საძნელო და ხშირად სრულიად შეუძლებელი ჰხდება. ასეთია, მაგალითად, შინა-მრეწველობის გაძლიერება და თავის მოთხოვნილებათა საკუთარ ნაწარმოებით დაკმაყოფილება. ოჯახური სამრეწველო წარმოება რომ ხალხში განვითარებული იყოს, შეიძლებოდა იმის შემწეობით ღარიბ სოფელს თავისთვის რამოდენიმედ შეღავათი მიეცა და თავისი შემოსავალი გაედიდებია. ძველად ხალხი უმთავრესად შინაურ ნაწარმოებით კმაყოფილდებოდა. მაგრამ დღეს ასე აღარაა. ცხოვრების საერთო ცვლილებამ, ახალ ეკონომიურ ურთიერთობათა დამყარებამ შინა-მრეწველობას ნიადაგი გამოაცალა და ხალხის არსებობისათვის მნიშვნელობა დაუკარგა. ძველი სამრეწველო ტეხნიკა. ნაცვლად განვითარებისა, დავიწყებას მიეცა; ვაჭრობის საშუალებით სოფლადაც ყველგან შემოტანილი საფაბრიკო ნაწარმოები გავრცელდა, რომელსაც ხალხის მოთხოვნილება და გემოვნება შეეჩვია და შეეთვისა, დაუმუშავებელ მასალას ბზარი გაუჩნდა და მისი ამ სახით გასაღება მწარმოებლისთვის ხშირად უფრო ხელსაყრელი შეიქნა.

ეხლა ოჯახებში აღარ ქსოვენ არც ხამებს, არც დარაიებს; ვისაც ბამბა მოჰყავს, ჰყიდის ბამბადვე, აბრეშუმის მომყვანი ნაწარმოებს პარკად ასაღებს; შალი იშვიათ ოჯახებში იქსოვება. თანამედროვე ეკონომიურმა განვითარებამ მწარმოებელნი ერთმანეთს დააშორა და შუაში ჩარჩი-ვაჭარი ჩაუყენა. ხშირად დღეს გლეხის დედა-კაცი წინდასაც აღარ ქსოვს ოჯახში: მატყლი მაშინ არა აქვს, როცა ქმარ-შვილს წინდა სჭირდება, და საჭიროების დროს ისევ მეწვრიმალეს მიმართავს ხოლმე, რომელსაც ფაბრიკებში დამზადებული საქონელი ყოველთვის მოეპოვება.

ამნაირად უმამულო ან მცირე მიწის მქონებელ მეურნეს არ შეუძლია სამრეწველო წარმოება დაიხმაროს და ოჯახურ მრეწველობის საშუალებით შეივსოს მიწის მოსავლის ნაკლებობა და სხვა კი სოფლად ისეთი არაფერი წარმოება არაა, რომ მშრომელ ხალხს სამუშაო გაუჩინოს და ცხოვრების სახსარი მისცეს. ჩვენებურს სასოფლო მეურნეობაში კაპიტალიზმი ჯერ არ შესულა; — წარმოების წესი არ შეცვლილა. იშვიათად მოიპოვება დიდი მამულები, რომლებსაც პატრონი გაუმჯობესებულ ვაშინებით ამუშავებდეს, კაპიტალს ანდომებდეს და ამიტომ მოქირავე მუშებს საჭიროებდეს და კიდეც ხმარობდეს. ჩვენში დაქუცმაცებული წვრილი სამეურნეო წარმოება არსებობს და არა მსხვილი და ამის გამო თავისუფალი, საკუთარ სამუშაოს მოკლებული, მუშა ხელი იქ ვერ შოულობს საქმეს და ცხოვრების წყაროს.

მეტი გზა არა აქვს, — დროებით ან სამუდამოდ, მამა-პაპურს კერას უნდა განშორდეს და თავის ცხოვრების მოწყობას სადმე სხვაგან შეეცადოს. ან ქალაქს უნდა მიადგეს სამუშაოს საძებნელად და ან სადმე თავისუფალი მიწა-ადგილი ეძიოს დასაბინავებლად. ორივე ეს მოვლენა დღეს ჩვენს ცხოვრებაში შესამჩნევია, — უმამულო სოფლის ხალხი მიდის სამუშაოდ ქალაქებში და აგრეთვე როცა კი ცოტათი გარემოება ხელს უწყობს, ესახლება მეურნეობის მოსაწყობად ახალ მამულებზედაც. სწორედ იმ დროს, როცა ამ წერილს ვსწერ, მე ვხედავ მეზობლის სახლის აივანზე 8 წლის ბავშვს. რომელიც იატაკის საწმენდ ჩოთქებზე შემდგარა და სახლს ასუფთავებს. ეს არის ვიღაც იმერელ აზნაურის შვილი, რომელიც ერთ აქაურს ღარიბ ოჯახს ემსახურება. საწყალი შიმშილს და სიღარიბეს ისე დაუგვალავს, რომ შეხედულობით 6 წლის გეგონებათ. და ასეთი თითქმის ძუძუ-მწოვარა ბავშვი მშობლებს მოუშორებიათ, რომ ოჯახში ხარჯი შეემცირებიათ, და სამუშაოდ ქალაქში გამოუსტუმრებიათ.

ყველა წარმოიდგენს, თუ როგორი დიდი გაჭირვება უნდა იყოს სოფელში, რომ დედამ პაწია შვილი გულიდან მოიგლიჯოს და შორეულ ქალაქში გაჰგზავნოს თავის სარჩენად. ასე ძალას ატანს სოფელში გაჭირვება დიდსაც და პატარასაც. — ქალაქებს ყოველ დღე ახალ ახალი ხალხი ემატება, რომელიც ეძებს აქ საქმეს და დაბინავებას. მაგრამ ჩვენებურს ქალაქებში ვაჭრობა და მრეწველობა ჯერ კიდევ შედარებით სუსტი და განუვითარებელია და ამიტომ სამუშაოს მძებელი მუშა ხელი ხშირად უქმად დადის, ვერ ხვდება საქმეს და ვერ პოულობს ქალაქურ ცხოვრებაში ნიადაგს.

რაც შეეხება ადგილის გამოცვლას და ახალ მიწაზე დასახლებას,— მართალია, ეს მოვლენა ჩვენში ჯერ ხშირი და გავრცელებული არაა, მაგრამ არც ისე იშვიათია, რომ შეიძლებოდეს მისი არ შემჩნევა ან უარისყოფა. შემცდარია ის აზრი, ვითომ ჩვენი ხალხი ბუნებით უმოძრაო იყოს და რაღაც „ხატების“ მიზეზით ძველი ადგილის გამოცვლას ერიდებოდეს. ეს, შეიძლება, მართალი იყოს ორიოდე მივარდნილი კუთხის შესახებ, მაგრამ არ არის მართალი, თუ საერთოდ მოელს ხალხს ვიგულისხმებთ. გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო. ამბობს ქართული ანდაზა. ნახევარი ქართლი, მაგალითად, სულ იმერლებითაა დასახლებული. ქართველი უმამულო გლეხი, არა თუ ახლო, შორს გადასახლებასაც კი არ ერიდება, როცა სიღარიბე და გაჭირვება ძალას ატანს. მაგალითად, მასწავლებელი მჭედლიძე იწერებოდა შარშან შემდეგ ამბავს („ივ“. №67): „თორმეტი ვერსის მანძილზედ ხასავიურთიდან, თერგის ოლქში, სახაზინო ადგილზედ დასახლებულა ამ სამი-ოთხი წლის წინად 47 კომლი გლეხი. ოცდა სამი წელიწადი გადის მას აქედ, რაც ეს უბედურები ერთის ადგილიდან მეორე ადგილზედ გადადიან ლუკმაპურის საშოვნელად 1880 წ. ესენი დასახლებულან „ცარსკი ლაგირში“ ქალაქ კავკავის მახლობლად, სადაც დაუყვიათ ორი წელიწადი და, რადგანაც ხაზინას ის ადგილი დასჭირებია, იქიდგან აყრილან და დაბინავებულან „სუნჯაში“. ბარათაშვილის ადგილზედ. აქ დაუყვიათ ცხრა წელიწადი, ხელახლა აუკრავთ ბარგი და მიჰკედლებიან ისევ ხაზინას, რომელსაც მათთვის მიუცია იჯარით ადგილი „თაგვის ბარში“. მთელი ოთხი წლის განმავლობაში, ბევრის წვალებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, გლეხებს გამოუბრუნებიათ ადგილი, შემოსავალს მოსწრებიან. მაგრამ აქაც დასჭირვებია ხაზინას „თაგვის ბარის“ მიწა. უკანასკნელად ამ სამი-ოთხი წლის წინად, კავკავის სახელმწიფო ქონებათა მმართველის რჩევით, დასახლებულან ხასავიურთის მაზრაში, სოფ. „იარიკსუში“.

„ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორ დაიღლებოდნენ და დაი-

ქანცებოდნენ სულით და ჯანით უბედურები ამ წიალ-ღოღიალში უცხო ქვეყანას, გარშემორტყმული უცხო ტომის ხალხით, რომელთა რჯული, ზნე და ჩვეულება სრულიად არ შეესაბამება ქართველთა ერის ბუნებას... გარდა ყოვლის დაბრკოლებისა, დიდს საგონებელში ჩააგდო გლეხები იმ გარემოებამ, რომ მათთვის მიზომილი 1000 დესეტინა მიწა ძლიერ ცუდი სამუშაო გამოდგა: გაუვალი ეკლიანი ძეძვის ტყე მოსაკაფად მეტად ძნელია; გარდა ამისა ამ ეკლიან მცენარეს ძირები აქვს მიწაში ძლიერ მაგრად და მისი ამოღება მეტად გასაჭირია. რაც ამ ადგილს ჯაფა და ტანჯვა სჭირდება გაუმჯობესებისათვის, იმის ფასს ჯერ-ჯეროობით არ იძლევა. ძაგრამ სავალალო ის იქნება, ქართველი გლეხები როცა ადგილიდან რიგიან შემოსავალს მოესწრებიან, მაშინ რომ ხელი აუქნიონ და გააძეონ. სწორედ ეს იქნება მათთვის სიკვდილის მსგავსი დასჯა".

აი, ასეთ გაჭირვებას იტანს ჩვენში უმამულო ხალხი. მეორე კორესპონდენტი, ბ-ნი ე. კახელი, სწერს, სხვათა შორის გადასახლებულ ქართველებზე და ასე უნუგეშოდ ჰხატავს მათს მდგომარეობას („ივ." № 72): „დღეს მთელ თერგისა, ყუბანისა და დაღესტნის ოლქებში, აგრეთვე აზოვისა და დონის მხარეში 1600-მდის კომლი ქართველი მცხოვრები ირიცხება. 12%-ს გარდა, რომელიც ტფილისისა და ქუთაისის მაზრიდან გადმოსახლებულა, დანარჩენი მთლად რაჭისა და დუშეთის მაზრიდან არიან. ამ 1600 კომლ მცხოვრებთაგან 800 კომლი შოსახლეობს სხვა და სხვა „სტანიცებსა" და სოფლებში. ამათ აქვთ ვაი-ვაგლახით შეძენილ საკუთრებად სამოსახლო ადგილი სახნავ-სათეს მიწებითურთ, თითოეულს საშუალო რიცხვით არა უმეტეს დღიურ ნახევრისა. მათი მამულები მცირედ ნაყოფიერია და იმდენს მოსავალსაც არ იძლევა, რომ ნახევრად მაინც ეყოთ სარჩოდ. დანარჩენ 800 კომლის ნახევარი, ე. ი. 400 კომლი მოვაჭრეა, სხვა-და-სხვა ხელობის მცოდნეა, სხვა და სხვა დაწესებულებაში მსახურობს და დღიურ მუშაობას მისდევს. ისინი ქალაქ ადგილებში ცხოვრობენ. სულ მცირეა მათ შორის რიცხვი იმისთანებისა, რომელთაც საცხოვრებელი ბინა საკუთრებად შეუძენიათ. უმრავლესობას დაქირავებულ სახლებში აქვთ თავი შეფარებული. დარჩა 400 კომლამდე კიდევ. ესენი მუდამ აქეთ-იქით დადიან და ბედის ძებნაში არიან, დაუდგომელ ცხოვრებას ატარებენ. სხვებთან შედარებით ამათი მდგომარეობა უფრო აუტანელია. საცოდავნი დღეს ერთ ალაგზე დასახლდებიან, ხვალ — მეორეზე და ასე დაუსრულებელია მათი გადასახლებ-გადმოსახლება. ან კი რა ჰქნან, განა მათი ბრალია? უპატრონობისა და უხელმძღვანელობის გამო გაჭირვებულნი ხშირად იმისთანა ადგილს ამოირჩევენ საცხოვრებლად, სადაც სასტიკი,

ქავაა და ადგილი უნაყოფოა და ტყე და წყალი არ არის. ამ ვაიკაგლახს ბევრი ვერ იტანს: ზოგი მათგანი უდროოდ ესალმება ხუთი-სოფელს, ზოგი სამშობლოსაკენ დაბრუნებას რჩეობს და ზოგიც ციმბირისაკენ ნიემგზავრება. ამას წინად 14 კაცი ციმბირის ნახარისაკენ, ირკუტსკის გუბერნიაში, მიემგზავრებოდა, — იქნება, იქ მაიხც ბედმა გაგვიღიმოსო. დაერწმუნებინათ, რომ იქ საცხოვრებელ წყაროს მოპოებაც ადვილი არის და დასასახლებლად მიწებიც ბლომადაა...

„დარწმუნებული ვარ, — დასძენს თავის წერილის ბოლოში ბ-ი ე. კახელი, — ვინც დაწვრილებით სცნობს ჩრდილო კავკასიაში გადმოსახლებულთა არა სასურველ მდგომარეობას, ყველას გული დაეწვის, ყველას თვალთაგან სიბრალულის ცრემლი წამოუვა და გულის ტკენით იტყვის: თუ თავისუფალი ადგილებია სადმე კავკასიაში უმამულო გლეხთა დასასახლებლად, სიმართლე მოითხოვს უპირველესად დაეთმოთ კავკასიაშივე მყოფ უმიწა-წყლო გლეხ-კაცობას, რადგან იგინი უფრო აიტანენ ჰავას და უკედაც შეიმუშავებენ იქაურს შამულსაო.“

რასაკვირველია, ამას მოითხოვს სიმართლე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს „მოთხოვნა“ ნამდვილად არ სრულდება და ქართველ უმამულო გლეხებს სახაზინო მიწები ჩვენში არ ეძლევა დასასახლებლად. არა თუ აქ, თვით საქართველოში, დაუსახლებელ შავი ზღვის პირის (ჩერნომორიის) გუბერნიაშიაც არ აძლევენ ნებართვას თავისუფალ ადგილებზე დასახლდნენ და მეურნეობა მოაწყონ. თუმცა ეს გუბერნია თავისი ნიადაგით და ჰავით გადმოსახლებულ რუსის გლეხობისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა, მეგრელებს და საზოგადოდ ქართველობას მაინც იქ გზა არა აქვს და ამით მოკლებულია თავის მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას. ამ გარემოების შედეგია ის, რომ ხსენებულს გუბერნიაში ქართველები მეღალეები არიან რუს გლეხებისა. „გარდა ჭონჭყოსი, ქვისა და მდინარეთა გადმოსვლისა — სწერს როზოვი (Условия колонизации по южн. Черноморск. побереж.) — მეურნეობის წარმატებას ხელს უშლის მიწის გაწმენდის სიძნელე. ჯაგნარის კაფვა ძნელიცაა და ძვირიც. ასეთ შრომაზე მიუჩვეველ მუშისთვის იგი ძალიან სამძიმო საქმეს შეადგენს. ამიტომაც ამგვარ მიწებს უფრო ხშირად აქ ადგილობრივ მცხოვრებთ, მეგრელებს, აძლევენ საღალოდ. მეგრელს, რომელიც გაჰკაფავს ჯაგნარს, უფლება ეძლევა 3—5 წლის განმავლობაში გაწმენდილ მიწაზე სიმინდი სთესოს, რისთვისაც მემამულეს ღალად ჩოსავლის მესამედი, მეხუთედი ან მეათედი უნდა აძლიოს“.

ჩვენ ვხედავთ, რომ უმამულო ქართველ გლეხობისთვის ძნელია ქალაქებში სამუშაოს შოვნა, რადგან ჩვენში ჯერ მოქალაქეობრიობა, ვაჭრობა და სამრეწველო წარმოება განუვითარებელია. ასევე ძნელია მისთვის, „გარეშე მიზეზთა გამო“, თავისუფალ მიწებზე დასახლება და მეურნეობის გაუმჯობესება. მას მეტი გზა არა აქვს, — ისევ ძველს ადგილს უნდა დარჩეს და ეცადოს ავად თუ კარგად ხვნა-თესვის საშუალებით არსებობის სახსრის მოპოვებას და ცხოვრებაში თავის გატანას. და ეს კი მიწაზე მოთხოვნილების გადიდებას ნიშნავს. რამდენადაც მრავლდება ხალხი სოფლად და ვერ შოულობს საქმეს სასოფლო მეურნეობის გარეშე, იმდენადვე ძლიერდება მეტ მიწის საჭიროება და იზრდება მიწის ფასი-ღირებულება. ყველამ იცის, თუ როგორ ძვირად იყიდება მიწა იმერეთში, — ერთი ქცევა სახნავი მიწა აქ ხშირად 500—1000 მანეთად ფასდება. უმიწა-წყლო გლეხი დიდის წვალებით ნაშოვნ კაპეიკებს ერთმანეთს აწებებს, ზოგს მევახშისაგან იღებს ვალად და, თავის მდგომარეობის გაუმჯობესების იმედით, აძლევს მამულში ისეთ დიდ ფასს, რომელიც სრულიად არ შეესაბამება მიწისგან მისაღებ სარგებლობას.

მაგრამ ესეც ხელმისაწდომია მხოლოდ უმცირესობისათვის. მხოლოდ იშვიათი გლეხები ახერხებენ საკმაო მიწის შეძენას და მესაკუთრეებად გახდომას. დიდძალი უმრავლესობა, რომელსაც არა აქვს საყოფი არც საკუთარი და არც სანადელო მიწა, მარტო მემამულეების საიჯაროდ ანუ საღალოდ გასაცემ მიწებზეა მიჩერებული. მაგალითად, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მოახდინეს სახაზინო გლეხების ყოფა-მდგომარეობის გამოკვლევა, ამ კატეგორიის გლეხებს აღებული ჰქონდათ იჯარით კერძო მემამულეთაგან ტფილისის გუბერნიაში 49611 დესეტინა მიწა. ეს რაოდენობა მას შემდეგ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გადიდდა. „გლეხებისა და მცირე მამულიან აზნაურების უმრავლესობა, — სწერია ქუთაისის კომიტეტის მოხსენებაში (Труды, გვ. 230) — ყოველ წლივ იღებს იჯარით სახაზინო ან კერძო მემამულეთა მიწებს. მაგალითად, შორაპნის მაზრაში 5766 დროებით ვალდებულ გლეხთა 64% იღებს საღალოდ მიწას, საშუალო რიცხვით კომლზე 1,5 დესეტინას; ასევე საღალოდ აღებულ მიწებით სარგებლობს 9117 მესაკუთრე გლეხის 60% და 5528 სახაზინო გლეხის 63%, სხვა მაზრების შესახებ საიმედო ცნობები არა გვაქვს, მაგრამ თუ იმ ცნობებით ვიხელმძღვანელებთ, რომლებიც კომიტეტს ხელთ აქვს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საიჯაროდ აღებულ მიწების რაოდენობა და მიწის მოთხოვნილება ყველგან ერთნაირად დიდია“.

მიწის მოთხოვნილების გადიდება იწვევს თავის მხრით საიჯარო ფასის გადიდებასაც. ეს არის არა მარტო თეორიული დასკვნა, — იგი მტკიცდება რეალურ ფაქტებითაც. მემამულის შემოსავლის ერთად-ერთი წყარო მისი მამულია და სხვა არაფერი. რამდენადაც ცხოვრება რთული ხდება და მოთხოვნილება მრავლდება, იმდენადვე იგი, რა თქმა უნდა, ცდილობს თავის შემოსავლის გადიდებას. ხოლო რახან თვითონ არ აწარმოებს და საკუთარ მეურნეობას არ ეწევა, იძულებულია ისევ საიჯარო ფასს დააწვეს და მიწის ღალა მეტი გახადოს. როცა შემოსავალი აღარ ჰყოფნის, არ უკმაყოფილებს მოთხოვნილებას, მიწის პატრონი აგირავებს ბანკში მამულს, იღებს ვალს, რომლის სარგებელი ისევ მამულს, ანუ უკეთ, მიწის ნამდვილ მუშას აწვება გადასახდელად. ერთის მხრით გლეხთა მიწათმფლობელობის სიმცირე, ხალხის გამრავლება, გადასახლებისა ანუ შინაურ კოლონიზაციის მოუწყობლობა, მრეწველობის განუვითარებლობა და, მაშასადამე, მიწის მოთხოვნილების გადიდება, მეორე მხრით — საერთო ცხოვრების გართულება, კულტურულ მოთხოვნილებათა გამრავლება და ნამულების დავალიანება ხელს უწყობს ჩვენში საიჯარო ფასის ზრდას, ღალის თან და თან გადიდებას.

ვინც დაჰკვირვებია ჩვენი სოფლის ცხოვრებას, უეჭველად, შემჩნეული ექნება, რომ საიჯარო ფასმა ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევად აიწია და ეკონომიურად დაძაბუნებულ გლეხობისთვის ძნელი გადასახდელი შეიქმნა. მაგალითად, ს. ქვიშხეთში (ქართლში) გლეხები აძლევენ მემამულეს დღიურ მიწაში 3 კოდ პურს ან 2 1/2 კოდს და 1 მუშას (ერთ დღეს) დესეტინაზე ეს შეადგენს 6 კოდს ან 5 კოდს და 2 მუშას. კოდის minimum-ი არის 5 ფუთი, თუმცა ხშირად ექვს ფუთსაც გადააჭარბებს: ჩანახს, რომლითაც რწყავენ ღალას მემამულენი, თან და თან ადიდებენ. ამ სახით დესეტინაზე მოდის (5 კოდის ანგარიშით) 25 ფუთი პური და 2 მუშა. ფუთი პურის საშუალო ფასად შეიძლება ჩავაგდოთ 75 კაპ. და მუშის ქირად 50 კაპ. დესეტინაზე ყველა ეს ადგენს 19 მან. და 75 კაპ. გარდა ამისა, თუ მემამულემ მოსთხოვა, გლეხმა უნდა წაუღოს მას ღალა თვისი ხარ-ურმით უსასყიდოდ 60 ვერსის მანძილზე. — სოფ. ქარელში მემამულე იღებს დღიურ მიწაში მოსავლის მესამეღს, 2 მუშას და 1 ურემ შეშას. ეს შეადგენს სულ 25 მან. 50 კაპ. დესეტინაზე, — სოფ. თიღვაში მემამულე იღებს დესეტინაზე 4 კოდ პურს და 2 მან. ფულს. — სოფ. ქვემო აჩაბეთში გლეხები იხდიან ღალად მოსავლის მესამედს, ხშირად ნახევარსაც. — სოფ. აბისში დესეტინა სახნავ მიწის საიჯარო ქირა აღემატება 20 მანათს და სხვა და სხვა.

„ბიწის დიდ მოთხოვნილებას — სწერს კომიტეტი ქუთაისის გუბერნიის შესახებ — არ შეიძლება გავლენა არ ჰქონოდა ღალის გადიდებაზე, რომელიც მთელი მოსავლის 60%-დის აღწევს ხოლმე, როცა საიჯარო ფასი განსაზღვრულია, იმ შემთხვევაში იგი, მოუსავლობის დროს, მთელ მოსავალსაც აღემატება. იჯარის ფასს აქ ფულით იშვიათად იხდიან და როცა ფულზეა გარიგება, დესეტინის საიჯარო გადასახადი 30 მანეთამდის ადის“ (Труды, იქვე).

ერთის სიტყვით, ცხადია, რომ ქართველი გლეხობა მამულის სიმცირის გამო ძალიან გაჭირვებაშია. შარშან, როცა სამეურნეო კომიტეტებში ეკონომიურ საკითხებზე იყო სჯა-ბაასი, ამ საგანსაც მიაქციეს ყურადღება. გაგზავნილია სამინისტროში შუამდგომლობა, რომ კავკასიის მკვიდრთ და, მაშასადამე, ჩვენს გლეხობასაც ისევე დაუბრკოლებლად მისცენ ხოლმე თავისუფალი სახაზინო მიწები, როგორც რუსის გადმოსახლებულ გლეხებს აძლევენ. შუამდგომლობაა აგრეთვე აღძრული იმის შესახებაც, რომ ამიერ-კავკასიაში დაარსდეს სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილება, რომელსაც მიზნად ექნება დახმარება გაუწიოს გლეხებს კრედიტით მემამულეთაგან მიწების შეძენაში. თუ რა შედეგს მოიტანს ან ერთი და ან მეორე შუამდგომლობა, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

ჯერ-ჯერობით კი სოფლის მეურნე ხალხი, რომელიც ცხოვრობს არა მიწის რენტით, არამედ თავისი მკლავით და ოფლით, ეკონომიურად ძალიან დაუძლურებული და დაბეჩავებულია. რაც დრო მიდის, იმდენად სოფელში ცხოვრება საძნელო და გასაჭირი ხდება. ამიტომ არაფერი გასაკვირი არაა ამ მოვლენაში, თუ შარშან აქა-იქ მემამულეთა და მიწათ-მომქმედთა შორის დამოკიდებულება გამწვავდა და სოციალური განხეთქილება შესამჩნევი და ყველასათვის დასანახი გახდა. ამ მოვლენის მთავარი მიზეზი ეკონომიურის ხასიათისაა: გლეხებმა უარი სთქვეს, — ასე დიდ საიჯარო გადასახადს ვერ გადვიხდითო და მიწები საღალოდ არ აიღეს. თითქოს ეს ფაქტი მარტივი და ადვილი გასაგებია, მაგრამ ჩვენში აღმოჩნდნენ ბლომად ისეთი პირები, რომლებიც წყლის მღვრევას დაჩვეულნი და მოხარულნი არიან, რადგან ეს აძლევს მათ სარგებლობას და დაწინაურებას. დაისწავლეს ერთი რუსული სიტყვა და როგორც მთავრობას, ისე საზოგადოებას ყურები გამოუჭედეს ცარიელი სიტყვებით და გაბერილი ამბებით. ზოგიერთი ვაუბატონები ისე წათამამდნენ, რომ თავიანთ დამპალ სახლებს თვითონ სწვავდნენ, რომ შემდეგ „პუნტისათვის“ დაებრალებიათ და გლეხებისთვის ეზღვევინებინათ. მუდმივ დაბეზღებისა და მიეთ-მოეთობის მიზეზით, განუწყვეტელ საჩივრებითა და დავით სოფლის ცხოვრება საზიზღარი და შესაზარი

შეიქნა. არავინ იცოდა, ვინ ვის და სად დააბეზღებდა, რა ოინს მოიმოქმედებდა და თავის დანაშაულს სხვას როგორ აბეზღვევინებდა. ბ-ნს შუბნელს ლამაზად აქვს აწერილი ერთ თავის წერილში სოფლის ასეთი მეგობრობა.

„არამკითხე მყუდროების დამცველებმა ამოიღეს სული, — სწერს იგი, — და თუ ბათი თავგასულობა დროთი არ აილაგმა, სოფელს დიღს ვნებას მიაყენებენ. „ვინ არიან ეს დაუპატიჟებელნი მყუდროების დამცველნიო,—იკითხავს მკითხველი. ყველა, ვისაც ზომაზე მეტი ცოდვა აუკიდნია და სინათლის მოახლოვება აფრთხობს; ყველა, ვინც წყლის მღვრევას არის დაჩვეული და რომელთაც თვით მყუდროება და მშვიდობიანობა უკარგავს ძილს. მცირეოდენი საეჭვო საბუთი თუ იგდო ხელში, და ხშირად სრულიად უსაბუთოდაც, ამისთანა სათოკე, ქვენა ანგარიშებით გატაცებული გვამი იხვევს ხელზე ბოღაში შემოღებულს „პუნტობიას“ და გარბის, სადაც ჯერ არსაარიქა, ვინ ხარ მამაცი, ირყევა ქვეყნის მყუდროება, მომყევით, მე ჩაგაბარებთ ხელში ქვეყნის მოღალატეთაო. ნიავმა რომ ძირ-გამომპალი საქათმე წაუქციოს ასეთ უტიფარს, მაშინვე „პუნტობას“ დააბრალებს და იწვევს მეხსა და ვაებას მშვიდობიან, ცხვარივით უწყინარ მეზობლების თავზე.

„იმის დასასურათებლად, თუ რამდენად შინაარსიანი არის მოდაში შემოღებული ტერმინი „პუნტობა“, მოვიყვან ერთ შემთხვევას. რომელსაც რამდენისამე თვის წინად ძველ სენაკში ჰქონდა ადგილი და რომლის მსგავსი ყოველ ფეხის გადადგმაზე შეგხვდებათ, მაგრამ ყველა ამის გაზეთის ფურცლებზე აღნიშვნას ერიდებიან, ალბად იმ მოსაზრებით რომ „პუნტოჩიკის“ სახელი არ დაგვივარდესო. ერთს კიწიელ მებატონეს ძველ სენაკში ერთი დროებით ვალდებული გლეხი შერჩენია. ეს ბოგანო-გლეხი ვერც ადგილის გამოსყიდვას ახერხებს მებატონესაგან და ვერც მიწის ფასს იხდის თურმე თავის დროზე. მოთმინებიდგან გამოსული მებატონე მიადგა გლეხს კარებზე, მაგრამ იმ უბადრუკს თურმე შიმშილით კუპი ეწოდა და, აბა, მებატონეს რაღა პასუხს გასცემდა. ბატონმა ურჩი გლეხი წაათრია სოფლის სასამართლოში მამასახლისთან და იქ ბევრი აწვალა, აგლიჯა ულვაშები, აფურთხა სახეში, აპანღურა. მაგრამ არც ამით გამოვიდა რა. სოფლის თვითმართველობის წარმომადგენელნი უყურებდნენ გლეხის ასე უდანაშაულოდ გაბიაბრუებას, მაგრამ ბატონს აბა რას გაუბედავდნენ და გლეხს ხომ ბატონმაც ბევრი ურტყა.

„როცა გულზვიადმა მებატონემ იჯერა გული გლეხის შეურაცხყოფით, გამოვიდა და იქვე დუქნის წინ მოსაუბრე ახალგაზრდებს

შესჩივლა თავისი დარდი, ასე და ასეა ჩემი საქმე, გლეხმა ამიგდო და მიწის ღალას არ იძლევაო. ამაზე ერთმა სტუდენტმა უთხრა, ჩვენცა გვყავს ვალდებული გლეხი მაგრამ, მამაჩემმა პირიქით მისცა რამდენიმე ფუთი სიმინდი, რადგან წელს მოუსავლობა იყო და მათი უმეტესობა დამშეული არისო. ამ სიტყვებმა ცეცხლი მოუკიდა მებატონეს და ისიც გააფთრებული მივარდა სტუდენტს: — შენ ასეთო, შენ ისეთო, შენ არამზადაო, შენ ბუნტოჩიკო! სულ შენისთანა კაცების ბრალია, გლეხები რომ გადაირიენ, თქვენ აგულიანებთ, მე ვიცი, შენ სადაც გაგიგზავნი ქაღალდს, ციმბირს გაგაცილებ, თუ ულვაშები მასხიაო, — მიაყარა სხაპა-სხუპით და სიტყვიერ შეურაცხყოფის დასამთავრებლად ქოლგაც კი სთხლიშა მკერდში თავის სიტყვების სრულიად მოულოდნელ შედეგით გაოცებულ ახალგაზდას... ეს ვერ მოითმინა იქვე მყოფმა სოფლელმა. ამ სტუდენტის სახლიკაცმა, ისევ აზნაურმა. მეტად ააღელვა სრულიად უდანაშაულო ახალგაზდა მოსწავლის ასე უმიზეზოდ დამცირებამ და ზვიად მებატონეს რამდენიმე თქვენგან მოწონებული სილა გააწნა. მებატონემ გარდასწყვიტა ძველი სენაკის განადგურება და მიაშორა ახალ სენაკს. არიქა, ძველ სენაკში დიდი შეთქმულობა არის, გლეხებს აქეზებენ, რომ მებატონეს ღალა არ მისცენო, ერთი სიტყვით, ნამდვილი „ბუნტი“ არისო და სასტიკის ღონისძიების მიღება არის საჭიროო...

„უბრალო კაცის ბრალიანად გამოყვანა — განაგრძობს ქვევით ბ-ნი შუბნელი, — კეთილ საიმედოს საეჭვო კაცად დასახვა, რწყილისაგან აქლემის შობა ერთობ ადვილი საქმე შეიქმნა ამ უკულმართ დროში. ნამეტნავად თუ გლეხი ხარ, ყველას ადვილად სჯერა შენი „პუნტოჩიკობა...“ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა, რომ მისი ადამიანობა ვისმეესთვის საეჭვო არ შეიქნას? ამის პასუხს ისევ სოფლის ფილოსოფია იძლევა. რა სოფელშიაც შეხვიდე, იმ სოფლის ქუდი დაიხურეო, ამბობს ანდაზა. შენ თუ რამ ზნეობრივ პრინციპების პატრონი ხარ და ყველა სოფლის ქუდი შენ თავს არ უდგება, მაშინ უნდა განშორდე სოფელს, ან აიღო ხელი ამ პრინციპებზე და იცხოვრო ისე. რომ შენს ყოფნასა და არ ყოფნაში დიდი განსხვავება არ იყოს. იყავ მოწამე მზის ამოსვლისა და ჩასვლისაო. ერთის დაბადებისა და მეორის ამ სოფლიდან განსვლისა, მიიღე მხნე მონაწილეობა მხოლოდ სადილისა და ვახშმის გაქრობაში, არც არავის აამო, არც არავის აწყენინო და, უეჭველია, შეუნიშნავი დარჩები“ (იხ. ბ-ნ შუბნელის ფელეტონი: „ხმა სოფლიდან“).

დიახ, ძველი მარტივი ცხოვრება დიდი ხანია შეიცვალა. დღეს ყველას მეტი მოთხოვნილება და მეტი მადა აქვს და ამიტომ დღევანდელ არსებობისთვის ბრძოლასაც მეტი სიდუხჭირე აბლავს. ყველა ცდილობს სახალხო მეურნეობის ულუფიდან თავისკენ ბლომად მოითალოს და არას დასდევს, სხვას თუნდაც ვნება და ზარალი მოუტანოს. როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში ჩნდება მთელი ჯგუფი

ხრიკიან და ხლართიან ადამიანებისა, რომლებიც მუდამ იმის ფიქრში არიან, სად რა ასწაპნონ და ვის როგორ აჰგლიჯონ, მხოლოდ ისე კი, რომ მართლ-მსაჯულებამ მათ ხელი ვერ ჩასჭიდოს და პასუხი ვერ აგებიოს. ხლართსა და ხრიკებს ხშირად ისეთ პირობებსა და გარემოებაში ახერხებენ რაინდეაი, რომ დაუკვირვებელ და ალალ-მართალ ადამიანს გააოცებს და გააშტერებს. საგალითად, მოგეხსენებათ, ტფილისში არსებობს ერთი „საზოგადოება", რომელსაც „პირუტყვთა მფარველი" ეწოდება. „საზოგადოების" მიზანია პირუტყვთა ტანჯვა-წვალების შემცირება და საზოგადოდ მფარველობა. მართალია, დღეს ხშირად თვითონ ადამიანი აუტანელ და უსამართლო ტანჯვა-ყვალებაშია, მაგრამ ეს არ გვაძლევს მაინც საბუთს პირუტყვს უდიერად მოვეპყრათ და იგი არ შევიბრალოთ. ასე რომ „საზოგადოების" მიზანი თანაგრძნობის ღირსია. თითქოს ასეთ საქველმოქმედო დაწესებულებაზე ხრიკებსა და თავის მოძმის გაყვლეფას ვერავინ ვერ უნდა ახერხებდეს, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ეს ასე არ არის: ხლართიანი ადამიანი თავისთვის სამოქმედო ნიადაგს აქაც პოულობს. იმერეთში შეხვდებით არა ერთ და ორს გახუნებულ აზნაურს, რომელიც ამ „საზოგადოების" წევრად ჩაწერილა და წევრობის ბარათიც მიუღია, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ ვითომ პირუტყვის მფარველობის დარდი აწუხებდეს და აფიქრებდეს მისი განზრახვა სულ სხვა რამ გახლავთ. იგი დარაჯობს შარა-გზაზე ტყეში შეშისთვის წასულ გლეხს, რომ დაბრუნებისას, ვითომ პირუტყვის მფარველობის მიზეზით, აყალმაყალი აუტეხოს და ოქმი შეუდგინოს. ურემზე რომ ხუთი ღერი შეშა ედოს, იგი მაინც ხარების შეუბრალებლობაზე სჩივის, პატრონს შოლტს უქნევს და „პროტოკოლით" აშინებს. გლეხს, რა თქმა უნდა, სასამართლოებში სათრევად არა სცალია და რჩეობს არა მკითხე ხარ-კამეჩის „დამცველი" ერთი ურემი შეშის მირთმევით თავიდან მოიშოროს. და ასე ეს ახალ მოდის „ქველმოქმედი" ხან ერთ გლეხს ადებს ხარკს, და ხან მეორეს.

ან, აი, კიდევ მეორე მაგალითი: მთავრობის განკარგულებით ჩვენში დაწყებულია მიწების გამიჯვნა, რომ მიწათ-ფლობელობის უფლებრივი მხარე გარკვეული და ნათლად დადგენილ იქმნეს, მაგრამ ბევრი ამ სასარგებლო განკარგულებაზე თავის ოინებს აშენებს, პირად სარგებლობის მიზნით მეზობელს საქმეს სადავოდ უხდის და დაბალ ღობეს სთელავს და სჯეკნის. ხშირად შეხვდებით ისეთ უსაქმო ვაჟბატონებს, — იწერება იმერეთიდან კორესპონდენტი („ცნ. ფურც." №2209), — რომელნიც დასდევენ მუშაობის დროს გამმიჯვნელ მოხელეს და სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებენ დავას გლეხების საკუთრებაზე. პატრონი კარგად ჰხედავს, რომ მოდავეს არავითარი

უფლება არა აქვს, მაგრამ, რადგან ისიც აშკარაა მისთვის, რომ, უკეთუ თავიდან არ მოიშორია როგორმე მოდავე, უამისოდ თავის საკუთარ ადგილს ვერ შემოიკორღნის, ამიტომ იწყებს მოლაპარაკებას მოდავესთან და იძულებულია შეაძლიოს ხუთიოდე მანეთი ან კიდევ მეტიც. მოდავესაც ხომ ეს უნდოდა. იგი თავს ანებებს პირველ მსხვერპლს, რადგან ფულს გარდა გამასპინძლებაც მოელის. გარდა ამისა მემამულეთა შორის ზოგი დიდი ხნის გაყრილნი არიან და ადგილ-მამულიც გაყოფილი აქვთ, მაგრამ, უკეთუ რომელიმე მათგანი გულნაკლულია, გამიჯვნის დროს დავას უცხადებს მეორეს. ვისაც შინაურის პირობით აქვს ნაყიდი ადგილი, იმასაც უცხადებენ გამყიდველები დავას, რომ რამეს ჩამორჩნენ. ბევრია ჩვენში ისეთი გლეხები რომელთაც თავი დაუხსნიათ და ადგილებიც გამოუსყიდნიათ, მაგრამ ამათაც ედავებიან გამიჯვნის დროს ისინი, ვისაც ერთხელ მიუღია ფასი და სხვ. ასეთი ხრიკები და ოინები ეხლა ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად არის მიჩნეული, რომ არც კი ეუცხოებათ და სინდისს არავის უშფოთებსო, — დასძენს ამ ამბის მომწერი კორესპონდენტი.

სამწუხაროდ, ასეთი თვისებები და თავისი „მეს“ ინტერესებით გატაცება ფეხს იდგამს არა მარტო ამათ თუ იმ „საერო“ წოდების წარმომადგენლებში, არამედ ისეთებშიაც-კი, რომელნიც, თავისი მდგომარეობით და დანიშნულებით, უნდა იყვნენ ნამდვილი გულშემატკივარნი და შემბრალენი ხალხისა. ფული არ არჩევს არც ერს, არც წოდებას; იგი ერთნაირად აძლევს ნივთიერ კეთილდღეობის საშუალებას ერსაც და ბერსაც და ამიტომ თავისთავად არაფერი გასაკვირი არაა შემდეგ ამბავში, რომელმაც შარშან აალაპარაკა როგორც ქართული, ისე რუსული გაზეთებიც. იგი, ვითარცა საზოგადო ამბად გამხდარი კერძო ფაქტი, ახასიათებს ეხლანდელ ცხოვრებას და ასურათებს მასში არსებულ განწყობილებას. ქართლის ერთ საზოგადოებაში (დიცში) ამ ათიოდე წლის წინეთ ‘ბლეხებს უთხოვნიათ, რომ მათ სოფელში გახსნილიყო ეკკლესია; კრებულის შენახვა თვითონ უკისრნიათ. მაგრამ რამდენისამე წლის შემდეგ მღვდლისათვის უწმ. სინოდს დაუნიშნავს 400 მან. ჯამაგირი და ეკკლესიაც შტატში ჩაურიცხავს. ამნაირად სოფელი განთავისუფლდა მღვდლის საჯამაგირო გადასახადისაგან (ფული, პური, ქათამი და სხვ.) და შვიდი წლის განმავლობაში გარდა დრამისა არაფერს აძლევდა. ს. დიცის სულიერი მამა აუჩქარებელი კაცი გამოდგა და 7 წლის „ანგარიში“ ერთად შეადგინა. იანგარიშა ბატი, ქათამი, ინდაური, პური და ფული, რომელიც სინოდის განკარგულებამდის

მომხდარ დაპირებით რომ უნდა მიეღო, შეადგინა 1456 მან. ჯამი და სასამართლოს მიმართა, გლეხებს გადაახდევინეთ და ჩამაბარეთო. გლეხებს იაფად არ დაუჯდათ სასამართლოში და ადვოკატებთან თრევა, მაგრამ ბოლოს ყაინც მათ გაპირვებას ამ შემთხვევაში მალამო დაედო და მომჩივანი მღვდელი მომრიგებელმა მოსამართლემ გაამტყუნა და საჩივარზე უარი უთხრა. ადვილად წარმოიდგინეთ, თუ როგორი განწყობილება უნდა იყოს ამის შემდეგ ასეთ მღვდელსა და მის მრევლს შუა. და იცით, ვინ არიან სოფ. დიცის გლეხები, რომლებსაც სრულიად ტყავის გაძრობას უპირებდა მათივე სულიერი მოძღვარი? გაზეთის კორესპონდენტი ასე აგვიწერს მათს მდგომარეობას: „სისხლი ყელში გებჯინება, — სწერს იგი, — როდესაც უყურებ უპერანგო გლეხს რუსის ფარაჯაში, რომელიც ათი-ათასგან მოკერებულ-მობრასტნილია ათას გვარი კონკებით; თეთრისა და წითელის ძაფით დაკონკილ ჩოხაში ჭლიკები ნახევრობით ტიტველა უჩანს. იმის ტანისამოსის ძაფის წვერს რომ ჩამოსწიოთ, ადამის სამოსლით დაინახავთ, ისე გაიცრიცება და დაირღვევა ბეჩავის ტანისამოსი. თვით საბრალოს ხელის სისქედ აძევს მტვერი, ტალახი, მური და ვაგლახი“ (იხ. „კვალი“ № 23, „ცნობის ფურცლ“. №№2207, 2264).

და, აი, ასეთ ყოფაში მისულმა გლეხებმა რომ ცოტათი ხმა აიმაღლონ, წელში გამართვა მოინდომონ და სამართლე აღიარონ: ამდენი გადასახადის გაღება, ამდენი ღალისა და იჯარის მოცემა არ შეგიძლიაო, ჩვენში გამოჩნდებიან „საზოგადო მყუდროების დამცველნი“, რომლებიც სამართლიან განცხადება-ჩივილს „ბუნტად“ მოხათვლენ და შემწეობისათვის დარაჯთან გაიქცევიან. გაიქცევიან, რადგან ამით მათ „ნეტარი შემთხვევა ეძლევათ ამღვრეულ წყალში თევზები დაიჭირონ“ („ცნ. ფურცლ“. № 2223) და გარეშე ძალის დახმარებით ვითომ თავისი შერყეული გავლენა და ავტორიტეტი გაამაგრონ და გაადიდონ. მათ ვერ გაუგიათ, რომ ასეთის ქცევით ისინი სჭრიან სწორედ იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ სხედან.

ეკონომიურის საზომით თუ გავსჯით, ცხადია, რომ ღალის ანუ საიჯარო გადასახადის სიდიდე ხელის შემშლელია ჩვენში სასოფლო მეურნეობის განვითარებისა. „დიდი საიჯარო გადასახადი, — სწერია ქუთაისის კომიტეტის მოხსენებაში (Труды, გვ. 230), — რომელიც გამოწვეულია მიწის სიმცირით, ძალიან ცუდად მოქმედობს იმათ მეურნეობაზე, რომლებსაც მიწა ბლომად მოეპოვება. ამათთვის უფრო სახეიროა, რომ მიწა საღალოდ გასცენ, ვიდრე თვითონვე რაციონალური (გაუმჯობესებული) მეურნეობა წარმართონ, — პირველ შემთხვევაში იმათ „ურისკოდ“ და უდავიდარაბოდ უფრო მე-

ტი შემოსავალი ეძლევათ, ვიდრე ექნებოდათ მაშინ, რომ თვითონ მოეკიდნათ ხელი მეურნეობისათვის. მცირე მამულიანი მეურნე პოულობს იჯარით საშუალებას დიდ მამულიან მესაკუთრეს თავისი შრომა მიჰყიდოს, თუნდაც საბაზრო ფასზე ნაკლებ, მხოლოდ იმ მიზნით რომ მიიღოს ხორბლეულის საჭირო რაოდენობა, რომელიც საჭიროა ოჯახის მთავარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. დიდ მამულიანი მესაკუთრე-კი, პირიქით, იჯარაში ჰხედავს საუკეთესო ხერხს შეშოსავლის მისაღებად და ამ წესს იგი არ შესცვლის, სანამ საიჯარო გადასახადი ესლანდელს დონეზე იქნება.“

ამასთან თუ მივიღებთ მხედველობაში დროგამოშვებითს მოუსავლიანობას, როგორც ეს წელს, მაგალითად, გურია-სამეგრელოშია („ცნ. ფურც“. №2263, „ივერია“ №25, 1904 წ.), მაშინ დაახლოვებით მაინც წარმოგვიდგება თვალ-წინ გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობა და გასაგები შეიქმნება მათი დრტვინვა და უკმაყოფილება.

მაგრამ ასევე არ უყურებენ საგანს ის „წეს-რიგის დამცველნი“, რომლებიც მუდამ სხვა და სხვა კანცელარიებში დაცუნცრუკობენ და რენტად აღებულ ნიმინდს თუ პურს ქალაქებში ღოღიალში აპნევენ. იმათ კარგად იციან, რომ დაბეზღებას, ზოგიერთ მოვლენათა გაბერვა-გადიდებას დღეს მაზანდა და გასავალიც აქვთ. ამიტომ ძნელი გასაგები არაა ის ტანჯვა-წუხილი, რომელიც მოთხრობილია ბ-ნ შუბნელის წერილში და რომელსაც გრძნობს დღეს გარეშე, პიროვნების შემბოჭველ, გარემოებათა გამო ყოველი შეგნებული ადამიანი, ადამიანის უფლება დღეს უარყოფილია; მისი პიროვნება, ადამიანობა, ღირსება ყოველ ფეხის გადადგმაზე ითელება და ისრისება. და ამას სჩადიან უცერემონიოდ, — მოურიდებლად ყოველ მოხელეს ისეთი წარმოდგენა აქვს შეთვისებული, რომ ხალხი, საზოგადოება მისი გულისთვისაა გაჩენილი, რომელსაც მან უნდა უბრძანოს და ფეხები უბაკუნოს. ამას მოითხოვს ვითომ „წესრიგის დაცვა“ და განმტკიცება. და ვაი იმას, ვინც ხმას ამოიღებს და სიტყვას შეუბრუნებს. საკმარისია ეს მოდაში შემოსული „ბუნტი“ ახსენოს, რომ ყველა და ყველაფერი ფეხზე დადგეს და არარაობისაგან „საქმე“, დიდი, მძიმე „საქმე“ შეიქმნეს. ასეთ დღევანდელ ვითარებას კარგად ახასიათებს შემდეგი ფაქტიც, რომელიც მოხდა არა რომელსამე მიყრუებულ სოფელში, არამედ ქალაქ ადგილას, სადაც მუდამ დიდი მოძრაობაა და აუარებელი ხალხი დადის. ქუთაისში ორმა მთვრალმა პოლიციელმა სრულიად უმიზეზოდ სცემა სკოლის რამდენსაძე შეგირდს, სცემა დაუნდობლად და შეუბრალებლად, — ხელით. ფეხით, და ხმლის ქარქაშით. ბავშვების ყვირილზე მოგროვდა ხალხი, რომელმაც ვერ აიტანა გულგრილად ესეთი ბარბაროსობა და პოლი-

ციელთ მსხვერპლი ხელიდან გამოჰგლიჯა. ერთმა იქაურმა კორესპონდენტმა ეს ამბავი ასწერა და გაზეთში დაბეჭდა. მერე რაო, — იტყვით, ალბად თქვენ, — ა? ჩვენს დროში პატარებს კი არა, დიდებსაც სცემენო. მართალია, მაგრამ საქმე ის არის, რომ იმ ორმა რაინდმა პოლიციელმა გაზეთის კორესპონდენციით თავი „შეურაცხყოფილად“ ჩასთვალა და ამისთვის რედაქტორს სასამართლოში უჩივლა. გარდა ამისა — და აი ესაა ყველაზე უფრო საინტერესო — ქუთაისის პოლიციამ იმ ხალხს, რომელმაც გააფთრებულ პოლიციელებს ბავშვები ხელიდან გამოსტაცა, ოქმი შეუყენა და სამართალში უჩივლა, — მყუდროება და წეს-რიგი დაარღვიეს, „ბუნტი“ გამართეს და პოლიციელთა ბრძანებას არ დაემორჩილნენო. ჩვენისთანა უბრალო მომაკვდავი, მკითხველო, ასე იფიქრებს, რომ იმ ხალხისთვის მადლობა უნდა გამოეცხადებინათ, რომ უღონო მსხვერპლნი იხსნეს დაუმსახურებელ ტანჯვისაგან. ნამღვილად კი „ბრალდებულნი“ შეიქმნენ და სასამართლოში მოუხდათ პასუხისგება. რასაკვირველია, სასამართლომ, რომელთანაც სავსებით დამტკიცდა პოლიციელთა ბარბაროსული ქცევა, რედაქტორიც და ის ხალხიც გაამართლა „ბრალდებისაგან“. ხოლო იმათთვის კი, ვინც ნამდვილი ბრალდებული და დამნაშავენი იყვნენ, აზრად არავის მოსვლია პასუხი მოეთხოვა, თუ რად და რა უფლებით სცემდნენ და არბევდნენ ქალაქის მშვიდ და უწყინარ ხალხს. ეს, როგორც იცით, **в порядке вещей** და არავინაც არ იტკიებს ამისთვის თავს.

თუ ასეთი ამბები ხდება ქალაქებში, რაღა უნდა იყოს სოფლებში, სადაც არც შეგნებული ხალხი მოიპოვება და არც კორესპონდენტისა და უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელის ჭაჭანებაა. აქ უბრალო მამასახლისები და კანცელარიის მწერლები პატარა მეფეები არიან, რომლებიც ისე ეპყრობიან თავში ცემისაგან დაბეჩავებულ სოფლის ხალხს, როგორც მათ მოესურვება და მოუხდება. „მამასახლის-მწერლების ამბავს ნუღარ მკითხავთ, — იწერება ერთი მეთვალყურე („ცნ. ფურც“. №2180), — იმათი საქმე ლანძღვა-გინებაა და ხან-და-ხან კარგი მაგარი სილა-პანღური და ნაობახტი. ვინც უნდა მოვიდეს მთხოვნელი, თუ იციან, რომ იმისგან ვერაფერს მიიღებენ და თუ კიდევ გაუჭირვეულდა (გაჭირვეულობა იმასა ჰქვიან, თუ დაჟინებით შენის საქმის გაკეთებას, დაბოლოვებას სთხოვ), უცემრად და გაულანძღავად არ გაუშვებენ. ასეთი სენი სჩემდება უმეტესად მამასახლისს (და სხვათაც, რასაკვირველია) უფრო მაშინ, როცა მოძველდება და საზოგადოების ფულის გემოს გაიგებს ხოლმე. თორემ პირველი არჩევის დროს სულ სხვაა... ამორჩევამდე, ზოგი, თუ შეუძლიან, ქრთამებსაც კი ჰხარჯავს... ნახევა-

რის წლის შემდეგ კი ტყუილად ნულარ მიეკარები: მიხვალ,—ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე,რომ არ გააჯავრო. ხონთქარიც კი არ გაჯავრდება ასე: ჯერ ლანძღვა-გინებას დაგიწყებს, მოგიახლოვდება და თითქმის თითს გკრავს თვალში, მუშტს დაგიღერებს და გეტყვის: მე, ხომ იცი, ვინცა ვარ, კარგად გაიგე, მამა ვარ სახლისო!.. ამ წინუტში ვუბრძანებ, ნაობახტში შეგაგდონო. უნდა ნახოთ მამასახლისი მაშინ, როცა გაჯავრებულია და ბრძანებას აძლევს თავის ხელ-ქვეით გზირებს: აბა ჰკათ მაგას პანღური და შეაგდეთ მაგ ნაობახტშიო. რა მკაცრი, სასტიკი სახის გამომეტყველებას მიიღებს ხოლმე, როგორ წამოიფოფრება ინდოურივით, თითქო ჩინგისსან მტარვალის როლს თამაშობდეს თეატრში... ხშირად ნაცემი და გალახული უმაღლეს მთავრობას მიჰმართავს ხოლმე საჩივრით, მაგრამ, მგონი, არც იმას გაუდის რამ პატარა სოფლის მოხელესთან, თითქო ვიღაც უძლეველი მდევი იყოსო, გაიხედავ და არიან მაინც თავიანთ ადგილზე და თავიანთ ადრინდელ რაინდობას კვლავ იმეორებენ შეტის სიმამაცით. და ასე, იმათი მომათვინიერებელი და გამაადამიანებელი არავინ არ გამოჩნდა, ხოლო საზოგადოება ძლიერ დატანჯულია და გაბრაზებული (შეად. Свод материалов по исслед. экономическ. быта гос. кр. зак. кр., т. I, გვ. 184—185, აგრეთვე. Труды местных комитетов ...», გვ. 252).

ასეთ სოციალურ პირობებსა და გარემოებაში, რასაკვირველია, შეუძლებელია ხალხის პიროვნების შეგნებამ წინ წაიწიოს, კერძო თაოსნობამ და შემოქმედებამ ფრთები შეისხას და ეკონომიური უმოძრაობა შესცვალოს და სწრაფ განვითარების გზაზე დააყენოს. სასოფლო მეურნეობა, როგორც საზოგადოდ ყოველგვარი ეკონომიური წარმოება, მოითხოვს თავის გაუმჯობესებისათვის შეგნებულს და აწონ-დაწონილ მოქმედებას, მოითხოვს გონებრივ სიფხიზლეს, ცოდნას და პრაქტიკულ დაკვირვებას, ხოლო უწინარეს ყოვლისა საჭიროებს მოქალაქობრივობისა და ადამიანის თვითმოქმედების გაძლიერებას. და ეს თვითმოქმედება შეუძლებელია გაიფურჩქნოს და განვითარდეს იქ, საცა ადამიანის პიროვნება ასე ხელფეხ შეკრულია და თვით ხალხი გარეშე ძალთაგან დაბეჩავებულ-დამონებულია. იგი საჭიროებს მეტ თავისუფლებას, თვით მართველობის ნიადაგზე აგებულ პრაქტიკულ მოქმედების სკოლას და გამოცდილებას, რომ შესძლოს უცხოთა ცოდნის შეთვისება, გადაღება და პრაქტიკულად განხორციელება. მუდმივ სხვის აპეკუნობის ქვეშ ყოფნა აჩლუნგებს გონებას და აზანტებს ადამიანის მოქმედებას. ამ მუხრუჭის შეშვება და თვითმოქმედებისათვის ასპარეზის გაფართოება შეადგენს უმთავრეს პირობას ეკონომიურ მდგომარეობის

გაუმჯობესებისა და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებისათვის. ერობის დაწესებულება, რომელიც რამოდენიმედ წარმოადგენს თვითმართველობის პრინციპის განხორციელებას, ხელს უწყობს ხალხის საზოგადოებრივს აღზრდას და მის კულტურულ წარმატებას. და სასურველია, რომ ის შუამდგომლობანი. რომლებიც აღძრულ იქმნა შარშან ჩვენში უმაღლეს მთავრობის წინაშე, მალე დაკმაყოფილებული და სისრულეში მოყვანილ იქნეს. ჩვენ გადაჭარბებულ იმედებს არ ვამყარებთ საზოგადოდ „საბოძარსა“ და „საჩუქრებზე“, მაგრამ ამ ჟამად მთელი რუსეთის ცხოვრება ისეთ გარემოებაშია ჩამდგარი, რომ შეიძლება იქაც და აქ — ჩვენშიაც ზოგიერთი რამ ცვლილება მოხდეს.

მაგრამ ეს ყოველ შემთხვევაში მერმისის ამბავია. დღეს კი ჩვენს ზემოდ აღნიშნულ გაჭირვებას თან ერთვის ერთი სხვა გარემოებაც, რომელიც კიდევ უფრო დამაფიქრებლად ჰხდის ჩვენს მდგომარეობას. ეს არის ჩვენი ხალხის უვიცობა და გაუნათლებლობა. სკოლა, რომელიც უნდა იყოს იარაღი ხალხის ჭეშმარიტ გონივრულ აღზრდისა, ჩვენში სხვა და სხვა „გარეშე მოსაზრებათა“ განსახორციელებელ საშუალებად გადიქცა. იგი მოშორდა წმინდა პედაგოგიურ შიზანს და დაადგა „პოლიტიკის“ ნიადაგს. პედაგოგიაში უცილობელ ჭეშმარიტებად ითვლება, რომ აღზრდის წესი და მეთოდი უნდა ეთანხმებოდეს გონებრივ განვითარების ბუნებრივ პროცესს. გონებრივი განვითარება მოითხოვს თანდათანობას და ამიტომაც „სკოლა ეროვნულ ნიადაგზე უნდა იყოს დამყარებული“ (იხ. პ. სურგულაძის „ენა და ერი“ საქართველოს კალენდარში, აგრეთვე ი. გოგებაშვილის „ბურჯი ეროვნებისა“). რადგან დედა ენის ფარგალშია ის საგნებიო — ამბობს ამოს კომენელი, — რომელთაც ადამიანის გონება თან და თან ეცნობა, ამიტომ დედა ენის შესწავლა მოითხოვს მრავალ წელიწადს, სახელდობრ ბავშვობის მთელ ხანას და საყრმის ნაწილსაცო. უცხო ენის სწავლება, სანამ არ შეუთვისებია დედა-ენა ბავშვს, იგივეა, რომ ბავშვს ფეხის ადგმის უმალ ცხენით ჯირითობა ვაიძულოთო.

ეს აზრი ისე ცხადი და ნათელია, რომ თითქოს ყველასთვის მისახვედრი და მისაღები უნდა იყოს, მაგრამ საქმეც ისაა, რომ, როგორც ვთქვით, სხვა და სხვა „მოსაზრებათა“ გამო, ჩვენებური სკოლა ამ ცნებით არ ხელმძღვანელობს და ამიტომ იგი მოკლებულია ხალხისთვის საკეთილდღეო შედეგს და ნაყოფიერობას: „ივლის ბავშვი სასწავლებელში სამ-ოთხ წელიწადს, — იწერება იმერეთიდან ერთი კორესპონდენტი („ცნ. ფურც.“ №2180), — მშობლები უკანასკნელს, სესხად აღებულ გროშს არა ჰზოგავენ, წელებზე ფეხს

იდგამენ, — იქნება ჩვენს შვილებს ცხოვრებაში რამე გამოსადეგი ცოდნა მიესცეთ, ბოლოს ჩვენსავით არ დაიჩაგრონო. ხშირად გაიგონებ იმათგან წარმოთქმულ სიტყვას, რომლითაც ან შენ მოგმართავს, თითქო გთხოვს, რამე ნუგეში მეცი, ან თავისთვის ჩაილაპარაკებს: ჰა, ჩემი შვილი, მგონი, ტყუილად დაფრატუნობს კლასშიო! გამოდის ბავშვი სკოლიდან, ხოლო რაც კი უსწავლია იქ, ერთი-ორი წლის შემდეგ თავისდა უნებურად ივიწყებს". და ეს სრულიად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს და არაფერს საკვირველს არ შეიცავს, რადგან ეხლანდელი სკოლა, ცნობილ მუნჯური მეთოდის წყალობით, მოსწავლეს მხოლოდ თუთიყუშივით აზეპირებინებს რამდენსამე სიტყვას და წინადადებას, სრულიად შეუგნებლად და შეუთვისებლად, რომელიც მას სკოლიდან გამოსვლის შემდეგ მალე უკვალოდ უქრება მეხსიერებიდან. რა თქმა უნდა, ასე „მომზადებული" ახალთაობა ვერავითარ სინათლესა და თვითცნობიერებას ვერ შეიტანს სოფლის ბნელსა და მიყრუებულს ცხოვრებაში. და ამ დროს ზოგიერთ ოფიციალურ „პედაგოგებს" შესწევთ გაბედულობა ჩვენს მოზარდ თაობის უნიჭობაზე ილაპარაკონ და თანამედროვე სკოლის უნაყოფობა მოსწავლეთა ნიჭის ნაკლებობის მაჩვენებლად დაჰსახონ.

მიუხედავად საკმაო ხნის გამოცდილებისა, რომელმაც ცხადჰყო, რომ თანამედროვე სკოლა, ჭეშმარიტ პედაგოგიის უარყოფით და მუნჯურ მეთოდის გამეფებით, ხალხისთვის ყოვლად უსარგებლო და უნაყოფო გამოდგა, მაინც არ ეტყობა, რომ ხსენებულ ანტიპედაგოგიურ მიმართულებას ნდობა და მომხრეები დაჰკარგოდეს იმ წრეში, რომელსაც ამ საქმეში ძალა და გავლენა აქვს. პირიქით, ყოველ დღე ისეთ მოვლენათ ვხედავთ, რომლებიც სულ წინააღმდეგს გვიჩვენებენ და უკვე გამეფებულ მიმართულების მეტს გაძლიერებას გვიმტკიცებენ. მუნჯურ მეთოდთან ქართულ ენას რამოდენიმედ დედინაცვლის როლი მაინც აქვს დათმობილი, სამეგრელო-სვანეთში-კი ამ ბოლო დროს ქართული ენა სრულიად იდევნება სკოლებისა და ეკკლესიებიდან. სამეგრელოში, ბ. შუბნელის სიტყვით, „აშორდიზმმა ხელახლა წამოჰყო თავი, ამხედრდა წინანდელზე უფრო უშიშრად და უტიფრად. ამ სამარცხვინო მოძღვრებამ აშორდიაზე უფრო მაღალის წრის კაცებსშორის იპოვა ქომაგი, მოსარჩლე და გაცამტვერებას უქადის მას, რაც მთელის სამეგრელოსათვის, ყოველ მეგრელისათვის უუძვირფასეს განძს, წმიდათა წმიდას შეადგენს. შემუსვრას უპირებს იმ ენას, რომელზედაც მეგრელი მთელი 17 საუკუნის მანძილზე ადიდებდა ღმერთს, ისმენდა თავიანთ მჭერმეტყველ

სჯულის მოძღვართაგან სახარებას, რომელზედაც სწერდა და აზროვნებდა, იძენდა ცოდნას და სწვრთნიდა თავის შვილებს, ეძებდა მართლმსაჯულებასა და იცავდა სამშობლოში თავის საკუთრებას, რომელიც ყოველთვის შეადგენდა და დღესაც შეადგენს ერთად-ერთს მისს სულიერ ურთიერთობის იარაღს და დანარჩენ ქართველებთან მეზობლურ განწყობილების საშუალებას" (შეად. ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს, К вопросу о мингрельской начальной школе.).

საზოგადოებაში გავრცელდა ხმა, რომ ვითომ ამ უმსგავსოების ხელის შემწყობი და გზის გამკაფავი ყოფილიყოს ერთი სახელმწიფო სამსახურში მყოფი ქართველი კაცი, რომელსაც თავისი საისტორიო კვლევა-ძიებით და შრომით საპატიო სახელი აქვს ჩვენს მწერლობაში დამსახურებული. ეს ისეთი მძიმე ბრალდებაა, რომ ჩვენ არ გვინდა იგი დავიჯეროთ და სიმართლედ მივიჩნიოთ. ჯერ კიდევ ვიმედოვნებთ, რომ ის პირი, რომელსაც ეს ბრალდება შეეხება, დაამტკიცებს ამ ხმის სიყალბეს და საზოგადოების წინაშე თავს გაიმართლებს.

მაგრამ თუ ჩვენ იმ ადამიანის ფარულ მოქმედებაზე გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, სამაგიეროდ, ასევე ვერ მოვიქცევით საერთოდ ქართველობის შესახებ. ჩვენ ყველას წილი და დანაშაული გვიდევს იმ მოვლენებში, რომლებიც ჩვენს ეროვნულ, ხალხოსნურ განვითარებას აფერხებს და აბრკოლებს. ამ გვარი წყობილება და ღონისძიება ნიადაგს ვერ მოიპოვებდა და ფეხს ვერ მოიკიდებდა, რომ თვითონ ჩვენ ვვარგოდეთ, რომ თვით ჩვენში იყოს ეროვნული შეგნება და თვითცნობიერება გაძლიერებული. მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ასეთი ამბავი, რომელსაც გადმოგვცემენ, მაგალ., ქართლიდან („ცნ. ფურც." №2161): „ერთმა აქაურმა მღვდელმა მოსპო ეკკლესიაში ქართულად წირვა და დაიწყო რუსულად. გლეხებმა რუსულად ვერა გაიგეს-რა და მღვდელს შეეხვეწენ, ისევ ქართულად სწირეო, მაგრამ სულიერმა მამამ ყურადღება არ მიაქცია მრევლის თხოვნას". ან ეს მეორე ამბავი („ცნ. ფურც". №2264): „ერთი გამოჩენილი ქართველი გვარის ოჯახობა სწვევია ახალქალაქის თავადებს თ-ებს და ძლიერ არ მოსწონებია, რომ თ-ბის ეკკლესიაში ქართულად გალობდნენ და სწირავდნენ: ეს რაღაც ველური წირვა და გალობაა, ჩვენს ყურებსა და ნაზ ნერვებზე ცუდად მოქმედობსო. შეუდგენიათ საკუთარი ხორო, მღვდლისთვისაც უბრძანებიათ, მომზადებულიყო საწირველად სხვა ენაზე და კიდეც შეუსრულებიათ წირვა და უგალობნიათ".

დიახ, ჩვენში არ არის საკუთარის ღირსებისა და ადამიანობის შეგნება და პატივისცემა. ხშირად ჩვენვე უარვჰყოფთ ჩვენს თავს

და შემდეგ გვიკვირს, რომ სხვები — უცხონი — უარგვყოფენ და არ გვდებენ არავითარ ფასს. ყოველი სულდგმული, რომელსაც უნდა ცხოვრება, უნდა იცავდეს თავის არსებობას და ამ შემთხვევაში სხვის წინ წუწუნი და ბრალიანობის ძებნა, გინდ მოწყალების თხოვნა ნიშნავს მხოლოდ საკუთარს სისუსტეს და უსუსურობას.

ვიმუშაოთ და ვეცადოთ ყველამ ჩვენში მეტი სამოქმედო ენერგიის განვითარებას, სიფხიზლისა და თვით ცნობიერების გაღვიძებასა და გაძლიერებას. ეს შეეხება საგანს, რომელსაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ არის ღრმად დამაფიქრებელი და ღირსი განსაკუთრებულის ყურადღებისა. ამ რჩევითა და სურვილით ვეგებებით ჩვენ „მოამბის“ მკითხველს ახალ წლის თავში და ვიმედოვნებთ, რომ მერმის დღევანდელზე უფრო სასიამოვნო და სასიხარულო ფაქტების აღნიშვნა მოგვიხდება ჩვენს „შინაურ მიმოხილვა“ — ში.

ჟურნ. „მოამბე“, 1904 წ., №1, გვ. 63—94.

შინაური მიმოხილვა

კერძო თაოსნობის საჭიროება

სამძიმოა საზოგადოდ იმ ხალხის მდგომარეობა, რომლის ცხოვრებაშიაც რაიმე ღრმა ცვლილება გარედან შემოიჭრება, უცებ, — ადგილობრივ რეალურ ნიადაგის მოუმზადებლად, — იჩენს თავს და იწყებს განვითარებას. ადამიანის გონება ბუნებით ზანტი და კონსერვატორია, — იგი ადვილად ვერ იშორებს ძველ აზრ-შეხედულებას, მალე ვერ ეჩვევა ცვლილებას და ვერ იგებს ახალ ვითარებას. საშუალო ადამიანი ხშირად ისევ ძველებურად სჯის და აზროვნობს, ძველის წესით ცხოვრობს და მოქმედობს და სრულებით ვერ ამჩნევს, რომ სოციალური ცხოვრება ძირიან-ბუდიანად შეიცვალა და საზოგადოებაში ახალი ურთიერთობა და დამოკიდებულება დამყარდა. მას ჰგონია, ისევ წინანდელს ნიადაგზე დგას, მაშინ როდესაც ცხოვრების ახალი ვითარება ფეხიდან აცლის ამ ნიადაგს და საეჭვოდ ჰხდის ძთელს ძის არსებობას. იგი იკვებება ძველებურ ოცნებით, თავს იტყუებს უნიადაგო იმედით, ეძლევა გონებრივს სიზანტეს და უდარდელობას, — და ეს სწორედ მაშინ, როცა გარემოება მოითხოვს მეტს სიფხიზლეს და დაკვირვებას, თავის მდგომარეობის გულდადებით აწონ-დაწონვას და სავსებით შეგნებას.

ასეთი სიფხიზლის ნაკლებობა და მძინარობა ემჩნევა დღეს ჩვენი

ძირითად საკითხების შესახებ ქართველ „საზოგადოებას“. თანამედროვე ცხოვრებაში არის ბევრი ისეთი გარემოება, რომელიც აბრკოლებს ჩვენს ხალხოსნურ წარმატებას და საფრთხეში აგდებს ჩვენს ეროვნულ არსებობას. და ამ დროს კი ჩვენ ვიჩენთ სრულს უზრუნველობას, ფიქრად არ მოგვდის დავუკვირდეთ საერთო მდგომარეობას და ვეცადოთ შეერთებულის ძალით ბრძოლას და დაბრკოლებასთან გამკლავებას. ნაცვლად მოქმედებისა, ძვირფას დროს მარტო ლაპარაკში ვატარებთ, აღძრულ შავ ფიქრებს წარსულის მოგონებით ვაძინებთ და გულს უნიადაგო ოცნებით ვიოხებთ. ჩვენში მოიპოვება არა ერთი და ორი „განათლებული“ კაცი, რომელიც მარტო იმ საფუძვლით, რომ ძველად საქართველოზე ათასი რჯულის ხალხს გადაუვლია. მაგრამ ქართველი ხალხი მაინც ქართველად დარჩენილა და ხალხოსნობა არ დაუკარგავს, ნეტარს სიმშვიდეს ეძლევა და ჰფიქრობს, რომ ჩვენს ეროვნებას მერმისშიაც არ მოელის არავითარი განსაცდელი და დაბრკოლება. თურმე ასეთ დამამშვიდებელ გაკვეთილს იძლევა ჩვენი ისტორია და წარსული ცხოვრება. ტყვილად დაუწყებთ ასეთ ოპტიმისტს მტკიცებას, რომ დრო და გარემოება გამოიცვალა, რომ ეხლა რკინის გზისა და ტელეგრაფის ხანაა, სხვა და სხვა ხალხთა მოძრაობა ადვილი და ხშირია, უცხოს გავლენა საკუთარს თავისებურობაზე დიდი და ძლიერია, რომ „ისტორიის“ შემდეგ ეკონომიური წესი და განწყობილება შეიცვალა და ეხლა ხალხის დაპყრობა და სულიერად თუ ეკონომიურად დამონავება უთოფ-ზარბაზნოდაც შეიძლება, — ტყვილად დაუწყებთ მეთქი ყველა ამაებზე ლაპარაკს: იგი მაინც წარსულს ეპოტინება და იქ ეძებს თავის უაზრობის საბუთს და დამტკიცებას.

სამწუხაროდ, — და, შეიძლება, სასიამოვნოდაც, — პირადად ჩვენ ვერ თანავუგრძნობთ ამგვარ დამაძინებელ ოპტიმისტობას. პირიქით, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა მიგვაჩნია ფრიად სერიოზულად და ღრმად დამაფიქრებლად... და ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა ნამდვილი ვითარების არა დაფარვა და მიფუჩეჩება, არამედ საჯაროდ გამოცხადება და საზოგადოებრივის შეგნებისა და თვითცხობიერების გაღვიძება. ავადმყოფს უნდა უთხრან და გააგებინონ დროზე მისი სენი და დაავადება, რომ მან შესძლოს ღონისძიების ხმარება, ძალის მოკრება და სენისგან განკურნება. მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებისა, ჩვენი სენი არც ისე უიმედოა, რომ მხნეობითა და ენერგიულის მუშაობით არ შეიძლებოდეს მისი ძლევა და ჩვენი ხალხოსნური პოზიციის უფრო გამაგრება და განმტკიცება. მხოლოდ საჭიროა შრომა, კიდევ და კიდევ შრომა, მუყაითობა, შეგნებული და მიზან გათვალისწინებული მოქმედება, რომელიც

ასე არ გვიყვარს ჩვენ და რომელსაც უნდა დავეჩვიოთ უეჭველად. ენერგიული მუშაობა სასწაულს ახდენს სხვა ხალხებში, — ამის მაგალითს მკითხველი ქვევით დაინახავს, — და ასევე ნაყოფიერი იქნება იგი ჩვენშიაც. შეთანხმებულ მოქმედებას ბევრი რამ შეუძლია, — ხშირად იგი, აღფრთოვანებული საერთო იდეით და მისწრაფებით, სძლევს ისეთ დიად დაბრკოლებას, რომელიც კაცს ერთის შეხედვით ეჩვენებოდა უძლეველად და მოწინააღმდეგის შემმუსვრელად. ჩვენშიაც საზოგადო საქმეები, რომელნიც მოითხოვენ შეერთებულ ძალ-ღონით მუშაობას, მრავალთ მრავალია და ამათში ბევრია ისეთი, რომელიც ჩვენი ეროვნულ თვით-არსებობის ძირითად საკითხს შეადგენს და ამიტომ ღირსია განსაკუთრებულის ინტერესის და ყურადღებისა. ჩვენ გვინდა დღეს ერთ ამგვარ საკითხზე მივუთითოთ მკითხველს და გავაცნოთ, თუ რა და როგორ უმოქმედნია ამისთვის ერთ-ერთ უცხოეთის ხალხს. ეს საგანია — ტერიტორიის დაცვა საქართველოში და ადგილ-მამულის შერჩენა ქართველებში.

ვერც ერთი ხალხი ვერ იარსებებს, ვითარცა ერი, თუ მას არ აქვს მიწა-წყალი, არ აქვს განსაზღვრული ტერიტორია. ტერიტორია ერთი პირობათაგანია ეროვნულ არსებობისა და განვითარებისათვის, „სამშობლოს არსებობისათვის — სწერს ლუი ლეგრანი (L'Idée de patrie, გვ. 39—40), — საჭიროა ტერიტორია, რომელზედაც აღმოცენებულა და განვითარებულა ეროვნული ცხოვრება. ეულ ხალხებს, რომლებიც შიმშილისა თუ ფანტაზიის მიხედვით ხან ერთ ადგილას გაიკეთებენ ხოლმე კარვებს და ხან მეორეს, არ აქვთ სამშობლო. ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ ისრაელები სამშობლოს მოკლებული იყვნენ, სანამ პალესტინაში არ დასახლდნენ. იმათ, ვითარცა ისრაელებს, აღარ აქვთ სამშობლო მას შემდეგ, რაც იძულებული გახდნენ იუდეა მიეტოვებინათ და მთელი დედამიწის ზურგზე გაფანტულიყვნენ... გეოგრაფიულ პირობებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ცა, ჰავა, ნიადაგის მოყვანილობა, მიწის კულტურა — ყველა ეს აძლევს მხარეს იმ ფიზიკურ სახეს, რომლითაც ჩვენ მას ვხედავთ და გვიყვარს. ამისთვის საჭირო არაა, რომ მზე იყოს ბრწყინვალე, ჰავა რბილი, ნიადაგი მდიდარი და ნოყიერი. პირიქით, შემჩნეულია, რომ ადამიანი მით უფრო ეკვრის თავის სამშობლო მიწას, რაც უფრო უმადურია იგი. შვეიცარიელს უყვარს თავისი მთები, ჰოლანდიელს ჭონჭყოები, რუსს გაყინული უდაბნოები. ტერიტორიას, იმის მიხედვით, სწორეა იგი თუ მთებიანი, წყლიანია თუ უწყლო, ღარიბი თუ მდიდარი, ცივი თუ ზომიერ ჰავის

ჭქონე, მადნებიანი თუ მარტო მცენარეულობის მომცემი, — გავლენა აქვს მცხოვრებთა ზნე-ხასიათზე და ეკონომიურ მოქმედებაზე. იგი ქმნის თუ სცვლის დიდ წილად ეროვნულ ფიზიონომიას და აძლევს მას განსაზღვრულ გამოხატულობას."

ტერიტორიას სხვა კიდევ უფრო დიდი და მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის, მაგრამ ყველა ამის აღნუსხვას და გარკვევას ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებით, რადგან ეს შორს წაგვიყვანს და მახლობელ საგანს აგვაცდენს. უამისოდაც, გვგონია, ნათელი და უცილობელი უნდა იყოს ყველასათვის, რომ მიწა, ადგილ-მამული, ვითარცა ბუნებრივი ნიადაგი (Standort) საზოგადოდ ადამიანის ყოველგვარ მოქმედებისა, აუცილებელი საფუძველია ხალხისნობისაც, რომელსაც უამისოდ არ ძალუძს აღორძინება და განვითარება. ეს კი არა, შეიძლება, ზოგიერთ მკითხველს ეხამუშოს კიდეც, რომ ასეთ საანბანო ჭეშმარიტებას ვიმეორებთ, და გაუკვირდეს მხოლოდ, რომ ამ — ჩვენში მაინც — მშვიდობიანობისა და მყუდროების დროს ტერიტორიის „დაცვასა" და „ბრძოლაზე" ლაპარაკს ვიწყებთ. კარგა ხანია, ჩვენში ისტორიული ბრძოლა შესწყდა, ახლა მტერი გარედან თავს აღარ გვესხმის და თოფ-ზარბაზნის საშუალებით ადგილ-მამულის წართმევას არ გვიქადის. ამიტომ თითქოს უცნაური უნდა იყოს მამულის დაცვაზე ლაპარაკი, როცა არც სპარსეთი და არც ოსმალები არ გვემუქრებიან და არ ცდილობენ გამოგვტაცონ ხელიდან ის, რასაც ჩვენში წინაპრები თავგანწირულად იცავდნენ საუკუნეების განმავლობაში.

მაგრამ ეს უცნაურად ეჩვენება მხოლოდ იმას, ვინც თავისი აზრ-შეხედულებით ჩაფლულია საშუალო საუკუნეებში და ნაკლები ცოდნა-შეგნება აქვს თანამედროვე ცხოვრებისა და ურთიერთობის. ძველად მტერი, მართალია, ხშირად იპყრობდა ჩვენს ქვეყანას და ბატონდებოდა პოლიტიკურად, მაგრამ ხელ შეუხებლად სტოვებდა ხალხის ეკონომიურ წყაროს, მიწა-წყალს, და საერთოდ ხალხისნობის მთავარ საფუძველს, — ტერიტორიას. მაშინ ისეთი ეკონომიური წყობილება იყო, რომ დამპყრობელს არ შეეძლო სხვა ნაირად ესარგებლა დაპყრობილი ქვეყნით, თუ არ ხარჯის დადებით და მცხოვრებთაგან გადასახადის აკრეფით. მიწა, მამული რჩებოდა ხელში ისევ მწარმოებელს თუ მეპატრონეს და თავისუფლად შეეძლო ისევე წარემართა მისი შემუშავება, როგორადაც ამუშავებდა წინედ, — დამოუკიდებლობის დროს. ვერავითარი საშუალება ეკონომიურის ხასიათისა, თუ არ ძალმომრეობა (მაგალ., გაძევება ან მამულის კონფისკაცია), ვერ დააშორებდა ერთმანეთს მიწასა და მიწათ-მფლო-

ბელს და ვერ გახდიდა უკანასკნელს უმამულოდ და ბოგანოდ; ვერ გახდიდა, რადგან მაშინ მამული იყო ქონება უძრავი, უძრავი არა მარტო ბუნებრივად, ე. ი. მისი აღება და ადგილიდან დაძვრა არ შეიძლებოდა, არამედ უძრავი ეკონომიურადაც. ნატურალურ მეურნეობის ხანაში ყოველ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური ცხოვრება აქვს, რომელიც მოკლებულია უცხოეთთან კავშირს და დამოკიდებულებას. პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვის დროსაც დაპყრობილი მხარე განაგრძობდა წინანდელ წარმოების წესით მუშაობას და ძველებურს ეკონომიურ ცხოვრებას. გადასახდელ ხარკზე მეტი, რომელსაც იძლეოდა ადგილობრივი შრომა და წარმოება, ისევ ადგილობრივ რჩებოდა და არჩენდა როგორც მიწათ-მფლობელს, ისე უმამულო მშრომელ ხალხს. ერთის სიტყვით, ძველ დროში მხარე, დაპყრობილი პოლიტიკურად, რჩებოდა თავისუფალი და უცხოთაგან დამოუკიდებელი ეკონომიურად.

მაგრამ მას შემდეგ გარემოება შეიცვალა და დღეს ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ ჩვენს დროში შესაძლებელია ხალხის როგორც პოლიტიკურად დაპყრობა, ისე მისი ეკონომიურად დამონავებაც. შესაძლებელია ეს იმიტომ, რომ ძველი კარჩაკეტილი ცხოვრება მოისპო და ყველგან ესრედ წოდებული ფულის მეურნეობა განვითარდა და მისი შესაფერი ეკონომიური ურთიერთობა და განწყობილება დამყარდა. ამ განვითარების სავსებით გარკვევა და გათვალისწინება ფრიად საინტერესო და საგულისხმოა, და, იქნება, სხვა დროს როდისმე კიდეც დავუბრუნდეთ ამ საგანს. ამ ჟამად-კი ჩვენი მსჯელობა შეეხება უმთავრესად ტერიტორიას და მამულის საეროვნო ვითარებას. და ეს ვითარება სრულებით არა ჰგავს ძველ დროისას, როცა არ არსებობდა არც თანამედროვე აღებ-მიცემობა და არც ყოველ ნაწარმოებისა და ქონების საბაზროდ გახდომა დღეს, შეიძლება, ვთქვათ, აღარ არის უძრავი ქონება და ფლობელობა, — ყველაფერი მოძრავი გახდა, ელვის სისწრაფით გადადის ხელიდან ხელში, ეცვლება მუდამ პატრონი და ფლობელობითი დანიშნულება. დღეს სულ რამდენისამე წუთის განმავლობაში შეუძლია ბერლინელს გინდ ლონდონელს პატრონი და მოსარგებლე გახდეს იმ მამულისა, რომელიც მდებარეობს საქართველოში, რუსეთში და გინდ ამერიკის რომელსამე შტატში. ასევე სწრაფად და ადვილად შეუძლია მას შეძენილი მამული მოიშოროს და სამაგიეროდ სადმე სხვას დაეპატრონოს. ის, რაც ძველად იყო შეუძლებელი, ეხლა შესაძლებელიცაა და ადვილად მოსახერხებელიც. ამას მკითხველი დაახლოებით წარმოიდგენს შემდეგი მაგალითიდანაც, რომელიც მამულის

დაგირავების გარემოებას შეეხება და რომელსაც ჩვენ, გაგების გაადვილების გულისათვის, ვამოკლებთ და ძალზე ვამარტივებთ.

როგორც იცით, ფულის საშოვნელად მემამულე მიჰმართავს ხოლმე ბანკს და, მამულის დაგირავებით, იღებს იქიდან სესხს. იგი კალდებული ჰხდება, თუ მამული გაჰყიდა, ბანკის ვალი სრულიად გაისტუმროს, ხოლო სანამ არ გაუყიდნია და მის ხელშია, ყოველ წლივ იხადოს მიღებულ ფულის სარგებელი და თან განსაზღვრებული შესატანი ვალის გადასაწყვეტად (ამორტიზაცია). ასრულებს-რა ყველა ფორმალურ მოთხოვნილებას, იგი იღებს ფულს და მალე მეჯლისში შექეიფიანებული მხიარულად დაჰღიღინებს „საქართველო ჩვენია"-ს და აზრადაც არ მოსდის, თუ ვის ხელში გავიდა ფაქტიურად საქართველოს ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც აქამდის მას ეკუთვნოდა იურიდიულის უფლებით და რეალურ სარგებლობითაც. ის ფული, რომელიც მემამულეს სესხად მიაქვს, ბანკს საკუთრებად არ მოეპოვება. მისი საკუთარი თანხა მოთხოვნილებასა და საჭიროებასთან შედარებით სრულიად მცირე და უმნიშვნელოა. ბანკმა თავის მხრით უნდა მიჰმართოს ფულიან კაცებს და იმათგან მოიპოვოს საჭირო კაპიტალი. ამისთვის იგი გამოსცემს ხოლმე ეს-რედ წოდებულ გირავნობის ფურცლებს, რომლებიც იმის-მაჩვენებელია, რომ ბანკს გირაოდ მიღებული მამულები მოეპოვება და, მაშასადაე, ფულის პატრონს მასზე გასესხებული ფული ვერ დაეკარგება. ამ ფურცლებს ყიდულობენ ისინი, — ჩვეულებრივ კაპიტალისტები, — რომლებსაც თავისუფალი ფული აქვთ და ფულის გასესხებით სარგებლობის მიღება სწადიათ: გირავნობის ფურცლის საფასო ფული შემოდის ბანკის კასაში, ხოლო თვით ფურცელი. ვითარცა თამასუქი, ინახება კაპიტალისტის პორტფელში, საიდანაც მხოლოდ დრო გამოშვებით ამოიღებს პატრონი, რომ მაკრატელი გაათამაშოს, კუპონი მოსჭრას და გასესხებულ ფულში ვადაზე სარგებელი მიიღოს ბანკებიდან. ეს ის სარგებელია, რომელიც უნდა იხადოს წლიურად მემამულემ, — თავის მამულ-დედულის დამგირავებელმა.

ამ საბით, როგორც ხედავთ, ადგილობრივი ბანკი მხოლოდ შუამავალია მემამულეებსა და კაპიტალისტებს შუა. პირველნი, ბანკის საშუალებით, აძლევენ უკანასკნელთ სესხის სარგებელს და უხდიან ნაწილ-ნაწილ ვალსაც. ამ დამოკიდებულებაში ძალიან ადვილია მოვალეების ცნობა და გაგება, მაგრამ ეგეევ არ ითქმის მევალეების ე. ი. ფულის გამსესხებელთ შესახებაც. ესენი, შეიძლება, მთელი დედამიწის ზურგზედ იყვნენ გაფანტულნი და ჩამომავლობით ეკუთვნოდნენ ათასგვარ ხალხს და ეროვნებას. გირავნობის ფურცლების

ყიდვა ყველას შეუძლია, ვისაც აქვს სურვილი და თან შეძლებაც და, მაშასადამე, ყველა ჯურის ფულიან ხალხს აქვს შეძლება გახდეს მოსარგებლე ე. ი. ფაქტიურად მფლობელი იმ მამულისა, რომელსაც დავალიანებული მესაკუთრე ანუ პატრონი de jure თავისად სთვლის და ამის გამოისობით თავისი თავი მართლა მემამულე ჰგონია. შემოსავალი მემამულისა, როცა იგი, როგორც ეს, მაგალითად ჩვენშია, მარტო ფლობელობითი უფლებით სარგებლობს, თვითონ წარმოებას არ ეწეგა, არამედ მამულს საღალოდ ან საიჯაროდ აძლევს სხვას, მხოლოდ მიწის რენტაა და სხვა არაფერი. ეს რენტა დაახლოვებით ეთანასწორება იმ ღალას ან საიჯარო ქირას, რომელსაც მიწის შემმუშავებელი აძლევს მას. და საზოგადოდ მიწის ფასიც რენტის კვალობაზე იანგარიშება და ამავე საფუძველით აფასებს ბანკიც, როცა მამულს იღებს გირაოდ ვინმესაგან. მართალია, ბანკები სესხად იმდენსავე არ იძლევიან, რამდენადაც მამული დაფასდება (50—60%), მაგრამ მოგეხსენებათ, სესხის მძებნელი მემამულე ყოველი საშუალებით ცდილობს დაფასების დროს შემოსავალი დიდად გამოაჩინოს და ამის მიხედვით შემდეგ სესხიც მეტი მიიღოს. და მომატებულ სესხს, რასაკვირველია, მეტი სარგებლის შეტანით უნდა პასუხის გაცემა და გასწორება.

ერთის სიტყვით, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მემამულე, თუ მთელ რენტას არა, რენტის უდიდეს ნაწილს მაინც იხდის ნასესხებ ფულის სარგებლად და ვალის გადასაწყვეტად. და ეს კი იმის მომასწავებელია, რომ მან, ვითარცა მემამულემ, დაჰკარგა თავისი ფუნქცია და გაჰხდა უბრალო მმართველი კაპიტალისტისა, რომელსაც იგი რენტას უგროვებს და დანიშნულ ვადაზე აძლევს ვალის სარგებლად. სახელად მას მიწათ-მფლობელი ეწოდება, ხოლო სახრავად-კი მისი მამული სხვისია. — კაპიტალისტისაა, რომელიც ვინ იცის, სად სცხოვრობს და ჩვენგან აღებულ სარგებელს რომელ მხარესა და ხალხში ხარჯავს.

ცხადია იმიტომ, რომ საქართველოს მამულების დავალიანება ყურადღების ღირსია არა მარტო იმათგან, ვისაც ეს პირადად შეეხება, არამედ იმათგანაც, ვინც ბანკის სარგებელს არ იხდის, მაგრამ ჩვენს საერთო სოციალ-ეკონომიურ ყოფა-მდგომარეობას უკვირდება და საზოგადოებრივ საკითხებს შეგნებითა და ინტერესით ეკიდება. ჩვენს მწერლობაში არა ერთხელ გვსმენია გულის ტკივილით აღსავსე მოთქმა ამ დავალიანების გამო, მხოლოდ არასოდეს არ შეგვხვედრია სასტატისტიკო ცნობები, რომლებიც ჰხატავდნენ ამ ეკონომიურ მოვლენის სიდიდეს და განვითარებას. ეს კი აუცილებლად საჭიროა საგანზე ნამდვილ და სწორე წარმოდგენის შესადგენად. ზე-

პირად ლაპარაკი და წერა არ კმარა იქ, საცა საჭიროა ფაქტის სავსებით აღნიშვნა და მისი სისხო-სიდიდის უმეტნაკლებოდ გათვალისწინება. ასეთი ცნობები, რომლებიც აღნიშნავენ ციფრებით მამულების დავალიანებას ჩვენში, დღეს უკვე მოიპოვება და, გვგონია, უსარგებლო არ იქნება გავაცნოთ ისინი ჩვენს მკითხველსაც. რა თქმა უნდა, ეს ციფრები სრულიად სწორი და უტყუარი არაა და გარდა ამისა არც ჰხატავს სავსებით დავალიანების სიდიდეს: ტფილისის გუბერნიისათვის ჩვენ გვაქვს ცნობები მარტო თავად-აზნაურთა ვალების შესახებ, ხოლო ქუთაისის გუბერნიის შესახებ 1898 წლის შემდეგი სტატისტიკური ციფრები არაა გამოქვეყნებული. მიუხედავად ამისა, შემდეგი ცხრილი დაახლოებით მაინც წარმოგვიდგენს სურათს ადგილ-მამულების დავალიანებისას საქართველოში (იხ. ცხრილი).

გუბერნია და მაზრები	რიცხვი დაგირავებული მამულების	სიერცე დაგირავებული მამულების დესეტინობით	დაფასება დაგირავებული მამულების ქანეთობით	ვალი მამულებისა ფასი ფობით	ვალი 1 იანვ. 1903 ფანეთობით
ტფილისის გუბერნია					
1. ახალციხის მაზრა .	2	1020	20000	10000	9770
2. ბორჩალოს „	98	114768	4.731504	2.751047	2.696340
3. გორის „	434	90276	3.717062	1.979625	1.931966
4. დუშეთის „	87	18527	741855	436195	378211
5. სიღნაღის „	81	17613	992597	501430	485956
6. თელავის „	114	39138	1.604909	858589	831357
7. თიანეთის „	40	21953	654027	357400	347831
8. ტფილისის „	150	55828	2.067054	1.124052	1.075434
სულ გუბერნიაში	1006	359143	14.529680	8.016938	7.750865 (1 იანვ. 1898 წ.)
ქუთაისის გუბერნია					
1. ქუთაისის მაზრა	499	8087	2.113687	1.025800	957227
2. ზუგდიდის „	27	5019	507300	223200	206642
3. ლეჩხუმის „	9	2899	63600	18200	13660
4. ობურგეთის „	42	8231	613331	319000	311609
5. რაჭის „	49	3379	140400	64300	59794
6. სენაკის „	99	3186	717470	379900	366888
7. შორაპნის „	335	12195	1.146200	543700	512935
8. სოხუმის ოლქი	12	4871	258600	104900	103160
სულ გუბერნიაში	1072	46667	5.622786	2.679000	2.534035
სულ ორივე გუბერნიაში .	2078	406010	20.152396	10.697937	10.291301

როგორც ვხედავთ, ტფილისის გუბერნიაში დაგირავებულია სულ 359 ათასი დესეტინა თავად-აზნაურთა მამული. საერთო სიერცე თავად-აზნაურთა მამულებისა ამ გუბერნიაში შეადგენს 1 მილიონ დესეტინას. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქ, გარდა ქართველ მემამულეებისა, არიან მიწათ-მფლობელნი სხვა

ეროვნების წარმომადგენელნიც, რომელნიც ამავე წოდებას ეკუთვნიან, მაგრამ, ქართველობასთან შედარებით, ვითარცა უფრო შეძლებულთ და ყაირათის მცოდნეთ, ნაკლები ვალი ადევთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ ქართველ თავად-აზნაურობის მამულების ნახევარი დაგირავებულია ბანკებში. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ რომ ეს ციფრები შეეხება მხოლოდ თავად-აზნაურთა მიწათფლობელობის დავალიანებას. საერთო ჯამი დავალიანებულ მამულებისა, რასაკვირველია, უფრო დიდია. ჩვენ არა გვაქვს ხელთ ახალი ცნობები, რომლებიც ამ მოვლენის ეხლანდელ მდგომარეობას ასურათებდეს. სტატისტიკურ კომიტეტის ცნობებით 1897 წლის ბოლოს სულ ყოფილა დაგირავებული ბანკებში 710099 დესეტინა ტფილისის გუბერნიის ყველა წოდების კერძო მესაკუთრეთა მამულები.

ქუთაისის გუბერნიაში მამულების დავალიანება ბევრად ნაკლებია, ვიდრე ტფილისისაში, რაც, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ იქ მეტად წვრილი მიწათ-ფლობელობაა გავრცელებული. დაგირავებულ მამულების სივრცეა 47 ათასი დესეტინა, ხოლო ვალის რაოდენობა 2 1/2 მილიონი. ორივე გუბერნიაში-კი მემამულეთა ვალი აღემატება 10 მილიონს. ამ ფულში ისინი იხდიან ვალის გადასაწყვეტად, სარგებლად თუ სხვა და სხვა ნედოიმკებისა და ჯარიმების გასასწორებლად 1/2 მილიონ მანეთს ყოველ წლიურად.

აი, ასეთი სამსახური გაუწია ბრწყინვალე წოდებამ სამშობლოს მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში. 10 მილიონი მანეთი ათი კაპეიკი არ არის, — ამოდენა კაპიტალს რაიმე კვალი უნდა დაეჩინა ჩვენს სასოფლო მეურნეობაში, რაიმე ცვლილება და გაუმჯობესება უნდა შეეტანა სამეურნეო წარმოებასა და საზოგადოდ სოფლის ცხოვრებაში. მაგრამ არც ერთი ეს არ მომხდარა, — ეს ამოდენა ფული გაიფლანგა სრულიად უნაყოფოდ და უსარგებლოდ უაზრო ფუფუნებაში და უმიზნო ხეტიალში და ეხლა, როცა დაუფიქრებლად აღებულ ვალის სიმძიმე დააწვა კისერზე, ჯიბე-ცარიელი მემამულე დიდ ჭაპან-წყვეტაშია და აღარ იცის, სანამდის მოახერხებს შეინარჩუნოს ხელში მამა-პაპისაგან საუკუნეების განმავლობაში სისხლით დაცული და იარაღით შენახული მამული. იგი ცდილობს, რასაკვირველია, ბანკებში სარგებლის ვადაზე შეტანას იმ იმედით, რომ ის ცოტა შემოსავალი, რომელიც მას რჩება სარგებლის გადახდის შემდეგ, არ დაჰკარგოს და სრულიად მშრალზე არ დარჩეს. ამისთვის იგი არ დასდევს საშუალების სიავ-კარგეს, ადიდებს ღალა-იჯარას, მამულის რენტას, და ამ ნაირად მომეტებულ ხარკსა და გადასახადს ადებს გლეხობას და საზოგადოდ მიწათმომქმედ ხალხს. ჯერ მან, თავის ხან-მოკლე ფუფუნებისა და სიამოვნების

გულისათვის, არ დაჰზოგა საკუთარი მამული, დაჰკარგა დამ[illegible]
დებლად ცხოვრების საშუალება, და ეხლა ვითომ იმ შეცდომის
გასასწორებლად არ ჰზოგავს ხალხის ძალ-ღონეს და შეძლებას,
რომელიც თავის ოფლითა და მუშაობით არჩენს მას და არჩენს
თავის თავსაც.

მამულის დავალიანება ისეთი მოვლენა არ არის, რომელიც ვი-
თომ მარტო ჩვენში იყოს და სხვა ხალხებში არ არსებობდესო, —
იტყვის ვინმე. მართალია, ჰიპოტეკური დავალიანება მემამულეები-
სა დიდია როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპის სახელმწიფო-
ებშიაც, მაგრამ ამ საფუძვლით არ შეიძლება ვთქვათ, რომ ვითომ
ეს მოვლენა ერთნაირის საზომითა და აზრით გასასჯელი იყოს სხვაგან
და ჩვენშიაც. ჩვენში დავალიანება სწარმოებს ისეთ პირობებსა და გა-
რემოებაში, რომელიც, ეროვნულ ინტერესის მხრით, განსაკუთრებულ
მიმართულებასა და მნიშვნელობას აძლევს მიწის დაგირავებას და მა-
მულზე ვალის დადებას. გერმანიაში, მაგალითად, მემამულეთა მევა-
ლეები, რომელთაც ხელში უჭირავთ გირავნობის ფურცლები და მი-
წათ-მფლობელებზე ფული აქვთ სესხად გაცემული, არიან გერმა-
ნელები, — იმავე ერის შვილები. მაშასადამე, ტერიტორიის ფლო-
ბელობა ისევ გერმანელებში რჩება და უცხოელების ხელში არ გადა-
დის. სულ სხვაა ჩვენში. გვგონია, არ შევსცდებით, თუ ვიტყვით,
რომ იმ კაპიტალისტებში, რომლებსაც, ბანკების საშუალებით, ჩვენს
მემამულეებზე სესხი აქვთ გაცემული, არ ურევია ათიც, რომელიც
ქართველ ერს ეკუთვნოდეს და მაშასადამე, ამ შემთხვევაში ქარ-
თულ ინტერესის წარმომადგენელი იყვეს. ქართველების მევალეები
სულ უცხო ტომის ხალხს ეკუთვნიან და ეს უცხონი არიან საქართ-
ველოს დავალიანებულ მამულების მოსაგებლენი და ფაქტიური
მფლობელნი.

შეიძლება, აქ მკითხველმა შემდეგი შენიშვნა მოგვცეს: მართა-
ლია, მევალეები უცხონი არიან და ამიტომ ბანკებში შეტანილი სარ-
გებელიც უცხოთა ჯიბეში მიდის, მაგრამ ცოტა რამ ჩვენშიაც რჩე-
ბაო. მემამულეთაგან შეტანილ გადასახადის ის ზედმეტი, რომელიც
რჩება მევალეთა სარგებლის გასტუმრების შემდეგ, ჩვენი ბანკების
მოგებად ირიცხება და სხვა და სხვა საზოგადო საჭიროებათ ხმარ-
დებაო.

წარმოიდგინეთ, ჩვენ ამ მხრივაც არა ვართ სასურველ მდგომა-
რეობაში. როგორც ვიცით, ჩვენში არსებობს სამი საადგილ-მამუ-
ლო ბანკი, რომელიც იღებს გირაოდ მამულებს და აძლევს სესხს
მიწის პატრონებს. ესენია: სათავად-აზნაურო ბანკები ტფილის-

ქუთაისში და სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილება ტფილისში. სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებს, რომ მამულების უმრავლესობა დაგირავებულია არა „ჩვენს“ ბანკებში, არამედ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილებაში. ამას მკითხველი შემდეგი ციფრებიდან დაინახავს (იხ. ცხრილი).

რომელ ბანკშია დაგირავებული	რამდენი მამული	რამდენი დესეტინა	დაფასებული მან.	გაცემული სესხი მან.
		ტფილისის გუბერნიაში:		
სახელმწ. ბანკის განყ.	382	217951	8.990308	5.424400
ტფილისის სათ.-აზნ.	621	149588	5 506000	2.577938
ქუთაისის სათ.-აზნ.	3	604	33300	16600
სამივეში	1006	359143	14.529608	8.018938
		ქუთაისის გუბერნიაში:		
სახელმწ. ბანკის განყ.	54	10145	1.823688	1 016600
ტფილისის სათ.-აზნ.	12	6237	245600	121500
ქუთაისის სათ.-აზნ.	1006	30485	3.553500	1.540900
სამივეში	1072	46867	5.622788	2.679000
		ორივე გუბერნიაში:		
სახელმწ. ბანკის განყ.	436	228096	10.813996	6.441000
ტფილისის სათ.-აზნ.	633	146825	5.751600	2.699438
ქუთაისის სათ.-აზნ.	1009	31089	3.586800	1.557500
სამივეში	2078	406010	20.152396	10.697938

ცხადად ხედავთ, რომ მამულების უმრავლესობა დაგირავებულია არა ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო-ბანკებში, არამედ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის განყოფილებაში. ეს საკრედიტო დაწესებულება მხოლოდ 1890 წელს გაიხსნა ჩვენში და მას შემდეგ დიდ კონკურენციას უწევს ადგილობრივ თავად-აზნაურობის ბანკებს. იგი შედარებით უფრო ძვირადაც აფასებს მამულებს, მეტ სესხსაც აძლევს (დაფასების 60%-ს, ნაცვლად სხვა ბანკების 50%-ისა) და სარგებელსაც ნაკლებს ახდევინებს დამგირავებელს. ეს პირობები ხელს უწყობს, რასაკვირველია, რომ მემამულეებმა უფრო იქ დააგირავონ თავისი მამულები. და ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ჩვენს“ ბანკებს აკლდება სოფლიდან კლიენტები და ამიტომ აკლდება ამ მხრით საზოგადო საჭიროებაზე მოსახმარი შემოსავალი და სარგებელი.

რა თქმა უნდა, როცა ისეთი ეკონომიური წყობილება მყარდება, რომელშიაც უძრავი ქონება, ასე ვთქვათ, მოძრავად გარდაიქმნება, მისი მობილიზაცია ჰხდება და სააღებ-მიცემო საგნად იქცევა, ხშირი უნდა იყოს მიწის ყიდვა-გაყიდვა და მამულით ვაჭრობა.

გადაჭარბება და შეცდომაა, რასაკვირველია, თუ ვინმე ჰფიქრობს, რომ ეს მობილიზაცია ჩვენში საადგილ-მამულო ბანკების დაარსებამ და მოქმედებამ გააჩინა და გააძლიერა. მაგრამ იმის უარისყოფა კი არ შეიძლება, რომ ბანკების არსებობა და ჰიპოტეკურ კრედიტის შოვნის გაადვილება ხელს უწყობს ამ მოვლენის გახშირებას და განვითარებას. მემამულეს ხშირად დროზე ბანკის სარგებელი ვერ შეაქვს; აქ ძველებურ „მადროვეს“ ძახილი აღარ შეიძლება, — ბანკი საჯარო ვაჭრობას ნიშნავს და მის მამულს იმაზედ ჰყიდის, ვინც მეტ ფასს შეაძლევს და დარჩენილ ნედოიმკას ნაღდად გადაიხდის. ყველამ იცის, რომ წელიწადში ორჯერ გაზეთები ივსება განცხადებებით, რომლებშიაც ბანკები ქვეყანას აგებინებენ, ესა და ეს მამულები. ხვედრ ფულის შემოუტანლობის გამო, საჯარო ვაჭრობით გასაყიდ-დაა დანიშნულიო. ვაჭრობით დღემდის ზოგი მემამულე ახერხებს წვითა და დაგვით საჭირო ფულის შოვნას და იხსნის მამულს გაყიდვისაგან. მაგრამ ბევრსაც ფულის სასესხებლად სირბილი და ჭაპანწყვეტა უნაყოფოდ ურჩება და დაგირავებული ქონება საჯარო ვაჭრობით ეყიდება.

სამწუხაროდ, არ მოიპოვება ცნობები, რომლების საშუალებითაც შეიძლებოდეს ამ მოვლენის სავსებით აღნუსხვა და მისი სისხოსიდიდის გათვალისწინება. არც ტფილისისა და არც ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი არ ჰპოვებს საჭიროდ ამის შესახები ვრცელი და დალაგებული სტატისტიკა შეიმუშაოს და წლიურ ანგარიშში ჩაურთოს. ეტყობა, იმათ გამგეებს უფრო ოპერაციების ბუხჰალტერია აინტერესებს, ვიდრე ჩვენი ეკონომიურ მდგომარეობის გამოკვლევა და აწონ-დაწონვა. ვრცელ ანგარიშებს ჰბეჭდავს მხოლოდ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი და იქ შეიძლება ზოგიერთ ცნობების პოვნა, რომლებიც ჩვენს მხარეს შეეხება და ჩვენ ამ ჟამად გვეინტერესება. 1891 წლიდან 1897 წლის ბოლომდის გაყიდულა და არა თავად-აზნაურთა ხელში გადასულა 7273 დესეტინა ამ ბანკში დაგირავებული ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის მამულები. ამ მამულთა ფასი, ბანკის შეფასებით, შეადგენს 346 ათას მანეთს და მათში გაცემული სესხი 105 ათას მანეთს. — თავისთავად საგულისხმოა, რომ ეს ციფრები არ ჰხატავს იმ მამულების სრულს რაოდენობას, რომლებიც პირველ დამგირავებელთ გაჰყიდვიათ და სხვის ხელში გადასულა, რადგან აქ არ შედის ის მამულები, რომლებიც საჯარო ვაჭრობით აზნაურებს შეუძენიათ.

ვინ არიან ეს მამულების შემძენნი? ქართველები თუ სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი? ამაზე ბანკის „ანგარიში“ არას ამბობს, მაგრამ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი უმრავლესობა

უცხო ხალხს ეკუთვნის და არა ქართველობას. ანგარიშიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტი მამული შეუძენიათ „არა აზნაურთ“ ბორჩალოს მაზრაში, შემდეგ ტფილისისა და გორისაში. და ეს სწორედ ის მაზრებია, საცა უცხო ტომის ფულიანი ხალხი გაძლიერებული და გაბატონებულია.

მკითხველი ჰხედავს, რომ უცხო ხალხი საქართველოში იღებს არა თუ რენტას, არამედ ისაკუთრებს მამულებსაც. ამ აზრს ამტკიცებს არა მარტო სტატისტიკა, არამედ ყოველი ჩვენგანის დაკვირვება და გამოცდილება. ჩვენი მემამულეები ძალიან მარდნი არიან მამულების დაგირავებასა და გაყიდვაზე და ფიქრადაც არ მოსდით, თუ რა გავლენა აქვს ამას ჩვენს საერთო ეკონომიურ და ეროვნულ მდგომარეობაზე. ამ მხრით სრული შეუგნებლობა სუფევს მათ გონებაში და ინდიფერენტიზმი გულსა და სულში.

მაგრამ ის, რაც მიეტევება უვიც და გადაგვარებულ აზნაურს, ვერ მიეტევება ქართველ საზოგადოების შეგნებულ ნაწილს. საქართველოს მამულების უცხო ხალხის ფლობელობაში გადასვლა, ისეთი დიდი და საყურადღებო საგანია, რომ ყველას უნდა გვაფიქრებდეს და სამოქმედოდ გვიწვევდეს. ამას აქვს მნიშვნელობა როგორც ეროვნული, ისე სოციალ-ეკონომიური. ქართველთა მამულები და მიწა-წყალი გადადის სხვების ხელში, მაშინ როდესაც ჩვენი გლეხობა, მიწის სიმცირის გამო, აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. მას არ აქვს არც შეძლება, არც ცოდნა და გამოცდილობა, რომ ის მამულები, რომლებსაც ბანკები თუ თავად-აზნაურნი ჰყიდიან, შეისყიდოს და თავის საკუთარ საწარმოვო იარაღად გაიხადოს. გასაყიდი მამულები ჩვეულებრივ ფართო სივრცისა და დიდი ფასისაა; ერთ ან ორ გლეხს არ შეუძლია მათი შეძენა, ხოლო ბევრთან ერთად შეამხანაგება და ყიდვის სხვა და სხვა ფორმალურ მოთხოვნილებათა შესრულება ეძნელება და არ ეხერხება. აქ საჭიროა კერძო თაოსნობა და შეგნებულად მოქმედება, საჭიროა ენერგიული მუშაობა და კერძო პირთა შეერთებულის ძალით ამ დიდი საქმის მოწყობა და მოგვარება. ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რომ ჩვენში დაარსდეს კერძო ამხანაგობა ან საზოგადოება, რომელსაც მიზნად ჰქონდეს მემამულეთა და ბანკებისაგან მიწების შეძენა, მათი დაყოფა-დანაწილება და შემდეგ გლეხებისათვის მიყიდვა.

ნურავინ იტყვის, რომ ვითომ ჩვენ უფულობისა და უსახსრობის გამო არ შეგვეძლოს ამგვარ საქმის დაწყებ და გაძღოლა. თუ ხალისი და ენერგია იქნება, საქმე პატარისაგანაც გაიზრდება და გადიდდება.

მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ ჩვენ ფულზე კიდევ უფრო გვაკლია ჩვენი მდგომარეობის შეგნება და იდეური საქმიანობა.ჩვენ ყოველთვის რაღაც ახირებული და უნიადაგო იმედები გვაქვს და გვგონია, რომ ესა თუ ის სასარგებლო დაწესებულება, რომელიც სხვაგან არსებობს, ჩვენშიაც თავის თავად მოვა და გაგვიწევს საჭირო დახმარებას. იმის მაგიერ, რომ თვითონ ხელი გავანძრიოთ და ჩვენს ჭირ-ვარამს ჩვენვე ვუპატრონოთ, მუდამ რაღაც მოწყალებაზე ვფიქრობთ და ნათხოვნის მოლოდინში პრაქტიკულ საქმეს ვივიწყებთ და ღრმა უდარდელ ძილს ვეძლევით.

სამწუხაროდ, ერთ ამგვარ „თხოვნის“ გამართვაში მეც მიდევს წილი და ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ჩემი „ცოდვა“ საჯაროდ მოვინანიო. შარშან, როცა ჩვენში დიდი სჯა-ბაასი იყო გამართული ადგილობრივ სამეურნეო საჭიროებათა შესახებ, „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ“ აღძრა, ჩემი მოხსენების თანახმად, მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ ჩვენშიაც დაარსებულ იქნეს იმ საკრედიტო დაწესებულების განყოფილება, რომელიც დიდი ხანია რუსეთის შიდა გუბერნიებში მოქმედობს და სახელად „საგლეხო ბანკი“ ეწოდება. მე — და, უეჭველია, „საზოგადოებასაც“ — მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმაჩნდა ამ დაწესებულების ჩვენში გადმოტანა სასურველად და სასარგებლოდ, თუ იგი თავის საზოგადო წესდებით იხელმძღვანელებდა და აქაც იმის თანახმად იმოქმედებდა. ეს ბანკი რუსეთში გლეხობის ინტერესებისთვისაა დაარსებული. მისი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ უმიწა-წყლო გლეხებს მამულის შეძენაში დაეხმაროს: იგი აძლევს მათ სესხს მცირე სარგებლით მიწის საყიდლად და ამ ნაყიდ მიწას გირაოდ იღებს. აძლევს აგრეთვე გლეხებს სესხს იმ მიწების დაგირავებითაც, რომლებიც მათ საგლეხო ბანკის დაუხმარებლად უყიდიათ, რომ ამით გლეხებმა მიწის ყიდვისთვის აღებული ვალი გაისტუმრონ. გარდა ამისა თვითონ ბანკიც ყიდულობს თავისი კაპიტალით მიწებს და შემდეგ ჰყიდის, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იქნება, ისევ გლეხებზე. როგორც ხედავთ, მიზანი ბანკისა სიმპატიური და თანაგრძნობის ღირსია. „აგერ 20 წელიწადია, — ვწერდი შარშან ამ საგანზე („ცნ. ფურც.“ №2113), — რაც ეს სიმპატიური საკრედიტო დაწესებულება რუსეთში არსებობს, და დღემდე მისი მოქმედება ამიერ-კავკასიას არ შეეხება. ამიტომ იყო, რომ ჩემს მოხსენებაში ვთხოვე „სამეურნეო საზოგადოებას“ აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ ტფილისში დაარსებულ იქმნას ამ ბანკის განყოფილება, რომელმაც უნდა იმოქმედოს არა რაიმე პოლიტიკურ მოსაზრებათა განსახორციელებლად, არამედ კავკასიის მკვიდრთა ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“.

მიუხედავად ამისა, დღეს მაინც მეზარება ამ ჩემ მიერ გამარ-
თულ „თხოვნის“ მოგონება, და ეს იმიტომ, რომ... არ ვარ — და
არც მინდა ვეგონო ვინმეს — წარა-მარად მთავრობასთან თხოვნე-
ბით მიმართვის მომხრე... პირიქით, მე ვფიქრობ, რომ ჩვენი დევიზი
უნდა იყოს თვით-მოქმედება და დამოუკიდებელი საქმიანობა.
ფრანგებს აქვთ ერთი ანდაზა: „უშველე თვითონ შენს თავს და ღმერ-
თიც გიშველისო“. დიდი ნაბიჯის წინ გადადგმას ნიშნავს ეს, როცა
ხალხი შეიგნებს, რომ მან „თვითონ უნდა უშველოს თავის თავს“.
და ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ შეგნების გაძ-
ლიერებასა და განმტკიცებას, — რომ იმ ხალხს არც ღმერთი შვე-
ლის და არც კაცი, რომელმაც არ იცის თავის ინტერესების დაცვა
თავისი თავის საკუთარის ძალ-ღონით დაფარვა...

სრულს სიმართლეს სწერს ამის გამო, ჩვენის აზრით, ბ-ნი განი
„ცნობის ფურცელში“ (№2412): საგლეხო ბანკის მსგავს „დაწესებუ-
ლების საჭიროება კარგა ხანია შეგნებული ჰქონდა ჩვენს პრესსასაც,
ჩვენის საზოგადოების მოთავეთაც; მაგრამ ჩვეულებრივმა დაუდევ-
რობამ გვძლია და საჭიროების დასაკმაყოფილებლად ხელი არ გავ-
ვინძრევია. როგორც ყოველთვის და როგორც სხვა საქმეშიაც, ამ
საქმეშიაც მთავრობას ვუცდიდით, მარტო მისგან ველოდით შველას.
მიუხედავად იმისა, რომ თვით მთავრობა მუდამ იმას ურჩევს საზო-
გადოებას, — ეკონომიურ ვითარების გასაუმჯობესებლად საკუთარი
ინიციატივა, თვით-მოქმედება გამოიჩინეო, ჩვენ მაინც მას შევყუ-
რებდით ხელში და დახმარებას ვემუდარებოდით... განა არ შეიძლე-
ბოდა, მაგალითად, ჩვენებურ გლეხთა მიწათ-ფლობელობის გასა-
ძლიერებლად რაიმე პრაქტიკული საქმე თვით ჩვენვე მოგვეწყო?
განა არ შეიძლებოდა თუნდა ამხანაგობა დაგვეარსებინა სათავად-აზ-
ნაურო ბანკებში დაგირავებულ მამულების შესაძენად და შემდეგ
გლეხებისთვის მისაყიდად? რასაკვირველია, შეიძლებოდა ამ დიდი
საქმის ჩვენდა სასარგებლოდ მოწყობა, მაგრამ მაგარიც ის არის,
რომ, — რუსების თქმისა არ იყოს, — „პირჯვარს არ დავიწერთ, სანამ
მეხი არ გავარდება...“

ამიერ-კავკასიაში საგლეხო ბანკის განყოფილების დაარსების
საქმე არაა ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი, თუმცა ჰფიქრობენ, რომ
ეს სულ მოკლე დროში უნდა მოხდეს. მაგრამ ჩვენ ეხლავე უნდა
გავაგებინოთ ჩვენს მკითხველებს, რომ ჩვენში თურმე ეს ბანკი ჩვენი
გლეხობის შესახებ არ იხელმძღვანელებს იმავე აზრითა და მიზნით,
რომელიც აქვს მას დადებული შიდა რუსეთში. ამ საგნის შესახებ
ერთი ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო კორესპონდენცია

იყო ამას წინად ეკატერინოდარიდან გაზეთ „კავკაზ"-ში დაბეჭდილი (№ 41). საგლეხო ბანკის განყოფილება არსებობს ეკატერინოდარშიაც. ეს არის „კავკასიის განყოფილება", რომელიც ჩრდილოეთ-კავკასიაში მოქმედობს და ამიერკავკასიას არ შეეხება. „ამ დღეებში — სწერია „კავკაზ"-ის ხსენებულ კორესპონდენციაში ამ განყოფილებამ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა მიიღო პეტერბურგიდან, რომელიც შეეხება ბანკის მოქმედების გავრცელებას ამიერ-კავკასიაზე. საქმე იმაშია, რომ ამას წინედ შინაგან საქმეთა სამინისტროს აღუძრავს საკითხი, — ფინანსთა სამინისტრო ხომ ვერ ჰპოვებს შესაძლებლად, რომ, სანამ ამიერკავკასიაში საგლეხო ბანკის განყოფილება გაიხსნებოდეს, ნება დართოს, ამ ბანკმა თავისი თანხით შეიძინოს ის მამულები, რომლებიც საჯარო ვაჭრობის შემდეგ დარჩა სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, იმ მიზნით, რომ შემდეგ ეს მამულები მიჰყიდოს რუსეთიდან გადასახლებულ გლეხებს. ეხლა საგლეხო ბანკის ცენტრალური განყოფილება იტყობინება, რომ ფინანსთა სამინისტროს გამგემ თანაუგრძნო ამ აზრს, რომ სასურველია გაშენდეს რუსის გლეხთა სოფლები იმ მიწებზე, რომლებიც დარჩენია სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს ხსენებულს გუბერნიებში, და ამიტომ მისცა ბრძანება ამ ბანკს, რომ მან მის საკუთრებაში მყოფი მამულები ამიერ-კავკასიაში მიჰყიდოს ხოლმე უმთავრესად (преимущественно) რუსის გადასახლებულ გლეხებს, როცა კი ესენი განუცხადებენ ყიდვის სურვილს.

„ამასთან იმ შემთხვევაში, როცა მყიდველთ არ ექნებათ საჭირო სახსარი შესაძენ მამულების ფასის გადასახდელად. ფინანსთა სამინისტროს გამგემ ჰპოვა შესაძლებლად, სანამ ამიერკავკასიაში საგლეხო ბანკის განყოფილება გაიხსნებოდეს, ნება დართოს ამ ბანკს მიიღოს საწარმოებლად ეკატერინოდარის განყოფილების საშუალებით გადასახლებულ რუსის გლეხთაგან ხსენებულ მამულების ყიდვის საქმეები.

„რაც შეეხება იმას, რომ საგლეხო ბანკს ნება-რთვა მიეცეს თავისი თანხით შეიძინოს ის მამულები, რომლებიც ამიერ-კავკასიაში სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს ეკუთვნის, — ფინანსთა სამინისტროს გამგემ ვერ ჰპოვა ეს მოსახერხებლად იმ მოსაზრებით, რომ საგლეხო ბანკს თავისი განყოფილება არა აქვს ამიერკავკასიაში და ამიტომ ხსენებული ოპერაცია საძნელო იქნება მისთვის მამულების მოვლა-გამგეობის მხრით.

„ყველა ზემოდ ნათქვამის მიხედვით, რუსის გადმოსახლებულმა

გლეხებმა, როცა მოისურვებენ საგლეხო ბანკის დახმარებით იმ მამულების შეძენას, რომლებიც დარჩენია სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, უნდა მიჰმართონ თხოვნით სესხის მისაღებად საგლეხო ბანკის კავკასიის განყოფილებას, რომელიც ქ. ეკატერინოდარში იმყოფება."

ეს არის გაზ. „კავკაზ"-ის კორესპონდენცია, მართლა ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო...

საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენი მიწები დარჩენია საჯარო ვაჭრობის შემდეგ სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკს, რომელიც ამიერიდან, თანახმად მინისტრის განკარგულებისა, უმთავრესად რუსის გადმოსახლებულ გლეხებს მიჰყიდის ამ მამულებს. ჩვენ არ გვაქვს ცნობები, რომლებიც გვიჩვენებდეს, თუ რა სივრცისაა დღეს ბანკის საკუთრებად გამხდარი მამულები. ის ცნობები, რომლებიც ჩვენ ხელთა გვაქვს, მხოლოდ ორი წლის წინანდელ ვითარებას ჰხატავს, მაგრამ ჩვენ გვგონია, მკითხველი ამ ცნობებითაც შესძლებს დაახლოვებით მაინც შეადგინოს საგანზე აზრი და წარმოდგენა.

1901 წლის დამდეგს ბანკის ხელში ყოფილა 5777 დესეტინა ქუთაისის გუბერნიაში და 7314 დესეტინა ტფილისისაში (12746 დესეტ. ორივეში). წლის განმავლობაში დარჩენია საჯარო ვაჭრობის შემდეგ 748 დესეტ. პირველ გუბერნიაში და 1964 დესეტ. მეორეში (2712 დესეტ. ორივეში). ამავე წლის განმავლობაში გაუყიდია და თავიდან მოუშორებია 427 დესეტ. ქუთ. გუბ. და 5777 დესეტ. ტფილისისაში, ასე რომ წლის ბოლოს დარჩენია საკუთარი მამული რიცხვით 38 და სივრცით 5752 დესეტ. ქუთ. გუბ., ხოლო ტფილისისაში 11 მამული სივრცით 3501 დესეტ. (49 მამული 9253 დესეტ. ორივეში). ამ 49 მამულზე ყოფილა სულ 727315 მანეთი ვალი. ამათგან უფრო მცხვილი მამულებია ტფილისის გუბერნიის. აქ უდიდესი მამული შეიცავს 772 დესეტ., შემდეგ არის 646, 467, 409, 336, 305 დესეტ. და ასე ქვევით. ქუთაისის გუბერნიის მამულებიდან ერთია 2000 დესეტინაზე მეტი, ერთიც 430 დესეტ.; 3 მეტი — 200 დესეტინაზე, 7 მეტი — 100 დესეტინაზე, ხოლო დანარჩენი მამულები ყველა 100 დესეტ. ნაკლებია. ამ ნაირად რუს გლეხთა დასახლების მიზნის განსახორციელებლად უფრო მოსახმარია ტფილისის გუბერნიის მამულები, ვიდრე ქუთაისისა, სადაც ძალიან წვრილი მიწათ-ფლობელობაა და ამიტომ აქა-იქ კანტიკუნტად დასახლებული რუსი იქაურ მჭიდრო და მრავალრიცხოვან ქართველობაში ეროვნების მხრით სულ მოკლე ხანში გაილესება და გაითქვიფება...

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჯერ-ჯერობითაა, რომ გადმოსახლე-

ბულ რუსის გლეხების ხელში მარტო ის მამულები უნდა გადავიდეს რომლებიც სახელმწიფო ბანკს დარჩენია გაუყიდველი, შემდეგში, როცა აქ საგლეხო ბანკის განყოფილება გაიმართება, უეჭველია. ეს ბანკი პირდაპირ გამოვა მყიდველად საჯარო ვაჭრობის დროს და, რახან მას დიდი თანხა აქვს, თვითონ დაინარჩუნებს (რუს გლეხებისათვის) გასაყიდად დანიშნულ მამულების უმრავლესობას.

შეიძლება ამიტომ, ამ ბანკის დიდი კაპიტალისა და ძალის გამოისობით, ზოგიერთ მკითხველს უნიადაგოდ და შეუსრულებელ საქმედ ეჩვენოს ჩვენი წინადადება შესახებ კერძო თაოსნობის გაძლიერებისა და თვით-მოქმედების ნიადაგზე ჩვენი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა. მაგრამ ეს არის მხოლოდ ეჭვი, რომელიც არ გამართლდება, თუ ჩვენ გამოვიჩენთ ენერგიას, საერთო მისწრაფებით აღფრთოვანებას და დაუღალავს შრომა-მუყაითობას. ქართველებს რაღაც უცნაური ბუნება გვაქვს: საქმის დაწყებისთანავე ყველაფერი ერთად და უცებ გვინდა და გვავიწყდება, რომ ყოველი საქმე პატარაობით იწყება და თანდათანის მუშაობით დიდი და შესამჩნევი ჰხდება. ამის დამამტკიცებელი მაგალითები ბევრად ბევრია უცხოეთის ხალხთა ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენ აქ მარტო ერთს გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს. ეს არის მოვლენა, რომელიც დღესაც სწარმოებს პრუსიასა და პოლონეთის პროვინცია პოზნანში და ცხადად გვისურათებს, თუ რა დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია კერძო თაოსნობას და თვით-მოქმედებას, როცა იგი ხელმძღვანელობს გარკვეულის პროგრამით თავის საქმიანობაში და შეგნებულის მიზნით პრაქტიკულ მიმართულებაში.

1885 წელს პრუსიის მთავრობამ უცებ ერთი დაუვიწყარი „გმირობა“ მოიმოქმედა, რომელიც მიმართული იყო პრუსიაში მცხოვრებ პოლონელების წინააღმდეგ: მოულოდნელად გააძევა პრუსიის სამეფოდან და საზღვარს იქით გადაჰგზავნა 40000 პოლონელი, რომელთაც, ვითარცა რუსეთ-პრუსიის საზღვარზე მცხოვრებთ, არ ჰქონდათ ფორმალურად პრუსიის ქვეშევრდომობა მიღებული. ეს ამოდენა ხალხი მოაშორეს თავის საქმეს და სარჩო-საბადებელს და გაუკითხავად და უცერემონიოდ სახელმწიფოდან განდევნეს. უცებ ათასობით საზღვარზე გადაყვანილი ხალხი დარჩა უბინაოდ და ულუკმაპუროდ. ბევრი მათგანი ავადმყოფობისა და შიმშილის გამო გამოეთხოვა წუთისოფელს. ეს იყო პირველი ნიადაგის მომმზადებელი „ეფექტი“, რომლითაც ბისმარკს სწადდა გერმანელ „პატრიოტებზე“ შთაბეჭდილება მოეხდინა და პოლოხელთა წინააღმდეგ შემუშავებული კანონ-პროექტი პრუსიის პარლამენტისთვის მიეღე-

ბინებია. პოლონელების განდევნის გამო დიდი ალიაქოთი ასტეხეს რეიხსტაგში პოლონელ დეპუტატებმა, უკიდურეს მემარცხენეებმა და სხვა დემოკრატებმა. მაგრამ ბისმარკმა ამათი კიცხვა არაფრად არ ჩააგდო და რეიხსტაგს პირდაპირ გამოუცხადა: პოლონელების განდევნა მარტო პრუსიის საქმეა, ეს რეიხსტაგის კომპეტენციაში არ შედის და ამიტომ აქ არც არაფერი გეთქმითო. პრუსიის მთავრობამ მიიღო ეს ღონისძიება, რომ გერმანელები „დაეფარა" პოლონელთა „შემოსევისაგანო"...

1886 წელს პრუსიის ლანდტაგის (პარლამენტის) გახსნის წინედ წაკითხულ იქმნა მეფის სეფე-სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ „პოლონელები თანდათან ძლიერდებიან აღმოსავლეთ პროვინციებში და გერმანელებს აძევებენ იქიდანო; ეს გარემოება ვალად სდებს მთავრობას იზრუნოს და ღონისძიებანი ეამონახოს, რომელნიც ხელს შეუწყობენ და უზრუნველჰყოფენ გერმანელ ხალხის არსებობასა და განვითარებასო".

ამ სიტყვებით ეს სეფე-სიტყვა აღნიშნავდა გაკვრით იმ ღონისძიებას, რომელიც უკვე შემუშავებული ჰქონდა ბისმარკს. 9 თებერვალს ეს უკანასკნელი წარსდგა ლანდტაგის წინაშე კანონმდებლობითი წინადადებით, რომელსაც ეწოდებოდა „კანონ-პროექტი გერმანელთა დასახლების გაძლიერების შესახებ დასავლეთ პრუსიისა და პოზნანის პროვინციებში". მთავრობამ ამ პროექტში ითხოვა 100 მილიონი მარკა (50 მილ. მან.) პოლონელთა სამშობლო პოზნანში ადგილობრივ თავად-აზნაურთაგან მამულების შესასყიდად და ამ ადგილებზე გერმანელ გლეხების დასასახლებლად. ბისმარკს არ დაუფარავს თავისი აზრი და პირდაპირ გამოსთქვა ლანდტაგში: „ჩვენი მიზანია პოლონეთის მამულები შევისყიდოთ და იქაურ თავადაზნაურობის ექსპროპრიაცია მოვახდინოთო. პოლონელებს ჩვენ ამით არავითარ უსამართლობას არ ვუშვრებით, — განაგრძო ირონიით ბისმარკმა — რადგან ისინი თავიანთ მამულებში ფულს მიიღებენ. იმათ შეუძლიანთ ამ ფულით საზღვარს იქით — რუსეთში იყიდონ მამულები, თუ არა და შეუძლიანთ მონაკოშიაც წაბრძანდნენ და ლატარიაში წააგონ"-ო.

აქაც, ამ კანონ-პროექტის საჭიროების დასაბუთების დროს, ბისმარკმა იგივე გაიმეორა, რაც რეიხსტაგში სთქვა: პოლონელები თანდათან გვაძევებენ პოზნანიდან და ჩვენ იძულებული ვართ „თავი დავიფაროთო". გარდა ამ გვარ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებისა მთავრობას არავითარი ნამდვილი საბუთები და ფაქტები არ წარმოუდგენია, რომლებიც მაჩვენებელი ყოილიყოს პოლონელთაგან გერმანელე-

ბის „დაჩაგვრისა“ და ეკონომიურად დაძაბუნებისა. „როგორ? — იძახის აღშფოთებით ერთი უკიდურეს დემოკრატთა ორგანო. — ხალხი დაიპყარით, დაიმონავეთ, პოლიტიკური არსებობა მოუსპეთ, საკუთარი კულტურული განვითარება შეუჩერეთ და ეხლა თავის თავს ნებასაც აძლევთ, მოღალატეობად დასახოთ, რომ ეს ხალხი, მიუხედავად ყველა ამისა, მაინც ცოცხლობს? თქვენ შეცვივდით ამ ხალხის სამშობლოში, ეცადეთ ყოველგვარ საშუალებით ეკონომიურად გაგეყვლიფათ იგი, გააღვიძეთ მისი სოციალ-ეკონომიური ძალა და ეხლა მოსთქვამთ და ჰყვირით, რომ ეს ხალხი მოქმედებას იწყებს და უცხო ელემენტის გადამეტებულ შესევას ბოლოს უღებს?“ (იხ. კ ა რ ს კ ი ს წერილი: Die Thätigkeit der Ansiedelungs — Kommission in Posen und westpreussen).

პარლამენტმა, რომელშიაც პრუსიის „იუნკრობა“ (თავად-აზნაურობა) და მსხვილი ბურჟუაზიაა გაბატონებული, მიიღო უცვლელად ძოავრობის წინადადება: გადაიდო 100 მილიონი მარკა, შესდგა ესრედ წოდებული „გერმანელთა დასახლების კომისია“ და გაჩაღდა პოლონელთა საწინააღმდეგო მოქმედება.

პირველად კომისიამ მამულების ყიდვა დაიწყო ისეთ ადგილებში, სადაც გერმანელები და პოლონელები ერთმანეთში არეულად მოსახლობენ, და ეს იმ მიზნით, რომ გერმანელების რიცხვი გაეძლიერებია და მათი გავლენა გაედიდესია. შემდეგ გადავიღა პროვინციის ისეთ ნაწილებშიაც, სადაც უფრო პოლონელთა მჭიდრო მოსახლეობაა, და მიჰყო ხელი პოლონელ თავად-აზნაურობის მამულების შეძენას და გერმანელ გლეხების დასახლებას. ეს კომისია დღემდის არსებობს და განაგრძობს თავის მოქმედებას. იგი ყიდულობს მამულებს, ახდენს ამ მამულებში მელიორაციას, აშენებს სადგომ სახლებს, სკოლებს, ეკკლესიებს და სხვა-და-სხვა საზოგადო საჭიროებათათვის შესობებს და ასე მოწყობილ კოლონიებში ასახლებს გლეხებს. გლეხებს მიწა ეძლევათ როგორც იჯარით, ისე ყიდვითაც; უკანასკნელ შემთხვევაში ესენი გრძელის ვადით სწყვეტენ ვალს და იხდიან მცირე სარგებელს (2,5).

გერმანელები დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ პოლიტიკაზე და ოცნებობდნენ, რომ სულ მოკლე ხანში პოლონელების მამულებს ხელში ჩაიგდებდნენ და მცხოვრებთ ერთიან გააგერმანელებდნენ. მაგრამ გამოცდილებამ ყველანი დაარწმუნა, რომ მაგ რიგად ადვილი საქმე არ არის შეგნებულ და მებრძოლ ხალხის გადაგვარება და მოსპობა. გერმანელთა მოლოდინი არ გამართლდა და მათმა მილიონებმა შედარებით მცირე და უმნიშვნელო შედეგი მოიტანა. 1886 წლიდან 1898 წლამდის გერმანელებმა დახარჯეს 80 მილიონი მარკა

და იყიდეს სულ დასავლეთ პრუსიასა და პოზნანში 89 ათასი დესეტინა მიწა, აქედან პირველში 25 ათასი დესეტინა, ხოლო მეორეში 64 თასი დესეტ. ამ მიწებიდან 65 ათასი დესეტინა პოლონელებისაგან შეიძინეს, ხოლო დანარჩენი 24 ათასი დესეტინის გამყიდველნი ისევ გერმანელები იყვნენ. ამ სახით პოზნანში გერმანელების ხელში გადავიდა 4% მიწათ-ფლობელობისა და 2% მიწის საერთო სივრცისა. ამავე ხნის განმავლობაში „კომისიამ" დაასახლა 2342 კომლი გერმანელი გლეხი 38 ათას დესეტინის სივრცის მამულებზე, ხოლო დანარჩენი 51 ათასი დესეტინა ჰქონდა იმ დროს მოუწყობელი და დაუსახლებელი. ამ ნაირად, პრუსიის „გამგერმანებელ" ღონისძიების საშუალებით ორსავე ხსენებულ პროვინციას მიემატა სულ დაახლოვებით 10 ათასი სული გერმანელი, რაც იქაურ მცხოვრებთა საერთო რიცხვის მესამედ პროცენტსაც კი არ შეადგენს.

ეს იყო სულ ის ნაყოფი, რომელსაც წარმოადგენდა 1898 წლის დამდეგს „დამსახლებელ კომისიის" 12 წლის მოქმედება. 1886 წელს გადადებული 100 მილიონი თითქმის გათავდა და მთავრობამ ხელახლა სთხოვა პარლამენტს ამავე საგნისთვის კიდევ 100 მილიონის გადადება, რაზედაც პარლამენტი დასთანხმდა და „კომისიას" ნათხოვნი ფული მისცა. (იხ. ვ. შულცეს Preussisches Ansiedelungsgesetz für Posen und Westpreussen).

მაგრამ ამავე დროს არ ეძინათ პოლონელებსაც. როგორც კი ბისმარკის პროექტი დაკანონდა და თანხაც გადაიდო, პოლონეთში გაიმართა გერმანელების წინააღმდეგ ძლიერი აგიტაცია და მოძრაობა. დევნამ კიდევ უფრო გააღვიძა პოლონელებში ეროვნული ინტერესის შეგნება და ხალხისნური თვით-ცნობიერება. პოლონეთის პრესამ გამოაცხადა უპატიოსნოდ და სამშობლოს მოღალატედ ყოველი მემამულე, რომელიც კი თავის მამულს პრუსიის „კომისიას" მიჰყიდდა. გაძლიერდა კერძო თაოსნობა, შესდგა მრავალი ამხანაგობები, რომლებმაც მამულების ყიდვას მიჰყვეს ხელი, რომ შემდეგ პოლონელი გლეხები დაესახლებიათ და ამ ნაირად გერმანელებისთვის კონკურენცია გაეწიათ. ამ გვარივე ოპერაციები დაიწყეს რამდენიმე კერძო ბანკებმაც. ერთის სიტყვით იმათ გამოიჩინეს დიდი ეროვნული სიფხიზლე და საქმიანობა. ამ საქმიანობამ დიდი ნაყოფი მოიტანა და ყველას დაუმტკიცა, რომ პატარა ხალხსაც შეუძლია შეერთებულის ძალით ძლიერი მეტოქის წინააღმდეგობა და დამარცხება. პოლონელებმა არათუ ნიადაგი არ დაუცალეს გერმანელებს, არამედ, პირიქით, ალაგ-ალაგ შეუმცირეს მათ მიწათ-ფლობელობა და შეიძინეს გერმანელებისაგან უძრავი ქონება. ამ წლის თებერვლის 19-ს მინისტრმა

ჰამერშტეინმა განაცხადა პრუსიის პალატაში (Hassenhaus), რომ ამ უკანასკნელ ხანებში პოლონელთა ფლობელობაში გადავიდა მამულები, სივრცით 36 ათასი დესეტინა, რომლებიც 1896 წლამდის გერმანელებს ეკუთვნოდაო.

პრუსიის მთავრობას მოსვენებას არ აძლევს პოლონელთა ასეთი სიფხიზლე და ეროვნული მოძრაობა. იგი მუდამ ახალ საშუალებასა და ღონისძიებას იგონებს, რომ ეს მოძრაობა მოსპოს და პოლონეთის ერი როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურად, ისე ეროვნულ-სულიერადაც გერმანიას დაუმორჩილოს. ერთი ამგვარი საშუალება მას ეხლახან გამოუგონია და ამის შესახებ კანონ-პროექტიც შეუმუშავნია. მას უნდა მთელი პოლონელი ხალხი საერთოდ კანონს გარეშე დააყენოს და მოაკლოს ის უფლება, რომელიც, კონსტიტუციის ძალით, ყოველ მოქალაქეს აქვს გერმანიის იმპერიაში მინიჭებული.

პალატაში შეტანილია განსახილველად კანონ-პროექტი, რომელიც, თუ მიღებულ იქმნა და დაკანონდა, პოლონელებს წაართმევს მოქალაქობრივ უფლებას და მოუსპობს მამულების შეძენის საშუალებას. აქ ეს პირდაპირ ნათქვამი არ არის, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, — ფაქტიური შედეგი მისი მიღებისა და კანონად გახდომისა უეჭველად ეს აკრძალვა იქნება. პროექტის სიტყვით, პოზნანში არავის არ ექნება უფლება დასახლდეს ან სხვები დაასახლოს, თუ „დასახლების კომისია“ ჰპოვებს ამას თავის მიზნისა და დანიშნულების წინააღმდეგად. და ეს კი, რა თქმა უნდა, იგივე აკრძალვაა: „დასახლების კომისია“ თავის დღეში არ დართავს ნებას, რომ პოლონელთა მიწათ-ფლობელობა გადიდდეს და დასახლებულ პოლონელთა რიცხვი გამრავლდეს.

ამ კანონ-პროექტზე სჯა-ბაასი ჰქონდათ პრუსიის პალატაში ამ თვის 19-ს. მეტად დამახასიათებელია გერმანელთა და პოლონელთა განწყობილების ის სიტყვები, რომლებიც იქ ამ შემთხვევის გამო წარმოითქვა. „შეგნებულ გერმანულ პოლიტიკის წარმართვა აღმოსავლეთ პროვინციაში — განაცხადა მინისტრმა პოდბიელსკიმ — ჩვენ შეგვეძლება მხოლოდ მაშინ, როცა დაყრდნობილი ვიქნებით გერმანელ გლეხობაზე. იმ ბრძოლაში, რომელიც გამოგვიცხადეს პოლონელებმა, ჩვენ გვესაჭიროება იარაღი, და იმედი მაქვს, ამ იარაღის მოცემაზე თქვენ უარს არ გვეტყვით. 40 ათას ჰექტარზე მეტი გერმანელთა მამული გადავიდა პოლონელების ხელში. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ბოლომდის და უნდა გავიმარჯვოთ. წინანდელი ობერ-პრეზიდენტი თავადი ჰაცფელდი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ზემო სილეზიაში მშვიდობიანობა დაემყარებია, მაგრამ ვერ მოახერხა, — ჩვენ, გერმანელები, ძალად გამოგვიწვიეს საბრძოლველად. და, აი, ეხლა,

როცა ომი (Krieg) გაჩაღდა, ჩვენც უნდა ვიომოთ და გამარჯვების დროშა ავაფრიალოთ. პოლონეთის ბანკების მოქმედებას, რომლებიც მიწებს ყიდულობენ, ანაწილებენ და პოლონელ გლეხებს ასახლებენ, ბოლო უნდა მოვუღოთ. პოლონელები პირაქედ გვებრძვიან, და ჩვენი ღირსების გათელვა იქნება, პასუხი არ გავსცეთ და მათს მისწრაფებას წინააღმდეგობა არ გავუწიოთ".

ზოგიერთ მხრით კიდევ უფრო საინტერესო იყო თავ. ბისმარკის — „რკინის" ბისმარკის შვილის — „რეჩი". „პოლონელები — სთქვა მან სხვათა შორის — გახელდნენ და გასაძაგელდნენ. პატარა ბავშვებსაც-კი აგონებენ, რომ თავისი სათამაშო ნივთები გერმანელ ვაჭრების დუქნებში არ იყიდონ. აღარაფერს ვიტყვი იმაზედ, თუ საიდან მოსდით მათ ის დიდი თანხები, რომლებიც პოლონეთის ბანკებს აქვთ საწარმოებლად... თუ პოლონელები მართლა პრუსიელებად სთვლიან თავის თავს, როგორც ამას ხშირად გვეუბნებიან, მოსპონ საკუთარი პარტიები ლანდტაგში და რეიხსტაგშიაც. მხოლოდ მაშინ დავუჯერებთ, რომ „დიდი პოლონეთის" აღდგენის ოცნებაზე ხელი აუღიათ. ბატ. პოლონელები მუდამ პოლონეთის ეროვნებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ასეთი ეროვნება გერმანიაში არ გახლავთ. ამ სახელწოდებით ისინი აღვივებენ დიდი პოლონეთის უტოპიას. მე ჩემდა თავად ვერ გამიგია, თუ როგორ ჰხარჯავენ ისინი ამდენ ძალას, დროს და ფულს ასეთ უტოპიაზე... დაანებეთ, ბატონებო (მიჰმართავს პოლონელებს), ამ უტოპიას თავი და იმუშავეთ ჩვენთან ერთად; ილაპარაკეთ სახლში პოლონურად, რამდენიც გენებოთ, მაგრამ მადლობელი იყავით, თუ თქვენს შვილებს გერმანულ ენას ვასწავლით!.. უწინარეს ყოვლისა ჩვენ პრუსიელები ვართ და იმედი მაქვს, მთავრობა საკმაო ძლიერებას გამოიჩენს, წვრილმან დაბრკოლებაზე ფეხს არ წაიკრავს, არამედ პრუსიის სახელმწიფოს ინტერესს ყველაფერზე მაღლა დააყენებს და განაგრძობს მოქმედებას აღმოსავლეთ პროვინციებში პრუსიის ღირსება-სახელის დასაცველად".

ასე რიხიანად და მოურიდებლად ლაპარაკობდნენ პალატაში აღძრულ საკითხის გამო ყველა გერმანელები. მათში არ გამოჩნდა არც ერთი კაცი, რომელსაც ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისთვის ხმა აღემაღლებია, მთავრობის ბარბაროსული პროექტი დაეგმო და ბედისაგან დაჩაგრული პატარა ერი დაეფარა. თვით პოლიტიკურ ეკონომიის პროფესორმა შმოლერმაც, რომელიც განთქმულია თავისი ლიბერალობით და „სოციალ-პოლიტიკით," სრული ნდობა და თანხმობა გამოუცხადა მთავრობას.

რასაკვირველია, კანონ-პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკეს პოლო-

ნელებმა. „ჩვენ ომი გამოგვიცხადეს, — სთქვა კოსციელსკიმ, — უნდათ, რომ გაგვაღატაკონ და დედამიწის ზურგიდან აღგვგაონ. ჩვენთვის ხელსაყრელი არაა ისეთს ძლიერ სახელმწიფოსთან ომის გამართვა, როგორიც პრუსიაა, და ვერც ვერავინ დაგვწამებს ამას... კანონ-პროექტი ჩვენს წინაღმდეგაა მომართული. მე თავი მომწონს იმით, რომ ჩემმა თანამემამულეებმა, მიუხედავად დევნისა, თავის ბეჯითობითა და შრომით მოახერხეს გამკლავება და თავის დაცვა. საბოლოო გამარჯვება მხოლოდ იქ შეიძლება იყვეს, სადაც სამართლიანობაა, და ეს სამართლიანობა კი ჩვენს მხარეზეა... ჩვენ შეჩვეული ვართ დევნისა და შევიწროვების ატანას, და ამ კანონის შემდეგაც, თუ კი იგი მართლა მიღებულ იქმნა, მაინც ვიარსებებთ და არ გავჰქრებით. ჩვენ არ ვისურვებთ გადაგვარებას და ჩვრების ტომრებად არ გადავიქცევით. დიახ, ბატონებო! განა სანეხვე ტომრები არ გაეხდებით თუ ჩვენ უარვყავით ჩვენი ეროვნება? ჩვენ გვინდა პატიოსანი კაცები ვიყვეთ. ისეთ ხალხს, რომელიც თავისში გრძნობს ძალას, თქვენ ვერას დროს ვერ მოერევით“.

მთავრობის საკანონმდებლო პროექტი გადაეცა კომისიას დაწვრილებით განსახილველად. წინ და წინ ძნელია იმის თქმა, შეიცვლება იგი, თუ უცვლელად დაკანონდება. ადვილი შესაძლებელია, რომ შიგ ცვლილება არაფერი მოხდეს და პრუსიის მთავრობამ ძალმომრეობითა და კანონის უარყოფით დაუწყოს პოლონელებს დევნა და შევიწროება.

მაგრამ თვით-ცნობიერების გაღვიძებას და ენერგიულს მუშაობას შეუძლიან გადალახოს დაბრკოლება და გააუმჯობესოს მდგომარეობა...

ჟურნ. „მოამბე“, 1904, № 2, გვ. 125-154.

შინაური მიმოხილვა

ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა. —ხალხის განათლება და სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოები. —ქართველი, ვითარცა თავის დედა-ენის მოყვარე და პირისუფალი.

უკანასკნელ თვეებში ამ ჩვენს თვიურ „მიმოხილვა“-ს ერთი თვალსაჩინო ნაკლი დასჩემდა: მან უფრო გამოკვლევის ხასიათი მიიღო და თანამედროვე მიმდინარე ცხოვრებას დაშორდა. ამ მოკლენას, მართალია, თავისი გასამართლებელი მიზეზი აქვს: ჩვენი ცხოვ-

რება მეტად ღარიბია „მოვლენებით“ და ისეთ საყურადღებო ამბებით, რომლებიც ღირსი იყოს „მიმოხილვაში“ აღნიშვნის და განმარტებისა, მაგრამ, მეორე მხრით, ეს გარემოება საკმაო საბუთი არაა მიმდინარე ცხოვრების დასავიწყებლად და უყურადღებოდ დასატოვებლად. რაც უნდა ღარიბი იყოს ჩვენი ცხოვრება, მასში, დროგამოშვებით მაინც, ადგილი აქვს ისეთ ამბებს და მოვლენათ, რომლებიც კალმოსანმა მეთვალყურემ უეჭველად უნდა შენიშნოს და ერთად აკინძული გააცნოს მკითხველ საზოგადოებას. ამ სახით, ჩვენ გვესმის ჩვენი დანაშაული... და რომ იგი კიდევ უფრო არ გავზარდოთ და დიდად არ გავხადოთ, გვინდა ეხლა მაინც გავიხსენოთ მიმდინარე ცხოვრების მსვლელობა და ზოგიერთ მნიშვნელოვან ფაქტებზე მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

წარსულ თვეში მთავარ-მართებლის საბჭოს ერთ ფრიად საყურადღებო საგანზე ჰქონდა მსჯელობა და თათბირი გამართული. ეს საგანია დროებით ვალდებულ გლეხთა სანადელო მიწების გამოსყიდვის მოწყობა და ძველ ბატონ-ყმურ ურთიერთობის მოსპობა. მთავრობას განუზრახავს, საბოლოოდ მოაწყოს ჩვენში ნადელების გამოსყიდვის საქმე. მთავარ-მართებლის საბჭოში მიწვეულნი იყვნენ მაშინ, გარდა სხვა და სხვა დაწესებულებათა მოხელეებისა, ჩვენი მემამულენიც. ბჭობა, რომელსაც უფრო ადმინისტრაციულ-ფარული ხასიათი ჰქონდა და გარეშე, არა მიწვეულნი, პირნი არ დასწრებიან, ორ კვირამდის გაგრძელდა. აქ შეგროვებული მასალა და ადგილობრივ მთავრობისაგან მიღებული გადაწყვეტილება წარდგენილია პეტერბურგში უმაღლეს მთავრობასთან დასამტკიცებლად. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიცით, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭომ და არც ის, თუ როგორ შეჰხედავს და როგორ მოაწყობს ამ საგანს უმაღლესი ინსტანცია. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ამ ჟამად მთავრობა ჩვენი გლეხობისთვის ერთ მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხს ეხება და რომ ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა და გადაწყვეტა მოკლე ხანში მოხდება.

თუმცა ორმოცი წელიწადია, რაც ჩვენში ბატონ-ყმობა მოისპო, მაგრამ დღესაც გლეხების ნადელები გამოუსყიდველია და ყმობისგან განთავისუფლებულ გლეხთა უმრავლესობა თავდაუხსნელია. განსაკუთრებით ტფილისის გუბერნიაში გლეხების სულ მცირე ნაწილს აქვს თავისი ნადელები გამოსყიდული,—უმრავლესობას ისევ ძველებურად „ბატონი“ ჰყავს და მას აძლევს მიწის განსაზღვრულ მოსავალს. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ „უსტავნი ღრამოტები“ დაურიგდა აქ 14506 კომლ (59626 სულს) გლეხს. ნადელად მიეცა

მათ 56210 დესეტ. მიწა, აქედან 1865—1890 წლებში გლეხებმა გამოისყიდეს, ზოგი თავისი ძალ-ღონით (1304 დესეტ.) და ზოგიც სახელმწიფოსაგან აღებულ სესხის საშუალებით (12266 დესეტ.), სულ 13570 დესეტ. ზოგიერთ შემთხვევაში გლეხები მებატონეს მამულს უყოფდნენ და ამ სახით, ნაცვლად ფულისა, ბატონს ნადელის წილს აძლევდნენ. 1890 წელს ტფილისის გუბერნიის დროებით ვალდებულ გლეხებს 41120 დესეტ. ანუ სულ მთლად სანადელო მიწების 73% ჰქონდათ გამოუსყიდველი (იხ. Сборн. статист. данн. о землевлад. и. т. д.). სხვა წყაროში გლეხების ნადელი უფრო მცირე სივრცისად არის ნაჩვენები. სახელდობრ ტფილისის კომიტეტი, შემდგარი შარშან სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამოსაკვლევად, ამ გუბერნიის გლეხებისათვის ნათლად მიცემულ მიწების სივრცეს 52483 დესეტინით აღნიშნავს და ამბობს, რომ 1901 წლამდის მხოლოდ 3475 კომლმა გლეხმა გამოისყიდა ნადელი სივრცით 15124 დესეტინაო (29%) და გამოუსყიდველი დარჩა 37363 დესეტინაო (71%) (იხ. Труды местных комитетов. Кавказский край, გვ. 461). როგორც ხედავთ, დროებით ვალდებულ გლეხთა დიდძალი უმრავლესობა თავდაუხსნელია ტფილისის გუბერნიაში. — მართალია, ქუთაისის გუბერნიაში დროებით ვალდებულ გლეხთა უმრავლესობამ უკვე გამოისყიდა საკუთარის ძალ-ღონით, მთავრობის დაუხმარებლად, ნადელები და გახდა მესაკუთრე, მაგრამ აქაცაა დღეს თვალსაჩინო რიცხვი გლეხებისა, რომლებიც ჯერ კიდევ თავდაუხსნელნი არიან. 1901 წლის დამდეგს ამ გუბერნიაში იყო 22 ათასი კომლი ვალდებული გლეხი, რომლებსაც დაახლოვებით 70 ათასი დესეტინა მიწა ჰქონდათ მებატონეებისაგან გამოსასყიდავი (Труды, გვ. 221).

ამ გვარად, 40 წლის განმავლობაში ქართველმა გლეხობამ ვერ მოახერხა ნადელების შესყიდვა, მებატონეებისაგან თავის დახსნა და ბატონყმურ ურთიერთობისგან განთავისუფლება. ეს გარემოება, რასაკვირველია, დიდად აფერხებს საერთოდ სასოფლო მეურნეობის განვითარებას და კერძოდ გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყველამ იცის, რომ მშრომელი მხოლოდ მაშინ მოეკიდება წარმოებას მუყაითად და ეცდება წარმოების განკარგვას, როცა დარწმუნებულია, რომ შრომის გადიდებული ნაყოფი მასვე დარჩება და არა სხვას. დღეს კი გლეხი სანადელო მიწაში მეოთხედს აძლევს მებატონეს და იცის, რომ რამდენადაც მეტად გაანაყოფიერებს იგი მიწას და მეტ ოფლს ჩაღვრის ნიადაგში, იმდენადვე მეტი მოსავალი უნდა ერგოს ბატონს თავის მეოთხედში. ადვილი გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში იგი არ ეცდება ნიადაგის გაპოხიერებას და კულტურის გაუმჯობესებას. ეს აზრი ნათლად და გარკვევით გამოსთქვეს შარშან

ტფილის-ქუთაისის კომიტეტებმაც. „ერთ დაბრკოლებად ზოგადი ხასიათისა, — სწერს ტფილისის კომიტეტი, — რომელიც ხელს უშლის სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებას ტფილისის გუბერნიაში, უნდა ჩაითვალოს დროებით სავალდებულო ურთიერთობა, რომელიც არსებობს მემამულეებსა და გლეხებს შორის“ (Труды, გვ. 461). „ნადელის სიმცირე, — სწერია ქუთაისის კომიტეტის მოხსენებაში (გვ. 231), — სრული დამოკიდებულება მებატონისაგან, რომლის ნება დაურთველად დროებით ვალდებულ გლეხს არ შეუძლია მოსავლის მოგროვება, და ძალიან დიდი გადასახადნი მემამულის სასარგებლოდ ისეთ პირობებში აყენებენ ამ კატეგორიის გლეხთა შრომამოქმედებას, რომ მეურნეობაში რაიმე თვალსაჩინო გაუმჯობესების შეტანა არა თუ შეუძლებელია, არამედ საზარალოცაა. იმ ვითარებაში, როგორშიაც იმყოფება ამ ჩვენს გუბერნიაში სანადელო მიწების გამოსყიდვის საქმე, ასეთი გაუმჯობესება, რომელსაც დროებით ვალდებულმა გლეხმა უნდა მოახმაროს თავისი დაზოგვილი ფული და ენერგია, მემამულისაგან სრულიად მონაწილეობის მიუღებლად, გამოიწვევს შესამჩნევად გამოუსყიდველ სანადელო მიწებზე ფასების აწევას და ამით გააძნელებს ნადელების გამოსყიდვას. იმის გამო, რომ ამ უკანასკნელ წლებში მიწა შესამჩნევად გაძვირდა და მეორე მხრით ნიადაგი გამოიფიტა და ვენახები ფილოქსერისაგან განადგურდა, ნადელების გამოსყიდვა ყოველ წლობით უფრო და უფრო მცირდება. 1897 წლამდის საშუალო რიცხვით ყოველ წელიწადს თავს იხსნიდა 1100 კომლი გლეხი, მას შემდეგ კი თავისუფლდება მხოლოდ 558 კომლი. სულ 30 წლის განმავლობაში ნადელები გამოისყიდა დაახლოვებით გლეხების 50%-მა, რომელნიც უფრო შეძლებულთა წრეს ეკუთვნიან, და, უეჭველია, სხვები თუ მთავრობა არ დაეხმარა მათ, კიდევ დიდხანს დარჩებიან ნახევრად ყმების მდგომარეობაში, რომელიც ადუნებს და ადამბლავებს ადამიანის საეკონომიო ენერგია-თვითმოქმედებას.“ ამიტომ თავიანთ მოხსენებებში ორივე კომიტეტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ მთავრობამ დაადგინოს ნადელების: სავალდებულო გამოსყიდვა და მისცეს გლეხებს ამისთვის საჭირო სესხი და დახმარებაო.

და წარსულ თვეში სწორედ ამ საგნის შესახებ ჰქონდა მთავარმართებლის საბჭოს მსჯელობა, რომ ეხლა არსებული დამოკიდებულება დროებით ვალდებულ გლეხებისა მებატონეებისაგან მოიხსნას და გლეხები გახდნენ მესაკუთრეებად. მთავრობას გადაუწყვეტია მოახდინოს ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა, მისცეს მემამულეებს ნადელის ფასი და გლეხები თვითონ გაიხადოს განსაზღვრულის ხნით მოვალეებად. ეს იქნება სესხი, მიცემული გლეხებისთვის

მებატონეების გასასტუმრებლად. მთავრობა ჩააბარებს მემამულეს მიწის ფასს და ამ ფულს გლეხს დააწერს ვალად. გლეხმა, რომელიც ამის შემდეგ „მესაკუთრე“ გახდება, ეს ვალი უნდა იხადოს წლიურად და 49 წლის განმავლობაში თავნიც და სარგებელიც უნდა გასწოროს მთლად.

ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის დადგენის დროს მთავარ საგანს შეადგენს მამულის დაფასება და ამ დაფასების კვალობაზე „განთავისუფლებულ“ გლეხების დავალიანება. ამ რეფორმის მოწესრიგებაში უაღრესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რა ღირებულობისად იქნება დესეტინა მიწა ცნობილი და, მაშასადამე, რა ვალი ექნებათ განთავისუფლებულ და მესაკუთრეებად გამხდარ გლეხებს გადასახდელი. ცხადია, მამულზე დადებული ფასი უნდა შეესაბამებოდეს მიწის ნამდვილ შემოსავლიანობას, რომ გლეხმა შესძლოს ამ შემოსავლით წარმოებაზე გაწეულ ხარჯების დაფარვა და მებატონის გასასტუმრებლად აღებულ სესხის სარგებლის გასწორებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის დაწესება მას არავითარ სარგებლობას არ მოუტანს, — პირიქით. ხაზინიდან აღებული სესხი აუტანელ ტვირთად დააწვება და მისი გაღატაკების მიზეზად გახდება.

სამწუხაროდ, ბევრი მემამულე ამ გარემოებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მებატონე დაინტერესებულია, მიწაში, რაც შეიძლება, მეტი ფასი მიიღოს და იმას-კი აღარ დაეძებს, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ გარემოებას დავალიანებულ გლეხებისათვის. ამ ტენდენციამ იჩინა თავი შარშან როგორც ტფილისის, ისე ქუთაისის კომიტეტში, სადაც მემამულეებს და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებს ბჭობა და მსჯელობა ჰქონდათ გამართული სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა შესახებ. „მთავრობას, — სწერს ტფილისის კომიტეტი, — ძალიან მცირე სესხი აქვს დანიშნული გამოსასყიდ მამულზე მისაცემად, — 15 მან. ურწყავ დღიურზე და 30 მან.— სარწყავზე. ეს ნორმა, რომელიც დაწესებულა 40 წლის წინად, არ შეესაბამება მიწის ეხლანდელ ფასებს... ამიტომ სექცია აუცილებელ საჭიროებად სთვლის, გადიდებულ იქმნას ნადელების გამოსასყიდად მთავრობისაგან ასაღებ სესხის ნორმა. თანახმად მიწის გადიდებულ ღირებულობისა“ (გვ. 461). ასეთივე აზრი გამოსთქვეს ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა წარმომადგენლებმა თავის მოხსენებაში, რომელიც მათ ქუთაისის კომიტეტში შეიტანეს „ნადელების გამოსყიდვის დროს, — სწერენ ისინი (გვ. 249), — მხედველობაში მიღებულ უნდა იქმნეს სანადელო მიწებზე არსებული ადგილობრივი

ფასები... მიწების დაფასების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ არა იმ სარგებლობით, რომელსაც მიწა დღეს იძლევა, არამედ იმ შემოსავლით, რომლის მოცემა მას შეუძლია, თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოდ მიწის სიმცირეს და ჰავის პირობებს" და სხვა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მემამულენი თხოულობენ: სავალდებულო გამოსყიდვა ნადელებისა მოახდინეთ, მხოლოდ გამოსასყიდი მიწა დღევანდელ საბაზრო ღირებულობის კვალობაზე შეაფასეთ და ფასიც ამის თანახმად მოგვეცითო. მკითხველი, იმედია, მიმხვდარია, რომ ასეთი მოთხოვნა მხოლოდ მემამულეთა ვიწრო ეკონომიურ ინტერესს შეეთანხმება და სრულებით მხედველობაში არ იღებს გლეხებისას. საქმე ისაა, რომ დღეს ჩვენში, ხალხის გამრავლებისა და მიწის სიმცირის გამო, ძალიან დიდად ფასობს მიწა. ხშირად ერთი ქცევა მიწის ფასი იმერეთში 500 მანეთს აღემატება. ეს ისეთი ფასია, რომელიც სრულებით არ შეეფერება მიწის მოსავალს და სარგებლიანობას. ცხადია, თუ მემამულეთა ასეთი მოთხოვნა მართლა დაკმაყოფილებულ იქმნა და ნადელი დღევანდელ საბაზრო ღირებულობის კვალობაზე შეფასდა, გლეხები სამუდამო ვალში ჩაცვივიან, აღებულ სესხს ვერ გადაიხდიან და ამიტომ ამგვარ პირობით თავის დახსნას მათი სრული გაპროლეტარება და სოფლიდან აყრა მოჰყვება შედეგად.

ჩვენ არ გვაკვირვებს, რომ იმერეთის მარშლებმა მარტო მემამულეების ინტერესი გაიხსენეს და ქუთაისის კომიტეტში მარტო აზნაურთა სასარგებლოდ ილაპარაკეს. გვაკვირვებს უფრო ის, რომ თავ. ანდრია ერისთავიც, რომელიც უფრო დემოკრატიულ იდეების მომხრე გვეგონა, ხსენებულ მარშლებსავით ვიწრო წოდებრივ მოთხოვნილებათა ქომაგი ყოფილა. იმ კერძო მოხსენებაში, რომელიც მას მთავარ-მართებლის საბჭოში შეუტანია და ამ დღეებში გაზ. „Нов. Обозр."-ში (№6747) იყო დაბეჭდილი, იგი ამბობს, სხვათა შორის: ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ დროებით ვალდებულ გლეხებს სასახლ-კარო მიწაში ქცევაზე 3 მანეთის გადახდა დაეკალათ მებატონის სასარგებლოდ. თუ ეხლა ამ მიწებისაც სავალდებულო გამოსყიდვა დაწესდა და მემამულეს მიწის ფასად 3 მანეთის 6%-იან კაპიტალიზაციის კვალობაზე მიეცა ფული, წაგებული იქნება, რადგან 3 მანეთი ქცევა სასახლ-კარო მიწაზე ძალიან ცოტა არისო. 3 მანეთის რენტის მიხედვით დესეტინას უწევს ფასად 122 მან. ეს ფასი თავ. ან. ერისთავს მცირედ მიაჩნია იმ მიწაში, რომელიც გლეხის სამუდამო ნადელს შეადგენს და რომლისთვისაც ეს უკანასკნელი, გარდა რენტის გადახდისა, საუკუნეების განმავლობაში მებატონეს

ემსახურებოდა. მეორე ადგილას მოხსენების ავტორი ამბობს, რომ ნადელების შესაფასებელად ზოგიერთ შემთხვევებში შეიძლება ვიხელმძღვანელოთ მიწის ეხლანდელ საიჯარო და საბაზრო ფასებითო. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობამ ისეთ დიდ ფასებში შეაფასოს მიწა, რომელიც დაფუძნებული არაა მამულის მოსავლიანობასა და საეკონომიო წარმოების საფუძველზე, მაშასადამე, გლეხებს მეპატრონეების გასასტუმრებლად დიდი სესხი მისცეს და შეუფერებლად დაავალიანოს...

სამართლიანად შენიშნავს ამის გამო თავ. ან. ერისთავს „Нов. Обозр."-ს რედაქცია: „ჩვენ გვგონია, — სწერს იგი, — რომ საგლეხო ნადელების შეფასება ამ წესით არ შეიძლება. ნადელების გამოსყიდვა გადაწყვეტილია 40 წლის წინად, როცა მოხდა გლეხების განთავისუფლება. მაშინვე განსაზღვრულ იქმნა გამოსყიდვის საფუძველნი, წესი შეფასებისა და აგრეთვე თვით ფასი მიწისა. საკუთრების უფლება სანადელო მიწებზე, ასე ვთქვათ, მხოლოდ სახელად შერჩა მემამულეებს. მხოლოდ შემთხვევით, მომრიგებელ შუამავლებისა და საგლეხო ცენტრალურ დაწესებულებათა უნაყოფო მოქმედების წყალობით, ნადელების გამოსყიდვა გაგრძელდა დიდხანს. ამასთან საბაზრო ფასები და საიჯარო გადასახადი ამ 40 წლის განმავლობაში გაიზარდა საარაკო ზომამდის. საჭიროა ისეთი ფასები იქმნას დადგენილი, რომლის გადახდასაც შესძლებენ გლეხები. არა თუ გადიდება, ის მიწებიც კი, რომლებიც შეიძინეს გლეხებმა 20-30 წლის წინად გამოსყიდვის „ნაკაზით" დადგენილ დაბალ ფასებში, დაყურულია ნედოიმკებით და ძლივს-ძლივობით ახერხებენ გლეხები მათს შენარჩუნებას. საჭიროა, გამოსყიდვის ისეთი ფასი იქმნეს დაწესებული, რომ გლეხისთვის რაიმე სარგებლობას შეადგენდეს გამოსყიდულ მიწის შენარჩუნება. რას მოიგებს მემამულე, რომ გლეხი მიატოვებს თავის მიწას და სოფლიდან გაიქცევა საგარეო სამუშაოზე?"

ერთის სიტყვით, ნადელების ღირებულობის გამოთვლისა და ფასების დადგენის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა შეფასება მიწის ნამდვილ სარგებლიანობასთან იყოს შეთანხმებული და აღებული სესხი გლეხებს სამუდამო და უძლეველ ვალად არ დაეწვეს კისერზე. აქ მომხდარი შეცდომა გაუსწორებელი შეცდომა იქნება, — გლეხი ვერ მოახერხებს ვერც მიწის დაბრუნებას მემამულესათვის და ვერც შეუფერებელ ვალისაგან განთავისუფლებას. თუ მიწის მოსავალმა ვერ გაასწორა სესხის სარგებელი, მას თან და თან ნედოიმკები და ამ ნედოიმკების გაზრდილი სარგებელი დაეწერება. და ბოლოს, ვინ იცის, იქნება მან სულაც ვერ შესძლოს ვალის გადახდა, — „გამოსყიდული" მამული ხაზინის ხელში გადავიდეს და

თვითონ გლეხი გაპროლეტარდეს, — დარჩეს უმამულოდ და თავის ცარიელ მკლავის ანაბარად. ხაზინა კი თავის მიწაზე იმას დაასახლებს, ვინც მას მოესურვება და ვისი დასახლებაც მის მიზანს შეეთანხმება...

თუ რა ცუდი შედეგი მოჰყვება გლეხებისათვის, თუ ნადელი დიდ, მიწის მოსავლიანობასთან შეუთანხმებელ ფასებში იქმნა შეფასებული, ამის მაგალითს გვიჩვენებს რუსეთი, სადაც აგერ ოც წელიწადზე მეტია, რაც ნადელების საკალდებულო გამოსყიდვა არის დაწესებული. რეფორმის შემოღების დროს მთავრობამ მიწას, მემამულეთა სასარგებლოდ, დიდი ფასი დაადვა და გლეხები შეუფერებლად დაავალიანა. გლეხებმა ვეღარ შესძლეს აღებულ სესხის სარგებლის გადახდა და ნედოიმკებით დაიტვირთნენ. ამის გამო მთავრობამ რამდენჯერმე შეამცირა სარგებელი და გლეხებს შეღავათი მისცა. მიუხედავად ამისა, რუსის გლეხებს დღესაც დიდი ნედოიმკები აწევთ და დიდი ვალი აქვთ გადასახდელი. სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამოსაკვლევად შემდგარ კომიტეტების უმრავლესობა ერთხმად აღნიშნავს, რომ გამოსყიდვის ოპერაციის მოწყობის დროს მიწა დიდ ფასად იქმნა შეფასებული და ამიტომ გლეხები ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენო. მაგალითად, რუზის სამაზრო კომიტეტის წევრები სწერენ: სამართალი მოითხოვს, რომ ნადელების გამოსყიდვის გადასახადი სულ მოსპოს, რადგან რუზის მაზრაში ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს დესეტინა მიწის საშუალო ფასი იყო 8—10 მან., ხოლო გამოსასყიდი ფასი კი დანიშნული იქმნა 37 მან.; ე. ი. ოთხჯერ მეტი იმ ფასზე, რომელიც მაშინ არსებობდა. ამნაირად გლეხებმა 40 წლის განმავლობაში უკვე გადიხადეს მიწის ფასი სარგებლითურთო (იხ. Труды, Московск. губ. გვ. 507). ამასვე იმეორებენ ტვერის, სემიონოვისა და ბევრი სხვა კომიტეტები ტვერის გუბერნიაშიო, სწერია პირველის მოხსენებაში. მიწა დააფასეს 27 მან., ე. ი. ბევრად მეტად, ვიდრე ჰღირდა მიწა გლეხების განთავისუფლების დროს. ამიტომ სასურველია, სრულებით მოისპოს გამოსყიდვის ვალი, რომელიც უსამართლო ტვირთად აწევს გლეხობასაო. ამ ვალის მოსპობას დღეს, — დასძენს მოსკოვის კომიტეტი, — როცა ხალხის ეკონომიური ძალღონე ძლიერ შესუსტებულია, მოითხოვს არა მარტო სიბრალულის გრძნობა, არამედ თვით სახელმწიფოს ინტერესიცო (Твер., გვ. 225. Моск., გვ. 507). ზოგი კომიტეტი (მაგალ., ნიჟეგოროდის, უფის) ნადელების გამოსასყიდად აღებულ ვალის მოსპობას იმით ასაბუთებს, რომ გლეხებისაგან ამ ვალის აღების იმედი აღარ არისო (გვ. 200, 38). „განა შეიძლება, ამბობს მოსკოვის კომიტეტი, ხალხს დავაძალოთ, ყაირათი

გასწიოს და ვალის გასასწორებლად ფული შემოინახოს, როცა იგი ისეთ შესაბრალის მდგომარეობაში იმყოფება, რომ ხშირად საკმელი არა აქვს?“ (გვ. 372).

ასე დიდ ტვირთად დააწვა რუსის გლეხობას ნადელების გამოსასყიდად აღებული ვალი. უარესი ბედი მოელის ქართველ გლეხობას, თუ მიწის ფასი ხელოვნურად იქმნა აწეული და ხაზინიდან მოცემული სესხი არ დარჩა მიწის ნამდვილ ღირებულობასთან შეფარდებული. რუსის გლეხობას ბევრი დამცველი ჰყავს... ჩვენი გლეხების სასარგებლოდ კი, თუ განზრახულმა რეფორმამ ასეთი საზარალო შედეგი შოიტანა, ვერ ილაპარაკებენ ვერც ერობანი და ვერც სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი... ეს გარემოება ვალად სდებს თავად-აზნაურთა შეგნებულ ნაწილს, დაუფიქრდეს ჩვენს ხალხოსნურ მდგომარეობას და, თუ ნადელების დამფასებელი კომისიები დაარსდა, ეცადოს გავლენა მოიპოვოს მემამულეებზე, რომ გამოსასყიდი მიწები არ იქნეს დიდად და გლეხებისთვის საზარალოდ დაფასებული...

* * *

იმ ეკონომიურ გარემოებაში, რომელშიაც იმყოფება დღეს საერთოდ ჩვენი სოფლის ხალხი, ნადელების გამოსყიდვის საკითხს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ამ საგანს მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ უნდა მიაქციოს ყურადღება. მიწის ძვირად დაუფასებლად და ზედმეტ გადასახადის დაუდებლადაც ქართველი გლეხობა ისეთ გაჭირვებაშია, რომ ძლივს ახერხებს საზრდოს მოპოვებას. რა-საკვირველია, ეხლა, როცა ნადელების სავალდებულო გამოსყიდვაზე ლაპარაკი დაიწყეს, ბევრ მემამულეს მადა გაეხსნა და უნდა მიწა, რაც შეიძლება, ძვირად გაჰყიდოს და გლეხებისაგან მეტი ფული აიღოს. სამწუხაროა მხოლოდ, როცა ასეთ მადის გაღვიძებას კვერს უკრავენ და ბანს აძლევენ თავად-აზნაურთა წოდებიდან ისეთნი პირნი, რომელთაც ჩვენი საერთო ეკონომიურ მდგომარეობის ცოდნა და გაგება უეჭველად მოეთხოვებათ. ისინი ივიწყებენ, რომ ჯერ ეხლაც ქართველ გლეხს სასოფლო მეურნეობა ვერ აძლევს ცხოვრებისთვის საკმაო სახსარს და ამიტომ იგი იძულებულია სოფელს თავი დაანებოს და სადმე სხვაგან ეძიოს სამუშაო და თავის რჩენის საშუალება. და აბა რა ხეირს მისცემს „განთავისუფლებულ“ გლეხს გამოსყიდული ნადელი, თუ მას ეხლანდელ „მეოთხედზე“ მეტი გადასახადი დაედვა და ამ გადასახადის გასწორების სახსარი-კი იმავე მიწამ არ მისცა?

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება ცნობები, რომლე-

ბიც გვიჩვენებს, რომ ჩვენი გლეხობა დიდს გაჭირვებაშია და რომ მას აღარ ძალუძს სასოფლო მეურნეობით თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მაგალითად, გაზეთის კორესპონდენტი (ბ-ნი სპ. ჭელიძე) შემდეგ ნაირად ასწერს ბათუმში სამუშაოს მძებნელ ხალხის მდგომარეობას: „ამ ნორჩ ქალაქში, — სწერს იგი („ივ.“ № 176), — რომელსაც სულ ოცდახუთი წლის ისტორია აქვს, თავს იყრის ყოველგვარი შრომა-ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელი. გურიიდან კი, ამ მახლობელ ეკონომიურად შევიწროებულ კუთხიდან, აქ მოდის, ქარხნის მომუშავეთა გარდა, დიდძალი ნორჩი ახალგაზდობა, ქალი და ვაჟი, რომელნიც ეძებენ მოსამსახურეთა ადგილებს და სხვა და სხვა სამუშაოს. როცა დაინახავთ ამ საცოდავებს ქუჩაში მოსიარულეთ, ადგილის მაძებართ, შიმშილისაგან ქანცგამოწყვეტილ ფერ-მიხდილთ, მაშინ იგრძნობთ, თუ რა სიღარიბესა და სიღატაკეს უნდა განიცდიდნენ მათი მშობელნი, რომ გულიდან იგლეჯენ ჯერ ისევ ნორჩ, გამოუცდელ არსებათ, — ღვიძლ შვილებს და ჰგზავნიან ბათუმში, სადაც ელით პირველ ხნობით შიმშილ-წყურვილი და ყოველგვარი გაჭირვება, მერე ზნეობრივი დაცემა და ბოლოს ათასგვარ სენით სიცოცხლის მოწამლვა და მოსპობა... ახალგაზრდა ბიჭები აქ, ქარხნებს გარდა, დგებიან სასტუმრო-რესტორნებში და დუქნებ-ყავახანებში, სადაც წლიდან წლობამდე შრომით და უძილო ღამეებით ქანცს იწყვეტენ. რაც შეეხება ახალგაზრდა, ნორჩ ქალებს, იმათ კიდევ უარესი და უსაზარლესი დღე ადგებათ. ისინი პირველ ხანებში დგებიან ორი-სამი წლით უსასყიდლოდ სახლებში მოსამსახურეებად. მთელ ამ ხნის განმავლობაში ეს საბრალონი ფეხ-შიშველნი და ტან-შიშველნი ასრულებენ ყოველგვარ ბრძანებას თავიანთ „ბატონებისას“, ქუჩებიდან ვედრებით წყლის ზიდვიდან დაწყებული ქვაბების ხეხვამდე. ამ ვადის გათავების შემდეგ უნიშნავენ თვეში ორს, ბევრ-ბევრი სამ მანეთს მათის ტანისამოსით. ეს საცოდავი გროშები კი ტან-ფეხის სამოსად არ ჰყოფნით. ამ დროს უკვე შეთქვირებულთ და წამოზრდილთ ან „ხაზეინები“ უარშიყდებიან, ან ვიღაც ბიჭები, ან და შეუჩნდებიან მაჭანკალი ქალები, რომლებსაც საცოდავები გადაჰყავთ „უკეთეს ადგილებზე“, ე. ი. თვეში ორი-სამი მანეთის მომატებით უყენებენ უცოლო კაცებს მოსამსახურეებად. ამ „უკეთეს ადგილებზე“ ისინი ესალმებიან იმას, რაც უძვირფასესი საუნჯეა ქალისთვის, ე. ი. ქალწულობას და უმანკოებას. აქედან კი ერთი ნაბიჯი რჩებათ თავი ამოჰყონ იქ, საცა სამუდამოდ ელით მოწყვეტა „საზოგადოებისაგან“. ამ რიგად, საწყალ ქალებს საეჭვო სახლებში შესვლის მეტი გზა არ რჩებათ, რადგან ჯერ ერთი „გარყვნილ და დაცემულთ“ მოსამსახურედ აღარ იყვანენ „პატიოსანი“ ოჯახები

და მერე სოფელშიაც ვერ მიდიან შერცხვენილნი და თავ-ლაფ დასხმულნი მშობლების შიშით და იმ აზრით, რომ არ გახდნენ თავიანთ სოფელ-ქვეყნის კიცხვა-დაცინვის საგნად. ან კი რა უნდათ სოფელში? განა სოფელი არ იყო, რომ გამოსტყორცნა ქალაქად ლუკმის საძებრად?!.. არის ისეთი მაგალითებიც, რომ რომელიმე მაჰანკალი და გარყვნილი ქალი გამოიყვანს ალაგიდან ნიშანში ამოღებულ ქალებს, ჯამაგირს უმატებს, ჩემთან დადექი მოსამსახურეთო, და შემდეგ კი მიჰყავს, შეპირებულ მსურველებზე ჰყიდის იმათს ქალწულობას კარგ ფასად. ასეთის გათახსირების მსხვერპლი შეიქმნა ამ ერთის კვირის წინად 14—15 წლის ქალი საოცარის სილამაზისა. საზოგადოდ ასეთია ხვედრი იმ ნორჩ, ცქრიალა და მკვირცხლ გურულ ქალებისა, რომელთაც სიღარიბისა და შეუძლებლობის გამო, იგლეჯენ გულიდან და ისტუმრებენ ბათუმისაკენ მათი მშობლები თავის საარჩენად და ბედის საძებრად. სამწუხაროა, მეტად სამწუხაროა ასეთი მოვლენა. ვინ იცის, სხვა გარემოებაში როგორი ცოლები და დედები გამხდარიყვნენ ეს ლამაზი, ნიჭიერი, მკვირცხლი და ცოცხალი არსებანი, რომელნიც ლუკმა პურის ძებნაში ჰღუპავენ თავიანთ ახალგაზრდობას, სიყმაწვილეს, უმანკოებას და სცვივიან გარყვნილების მორევში, სადაც სტოვებენ თავიანთ სილამაზეს, ჯან-მრთელობას და სიცოცხლეს!..".

აი, ასეთ მდგომარეობაშია სიღარიბისაგან შევიწროებული სოფლის ხალხი და ასე გამხრწნელად მოქმედობს მის ზნეობაზე ქალაქი. ამ მოვლენას ღრმა ეკონომიური მიზეზები აქვს და, რა თქმა უნდა, მას ვერ მოსპობს და ვერც შეაჩერებს ვინმესი გულისტკივილი ან რაიმე ხელოვნური ღონისძიება. რამდენადაც ძველი კარჩაკეტილი ცხოვრება ირღვევა, მოთხოვნილებანი მრავლდება და მოქალაქეობრივობა ვითარდება, იმდენადვე სოფელს ეკარგება განკერძოებულობა და სოფლის ხალხს უხდება სოფელს გარედ მუშაობა და არსებობისთვის ბრძოლა. ახალი ეკონომიური ვითარება ძალას ატანს სოფელში როგორც მამა-კაცს, ისე ქალსაც განშორდეს მამა-პაპის კერას და შეეკედლოს ქალაქს და შეეთვისოს ქალაქურ ცხოვრებას. ასე ყოფილა ეს სხვაგან და ასეა ჩვენშიაც.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრების სოციალ-პოლიტიკური პირობები და ბევრის სხვა უცხო ერისა ერთნაირი არაა და ამიტომ მოქალაქობრივობის განვითარებას ჩვენში თან სდევს ბევრი ისეთი შედეგი, რომელსაც განსაკუთრებული გავლენა და მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენში, სადაც ათასი ტომისა და ეროვნების ხალხი ირევა და ქართველს (ქალაქებში მაინც) ყველაზე

ნაკლები ეკონომიური ძალა აქვს, ღარიბ სოფლელისთვის ადვილი საქმე არაა ქალაქში მკვიდრად ფეხის მოკიდება და თავის ცხოვრების ცოტად თუ ბევრად ნორმალურად მოწყობა. მას არ აქვს ახალ ურთიერთობათა ცოდნა და გამოცდილება. იგი ხშირად ითელება და ისრისება იმ საერთო ჭიდილში, რომელსაც ქალაქური ცხოვრება შეიცავს, — ეცემა ზნეობრივად და ადგება გადაგვარების გზას.

ამგვარს გარემოებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლელის გონებრივ მომზადებას და საზოგადოდ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას. ჯერ ერთი სწავლას და ცოდნას ყოველთვის შედეგად ახლავს ადამიანის შრომის განაყოფიერება ყოველ გვარს წარმოებაში და კერძოდ სასოფლო მეურნეობაშიც. რამდენადაც უფრო გავრცელდება მეურნეებში სწავლა-განათლება, იმდენადვე მეტი წარმატება დაემჩნევა სასოფლო მეურნეობის წარმოებას და იმდენადვე მეტი საზრდოს მოპოება შეეძლება სოფელში სოფლის ხალხს. განათლებულ ქვეყნებში ხშირად მოუხდენიათ იმის გამოკვლევა, თუ რა გავლენა აქვს შრომის ნაყოფიერებაზე მშრომელის გონებრივ განვითარებას, და ყოველთვის იმ დასკვნამდე მისულან, რომ სწავლა-განათლება აბარაქიანებს ადამიანის შრომას. კერძოდ სასოფლო მეურნეობის შესახებ საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი აზრი, რომელსაც გამოსთქვამს ერთი გერმანელი მწერალი. „დანიის სასოფლო მეურნეობა, — სწერს იგი, — რომელიც თითქმის ყველა ქვეყნებისაზე უფრო განვითარებულია, უმთავრესად იმ გარემოების წყალობით წავიდა წინ, რომ იქ ხალხში, შეძლებულიდან დაწყებული უკანასკნელ ღატაკ გლეხსა და დღიურ მოქირავე მუშამდის, სწავლა-განათლება ძალიან არის გავრცელებული. სწავლა-ცოდნის გავრცელებას დიდად ხელი შეუწყო ესრედ წოდებულ „სახალხო მაღალ სკოლების“ მრავლად დაარსებამ. თუ რამოდენად დიდი გონებრივი ძალა მოიპოვება დანიის სოფლის ხალხში, ამას ის სისწრაფეც გვიჩვენებს, როგორადაც იქაური მეურნეობა ეწყობა და ეგუება შეცვლილ ახალ ეკონომიურ ვითარებას. როცა ამ ოციოდე წლის წინად პურის ფასი დაეცა და პურის გარედ გატანა გასაყიდად ხელსაყრელი აღარ იყო, დანიის სოფლის ხალხმა ხელად რძის წარმოებას მიჰყო ხელი და ეს დარგი ისე გაუმჯობესა, რომ პირველი ხარისხის კარაქის წარმოება იწყო. მეოთხმოცე წლების დამლევს დანიას 18,5 მილიონი გირვანქა კარაქი გაჰქონდა საზღვარს-გარედ; ათ წელიწადში ეს წარმოება ისე გაიზარდა, რომ გატანილ კარაქის რაოდენობამ 70 მილიონ გირვანქას გადააჭარბა“. (იხ. აგრეთვე წარსული თვის „მოამბეში“ ქ-ნ ნინო ზურაბიშვილის წერილი დანიაზე, გვ. 59).

მეორე მხრივ სწავლა-განათლება და გონების განვითარება დიდად საჭირო და სასარგებლო იარაღია სოფლელისთვის თვით ქალაქში, როცა იგი იქ ალაგს ეძებს და მოთავსებას ცდილობს. ელემენტარული მომზადება ის საფუძველია, ურომლოდაც იგი ვერ მოიპოვებს ვერავითარ ცოდნას და თვით-ცნობიერებას. ამიტომ დიდად მისაჩნეული და დასაფასებელია მოღვაწეობა ყველა იმ პირთა ჩვენში, რომელნიც ცდილობენ ხელი შეუწყონ ქართველ ხალხში ცოდნისა და საზოგადოდ სწავლა-განათლების გავრცელებას.

სწავლა-განათლებისა და თვით-ცნობიერების გავრცელებისათვის ერთი თვალ-საჩინო საშუალებაა სახალხო სამკითხველო და ბიბლიოთეკა. ჩვენში, სადაც დაბით ხალხი ძალიან ღარიბია და ამასთან შედარებით მცირე გონებრივ მოთხოვნილების პატრონია, წიგნები და გაზეთები ძალიან ცოტა იყიდება. სამკითხველო სწორედ ისეთი დაწესებულებაა, რომელიც წიგნის მოთხოვნილებას ხალხში ადიდებს და თვით-ცნობიერებას ავითარებს. ქართულ გაზეთებში ხშირად იბეჭდება სოფლებიდან სასიამოვნო კორესპონდენციები, რომლებიდანაც სჩანს, რომ ქართველ ხალხში თან-და-თან იზდება წიგნისა და გაზეთის მოთხოვნილება და სახალხო სამკითხველოებს მუდამ ემატება მკითხველი საზოგადოება. მაგალითად, ხონიდან იწერებიან, რომ „სამკითხველო კარგად მუშაობს... ახლა სულ ზედ ეტანებიან ჟურნალ-გაზეთებს. არც კი ჰყოფნით კითხვის მსურველთ, რაც გაზეთებია სამკითხველოშიო“ („ივ.“ №176). „დიდიც და პატარაც, ერიც და ბერიც მოუთმენლად ელოდება ფოსტის მოსვლას, — იწერება კორესპონდენტი გურიიდან. ყველას ჰსურს დროიანად გაიგოს ახალი ამბებიო“ და სხვ. („ცნ. ფურც.“ №2570). ეს ისეთი სანუგეშო მოვლენაა, რომ საჭიროა მას ყურადღება მივაქციოთ და ვეცადოთ, რაც შეიძლება, ხელი შევუწყოთ მის განვითარებას. განსაკუთრებით პროვინციაში მცხოვრები ინტელიგენცია ფხიზლად უნდა მოეკიდოს ხალხის გაღვიძებულ მოთხოვნილებას და იზეცადინოს, რომ დაბა-სოფლებში გამრავლდეს რიცხვი სამკითხველოებისა.

ზოგიერთებს, ვგონებ, სისწორით ვერ გაუგიათ ტფილისის ადმინისტრაციის განკარგულება, რომელიც ქართულ სამკითხველოებს შეეხება, და ამიტომ, რახან ამავე საგანზე გვაქვს ლაპარაკი, საჭიროა მოვიხსენიოთ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ტფილისში აქვს გახსნილი სამი სამკითხველო, რომელიც იაფფასიანია და ხალხს მცირე სასყიდლით აძლევს წიგნებსა და გაზეთებს წასაკითხად. ამ უკანასკნელ ხანებში „საზოგადოების“ გამგეობას გუბერნატორისაგან მოწერილობა მოუვიდა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ეს სამკითხველოები ადმინისტრაციამ უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოების

წესდებას დაუქვემდებარა და რომ გამგეობა ამის შემდეგ ვალდებულია ხსენებულ წესდების თანახმად მოიქცესო. ეს „დაქვემდებარება" იმას ნიშნავს, რომ ხსენებულ სამკითხველოებში უნდა იყოს მხოლოდ ის წიგნაკები, რომლებიც სამინისტროსაგან არის განსაკუთრებით ნებადართული და ცალკე კატალოგში აღნიშნული. საზოგადოდ რუსეთში უფასო სახალხო სამკითხველოებს, წიგნების მხრით, ასპარეზი ძალიან შეზღუდული აქვთ. აქ მხოლოდ ის წვრილი ბროშურები შეიძლება იქონიონ, რომლების კითხვა ხალხისთვის თვითონ მთავრობას სასარგებლოდ მიაჩნია. ფასიან სამკითხველოებში ასეთი სასტიკი განსაზღვრა არ არსებობს და ცენზურისაგან ნებადართული წიგნები იქ აკრძალული არაა. უფასო სამკითხველოებში დასაწყობად ნებადართულ წიგნებში დიდი ადგილი უჭირავს ისეთ ნაწერებს, რომლებიც საღვთო წერილის ამბებსა და წმინდანების ცხოვრების აღწერას შეიცავს. ამნაირად, სახალხო სამკითხველო, ხსენებულ წესდების თანახმად, უფრო სარწმუნოებისა და რელიგიურ ზნეობის განმტკიცების დაწესებულებაა... მაგრამ, ამ დანიშნულებასაც რომ თავი დავანებოთ, მთავარი პრაქტიკული საგანი ამ შემთხვევაში ის არის, რომ იმ კატალოგში, რომელიც გამოცემულია რუსეთის უფასო სახალხო სამკითხველოებისათვის, არც ერთი ქართული წიგნი არაა ნაჩვენები და ამ რიგად ქართულ ფ ა ს ი ა ნ სამკითხველოს უფასოდ გადაქცევა და იმ წესზე დაყენება, რა წესზედაც არსებობენ რუსეთში უ ფ ა ს ო სახალხო სამკითხველოები, ნიშნავს ფაქტიურად ქართულ წიგნების გამოდევნას და მარტო რუსულის დატოვებას...

ადმინისტრაციის ეს განკარგულება შეეხება ჯერ-ჯერობით მარტო ტფილისის სამკითხველოებს და ამიტომ პროვინციაში მცხოვრებმა ინტელიგენციამ არ უნდა იფიქროს, რომ ვითომ იქაც ეხლავე ასეთი წესი იყოს შემოღებული... არ ვიცით, მერმისში როგორ იქნება, ხოლო დღეს-დღეობით-კი არ არის...

* * *

რასაკვირველია, ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე წყობილებაში ბევრი დაბრკოლება ხვდება წინ ქართულ წიგნს და ქართულ ენას.

მაგრამ. მეორე მხრით, ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ ქართული ენის არ დამფასებელი და აბუჩად ამგდები არა იშვიათად თვითონ ჩვენ, ქართველები ვართ; გვავიწყდება, რომ იმ განძს, რომელსაც პატრონი არ უვლის და არ ექომაგება, უცხო და გარეშე არ დაუწყებს პატრონის სასარგებლოდ და სახეიროდ ქომაგობას და მფარველობას... ჩვენ გვინდა სხვამ გაგვიკეთოს ის, რასაც თვითონ ჩვენ არ ვაკეთებთ თავისთვის, როცა კი შეგვიძლია და ხელი მიგვიწვდე-

ბა. ადვილია ყველაფრის სხვის თავზე გადატანა და სხვისთვის დაბრალება; ამ შემთხვევაში ამ გადაბრალებას ბევრი სიმართლე ახლავს. მხოლოდ არ არის სიმართლე, როცა ჩვენ ჩვენი თავი მუდამ უდანაშაულოდ გამოგვყავს და ჩვენს შეუგნებლობას და თვით-ცნობიერების ნაკლებობას „გარეშე მიზეზებით" ვაფუჩეჩებთ და ვფარავთ.

ამის დამამტკიცებელ ცხად და ნათელ საბუთს შეიცავს ეხლა ხან დაბეჭდილი „ანგარიში" კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, რომელიც წარსულ წელს შეეხება და არსებულ სასწავლებელთა ყოველმხრივს მდგომარეობას ჰხატავს. როგორც მკითხველმა იცის, სახელმწიფო სასწავლებლებში ქართული, სომხური და თათრული ენები სავალდებულო სასწავლ საგნებად არ ითვლება: ე. ი. შეგირდებს არ ევალება მთავრობისაგან, უეჭველად ისწავლონ თავიანთი დედა-ენა. ამასთან ადგილობრივ ენებს ასწავლიან მსურველთ მხოლოდ დაბალ კლასებში. ცხადია, დედა-ენის სწავლება სახელმწიფო სკოლებში ძალიან შეზღუდული და შემცირებულია. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს სწავლება, ავადაა თუ კარგად. მაინც არსებობს და ქართველ მოწაფეს შეუძლია, თუ ისურვებს, გიმნაზიაშიაც ისწავლოს ქართული წერა-კითხვა. საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენი მოწაფე სარგებლობს ამ უფლებით და ცდილობს შეისწავლოს თავისი დედა-ენა? ამ კითხვაზე ხსენებული „ანგარიში" ძალიან გარკვეულ პასუხს იძლევა.

წარსულ წელს ტფილისის სამივე ვაჟთა გიმნაზიის დაბალ კლასებში, რომლებშიაც ასწავლიან ქართულ ენას, იყო სულ 369 ქართველი მოსწავლე. ყველა ამათ შეეძლოთ ესწავლათ თავისი დედა-ენა. ნამდვილად-კი ამ 369 მოწაფიდან სწავლობდა მხოლოდ 233 ან 63,1%, ე. ი. ერთ მესამედზე მეტს უარი უთქვამს და „არა სავალდებულო" ქართული ენის სწავლა არ უსურვებია.

როგორც ქართველებისთვის ქართული, ისე სომხებისთვისაც სომხური ენა არ არის მთავრობისაგან სავალდებულო საგნად დანიშნული. ამ მხრით ქართველები და სომხები ერთნაირ მდგომარეობაში არიან. დახედეთ ეხლა, თუ სომეხ მოწაფეთაგან რამდენი სწავლობდა თავის დედა-ენას. ტფილისის სამსავე გიმნაზიაში 602 სომეხი მოწაფე იყო იმ კლასებში, რომლებშიაც ასწავლიან სომხურს. ამათგან სომხურს სწავლობდა 512 ანუ 85%, ე. ი. შედარებით ქართველებზე 22%-ით მეტი.

ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც თითქმის სულ ქართველები სწავლობენ და, გარდა ქართულისა, არც ერთ სხვა ადგილობრივ ენას არ ასწავლიან, 334 ქართველ მოწაფეთაგან მხოლოდ 185 ანუ 55,3%, სწავლობდა ქართულ ენას.

ამავე დროს სომხურს სწავლობდნენ: ელისავეტპოლის გიმნაზიაში 144-დან 142 ანუ 98,6%, ერევნისაში ყველა 75 ანუ 100%, ბაქოსაში 386-დან 377 ანუ 97,7%.

კავკასიის ყველა გიმნაზიების დაბალ კლასებში იყო სულ მოწაფე: ქართველი 703, ამათგან ქართულის მოსწავლე 418 ანუ 59,4%; სომეხი 1318, ამათგან სომხურის მოსწავლე 1135 ანუ 86,1% თათარი 156, ამათგან თათრულის მოსწავლე 138 ანუ 88,4%.

ცხადად ვხედავთ, რომ ქართველები შედარებით ყველაზე ნაკლებ ეტანებოდნენ და სწავლობდნენ თავის დედა-ენას. არა თუ სომხებს, თათრებსაც-კი ვერ უტოლდებიან ისინი თავისი პროცენტით.

დავხედოთ რეალურ სასწავლებლებს. ტფილის-ქუთაისის ორსავე რეალურ სასწავლებელში 411 ქართველ მოწაფეთაგან ქართულს სწავლობდა 394 ანუ 94,7%, ხოლო სომხებში-კი სომხურს სწავლობდა 165-დან 162 ანუ 97,6%. კავკასიის ყველა რეალურ სასწავლებლებში დაბალ კლასების სომეხ მოწაფეთა 99,3% სწავლობდა სომხურს და თათარ მოწაფეთა 98,1% — თათრულს.

აქაც ქართველები შედარებით ყველაზე უკან დგანან და სხვებზე უფრო არიან დედა-ენას დაშორებულნი.

იმავე „ანგარიშში" არის ცნობები ქალთა სასწავლებლების შესახებაც. ტფილისის ოთხსავე გიმნაზიაში 465 ქართველ ქალთაგან ქართულს სწავლობდა 112 ანუ 24,1%, ე. ი. ერთი მეოთხედი, ხოლო სომხებში სომხურის მოსწავლენი 40%-ს შეადგენდნენ (1050-დან 416). კავკასიის ყველა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში 1393 ქართველ ქალთაგან ქართულის მოსწავლე იყო 973 ანუ 69,5%, მაშასადამე, ეოთი მესამედი სოულიად აო სწავლობდა ქართულს. სრული გადაგვარება ემჩნევა იმ მშობლებს, რომელთა ქალები ტფილისის გიმნაზიებში სწავლობენ, ამ სასწავლებლებში გამოსაკუთრებით განიოჩევა მეორე გიმნაზია, სადაც ქართველ მოწაფეთა ერთ მეხუთედზე ნაკლები (19,5%) სწავლობს ქართულ ენას.

ეს არის თავის თავად მეტერმეტყველი ციფრები, რომლებსაც განმარტება აღარ ეჭირვება. ისინი ნათლად გვიჩვენებენ, თუ როგორ სუსტად არის ჩვენში ფეხადგმული ეროვნული თვით-ცნობიერება. ნეტა რას ჰფიქრობენ ის მშობლები, რომლებიც თავის შვილებს სასწავლებელში დედა-ენის სწავლას არ ავალებენო, იკითხავს ვინმე, არაფერს, მკითხველო, არაფერს არ ჰფიქრობენ, ანუ უკეთ, ჰფიქრობენ ისე, როგორც ჰფიქრობენ „გარეშე მიზეზების" წარმომადგენელნი, — რომ ქართული ენა მეტი ბარგია და მისი შესწავლა საჭირო არ არისო. და ამავე დროს თქვენ შეხვდებით ამ მშობლებში

ისეთებს, რომლებიც უზომოდ „პატრიოტობენ“ და კერძო ლაპარაკში ვითომ გულ ამოსკვნითაც სტირიან, რომ სახელმწიფო სასწავლებლებში ქართულ ენას არ აქვს შესაფერი ადგილი დათმობილი...

ერთი წინანდელი წერილი ჩვენ შემდეგი სიტყვებით დავასრულეთ, და, სამწუხაროდ, აქ აღნიშნულ ფაქტის გამო, იმავე სიტყვების განმეორებით უნდა გავათავოთ ეს წერილიც: „ჩვენში არ არის საკუთარის ღირსებისა და ადამიანობის შეგნება და პატივისცემა. ხშირად ჩვენვე უარვჰყოფთ ჩვენს თავს და შემდეგ გვიკვირს, რომ სხვები — უცხონი — უარგვყოფენ და არ გვდებენ არავითარ ფასს. ყოველი სულდგმული, რომელსაც უნდა ცხოვრება, უნდა იცავდეს თავის არსებობას, და ამ შემთხვევაში სხვის წინ წუწუნი და ბრალიანობის ძებნა გინდ მოწყალების თხოვნა ნიშნავს მხოლოდ საკუთარს სისუსტეს და უსუსურობას“...

ჟურნ. „მოამბე“, 1904, № 7, გვ. 50—70.

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲡᲐᲛᲠᲔᲜᲬᲕᲔᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მახსოვს, ამ ათიოდე წლის წინად ჩვენს მწერლობაში კამათობდნენ შემდეგ საგანზე: არის თუ არა ჩვენში პროლეტარი და სამრეწველო მუშა ხალხი და არსებობს თუ არა საქართველოში „მუშათა საკითხიო.“ იყვნენ ისეთი მწერლები, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ ჯერაც სრულად ნატურალურ მეურნეობის ხანაში ვართ და სამრეწველო მუშა, როგორც ეს დასავლეთ ევროპაშია, ჩვენს ცხოვრებას ჯერ არ წარმოუშვიაო.

შეიძლება, ასეთი აზრი, თუ სწორი და შესაწყნარებელი არა, გასაგები და ასე თუ ისე გასამართლებელი იყო ამ ათის წლის წინად. მაშინ საზოგადოებრივი დიფერენციაცია ჩვენში ისე გაზრდილი და შესამჩნევი არ იყო, როგორც დღეს არის. ამიტომ არც ნამეტნავად დასაძრახია, თუ ვინმე წინად ახალ ცვლილების პროცესს, მაშინ კიდევ სუსტს და განუვითარებელს, ვერ ამჩნევდა და ქართველ სამრეწველო მუშის არსებობას საეჭვოდ სთვლიდა. დღეს კი ასეთი ეჭვი, რომ ვინმემ გამოსთქვას, უსაფუძლოც იქნება და შეუწყნარებელიც. ამ უკანასკნელ წლებში ჩვენში მოქალაქობრივობა იმდენად განვითარდა და კერძოდ სოფლის ეკონომიური ცხოვრება იმდენად შეიცვალა, რომ დღეს არსებობა მუშა ხალხისა, რომელიც მრეწვე-

ლობის სხვა-და-სხვა დარგებში დღიურად მუშაობს და დღიურის ქირით ცხოვრობს, ყველასთვის შესამჩნევი და დასანახი ფაქტია. მართალია, დღესაც ქართველ მუშათა რიცხვი მიწათმოქმედთა რიცხვთან შედარებით, ძალიან მცირე პროცენტს შეადგენს. მაგრამ სიმცირე და სრულიად არ არსებობა ერთი და იგივე არაა. რაც უნდა მცირე იყოს ჩვენში სამრეწველო მუშათა რიცხვი, ქართული დამოუკიდებელი პრესსა და საერთოდ მწერლობა ვალდებულია მიაქციოს მათ განსაკუთრებული ყურადღება და მათ ინტერესებსა და მოთხოვნილებათ გაუწიოს გულწრფელი ქომაგობა და ენერგიული მფარველობა.

მუშა ხალხი, როცა მასში ფეხს იკიდებს თავის ინტერესების შეგნება და იზრდება თვით-ცნობიერება, დიდს ძალას წარმოადგენს ყოველ სახელმწიფოში. როგორც მწერლობა, ისე „საზოგადოება" და მთავრობა იძულებულნი ჰხდებიან მეტის ყურადღებით მოეპყრან მას, — ეცადონ რეფორმების შემოღებას და მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ვისაც თვალ-ყური უდევნებია დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობისათვის ეცოდინება, რომ იქ ყოველი რეფორმა და გაუმჯობესება, დაკანონებული და დაწესებული მუშა ხალხის სასარგებლოდ, მტკიცედ შეკავშირებულია თვით მუშათა-პოლიტიკურს განვითარებასა და ენერგიულს კლასიურ მოძრაობასთან...

ამ წლის იანვრიდან მთელ რუსეთის იმპერიაში და, მაშასადამე, ჩვენშიაც მოქმედობს ერთი ახალი კანონი, რომელიც ფაბრიკა-ქარხნებისა და მთა-მადნების მუშებს შეეხება და, მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, განსაზღვრულ დადგენილებას შეიცავს. საზოგადოდ შრომისა და კაპიტალის შესახებ კანონმდებლობას დიდი საზოგადოებრივი ინტერესი და მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ადამიანთა ურთიერთობის ისეთ სფერას ჰხვდება, სადაც ძალმომრეობასა და უსამართლობას მეტად ფართო ადგილი უკავია... კერძოდ ხსენებული კანონი ცოტად თუ ბევრად უზრუნველჰყოფს სამრეწველო წარმოებაში სხვა და სხვა გვარ ხიფათით დაზიანებულ მუშებს, და ამიტომ, უეჭველია, ჩვენს მკითხველებში ბევრისთვის ამ კანონის შინაარსის გაცნობა ძალიან საინტერესო და სასარგებლოა.

მუშისთვის ცხოვრების ერთად ერთ სახსარს საკუთარი სამუშაო ძალა შეადგენს. მას შეუძლია არსებობა და ცხოვრებაში ასე თუ ისე თავის გატანა მხოლოდ მაშინ, როცა მუშაობს და დღიურ ქირას იღებს. მისი ქირა განსაზღვრულ ეკონომიურ კანონს ემორჩილება და იმდენად დიდი არ არის, რომ მშრომელს შეეძლოს მონარჩუნება და მერმისში როდისმე უშრომლად თავის შენახვა. ამიტომ ადვილი

წარმოსადგენია, თუ რა აუტანელ მდგომარეობაში ვარდება მუშა, როცა მას სამუშაო არა აქვს ან სხვა და სხვა მიზეზის გამო შრომა არ შეუძლია. და ასეთი შემთხვევები კი თანამედროვე წარმოების ვითარებაში ძალიან ხშირია. კაპიტალისტურ წარმოების წყობილებაში უსაქმოდ და უსამუშაოდ დარჩენა მრავალ მუშებისა ჩვეულებრივს მოვლენას შეადგენს. მუშა ხელი და სამუშაოს მძებნელი ბევრად მეტია, ვიდრე საქმე და ალაგი კერძო კაპიტალისტთა საწარმოო დაწესებულებებში. გარდა ამისა მუშის სხეული, როგორც ყოველი ადამიანის ორგანიზმი, მუდმივს მუშაობაში თან და თან სუსტდება და უდროოდ უძლური, ინვალიდი და, მაშასადამე, შრომისთვის გამოუსადეგი ჰხდება. როგორც ყოველი ადამიანი, მუშაც ჰბერდება და მაშინ მას აღარ შეუძლია მუშაობა და თავის ოფლით თავის რჩენა. უფრო ხშირად, ვიდრე სხვა უფრო ჰიგიენურს პირობებში მცხოვრები ადამიანი, მუშა ავად ჰხდება, ლოგინად ვარდება და ამიტომ მას დღიური ქირა და საზრდო ეკარგება. დასასრულ, თანამედროვე წარმოებაში, რომელიც საკვირვლად რთულია და უთვალავს მაშინებსა და სხვა და სხვა გვარ დიად ტეხნიკურ მოწყობილობას ხმარობს, ხშირია მარცხი ანუ ხიფათი და მუშათა უდროვო სიკვდილი ანუ დასახიჩრება. ოჯახის მამის დაშავებას ან უდროვო სიკვდილს შედეგად მოსდევს, რასაკვირველია, წვრილ-შვილის შიმშილი და დასახიჩრებულ მუშის მათხოვრად გახდომა. ცხადია, მოწინავე ქვეყნებში, სადაც მრეწველობა უმაღლეს საფეხურამდის არის განვითარებული და მუშა ხალხის რიცხვი დღითი-დღე მრავლდება, მთავრობა ვერ დასტოვებდა უყურადღებოდ ასეთ ვითარებას. და მართლაც იქ კარგა ხანია შეუდგენენ ამგვარ შემთხვევებში მუშათა უზრუნველყოფის მოწყობას და მოგვარებას. გერმანიაში, მაგალითად, მუშა დაზღვეულია ავადმყოფობისა, ინვალიდობისა, მოხუცებულობისა და უბედურ შემთხვევებისაგან. ავადმყოფობის დროს მას ეძლევა „საავადმყოფო კასიდან“ ფული თავის მოსავლელად და განსაკურნებლად; ინვალიდობასა და მოხუცებულობაში იღებს პენსიას; თუ წარმოებაში დაშავდა, ეძლევა განსაზღვრული პენსია; თუ გარდაიცვალა, მის ცოლ-შვილს დახმარება ეძლევა და იმედი აქვს, რომ შიმშილით არ დაიხოცება. მხოლოდ არ არის იქ ჯერ უსაქმოდ დარჩენილ მუშათა ბედიღბალი მოწესრიგებული და ამ უკანასკნელ ხანებში გერმანიის მწერლობა და საზოგადოებრივი აზრი იმის ზრუნვაშია, რომ როგორმე ეს საგანიც მოაწყოს და უსაქმოდ მყოფ მუშებს ცხოვრება გაუადვილოს.

რუსეთში ჯერ კანონმდებლობა არ შესდგომია ასეთის სისრულით

მუშათა უზრუნველ-ყოფას. აქ არ არის დაწესებული მუშების საევალდებულო დაზღვევა და ამიტომ ავადმყოფობისა და ინვალიდობა-მოხუცობის დროს მუშა მთელ რუსეთის იმპერიაში სრულიად უმწეოდაა დატოვებული. მხოლოდ ის ახალი კანონი, რომელიც შარშან ივნისში გამოიცა და წელს იანვრიდან ძალაში შევიდა, ცდილობს ცოტათი შეუმსუბუქოს მდგომარეობა და გაუადვილოს ცხოვრება იმ მუშებს, რომელთაც სამრეწველო წარმოებაში მარცხი მოუვათ, — ან გარდაიცვლებიან და ან ცოტად თუ ბევრად დაჰკარგავენ ძალღონეს და მუშაობისთვის გამოუსადეგნი გახდებიან.

როგორც ვსთქვით, თანამედროვე სამრეწველო წარმოების ტეხნიკა დიდად განვითარებული და რთულია. აქ იხმარება ისეთი უზარმაზარი მაშინები და ტეხნიკური მოწყობილობანი, რომელთანაც ადამიანის ფიზიკური ღონე ჭიანჭველის ოდენადაც კი არ გამოჩნდება, საკმარისია სულ მცირედი უყურადღებობა, რომ რომელიმე თასმამ ან ბორბალმა მუშა მოიტაცოს და ერთი თვალის დახამხამებაზე წუთი-სოფელს გამოასალმოს ან სამუდამოდ დაასახიჩროს. ვისაც უნახავს ახალის ტეხნიკის თანახმად მოწყობილი დიდი ფაბრიკა ან მადნის მაღარო, იმას თავის ნერვებით ნაგრძნობი და გამონაცადი ექნება, რომ დღევანდელ სამრეწველო წარმოებაში მომქმედი მუშა მუდამ სიკვდილს უცქერის თავის თვალით. სტატისტიკა ცხადად ამტკიცებს, რომ მრეწველობისაგან მსხვერპლად შეწირულ მუშათა რიცხვი ძალიან დიდია და რომ ეს რიცხვი, რაც დრო მიდის და მრეწველობა ვითარდება, მით უფრო იზრდება და დიდი ხდება. ამასთან მრეწველობის მრავალს დარგებში ისეთ მასალებს ადნობენ და ამუშავებენ, რომლებიც დიდად მავნებლად მოქმედობს მუშის ორგანიზმზე. თითოეული ამგვარი დარგი მრეწველობისა აჩენს მუშებში განსაზღვრულ სენს და ავადმყოფობას, რომელსაც პროფესიონალურს ან ხელობით გამოწვეულ ავადმყოფობას ეძახიან.

„იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობა განვითარებულია, ზიანი, რომელიც ეძლევა მუშებს დაშავებითა და პროფესიონალურ ავადმყოფობათა გაჩენით, ძალიან დიდია, და ეს გარემოება იწვევს ამ ქვეყნების მთავრობათაგან სხვა-და-სხვა გვარს ღონისძიებათ. ასეთია დაშავების შემთხვევათა სტატისტიკის დაარსება, წესდებათა გამოცემა მუშების სიცოცხლისა და ჯან-მრთელობის დასაცავად, სპეციალურ კანონების გამოცემა, რომ მუშათა დამქირავებლებმა დაშავებულ მუშებს უზღონ ზიანი და მისცენ საზღაური. მაგრამ რაც უნდა ნაყოფიერი იყოს ამგვარი მეცადინეობა, რომელსაც მიზნად აქვს შრომის პირობების გაუმჯობესება მრეწველობაში, მარცხი და უბე-

ლური შემთხვევები მაინც ამით არ მოისპობა. მუშების სიცოცხლისა და ჯან-მრთელობის დასაცავად შემოღებულ ამა თუ იმ ღონის-ძიებას შეუძლია შეამციროს უბედურ შემთხვევათა რიცხვი და ზიანის რაოდენობა, რომელიც ეძლევა მუშებს წარმოებაში, მაგრამ იმდენად კი მაინც ვერ შეამცირებს, რომ დაზიანებულ მუშათა უზრუნველ-ყოფის საკითხს სრულიად დაეკარგოს მნიშვნელობა. წარმოების დიდის ზრდისა გამო უბედურ შემთხვევათა რიცხვი, რაც დრო მიდის, თან-და-თან დიდდება. სამრეწველო შრომის პირობების გაუმჯობესების ზედგავლენით უბედურებათა რიცხვი შედარებით მცირდება, მაგრამ აბსოლუტურად, მუშათა რიცხვის ზრდის თანახმად, მაინც თან-და-თან დიდდება. ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობა ვითარდება, დაშავებულ მუშათა უზრუნველ ყოფის საკითხს უფრო-და-უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა" (В. Литвинов-Фалинский, Ответственность предпринимателей за увечья и смерть рабочих).

თუ როგორ ხშირია უბედური შემთხვევები და რამდენად დიდია დაშავებულ მუშათა რიცხვი თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებაში, ამას მკითხველი შემდეგი ციფრებიდანაც დაინახავს. ეს ციფრები მხოლოდ ორ სახელმწიფოს — გერმანიასა და ავსტრიას — შეეხება. დაშავდა:

1890	წ.	198706	მუშა	გერმანიაში,	16041	მუშა	ავსტრიაში
1891	„	223057	„	„	21316	„	„
1892	„	234726	„	„	26298	„	„
1893	„	262339	„	„	32917	„	„
1894	„	280842	„	„	40259	„	„
1895	„	307833	„	„	54562	„	„
1896	„	349388	„		64655	„	„
1897	„	379367	„		69283	„	„
1898	„	404826	„		75146	„	„
1899	„	440632	„		?	„	„

როგორც ხედავთ, ჯალიან მსხვილი ციფრებია. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ავსტრიის შესახებს ციფრებში არაა შერიცხული ის უბედური შემთხვევები, რომლებიც სასოფლო მეურნეობაში მომხდარა.

„რუსეთში, სადაც მრეწველობა ნაკლებადაა განვითარებული და უბედურ შემთხვევათა სტატისტიკა ამ უკანასკნელ ხანამდის თითქმის არ ინიშნებოდა, მსხვერპლთა საერთო რიცხვი ბევრად ნაკლებია, ვიდრე გერმანიაში, მაგრამ იგი მაინც აქაც შესამჩნევად დიდია. ოფიციალურ ცნობებით, საფაბრიკო მრეწველობაში, რომელიც საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობას ექვემდებარება, მომხდარა

უბედური შემთხვევა (1901 წ.) 27135, მთა-მადნის მრეწველობაში (1899 წ.) — 13321; აქ მითვლილი არაა ზოგიერთი ქარხნები, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს ხელში გადავიდა და რომელთაგანაც მარტო ორში (1898 წ.) 7693 უბედური შემთხვევა მოხდა. მეორე ოფიციალურ წყაროს თანახმად, მთა-მადნის მრეწველობაში ადგილი ჰქონია (1901 წ.) 12457 უბედურ შემთხვევას. აქ სათვალავში არაა ჩაგდებული სახაზინო ქარხნები, რომელთა შესახებ „ანგარიშში" სრულებით არ მოიპოვება ცნობები. მაგრამ არც ერთი და არც მეორე სტატისტიკა, რომელიც 50.000-მდე უბედურ შემთხვევათა ჯამს იძლევა საფაბრიკო და სამთო-მადნის მრეწველობისათვის, არ ჰხატავს სავსებით მოვლენის ნამდვილს სისხო-სიდიდეს, რადგან რუსეთში ყველა შემთხვევები არ ინიშნება ხოლმე, როგორც ამას თვით ოფიციალური გამოცემანი აღიარებენ. ნამდვილად უბედურ შემთხვევათა რიცხვი, სულ ცოტა, სამჯერ და ოთხჯერაც მეტი უნდა იყოს იმაზე, რაც არის აღნიშნული, ესე იგი უნდა აღწევდეს 150-დან 200 ათასამდის წელიწადში" (М. Лунц, Рабочий вопрос в России).

ომი საშინელ მოვლენად ითვლება, რადგან იგი აუარებელ მსხვერპლს იწირავს და ათი ათასობით ოჯახებს აცლის პატრონს და მარჩენალს. ომზე უფრო საშინელ და საზარელ სურათს წარმოგვიდგენს სტატისტიკა, რომელიც მრეწველობაში უდროოდ გარდაცვლილთა და დასახიჩრებულთა რაოდენობას აღნიშნავს. აქ ესალმებიან წუთისოფელს ან სამუდამოდ ჰკარგავენ ჯანმრთელობას და მუშაობის შეძლებას ისეთი ადამიანები, რომელთაც, გარდა თავის ძალღონისა, არავითარი ქონება და საშუალება არ მოეპოვებათ თავის სარჩენად და ცოლშვილის გამოსაკვებად. ცხადია, თუ დაშავებულთა ლაშქარს სახელმწიფომ ყურადღება არ მიაქცია და მათი სვე-ბედ. ასე თუ ისე უზრუნველ არ ჰყო, ეს ამოდენა ხალხი ქუჩებში უნდა გამოვიდეს და მათხოვრობას დაადგეს.

დაწინაურებულ ქვეყნებში ეს საკითხი მუშებისთვის სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი და მათი მდგომარეობა ასეთ უბედურ შემთხვევებში უზრუნველყოფილია. ყველგან გამოცემულია სპეციალური კანონები, რომლებითაც მუშის დამქირავებელთ დავალებული აქვთ, რომ დაშავებულ მუშებს და მათ ოჯახებს უზღონ ზიანი და გაუწიონ ნივთიერი დახმარება. კანონი ავალებს წარმოების პატრონს უმწეოდ და უპატრონოდ არ დასტოვოს მუშა, რომელმაც მის წარმოებას თავისი ჯანმრთელობა ან მთლად სიცოცხლე შესწირა. გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში, ნორვეგიაში, ფინლანდიაში დაწესებულია სავალდებულო დაზღვევა მუშებისა, რომლის ხარჯებსაც სრულად

ან უღიდეს წილად მუშის დამქირავებელნი იხდიან. სხვა ქვეყნებში სპეციალური კანონებია გამოცემული და წარმოების პატრონთ უბედურ შემთხვევებში პასუხისმგებლობა აქვთ მუშების მიმართ დაკისრებული. გერმანიაში, მაგალითად, მუშათა დაზღვევის მიზნით, წარმოების პატრონნი შეადგენენ ამხანაგობებს; თითოეული მწარმოებელი იხდის წლიურად მუშის თავზე განსაზღვრულ გაღასახადს და შეაქვს დაზღვევის კასაში. ყოველი მუშა, რომელსაც 3000 მარკაზე ეტი შემოსავალი არა აქვს წლიურად, დაზღვეულია და დაშავების შემდეგ დაწესებული საზღაური ეძლევა. წამლობა და მოვლა არის მუქთი; თუ გარდაიცვალა, ეძლევა სამარხად არა ნაკლებ 50 მარკისა, და მის ოჯახს 60%-დის მისი წლიური შემოსავლისა. თუ ისე დასახიჩრდა, რომ მუშაობა აღარ შეეძლება, — ინვალიდი გახდა— კასიდან ეძლევა პენსიად ორი მესამედი მისი წლიური შემოსავლისა. თუ დაშავებამ სრული დაუძლურება არ გამოიწვია და დაშავებულს მორჩენის შემდეგ ასე თუ ისე მუშაობა შეეძლება, დაკლებულს პენსიას აძლევენ, თანახმად დაკარგულის ძალ-ღონისა. ერთად ერთი მთავარი ნაკლი როგორც გერმანიის, ისე სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობისა ის არის, რომ დაშავების შემდეგ ინვალიდად გამხდარ მუშას მთელი წლიური შემოსავალი არ ეძლევა პენსიად. (იხ. Gewerbe-Unfallversicherungsgesetz).

რუსეთში დღემდის წარმოებაში დაზიანებულ მუშათა სასარგებლოდ არავითარი სპეციალური კანონი არ იყო გამოცემული. ეს იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ვითომ დღემდის დაშავებულ მუშას არ ჰქონდეს უფლება თავის „აღისათვის“ ეჩივლა და ზარალი ეზღვევინებია. არსებულ სამოქალაქო კანონის ძალით მუშას შეეძლო სასამართლოში ჩივილი, მაგრამ, როგორც კანონი ამბობს, მას უნდა დაემტკიცებია, რომ უბედური შემთხვევა წარმოების პატრონის დაუდევრობით ან სხვა გვარ გასამტყუნარ მოქმედებით იყო წარმომდგარი. და ამის დამტკიცება კი ბევრ შემთხვევაში ძნელი და შეუძლებელიც იყო. ვთქვათ, თასმამ მოიტაცა მუშა და ბორბალმა დაასახიჩრა. დაშავებული მუშა ვერას გზით ვერ დაამტკიცებდა, რომ აქ ფაბრიკის პატრონს პირადად რაიმე ბრალი ედო. როგორც თასმა, ისე სატრიალებელი ბორბალი ფაბრიკის მოწყობილებას ეკუთვნის და ფაბრიკანტს თამამად შეეძლო მუშისთვის ეთქვა-და ეს სავსებით კანონის თანახმად იქნებოდა: — თვითონ შენი ბრალია, რომ ბორბალს თავი დაასახიჩრებინეო.

„სამრეწველო ცხოვრების მიუდგომელ დაკვირვებას იმ დასკვნამდის მივყევართ, — სწერს სამართლიანად ბ. ლუნცი, — რომ დიდ-

ძალი უმრავლესობა უბედურ შემთხვევათა თვით წარმოების ტეხნიკურ პროცესისა, მისი მოწყობილობისა და პირობებისაგან გამომდინარეობს. საკითხს, — დამნაშავეა თუ არა წარმოების პატრონი, აქ თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან უბედური შემთხვევები წარმოებაში განუშორებლად შეკავშირებულია ტეხნიკურს პროგრესთან. და თუ ზოგიერთ შემთხვევებში უბედურება მუშისავე ბრალით ან გაუფრთხილებლობით წარმოსდგება ხოლმე, უნდა გვახსოვდეს, თუ რა პირობებში სწარმოებს მუშაობა საფაბრიკო და საქარხნო შენობებში. სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, რომ მუშას 12 საათს მყრალსა და მაშინების ღრიანცელით მოცულს სახელოსნოში დამწყვდეულს, გრძნობა გაფრთხილებისა, რომელიც აქვს ნორმალურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, უჩლუნგდება. სტატისტიკაც ამტკიცებს, რომ უბედურ შემთხვევათა უმრავლესობა მუშაობის უკანასკნელ საათებში ჰხდება და არა დასაწყისში. თუ „ბრალიანობაზე" წავა საქმე, მხოლოდ „წარმოების ბრალიანობაზე" შეიძლება ლაპარაკი, ე. ი. პროფესიონალურს ხიფათზე, რომელსაც სამრეწველო წარმოება წარმოადგენს მუშისათვის, ამიტომ მუშის დამქირავებელთა პასუხისმგებლობის შემცველი კანონმდებლობა სულ სხვა სამრეწველო ცხოვრებასთან დაახლოებულს საფუძველზე უნდა იყოს აგებული: „მუშას არ უნდა სჭირდებოდეს იმის მტკიცება, რომ წარმოების პატრონის მოქმედებისა და უბედურ შემთხვევას შუა რაიმე კავშირი არსებობს. პირიქით, მწარმოებელი პასუხს უნდა აგებდეს ყოველ უბედურ შემთხვევისათვის, რომელიც მუშას შეემთხვევა წარმოებაში ან წარმოების მიზეზით. ამ პასუხისმგებლობისაგან იგი მხოლოდ მაშინ შეიძლება განთავისუფლებულ იქმნეს, როცა დაამტკიცებს, რომ უბედური შემთხვევა ბუნების სტიხიური ძალით ან დაშავებულის ბოროტი განზრახვით იქმნა გამოწვეული."

მეოთხმოცე წლებიდან, მრეწველობის განვითარების მიხედვით, რუსეთში ძალიან ხშირი მოვლენა გახდა მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგებში მუშების დაშავება და დასახიჩრება. გახშირდა საჩივრები და მუშების ზარალისა და ფაბრიკანტების პასუხისმგებლობის გამოსარკვევად გამართული პროცესები. თუმცა სამოქალაქო კანონი ვერაფერ ქომაგობას უწევდა მუშებს, მაგრამ მუშათა დასახიჩრების სურათები ისეთი შესაზარი იყო, რომ სასამართლოებმა მუშების საჩივრებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და საქმეების გადაწყვეტა მუშების სასარგებლოდ იწყეს. ამ გარემოებამ გამოიწვია რუსეთში ახალი მოვლენა, რომელიც წინად თითქმის სრულებით არ არსებობდა. ეს არის: წარმოების პატრონთაგან მუშების დაზღვევა კერძო დამზღვევ საზოგადოებებში. დაზღვევის საჭიროება ცხადი და

ნათელი შე-ქნა თვით მწარმოებელთათვის. ისინი ჰხედავდნენ, რომ წარმოებაში ხშირი უბედურება აუცილებელი იყო. ჰხედავდნენ აგრეთვე, რომ სასამართლოები ხშირად მუშების საჩივრებს აკმაყოფილებდნენ და მათ მოულოდნელად საგრძნობელ ხარჯების გაღება უწევდათ. ამ ხარჯების წინდაწინვე გამოთვლა ძნელი იყო და, მაშასადამე, ძნელი იყო მოსალოდნელ გასავალის გათვალისწინება და კომერციულ ვარაუდისა და ანგარიშის გაწევა. იმათ საუმჯობესოდ დაინახეს, კერძო საზოგადოებებში მუშის თავზე განსაზღვრული გადასახადი შეეტანათ, მუშები იქ დაეზღვიათ და უბედურ შემთხვევის დროს მოსალოდნელი ფულის გადახდის შიში თავიდან აეცილებიათ. 1890 წლამდის მუშების დაზღვევის ოპერაციები ძალიან მცირედ იყო რუსეთში განვითარებული. მაგრამ ამ წლიდან დაზღვევის პრაკტიკა თანდათან გავრცელდა. 1901 წელს ფაბრიკებისა და ქარხნების პატრონებისაგან აქციონერულ საზოგადოებებში მუშების დაზღვევის პრემიებად შეტანილ ფულის ჯამი ავიდა 3.438.000 მანეთამდის და დაზღვეულ მუშათა რიცხვი 1.200.000 კაცამდის.

მაგრამ მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ ვითომ ამ გვარ პრაკტიკის გავრცელებით მუშათა მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესებულიყოს. დამზღვევი საზოგადოებანი კომერციულის მიზნით და თავის სასარგებლოდ მოქმედებენ. იმათი მისწრაფებაა, რაც შეიძლება, მეტი დაზღვევის პრემიები აიღონ, ხოლო დაშავებულ მუშებს ნაკლები საზღაური მისცენ. თავის წესდებებში ისეთი მუხლები აქვთ ამ საზოგადოებათ შეტანილი, რომ პრემიების დიდძალი ნაწილი მათვე რჩება მოგებად და მუშებს მხოლოდ გროშების აღება შეეძლოთ იმათგან.

„დაზღვევა აქციონერულს საზოგადოებებში, — სწერს ბ. ლუნცი, — ბევრის მხრით მოუხერხებელი და საზარალო იყო მუშებისათვის. ჯერ ერთი, თვით იდეა პროფესიონალური რისკის ანუ ხიფათისა ბევრ ნაირად არის აქ შეზღუდული. მაგალითად, ვთქვათ, ფეიქარი ფაბრიკის მეორე განყოფილებაში, სადაც იგი გაჰგზავნეს, თასმამ მოიტაცა და დააშავა. დამზღვევ საზოგადოებას შეეძლო მისთვის უარი ეთქვა, რადგან მუშა იმ განყოფილებაში არ დაშავებულა, რომელშიაც საქსოვი მაშინებია დადგმული და, მაშასადამე, მარცხი იმ საქმეზე არ მოსვლია, რომელიც დაზღვევის პოლისში გვაქვს აღნიშნულიო. აგრეთვე დამზღვევი საზოგადოება აღთქმულ ფულს არ აძლევდა დაშავებულ მუშას, თუ მარცხი წარმოების პატრონის მოქმედებით ან ბოროტი განზრახვით იყო გამოწვეული, ესე იგი უარს ეუბნებოდა ისეთ შემთხვევაშიც-კი, როცა მუშას შეეძლო საზღაურის მიღება

არსებულ სამოქალაქო კანონის საფუძვლით. გარდა ამისა თვით საზღაური ისე მცირე იყო დაწესებული, რომ დაზღვევას მუშებისთვის ფრიად უმნიშვნელო სარგებლობა მოჰქონდა. საზოგადო წესით, დაზღვევ საზოგადოებისაგან მისაღები პრემია შეადგენს სიკვდილის დროს დღიურ ქირაზე 1000-ჯერ მეტს და დაუძლურებისა ანუ ინვალიდობის დროს — 1500-ჯერ მეტს. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, დაშავებულ მუშის გარდაცვლის შემდეგ ოჯახი იღებდა მიცვალებულის 3,5 წლის შემოსავალს. ამ ციფრის სიმცირეს ყველა ადვილად მიხვდება, თუ გავიხსენებთ, რომ სასამართლოში 10 წლის შემოსავლის თანასწორ საზღაურს უწყვეტდნენ დაშავებულ მუშას. სრული ინვალიდობის დროს „საზოგადოება" აძლევდა პენსიად დაშავებულს 54—90 მან. წელიწადში, როცა ინვალიდობა სრული არ იყო და დაშავებულს ცოტათი მუშაობა კიდევ შეეძლო, პენსია შესამჩნევად მცირდებოდა. ცხადია, თუ რა მცირე სარგებლობა ეძლეოდა მუშებს დამზღვევ საზოგადოებათაგან. და არც შეიძლებოდა, რომ ეს სხვაგვარად ყოფილიყო. დაზღვევა არ იყო კანონით დაწესებული და სავალდებულოდ გამოცხადებული დაშავებულ მუშების უზრუნველ საყოფელად. იგი ჰხდებოდა წარმოების პატრონთა ნება-ყოფლობით, რომლებსაც უნდოდათ თავიდან მოეშორებიათ მარცხის „რიცხვი". ის თანხა, რომელშიაც აზღვევდნენ ისინი მუშებს, ბევრად ნაკლები იყო იმ საზღაურზე, რომელიც. კანონის თანახმად, დაშავებულ მუშას უნდა მიეღო. მხოლოდ ასეთ პირობით იყო ხელსაყრელი წარმოების პატრონთათვის მუშების დაზღვევა აქციონერულ საზოგადოებებში... დასასრულ, ფაბრიკანტები სარგებლობდნენ მუშების უვიცობით და დაზღვევის პრემიებს მუშებს ახდევინებდნენ, თუმცა კანონით მარტო სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებს აწევს ვალად წარმოებაში დაშავებულ მუშების ნივთიერად დაკმაყოფილება...

„მაგრამ მთავარი ნაკლულევანება კერძო დაზღვევისა იმაში მდგომარეობდა, რომ დამზღვევი საზოგადოებანი ყოველის გზით ცდილობდნენ მოეჭრათ და შეემცირებინათ დაშავებულ მუშებისთვის მისაცემი დახმარება. ეს დასაგმობი მხარე საზოგადოებათა მოქმედებისა ისე გადიდდა და თვალსაჩინო შეიქნა, რომ უკანასკნელ ხანებში ყველას ყურადღება მიიპყრო. მუშების მოტყუებისა და გაცარცვის წესი ყველგან ერთი და იგივე იყო. ვთქვათ, დაშავდა დაზღვეული მუშა და დარჩა ოჯახი უსახსროდ და უარარაოდ. მოდის დამზღვევი აგენტი მთავარი გმირი ფარულის დრამისა და, იმის მაგივრად რომ უმწეოდ დარჩენილთ კუთვნილი საზღაური შეაძლიოს, იწყებს ვაჭრობას დჰპირდება უმნიშვნელო საგლახაკო მოწყალებას. ისინი არ თანხმდე-

ზიან და აგენტი ისევ უკან ბრუნდება. და, აი, ლატაკნი რჩებიან ულუკ-მა-პუროდ, დღეებს აღამებენ ქარხნისა და ფაბრიკის კანტორის წინ და თხოულობენ დახმარებას. მაგრამ ფული არ არის და — არა. აგენ-ტი ჰღალავს შიმშილით თავის კლიენტებს და ბოლოს ესენიც ყველა-ფერზე თანხმდებიან. რასაკვირველია, დაზარალებულ მუშებს უფლე-ბა აქვთ სასამართლოს მიმართონ, მაგრამ პროცესი, როგორც ყვე-ლამ იცის, შეიძლება გაგრძელდეს და ნამდვილადაც გრძელდება რამდენსამე წელიწადს, ხოლო მუშებს ეხლავე ესაჭიროებათ დახმა-რება. ამიტომ მათ მეტი გზა არა ჰქონდათ, თავი უნდა მოედრიკათ და ყველაფერზე დათანხმებულიყვნენ. თითქოს წარმოების პატრონთ შეეძლოთ გამოსულიყვნენ თავის მუშების მოსარჩლეებად, მაგრამ ესეც არ მოხდა. იმათ რომ მოეთხოვათ დაზღვეულ მუშებისათვის სრული დაკმაყოფილების მიცემა, მაშინ დამზღვევი აგენტები დაზღ-ვევის პრემიების გადიდებას დაემუქრებოდნენ და ამიტომ პირველნი რჩებოდნენ სრულიად ხელი დაებანათ ამ საქმეში. 1902 წელს მი-წათ-მოქმედების სამინისტრომ ლ. ბერტენსონი გაჰგზავნა სამხრეთ-აღმოსავლეთის მთამადნის რაიონში ცნობების შესაგროვებლად და ამ მოხელემ მართლა შეჰკრიბა მრავალი მასალა, რომელმაც ის იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ „მთავრობის ინსპექციის მოხსენება და ბეჭდვითი სიტყვით გამოთქმული აზრი ამ სფეროში არა ნორმალური მდგომარეობისა და კერძო დაზღვევის გაუმჯობესების შესახებ სრუ-ლიადაც გადაჭარბებული არაა და ღირსია მთავრობის მხრით განსა-კუთრებულის ყურადღებისა“. „დამზღვევი საზოგადოებანი, სწერს ოფიციალურს მოხსენებაში ოლქის ინჟინერი ბ. აბრამი — ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ მუშებს მისაცემი პრემიები მოუკლონ. მაშინაც კი, როცა მუშა დაშავების შემდეგ ჰკვდება ან სრულიად ინვალიდი ჰხდება, მაშასადამე, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მისაცე-მი პრემია მტკიცედ განსაზღვრულია, დამზღვევი საზოგადოებანი სულ მცირე თანხიდან იწყებენ მუშებთან ვაჭრობას“. ოლქის ინჟი-ნერის ხოვანსკის მოხსენების თანახმად, „დამზღვევი საზოგადოებანი, თუ მუშამ უკმაყოფილება გამოუცხადა, აშინებენ მას, — პრემიას სულ მოგისპობთო, და მუშას სხვა გზა აღარ რჩება, — უნდა მიმარ-თოს სასამართლოს, სადაც, როგორც მრავალი მაგალითები გვიმტკი-ცებენ, საზოგადოებანი განგებ აჭიანურებენ საქმეს 5 წლამდის; ამით იტანჯება და ზარალობს მხოლოდ დაშავებული მუშა, რადგან დამ-ზღვევ საზოგადოებას, რომელსაც მუდმივი დაქირავებული იურის-კონსულტები და აგენტები ჰყავს, შეუძლია დაუსრულებლად გააგრ-ძელოს საჩივარი“. საზღაურის დანიშვნაში აგენტები სრულს თვით-ნებობას იჩენდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ექიმი მტკიცედ გან-

საზღვრავდა სხეულის ზიანის მნიშვნელობას, დაშავებულ მუშებს „შეუფერებლად მცირე საზღაურს აძლევენ“. ზოგიერთ მადნებში სამკურნალო ექსპერტიზას სრულებით არ ახდენდნენ და ყველაფერს „აგენტი სწყვეტდა თავის თვითნებურ შეხედულების თანახმად“. იყო ისეთი მადნებიც, სადაც „ექიმები დამზღვევ საზოგადოებათაგან იყვნენ დაქირავებულნი და, მაშასადამე, ნამდვილად ამ საზოგადოებათა აგენტების როლს ასრულებდნენ“. ვაჭრობა, დაშინება, საქმის გაჭიანურება პრემიების მიცემის დროს, — აი ის ხერხნი, რომელთაც ხმარობდნენ ხოლმე აგენტები და მიზანსაც აღწევდნენ მუშების უვიცობისა და გამოუცდელობის წყალობით. აგენტების ამგვარ სრიკების მეოხებით დაზღვეულ მუშებისგან მიღებული პრემიები იმ ზომაზე დავიდა, რომ ადამიანის ღირსების ნამდვილ სასაცილოდ აგდებას მოასწავებდა. ბ. კულეშოვმა გამოაქვეყნა ფაქტები, რომელნიც ზიზღს მოჰგვრიან ადამიანს. დამზღვევმა საზოგადოებამ, „ხანგრძლივის ვაჭრობის შემდეგ“, დაშავებისაგან გარდაცვლილ მუშების ოჯახებს მისცა ერთ შემთხვევაში 30 მან., ხოლო მეორე შემთხვევაში 30 მან. და გზის ფული მიცვალებულის ცოლისა და 2 მცირე-წლოვან ბავშვის სოფელში გასაგზავნად; მესამე შემთხვევაში გაიღო 100 მან., „ასეთი დაფასება მუშაობისაგან დაღუპულ მშრომელთა ბევრად ნაკლებია იმ ფასზე, რა ფასადაც იყიდება ოთხფეხი საქონელი მაზანღიან წლებში ჩვენს იარმარკებზეო“, დასძენს ამ მოხსენების შემდგენი.

ასეთ მდგომარეობაში იყო დაზღვეულ და დაუზღვეველ მუშების სვებედი, სანამ ეხლანდელი (ახალი) კანონი წარმოებაში დაზიანებულ მუშათა შესახებ გამოიცემოდა და ძალაში შევიდოდა. ამ კანონის მთავარმა აზრმა დიდი და გრძელი ჭაპან-წყვეტა გამოიარა, სანამ განხორციელდებოდა და სავალდებულო კანონის სახეს მიიღებდა. ამ კანონის სათავე იწყება მეოთხმოცე წლებში მინისტრის ვიშნეგრადსკის დროიდან. ამ მინისტრის ხელიდან პროექტი ახალ მინისტრს ვიტტეს გადაეცა, რომელმაც ვიშნეგრადსკის აზრი ბევრის მხრით შესცვალა და მუშების სასარგებლოდ გააუმჯობესა. ვიტტეს პროექტი სახელმწიფო საბჭომაც მოიწონა, მაგრამ დაკანონება მაინც ვერ ეღირსა: სასულიერო უწყების ერთ უმაღლეს წარმომადგენლის გავლენის წყალობით, 1893 წელს ფინანსთა მინისტრის პროექტი დაწუნებულ იქმნა და ხელახლა დაუბრუნდა სამინისტროს შესასწორებლად. პროექტი 10 წლით დაიმარხა სამინისტროს კანცელარიაში და მხოლოდ შარშან, შეცვლილი და „შესწორებული“, დამტკიცებულ იქნა ხელმწიფისაგან.

მართალია, ეს კანონი ბევრის მხრით მდარეა და ჩამორჩება დასავლეთ ევროპის ამგვარსავე კანონმდებლობას, მაგრამ ოუ მივიღებთ ხელველობაში, რომ აქამდის რუსეთში სპეციალური კანონი დაშავებულ მუშების უზრუნველსაყოფელად სრულებით არ არსებობდა და თუ ახალი კანონის შინაარსს შევადარებთ წინად მომქმედ სამოქალაქო კანონებს. დავრწმუნდებით, რომ ეხლანდელ კანონის გამოცემა ერთ თვალსაჩინო ნაბიჯის წინ გადადგმას მოასწავებს რუსეთის სოციალურ კანონმდებლობაში.

ამიერიდან, ამ კანონის თანახმად (იხ. В. Литвинов Фалинский, Новый закон о вознаграждений увечных рабочих, СПб., 1904), წარმოების პატრონნი საფაბრიკო და სამთა-მადნო მრეწველობაში ვალდებულნი არიან უზღონ ზიანი და ნივთიერი დაკმაყოფილება მისცენ მუშას, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, რომელიც წარმოებაში დაშავდება და, ამ დაშავების გამო, სამს დღეზე მეტის საქმეს მოსცდება. მაშასადამე, საზღაური უნდა მიეცეს დაშავებისაგან გარდაცვლილის ოჯახს, დაშავებითვე დაავადმყოფებულს (მორჩენამდის) და ინვალიდად გამხდარს. სანამ დაშავებული მუშა მორჩებოდეს ან დამტკიცდებოდეს, რომ მისი დასახიჩრება სამუდამოდ უსპობს მას სრულიად ან ნაწილ მუშაობის შეძლებას, მას უნდა მიეცეს დღიდან დაშავებისა იმ ქირის ნახევარი, რომელსაც დაშავებამდის იღებდა. როცა გამოირკვევა, რომ უბედურ შემთხვევის გამო მუშა სამუდამოდ სრული ინვალიდი გახდა, მას ენიშნება წლიური პენსია, რომელიც მისი წლიური ქირის ორ მესამედს ეთანასწორება. თუ ინვალიდობა სრული არაა და დაშავებულს მერმისში ცოტათი მუშაობა შეეძლება, პენსიაც შესაფერად ნაკლები ენიშნება. გარდა ამისა კაპიტალისტი ვალდებულია უზღოს მუშას წამლობაზე გაწეული ხარჯი. თუ დაშავებას მუშის სიკვდილი მოჰყვა შედეგად, წარმოების პატრონმა უნდა მისცეს 1) სამარხად: 30 მან. სრულწლოვანს და 15 მან. მცირეწლოვანს და 2) პენსია მიცვალებულის ოჯახს: ქვრივს ერთი მესამედი, შვილებს, სანამ 15 წლის გახდებოდნენ, თითოს ერთი მეექვსედი (თუ ერთ-ერთი მშობელი კიდევ ცოცხალი ჰყავთ) ან ერთი მეოთხედი (თუ სრული ობლები არიან). ობოლ ძმებსა და დებს, სანამ 15 წლის გახდებოდნენ, თითოს ერთი მეექვსედი გარდაცვლილის წლიური ქირისა და სხვ. ყველა ამ პირთ პენსია ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმათ დაშავებისაგან გარდაცვლილი მუშა ინახავდა. თუ ქვრივი გათხოვდა, სამუდამო პენსიის მაგივრად ერთდროებით ეძლევა 3 წლის დახმარება. მთელი ოჯახის სხვადასხვა წევრთათვის დანიშნული წლიური პენსია საერ-

თოდ არ უნდა აღემატებოდეს გარდაცვლილის წლიურ ქირის ორ მესამედს. თუ ორივე მხარე თანახმა იქნება, მუშის მქირავებელს შეუძლია, წლიური პენსიის მაგივრად, ერთდროებითი გადასახადით გაუსწორდეს მუშას. თითოეულ კერძო შემთხვევაში საზღაურის რაოდენობა განისაზღვრება იმ წესით, როგორც კანონშია ნაჩვენები. საფაბრიკო ინსპექტორი მოსაშუალე პირია მუშებსა და ფაბრიკანტებს შორის. იგი უთავებს მორიგებით ორივე მხარეს საქმეს, ხოლო თუ შეთანხმება არ მოხდა, ადგენს ოქმს, რომელშიაც აღნიშნავს, თუ რა გვარი საზღაური ერგება დაშავებულ მუშას; ამ შემთხვევაში მუშამ სასამართლოს უნდა მიმართოს და სასამართლოს წესით უნდა მიიღოს წარმოების პატრონისაგან დაკმაყოფილება. საჩივრის დაწყება მას შეუძლია დაშავების დღიდან არა უგვიანეს ორის წლისა. ეს კანონი ეხება არა მარტო მუშებს, არამედ იმ მოსამსახურეებსაც, რომელნიც წარმოებაში მოქმედებენ და წლიურ ჯამაგირად 1500 მანეთზე მეტს არ იღებენ. მრეწველი ვალდებული არაა მისცეს რამ დაშავებულ მუშას, თუ დაამტკიცებს, რომ „უბედური შემთხვევის მიზეზი იყო ბოროტი განზრახვა თვით დაშავებულისა ან მისი მხრით ცხადი გაუფრთხილებლობა (грубая неосторожность), რომელსაც არ ამართლებს წარმოების პირობები და მოწყობილობა“.

ეს არის მთავარი აზრი ახლად გამოცემულ კანონისა. მკითხველი თუ დაუკვირდება, უეჭველია, თითონ შეამჩნევს ამ კანონის რამდენსამე ნაკლულევანებას. პირველი ამისი ნაკლი ისეთია, როგორიც ახლავს დასავლეთ ევროპის ამგვარსავე კანონმდებლობას. დაშავების გამო სრულ ინვალიდად გამხდარ მუშას და გარდაცვლილის ოჯახს ეძლევა არა სრული ქირის თანასწორი პენსია, არამედ მარტო ორი მესამედი. ჯანმრთელობის დაკარგვა თავის თავად აღუდგენელი დანაკლისია. დასახიჩრებულ მუშას ისიც ეყოფა, რომ ჰკარგავს წარმოებაში ჯანს, მხედველობას, სხეულის სხვა და სხვა ორგანოებს. ამისი აღდგენა არავითარ კანონს არ შეუძლია. სამაგიეროდ კანონს შეეძლო ის შემოსავალი მაინც სრულად მიეცა მუშისთვის რომელსაც დაშავებული უბედურ შემთხვევამდის იღებდა. ვინ იცის, იქნება ამ კაცს თავისი საქმე ისე წაეყვანა, რომ თავისი წლიური შემოსავალი ერთი ორად გაედიდება. კანონი-კი არა თუ უდიდებს შემოსავალს, იმასაც კი უკლებს, რაც აქამდის ჰქონდა. ეტყობა, ამ „პუნკტში“ კაპიტალისტთა ინტერესებს უფრო გაუმარჯვნია, ვიდრე კაცთმოყვარეობას და სამართლიანობას.

კაპიტალისტის შებრალება და შეცოდება სჩანს აგრეთვე კანონის იმ ალაგას, სადაც მუშის „ცხადი გაუფრთხილებლობაა“ ნახსენები. ადვილი გასაგებია, რომ ამ მუხლის ძალით მრეწველებს საშუალება.

ეძლევა ბევრ შემთხვევაში სრულიად უარი უთხრან და მშრალზე დასტოვონ დაშავებული მუშები. ძნელი არ არის იმის დამტკიცება, რომ ხშირად მუშა მაშინას „გაუფრთხილებლად“ ექცევა. ყოველი ადამიანი, რომელიც შეეჩვევა რაიმე იარაღს, სიფრთხილეს ჰკარგავს და იარაღთან ცოტად თუ ბევრად გაუფრთხილებელი ჰხდება. განზრახ ხელ-ფეხს არავინ მოაკვეთინებს მაშინას, და თუ მუშა წარმოებაში ზიანდება და სახიჩრდება, არა იმის გამო, რომ ვითომ ეს მას უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ ასეთი უბედური შემთხვევები აუცილებელია თანამედროვე აბობოქრებულ წარმოებაში და ყველა ადამიანი ვერ ასცდება მოსალოდნელ უბედურებას.

კანონის ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ დაშავებულ მუშების დაკმაყოფილების საქმეში საფაბრიკო ინსპექტორებს ძალიან ფართო უფლებები აქვთ მინიჭებული. ეს ისეთი რთული საქმეა და ამ მოხელეებს უამისოდაც იმდენი სხვა სამუშაო აქვთ, რომ ახლად დაკისრებულ მოვალეობის მიუდგომლად და პირნათლად ასრულება მათთვის მეტად ძნელი იქნება... არ უნდა დავიიწყოთ, რომ საფაბრიკო ინსპექტორს დამოუკიდებლად მოქმედების უფლება აღარ აქვს, — იგი, უკანასკნელ ხანებში გამოცემულ განკარგულების თანახმად, ადგილობრივ პოლიციის ხელქვეითია და ადმინისტრაციის ორგანოებს ემორჩილება...

სისრულე აკლია კანონს აგრეთვე ამ მხრივაც: იგი არავითარ გარანტიას არ აძლევს დაშავებულ მუშას, რომ ეს უკანასკნელი ყოველთვის მიიღებს იმ საზღაურს, რომელიც ერგება. ადვილი შესაძლებელია, რომ მრეწველს კომერციული საქმეები ცუდად წაუვიდეს და გაკოტრების გზაზე დადგეს. კანონი ასეთ შემთხვევაში უზრუნველ არ ჰყოფს მუშას და კანონმდებლობისაგან დაწესებული საზღაური მუშისთვის ნამდვილად ყინულზე დაწერილ დაპირებად რჩება...

დასასრულ, მთავარი ნაკლი კანონისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყველა მუშებს არ ეხება და ყოველ დაშავებულ მუშას არ შეუძლია ამ კანონით სარგებლობა. კანონის მოქმედების სფერო მარტო საფაბრიკო და სამთა-მადნო მრეწველობის მუშებს შეეხება, ე. ი. ისეო წარმოებათ, რომელნიც საფაბრიკო ინსპექციას ექვემდებარებიან. ახალ კანონის მოქმედების სფეროიდან გამორიცხულია ხელოსნური წარმოება. და ამ გარემოებას კი ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენში ჯერ კიდევ ნაკლებ არის მსხვილი მრეწველობა განვითარებული. კაპიტალისტურ წესით წარმართულ წარმოებათა უმრავლეობიან. ახალ კანონის მოქმედების სფეროდან გამორიცხულია ხელოსნურს უახლოვდება. 1899 წლის ცნობების თანახმად, ტფილის-ქუ-

თაისის გუბერნიაში იყო სულ 1782 „კაპიტალისტური“ საწარმავო დაწესებულება, რომელშიაც 13006 მუშა მუშაობდა. ამათგან 10 მუშაზე ნაკლები ჰყავდა 1706 წარმოებას და ანუ 95,7%-ს, ხოლო 10 მუშაზე მეტი — დანარჩენ 4,3%-ს. იმ წვრილ საწარმავო დაწესებულებებში მომქმედი მუშათა რიცხვი იყო 6694 ანუ მუშათა საერთო რიცხვის 51,4%. ცხადია, ჩვენებურ მუშების დიდი ნაწილი ვერ ისარგებლებს ახალი კანონით, რადგან ისინი ხელოსნურ წარმოების კატეგორიაზე მიკუთვნებულ სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობენ. გარდა ამისა კანონი არ ეხება აგრეთვე სასოფლო მეურნეობაში მომქმედ მუშებს და შენობების აგებაზე მომუშავეებს. ეს უკანასკნელი გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ შენობებზე მუშების დაშავება ძალიან ხშირ მოვლენას შეადგენს ჩვენში.

მიუხედავად ყველა აქ ნახსენებ და არ ნახსენებ ნაკლისა, ახალი კანონი მაინც, როგორც ვთქვით, რუსეთის სოციალურ კანონმდებლობის წინმსვლელობის მაჩვენებელია. წინანდელ წესთან შედარებით იგი შესამჩნევად აუმჯობესებს დაშავებულ მუშების ნივთიერ მდგომარეობას. ამის შემდეგ წარმოების პატრონები და დამზღვეები საზოგადოებანი წინანდებურად ვეღარ მოსდებენ მუშებს სხვა და სხვა გვარს ხრიკებს და ფულის მიცემის დროს ვეღარ დაუწყებენ ისე ვაჭრობასა და ჯანჯლობას, როგორც აქამდის შვრებოდნენ. ისინი ვალდებულნი არიან, კანონის თანახმად გაუსწორდნენ კაპიტალისტის მოგებისათვის მსხვერპლად შეწირულ მუშებს და მუშების დაობლებულ ოჯახებს...

ჟურნ. „მოამბე“, 1904 წ., № 8, გვ. 59—78.

შინაური მიმოხილვა

ქართული თეატრი

წელს ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ქართული თეატრის საქმე ტფილისში. ეს უკანასკნელი სეზონი ისეთი ცუდი ნიშნებით დაიწყო, რომ არ ვიცით, ახლო მერმისში თეატრს რა ბედ-იღბალი მოელის. თუ ამ საგანზე დროით არ ვიფიქრეთ და ვიზრუნეთ, მერე, ვინ იცის, იქნებ დაგვიანებულიც იქნეს და ნახევარ საუკუნის ნაშრომ-ნაამავარი უცებ ხელში გაგვიდნეს. ჩვენ მოვსწრებივართ ქართულ ჟურნალისა და გაზეთის დახურვას. პირველად გვწყენია, შევშფოთებულვართ, მაგრამ დანაკარგი მალე დაგვივწყებია და ისევ ძველებურად

უდარდელსა და უზრუნველ ცხოვრებას მივცემივართ. ვაი, თუ თეატრის შესახებაც ასევე შეგვემთხვეს და ნაცვლად წინმსვლელობისა, განვლილი დრო ამ მხრივ სასურველი და სანატრელი გაგვიხდეს! ქართული თეატრი დიდ კრიზისს განიცდის დღეს და საჭიროა, ამას ყოველი ჩვენგანი ჰსედავდეს და გრძნობდეს...

სწორედ სეზონის დაწყების წინად თავად-აზნაურთა სათეატრო შენობა, სადაც აქამდის წარმოდგენები იმართებოდა, დაიკეტა ადმინისტრაციის განკარგულებით. თურმე შენობის უკანა კედლები ისე დაბზარული და დახეთქილია, რომ ჰლამობს ჩამოქცევას. ტეხნიკოსთა კომისიამ შენობა საშიშრად სცნო და ადმინისტრაციამ თეატრის „გამგეობას“ წარმოდგენების გამართვის ნება-რთვა არ მისცა. დაიკეტა თეატრის კარი და ამ სახით ჩვენ, საზოგადოებას, აგვცდა გაჭყლეტა, ესე იგი სიკვდილი არა ესტეტიური...

იქნებ გაიკვირვოთ: აქამდის სად იყვნენ და რაღა სეზონის დაწყების წინ შენიშნეს, რომ კედლები ინგრევოდაო. მაგრამ ჩვენში არაფერი არ უნდა გაგიკვირდეთ ჩვენ ხომ წინდაწინვე თადარიგის დაჭერა არ გვიწერია. თადარიგი და საქმის მოწყობა სწორედ უკანასკნელ წუთში გაგვახსენდება, როცა წესით ყველაფერი მზა და გათავებული უნდა იყოს. დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში 7 კაცი იჯდა, რომელთაც თითქოს უნდა სცოდნოდათ შენობის მდგომარეობა. იმავე გამგეობაში ერია ერთი არხიტექტორიც, რომლის სპეციალ საგანს შეადგენს სახლების შენება და, მაშასადამე, კედლების სიმაგრე-სიმტკიცის გამოკვლევაც. გაზაფხულიდან დაწყებული შემოდგომამდის „გამგეობას“ ერთი თითიც კი არ გაუნძრევია და კრინტიხმა არ ამოუღია, რომ ასეთ საშიშარ მდგომარეობაში იყო თეატრის შენობა. თავად-აზნაურთა ქარვასლას, რომლის ნაწილსაც შეადგენს ეს შენობა, ჰყავს თავისი ადმინისტრაცია და გამგეობა, მაგრამ, როგორც სჩანს. ამ გამგეობასაც ყური არ გაუბერტყია და დროზე არაფერი უღონია. და ამგვარად ეხლა იქმნა დანახული და შემჩნეული ის, რაც დიდი ხნიდან უნდა დაენახათ და შეემჩნიათ, რომ ეს ასე არ მომხდარიყო, რომ ან ერთსა და ან მეორე გამგეობას გაზაფხულიდანვე ეზრუნა და შენობის ასე თუ ისე შესაკეთებლად ღონისძიებანი მიეღო, დღეს თეატრი არ დაგვეკეტებოდა და თავის შესაფარებლად ადგილის ძებნა სხვაგან აღარ მოგვიხდებოდა.

ქართულ წარმოდგენების გასამართავად წელს შემდგარმა „ამხანაგობამ“ სახაზინო თეატრის შენობა დაიქირავა ამ სეზონისთვის კვირეში ერთხელ ქართული პიესების დასადგამად. წინად ორი და სამი ქართული წარმოდგენა იმართებოდა კვირეში; წელს კი ერთიც

ძლივს გაიმართება და ამასთან ვინ იცის, შემოსავალი თეატრის დიდ ქირას დაჰფარავს თუ არა. ჯერ-ჯერობით აქ ორჯერ იყო ქართული წარმოდგენა და ისე ცოტა ხალხი დაესწრო, რომ შემოსავალმა ქირა ძლივს დაჰფარა და არტისტებისთვის მისაცემად არა დარჩა რა. წინანდელ შენობაში რომ ვყოფილიყავით, სადაც თეატრის ქირა შედარებით დიდი არ იყო, ამ მცირე შემოსავლიდანაც ცოტა რამ დარჩებოდა და ამ გვარად ქართულ დასის ნაშრომ ნაღვაწი ოპერის ანტრეპრენიორის დონსკოის ჯიბეში არ გადავიდოდა.

როგორც უნდა წავიდეს ამ სეზონში ქართულ წარმოდგენების საქმე — ცხადია, სახაზინო თეატრში თავის შეხიზნვა დროებითი ღონისძიებაა და ქართული თეატრი მერმისში ამ იმედით ვერ დარჩება. ეს არის შემთხვევითი თავშესაფარი, რომელიც შეიძლება ხვალ მოგვესპოს და სრულიად უსცენოდ დავრჩეთ. ქართული თეატრი საჭიროებს მუდმივ სცენას და თავის საკუთარ შენობას. აქამდის ასეთი შენობა, ცუდი იყო თუ კარგი, გვქონდა; დღეს იგი დაიკეტა და ჩვენ ვშიშობთ, ეს დაკეტვა ხანგრძლივი არ გამოდგეს და ჩვენი თეატრის საქმე საფრთხეში არ ჩავარდეს.

ჩვენში დღესაც ერთად-ერთი თავად-აზნაურობაა ისეთი წოდება, რომელსაც აქვს შედარებით მეტი ნივთიერი შეძლება, სწავლა-განათლება და წოდებრივი ორგანიზაცია. და, ვითარცა ასეთი, იგი ვალდებულია ამ საეროვნო საქმეს — თეატრს — დახმარება აღმოუჩინოს და მის წარმატებას ხელი შეუწყოს. მას შეუძლია და უნდა იკისროს კიდეც თეატრისთვის შესაფერ შენობის აგება და მოწყობა, რომ ძველი შენობა აღარ ვარგა, ამას დღეს ყველა ჰხედავს; იგი ისე დაძველებული და მოშლილია, რომ შიგ წარმოდგენების გამართვა საშიში და სახიფათო შეიქნა.

როგორც ამბობენ, თავად-აზნაურობას განზრახვა აქვს, ესრედ წოდებული „სათავად-აზნაურო სახლი“ ააგოს და შიგ თეატრიც მოათავსოს. ჰფიქრობენ აგრეთვე ქარვასლის საერთო გადაკეთებას და თეატრის ეხლანდელ შენობის საფუძვლიანად განახლებასაც. ასე იქნება თუ ისე, — სჩანს, ჩვენი თეატრი დავიწყებული არაა და ჩვენ სულით და გულით ვისურვებთ, ეს განზრახვა მალე განხორციელებულიყოს და ქართულ თეატრს შესაფერი მუდმივი ბინა მისცემოდეს.

მაგრამ ეს პროექტები ჯერ პროექტებადაა და ვინ იცის, როდის მოხერხდება, — განზრახვა სისრულეში იქმნეს მოყვანილი და განხორციელებული. ხოლო მანამდის რა ვქნათ? თუ ახალ სათეატრო სახლის აგებას ვუცადეთ, შეიძლება, არა ერთ და ორ წელიწადს მოგვიხდეს ლოდინი. და ამ ხნის განმავლობაში მუდმივ სცენის უქონლობა ისე შეაფერხებს და ავნებს თეატრის საქმეს, რომ შემდეგ

ძნელი გამოსაბრუნებელი და გასასწორებელი იქნება. ამიტომ გონიერება მოითხოვს, რომ სანამ უკეთესი არ შეგვიძენია, იმას დავკმაყოფილდეთ და იმით იოლად წავიდეთ, რაც ეხლა გვაქვს. გვაქვს ძველი შენობა, რომელიც შეიძლება შეკეთდეს და ძველებურად ქართველ წარმოდგენებისათვის გამოსადეგი გახდეს. ამ შენობის ისე შეკეთებას, რომ კედელი არ ინგრეოდეს და ქარი არ შემოდიოდეს. დიდი ფული არ მოუნდება. ამ ფულის მოხერხება გაუჭირვებლად შეუძლია ქარვასლის სათავად-აზნაურო „გამგეობას"; და საჭიროა, არ გავახანოთ და ეს შეკეთება დროზე დავიწყოთ, რომ მომავალ სეზონისთვის ისეთი საქმე არ მოვვივიდეს, როგორც წელს მოგვივიდა, როცა ალმა-დალმა მოგვიხდა ქართულ წარმოდგენებისათვის ბინისა და თავშესაფარის ძებნა.

თორემ, როგორც ვთქვით, თუ ქართული თეატრის ჩვეულებრივი მსვლელობა შეფერხდა, შემდეგ ძნელი იქნება მისი გამოკეთება: ქართველი საზოგადოება ცოტ-ცოტათი თან და თან ეჩვევა ქართულ სცენას. და ჩვენის საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა ყოველი ღონე უნდა იღონოს, რომ ეს კავშირი თეატრსა და საზოგადოებას შორის არ გაწყდეს ან არ შესუსტდეს. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ თეატრს, განსაკუთრებით ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ხალხისთვის, დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს. დაწინაურებულ ხალხებში ეს ჭეშმარიტება საანბანო ჭეშმარიტებად ითვლება და იქ მთავრობაც და ადგილობრივ თვით-მართველობათა ორგანოებიც დიდ ხარჯებს სწირავენ თეატრს და დიდად ეხმარებიან სასცენო ხელოვნების განვითარებას. ჩვენ კი როგორც ერთი ისე მეორე გვარი დახმარება გვაკლია და ქართულ თეატრის ბედ-იღბალი მარტო ჩვენს კერძო თაოსნობასა და საზოგადოებრივ თვით-ცნობიერების განვითარებაზე არის დამოკიდებული. თეატრი დაუფასებელი სკოლაა ხალხისათვის, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც სხვა „ნამდვილი" სკოლა ნისლითა და ბურუსითაა მოცული.

ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინად შილერი მშერმეტყველურად უქადაგებდა და უხსნიდა გერმანიის ხალხს სასცენო ხელოვნების მნიშვნელობას და თეატრის სარგებლობას. მის ნაწერებში არის, სხვათა შორის, ერთი პატარა წერილი (Die Schaubühne als eine moralische Anstalt betrachtet), რომელიც სცენის ზნეობრივ მნიშვნელობას არკვევს და თეატრის გამაკეთილშობილებელ და გამასპეტაკებელ ძალასა და გავლენას ასურათებს. მსოფლიო მგოსანი, რომელმაც უკვდავი სათეატრო შედევრები შესძინა კაცობრიობას, სწერს ამ საგანზე:

„...ზნეობასა და კანონს დიდი სიმაგრე და სიმტკიცე ემატება სცე-

ნასთან დაკავშირებით. სცენაზედ ყველაფერი საგრძნობად და დასანახად იხატება. აქ ადამიანის თვალწინ გაივლის ათას გვარ ნათელისა და სწორის გამოხატულებით ბიწიერება და სათნოება, ბედნიერება და უბედურება, სიბრძნე და სულელობა; აქ ისკვნება და იშლება კაცის ბედ-იღბლის კვანძი, აქ, ტანჯვის შემხედვარე, ადამიანი გრძნობს თავის გულის ყოველ მოძრაობასა და შეცოდებას, აქ ეხდება საგნებს ნიღაბი, ჰქრება ფერ-უმარილი და ჩნდება ხალასი ჭეშმარიტება, რომელიც მიუდგომელ მსჯავრსა სდებს ყველას.

„თეატრის მსჯავრი იქ იწყება, სადაც ქვეყნიურ კანონთა ძალა-ასპარეზი თავდება. როცა მართლ-მსაჯულებას აბრმავებს ოქრო და იპყრობს ბიწიერება, როცა ამ ქვეყნის ძლიერთა უტიფრობა დასცინის მის უღონობას, ხოლო შიში ხალხს უბორკავს ხელ-ფეხსა და ენას, — ამ დროს თეატრი იღებს ხელში ხმალსა და სასწორს და თავის საშინელ სამსჯავროს წინაშე სჯის ბიწიერებას. მთელი სამეფო ფანტაზიის და ისტორიისა, წარსული და მომავალი, მის სურვილს ემორჩილება. უშიშარნი ბოროტმომქმედნი, რომელნიც უკვე განიხრწნენ მიწაში, პოეზიის ყოვლად-შემძლებელ ძახილზედ ამოდიან საფლავიდან და, შთამომავლობის სამოძღვროდ, უამბობენ მსმენელთ თავის სამარცხვინო ცხოვრებას. წინანდელ საუკუნეთა საშინელი ამბები ეხლა თვალ-წინ გვიდგება და ჩვენ, სასიამოვნო შიშითა და ძრწოლით მოცულნი, ვწყევლით მათ ხსოვნას, როცა ადამიანები ყურს არ უგდებენ არავითარ ზნეობრივ მოძღვრებას, არ ითვისებენ სარწმუნოების სწავლას, პატივს არ სცემენ არავითარ კანონს, — გულ გრილად ვერ შეჰხედვენ მედეას, რომელიც, ბავშვის მოკვლის შემდეგ ჩამორბის სასახლის კიბეზე. თავზარი გვეცემა და თითოეული ჩვენგანი სიამოვნებს თავის ფაქიზის სინდისით, როცა ვუყურებთ ლედი მაკბეტს, რომელიც არაბეთის სხვა და სხვა სურნელოვანებით ხელს იბანს და სისხლის საზიზღარ სუნს იშორებს. როგორც თვალით დასანახი წარმოდგენა უფრო ძლიერად მოქმედობს, ვიდრე უსულო ნაწერი და ცივი მოთხრობა, ისევე სცენა უფრო ღრმად და ხანგრძლივად მოქმედობს, ვიდრე მშრალი ზნეობრივი მოძღვრება.

„მაგრამ სცენა ეხმარება არა მარტო ქვეყნიურ მართლმსაჯულებას, — მისთვის ღიაა სხვა, კიდევ უფრო ფართო სფერო. ათას-გვარი ბიწიერება, რომელიც ქვეყნიურ მართლ-მსაჯულებისაგან დაუსჯელი რჩება. ისჯება თეატრისაგან; ბევრ სათნოებას, რომელზედაც სდუმს და ხმას არ იღებს ქვეყანა, აღიარებს და აქებს სცენა. იგი ხელმძღვანელობს სარწმუნოებითა და სიბრძნით, ამ წმინდა წყაროდან იღებს თავის სწავლა-მოძღვრებას და ზნეობრივ მოვალეობას აძლევს მშვენიერ და მიმზიდველ გამოხატულებას. რა მაღალის გრძნობითა და

მიდრეკილებით აღავსებს იგი ჩვენს გულს! რა დიად იდეალებს გვიხატავს სახელმძღვანელოდ და მისაბაძავად! როცა დიდი და ძლიერი ავგუსტი ეუბნება მოღალატე ცინას, რომელიც მისგან სიკვდილს მოელის. — „ცინა, მეგობრები ვიყოთო", — ვინ იქნება ამ დროს მაყურებელთა შორის ისეთი, რომელმაც, — რომ თვითონაც დიდ რომაელს დაემსგავსოს, — თავის მოსისხლე მტერთან შერიგება არ ისურვოს?

„ეს კიდევ ცოტაა, თეატრი წარმოგვიდგენს არა მარტო სათნოებას წარმტაცისა და მიმზიდველის გამოხატულებით. — იგი მართალ სარკესავით გვიჩვენებს ბიწიერებასაც მთელის თავის სისაძაგლით. როცა უღონო და უმწეო მეფე ლირი ღამე ავდარში თავის ქალის სახლს მიადგება და სთხოვს ბინას და შებრალებას, ხოლო ეს უარს ეუბნება, როცა მოხუცის თეთრ თმას ქარი აფრიალებს და ლირი პუნების სტიქიას უამბობს თავის ქალის შეუბრალებლობას და გამოსთქვამს აღშფოთებული მწუხარებას, — „მე თქვენ ყველაფერი შემოგწირეთ, ყველაფერიო!" ეუბნება ის თავის ქალებს, — როცა ყველა ეს გვესმის, რა საშინელ სახით გვეჩვენება ამ დროს ადამიანის უმადურობა! როგორის წმინდა გრძნობით ვსდებთ ყველანი ამ წუთში მშობლურის სიყვარულისა და პატივისცემის აღთქმას!

„მაგრამ სცენის მოქმედების ასპარეზი კიდევ უფრო დიდია. იქაც კი, სადაც ქვეყნიურ კანონებისათვის უღირსად და შეუფერებლად ითვლება თვალყურის ჭერა, სცენა ზრუნავს ჩვენს გასანათლებლად და ასამაღლებლად. საზოგადოების ბედნიერებას აბრკოლებს და ხელს უშლის როგორც ბიწიერება, ისე ადამიანთა სისულელე და უჭკუობა. გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ადამიანთა ურთიერთობის ქსელში ხშირად მძიმე და მნიშვნელოვანი მოვლენანი ძალიან მოკლე და წვრილ ძაფებზე არიან აქსოვილნი, და თუ ჩვენ თვალს გავაყოლებთ მოქმედებას მის დასაწყისამდის, ათასჯერ მოგვიხდება გაცინება, ვიდრე იმ შემთხვევამდის მივიდოდეთ, როცა უნდა აღვშფოთდეთ... მე ვიცი ერთადერთი იდუმალი საშუალება, რომ ადამიანი დავიცვათ და დავიფაროთ ზნეობრივის გაფუჭებისაგან; ეს საშუალებაა — ადამიანის გულის დაფარვა უძლურობისაგან. თეატრს შეუძლია შეასრულოს უდიდესი წილი ამგვარ მოქმედებისა. იგი უჩვენებს სარკეს სულელთა მრავალრიცხოვან კლასს და გამკურნებელის დაცინვით არცხვენს მათ. რასაც იგი ზემოდ ნახსენებში ლმობიერებითა და ძრწოლა-შიშის გამოწვევით ასრულებს, იმასვე აქ დაცინვისა და სატირის საშუალებით აღწევს. თუ კომედიასა და ტრაგედიას შევადარებთ ერთმანეთს ადამიანზე ზემოქმედების სიძლიერის მიხედვით უთუოდ უპირატესობა პირველს ერგება. დაცინვა და ზიზღი უფრო

მწვავედ ხვდება ადამიანის ამპარტავნებას, ვიდრე სინიდისს — უზნეო საქციელის ჩვენება. სულმოკლეობა ძალას ატანს ადამიანს, — საშინელ მოვლენას თვალი აარიდოს, ხოლო იგივე სულმოკლეობა მწვავედ გვაგრძნობინებს სატირის მათრახს. ჩვენ ხშირად ნებას ვაძლევთ მეგობარს, ჩვენი გრძნობა და ხასიათი გაჰკიცხოს, მაგრამ ძნელად ვაპატიებთ, თუ დაცინვა დაგვიწყო. ცუდი საქციელის გამო ჩვენ ასე თუ ისე ვითმენთ მეთვალყურეს და მსაჯულს, მაგრამ ქარაფშუტობაში ვერ ვიწყობით მოწმეს. მხოლოდ თეატრს შეუძლია დასცინოს ჩვენს სისუსტეს, რადგან ივი ჰზოგავს ჩვენს მგრძნობიარობას და სახელებს არ ახსენებს. გაუწითლებლად ვუცქერით ჩვენს ნიღაბს, რომელიც გვეცლება სარკეში, და გულში მადლიერნი ვრჩებით ასეთ მშვიდ დარიგებისათვის.

„მაგრამ ამ თეატრის მოქმედების ასპარეზი ამითაც არ თავდება. თეატრს შეუძლია უფრო, ვიდრე სხვა რომელსამე საზოგადო დაწესებულებას, შეიქმნეს პრაქტიკულ ცხოვრების სკოლა, მოქალაქობრივ ურთიერთობაში გზის მაჩვენებელი და ადამიანის სულის საიდუმლოებათა ამხსნელ-გამრკვეველი. მრწამს, რომ თავმოყვარეობა და სინიდისის ჯიუტობა არა იშვიათად აქარწყლებს მის კეთილ გავლენას, რომ ათასი ბიწიერება უტიფრად სწევს თავს მაღლა სათეატრო სარკის წინ, ათასი კეთილი გრძნობა, თეატრისაგან წარმოშობილი, მაყურებლის ცივს გულს არ ხვდება და უნაყოფოდ იკარგება: თანახმა ვარ, რომ, იქნება, მოლიერის ჰარპაგონს არც ერთი ძუნწი არ გაუსწორებია, რომ კარლ მოორის თავგადასავალს გზებზე ყაჩაღები არ მოუსპია. მაგრამ ასეც რომ შევზღუდოთ და შევამციროთ თეატრის დიდი გავლენა, სულაც რომ უარვყოთ — უსამართლოდ — სცენის მოქმედების ძალა, მაინც თეატრის წილად ბევრი რამ დარჩება. თუ თეატრი არ ამცირებს ბიწიერების რაოდენობას, — გვიჩვენებს, დასანახად ჰხდის მაინც ამ ბიწიერებას. ჩვენ იძულებულნი ვართ, ამ ბიწიერ და ტუტუც ადამიანებთან ვიცხოვროთ საზოგადოებაში. ან უნდა გავექცეთ და ან უნდა შევხვდეთ ხოლმე მათ; ან უნდა ვსძლიოთ ან — დავემორჩილოთ. ეხლა ისინი მოუმზადებელთ მაინც თავს ვერ დაგვეცემიან, — თეატრმა გვასწავლა მათი გამოცნობა. თეატრმა ჩამოაცალა მლიქვნელს ნიღაბი და აღმოგვიჩინა ბადე, რომელსაც გვიგებს ცბიერობა და გაიძვერობა. ცრუობა და მოტყუება მან ბნელეთიდან სინათლეში გამოიტანა და მთელს ქვეყანას დაანახვა. იქნება, მომაკვდავმა სარამ ვერ შეაშინოს გარყვნილი ადამიანი და შეცდენის საშინელმა სურათმა ვერ გაუნელოს ამას ვნებათა ღელვის ცეცხლი, მაგრამ ჩვენ იმითაც კმაყოფილნი უნდა ვიყოთ,

რომ უმანკოება აქ გაეცნო შეცდენის ხიფათს და ისწავლა, — არ ენდოს ცრუ ფიცს და მოღალატე თაყვანისცემას.

„თეატრის წყალობით ჩვენ მეტის ყურადღებით ვეპყრობით არა თუ ადამიანს და მის ხასიათს, არამედ — ბედ-იღბალსაც და ვსწავლობთ მის ატანას. ჩვენს ცხოვრებაში გათვალისწინებულ გეგმას და აგრეთვე შემთხვევასაც დიდი როლი უჭირავს; გეგმით ჩვენ ვხელმძღვანელობთ, ხოლო შემთხვევას უნდა დავემორჩილოთ. ჩვენთვის დიდად სასარგებლო და გამოსადეგია, თუ შევსძლებთ აუცილებელ უბედურებას მაგრად და მამაცურად შევხვდეთ. ასეთი მოვლენანი სცენაზე უკვე გვინახავს და ამით ჩვენს გულს ეძლევა მეტი სიმტკიცე და სიმაგრე უბედურების ასატანად. თეატრი ადამიანის ტანჯვის მრავალგვარ სურათებს გვიდგენს თვალწინ. მას გადავყევართ ხელოვნურად სხვის ტანჯვასა და დარდებში, გვაყრევინებს სასიამოვნო ცრემლებს და გვმატებს გამოცდილებასა და სიმამაცეს. მისი დახმარებით ჩავდივართ შიმშილის ციხეში უგოლინოსთან, ავდივართ სახრჩობელაზე და ვუცქერით სიკვდილს თვალებში. აქ ჩვენ ვამჩნევთ, თუ როგორ ამაგრებს და ამტკიცებს ჩვენს არსებაში ბუნება იმას, რასაც წყნარად გრძნობდა ჩვენი სული.

„ესეც ცოტაა: სცენა გვაცნობს არა მარტო კაცობრიობის ბედ-იღბალს, — იგი გვინერგავს გულში უბედურთა მიმართ სამართლიანობისა და სიბრალულის გრძნობას. როცა სავსებით ვავიგებთ უბედურ ადამიანის ტანჯვა-წვალების სიღრმეს, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება სამართლიან მსჯავრის წარმოთქმა მასზე... კაცთ-მოყვარეობა და რწმენის თავისუფლება ხდება უმთავრესი პრინციპი ჩვენის დროისა, — იგი ახწევს სასამართლომდის და თვით მეფეებამდინაც. და რა დიდი წილი უდევს ამ კეთილშობილ აზრების გავრცელების საქმეში თეატრს! განა თეატრმა არ გააცნო ადამიანი ადამიანს და არ დაანახვა ცხოვრების ის იდუმალი მექანიზმი, რომელსაც შეეთანხმება მისი მოქმედება? განსაკუთრებით საზოგადოების მაღალი კლასი უნდა იყოს მადლიერი თეატრისა. ამა ქვეყნის ძლიერთ მხოლოდ აქ ესმით ის, რასაც სხვაგან ვერსად გაიგონებდნენ, — ჭეშმარიტება: მხოლოდ აქ ჰხედავენ და იგებენ ისინი იმას, ვისაც სხვაგან ვერსად დაინახავდნენ, — ადამიანს.

„აი, ასე დიდი და მრავალგვარია კარგი თეატრის ღვაწლი ზნეობრივ განვითარებისათვის. ნაკლები სარგებლობა არ მოაქვს თეატრს გონებრივ განვითარების მხრივაც. მაღალი გონება და აღრფთოვანებული პატრიოტიზმი მხოლოდ აქ ჰპოებს თავისთვის მდიდარ საზრდოს. ადამიანის თვალი აქ მთელს კაცობრიობას დასცქერის ადარებს

ერთმანეთს ხალხებს, საუკუნეებს და ჰხედავს, თუ რა ცრუ-მორწმუ-ნოებათა და ყალბ აზრთა მონურ ჯაჭვით არის შებოჭილი კაცობრიობის უმრავლესობა, რომელიც მუდამ იმის მუშაობასა და ცდაშია, რომ დააქციოს თავისი ბედნიერება; იგი ჰხედავს, რომ ჭეშმარიტების სხივები მხოლოდ რამდენსამე ადამიანს აშუქებს. როგორ, რა საშუალებით შეუძლიან თუნდა უუბრძნეს კანონმდებელს აგემოს ხალხს ის გონებრივი მადლი, რომელიც ამ განათლებულთ აქვთ? თეატრი ის საზოგადოებრივი არხია, რომელიც იოებს სინათლის შუქს ხალხის საუკეთესო, მოაზრე ნაწილისაგან და ავრცელებს მთელს სახელმწიფოში. ნათელი იდეები, სწორი შეხედულებანი, წმინდა გრძნობანი — სულ ყველა აქედან გამომდინარეობენ და იფანტებიან ხალხის ძარღვებში. უვიცობის ბურუსი და ცრუმორწმუნეობის ბნელეთი იფანტება და ღამის ადგილას განმანათლებელი დღე დგება... არ მოიძებნება საქმე, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი იყოს საზოგადოებისათვის, ვიდრე ადამიანის აღზრდა, მიუხედავად ამისა, ამ საგანზე ძალიან ცოტა ყურადღებაა მიქცეული. თეატრს შეეძლო საშინელის სურათებით წარმოედგინა საზოგადოებისათვის უბედურნი მსხვერპლნი უხეირო აღზრდისა. აქ მამები იგრძნობდნენ მიღებულ წესის შეცვლის საჭიროებას და დედები დაეჩვევოდნენ გონივრულ სიყვარულს. ყალბ რწმენა-შეხედულებას საუკეთესო აღმზრდელიცკი შეცდომაში შეჰყავს; მით უარესია, როცა ამ გვარ შეხედულებას „მეთოდის“ სახელით ადიდებენ და ნორჩ ბავშვებს სკოლებში გონებრივად ამახინჯებენ.

„არ შემიძლია უყურადღებოდ და მოუხსენებლად დავტოვო აქ ის დიდი გავლენა, რომელიც კარგად მოწყობილმა თეატრმა შეიძლება იქონიოს ხალხის თავისებურობაზე (Geist). თავისებურობას ვეძახი აზრთა და მიდრეკილებათა მსგავსებასა და თანხმობას ისეთ საგნების შესახებ, რომლებზედაც სხვა ხალხნი სხვა ნაირად ფიქრობენ და გრძნობენ. თეატრს შეუძლია გააძლიეროს ეს თანხმობა, რადგან იგი სარგებლობს კაცობრიობის ცოდნის ყველა დარგებით, ეხება ცხოვრების ყველა გარემოებათ, იხედება ადამიანის გულის სიღრმეში: შეუძლია ეს, რადგან იგი აერთებს თავისში ყველა წოდებასა და კლასებს და ჰმართავს ფართო გზას გონებისა და გრძნობისაკენ. ყველა ჩვენს პიესებში ერთი მთავარი საერთო მიმართულება რომ იყოს გატარებული, ყველა ჩვენი მწერლები რომ შეთანხმდებოდნენ და ამ მიზნისთვის ერთ მაგარ კავშირს შეადგენდნენ, რომ ისინი თავის შრომის საგანს არჩევით იღებდნენ, მათი მხატვრობითი ნიჭი რომ მარტო სახალ-

ხო საგნებს დაამუშავებდეს, — ერთის სიტყვით, ჩვენ რომ სახალხო თეატრს მოვესწრებოდეთ, მაშინ კიდეც გავერთიანდებოდით და ერთი ერის შემადგენელი გავხდებოდით. განა რა აკავშირებდა ბერძნებს ამ ოროდროდ ერთმანეთთან? რა იზიდავდა ძველად ხალხს თეატრში? სხვა არაფერი, თუ არა პიესების მშობლური შინაარსი, მათში გამოხატული ბერძენთა ხალხისნური თავისებურობა და საზოგადოებრივი ინტერესი. არის კიდევ ერთი საყურადღებო ღირსება, რომლითაც შეუძლია თავი იქოს თეატრმა. დღემდის ზოგიერთებს საეჭვოდ მიაჩნდათ, რომ თეატრს არსებითი გავლენა აქვს ხალხის ზნე-ჩვეულებასა და განათლებაზე; მაგრამ რომ ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის, რომელნიც ფუფუნებისა და გართობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არიან შექმნილნი, თეატრს უპირატესობა ეკუთვნის, — ამას მისი შეურიგებელი მტრებიც კი სცნობენ და აღიარებენ.

„ადამიანის ბუნება ვერ იტანს ზრუნვისა და მუშაობისაგან წარმომდგარ მუდმივ ტანჯვას. ადამიანი, ცხოველურ სიამოვნებით გამაძღარი ან ხანგრძლივის მუშაობით დაღლილი, მიისწრაფვის სხვაგვარ მოქმედებისაკენ, — ან უფრო მაღალ, კეთილშობილურ გასართობს ეძებს, ან ვარდება ჭუჭყიან გართობის მორევში, რომელიც იწვევს მის ზნეობით დაცემულობას და საზოგადოების მყუდროების დარღვევას. გარყვნილი გართობა, ათასგვარი საძაგლობა, რომელსაც უქმად ყოფნა ჰბადებს, აუცილებელი შეიქნება, თუ კანონმდებელმა ვერ შესძლო ხალხის მოთხოვნილებისათვის უკეთეს მიმართულების მიცემა. ამ შემთხვევაში, შეიძლება, საქმის კაცი დრო-გაბოშვებით აუტანელმა მოწყენილობამ მოიცვას, სწავლული სასაცილო პედანტად გადაიქცეს, ხოლო დაბიო ხალხი სრულიად გაპირუტყვდეს. თეატრი ისეთი დაწესებულებაა, სადაც სიამოვნება გონების საზრდოსა და დროს გატარება განათლებას უერთდება, სადაც არც ერთი ძალა სულისა სხვა ძალის საზიანოდ არ მაღლდება, არც ერთი სიცოცხლის მავნებელი სიამოვნება არ იგემება. როცა ჭმუნვარებითა და შავი ფიქრებით ვართ მოცული, როცა გულში ათასი დარდი და საზრუნავი გვიდევს, — გვართობს თეატრი. ამ ხელოვნურ ქვეყანაში ნამდვილი ქვეყნიერობა გვავიწყდება, ჩვენი მგრძნობიერობა იღვიძებს, ნაგრძნობი სულის მოძრაობა ჩვენს მთვლემარე ბუნებას სიცოცხლეს აძლევს და ძარღვებში სისხლს ამოძრავებს. უბედურს შეუძლია აქ სხვის უბედობის გამო თავის ჭირ-ვარამზე იტიროს, ბედნიერს შეუძლია თავდაჭერილობა შეითვისოს. გასათუთებული ადამიანი აქ მაგრდება და უგრძნობელი იგრძნობს შთაბეჭდილებას. და რა დიდი გამარ-

ჯვეგაა ეს ბუნებისა. როცა სხვა და სხვა წრისა, წოდებისა და კლასის ადამიანნი იშორებენ ხელოვნურ მოდის ბორკილს და, ვითარცა ძმანი, უახლოვდებიან სიმპატიით ერთმანეთს, ადგენენ ერთ წრეს, ივიწყებენ თავის თავსაც და დედა-მიწასაც და მაღლდებიან ზეცამდის! თითოეული აქ მყოფი აღტაცებაში მოდის საერთო აღტაცებით და მის გულს ეხლა ერთად-ერთი გრძნობა იპყრობს: — რომ იგი ა დ ა მ ი ა ნ ი არის.“

ეს არის შილერის წერილი, რომელიც თეატრის ზნეობრივ მნიშვნელობას არკვევს და ჩვენ აქ—შემთხვევით ვისარგებლეთ და — თითქმის უკლებლივ გადმოვთარგმნეთ. რასაკვირველია, შილერი, ვითარცა იდეალისტი, ძალიან იდეალისტურად უცქერის საგანს და აქა-იქ თეატრს ისეთ გავლენასა და ნაყოფს აწერს, რომელიც სცენას სამდვილად არ აქვს. მაგრამ რაც უნდა გადაჭარბებული იყოს ეს ქებადიდება თეატრისა. იგი მაინც ბევრ სიმართლესა და ჭეშმარიტ აზრს ‘ძეიცავს. თეატრს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის როგორც ზნეობრივ ამაღლებისა, ისე გონებრივ განათლებისა და ეროვნულ გათვითცნობიერების მხრით. დღევანდელ ჩვენი ცხოვრების პირობებში თეატრი ერთად ერთი დაწესებულებაა, სადაც ქართველ საზოგადოებას შეუძლია ცოცხალისა და გამტაცის სიტყვის საშუალებით გაიცნოს ზნეობის მაღალი იდეალები, საზოგადოებრივი ურთიერთობა და დამოკიდებულებანი, საეროვნო საჭიროებანი და ინტერესები. როგორც ვთქვით, თეატრი სახალხო სკოლაა, რომელსაც დიდი მოვალეობა აწევს თავის და ღიდი საზოგადოებრივი როლი აქვს. და ყოველი შეგნებული ქართველი ვალდებულია ხელი შეუწყოს თეატრის ამ მაღალ დანიშნულების შესრულებას და მისი მოქმედების განაყოფიერებას.

რასაკვირველია, სათეატრო შენობის აგება და ქართულ წარმოდგენებისათვის შესაფერ სამუდამო ბინის გაჩენა მხოლოდ ერთი საჭირო და სასარგებლო ღონისძიებაა მიზანთან დასაახლოებლად. მარტო შენობა, რა თქმა უნდა, ვერ მოსპობს ქართულ თეატრის დღევანდელ კრიზისს და ვერ შეგვიქმნის ამ მხრით სასურველ მდგომარეობას. ჩვენი თეატრის კრიზისი უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ჩვენში სათეატრო საქმე და მუშაობა ჯერ კიდევ საქველმოქმედო ნიადაგს ვერ გასცილებია და ქართული სცენა ქართველ საზოგადოებას ღრმა მოთხოვნილებად ვერ გადაჰქცევია. თეატრის ნივთიერი წყარო და საფუძველი დღესაც მცირე და სუსტია: ქართულ წარმოდგენებს ისე ცოტა ხალხი ესწრება, რომ შემოსავალი ვერ უზრუნველ-

ჰყოფს თეატრს და თეატრის მუშაკთ. საეკონომიო მეცნიერების ტერმინოლოგიას თუ ვიხმართ, სათეატრო წარმოების ხარჯები მეტია, ვიდრე ის ფასი, რომელსაც იძლევა საზოგადოება. ამიტომ ქართულ სათეატრო საქმეს ყოველთვის დეფიციტი ახლავს. და ეს იმას ნიშნავს, რომ თეატრს ჯერ კიდევ მკვიდრი ნიადაგი არ აქვს მოპოებული. ამ „უმკვიდროობის" მიზეზი უფრო რთული და მრავალ-მხრივია, ვიდრე შენობის კედლის დახეთქა ან შესაფერ ბინის უქონლობა. თეატრი სამი მთავარი ელემენტისაგან შესდგება; მას შეადგენს: საზოგადოება, რომელიც „მომსმარებელი" ანუ მგემებელია სასცენო ხელოვნებისა, მასალა ანუ გონება-ზნეობის საზრდო, რომელსაც შეიცავს სცენაზე წარმოდგენილი პიესა, და თამაშობა ანუ არტისტიული ხელოვნება, რომელიც განსაზღვრულის სახითა და გამოხატულებით გადასცემს მაყურებელთ პიესას და ამ გვარად უშლის მათ თვალწინ ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენას. თუ ქართული თეატრი სასურველად ვერ მოქმედობს და კრიზისს განიცდის, ამის მიზეზი ამ სამ ელემენტში — საზოგადოებაში, რეპერტუარში და მსახიობებში — უნდა მოვძებნოთ და გამოვიკვლიოთ.

დავიწყოთ „საზოგადოებიდან". პირველი—მაგრამ მთავარი კი არა! — მიზეზია საზოგადოდ ქართველობის რიცხვითი სიმცირე და მასში მოქალაქეობრივობის განუვითარებლობა. ჩვენი ხალხის დიდძალი უმოავლესობა სოფლის მცხოვრებია და არა ქალაქისა, თეატრის მოქმედების ასპარეზი კი ქალაქით და ქალაქის მცხოვრებლებით განისაზღვრება. თუმცა თანდათან იზრდება და მატულობს ქალაქებში ქართველი ელემენტი, მაგრამ რიცხვით მაინც დიდი არაა. ამიტომ თეატრში მოსიარულე საზოგადოება იმ საზომით ვერ გაიზომება ქართველებში, როგორც რუსეთისა ან ევროპის დიდ ქალაქებში. პარიზის თეატრში, მაგალითად, ერთი და იგივე პიესა მთელი წლის განმავლობაში ყოველ დღე იდგმება და მიუხედავად ამისა, თეატრი ყოველ დღე ხალხით სავსეა, მაგრამ ეს პარიზია და არა ტფილისი; პირველი, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, რამდენსამე მილიონ ხალხს შეიცავს და ამიტომ ათასჯერ განმეორებული პიესაც ყოველთვის პოულობს დამსწრედ ახალ საზოგადოებას.

მეორე მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ ჩვენი სიღარიბე და ხელმოკლეობა. დღეს ჩვენში ისეთი სოციალ-პოლიტიკური პირობები არსებობს რომ ქართველისთვის ქალაქში ფეხზე წამოდგომა და ეკონომიურად გაღონიერება ძალიან ძნელი და გასაჭირი საქმეა. ქართველ ინტელიგენციისათვის სახელმწიფო სამსახურის კარები თან და თან იხშვება. კერძო დაწესებულებები ქართველების ხელში არაა, — ესენი სხვებს, ეკონომიურად უფრო ღონიერებს, აქვთ და მოსამსახუ-

რეთა ადგილებიც სულ მათიანებს უჭირავთ. სახელმწიფო სამსახურია თუ კერძო, ვაჭრობაა თუ მრეწველობა, — ქართველს ყველგან შედარებით მცირე თანამდებობის ადგილი უკავია და ამის მიხედვით შემოსავალიც მცირე აქვს. ხოლო თეატრში წასასვლელად საჭიროა ბილეთის ყიდვა და ცოტად თუ ბევრად სუფთა ტანისამოსის ჩაცმაც. ქართველობის საერთო სიღარიბე ცოტად არ ამცირებს თეატრის შემოსავალს.

მესამე: მცირე და უმნიშვნელო მიზეზი არაა ჩვენი საზოგადო განუვითარებლობა და ეროვნულ თვით-ცნობიერების უქონლობა. შეგნება და განვითარება რომ არ გვაკლდეს, მაშინ, მიუხედავად რიცხვითი სიმცირისა და ნივთიერ სიღარიბისა, ქართულ თეატრს ბევრად მეტი საზოგადოება ეყოლებოდა, ვიდრე დღეს ჰყავს. მაგრამ საქმეც ესაა, რომ ჩვენ ინდიფერენტიზმით ვართ გაჟღენთილი და ნაკლებ გვახსოვს საერთო ხალხსნურ განვითარებისა და წარმატების საკითხი. წრევანდელი სეზონი „ამხანაგობამ" გიორგი ერისთავის პიესების საიუბილეო წარმოდგენით დაიწყო. მოსალოდნელი იყო, ჩვენი არისტოკრატია და საერთოდ „განათლებული" საზოგადოება პატივს სცემდა ამ კაცის საშვილიშვილო და დაუვიწყარ ღვაწლს, რომელმაც ხაფუძველი დაუდვა ქართულ თეატრს და დრამატიულ ხელოვნებას, და დაესწრებოდა მის სახსოვრად გამართულ წარმოდგენას. ეს მოსალოდნელი იყო და მოლოდინი კიდევაც გამართლდებოდა სხვა განათლებულ ხალხში, მაგრამ ჩვენში ასე არ არის, სწორედ ის ადგილები, რომლებიც უნდა სჭეროდა თეატრში ამ „საზოგადეობას", სრულიად გაუყიდველი დარჩა და თეატრი სანახევროდ ცარიელი გახლდათ. გ. ერისთავის მარტო ახლობელი და შორეული ნათესავები რომ მოსულიყვნენ, რომელთაც ბანქოში ფულის წაგება ყოველთვის ეხერხებათ, მაშინაც ქართულ თეატრს 20-30 თუმანი მეტი შემოსავალი დარჩებოდა. მაგრამ არა თუ ეროვნულმა თვით-ცნობიერებამ და შეგნებამ, — ნათესავურმა გრძნობამაც კი ვერ აიძულა ესენი, წარმოდგენას დასწრებოდნენ და ნათესავ დრამატურგისთვის პატივი ეცათ. და ეს პირველი და უკანასკნელი მაგალითი არაა. ჩვენი „ბრწყინვალე" წოდება და საზოგადოდ „მაღალი" საზოგადოება ქართულ თეატრს არ ეკარება. სწორედ ის ადგილები, რომლებიც უფრო შეძლებულთა ჯიბეს შეეფერება, ყოველთვის ცარიელი რჩება.

ერთის სიტყვით, ძალიან უგულო და ეროვნულად განუვითარებელ საზოგადოებასთან აქვს საქმე ქართულ თეატრს. ამის გამო მით უფრო მეტი მხნეობა და მეცადინეობა მართებთ იმ პირთ, რომელნიც ამ ასპარეზზე მოღვაწეობენ რომ საზოგადოება მიიჩვიონ, თეატრს დაუახლოვონ და ქართული წარმოდგენები შეაყვარონ. ამ მიზნის მიღწევა

შეიძლება წარმოდგენების ღირსების გაუმჯობესებით და დრამატიულ ხელოვნების ამაღლებით. ამიტომ, —

მეოთხედ, კარგ რეპერტუარის უქონლობა დიდ დაბრკოლებას შეადგენს თეატრისათვის. არ ვიცით, წელს რა პიესებს წარმოადგენენ ჩვენი არტისტები, ხოლო წარსულ სეზონში ისეთი უხეირო რეპერტუარი იყო, რომ ჩვენი თეატრის გულწრფელ მეგობარსა და მოყვარესაც კი შეეზარებოდა ქართულ წარმოდგენებზე დასწრება. სრულიად სამართლიანად სწერს ამ საგანზე ბ-ნი კალამი „ცნობის ფურცელში“ (№2615):

„დამახასიათებელი თვისება ქართულ თეატრისა არის მისი ყოვლად უვარგისი რეპერტუარი. ხეირიანი რეპერტუარის უქონლობა არ არის ისეთი უმნიშვნელო საგანი, როგორც შეიძლება ეგონოს ვინმეს პირველის შეხედვით: თუ აქტიორი ვარგა, მისთვის რის მაქნისია კარგი პიესა! ეს მეტად შემცდარი აზრია. პიესა მარტო მშრალი ფრაზები არ არის; იგი ნამდვილი სიცოცხლეა, სიცოცხლის წყარო, რომელიც ასაზრდოებს თეატრს და ყველაზე უწინარეს კი თვითონ აქტიორს. აქტიორი მარტო კი არ თამაშობს, იგი ასე თუ ისე ცხოვრობს პიესით, პიესის შინაარსი გადადის მის არსებაში, თუ ერთის მხრით აქტიორები ხორციელ ადამიანებად წარმოგვიდგენენ პიესაში აწერილ პირებს, მეორე მხრით ისიც უეჭველია, რომ თვით ამ პიესის პირები ასულდგმულებენ აქტიორებს. აქტიორი, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ „ბედს ვერ წაუხვალ“-ს, „მზის დაბნელება“-ს, „სიყვარულის ჯადო“-ს, „ორს დარაჯს“ და ამისთანებს თამაშობს, აუცილებლივ დაჰკარგავს იმ ნიჭსაც, რომელიც პირველად ჰქონდა, არამც თუ არ განვითარდება, — უკან დაიხევს და ხეირიანად ვერ წარმოადგენს იმასაც, რისიც უნარი ჰქონდა წინად. ადამიანის გონებამ ერთს წერტილზე გაჩერება არ იცის. — ან წინ მიდის, ან უკან... ცუდი რეპერტუარი ჰრყვნის აქტიორის ესტეტიურ გემოვნებას, ჰბორკავს მის ნიჭს და გონებას. ჩვენს ახალგაზრდა აქტიორებს ძლიერ სუსტი წარმატება ეტყობათ, ოთხიხუთი წელიწადი მუშაობენ სცენაზე და მცირე ნაბიჯი თუ გადადგეს წინ, ბევრია. რატომ? ამის მიზეზი, გარდა უხელმძღვანელობისა, არის კარგი რეპერტუარის უქონლობა. ჩვენი დღევანდელი რეპერტუარი პირდაპირ დამახშობელია ადამიანის ნიჭისა. საბრალო ახალგაზდა ქართველი მსახიობი მოკლებულია ხეირიანს ხელმძღვანელს, მოკლებულია ხეირიანს რეპერტუარს — საზრდოს, სავარჯიშო მასალას, ასპარეზს და, რასაკვირველია, ასეთ პირობებში იგი ვერ განვითარდება.

„ჩვენს აქტიორებს თავის გამართლება უყვართ იმით, რომ ხალხს მოსწონს ჩვენში რეპერტუარიო. ბევრი სიყალბეა ამაში...

ხალხი ერთ მთელს და წმინდა არსებას არ წარმოადგენს, — მასში კარგი თვისებებიცაა და ცუდიც. შეიძლება, მივეგებოთ მის ნაკლულევანებას, გავაძლიეროთ იგი და გავრყვნათ ხალხი; შეიძლება, უმთავრესი ჩვენი ყურადღება მივაქციოთ ხალხის ღირსებებს, კარგს გრძნობებს, უფრო გამოვაფხიზლოთ, გავაცხოველოთ ეს გრძნობები; შეიძლება, ამ უკანასკნელ მიზნისათვის მივმართოთ ისეთს ყალბ და მავნე იარაღს, როგორიც არის „მტარვალი", რომელიც ნაცვლად გონიერის პატრიოტობისა, აღუძრავს მაყურებელს ცრუ პატრიოტობას და მედიდურობას, ან, შეიძლება ვისარგებლოთ ისეთი სუსტი საშუალებით, როგორიცაა „გაძარცული ფოსტა", და, შეიძლება, მივაწოდოთ ამ ხალხს ისეთი ძვირფასი საზრდო, როგორიცაა „ორლეანელი ქალი", რომელსაც შეუძლიან მრავალ მხრივ დააკმაყოფილოს ხალხის სულიერი მოთხოვნილება. საქმეც ეს არის: გავარჩიოთ ხალხის ცუდი და კარგი მოთხოვნილება და ვიხმაროთ საუკეთესო იარაღი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხალხი ერთი და იგივე არაა მუდამ: ხალხი იზრდება, ვითარდება და ერთი და იმავე საკვებით ვერ დააკმაყოფილებთ მას ყოველთვის... დღეს ჩვენი საზოგადოება საერთოდ უფრო განათლებულია და მეტი მოთხოვნილებაც აქვს... მის ცხოვრებაში დღეს მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვაა აღძრული, აზრი აზრს ებრძვის, მიმართულება — მიმართულებას, თაობა — თაობას, ერი — ერს: ცხოვრება გართულდა, არავის აკმაყოფილებს აწმყო, ყველა უკეთესის ძიებაშია, მომავლისაგან ელის ხსნას; ცხოვრებაში გამოვიდნენ ახალი მოქმედი პირები, გაჩნდა სხვადასხვა ახალი მოძრაობა. ასეთია ჩვენი საზოგადოების ცხოვრება. მასში ისეთი სულიერი ბრძოლაა, როგორიც არ ყოფილა წინად: სწყურიათ ბრძოლა ყველაზე უფრო იმათ, რომელთაც სწყურიათ ცხოვრება. ეს საზოგადოება მოდის თეატრში და უნდა ნახოს იქ სარკე დღევანდელი ვითარებისა; არა. ეს მეტსაც თხოულობს, — თხოულობს, რომ თეატრმა წინ გადუშალოს ის იდეალური ფიქრები და გრძნობები, რომელნიც თვით საზოგადოებას ჯერ კიდევ სავსებით და ნათლად ვერ უგრძვნია და ვერ წარმოუდგენია. მოდის ჩვენი საზოგადოება ქართულ თეატრში, მაგრამ აქ არავინ აძლევს პასუხს მწვავე კითხვებზე, თითქოს ქართულ თეატრში სხვა ადამიანები არიან, სხვა განყენებული ცხოვრებით ცხოვრობენ, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს დღევანდელ ნამდვილ ცხოვრებასთან".

მაგრამ, რასაკვირველია, მარტო კარგი რეპერტუარი არ კმარა თეატრში საზოგადოების მისაზიდად და ქართულ სცენისადმი ინტერესის გასაძლიერებლად. პიესას ხომ წარმოდგენა სჭირია, — ხელოვნური თამაშობა უნდა. ჩვენ ისე არ ვცხოვრობთ, რომ მაღალი კედელი

ვექონდეს გარს შემოვლებული და უცხოთაგან განცალკევებული ყოფილ. ჩვენში არსებობს არა მარტო ქართული თეატრი, — აქ იმართება უცხო ენაზე ოპერები და დრამები. ჩვენი საზოგადოების დიდმა ნაწილმა კარგად იცის ეს უცხო ენა და, რა თქმა უნდა, ყარადაგესებ-ე იქ ყავა, სადაც უკეთ დაიკმაყოფილებს თავის ესტეტიურ მოთხოვნილებას. აქ უცხო დრამა ქართულს დიდ კონკურენციას უწევს და ამ გარემოებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრის ბედ-იღბალისათვის. ქართული თეატრი მარტო ამ საფუძვლით კი არ უნდა მიჰმართავდეს ჩვენს საზოგადოებას თანაგრძნობისათვის, რომ „ქართულია", ეროვნულია, — იგი უნდა უკმაყოფილებდეს კიდეც დამსწრეთ ესტეტიურ გრძნობას და გონებრივ მოთხოვნილებას. დღესდღეობით უფრო დაბალი ხალხი ესწრება ქართულ წარმოდგენებს და საქმით, ესე იგი ოფლით მონაგარ ფულის გამოღებით, თანაუგრძნობს ქართულ სცენას, რადგან მას უცხო ენაზე უფრო ქართული ეხერხება და მხოლოდ ქართულ ენაზე შეუძლია იგემოს დრამატიული ხელოვნება. მას დღეს ასე თუ ისე აკმაყოფილებს ქართული წარმოდგენა. მაგრამ ამ ხალხის დონეზე არ სდგას საზოგადოების განათლებულ ნაწილის ესტეტიური გემოვნება და მოთხოვნილება. ქართული თეატრი მხოლოდ მაშინ მიიზიდავს თავისკენ და მკვიდრად დაიკავშირებს ამ საზოგადოებას, როცა, ხელოვნების ღირსების მხრით, ამაღლდება და ადგილობრივ უცხო მეტოქეს გაუთანაბრდება. მართალია, ამის დიდი შრომა და გარჯა უნდა, მაგრამ უშრომლად ხომ არაფერი გაკეთდება.

სამწუხაროდ, ჩვენი მსახიობები ძალიან მჩატედ ეპყრობიან ამ გარემოებას და თითქოს არ ესმით, რომ მხოლოდ თეატრის ღირსების განკარგებით შეუძლიათ გააძლიერონ საზოგადოებაში თეატრისადმი ინტერესი და თანაგრძნობა. რასაკვირველია, რამდენიც უნდა ვისურვოთ და ვეცადოთ, გენიოსებს ვერ გავაჩენთ, მაგრამ მეცადინეობასა და შრომის მოყვარეობას შეუძლია ისეთი შედეგი შეჰქმნას, რომელიც დიდად სასახელო და ნაყოფიერი იქნება. ქართულ ზარმაცობით ჩვენ ვერ შეგასრულებთ იმ დიდ დანიშნულებას, რომელიც უდევს წინ ქართულ თეატრს. ნაცვლად წინსვლისა, ამ ქართულ სცენის მეოხებით ჩვენი აქტიორები, ორიოდ კაცს გარდა, სულ უკან-უკან მიდიან მაგალ., 30 წელიწადია ერისთავის პიესებს თამაშობენ. მაგრამ როლების სწავლას მაინც არაფერი ეშველა: შარშან გვარიანად წარმოდგენილი „შტოკმანი" წელს ისე საბაგლად ითამაშეს, რომ მათი ყურება საზოგადოებისათვის ნამდვილი ინკვიზიცია იყო...

იქნება თქვათ: აქტიორებმა რა ჰქნან, როცა ასეთ ნივთიერ გაჭირვებაში არიან და ამ გაჭირვების გამო ხშირად თავის ბედ-იღბალს

იწყევლიანო. მართალია, მათი შევიწროებული მდგომარეობა ყველამ ვიცით, მაგრამ ამას არაფერი ეშველება, სანამ თეატრის საქმე მკვიდრ და საიმედო კალაპოტში არ ჩადგება. ქართველ საზოგადოების გათვით-ცნობიერება და ქართულ დრამატიულ ხელოვნების ამაღლება — აი, რა მისცემს ჩვენს თეატრს მკვიდრ საფუძველს და ნაყოფიერ მიმდინარეობას. და სცენის მუშაკთ პირადი ინტერესიც ჩასჩიჩინებს და ძალას ატანს, ყოველი მათგან შესაძლებელი საშუალება იღონონ, რათა სწრაფი მსვლელობა მისცენ თეატრის წარმატებას. ამ წარმატებას ვერ მოვესწრებით, თუ მათი შრომა-მეცადინეობა ეხლანდელს დონეზე შეჩერდა და მათს წრეს ახალი ნიჭი და მომქმედი ძალა არ შეემატა.

დროა შევიგნოთ, რომ სცენაზე მუშაობა ისეთივე საჭირო და სასარგებლო საქმეა, როგორც სხვა საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობა. ჩვენში მრავალი სტიპენდიები იხარჯება კოლლეჯსკი ასესორების გასამრავლებლად. ვითომ ცუდი იქნება, ორი-სამი სტიპენდია სცენის ახალ მუშაკთა მოსამზადებლადაც რომ გადავდვათ?

ჟურნ. „მოამბე". 1907 წ. № X (გვ. 117—137).

შინაური მიმოხილვა

საყურადღებო იუბილე

1864 წლის 8 ნოემბერს ტფილისის გუბერნიაში გამოაცხადეს გლეხთა განთავისუფლება ბატონ-ყმობისაგან. წელს 8 ნოემბერს შესრულდა 40 წელიწადი, რაც ჩვენში ბატონ-ყმობა გადავარდა, მოისპო ძველი ფეოდალური ურთიერთობა და გლეხობას მიენიჭა პირადი თავისუფლება და მოქალაქეობრივი უფლება. ეს ისტორიული მოვლენა, თავის სოციალ-ეკონომიურის შედეგითა და გავლენით, იმდენად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, რომ მის 40 წლის იუბილეს ვერ დავტოვებთ შეუმჩნევლად და ჩვენი მკითხველისათვის განუმარტებლად. 40 წელიწადი თავის თავად დიდი დრო არაა, მაგრამ ამ ჩვენს აჩქარებულსა და აბობოქრებულს ეპოქაში საკმაოდ გრძელი ხანი არის. ამ ხნის განმავლობაში, შეიძლება ვთქვათ, ძირიანად შეიცვალა ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და სულ სხვა ხასიათისა და გამოხატულების გახდა საზოგადოებრივი ურთიერთობა. წინანდელ წყობილების მოგონება და მერმინდელ ცვლილების გათვალისწინება ბევრის მხრით საინტერესო და საგულისხმიეროა.

ძველი ბატონ-ყმობა ისეთ წეს-წყობილებას წარმოადგენდა, როცა

მიწათ-მომქმედი იურიდიულად და ეკონომიურად დამოკიდებული იყო მემამულისაგან. ძველის-ძველ დროში ცხოვრება ისე მოწყობილი და განწესრიგებული არ იყო, როგორც დღესაა. ომი, თავს-დასხმა, ერთი თემისაგან მეორე თემის აოხრება და დაწიოკება ყოველ-დღიურ მოვლენას შეადგენდა. ამ გარემოებამ გამოიწვია მეომართა კლასის ანუ წოდების წარმოდგომა და განვითარება. მოხდა, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივი განაწილება მოქმედებისა და სამსახურისა. ამ მეომართა კლასმა, რომელნიც სხვებისაგან პირველად უფლებით არ განირჩეოდნენ, მოიპოვა თანდათან ეკონომიური ძალა, საზოგადოებრივი ხარისხი და უპირატესობა. ეს ხარისხი მემკვიდრეობითი შეიქნა და თვით მხედრობის წარმომადგენელი წოდება გახდა პატრონი ომში მოპოებულ ტყვეთა და დაპყრობილ ადგილებისა. ეს ტყვეები, მონებად გადაქცეულნი, იძულებულნი იყვნენ დამპყრობელთა მამულზე ემუშავათ და მათთვის სხვა-და-სხვა გვარი გადასახადი და ბეგარა ეხადათ. და ერთხელ ამ გვარად წარმომდგარი სოციალური უთანასწორობა შემდეგ თანდათან განმტკიცდა და განვითარდა. იმ მონების მდგომარეობაში ჩავარდნენ თავისუფალი მიწათ-მოქმედნიც, რომელთაც გაბატონებულმა წოდებამ მიწები ჩამოართვა და, გარდა სამხედრო გადასახადისა, თავის სასარგებლოდ სხვა-და-სხვა გვარი მუშაობა და ბეგარა დააკისრა. მამულები გაინაწილეს მთავრებმა, მეფეებმა, თავადებმა, ეკკლესია-მონასტრებმა, ხოლო გლეხები გახდნენ ამ მიწების მოსარგებლენი და ბატონთაგან როგორც ეკონომიურად, ისე პირადად დამოკიდებულნი. იმ შავ-ბნელს დროში, როცა თვით-ნებობა და ძალ-მომრეობა იყო გამეფებული, ისინიც კი, ვისაც შერჩენოდათ პირადი თავისუფლება ან ერთხელ თავი გამოესყიდათ და სხვისგან დამოკიდებულება მოეშორებიათ, ხშირად ცდილობდნენ თავი გაეყიდათ, ძლიერის მფარველობა მოეპოვათ და ამისთვის ყმობის უღელი და ვალდებულება ეკისრნათ.

ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებით ბატონ-ყმობის ისტორიის გამოკვლევას, ვერც სხვა-და-სხვა კატეგორიისა და ტიპის ყმების ყოფა-მდგომარეობის გამორკვევას. ეს საფუძვლიანად მხოლოდ ცალკე გამოკვლევაში შეიძლება მოხდეს. იმ მკითხველს, რომელსაც ეს „ისტორია“ ეინტერესება, მივუთითებთ ბ-ნ ა. ხახანაშვილის წიგნზე: „ბატონ-ყმობა საქართველოში“, რომელშიაც იგი გაიგებს, თუ როგორი იყო ბატონ-ყმური წყობილება ჩვენში საქართველოს რუსეთთან შეერთებამდის. ამ ავტორის სიტყვით, ყმა, უფლების მხრით, უარესს მდგომარეობაში არ იყო საქართველოში, ვიდრე საბერძნეთსა ან რუსეთში, ქართველი გლეხი არ იყო სრულიად მოკლებული პირადს და ქონებრივს უფლებას. იმას შეეძლო, ბატონის თანხმობით, მამულის გაყიდ-

ვა, აგრეთვე საკუთრებად შეძენა სამკვიდრო ქონებისა; შეეძლო მოწმედ ყოფნა, ვალის აღება და იმის გადახდა თავის სარჩოდან. „ბატონს არ ჰქონდა უფლება ყმის სისხლით დასჯისა; იგი იყო მხოლოდ „მფარველი და პატრონი". თავის ნებით ყმად შესული იმ პირობით მიდის ბატონთან, რომ დაიფაროს იგი და ეყოს პატრონად. ყმას, ბატონის თანხმობით, შეეძლო გადაეცა მიცემული მამული არამც თუ ვაჟისათვის, ქალისათვისაც კი, თუ უკანასკნელი დარჩებოდა საბატონო მამულზედ. ეს ქონებრივი და პიროვნული უფლება გვაძლევს საბუთს შევადაროთ ჩვენი გლეხი არა რუსების ყმას, არამედ გერმანელთა ნახევარ თავისუფალ ლიტებსა, ლაცებსა და ალდიებსა" (გვ. 122—123).

სჯულმდებელი ვახტანგ მე-VI შეეცადა თავის „დებულება"-ში განესაზღვრა და მოეწესრიგებია ყმებისა და მებატონეთა ურთიერთობა. მართალია, ამ „დებულება"-ში უმთავრესად ბატონების ინტერესებია დაცული და უზრუნველ-ყოფილი, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში მაშინდელ დროს და ამ საგნის შესახებ სხვა ხალხთა კანონმდებლობას, — უეჭველად, ვახტანგის კანონებში ბევრს კაცთმოყვარეობის გრძნობით გამოწვეულ დადგენილებასა და ყმათათვის სასარგებლო დაწესებას ვნახავთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ცხოვრება კანონმდებლობაზე უფრო ულმობელი გამოდგა და მან ყმა ბევრად უარეს მდგომარეობაში ჩააყენა, ვიდრე ამის ნებას იძლეოდა კანონი და ჩვეულება. „კანონ-მდებლობა და ჩვეულება — სწერს ბ-ნი ა. ხახანაშვილი (გვ. 82) — აძლევდა ყმას ბევრს გარანტიას, თავდებობითს საბუთებს, რომ ყმის პიროვნება, ქონება და პატივი კანონით დაცულია და განსაზღვრულია მოთხოვნილება ბატონისა ყმისაგან. ცხოვრებამ ჰუმანურსა და ბრწყინვალე მბარეს ვახტანგის სამართლისას პირი უბრუნა, თავდაუჭერელმა თვით-ნებობამ შემუსრა კაცობრიული (?) შეხედულება ყმის შესახებ, გაავრცელა უკანონო დამოკიდებულება ბატონთა და ყმათა შორის და შავი დღე დაუყენა... ცხოვრებამ და პრაქტიკამ დიდი ძალა მისცა ბატონს ყმაზედ, იგი გამეფდა ყმის პიროვნებაზე, ქონებასა და შრომაზე. კანონმდებლობა ხშირად ავიწყდებოდათ, როცა პრაქტიკა იმის შველას ითხოვდა. მაგ შუა შემაერთებელი ძაფი გაწყდა და საგრძნობლად შორს დარჩა ერთმანერთზედ კანონი და ცხოვრება. ვახტანგის კანონით, ბატონს არ შეეძლო ის, რაც მიანიჭა შემდეგ ჩვეულებამ". მაგალითად. 1) ვახტანგ მეფის დადგინებით, ბატონს უფლება ჰქონდა ყმა დაეტუქსა, დაეშინებია, ხოლო ჩვეულებამ მას ჯოხით ცემის უფლებაც მისცა, რასაც ერა იშვიათად სიკვდილი მოჰყვებოდა ხოლმე შედეგად; 2) ვახ-

ტანგმა დააწესა ზომა, დასდო საზღვარი ყმის სამსახურისა ბატონის წინაშე და უკრძალავდა შეეწუხებინათ გლეხი გარდამეტებულის სამსახურით; ცხოვრებამ კი ისე შეუხუთა სული და გაუჭირვა სიცოცხლე გლეხს, რომ იგი ბატონისაგან გარბოდა და შეღავათსა და შველას სხვაგან ეძებდა; 3) კანონით, ტყვეობისაგან თავის მეცადინეობით გამოპარული ტყვე თავისუფალი ხდებოდა; ჩვეულებამ ესეც ბატონის ნება-ყოფლობაზე მიაგდო და ასეთი ყმაც, რომელსაც უფლება ჰქონდა თავისუფალი ყოფილიყო, ბატონს დაუმორჩილა; 4) ბატონს არ შეეძლო აეკრძალა ყმისთვის გადასვლა ერთის ბატონისაგან მეორეთან, ცხოვრებამ კი აქაც გლეხს უფლება წაართვა და გადასვლის ნება მოუსპო; 5) წინეთ ყმების ყიდვა, თუ სულ აკრძალული არა, დაშლილი და რამოდენიმედ შეზღუდული მაინც იყო მაგრამ ცხოვრებამ ყმა პირდაპირ აღებ-მიცემობის საგნად გადააქცია და პირუტყვს გაუთანასწორა; გლეხებს არა თუ ჰყიდდნენ, — მზითვადაც ატანდნენ ქალებს, აგრეთვე აძლევდნენ აღებულის ვალის სარგებლის სახდელად, გირაოდ, ქრთამად და საჩუქრადაც; 6) კანონით, ბატონებს აკრძალული ჰქონდათ ობლების ძალად სახლში წაყვანა მოსამსახურეებად. ვახტანგი ცდილობდა პიროვნული უფლება მაინც მიენიჭებინა ყმისთვის და იმის ნებაზე დაეყენებინა მოახლედ წასვლა. ჩვეულებამ არც ეს უფლება მოაკლო ბატონს. ბატონებს არა თუ მიჰყავდათ მოსამსახურეებად ყმის ცოლი და ობლები, არამედ დედაკაცურს პატიოსნებაზედაც ძალ-მომრეობას ხმარობდნენ და ყმების ცოლებსა და ქალებს ძალად ნამუსს ჰხდიდნენ; 7) კანონმა მისცა გლეხს პიროვნული უფლება, მაგრამ ჩვეულებამ, თუნდა ყმა ყელამდის მართალიც ყოფილიყო, ჩამოართვა ბატონზე ჩივილის უფლება და სხვ. (გვ. 83—88).

ამგვარად, ბატონ-ყმური წყობილება საქართველოში ისე მტკიცე და სასტიკი გახდა, რომ ყმები სრულიად დამოკიდებულნი შეიქნენ ბატონებისაგან. მათი უფლებრივი ყოფა-მდგომარეობა ბევრით არაფრით განირჩეოდა მონურისაგან. გურია-სამეგრელოში იყო მთელი კატეგორია ყმებისა, რომელნიც მონებსავით თითქმის ყოველგვარ უფლებას იყვნენ მოკლებულნი. ამ კატეგორიას ეკუთვნოდნენ ესრედ წოდებულნი მოჯალაბენი. უფრო ხშირად მოჯალაბეს არ ჰქონდა არც სამკვიდრო და არც ბატონისაგან მიჩენილი მიწა, არც სახლ-კარი და მოძრავი ქონება; იგი ცხოვრობდა ბატონის სასახლეში და იქ ასრულებდა ბატონისათვის ყოველგვარ სამუშაოს. თავ. რაფ. ერისთავის სიტყვით, ბატონს შეეძლო მოჯალაბე გაეყიდა, როგორც ოჯახობით, ისე ცალ-ცალკე, შეეძლო ქალისთვის მზითვად გაეტანებია, სასახლეში მოჯალაბე თავის ცოლშვილითურთ — თუ ჰყავდა — ცხოვრობდა

ბატონის სუფრიდან გადანარჩენებულ სანოვაგით; სჭამდა ციცი ღომის ქერქს, გოგრას, ლობიოს, მწვანილს, რომელიც მოჰყავდა მასვე ბატონის ბოსტანში. მასვე ეკუთვნოდა ბატონისას დაკლულ საქონლის ჯიგარი. ტანზე იცვამდნენ მოჯალაბენი და მათი ოჯახის წევრნი ბატონების გამონაცვალ სამოსელს ან სხვა ვინმესაგან ნაჩუქარ ძონძებს. მოჯალაბე ისე დამცირებულ ადამიანად ითვლებოდა, რომ მას სხვა კატეგორიის გლეხები სიძედ არ კადრულობდნენ და ბატონი იძულებული იყო, თუ თავის მოახლეს არ გაიმეტებდა, ეყიდნა სადმე გოგო და მისთვის შეერთო. თითოეულ მოჯალაბის ოჯახს უნდა ეძლია ბატონისთვის თითო მოახლე, დანარჩენ ქალების გათხოვება შეეძლო, თუ ბატონს მისცემდა თითოში 5-დან 10 მანეთამდის დაწესებულ გადასახადს. ერთის სიტყვით, მოჯალაბე იყო მუდამ ჟამს ბატონის კარზე მომუშავე და მოსამსახურე, რომელსაც არ ჰქონდა ნაპცეცი თავისუფლებისა ან რაიმე ადამიანურ უფლებისა. (იხ. რაფ. ერისთავის „О крестьянском сословии в Мингрелии").

ამგვარს პირად დამოკიდებულებასთან ყმებს დავალებული ჰქონდათ ბატონების სასარგებლოდ ურიცხვი გადასახადი და მრავალგვარი ბეგარა, სამეგრელოში, მაგალითად, გლეხი აძლევდა ბატონს შინაყმას, ე. ი. ერთ შინა მოსამსახურეს, ასევე აძლევდა კომლზე თითო მოახლეს; უწევდა ესრედ წოდებულ „ტვირთობას", ე. ი. ბატონისა ან მისი ოჯახის მგზავრობის დროს გადაჰქონდა ზურგით ან ურმით სხვა-და-სხვა ტვირთი; უწევდა აგრეთვე „მეციხოვნობას", ე. ი. ციხესთან დარაჯად და ტუსაღების ყარაულად იყო; ნადში ეხმარებოდა ბატონს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველ ორშაბათს კომლზე კაცი უნდა გასულიყო (მარტო მუშა ან ხარ-ურმით, ბატონის სურვილის თანახმად) და ბატონის საქმეზე ემუშავნა. გარდა აღნისა დაკისრებული ჰქონდა გლეხს გადასახადი ფულად: საქორწილო — 10—15 მან., რომელსაც იხდიდა გლეხის ოჯახი ქალის გათხოვებისა ან ვაჟის დაქორწილების დროს; სამარხი — კომლზე 1—5 მან. ბატონის ოჯახის რომელიმე გარდაცვლილ წევრის დამარხვის დროს; საჩექმო — მეორე სახელი „საქორწილო" გადასახადისა, ვინაიდან ყოველ გადასახადს, როგორც ყოველ ბავშვს, თავისი სახელი უნდა ჰქონდეს. ეს გადასახადი ადიოდა 1-დან 30 მანეთამდის იმის მიხედვით, გლეხის ქალი ბატონისავე ყმას მიჰყვებოდა ცოლად, თუ არა; საქვრივო — გადასახადი, რომელსაც იღებდა ბატონი ყმის ქვრივისთვის მეორედ გათხოვების ნება-რთვის მიცემაში (5—20 მან.). ნატურალურ გადასახადთა რიცხვი სწორედ უთვალავია და ეხლა, როცა სხვა დრო და სხვა ვითარებაა, გვიკვირს და გაშტერებული ვართ, თუ როგორ ახერხებდა მაშინ

გლეხ-კაცობა ამდენ გადასახადთა გასწორებას. გლეხს ვალად ედო „ოჭკომური“, ესე იგი წელიწადში ერთხელ ბატონის გამასპინძლება, „ცხენის ჩაბმა“, ანუ ერთი თვის განმავლობაში ბატონის ცხენისა და მეჯინიბის გამოკვებვა, „საბოჭი ქათამი“, „ძღვენი“ საშობოდ და საააღდგომოდ, ქრისტეშობისთვის მარხვაში, დიდ-მარხვაში, ყველიერში და სხვა მარხვებში „სამარხვო“, „ობატკნური“ (ბატკნებით გადასახადი), „სამასპინძლო“, „საპურე პური“ (პურის ახალი მოსავალი), „სამაჭრო“ (ღვინის ახალი მოსავალი), „სახურო“ (ბატონის სახლზე მომუშავე ხუროთა გამოსაკვებად), „საკურზუალო“ (ბაზიერთა გამოსაკვებად), „სამეჯოგე“ (მენახირეთა გამოსაკვებად), „სამეჯინიბო“ (მეჯინიბეთა ხარჯად), გარდა ამისა გადასახადი: თაფლით, სანთლით, კანაფით, ქერით, კანაფისა და ლერწმის თესლით, ტილოთი, ბჟოლის ფურცლით, ხილით, აბრეშუმით და სხვ., აგრეთვე „სალაშქრო“, „კულუხი“, „საკულუხო“, „სადედოფლო“ და მრავალი კიდევ სხვა (იხ. ი. ბ ა ხ ტ ა ძ ი ს, Податное обложение крестьян Зак. края, გვ. 15—18).

ნაკლები გადასახადი არ აწვა კისერზე გლეხობას ბატონყმობის დროს აღმოსავლეთ საქართველოში. ბროსეს თავის Introduction-ში ჩამოთვლილი აქვს 120 სხვა-და-სხვა გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ აქ გლეხები. ჩვენ უფრო საინტერესოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ აქ სიტყვა-სიტყვით ის სია გადასახადთა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს შეადგინა თელავის თავად-აზნაურობამ და თავის მოხსენებასთან ერთად მიართვა სათანადო მთავრობას. ამ მოხსენებაში ჩამოთვლილია ყველა ის უფლებანი გლეხების მიმართ, რომელნიც მიანიჭა ისტორიამ თავად-აზნაურობას. მემამულეთა სიტყვით, 1) ბატონებს უფლება ჰქონდათ გლეხებისთვის მამული ჩამოერთმიათ და გაეყიდათ, ჰქონდათ აგრეთვე უფლება გლეხების ფიზიკურად დასჯისა, გარდა სიკვდილით სასჯელისა, 2) გლეხებს უნდა მოეხსნათ ბატონების მიწა, რამდენიც ამათ მოუნდებოდათ, და დაეთესათ საბოსტნო მცენარეები, ფეტვი, სიმინდი, ქერი, ცერცვი, მოერწყათ, გაემარგლათ და შეემუშავებიათ; 3) ზაფხულში გლეხებს უნდა მოეხნათ ანეული ბატონისთვის ზოგან 2, ზოგან 3, 5, 7 და 9 დღიური და დაეთესათ ნახნავი, როგორც რიგი და წესია; 4) შემოდგომაზე გლეხებს ხელახლა უნდა მოეხნათ ორი დღიური და დაეთესათ; თუ წინანდელ ნათესს, ბევრი წვიმის გამო, ბალახი მოერევოდა, სულ მთლად ხელახლა უნდა მოეხნათ და დაეთესათ; 5) გლეხებს უნდა მოერწყათ ბატონების ყველა ყანები; 6) გლეხებსვე უნდა მოემკათ და მოეგროვებიათ პური, ქერი, ფეტვი ყველა ეს უნდა მოეტანათ კალოზე, გაელეწათ, მარცვალი ორმოში ჩაეყარათ, ხოლო ბზე — საბძელში, აგ-

რეთვე უნდა გაეკეთებიათ კარები და შიგ შეეყარათ გარჩეული სიწინდი; 7) გლეხები ვალდებულნი იყვნენ საჭიროების მიხედვით, ბატონების ორმოებიდან ამოეღოთ პური, გაერჩიათ და წაეღოთ იქ, სადაც ბატონი უბრძანებდა; 8) გლეხების მოვალეობას შეადგენდა ვენახების და ბაღების შემოღობვა, თავის დროზე დაბარვა, პატივის მოყრა, სარისა და ჭიგოს მოტანა, მიწაში ჩასობა, ვაზის შეხვევა და გასხვლა, დამწიფებულ ყურძნის მოკრეფა, დაწურვა, ტიკებით ბატონის სარდაფში მიტანა და იქ ქვევრებში ჩასხმა. ოომელნიც წინდაწინ მათვე უნდა გამოერეცხათ; 9) როცა ბატონს ქორწილი ჰქონდა, იგი აწერდა გლეხებს გადასახადს, შეძლების მიხედვით, 5-დან 50 მანეთამდის; 10) ასევე საზოგადოდ თავის საჭიროების მიხედვით აწერდა მათვე გადასახადს; 11) როცა გლეხები გაიყრებოდნენ, იმის მიხედვით, თუ რა შეძლების პატრონი იყვნენ ისინი ფულისა თუ საქონლის მხრით, — ცხვრით, ღორით, სხვილ-ფეხა საქონლით, — ბატონს მიჰქონდა თავისი წილი, რომელსაც „გასამყრელო“ ეწოდებოდა. თუ გლეხს მხოლოდ ერთი უღელი ხარი ჰყავდა, ბატონი უკეთესს წაიყვანდა და ამასთან გლეხი ვალდებული იყო, ბატონის მოურავისთვის, რომელიც გაყრას დაესწრებოდა, კარგი საჩუქარი მიეცა; 12) თუ გლეხი გლეხს თავს გაუტეხდა, ბატონი დამნაშავეს თავის სასარგებლოდ ერთ ხარს გადაახდევინებდა; 13) აგრეთვე გლეხებში წარმომდგარ ჩხუბის, ცემის და ლანძღვისათვის, ასევე ვისმესთვის რაიმეს დაყვეჯრებისათვის (?, упреки кого либо в чем либо) ბატონი დამნაშავეს აჯარიმებდა; 14) როცა გლეხის ქვრივი გათხოვდებოდა, ბატონი იღებდა, შეძლების მიხედვით, 10-დან 50 მანეთამდის საქმროსაგან; ამ გადასახადს „საქვრივო“ ეწოდებოდა; 15) აგრეთვე, როცა გლეხი ქალს გაათხოვებდა, ბატონს ან მის მოურავს „საჩექმედ“ 60 კაპ. — 4 მან. ეძლეოდა; 16) როცა ბატონი სახლისა, მარნის, ბოსელის, საბძლის ან სხვა რამ შენობის აგებას შეუდგებოდა, გლეხები ვალდებულნი იყვნენ ყველა საჭირო მასალა მოეტანათ და კიდეც აეშენებიათ, აგრეთვე ბატონის სახლებში სხვა შესაკეთებელი (поделки) და სამუშაო შეესრულებიათ; 17) როცა ბატონს სადმე ხარ-ურმისა და ცხენების გაგზავნა დასჭირდებოდა, ამაებს გლეხები აძლევდნენ; აგრეთვე როცა ბატონი სხვაგან წავიდოდა, გლეხი ცხენით უნდა ხლებოდა; 18) ბატონისთვის რამდენიც შეშა და ფიჩხი საჭირო იყო, გლეხებს უნდა მოეტანათ, — თითოს თვეში 4 და ხან 5 ურემი შეხვდებოდა; 19) შობას და აღდგომას გლეხებს მოჰქონდათ ძღვენი (საშმელ-სასმელი) ბატონთან და ახალ წელიწადს — ბატონის მოურავთან, ხოლო თუ ეს უკანასკნელი არ იყო, — ბატონთან; 20)თავის სტუმრებს ბატონი მოათავსებდა ხოლმე ყმების სახლებში და

გლეხები ვალდებულნი იყვნენ. რამდენი ხანიც უნდა დაეყოთ სტუმრებს, კარგად გამასპინძლებოდნენ; 21) როცა ბატონს დასჭირდებოდა, მიჰქონდა გლესებისაგან ქათმები, ბატები, გოჭები, კარაქი, კვერცხი. — ყმების ჭონების მიხედვით; 22) ყველიერში თითოეულ ყმას უნდა მიეტანა 2 გირვანქა კარაქი და 9 კვერცხი; 23) მემამულის მიწაზე მოწეულ მოსავლიდან ბატონს ეძლეოდა „ღალა" და „კულუხი", ადგილობრივის დაწესებით, აგრეთვე „საბალახო" ცხვრებისა და ღორების ძოვებისათვის; 24) გლეხს უნდა ეძლია ბატონის მეჯინიბესათვის წელიწადში ერთი ბატკანი და ქორ-მიმინოების ზედამხედველისათვის — ქათამი; 25) თუ ბატონს სათევზაო ადგილები ჰქონდა და მოისურვებდა თევზის დასაჭერად კონა, საფიჩხეულე ან ოჩხი დაედგა, გლეხები ვალდებულნი იყვნენ ყველაფერი მოემზადებიათ და გაეკეთებიათ; 26) ბატონს გაჰყავდა გლეხებიდამ მუშა ცხვრებისა და ღორების მწყემსად ან გუთნის დედად; 27) მასვე მიჰყავდა ყმები ღა იყენებდა თავისთან მეჯინიბედ, მეპურედ, მზარეულად და ხელზე მოსამსახურედ; 28) ბატონსვე მიჰყავდა გამდელად თავის სახლში გლეხის ქალი, რომელსაც მზითევში გაატანდა ხოლმე. გააჩუქებდა, გაჰყიდდა კიდეც; 29) ბატონს მიჰყავდა გლეხის დედა-კაცი და იტოვებდა თავისთან, რამდენ ხანსაც უნდოდა; 30) როცა ბატონს დასჭირდებოდა, გლეხებს გააწერდა გადასახდელად პურს, ღვინოს და ფულსაც; 31) როცა ბატონი გარდაიცვლებოდა, გლეხებს შესაწევარი უნდა მიეტანათ ფულად მის ოჯახში; 32) ბატონის სახლში ქეიფისა ან ქორწილის გამართვის დროს ყველა გლეხებს უნდა ემსახურნათ, სადაც და რაშიც საჭირონი იქნებოდნენ, ხოლო სოფელს ერთი ძროხა უნდა მიეცა; 33) ზოგიერთ თავადთა გლეხები ვალდებულნი იყვნენ რთველის დროს ბატონისთვის საკლავი საქონელი მიეყვანათ; 34) თიბვის დროს რომ დადგებოდა, გლეხებს უნდა ეყიდათ და დაედგათ თივის ზვინი, სადაც ბატონი უბრძანებდა; 35) როცა ბატონი ლაშქრად წავიდოდა, გლეხებს უნდა მიეცათ სახარჯოდ ფული, აგრეთვე გაჰყოლოდნენ ცხენებით და ხარ-ურმებით და, რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელებულიყო ლაშქრობა, მასთან უნდა ემსახურნათ თავის საქონლით; 36) საბატონო ყმების წრიდან გამოსულ ხელოსნებს: ხუროებს, დურგლებს, კალატოზებს, მჭედლებს და სხვებს სხვა ყმებსავით უსასყიდლოდ უნდა ემუშავნათ ბატონისთვის; 37) როცა დასჭირდებოდა, ბატონი აკეთებინებდა გლეხებს ურემს და გუთანს თავისთვის; 38) საბატონო ყმების წრიდან გამოსული ვაჭრები, რომლებიც ქალაქებში ცხოვრობდნენ, სოფლელებსავით იხდიდნენ გადასახადს, მხოლოდ ფულად და არა ნატურით, და სხვ. და სხვ.

თქვენ, უეჭველია, გაგიკვირდებათ ამ გადასახადთა სიმრავლე.

მაგრამ ეს სია კიდევ სრული არ არის, ყმებს იმდენი გადასახადი და ბოვალეობა ჰქონდათ ბატონების სასარგებლოდ დაკისრებული, რომ ყველა მათი აღნუსხვა საკვსებით შეუძლებელი არის. თვითონ „მოხსენების“ შემდგენი თავადები ამბობენ, რომ შეუძლებელია გავიხსენოთ ყველა ის მოვალეობანი, რომელთაც ასრულებენ გლეხები ბატონებისთვისო, და დასძენენ, რომ ბატონის ძალა და უფლება გლეხზე უსაზღვრო არისო (იხ. Акты археограф. комисии, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 82—84; აგრეთვე ბახტაძის Податное обложение, გვ. 9—12).

ასეთ ვითარებაში იყვნენ ქართველი გლეხები, როცა საქართველოში პოლიტიკური წეს-წყობილება შეიცვალა და რუსული მართვა-გამგეობა დამყარდა. ახალ მთავრობას 1864 წლამდის, ესე იგი იმ დრომდის, როცა ბატონ-ყმობა სრულიად მოისპო, ახალი არა გაუკეთებია-რა არსებულ ბატონყმურ წყობილებაში და ყოვლად აუტანელი ტვირთი და გაჭირვება არ შეუმსუბუქებია ყმებისთვის. საქართველოს პოლიტიკური წყობილების შეცვლით, — სწერს ბ-ნი ფ. მახარაძე თავის წიგნში „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“ (გვ. 27 და შემდ.), რომელიც ეხლახან დაიბეჭდა, — „ბატონ-ყმურ ურთიერთობაში არავითარი ძირითადი ცვლილება არ მომხდარა: რუსეთის მთავრობამ ყმები დასტოვა წინანდელ მდგომარეობაში, ისევ იმ „განუკითხველ ტირანიაში“. მაგრამ რაც დრო მიდიოდა, მით ყმების მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესი ხდებოდა, იმათი შევიწროება და ტანჯვა თანდა-თან იზრდებოდა. ამ გარემოებას ხელს უწყობდა მრავალი მიზეზი:

„1) საქართველოს რუსეთთან შეერთებით ქართველ თავად-აზნაურობას წაერთვა ის ძირითადი უფლება, რომლის ძალით იგი, როგორც ფეოდალური წოდება, ქართველ მეფეებისა და მთავრების დროს მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებში, ქვეყნის მართვა-გამგეობაში; იმის მაგივრად დაწესდა მოხელეების — „ჩინოვნიკების“ — ბიუროკრატია... ქართველ თავად-აზნაურობის უმეტესი ნაწილი ერთბაშად მოსწყდა ძველ ზნე-ჩვეულებას და ერთგვარ საქმიანობას. ეხლა ერთადერთი საზრუნავი საგანი შეიქმნა თავისი თავის და ოჯახის შენახვა და რჩენა. ამიტომ იგი ძალა-უნებურად მიბმული დარჩა თავის ყმებთან, რომლებსაც იგი მთელი თავის სიმძიმით დააწვა კისერზედ. თუ წინად შევიწროებული იყვნენ ყმები მებატონეთა სამსახურით და ბეგარით ეხლა ყოველივე ეს ერთი-ორად და ერთი-სამად უნდა გადიდებულიყო, ვინაიდან სხვა საქმე აღარაფერი იტაცებდა მებატონეებს.

„2) მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე იწყება ჩვენში ნატურალურ მეურნეობის დარღვევისა და გაქრობის ნელი პროცესი. ამ დროიდან დაწყებული ჩვენი ქვეყანა სულ უფრო ეცნობა ევროპიდან

თუ სხვა ქვეყნიდან შემოტანილ საქონლის გემოს; ამასთანავე ჩნდებიან ახალი მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო შინ გაკეთებულ ნაწარმოებით. მაშასადამე, ფულის საჭიროება თანდათან და სულ უფრო და უფრო საგრძნობელი ჰხდებოდა. აშკარაა, რომ ყოველივე ეს უწინარეს ყოვლისა უნდა დასტყობოდა იმავე თავად-აზნაურობას, რომელსაც საზოგადოებაში პირველი ადგილი ეჭირა. მართალია, მას მოაკლდა ძველი დიდება მაგრამ, სამაგიეროდ, მას მიეცა უფრო მეტი დრო განცხრომისა და ფუფუნებისათვის... თავად-აზნაურობას, საიდანაც უნდა ყოფილიყო, უნდა ეშოვნა საშუალება თავის გაფართოებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მას ჰქონდა ამისთვის მხოლოდ ერთად-ერთი წყარო: ეს იყო სხვა-და-სხვა გადასახადი და ბეგარა, რომელსაც იხდიდა გლეხ-კაცობა მებატონეთა სასარგებლოდ. მებატონეები შეუდგნენ ამ გადასახადის და ბეგარის მომატებას; სადაც ნებაყოფლობით ვერას გადიოდნენ იქ ძალას ხმარობდნენ, რის შედეგი იყო გლეხ-კაცის ოჯახის სრული განადგურება. თუ წინად მებატონეები რამდენიმედ უფრთხილდებოდნენ თავიანთ ყმების ოჯახს, ერიდებოდნენ იმათ სახლ-კარის აკლებას და განადგურებას და პირიქით ცდილობდნენ, რომ ისინი ღონიერი და შეძლებული ყოფილიყვნენ, ვინაიდან ყმების შეძლება და ღონიერობა მებატონეთა შეძლებასა და სიმდიდრეს მოასწავებდა, ეხლა ყმების ბედ-იღბალი აღარავის აფიქრებდა...

„3) უნდა დავასახელოთ კიდევ ერთი გარემოებაც, რომელიც თავის თავად მცირე-მნიშვნელოვანია, მაგრამ რომელმაც, მიუხედავად ამისა, დიდად ავნო გლეხების ინტერესებს, რადგან ხელს უწყობდა იმათ დაჩაგვრას. ჩვენ ვამბობთ იმ დროის მოხელეებზე, ე. ი. პოლიციის და სასამართლოს „ჩინოვნიკებზე“. ჯერ დღევანდელი „ჩინოვნიკები“ რა არიან და მაშინდელი ხომ რაღა იქნებოდნენ. მთავრობა იმ დროებაში „ჩინოვნიკებად“ ნიშნავდა უმეტეს შემთხვევაში ქართველ თავად-აზნაურობას, უფრო იშვიათად კი რუსებს. მაშინდელ მოხელეთა განათლება ხშირად უბრალო წერა-კითხვის ცოდნის იქით არ მიდიოდა. რომ ქართველი თავად-აზნაური მოხელის როლში სწორი და მიუდგომელი მოსამართლე არ გამოდგებოდა გლეხ-კაცობისთვის, ეს თავის თავად აშკარა უნდა იყოს. მაგრამ, მეორე მხრით, არც რუსი მოხელე იქნებოდა ასეთი, ვინაიდან სწორ და პირუთვნელ მართლმსაჯულებისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა განათლებული გონება, და ეს კი მაშინ ყველა მოხელეს აკლდა. რუსი იყო იგი, თუ ქართველი. მაშინდელ მოსამართლეთა სასწორი იქით გადიხრებოდა, საიდანაც ისინი რაიმე ნივთიერ სარგებლობას მოელოდნენ. მაშინდელი მექრთამეობა ეხლაც საარაკოდ არის გადაქცეული. როცა მებატონე თვი-

თონ არ იყო მოსამართლე, იმას მაინც ყოველთვის შეეძლო. რომ სამართლის სასწორი მისკენ გადახრილიყო, რადგან ამისთვის საკმარისი იყო მოხელის დაჭრთამვა, მოსყიდვა. ამ უკანასკნელის ხელში კი სამართალი მხოლოდ „აბრუნ-გაბრუნდის“ თამაშობა იყო და მეტი არაფერი, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცეო, — შეეძლო ეთქვა მაშინდელ გლეხ-კაცობას თავის თავზე: მისთვის ყოველგან დახშული იყო კარი, არსად არავითარი შველა.

„ამ ნაირად, როგორც კანონმდებლობა, ისე მაშინდელ ცხოვრების პირობები ეხმარებოდა გლეხ-კაცის სრულიად განადგურებას, არ იყო არც ერთი გარემოება, რომელიც ამას წინ გადაღობებოდა და იგი შეეჩერებია. მებატონეებიც არ იხევდნენ არაფრის წინაშე: იმათთვის არ იყო არც შიში და არც სირცხვილი, გლეხის ოჯახის განადგურება და დაწიოკება, ყმების გაყიდვა, დედა-კაცებისთვის ძალადობით ნამუსის ახდა, „პირველი ღამე“, ურჩი ყმების სასტიკად დასჯა და იმათი მოძრავ ქონების მითვისება, — იმათთვის სანაქებო, საგმირო საქმე იყო. ეს ის დრო იყო, როცა მებატონეები აღარ ზოგავდნენ ყმებს; როცა უბრალო დანაშაულისათვის ადამიანს სასტიკად სტანჯავენ, აბამენ ურემში, კევრში, აგდებენ თონეში, აუპატიურებენ დედა-კაცებს; ეს ის დროა, როცა ყმას არც თავის ქალის გათხოვება შეუძლია და არც ცოლის მოყვანა ბატონის ნება-დაურთველად და ამის შემდეგ „პირველი ღამე“ ბატონის არის. ეს ის დროა, როცა ყმები მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით, სახლ-კარით და მიწა-ადგილით, თავისი მამულ-დედულით და ცოლ-შვილით ხდებიან აღებ-მიცემობის საგნად. მართალია, ყმების გაყიდვა წინედაც იყო გავრცელებული ჩვენში, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ეს სამარცხვინო ხელობა თან-და-თან უფრო განვითარდა...“

„შეიძლება, წინანდელ დროში ასეთი დამცირება და შერცხვენა ადამიანის ღირსებისა, ასეთი ფეხ-ქვეშ გათელვა მისი პიროვნებისა შეუმჩნეველად ჩაივლიდა და საზოგადოებაში არ დაბადებდა უკმაყოფილებას და არ ააღელვებდა მას; მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარზე ეს უკვე აღარ ითქმოდა; გლეხ-კაცობაში ნელა იღვიძებდა ადამიანური გრძნობა, თავისი პიროვნების ღირსების შეგნება... ქართველმა მებატონეებმა თითქმის არ იცოდნენ, რა იყო ყმის წინააღმდეგობა; იმათ არ ენახათ, თუ რა შეუძლია გაუბედურებულ და დამცირებულ ადამიანს, როცა იგი ოავის შეწუხებას და დამცირებას გრძნობს და იმავე დროს აქედან თავის დახწევას ლამობს. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნემ ანახვა მათ ეს მწარე გამოცდილება. მართალია, არც გლეხებს უჯდებოდათ ეს იაფად: უზომო წვალება, ზოგჯერ სიკვდილი, სამშობლოდან გადახვეწა — აი, რა იყო ამ წინააღმდე-

ბობის და ამ ბრძოლის შედეგი, მაგრამ მათ არაფერი არ ახევინებდა უკან. რამდენადაც ჩვენ ვუახლოვდებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისს, იმდენად მებატონეთა და ყმებს შორის განწყობილება უფრო და უფრო მწვავდება და ბრძოლა სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, თუ მებატონეთა მხრით გახშირდა ყმების შევიწროება, მათი ოჯახის განადგურება და გაცივება, იმათ ადამიანურ ღირსების შელახვა, დედა-კაცების გაუპატიურება და ნამუსის ახდა და სხვ., არც გლეხები იყვნენ გულ-ხელ დაკრეფილნი, არც ისინი შესცქეროდნენ ამას გულ-გრილად. ჩვენ ვხედავთ, რომ მეორმოცე და მეორმოცდაათე წლებში გახშირდა მებატონეთა ამოწყვეტა მთელის ოჯახობით. სადაც ამას ვერ ახერხებდნენ, იქ მხოლოდ საქმით უწევდნენ მებატონეთ წინააღმდეგობას და შემდეგ გარბოდნენ სხვაგან თავის შესაფარებლად. ასეთი გადახვეწა უფრო ხშირი იყო იმერეთიდან: იმერეთის გლეხ-კაცობა თავს აფარებდა ამერეთში ან სულ სტოვებდა სამშობლოს, სახლ-კარს და იხიზნებოდა ოსმალეთში, სადაც ისინი ხდებოდნენ მაჰმადიანებად. თვით საქართველოშიაც ხშირი იყო სარწმუნოების გამოცვლა იმ მიზნით, რომ მებატონეთ ვერ ეცნოთ თავისი ყმები. მებატონეთ წინააღმდეგ მოძრაობა კანტი-კუნტად ხდებოდა, სხვა-და-სხვა ადგილას და სხვა-და-სხვა დროს; მას ჯერ არ ეტყობოდა გაერთიანების ნიშნები. მიუხედავად ამისა, იგი მაინც საშიში და თავზარდამცემი იყო მებატონეთათვის, ვინაიდან ხალხის გულ-წრფელი თანაგრძნობა ამ მოძრაობისაკენ იყო. მებატონეებს უკვე დაკარგული ჰქონდათ ნდობა და პატივისცემა ხალხის თვალში. თუ ყმები ამათ ემორჩილებოდნენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინოდათ და თავიანთ თავს ჯერ კიდევ უძლურად სთვლიდნენ. მაგრამ განკითხვის დღე, ადრე იქნებოდა თუ გვიან, უნდა უეჭველად დამდგარიყო. რომ ეს განკითხვის დღე შორს აღარ იყო, ამას აურაცხელი ფაქტი მოწმობდა. მაგრამ ჩვენი ხალხის ისტორია ერთხელ კიდევ გადასცდა თავის ბუნებრივ გზას: ჩვენი ყმების ბედი გადასწყდა შორს ჩვენგან და იმათ დაუხმარებლად...".

მოხდა რეფორმა „ზემოდან": გამოცხადდა ბატონ-ყმობის მოსპობა და გლეხების განთავისუფლება. ყმას მიენიჭა პირადი თავისუფლება და მოქალაქობრივი უფლება, მოისპო მემამულეებსა და გლეხებს შორის ძველი დამოკიდებულება და განწყობილება. გლეხები განთავისუფლდნენ იმ უთვალავ გადასახადთა და ბეგრისაგან, რომელნიც ჩვენ ზევით ჩამოვთვალეთ. 1864 წლის რეფორმამ აღიარა ჩვენშიც პრინციპი შრომის თავისუფლებისა და მშრომელს მისცა უფლება თავისი ძალ-ღონე და ნიჭი ეკონომიურს ცხოვრებაში ისე მოეხმარა

და გამოეყენებია, როგორც მას თავისთვის საუმჯობესოდ და სასარგებლოდ მიაჩნდა.

რაც უნდა ნაკლულევანი და ბევრის მხრით სუსტი იყოს ეს „რეფორმა,“, მან ისეთი სოციალური სიბოროტე მოსპო, ხალხის ისეთი უსაზღვრო დაბეჩავება გააქრო, რომ ჩვენ დღეს იგი უეჭველად სიხარულითა და სიამოვნებით უნდა გავიხსენოთ. მართალია, ჩვენი ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა მეცნიერულის სისწორით გამოკვლეული არ არის და კერძოდ ქართველი გლეხობის ეხლანდელი ცხოვრება საფუძვლიანად შესწავლილი არაა და ამიტომ, მასალების უქონლობის გამო, ძნელია ყველა იმ შედეგთა და გავლენის სავსებით აღნუსხვა, რომელნიც იქონია და გაავლო გლეხ-კაცობის ცხოვრებაში ბატონ-ყმობის მოსპობის რეფორმამ. ამ 7 წლის წინად ბ-ნი ალფრონელი სწერდა ერთ თავის შინაარსიანს წერილში („მოამბე“ 1897 წ., № V, გვ 30): „ოც და ათ წელზე მეტი გავიდა ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ საქართველოში და ამდენის ხნის შემდეგაც კი შეუძლებელია კაცმა სთქვას დარწმუნებით, განკარგდა თუ არა მდგომარეობა ნაბატონარ გლეხთა, თუ, პირიქით, უარესობაშია, როგორ იმოქმედა ბატონ-ყმობის გადავარდნამ გლეხ-კაცთა ნივთიერ მდგომარეობაზე, იმათ საკულტურო ზრდაზე“. ამ სიტყვებს ავტორი ალბად იმიტომ სწერს, რომ აღნიშნოს ჩვენში ეკონომიურ საკითხების გასარკვევად მასალების სიმცირე და მათი შეუმუშავებლობა. ეს მართალი საჩივარია, რომელიც ყველას ამოხდება გულიდან. ვინც ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის გამოკვლევასა და განმარტებას შეუდგება.

მაგრამ თუნდა ძალიან ცუდადაც გვქონდეს გაცნობილი და შესწავლილი ჩვენი ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა, ბატონ-ყმობის მოსპობის შედეგი იმდენად დიდი და შესამჩნევია, რომ თამამად და დარწმუნებითაც შეგვიძლია ამ დაუვიწყარ რეფორმის საზოგადო მადლისა და სიკეთის აღიარება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ 40-50 წლის წინად ჩვენში ნატურალური მეურნეობა არსებობდა და თითქმის ნასახიც არ იყო მოქალაქობრივის ცხოვრებისა. გლეხ-კაცობა, ე. ი. თითქმის მთელი ქართველი ხალხი სოფელზე იყო მიჯაჭვული და ბატონების აუარებელ მოთხოვნილებათა სიმძიმის ქვეშ სულს ძლივს ითქვამდა. ქალაქი და ქალაქური ცხოვრება მაშინ ქართველისთვის არ არსებობდა. ვაჭრობა და მრეწველობა მცირედ იყო განვითარებული და ისიც, რაც იყო, მხოლოდ უცხო ტომის ხალხს ჰქონდა ხელში ჩაგდებული. პირადს თავისუფლებასა და ადამიანურ უფლებას მოკლებულ ქართველ ხალხს არ შეეძლო, რასაკვირველია, გარედ გაეხედა, ვაჭრობა-მრეწველობაში ფეხი მოეკიდა და ახალი კულტურული ძალა განევითარებია. ამიტომ სწავლა-განათ-

ლება ვერ ვრცელდებოდა. მწერლობა, ჟურნალ-გაზეთობა ფეხს ვერ იკიდებდა და მთელი ხალხი გონებრივის წყვდიადით და სიბნელით იყო მოცული. ბატონყმურ ბორკილის დაუმსხვრევლად შეუძლებელი იყო მოქალაქობრივობის განვითარება და ხალხის კულტურული წინმსვლელობა. და თუ მას აქეთ ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში, თუ დღეს ქართველ გლეხთა წოდებიდან გამოსულნი ვაჭრობა-მრეწველობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ და მოქალაქობრივს სარბიელზე თან და თან გზას იკვალავენ, თუ სწავლა-განათლება ვრცელდება გონებრივი სინათლე იზრდება და ჩვენ რაიმე ხალხოსნური წინმსვლელობა გვემჩნევა, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ეს ძველ ფეოდალურ მონობისა და წყობილების დამხობით შეიქმნა შესაძლებელი და მისაღწევი.

ეგევე უნდა ითქვას კერძოდ გლეხობის შესახებაც. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი გლეხობა დღეს საერთოდ ბევრად უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ბატონ-ყმობის დროს ცხოვრობდა. შეიძლება, — თუმცა ესეც საეჭვოა, — იგი მაშინ უკეთ სჯამდა, ოჯახში მეტ პურსა და ღვინოს ჰხარჯავდა, ვიდრე დღეს ჰხარჯავს, მაგრამ მაინც არ იცოდა მრავალი კულტურული მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილება დღეს აუცილებლად მიაჩნია. დღევანდელი ჩაცმა-დახურვა, სახლის მოწყობილობა, სწავლა-განათლებაზე გაწეული ხარჯები უცნობი იყო მისთვის ამ ნახევარ საუკუნის წინად, როგორ მოხდა ეს? ყმობიდან გამოსვლამ და განთავისუფლებამ გლეხს შეჰმატა ენერგია და გაანაყოფიერა მშრომელის საქმიანობა, როცა მამულის მოსავალი მიწადმომქმედს არ ჰყოფნის თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, იგი ცდილობს სხვა მხრიდან შეივსოს დანაკლისი, — გადის სამუშაოდ, ჰკიდებს ხელს რაიმე ხელობას, იწყებს წვრილ სავაჭრო საქმეებს ან სხვა-და-სხვა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობს. დღეს მისი მოქმედების ასპარეზი ისე ვიწროდ აღარ არის შემოფარგლული, როგორც ბატონ-ყმობის დროს, როცა გლეხი მუდამ ჟამს ბატონის სახლ-კარსა და მიწას უნდა ყოფილიყო მიჩერებული.

რასაკვირველია, გლეხ-კაცობა, ქონება-შეძლების მხრით, ერთგვარს მასსას არ წარმოადგენს. ქონებრივი დიფერენციაცია მასშიაც არის წარმომდგარი და, მაშასადამე, ერთ და ორ შეძლებულის გვერდით ცხოვრობს ათი და ოცი ღარიბი და ღატაკი. გარდა ამისა ადამიანის ნივთიერი ყოფა-მდგომარეობა უნდა გაისაჯოს და აიწონ-გაიზომოს დროისა და ზოგადად გამხდარ მოთხოვნილებათა მიხედვით. ქართველი გლეხი დღესაც ვერ იკმაყოფილებს ხშირად თვის მოთხოვნილებათ, იტანს დიდ სიღარიბესა და გაჭირვებას. მაგრამ ეს კიდევ

ინას არ ნიშნავს, რომ მისი ეხლანდელი ცხოვრება ბატონ-ყმობის დროინდელზე უარესი იყოს და ყმობისაგან განთავისუფლებას მის მდგომარეობაში წარმატება არ შეეტანოს.

სამწუხაროდ, მესამოცე წლებში მოხდენილი რეფორმა ჩვენში ჯერაც არაა სავსებით დასრულებული, მებატონეთა და გლეხთა ურთიერთ დამოკიდებულების მოწესრიგება დღესაც არ არის დამთავრებული. რეფორმის მიზანი იყო, სრულიად გაეთიშა ყმა და მებატონე და მოესპო მათ შორის ძველთაგან გადმოცემული პირადი და ქონებრივი სავალდებულო დამოკიდებულება. ის მიწები, რომლებსაც ყმები ხმარობდნენ სასახლკაროდ, ბაღად თუ სახნავ-სათესად, კანონმა მებატონეთა საკუთრებად სცნო, მხოლოდ გლეხებს მისცა უფლება მემამულეებთან შეთანხმებით ეს მიწები გამოესყიდათ. მანამდის კი გლეხები უნდა ყოფილიყვნენ ესრედ წოდებულ „დროებით სავალდებულო დამოკიდებულება"-ში და უნდა ეხადათ მებატონეთათვის განსაზღვრული ღალა და (სასახლკარო მიწის) გადასახადი. მაგრამ განვლო აგერ 40 წელიწადმა და გლეხთა ნადელების გამოსყიდვა კიდევ არ არის დასრულებული. განსაკუთრებით ტფილისის გუბერნიაში დიდ ძალი უმრავლესობა გლეხებისა დღესაც გამოუსყიდველია და, მაშასადამე, ბატონ-ყმობის ნაშთი ურთიერთობა არაა მოსპობილი. ამ გუბერნიაში ბატონ-ყმობის გადავარდნამდის გლეხები სარგებლობდნენ 75764 დესეტ. სახნავ მიწით. „უსტავნი ღრამოტებით" კი იმათ მისცეს ნადელად მხოლოდ 48,565 დესეტინა სახნავი მიწა, ანუ წინანდელ რაოდენობის 3/5. თუ სასახლკარო მიწებსა და ვენახებს ვიანგარიშებთ, გლეხების სანადელო მიწები შეადგენს სულ 56,210 დესეტ. 1864 წლიდან 1890 წლამდის გლეხებმა, ზოგი თავისი ძალ-ღონით და ზოგიც მთავრობის სესხის დახმარებით, მხოლოდ 27%-ის შესყიდვა მოახერხეს, ხოლო დანარჩენი 73% ანუ 41120 დესეტ.[1] გამოსასყიდი ჰქონდათ.

რუსეთშიაც გლეხობამ ვერ შესძლო თავის თავად ნადელების გამოსყიდვა და ამიტომ 1883 წელს მთავრობამ დააწესა იქ ესრედ წოდებული „სავალდებულო გამოსყიდვა ნადელებისა". ე. ი. გლეხებს მისცა სესხი და გაასტუმრებინა მემამულეები.

ჩვენში ამ საგანს წელს მიაქცია მთავრობამ ყურადღება. ამ ზაფხულს მთავარმართებლის საბჭოში იმართებოდა კრებები, სადაც მემამულეთა წარმომადგენელნიც იყვნენ მიწვეულნი, და სჯიდნენ,

---

[1] ივლისის თვის „მოამბის" „მიმოხილვა"-ში (გვ. 52, ზევიდან პირველი სტრიქონი) ამ ციფრის მაგივრად შეცდომით დაბეჭდილია: 12014.—ჩვენს გამოცემაში გასწორებულია—რ ე დ.

თუ რა საფუძვლითა და წესით შეიძლება ჩვენშიაც დაწესებულ იქ?-ნეს ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა. საბჭოს მოხსენება ამ საგნის შესახებ უკვე გაგზავნილია პეტერბურგში. როგორც ეტყობა, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ჩვენშიაც შემოიღოს ის წესი, რომელიც რუსეთში 20 წლის წინად შემოიღეს, — გლეხებს სესხი მისცეს, თავის დახსნა გლეხებისათვის სავალდებულო გახადოს და ამნაირად „დროებით სავალდებულო დამოკიდებულება“ მოსპოს.

ეს განზრახული რეფორმა ფრიად საჭიროა და სასარგებლოც იქ-ნება გლეხებისათვის, თუ გამოსასყიდ მიწის ფასად ისეთი ნორმა იქნება მიღებული, რომელიც შეეფერება მიწის ნაყოფიერობას და მამულის შემოსავლიანობას. ნასესხებ ფულში მთავრობა გადაახდევინებს გლეხებს ნაწილ-ნაწილ თავნსაც და სარგებელსაც. და, რა თქმა უნდა, გლეხები სარგებლის გადახდას ვერ გაუძლებენ და გაუსწორებელი ნედოიმკები დააწვებათ, თუ მიწაში მემამულესთვის იმოდენა ფასის მიცემა დააძალეს, რომლის შესაფერ შემოსავალს მამული არ აძლევს მშრომელს. ამ შემთხვევაში სავალდებულო გამოსყიდვა ნადელებისა, სარგებლობის მოტანის მაგივრად, გლეხების სრულიად გამღატაკებელი და გამჩანაგებელი შეიქნება.

ჩვენი მემამულეები ელიან, რომ მთავრობა დიდ ფასებში შეაფასებს მიწებს და მათ ამის კვალობაზე გაუსწორდება. არ ვიცით, რამდენად გამართლდება მათი მოლოდინი, თუმცა გვგონია, რომ მთავრობა მათ ინტერესებს აქაც არ დაივიწყებს... არა თუ ფასების აწევა, ქართველმა გლეხებმა ვერ შესძლეს ნადელების შესყიდვა იმ ფასშიაც კი, რომელიც დაწესებული იყო ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს (15 მან. ურწყავ დღიურზე და 30 მან. სარწყავზე). ხშირად მათ ამ ფასის კვალობაზე აღებული სესხიც ნედოიმკებად დაედვათ და ვალი ვერ გაასწორეს.

მაგალითად, „1893 წელს ოქტომბერში — სწერს ბ-ნი ალ. ფროენელი — სოფელ კონდოლის ამორჩეულმა კაცებმა მიართვეს საგუბერნიო მთავრობას არზა და აუხსნეს, რომ ზედიზედმა მოუსავლიანმა წელიწადებმა და უამინდობამ ჩვენის სოფლის ხალხი დიდ გაჭირვებასა და სიღატაკეში ჩააგდოვო: რომ ჩვენი სახნავ-სათესი მამულები მოუხვნელ-მოუთესველი გვრჩება, რადგან საკვების უქონლობამ გაგვიწყვიტა საქონელიო; ვენახები — ეს ერთად-ერთი წყარო ჩვენის არსებობისა — გვიხმება, რადგან სარი მეტად გაძვირდა და შეძლება კი არ მოგვეძებნება შევიძინოთ ხოლმე ეს ვენახისათვის უსაჭიროესი მასალაო; ყოველ ამ მიზეზის გამო არ შეგვიძლიან ერთსა და იმავე დროს ვიხადოთ სახელმწიფო ხარჯიცა, საერობო გადასახადიცა და ნადელების შესყიდვაზე დადებულის ვალის თავნ-სარგებელიცაო.

ამიტომ გთხოვთ სრულიად გაგვანთავისუფლოთ ნადელების ფულის ხდისაგან და ჩვენი გამოსყიდული მამულები ისევ ხაზინას დაუბრუნოთო. გლეხ-კაცების თხოვნა გაეგზავნა შესამოწმებლად მომრიგებელ შუა-კაცსა, რომელმაც სცნა, რომ ჩივილი და დრტვინვა კონდოლელებისა საზოგადოდ სიმართლეს არ არის მოკლებულიო, ამას გარდა აღმოჩნდა ისიცა, რომ ნედოიმკებს დაეწყო მატება 1885 წლიდანვე და 1893 წლის დამლევს მათი რაოდენობა ასულიყო 7 ათას მანეთამდე. სხვა და სხვა უბედურებათა შორის, რომელსაც უჩიოდნენ გლეხნი, ყურადღების მისაქცევი იყო ჭირნახულის მოცდენა და მოუსავლობა რამდენისამე წლის განმავლობაში ზედი-ზედ. დაწეტყვა მამულებისა, წყალ-დიდობა, სიძვირე სარ-ჭიგოსი, უქონლობა საძოვარ ადგილებისა და ვაზის ავადმყოფობა ობითა და ნაცრით, რომლებიც აოხრებდა კახეთის ვენახებს და, მათ შორის, კონდოლელების ვენახებსაცა. მათი თხოვნა გადაეცა სამაზრო კრებას ცნობათა შესავსებად. კრების მიერ შეგროვილ ახალ ცნობათაგან აღმოჩნდა, რომ კონდოლელებს 17206 მან. 60 კაპ. კერძო ვალი ჰქონდათ, რაშიც სარგებელი ეძლეოდათ ფულის პატრონთ 6-დან 70 ასზედ. ნედოიმკები ნადელების შესყიდვის ფულისა 1894 წლის 1 იანვრისათვის 7234 მან. 20 კაპ... კონდოლელთ იმდენი ჭირნახულიც კი ვერ მოჰყავთ, რომ სარჩოდ ეყოთ; ხარჯი აღემატება შემოსავალს და... ყოველ წლივ თითოეულ გლეხკაცის ოჯახს ვალად ედება საკმაოდ დიდი ფული 37 მან. 55 კაპ. რაღა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ კონდოლელ გლეხ-კაცობას დაატყდა თავს ნედოიმკები მამულის შესყიდვის ვალისა 7 ათას მანეთზე მეტი, ორთა-შუა რიცხვით კომლზე 77 მან. 88 კაპ.

»კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ნაფარეულელნი, რომელთაც თავსა აქვთ დატეხილი 33406 მან. ნადელების შესყიდვის ვალისა. ეს ოდესმე აყვავებული და მდიდარი სოფელი ლამის კვალ-წმინდად ამოწყდეს, როგორც ამბობს ხარჯთ-აკრეფის ინსპექტორი, რომელმაც გამოიკვლია სამეურნეო ყოფა-ცხოვრება ნაფარეულელ მცხოვრებლებისა. ბავშვები — ამბობს ინსპექტორი — ისე იხოცებიან, როგორც ბუზებიო. 148 კომლში, რომელთაც გაჰბედეს შესყიდვა ნადელებისა მთავრობის დახმარებით, 40 კომლი უკვე ამოწყდა. ასეთს კომლობრივს ამოწყვეტას და სიკვდილის სიხშირეს ყოვლად საუბედურო მნიშვნელობა აქვს ნაფარეულელთათვის. ხშირი ავადყოფობა ძალ-ღონეს აცლის მუშა კაცსა და მუშაობას ბარაქას უკარგავს. საცოდავად გამხდარი და გაყვითლებული სახე ნაფარეულის სოფლის მკვიდრთა მოწმობს, რომ არავითარი პირის პატივი

არ არსებობს მათთვის; პირის პატივს კიდეე ვინ იჩივლებს, კუჭს მაინც იძღობდნენ. 108 კომლში, რომელიც დღეს ნაფარეულშია, 53 კომლი უხაროა და რაღა გასაკვირველია ამის შემდეგ თქმა მკვლევარისა, ნახევარზედ მეტმა მიატოვა ხვნა-თესვა და გააპარტახა ვენახებიო... ხარჯთ-აკრეფის ინსპექტორი ურჩევდა კრებას, საჭიროა ვიშუამდგომლოთ ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ შეამციროს ნადელების შესყიდვის შესატანი 18 მანეთიდან 12 მანეთამდეო, ესე იგი 6 პროცენტიდან 4 პროცენტზე ჩამოვიდესო".

აი, ასე ძნელი და გასაჭირია გლეხობისათვის მიწის საყიდლად აღებულ ვალის გასწორება, როცა მიწის მოსავალი მცირეა და ღირებულობით არ შეეთანხმება ვალად აღებულ ფასს. და შეგნებული ნაწილი თავად-აზნაურობისა, თუ რომ მას მართლა გული შესტკივა ხალხისათვის, ეხლავე უნდა შეუდგეს მეცადინეობას, რომ ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის დაწესება არ გახდეს თავ-დახსნილ გლეხთა გაღატაკებისა და გაპროლეტარების მიზეზად...

ამ საგნის შესახებ ჩვენ უკვე გამოვთქვით ვრცლად ჩვენი აზრი „ცნობის ფურცელ"-ში და „მოამბე"-შიაც და აქ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია მისი განმეორება.

რასაკვირველია, ნადელების გამოსყიდვის საქმის რიგიანად მოწყობა მხოლოდ ერთი სასარგებლო რეფორმაა. ამ რეფორმით მაინც ძირითადად არ შეიცვლება სოფლის აგრარული ვითარება, არ მოისპობა თანამედროვე ცხოვრებაში არსებული ქონებრივი უსწორ-მასწორობა და ძლიერისაგან ღარიბის ეკონომიურად დაბეჩავება. ბატონყმობის მოსპობით მოისპო ადამიანის პირადი უთავისუფლობა, მაგრამ არ მოსპობილა ეკონომიური დამოკიდებულება და ერთი კლასის მეორე კლასზე ბატონობა. ამ განხეთქილების აღმოფხვრას და ნამდვილ თანასწორობის განხორციელებას შესძლებს მხოლოდ მომავალი ბრწყინვალე დრო და უფრო განათლებული საზოგადოება...

ჟურნ. „მოამბე", 1904 წ., № XI, გვ. 87—110.

სტატიები „საქართველოს კალენდრიდან", 1904 წ.

I

საქართველოს მცხოვრებთა დაყოფა ეროვნების მიხედვით

როგორც... სჩანს, 1886 წ. მთელს კავკასიაში ყოფილა 1.205.708 ქართველი, ხოლო მარტო საქართველოში (ტფილ. და ქუთ. გუბ.) — 1.200.487. თუ ქართველთა და საქართველოში მცხოვრებ უცხო ტომის ხალხთა რიცხვს ერთმანეთს შევადარებთ, ვნახავთ:

ქართველები და უცხო ტომის ხალხნი საქართველოში
ა) გუბერნიებში

	ტფილ. გუბ.		ქუთაისის გუბ.	
	რიცხვი	% საერთო რიცხვისა.	რიცხვი	% საერთო რიცხვისა.
ქართველი . . .	396673	49,0	791383	85 8
უცხო ტომისა	411470	51,0	131923	14,2
სულ	808143	100	923306	100

ბ) მთელ საქართველოში

	რიცხვი	% საერთო რიცხვისა
ქართველი . .	.1188056	68,7
უცხო ტომისა	. 543393	31,3
სულ .	1731449	100%

ეს ციფრები აღნიშნავენ ქართველთა რაოდენობას ამ 17-ოდე წლის წინად. დღეს მათი რიცხვი, რასაკვირველია, მაშინდელზე მეტი იქნება. ნამდვილი ცნობები ამის შესახებ ჯერ არ არის, რადგან 1897 წლის აღწერის ციფრები ამ მხრით ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა. ,ძიტომ ქართველების რიცხვი ამ ჟამად მხოლოდ დაახლოებით შეიძლება ვივარაუდოთ. თუ ქართველთა რაოდენობის მაჩვენებელ რიცხვად იმავე პროცენტს ავიღებთ, როგორიც უწევდა მათ 1886 წ., ვნახავთ, რომ ქართველობა დღეს 1 1/2 მილიონზე ნაკლები არ უნდა იყოს.

II

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი

ბანკი აძლევს მოკლე და გრძელ ვადიან სესხს ყველა მემამულეთ, როგორც ტფილისის, ისე კავკასიის სხვა გუბერნიებშიაც. მინიჭებული აქვს უფლება გირავნობის ფურცლების გამოცემისა 1000 მან., 500 მან. და 100 მანეთიანებისა. ბანკი სესხში იგირავებს სოფლის და ქალაქის მამულებს. ბანკი სესხს მხოლოდ მაშინ აძლევს, როდესაც მამულზე არაფერი დავა და ვალი არ არის, ხოლო შესაძლებელია სესხის მიცემა იმ შემთხვევაში, როცა მამულის პატრონი სესხის მიღების დროს მოვალეებს გაუსწორდება; მამულის პატრონს შეუძლიან ხელმეორედ დაუგირავოს თავისი მამული კერძო კაცს, ხოლო უპირატესობა ყოველ შემთხვევაში ბანკს ეძლევა.

ბანკში დაგირავებულის მამულების გადაცემა სხვაზე ან მემკვიდ-
რეობით ან გაყიდვით შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ახალი მფლო-
ბელები მამულისა იკისრებენ ყველა იმ პირობას, რაც ჰქონდა ბანკთან
ძველს პატრონს. არ შეიძლება ერთსა და იმავე მამულზე მოკლე და
დიდის ვადის ვალი იყოს. თუ ვინიცობა ბანკში დაგირავებულ მამუ-
ლის პატრონმა მამული შეამცირა ღირებულობით, მაშინ ბანკს უფ-
ლება აქვს ნებით თუ ძალით მამულის პატრონს უკან გამოართვას
იმდენი ფული, რამდენზედაც მამული ფასში დამცირებული იქმნა.
ბანკი აძლევს სესხად დანაფასების ფულიდამ 50 პროც., სესხს აძლე-
ვენ სრულ ას-ასი მანეთობით; თუ მამული 200 მანეთზე ნაკლებად
არის დაფასებული, ბანკი გირაოდ არ იღებს. თუ მამული საერთო
მფლობელობაშია, ბანკი ერთის მონაწილეს წილს ვერ დაიგირავებს,
თუ გაყოფილი არ არის და საერთოდ კი იგირავებს, მამულის დამგი-
რავებელმა უნდა წარადგინოს ბანკში გირავნობის მოწმობა უფროსის
ნოტარიუსისა, ნასყიდობის ან მემკვიდრეობის ბარათი, პლანი,
„პოლევოი ჟურნალი", დაწვრილებით აღწერილობა მამულისა, ხოლო
ქალაქის მამულზე ამას გარდა დაზღვევის პოლისი (ბარათი). თუ
დაგირავებულ მამულის პატრონი დროზე ვერ შეიტანს ფულს, ბანკი
აძლევს ვადას კიდევ ორ თვეს და ამ შეღავათისათვის ართმევს თითო
პროცენტს ყოველ თვეში, ხოლო თუ ორი თვის შემდეგაც არ შეიტა-
ნა ჯეროვანი ფული, ბანკი აცხადებს სამჯერ გაზეთებში მამულს
გასასყიდლად. თუ დროზედ შეტანილ იქმნა ფული და ჯარიმა, მაშინ
მამული არ გაიყიდება; წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი მამულს საჯა-
როდ ჰყიდის. ვაჭრობაზედ მყიდველმა უნდა შეიტანოს ყველა დრო-
ზედ შეუტანელი ფული (ნედოიმკები). მამულის მყიდველმა 14 დღის
ვადაში უნდა დაიმტკიცოს მამული თავის სახელობაზე, წინააღმდეგ
შემთხვევაში მამული ისევ პირველს ძველს პატრონს უბრუნდება.
თუ მამული არ გაიყიდა პირველს საჯარო ვაჭრობაზე, ხელმეორედ
ინიშნება გასასყიდად; თუ მაშინაც არ გაიყიდა მამული, ბანკს შეუძ-
ლიან კერძოდ გაჰყიდოს.

ყოველ ნახევარ წელიწადში, ესე იგი, 31 დეკემბერს და 30 ივ-
ნისს მსესხებელმა უნდა შემოიტანოს სესხი გასაბათილებლად ყოველ
ას თუმანზე (თუ სესხი 7 1/2 %)—37½ მან. ან (თუ 6 1/2%)—32 ½
მან.

გრძელ ვადიანს სესხს ბანკი აძლევს სოფლის მამულებში 63 8/12,
54 1/2, 48 8/12, 43 1/2 წლით, ხოლო ქალაქის მამულებში 36 4/12,
29 9/12, 27 1/2, 19 11/12 და 18 7/12 წლით. ბანკი იღებს ამგვარ
სესხზე სულ 6 1/2 და 6 პროცენტს, რომელიც სარგებელსაც შეადგენს

და აგრეთვე თავნი ვალის გადასაწყვეტ ფულსაც. დაგირავების დროს მამულის პატრონმა უნდა წარადგინოს დაფასების ხარჯად 1/4% იმ ფულიდამ, რასაც თხოულობს, ანუ ყოველ 1000 მანეთზე 2 მან. 50 კ., ან კიდევ ყოველ ათ თუმანზე 25 კაპ. დიდის ვადის სესხზე ბანკი აძლევს გირავნობის ფურცლებს, რომელსაც ან თვითონ დამგირავებელი ჰყიდის, სადაც უნდა, ან ბანკი უყიდის, ხოლო ამ შემთხვევაში ბანკი ართმევს ჯეროვან პროც. კომისიისათვის. მსესხებელთ შეუძლიანთ, გარდა ჯეროვანის შესატანის ფულისა, მეტიც შეიტანონ (არა ნაკლებ ათის თუმნისა), თუ უნდათ, რომ მალე გაანთავისუფლონ თავის მამული ვადისაგან. მოკლე ვადის სესხს ბანკი აძლევს ერთის წლიდამ სამის წლის ვადით, ხოლო შეიძლება ვადის გაგრძელება რვა წელიწადსაც. მოკლე ვადის სესხში ბანკი იძლევა ნაღდ ფულს, ხოლო ვენახებსა და ხეხილების ბაღებში სესხი არ შეიძლება აღემატებოდეს 2000 მანეთს. მოკლე ვადიან სესხის გატანა მხოლოდ ტფილისის გუბ. შეიძლება, ბანკის დამფუძნებელ წევრთ ერთმევა 5 პროცენტი და სხვათა 8 პროც.

ქალაქის ყოველ გვარი მამული, რომელიც ბანკში დაგირავდება უეჭველად რომელსამე საზოგადოებაში დაზღვეული უნდა იყვეს. თუ ვინიცობაა შენობა დაიწვა, ფული ბანკის სასარგებლოდ მიდის. შეიძლება დამწვარ მამულის პატრონს ფული ნაწილ-ნაწილად დაუბრუნდეს ბანკიდან და როცა ხელახლა ააშენებს შენობას, მაშინ მთლად მიიღოს სადაზღვევო ფული და ისევ ბანკის მოვალედ დარჩეს,

დაფასების დროს დამფასებელნი და ბანკის მმართველობა მხედველობაში იღებენ მამულის სიკეთეს, მის წმინდა წლიურ შემოსავალს, მამულის მდებარეობას და სხვა საბუთებს, რომელნიც ასე თუ ისე ფასს ადებენ მამულს; წმინდა შემოსავალით ვარაუდობენ მამულის ფასსაც: თუ სოფლის მამულია, მაშინ წმინდა შემოსავალი გამრავლებული 16 2/3 წელზე, ანუ 6% კაპიტალიზაციით შეადგენს მამულის ფასის ჯამს, ხოლო ქალაქის მამულში წმინდა შემოსავალი 10—12 1/2 წელზე გამრავლებული ანუ 10%—8% კაპიტალიზაციით შეადგენს, შენობის ფასის ჯამს. შეიძლება ხელახლად დაფასება და ამრიგად ხელ-მეორედ მიღება სესხისა, თუ კი ხუთი წელიწადი იქნება გასული პირველ დაფასებიდან და მამულიც ისევ იმ მდგომარეობაში იქნება როგორც პირველად იყო და თუ მეხუთედი ნაწილი ვალისა გაბათილებული იქნება. აგრეთვე თუ ქალაქის მამულს ახალი რამ შენობა მიემატა. მაშინაც შეიძლება დამატებითი სესხის თხოვნა, შემოსავალის გადიდებისა და შენობის ღირებულობის დაგვარად.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბანკს აქვს უფლება გირავნობის ფურცლების გამოცემისა, რომელიც ყოველ წლივ ორჯელ გამოდის,

იანვარში და ივლისში; გირავნობის ფურცლებს შემოაქვთ პატრონისათვის 5 1/2 და 5%; ამ სარგებელს იმას აძლევენ, ვინც ბანკში კუპონებს წარმოადგენს. გირავნობის ფურცლები, რომელნიც გამოსულან ტირაჟში და არ. წარუდგენიათ ის კუპონებიც, რომელნიც ათის წლის განმავლობაში არ წარუდგენიათ ბანკში, თავის ძალას ჰკარგავენ და ბანკის სასარგებლოდ რჩებიან.

ბანკი თავის წლიურ წმინდა შემოსავალს ასრე ანაწილებს: მომეტებული ნაწილი 45 პროც. მიდის საზოგადო საჭიროებისათვის, სათავად-აზნაურო და სხვა სკოლებისათვის; 10 პროც. ბანკის მმართველობისა, დამფასებელ კომისიისა და ბანკში მსახურთა სასარგებლოდ; 10 პროც. ძირითად თანხას ემატება, 10 პროც. სამეურნეო თანხას და სხვ.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი თავის სარგებლით ინახავს და არჩენს სათავად-აზნაურო სკოლას, ეხმარება წინამძღვარიანთ კარის სკოლას, დაზარალებულ თავად-აზნაურებს, ქართულ თეატრს, და სხ. ბანკის მოგების განაწილება ამ ჟამად თავად-აზნაურთა საზოგადო კრების ხელშია. — ამგვარი საკრედიტო დაწესებულება არსებობს ქუთაისშიაც, რომელსაც „ქუთაისის სათავად-აზნ. საადგილმამულო ბანკი“ ეწოდება.

III

ცვლილება სოფლის ხალხის ცხოვრებაში

წარსულ საუკუნის უკანასკნელ ნახევარში დიდი ეკონომიური ცვლილება განიცადა ჩვენმა ცხოვრებამ. ძველი ეკონომიური ურთიერთობა დაირღვა და მის ნაცვლად ახალი, მოწინავე ხალხებში არსებულის მზგავსი, წარმოსდგა და განვითარების გზას დაადგა. ჩვენი ხალხი ეხლა ისე აღარ სცხოვრობს, როგორც ამ რამდენისამე ათეული წლის წინად სცხოვრობდა, იმით ვეღარ კმაყოფილდება, რაც მაშინ საკმარისად ეჩვენებოდა. დღეს უკანასკნელი გლეხიც-კი, რომელსაც ახსოვს მაშინდელი ამბები, მედიდურად იღიმება უწინდელ ცხოვრების მოგონებაზე და სიამოვნებით აღნიშნავს ეხლანდელ „განათლებულობას“, „გაღიდკაცებას“, „თავისუფლებას“, მაგრამ ჩვენ მაინც ღღესაც დიდ გაჭირვებაში ვართო, — ამოოხვრით დასძენს იგი.

და ეს სრული სიმართლეა; ცხოვრება გაძნელებულია და ხალხი დღესაც გასაჭირშია. მართალია, ეკონომიური ურთიერთობა, ეკონომიურ მოქმედების ფორმა და ხასიათი შეიცვალა; მოისპო ძველებური წყობილება და ახალი დამყარდა; მაგრამ არ მოსპობილა, არ გამ-

ქრალა გაჭირვება და ბედის უკმაყოფილება. ახალმა ცხოვრებამ წარმოშობა ახალი მოთხოვნილება, ახალი ზრუნვა და ჭაპან-წყვეტა. ცხოვრება გაფართოვდა, გართულდა და ამან გამოიწვია მეტი ფიქრი თავის მდგომარეობაზე, მეტი მოძრაობა და მოუსვენარობა.

ამ 50 წლის წინად, შეიძლება ვსთქვათ, ჩვენი ხალხის ცხოვრების ერთად-ერთ სახსარს სასოფლო მეურნეობა შედგენდა. ეს იყო ხახა უფრო კარ-ჩაკეტილ ოჯახურ ცხოვრებისა. გლეხი მისდევდა ხვნა-თესვას, აძლევდა ბატონს განსაზღვრულ საბატონო წილს და გადასახადს, უხდიდა იმავე ბატონს განსაზღვრულ თუ განუსაზღვრელ ბეგარას და დანარჩენ დროს ანდომებდა თავის ოჯახის და კარმიდამოს მოვლას და შენახვას. თავისის პურით ჰკვებავდა ოჯახს, თავისის ღვინით მარხავდა მკვდარს, თავისის ხელით იკეთებდა ოჯახში საჭირო სხვა და სხვა იარაღს და მოწყობილობას და ხშირად შინ იესოვდა სამოსელსაც. ვაჭარს მიჰმართავდა, ჩვეულებრივ, მარილისათვის და ხელოსან მჭედელს—წალდ-სახნისისთვის. მიმოსვლა ღღეევანდელთან შედარებით გასაჭირი იყო. იშვიათად განშორდებოდა გლეხი თავის სოფელს და სადმე ქალაქში ან სხვაგან მუშაობას იწყებდა. იგი უფრო შინაურის (ოჯახური) ნაწარმოებით კმაყოფილდებოდა. ერთიც ისე სცხოვრობდა, როგორც მეორე, მეორეც ისე, როგორც მესამე. არ იყო მათში დიდი განსხვავება ქონებისა და, მაშასადამე, არც სახლ-კარის გარეგან კომფორტით მოწყობის მხრით. ამიტომ არ მოძრაობდა წაბაძულობის გრძნობა: ყველანი ერთნაირ სიღარიბეში სცხოვრობდენ, როგორც ეცხოვრა მამაპაპას, — მდარედ, მდაბიოდ და უკეთესის უცოდნელად და შეუგნებლად. და ყველა ეს ნიშნავს იმას, რომ ცხოვრება მაშინ იყო მარტივი და მოთხოვნილება განუვითარებელი.

მაგრამ შემდეგ ხანებში ასეთი მდგომარეობა თან-და-თან შეიცვალა. ნე-60 წლებში მოხდა გლეხთა განთავისუფლება. გლეხი ჩამოშორდა ბატონს იურიდიულად და მიშვებულ იქმნა თავის საკუთარ ინიციატიეაზე. მშრომელი გახდა თავისუფალი და ამით საჯაროდ აღიარებულ იქმნა პრინციპი შრომის თავისუფლებისა. ეხლა გლეხს ბატონის ბეგარა აღარ უშლიდა სადმე წასვლას და დროებით სოფლის მიტოვებას. იმას უფლება მიეცა დაუბრკოლებლივ იმ საქმეს დასდგომოდა, რაც ჰსურდა, წასულიყო, საცა უნდოდა, საქმე მოეძებნა ქალაქში ან სხვა შორეულ სოფელში და ამნაირად ბევრი ახალი რამე ენახა, დაჰკვირვებოდა, შეესწავლა. შეჩვეოდა და ზოგი რამ თავის ცხოვრებაშიაც გადაეღო და შეეთვისებია. ამ სახით ბატონყმობის მოსპობა და გლეხების განთავისუფლება იყო პირველი მთავარი და ძლიერი დაკვრა, მიმართული ძველებურ კარჩაკეტილ მეურნეობის კედლებისაკენ

ომათ დასარღვევად და ახალ ცხოვრებისათვის ასპარეზის გასაფართოებლად.

ამ დროს ახალი ეკონომიური ურთიერთობა, რუსეთისა და უცხოეთის მრეწველობის ზედგავლენით, ჩვენში შეუჩერებლივ გზას იკაფავდა. ყოველ წლობით იმატა საზღვარ-გარეთიდან და რუსეთიდან შემოტანილ საფაბრიკო ნაწარმოებთა რაოდენობამ. ვაჭრობა ქალაქებში გაძლიერდა და მისი განვითარება დაბა-სოფლებსაც დაეტყო და სოფლის ხალხისთვისაც საგრძნობელი გახდა. ვაჭარმა სოფელს მიაწოდა ძველებურ ხამის მაგივრად ჩითი, ნარმა და მიტკალი, რომელიც სუფთაცაა და ლამაზიც; ჯამის მაგივრად ჭიქა და თეფშები, ქალამნისა და წუღების სამაგიეროდ ჩექმები და „პოლსაპოჭკები", და ფიჩხისა და ჭრაქის სანაცვლოდ წუმწუმა, ნავთი და სხვა-და-სხვა ფორმის ლამპები. სოფლის ხალხმა თავისის თვალით ნახა და გაიცნო ყველა ის ნაწარმოებნი, რომელნიც თანამედროვე მატერიალურ კულტურას წარმოადგენენ, და შეეჩვია კიდეც იმათ ხმარებას: თანდათან გავრცელდა ხალხში ბევრი ისეთი საგნები, რომლებიც წინედ სიზმრადაც არ მოეზმანებოდათ. და ეს-კი იმას ნიშნავს, რომ ხალხის მოთხოვნილება გაიზარდა, რომ იგი გადიდდა, გაფართოვდა, ასე ვთქვათ, გაკულტურულდა.

მეორეს მხრით, სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, რომლების გარკვევა საგანს ავვაცდენს და ამიტომ აქ აღარ გამოვუდგებით. სწრაფად იმატა ხელოსანთა რიცხვმა. ხურო, დურგალი, მებელის მკეთებელი (სტოლიარი), მებუხრე და კალატოზი, ზეინკალი და ოქრომჭედელი დაბა-სოფლებშიაც ხშირი მოვლენა გახდა. თუ წინედ გლეხი თავისის ქოხის ასაგებად მეზობლებს დაიხმარებდა, ნადს შეიწევდა, და ქირის სანაცვლოდ მხოლოდ გაუმასპინძლდებოდა, დღეს ხურო, დურგალი, კალატოზი და მებუხრე უნდა მოიწვიოს და მუშაობაში ფული აძლიოს. რა თქმა უნდა, ნასწავლი და გავარჯიშებული ხელოსანი თავის საქმეს უკეთესად ასრულებს, ვინემ წინანდელი ხელობის უცოდნელი გლეხი. ხუროს აგებული სახლი უფრო ლამაზია ძველებურ სახლზე, დურგალ-სტოლიარის ნაკეთები სკამი, კამოდი და ზანდუკი უფრო მოხდენილი და საამოა ძველებურს ჯორკოსა და კიდობანზე, ფანჯრის შუშა უკეთ ანათებს, ბუხარი მეტად ათბობს და სხვა-და-სხვა. სოფლელის გემოვნება ყველა ამაებს შეეჩვია და მოთხოვნილებად გადაექცა. წინანდელი ფუფუნება დღესაც აუცილებელ საჭიროებად ითვლება. ამნაირად აქაც მოთხოვნილების ზრდას და განვითარებას ვხედავთ.

კიდევ ბევრი სხვა მიზეზი და გარემოება არის აღსანიშნავი, რომე-

ლიც ხელს უწყობს ხალხში მოთხოვნილებათა გაზრდას და გაფართოებას. საფაბრიკო ნაწარმოებთა გავრცელებამ და დაუმუშავებელ მასალისთვის ბაზრის გაჩენამ ძირი გამოუთხარა და გააქრო ოჯახური მრეწველობა. ეხლა ოჯახებში აღარ ქსოვენ არც ხამებს, არც დარაიებს; ვისაც ბამბა მოჰყავს, ჰყიდის ბამბადვე, აბრეშუმის მომყვანი ნაწარმოებს პარკად ასაღებს. შალი იშვიათ ოჯახებში იქსოვება. თანამედროვე განვითარებამ მწარმოებელნი ერთმანეთს დააშორა და შუაში ჩარჩი-ვაჭარი ჩაუყენა. ხშირად დღეს გლეხის დედა-კაცი წინდასაც აღარ ქსოვს ოჯახში: მატყლი მაშინ არა აქვს, როცა ქმარშვილს წინდა სჭირდება, და ისევ მეწვრიმალეს მიმართავს, რომელსაც ფაბრიკული წინდები და „ჩულქები“ მუდამ აქვს გასაყიდად. და თუნდაც რომ მატყლი იყიდოს და შინ მოქსოვოს, მაინც ხეირი უმნიშვნელოა, რადგან მოტანილი საქონელი ძალიან იაფად იყიდება. ამასთან თვით ის გარემოება, რომ საყიდლად მზა-მზარეული ყოველთვის იშოვებაო, ხდის დედა-კაცებს უფრო უზრუნველად და უკარგავს ხელსაქმის ხალისს სახლში მოსახმარ ნაწარმოების დასამზადებლად.

ერთის სიტყვით, ასეა თუ ისე. ახალმა განვითარებამ სოფლის დედაკაცს ხელ-საქმე ჩამოაშორა, შრომა შეუმცირა, მეტი თავისუფლება მისცა და ამ ნაირად საჭორიკანო დრო გაუდიდა. იშვიათია ოჯახი, რომ მული რძალთან კარგად სცხოვრობდეს, რძალი დედამთილს არ ემდურებოდეს. ეს ადვილი გასაგებია, როცა ოჯახური წარმოება ფართო და მრავალ-მხრივი იყო, როცა მეურნეობასთან ერთად მრეწველობასაც ეწეოდენ ასეთი თუ ისეთი შრომის დანაწილება, ერთმანეთის წეს-რიგზე დახმარება, საზოგადოდ ორგანიზაცია აუცილებელი იყო. მაშინ ოჯახი მრავალი სულისგან შესდგებოდა, ყველანი განსაზღვრულის დაწყობილობით შრომობდნენ. დღეს ეს მოიშალა და ამით მოიშალა ოჯახის წევრთა ურთიერთობაც. რძალი რძალთან აღარ დგება, შვილი მამასთან. ეხლანდელი ხანა არის ხანა ინდივიდუალიზმისა. ერთი ძმა მეორეს უყურებს, — ჩემი ნამუშევრიდან ჩემი ძმის შვილებზე მეტი ხომ არ იხარჯებაო და ყოველთვის სცდილობს საერთო ოჯახს განშორდეს და თავისი საკუთარი კერა გაიჩინოს. გაყოფას-კი მოსდევს შედეგად ახალ სახლის მოწყობა, სამუშაო იარაღის შეძენა,—ახალი ურემი, ფარცხი, თოხი და ბარი ყანისთვის და ახალი დრამა მღვდელ-დიაკვნისთვის. მაშასადამე, ამ მხრივაც ხარჯი დიდდება და მოთხოვნილება იზრდება.

ეს კიდევ არ კმარა, ახალმა დრომ გავლენა იქონია საოჯახო ხელსაქმე-მრეწველობის ისეთ დარგზედაც, რომელსაც საფაბრიკო ნაწარმოებთა კონკურენცია სრულიად არ ეხება. ეს არის ოჯახური

ჭრა-კერვა. ეხლა რკინის გზებია გაყვანილი, მოგზაურობა და მიმოსვლა გაადვილებული. საკმარისია, გლეხის ქალი რკინის გზის სადგურზე გამოვიდეს, რომ სხვა და სხვა მოდებში გამოწყობილი ქალაქის ქალები ნახოს. ან თვით სოფელში ცხოვრობს აზნაური, თავადი, მღვდელი. — ამათი ცოლები მოდებზე იცვამენ. ან იმათთან მოდიან ქალაქში მცხოვრები ნათესავები. ამ მხრით სოფლის ხალხს ყოველთვის აქვს შემთხვევა ახალ-ახალი ჩაცმულობა ნახოს და შეეჩვიოს. რა თქმა უნდა, ყველას ეხალისება ლამაზად და უეკველად მოდაზე ჩაცმა. ქართული ჩაცმა-დახურვა მუდამ ერთნაირი მოდისაა, არც იცვლება და არც სხვაფერდება. იმის შეკერვის ერთხელ შეგნება და შეთვისება სამუდამოდ ჭრა-კერვის ცოდნას ნიშნავდა. ეს ახალი მოდა-კი მარტზე უფრო ცვალებადია და ყველას არ შეუძლია მისი შესწავლა და მის თანახმად ჭრა-კერვა. ამიტომ სოფლებშიაც ჩნდებიან ხელოსანი მკერვალი დედა-კაცები, რომლებიც თავის მეზობელ ქალებს საკერავს მოდების თანახმად უსრულებენ. და ამნაირად დღეს გლეხმა არა თუ უნდა იყიდოს თავისი ცოლის საკაბე, არამედ მის შეკერვაშიაც კი ფული უნდა გადაიხადოს. ასეთი ამბავი 50 წლის წინედ გლეხის ოჯახში წარმოუდგენელი იქნებოდა. აი, ასე უცნაურად და შესანიშნავად იცვლება ხოლმე ხალხში მოთხოვნილება!

მაგრამ მოთხოვნილებას, რასაკვირველია, დაკმაყოფილება უნდა. მოთხოვნილებათა გამრავლებისდაგვარად უნდა მატულობდეს შემოსავალიც, რომ ადამიანმა შეიძლოს მათი გაძღოლა და დაკმაყოფილება. და გაჭირვებაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მშრომელი ხალხის შემოსავალი ძალიან ცოტაა და მოთხოვნილებათა გაფართოებისაგან ძალიან დაშორებული არის.

მეურნე გლეხისათვის შრომის მთავარ იარაღს და იმავე დროს ცხოვრების წყაროს მიწა შეადგენს. მისი საოჯახო თუ საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი მიწის მოსავალმა უნდა დააკმაყოფილოს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ მოთხოვნილებები გამრავლდა, თორემ მიწას არც სივრცით უმატნია და არც თავისი ნაყოფიერობით. თუ აქა-იქ გლეხობამ თავად-აზნაურობისაგან მამულები შეიძინა, სამაგიეროდ ხალხი იმდენად გამრავლდა, რომ ამ შეძენას ბევრად გადააჭარბა, ასე რომ დღეს ჩვენში მიწის საშინელი სივიწროვეა და მაშასადამე, მარტო მიწის მოსავალს ხალხის დაკმაყოფილება არ შეუძლია. სამეურნეო ცოდნის გავრცელებას შეეძლო რამდენიმედ მიწის სიმცირის შედეგის შესუსტება, მაგრამ აბა ვინ არ იცის, რო ჩვენს გლეხობაში სამეურნეო ცოდნის ჰაჰანებაც არაა. ჩვენში ისე იხვნება და ითესება მიწა, როგორც ათასი წლის წინედ. მის შემუშავებაში არავითარი ცვლილება არ შეტანილა და ძველებური წესი არ გაუმჯობესებულა. ამი-

ტომ მიწა, ნაცვლად განოყიერებისა თანდათან ნაკლებ მოსავალს იძლევა — მუდამ ეამს სუსტდება და იფიტება.

ცოტა მიწის მქონე გლეხს ან სრულიად უმამულოს შეძლებაც არა აქვს სოფელშივე სადმე დღიურ მუშად დადგეს და უმამულობისაგან წარმომდგარი დანაკლისი დღიურ ქირაზე მუშაობით შეიტანოს. ჩვენებურს სასოფლო მეურნეობაში კაპიტალიზმი ჯერ არ შესულა, — წარმოების წესი არ შეცვლილა. არ მოიპოვება დიდი მამულები, რომლებსაც პატრონი გაუმჯობესებულ მაშინებით ამუშავებდეს, კაპიტალს ანდომებდეს, და ამიტომ მოქირავე მუშებს საჭიროებდეს და კიდეც ხმარობდეს. ჩვენში დაქუცმაცებული წვრილი სამეურნეო წარმოება არსებობს და არა მსხვილი და ამის გამო თავისუფალი, საკუთარ საუშაოს მოკლებული, მუშა ხელი იქ ვერ მოულობს საქმეს და ცხოვრების წყაროს.

ზევით ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ ვაჭრობისა და საფაბრიკო ნაწარმოებთა გავრცელებამ ოჯახურ მრეწველობას ნიადაგი გამოაცალა და გაანადგურა. ამიტომ დღეს მიწის შემოსავალს მოკლებული გლეხი საშინაო მრეწველობითაც ვეღარ ივსებს თავის შერყეულ ბიუჯეტს და ვეღარ იადვილებს ცხოვრებას. შინა-მრეწველობის ტეხნიკა პრიმიტიულია. ნაწარმოების დამზადებას შეუფერხებლად ბევრი დრო და ჯაფა უნდება, გასავალი, ბაზარი კი თითქმის სულ არა აქვს, რადგან ხალხის გემოვნება შეიცვალა და უფრო იაფს და ლამაზ უცხო ნაწარმოებს შეიჩვია.

მოკლედ რომ ვთქვათ, უმამულო გლეხისთვის სოფელში ფულის შოვნა და ოჯახის შემოსავლის საჭირო დონეზე დაყენება არსებულ პირობებში მოუხერხებელი და ხშირად შეუძლებელია, ცხადია ამიტომ, რომ ზედმეტი ხალხი, დროებით ან სამუდამოდ, სოფელს უნდა განშორდეს და სასოფლო მეურნეობის გარეშე უნდა ეძიოს წყარო და სახსარი ცხოვრებისა. და სად წავა ასეთ შემთხვევაში მუშა თუ არ ქალაქში? იმას გაგონილი აქვს, რომ აქ ბევრი საქმეა, მრეწველობა ძლიერია და მუშა ხელისთვის ბევრი სამუშაოს მიმცემი დაწესებულებები. სოფლელი ქალაქისაკენ მიდის და ქალაქში მოელის პურის შოვნას და თავის რჩენას.

ამ სახით უმთავრესი და უძლიერესი მიზეზი სოფლის ხალხის ქალაქში გადმოხიზვნისა ეკონომიური უსახსრობა და გაჭირვება არის: სოფლის ხალხი ქალაქში ეძებს იმას, რაც სოფელში ვერ მოუპოვებია, — თავის რჩენას, ცოლ-შვილის გამოკვებას, გადასახადთა გასტუმრების საჰსარს. მაგრამ ამას თან ერთვის ხშირად ისეთი გარემოებაც რომელიც უფრო კულტურული ხასიათისაა. მე — და უეჭველია სხვასაც—არა იშვიათად შემიმჩნევია, რომ სოფლის გარედ —

ქალაქში მიდის ისეთი გლეხიც, რომელიც სოფელში მიწის მუშაობით თავის რჩენას მოახერხებდა. ყანის მუშაობის დროსაც თავის მამულს და სახლ-კარს თავს ანებებს და რჩეობდა ქალაქში მუშაობას და იქ ცხოვრებას. ქალაქისკენ ასე მისწრაფებას იწვევს მთელი თანამედროვე კულტურა, რომლის დასაბამი და ბუდე ისევ და ისევ ქალაქია.

ბიჭოსვლის გაადვილების წყალობით ეხლა სოფელი ეკონომიურ გაჭირვების ძალდაუტანებლადაც ნახულობს ქალაქს და ეცნობა იქაურ ცხოვრებას. მას ჰყავს აქ ან ქალი გათხოვილი, ან ძმა და ნათესავი დაბინავებული, ან სასამართლოში არის თვითონ დაბარებული. და ქალაქის ნახვა ნიშნავს უკეთესი ცხოვრების ნახვას, — აქ არის მეტი გასართობი, მეტი მოძრაობა, მეტი ცოდნა და „განათლებულობა". ქალაქში გოგოდ ან ძიძად ნამყოფი გლეხის ქალი აღტაცებით მოუთხრობს სოფელში დაბრუნებისას თავის ნაცნობებს იქაურ მოდებს, ჩაცმულობას, გასართობს, ფუფუნებას. გასაგებია, რომ ასეთ გარემოებაში ბევრს აღეძვრება სურვილი იქ წასვლისა და დაბინავებისა.

ასე მოქმედობს სოფლებში სკოლების გამრავლებაც. გლეხის შვილი, სკოლის დასრულების შემდეგ, იდილობს ქალაქში ვაჭარ-ხელოსნის შეგირდის ან ნოქრის, ან სხვა „ნასწავლ" კაცის შესაფერ ადგილის შოვნას. სამეურნეო შრომას იგი თავიდანვე გადაჩვეულია. და, ერთხელ ქალაქში დაბინავებული, იგი, სამშობლო კერასთან კავშირის გაუწყვეტლობით, ავრცელებს სოფელშიაც ქალაქურ აზრ-შეხედულებას, უკიდურეს რადიკალობას და თან ქალაქისადმი აღტაცებას და ლტოლვილობას.

აქ უნდა გავიხსენოთ თანამედროვე სამხედრო სამსახურიც. სალდათად გაყვანა გლეხს აშორებს, ისე როგორც სკოლა, სოფელს და სოფლის მეურნეობას და აჩვევს ქალაქს და ქალაქურ ცხოვრებას. სამსახურის გათავების შემდეგ იგი აღარ უბრუნდება სოფელს და, ნაცვლად მეურნეობისა, რომლის ხალისი სამსახურმა გაუქრო და დაუკარგა, ეძებს ქალაქში სამუშაოს და ბინას.

როგორც ხედავთ, ქალაქი ბევრის მხრით იზიდავს და იტაცებს თავისკენ სოფლის ხალხს...

„საქართველოს კალენდარი", 1904 წ., ვალ. გუნიასი, ტფილისი, 1903 წ (გვ. 275—292).

გურიის მოძრაობის გამო

გუშინ მკითხველი ადგილობრივს გაზეთებში ერთს ფრიად საყურადღებო ამბავს ამოიკითხავდა. ეს ამბავი შეეხება გურიაში ჯარის გაგზავნის და ამის გამო მთავარმართებელთან დეპუტატის მისვლას...

დღეს არავისთვის დაფარული აღარაა, რომ გურიაში ხალხი დიდ მოძრაობაშია და ცდილობს გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა, ეს მოძრაობა გუშინ და გუშინ-წინ არ დაწყებულა,—აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც იქ ხალხი თანდათან იღვიძებს და თავის ცხოვრების საუკეთესოდ მოგვარებისთვის ზრუნავს. იქ არ ყოფილა არც „აჯანყება“, არც „ამბოხება“, როგორც ეს გუშინ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ ამცნო მთელს ქვეყანას, არამედ იყო მოძრაობა მშვიდობიანი... ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ხალხის ასეთ გამოღვიძებას ვერა გაუგო-რა. ნაცვლად იმისა, რომ ცხოვრების ვითარებას ჩაჰკვირვებოდა, ხალხის საჭიროებანი გამოეკვლია და გაეგო, მან მოკლედ მოსჭრა საგანი და ყველაფერი ურჩობისა და ამბოხების სურვილს მიაწერა...

საუბედუროდ, დღეს მამასახლისისა და ბოქაულის ხმას მეტი გავლენა და გასავალი აქვს მთავრობასთან, ვიდრე პრესსას და მწერლობას. უმაღლესმა მთავრობამ ბოლოს გადასწყვიტა გურიაში დიდი ჯარის გაგზავნა „აჯანყებულ გურულების დასამშვიდებლად“... ჯარი კიდეც გაიგზავნა, — იგი დღეს უკვე ჩასულია გურიაში. ჯარის უფროსს გენერალს ალიხანოვ-ავარსკის, ნება მისცეს, ისე იმოქმედოს და ისეთი ღონისძიებანი იხმაროს, როგორიც ომიანობის დროს იხმარება...

ეს ამბავი ელდასავით მოგვხვდა ყველას და ელვის სისწრაფითაც მოედო მთელს ჩვენს საზოგადოებას, საომრად გაგზავნილი ჯარი გურიაში! ეს მოასწავებდა სისხლის ღვრას, ხალხის ხოცვა-ყლეტას, სოფლების აკლება-აოხრებას! რა თქმა უნდა დამშვიდებული ვერ იქნებოდა ჩვენში ვერავინ, ვისაც კი ცოტათი მაინც უღვივის გულში ჩვენი ხალხის სიყვარული და ეროვნული გრძნობა. აოხრება და დაცემა გურიისა, რომელიც მოწინავე და ყოველმხრივ უფრო შეგნებული კუთხეა ჩვენი სამშობლოსი, ნიშნავს საქართველოს ხალხოსნურ ძალ-ღონის შემცირებასა და შესუსტებას, მის დაძაბუნებას და უკან დაწევას, სისხლის ღვრა! გული გიკვდება კაცს და, გრძნობ-რა თავის უადამიანობას, ჯავრისაგან სისხლი ყელში გაწვება, როცა ჰხედავ თუ როგორ და რითი უნდა დასრულდეს მსხვერპლთა შეწირვა...

და რა მოხდა ისეთი, რაიცა ამართლებდეს სისასტიკეს და სისხლის ღვრის გამოწვევას? დღეს მთელმა რუსეთმა იცის, მთელი პრესსა ამას ჰქადაგებს ხმა-მაღლა, რომ საზოგადოების გაზრდილი მოთხოვნილება ვეღარ ეტევა იმ ვიწრო კალაპოტში, რომელიც ცხოვრებას ძველმა წყობილებამ მიუჩინა, — იგი არღვევს ამ კალაპოტს და გადმოდის ნაპირებიდან. ყველგან, საცა ხალხის შეგნება იზრდება და

თვით ცნობიერება იღვიძებს ესრედ წოდებული „მოძრაობა“ აუცილებლად იწყება და არსებულ მართვა-გამგეობის მიმართ წინააღმდეგობა ვითარდება. გურიის ხალხი უფრო წინ წავიდა კულტურულად, მასში გავრცელდა სწავლა-განათლება, გაიზარდა გონებრივი და ნივთიერი მოთხოვნილება, ხოლო ბიუროკრატიულ წყობილებას ჩვენში არავითარი ცვლილება და გაუმჯობესება არ განუცდია, რომ შეჰგუებოდა ხალხის ცხოვრების ახალ ვითარებასა და საჭიროებას, ადმინისტრაციასა და ხალხს შორის გაიმართა ჩუმი ანტაგონიზმი, წინააღმდეგობა; პირველი ცდილობდა ამ წინააღმდეგობის გარეგან გამოხატულების მოსპობას, ხოლო თვით მიზეზებზე და მოვლენის რეალურ საფუძველზე არც მას და არც სხვას ვისმე არას დროს არ უფიქრია. ამ უთანხმოების მოსპობა და გურიის საქმეების მოწესრიგება, რასაკვირველია, ტყვიითა და ზარბაზნებით არ შეიძლება...

როგორც მოხსენებული გვქონდა რამდენისამე პირისაგან შემდგარი დეპუტაცია წარუდგა მთავარ მართებელს, გენერალ მალამას და სთხოვა ჯარის უკანვე გამოწვევა, რადგან გურიაში ჯარის ყოფნას შეუძლია შემთხვევითაც გამოიწვიოს ისეთი კერძო გარემოება, რომელსაც შედეგად სისხლის ღვრა და ხალხის ხოცვა მოჰყვება. მთავარმართებელმა შესაძლებლად სცნო, მოახდინოს განკარგულება რომ ჯარი ნატანებში იქმნეს გაჩერებული, ხოლო გურიის სოფლებში გაიგზავნოს მთავარმართებლის საბჭოს წევრი სულთან კრიმ-გირეი და საფუძვლიანად გამოიკვლიოს გურიის ყოფა-მდგომარეობა. პიროვნება ხალხის წარმომადგენელია, რომელთანაც ბ-ნ სულთან კრიმ-გირეის მოუხდება ლაპარაკი, სრულიად ხელშეუხებელი და უზრუნველ-ყოფილი იქნება.

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით მთავარმართებლის განკარგულებას რომ ჯარი ერთ ადგილას იქნება გაჩერებული და ნება არ ექნება გურიის სოფლებს მოედოს და მთელი გურია ომიანობის მსგავს პიროებებში ჩააყენოს.

სასიამოვნოა აგრეთვე, რომ მთავრობამ გადასწყვიტა ხალხის ცხოვრების გაცნობა და მის საჭიროება-მოთხოვნილებათა გაგება. ბ-ნი სულთან კრიმ-გირეი ისეთი პატიოსანი კაცია, რომ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მისი იქ გაგზავნა და მდგომარეობის გამოკვლევა ხალხისთვის სასარგებლო იქნება.

ამ გამოკვლევისა და გურიის საჭიროების შესახებ ჩვენ ცალკე მოვილაპარაკებთ.

აქ კი დასასრულს უნდა ვთქვათ, რომ გურიის მოძრაობა დიდად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი გვიმტკიცებს, რომ

ჩვენი ხალხი მკვდარი არაა და მწვავედ გრძნობს თავის უუფლებობას. ეს ფაქტი ძლიერი საბუთია იმისი, რომ ჩვენს მხარესაც უნდა მიენიჭოს ის პოლიტიკური განახლება, რომელსაც დღეს მთელი რუსეთი მოუთმენლად ელოდება...

გაზ. „ივერია", 1905 წ., № 3, გვ. 1.

პრესის თავისუფლება

ამ სამი დღის წინად ტფილისის ყველა ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებმა დეპეშა გაუგზავნეს სახელმწიფო საბჭოს წევრს კობეკოს, რომელიც თავმჯდომარეა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონეიის გადასასინჯად შემდგარ კომისიისა, და სთხოვეს, რომ კომისიაში მიწვეულ იქმენ კავკასიის პრესის წარმომადგენელნი და ჩვენს მხარეშიაც მიეცეს ბეჭდვითი სიტყვას თავისუფლება და ცენზურისაგან დამოუკიდებლობა.

არა გვგონია, ჩვენს მკითხველებში იყოს ვინმე ისეთი, რომელსაც — იმ საფუძვლით, რომ თვითონ რუსეთში პრესის თავისუფლების დაკანონებას დღე-დღეზე მოელიანო, — ზედმეტად და უადგილოდ ეჩვენოს ამგვარ შუამდგომლობის აღძვრა და ადგილობრივ მოთხოვნილების გამოცხადება. რუსულ გაზეთებიღან ვიცით, რომ კობეკოს კომისიას მიუღია პრინციპი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისა და გადაწყვეტილი აქვს შეიმუშავოს ისეთი კანონ-პროექტი, რომელიც, როცა დაკანონდება, თავისუფლებას მიანიჭებს რუსეთის პრესასა. სამწუხაროდ, იმავე გაზეთებმა გადმოგვცეს, რომ ასეთი უფლება მხოლოდ შუაგულ რუსეთის ბეჭდვითი სიტყვას ექნება და იგი არ შეეხება იმ პრესასა, რომელიც აღმოსავლეთის (ე. ი. ქართულ, სომხურ, თათრულ და სხვ.) ენებზე იბეჭდებაო.

ეს ამბავი იმის მომასწავებელია, რომ რუსეთში ბნელეთის მოყვარეთ ჯერ კიდევ ძალა და გავლენა აქვთ. „ბირჟ. ვედომ"-ის სიტყვით, კობეკოს კომისიაში არიან ისეთი პირები, რომელნიც ხელებს ასავსავებენ, როცა არა რუსულ პრესის თავისუფლებაზე ლაპარაკს კაიგონებენ. „ინოროდცები რუსეთში ცხოვრობენო, — უთქვამს კომისიის ერთ წევრს, — და ისწავლონ კიდეც რუსული ლაპარაკი და წერა, თუ მართლა სურთ, რომ თავისუფალი სიტყვა გაიგონონო"...

რასაკვირველია, ასეთი „ლიბერალობა" ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია: თავისუფალი ხარ იმ ენაზე სწერო და იკითხო, რომელიც არ იცი და არ გაგეგება!... თავისუფალი ხარ, რაც გინდა, ის სწერო და

ბეჭდო, ოღონდ ხელი აიღე თავის გვარ-ტომობაზე და ისურვე გადაგვარება.., ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა „სორტისაა“ ესეთი „ლიბერალობა.“

დღეს მთელი რუსეთი ხედავს, რომ პრესსის დამონებამ და დამუნჯებამ უფსკრულამდის მიიყვანა საზოგადოება და ცხოვრება. ბიუროკრატია დაუბრკოლებლად ნავარდობდა ქვეყანაში, სადაც მის წინააღმდეგ არავის შეეძლო ენის დაძვრა და ხმის ამოღება. დღეს უკვე დარწმუნდა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, ხალხი, საზოგადოება თავს მაღლა სწევს და ბოლოს უღებს დაბეჩავებას. მას აღარ უნდა, ბიუროკრატია ისე უკანტროლო იყოს, როგორც იყო აქამდის, და თხოულობს სიტყვისა და წერის თავისუფლებას.

და ამ დროს მოიპოვებიან ისეთი „ლიბერალები“, რომელნიც სხვა ერებს უარს ეუბნებიან იმაზე, რასაც თვითონვე საზოგადოების განვითარებისა და წინმსვლელობის აუცილებელ პირობად სთვლიან და თავისთვის მადიანად თხოულობენ. ის, რაც კარგი და ნაყოფიერია რუსეთში, ცუდი და გამოუსადეგარია თურმე ჩვენს განაპირა მხარეში. სწორედ იქ, სადაც ძველი წესწყობილების სივაგლახე ყველაზე უფრო მძიმე და აუტანელია, იქ, სადაც ხალხი უფრო უპატრონო და დაჩაგრულია, სადაც უკონტროლო ბიუროკრატია შუაგულ რუსეთზე ბევრად უფრო ძლიერი და საზოგადოების აბუჩად ამგდებია, — თურმე მავნებელია სიტყვის თავისუფლება და ცხოვრების სიდუხჭირის გამომჟღავნება!

ჩვენ არ ვიცით, თუ რა პასუხს მიიღებენ თავის დეპეშაზე ტფილისის რედაქტორები. ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ მოსალოდნელ თავისუფლებას არ მოაკლებენ კავკასიას და ჩვენს პრესსას ახსნიან ბორკილს და მოაშორებენ სიმუნჯის ბეჭედს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მოლოდინი არ გამართლდა და ბეჭდვით სიტყვას კავკასიაში არ ეღირსა თავისუფლება. რას ფიქრობენ რუსის ლიბერალები? ნუ თუ ჰგონიათ, რომ ჩვენი მხარე ამგვარ დაცინვას და ღირსების ახდას შეურიგდება?..

გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 7, გვ. 1.

გადმოსახლება თუ დასახლება?

ვინც კი ცოტათი მაინც იცნობს ჩვენი სოფლის ცხოვრებას და სოფლელ ხალხის მდგომარეობას, უეჭველად ეცოდინება, თუ როგორ დიდი სიმცირეა მიწისა ჩვენში. მთელს რუსეთის იმპერიაში არ მოიპოვება ისეთი გუბერნია, სადაც გლეხობას ისე მცირე ადგილ-მამული

ეჭიროს, როგორც ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიაში. ხალხი თანდათან მრავლდება, სხვადასხვა სახელმწიფო გადასახადი მატულობს, კულტურული მოთხოვნილება იზრდება, ხოლო მიწა, რა თქმა უნდა, წინანდელ სივრცისაა, და ჩვენი მეურნე ხალხი, შიმშილით ამოწყდებოდა, რომ იგი, ასე თუ ისე, არ ახერხებდეს სოფელს გარედ რაიმე სამუშაოს შოვნას და გარეშე შემოსავალით მიწის ნაკლებობის ცოტათი მაინც შევსებას.

ეხლა საზოგადოებამაც იცის და მთავრობამაც, რომ საქართველოს სოფლებში — განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში — ხალხის დიდი მოძრაობაა. რა სახისა და შინაარსისაც უნდა იყოს ეს მოძრაობა დღეს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მის სათავეში საფუძვლად დაედვა მიწის ნაკლებობა და საერთოდ ხალხის ეკონომიური გაჭირვება. ცხადია, — ხალხის გამრავლება ადიდებს მიწის მოთხოვნილებას და იჯარის ფასს. ეს ზოგადი საეკონომიო კანონია, რომელსაც ემორჩილება ჩვენი სოფლის ცხოვრებაც. ყველამ ვიცით, თუ რა დიდ საიჯარო ფასს იხდიან ჩვენში მიწათ-მომქმედნი. მემამულეს ეძლევა იჯარად მთელი მოსავლის ნახევარი და არა იშვიათად ორი მესამედიც. ტფილის-ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტები, რომლებიც შარშანწინ არსებობდა და ადგილობრივ მეურნეობის ყოფა-მდგომარეობას იკვლევდა, არ ჰფარავს და პირდაპირ ამბობს თავის მოხსენებაში, რომ მიწის საიჯარო გადასახადი ჩვენში მეტად გაიზარდა, — მიწის საერთო მოსავლის 60%-ს აღემატება, — და აუტანელ ტვირთად აწევს უმამულო გლეხობასო. უმიწობით ჩვენი მეურნე ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ იგი იმდენსაც კი ვერ იღებს სამეურნეო წარმოებიდან, რამდენსაც მისცემდა მას სხვასთან მოჯამაგირეობა და დღიურად მუშაობა. გლეხი არ ანგარიშობს ხარჯებს, არაფრად სთვლის თავის შრომას, თორემ, ყველაფერი რომ ჩოთქზე ჩააგდოს და სამეურნეო ხარჯებს ჯამი გაუკეთოს, დაინახავს, რომ მისი შრომა უმთავრესად სხვის სასარგებლოდ მიდის და თვითონ ყოველთვის წაგებაშია. იგი გრძნობს მხოლოდ გაჭირვებას, გრძნობს შიმშილს, სისაწყლეს, უღონობას და ითმენს, ითმენს დიდხანს. უპროტესტოდ, უსიტყვოდ, ხმის ამოუღებლად.

მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს, ანგარიშის სწავლაც შესაძლებელია... რამდენადაც ვრცელდება ხალხში წერა-კითხვა, რამდენადაც იცნობს სოფლელი ქალაქს და ქალაქურ ცხოვრებას, მუშას და მუშების მოძრაობას, იმდენადვე მას თვალები ეხილება და თვითცნობიერება ემატება. იგი არა თუ გრძნობს, — ხედავს კიდეც გაჭირ-

ვების მიზეზებს და იწყებს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვასა და მეცადინეობას...

იწყება ესრედ წოდებული „მოძრაობა", რომელიც ასე საშინლად ეჯავრება ბატონობას მიჩვეულ ბიუროკრატიას. ამისათვის ყოველი ცოტად თუ ბევრად ხმა-მაღლა გამოთქმული მოთხოვნილება და გაპირკვების გაძოკვადება — „ბუნტია", არეულობა და აჯანყება...

ასეთი სახელით მონათლეს თავიდანვე გურიის მოძრაობა და, უეჭველია, ასეთსავე სახელს დაარქმევენ შემდეგში სხვა კუთხეების გამოღვიძებასაც. სიტყვა „ბუნტი" ყველაფერს ხსნის, ყველაფერს არკვევს. — ბიუროკრატს აღარ სჭირდება მოვლენის მიზეზებზე დაფიქრება და თავის მტვრევა. ეს ერთი სიტყვა ისეთი თილისმაა, რომელიც ანთავისუფლებს მას ხალხის ცხოვრების მოწყობისათვის ზრომა-მეცადინეობისგან.

ნამდვილად კი დღეს ყველა ხედავს, რომ ცხოვრება პოლიციის ბრძანებაზე არ დადის და მის „კომანდას" არ ემორჩილება. ეკონომიერ საკითხების გადაწყვეტა, ხალხის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება სხვადასხვა შესაფერ ღონისძიებით შეიძლება და ამის მაგალითობას ვერ გასწევს კანცელარიებში „საიდუმლო" ქაღალდების წერა და სოფელში დარაჯთა რიცხვის გაძლიერება. გლეხს არა აქვს მიწა, იხდის დიდ ღალას. ცხადია, აქ უმთავრესად ერთის გზით შეიძლება შეკიწროებულ გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესება: მას უნდა მისცენ მიწა და გაუჩინონ ისეთი საეკონომიო პირობები, რომ შეიძლოს თავის რჩენა და ადამიანურად ცხოვრების მოწყობა.

ამის საანაცვლოდ რას ვხედავთ ნამდვილად? ვხედავთ, რომ ამ საშუალებაზე არავინ ფიქრობს და, პირიქით, მუდამ ისეთ ღონისძიებას ხმარობენ, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებს და უარესად ხდის ხალხის ყოფა-მდგომარეობას.

აგერ ამდენი ხანია ვუცქერით და არ იქნა. — არ შეიცვალა ძველი ბავნებელი „პოლიტიკა", რომელსაც მიზნად აქვს საქართველოს ტერიტორიაზე ქართველ ელემენტის შემცირება და თანდათან შიდა ბუბერნიებიდან გადმოსახლებულთა გამრავლება, სახელმწიფო საოთავად-აზნაურო ბანკს ყოველ წლობით დიდძალი მამულები რჩება ქართველ თავადაზნაურებისა. შეიძლებოდა ეს მამულები ჩვენს გლეხებს შეეძინათ შეღავათიანის პირობებით. მაგრამ იმ „პოლიტიკის" მეოხებით ეს შეუძლებელი ხდება. ბანკს ნაბრძანები აქვს, რომ მხოლოდ რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხებს მიჰყიდოს მიწები... ჩვენი გლეხობისთვის სასარგებლო იქნებოდა საგლეხო ბანკის დაარსება და ამ ბანკის შემწეობით ადგილობრივ საგლეხო მიწათ-მფლობელობის გაფართოვება. მაგრამ ეს საშუალებაც ჯერ-ჯერობით უარ-

ყოფილია იმავე „პოლიტიკის“ გავლენით. ხაზინას ეკუთვნის ჩვენში დიდძალი მამულები, რომლებიც წინედ ქართველ მეფეებსა და ეკლესიას ეკუთვნოდა. შეიძლებოდა ეს მიწები დაუბრკოლებლად მიეღოთ ჩვენს გლეხებს დასასახლებლად, მაგრამ ამასაც შეუძლებლად ხდის „გარუსების პოლიტიკა.“ ნაწილი იმ ფულისა, რომელიც სხვადასხვა გადასახადთა სახით ჩვენგან ეძლევა ხაზინას, იხარჯება შიდა გუბერნიებიდან გლეხების მოსაწვევად და აქ მათი მეურნეობის მოსაწყობად.

და ნუ თუ ამის შემდეგ ხალხი გასაკიცხია, თუ იგი საზოგადოდ უნდობლად ეპყრობა მთავრობის სხვადასხვა განკარგულებას და პოლიციურ ღონისძიებათაგან არ მოელის თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას? მკვიდრს, ადგილობრივ მცხოვრებს, რომელიც რამდენისამე ათასი წლის განმავლობაში ბინადრობს თავის წინაპართა სისხლით მორწყულ მიწაზე, გზა შეკრული აქვს და არ შეუძლიან იმით მაინც ისარგებლოს, რაც მისთვის ბუნებას და ისტორიას მიუცია.

დროა, ბოლო მოეღოს ამ საშინელ უსამართლობას და მეტი ყურადღება მიექცეს ქართველ ხალხის სრულიად კანონიერ საჭიროებასა და მოთხოვნილებას!

ვაზ. „ივერია“, 1905 წ., № 8, გვ. 1.

ერთის გამწესების გამო

ჩვენი საზოგადოება, ალბად, ჯერ კიდევ სავსებით არ დამშვიდებულა იმ საშინელ სისხლისღვრის გამო, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა ქალაქ ბაქოში. ყველა, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ააშფოთა იმ ბარბაროსობამ, რომელმაც უცებ იფეთქა ბაქოში და მრავალი თათარი და სომეხი იმსხვერპლა. იმ დღეებში ბაქოს ცხოვრება ნამდვილ ომიანობას ჰგავდა — ტყვია-ხანჯალი ხალხს მუსრს ავლებდა და ასობით ოჯახებს უპატრონოდ და ობლად სტოვებდა.

მთელი საზოგადოება შეძრწუნებული იყო და არ იცოდა, რა ხერხისათვის მიემართნა და ეს სამარცხვინო სისხლის ღვრა როგორმე მოესპო. რამდენისამე დღის შემდეგ ხალხის ხოცვა-ჟლეტა შეწყდა, მაგრამ ერთხანს კიდევ არავინ იყო დარწმუნებული, რომ ეს შერიგება დროებითი არ იქნებოდა და მალე უარესი ამბები არ მოხდებოდა. საბედნიეროდ ეს შიში აღარ გამართლდა და დღეს ბაქოში სრული

მშვიდობიანობაა დამყარებული. მაგრამ მაშინ, როცა აუარებელი სისხლი იღვრებოდა და ორი ერი ერთმანეთში ხელ-ჩართულ ბრძოლას ეწეოდა, ადვილი გასაგები იყო შიში და მდგომარეობის შავად და უხუგეშოდ წარმოდგენა. კავკასიის უმაღლესი მთავრობაც ბოლოს-და-ბოლოს დიდ საზრუნავში ჩავარდა და იწყო ადგილობრივ ისეთი კაცის ძებნა, რომელსაც შესძლებოდა თავის პირადის გავლენით ხალხის დაშოშმინება და დაწყნარება. ასეთ კაცად მან სცნა თავ. ი. გ. ამილახვარი, რომელიც გაიგზავნა ბაქოში და მალე ბაქოს გენერალ-გუბერნატორადაც იქმნა დანიშნული.

ჩვენ არ შეგვიძლია გამოვუდგეთ იმის გამოკვლევას, თუ რამდენად მძიმე და რთული პირობებია ბაქოს ხალხის ცხოვრებაში და რა ზომამდის შესაძლებელი იქნება თავ. ი. გ. ამილახვრისთვის განახლებისა და გაუმჯობესების მოხდენა იქაურს ეროვნულ ურთიერთობაში.

თავ. ამილახვრის ბაქოში გაგზავნა და გუბერნიის მთავარუფროსად დანიშვნა ჩვენ ძალა-უნებურად გვიღვიძებს სულ სხვა ფიქრებს, რომელთა მკითხველისათვის გაზიარება საჭიროდ დავინახეთ.

ყველას უსიამოვნოდ გვეჩხირება თვალში ერთი გარემოება; რომელიც ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობის „პოლიტიკაშია“ გამეღებული. ეს გარემოებაა სახელმწიფო სამსახურში ქართველ ელემენტის სისტემატიურად შემცირება და, მის ნაცვლად, რუს მოხელეთა გამრავლება. თითქოს ქართველ ერს რაღაც მიუტევებელი დანაშაულობა ჩაედინოსო, მთავრობა ყოველთვის უკეტავდა ქართველს სახელმწიფო დაწესებულებათა კარებს და არ სთვლიდა შესაძლებლად, რომ მას, ვითარცა საზოგადო კანონების მორჩილ მოხელეს, მონაწილეობა მიეღო ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეებში. რომ ხელში აიღოთ რამდენისამე წლის „კავკასიის კალენდარი“ და დასთვალოთ რიცხვი კავკასიაში გამწესებულ მოხელეებისა, ცხადად დაინახავთ. რომ ქართველ მოხელეთა რიცხვი შედარებით ყოველ წელიწადს მცირდება, ხოლო რუსთა რაოდენობა ასევე ყოველ წელიწადს მრავლდება. ამასთან ქართველს ყოველთვის შედარებით მცირე თანამდებობა ეძლევა, ხოლო დიდი და გავლენიანი ადგილები „ძირითადად“ რუსებისათვის არის შემონახული...

ჩვენ, რასაკვირველია, ხალხისთვის ბედნიერებად არ მიგვაჩნია ეპლანდელების მსგავს ბიუროკრატების გამრავლება და „ჩინოვნიკურ“ რეჟიმის გაძლიერება. მაგრამ ეს საზოგადო მართვა-გამგეობის საკითხია და ამიტომ აწინდელ წესის დაწუნება არ გვავალებს ლოღიკურად ხსენებულ „პოლიტიკის“ უყურადღებოდ დატოვებას და უმნიშვნელოდ გამოცხადებას. რანაირიც უნდა იყოს ფორმა სახელმ-

წიფო წეს-წყობილებისა. მოხელეები — როგორი, ეს სხვა საგანია, — მართვა-გამგეობის საქმეში აუცილებლად საჭირონი არიან და ამიტომ ერთი ერის ათვალწუნება და მისი შვილების სისტემატიურად გამოდევნა სახელმწიფო დაწესებულებებიდან — დიაღაც მნიშვნელოვანი და ყურადღების ღირსია.

რა დააშავა ქართველმა, რომ მას „სამსახურის" ასპარეზი დახურული აქვს? განა ქართველებში არ არიან იურისტები, ექიმები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, არ ათავებენ ქართველი ახალგაზრდები რუსულ უნივერსიტეტებს, არ იღებენ რუსულ განათლებას? რატომ არ შეუძლია ამ რუსულ წესზე აღზრდილ ხალხს, რომელსაც ისეთივე სწავლა-განათლება მიუღია, როგორც მაგალითად, მოსკოველსა ან ორლოველს, რატომ არ შეუძლია, — ვკითხულობთ ჩვენ. — აღაგი დაიკავოს ადგილობრივ მართვა-გამგეობის ასპარეზზე და მონაწილეობა მიიღოს საგამგებლო საქმეების შესრულებაში? განა ქართველი უკვე არ იცნობს თავის სამშობლოს, ვიდრე ათასი ვერსის სიშორიდან მოსული კაცი, რომელსაც, იქნება ისიც-კი უძნელდება, რომ საგეოგრაფიო რუკაზე იპოვოს, სად არის საქართველო და „კავკაზ"-ი? ვითომ რატომ არ უნდა შეეძლოს ქართველს მასწავლებლობა, ექიმობა, მოსამართლობა, გამომძიებლობა? ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ეროვნებით ქართველია და მისი გვარის დაბოლოვება ან ქართული ლაპარაკი — და ისიც მალულად! — ხელს შეუშლის აქაურ ადგილისა და ხალხის „გარუსებას"? განა მოხელეებისთვის მისაცემ ჯამაგირებს ადგილობრივ ხალხს არ ახდევინებენ, განა ეს ფული, რომელსაც ყოველ თვის 20 რიცხვს იჩხრიალებს ჯიბეში ბ-ნი „ჩინოვნიკი", აქაურ ხალხის ოფლით არაა მოპოვებული? და თუ ეს ფული, — ძალითაა თუ ნებით, — უნდა გადავიხადოთ, განა უსამართლობა იქნება ქართველ კაცსვე ხედეს და მისი შვილების გაზრდას მოხმარდეს? თ-დ ამილახვარს მისცეს ხსენებული თანამდებობა იმ დროს, როცა მთავრობის აზრით, მხოლოდ მას შეეძლო საუკეთესო სამსახურის გაწევა. აქ აღარ იყო არჩევანი, — ამას, იმავე მთავრობის აზრით, გარემოება თხოულობდა. მაგრამ როგორ არის საქმე, როცა ასეთი „კრიტიკული" დრო არაა და შესაძლებელია „შერჩევა?" სცნობენ მაშინ ქართველის უფლებასა და ადამიანობას?

სამწუხაროდ. — არა... და აი, სწორედ ამ გარემოებაზე გვინდოდა ჩვენ დღეს მკითხველის ყურადღება მიგვექცია...

გაზ. „ივერია", 1905 წ., № 9, გვ 1.

ქართული თეატრი

გუშინწინ დასრულდა ქართულ წარმოდგენების სეზონი სახაზინო თეატრში. ეს პირველადაა, რომ ქართულ სათეატრო დასმა მთელი სეზონი სახაზინო თეატრის სცენაზე გაატარა. წარმოდგენებს განაგებდა და დასს ნივთიერად პატრონობას უწევდა ესრეთ წოდებული „ქართულ დრამის ამხანაგობა", რომელიც შარშან დაარსდა. ჩვენ არ ვიცით დაახლოვებით და საფუძვლიანად ამ „ამხანაგობის" შრომა-მოღვაწეობა და ამიტომ ამ საგანზე გადაჭრით ამჟამად არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ამ „ამხანაგობის" მოქმედების აწონ-დაწონვასა და კრიტიკას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ქართულ დრამატიულ დასის გადაბარგვა სახაზინო თეატრში სულ სხვა მხრით არის უფრო საინტერესო და ყურადღების მისაქცევი.

უეჭველია, მკითხველს ახსოვს, თუ რა მიზეზმა აიძულა ჩვენი არტისტები, — სახაზინო თეატრში დაეწყოთ მუშაობა და გაემართათ ქართული სცენა. ქართული თეატრის შენობა, რომელშიც იმართებოდა ამდენ ხანს ქართული წარმოდგენები, ისე დაძველებული ყოფილა, რომ ლამობს ჩამონგრევას. ერთ მხარეზე კედელი ისე დაღრეცილია, რომ შარშან ადმინისტრაციამ, უბედურების შიშით, ვერ სცნო შესაძლებლად ნება დაერთო ქართულ წარმოდგენების გამართვისა. დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ისეთი სიფხიზლე და ფხა გამოიჩინა, რომ შენობის ისეთი მდგომარეობა და ადმინისტრაციის მოსალოდნელი განკარგულება იმ დროს გაიგო, როცა სეზონი უნდა დაწყებულიყო. ადმინისტრაცია თხოულობდა. — შეაკეთეთ შენობა და მხოლოდ მერე შეგიძლიანთ შიგ უშიშრად შეხვიდეთო. მაგრამ მაშინ. ფულიც რომ ყოფილიყო, დრო აღარ იყო შეკეთებისა. ჩვენი არტისტები გადმობარგნენ სახაზინო თეატრში.

სწორედ ბედმა გაუღიმა ბ-ნ ღონსკოის, რომელიც ოპერის ანტრეპრენიორია და სახაზინო თეატრში ოპერებს მართავს. ოპერებზე წელს ისე ცოტა ხალხი დადის, რომ ანტრეპრენიორს მღერისთვის აღარ სცხელა: — სულ ჯიბესა და საფულეზე ფიქრი უხდება. რაკი ნახა, რომ ჩვენ ბინა აღარ გვქონდა, შენობის ქირა ზორბად იანგარიშა და ქართული წარმოდგენების გამმართველ „ამხანაგობას" თეატრი დიდ ფასში მიაქირავა. ამ სახით მთელი სეზონის შემოსავალი თითქმის სულ ქირად წავიდა და ქართული დასი ცარიელ-ტარიელი დარჩა. ვალს ვალი მოემატა, ხოლო ქართული ხელოვნება, მიუხედავად კარგის დეკორაციებისა, მაღლა არ აწეულა და არ გაუმჯობესებულა...

კარგი, როგორც იყო, სეზონი გათავდა, მაგრამ ეხლა საფიქრი და საზრუნავი ისაა, თუ როგორ უნდა მოეწყოს საქმე შემდეგისათვის.

ცხადია, ასეთ მდგომარეობაში დარჩენა არ შეიძლება. დღეს შეგვიშვეს ფულით სახალხო თეატრში, მაგრამ ხვალ და ზეგ, შეიძლება. არც ფულით და არც უფულოდ აღარ შეგვიშვან. მაშინ როგორ უნდა მოეწყოს ქართული სცენის ბედი, როგორ უნდა მიეცეს ქართულ წარმოდგენებს შეუწყვეტელი მიმდინარეობა? ჩვენ სულ იმას გავიძახ-დით, — ვიღვიძებთ, თვითცნობიერება გვემატებაო, და ნუ თუ იმის შენარჩუნება მაინც ვეღარ უნდა მოვახერხოთ, რაც წინად შეგვიქმნია და დღემდის ვაი-ვაგლახით მოგვითრევია?

ქართულ თეატრის შენობის დაკეტვა,—თუნდაც დროებით — ისე უმნიშვნელო საგანი არაა, როგორც, იქნება, ზოგიერთებს ჰგონიათ. ეს თეატრის შეფერხების მომასწავებელია. რომ კიდეც მოგვაქირაონ შემდეგ სეზონში გარეშეებმა თავიანთი სახლები წარმოდგენებისათვის, მაინც ეს არ იქმნება ჩვენთვის სასარგებლო და ხელსაყრელი. ჩვენ ისე დიდი საზოგადოება არა გვყავს ქალაქში, რომ შემოსავლით შეიძლებოდეს დიდი ქირის გასწორება და არტისტების დაკმაყოფილებაც, ხოლო არტისტი, რაც უნდა ტრაბახა და ფანტაზიორი იყოს იგი, მაინც ადამიანია და ვერ გასძლებს უჭმელად. თუ თავის ხელობის წყალობით ვერავითარ სახსარს ვერ მოიპოვებს, იძულებული გახდება სცენას თავი დაანებოს, სადმე მუდმივი სამსახური მოსძებნოს და გაჩინოვნიკდეს. და მაშინ გაუმჯობესდება თუ არა ქართული სათეატრო საქმე, ამას ყველა ადვილად მიხვდება და წარმოიდგენს.

საკუთარი შენობა აუცილებლად საჭიროა ქართულ თეატრისათვის. მართალია, ამას დიდი ფული უნდა, მაგრამ ეს გარემოება არ უნდა გვაშინებდეს, თუ ჩვენში იქნება ეროვნული სიყვარული და ცნობიერება. აგერ უზარმაზარი შენობა იმართება სათავად-აზნაურო სკოლისათვის ღარიბ ქართველების ფულითა და მეცადინეობით და, თუ ეს მოხერხდა, ქართულ თეატრისთვის შენობის აგებაც არ იქნება მოუხერხებელი.

ვაგრამ ეს მაინც მერმისის საქმეა, რადგან, რაც უნდა ვეცადოთ ახალ შენობის დაწყება და დამთავრება ერთსა და ორს წელიწადში არ შეიძლება, ხოლო მანამდის ყოვლად შეუწყნარებელი იქნება უთეატროდ დავრჩეთ და მერმისის მოლოდინში აწმყო დავიეიწყოთ.

ამიტომ ჯერ-ჯერობით აუცილებლად საჭიროა შეკეთდეს ის შენობა, სადაც ამდენხანს ქართული წარმოდგენები იმართებოდა. იგი იკუთვნის **ქართველ თავად-აზნაურობას,** რომელიც ზნეობრივად ვალდებულია ყოველი საშუალება იღონოს, რომ შემდეგ სეზონში მაინც ქართულ დრამატიულ დასს არ მოუხდეს აღმა-დაღმა სირბილი და გარეშეებისაგან ბინის და თავშესაფარის თხოვნა. ქართველ თავად-აზ-

ნაურობას აქვს საშუალება და შეუძლია კიდეც შენობის შესაკეთებლად საჭირო ხარჯების გაწევა.

მხოლოდ საჭიროა საქმე არ დახანდეს და დროზე შეუდგნენ შენობის შეკეთებასა და შესწორებას.

გაზ. „ივერია", 1905 წ., № 10, გვ. 1.

უმაღლესი რესკრიპტი

გუშინდელ გაზეთში მკითხველი წაიკითხავდა ტელეგრაფით გადმოცემულ ხელმწიფის რესკრიპტს გრაფის, ვორონცოვ-დაშკოვის სახელობაზე. ამ რესკრიპტის შინაარსი კავკასიას შეეხება და ამიტომ მას ამჟამად ყველამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ და ჩვენი მდგომარეობა ცნობიერად გავითვალისწინოთ.

ეხლა გადაწყვეტილ საქმედ უნდა ჩავთვალოთ, რომ კავკასიაში დაარსდა ნამესტნიკობა და ნამესტნიკად გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი დაინიშნა.

ამ საგანზე ჩვენ ამ რამდენისამე დღის წინადაც გვქონდა წერილი, როგორც კი პირველად ხმა გავრცელდა, რომ კავკასიაში ისევ ნამესტნიკობა უნდა დაწესონო, ყველანი მოუსვენრობამ მოგვიცვა და არ ვიცოდით დანამდვილებით, თუ რას მოასწავებდა ეს ცვლილება ჩვენთვის, კავკასიის მკვიდრთათვის. ყველას ენაზე გვეკერა შემდეგი კითხვა: როგორი შეიქმნება კავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა — მონაწილედ გაგეხდიან თუ არა რუსეთში მოსალოდნელ რეფორმებისაო? სწორედ იმ დროს, როცა რუსეთში მთელი საზოგადოება დღე-დღეზე მოელის ძველ წეს-წყობილების შეცვლას და ცხოვრების განახლებას, კავკასიაში ნამესტნიკობა იქმნა დაწესებული და, რასაკვირველია, ეს გარემოება ყველას ეპვს გვიბადებდა გულში და გვაფიქრებინებდა, რომ ჩვენ წინანდებულად ძველებურს განუკითხველობაში და ბიუროკრატიულ უღელ ქვეშ დავრჩებოდით. მდგომარეობა გამოურკვეველი იყო და ყოველ დღე ველოდით, რომ ცოტათი მაინც სინათლის შუქი მოეფინებოდა ამ მთელის კავკასიისათვის უმთავრეს საკითხს და უფრო ნათლად დავინახავდით ჩვენს მერმისს. ჩვენში ნამესტნიკობის დაწესების გამოცხადებამ სითამამე და გამბედაობა შეუმატა ადგილობრივს ბიუროკრატიას, რომელსაც შემდეგშიაც მოელის აქ ძველებურად ბატონობასა და ცხოვრების მეთაურობას. ნამესტნიკობის გამოცხადება მას იმედს აძლევდა, რომ კავკასიის დახავსებული მართვა-გამგეობის წესი არ შეიცვლებოდა, საზო-

გადოება წინანდებურად დაპყრობილი იქნებოდა და მხოლოდ მას ჩინოვნიკობას — დაურჩებოდა ბრძანებლობისა და ხალხის გამათრახების უფლება. საზოგადოების მწუხარებას ისინი ღიმილით შესცქეროდნენ და უზრუნველ მერმისის იმედით მათრახიან დარაჯებს ამრავლებდნენ...

მაგრამ მათს იმედს და მომავალ პოლიტიკურ ცხოვრების გამოურკვევლობას ბოლო მოუღო ხელმწიფის გუშინდელმა რესკრიპტმა. ხელმწიფე აცხადებს სურვილს, რომ კავკასია „თანამოზიარე უნდა იყოს საშინაო შემომქმედ შრომაში, რომელიც ჩვენს სახელმწიფოში დაწყებულ უნდა იქმნეს ჩემს განზრახულებათა აღსასრულებლადო". ეს სიტყვები იმას მოასწავებს, რომ უმაღლესი მთავრობა არ სცნობს შესაძლებლად, რომ კავკასიაზე არ გავრცელდეს ის რეფორმები, რომლებიც შიდა-რუსეთში იქმნება შემოღებული. რესკრიპტში აღნიშნულია, რომ კავკასიაში ხალხის მღელვარება და მოძრაობაა. ეს გარემოება ცხადად უჩვენებს მთავრობას, რომ ხალხი აღარ ნებდება და აღარ ემორჩილება წინანდელს კანონებს. რომელიც შეცვლილ ცხოვრებას არ შეეფერება, და თხოულობს თავის გემოზე ახალ შესაფერ კანონთა შექმნას და ცხოვრებაში თავისუფლების პრინციპების დამყარებას. უმაღლეს რესკრიპტში — თუმცა პირდაპირ არა — აღიარებულია, რომ აწინდელი წესი მართვა-გამგეობისა კავკასიას და, მაშასადამე, კერძოდ საქართველოსაც ვერ აკმაყოფილებს და რომ ეს „განაპირა მხარე" რეფორმებისა და განახლებულ. პოლიტიკურ ცხოვრებისათვის გათვითცნობიერებული და მომზადებულია

ესაა აზრი უმაღლეს რესკრიპტისა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენი საზოგადოების მშიშარა ნაწილმა. დღეის იქით ვეღარავინ გაიმართლებს თავს ჩვენში, რომ ეშინია, თორემ ბევრ რამეს ვიტყოდით. ხელმწიფე აცხადებს. რომ რეფორმები კავკასიისათვის საჭიროა, ხოლო ყოველი რეფორმა და გაუმჯობესებული ცვლილება ცხოვრების მოთხოვნილებასთან უნდა იყოს შეთანხმებული. აქედან ლოღიკურად გამოდის ის დასკვნა, რომ ხალხს, საზოგადოებას დღეიდან უფლება ეძლევა ცხადად და დაუფარავად გამოსთქვას თავისი საჭიროება და მოთხოვნილებები. რათა ცვლილების შემოღების დროის. მოთხოვნილებებთან შეთანხმებულად შემუშავდეს ჩვენთვის ხსენებული რეფორმები...

მაშ საჭიროა ეხლა, რაც შეიძლება მალე, გამოვათქმევინოთ ქართველ ხალხს, მთავრობასთან წარსადგენად. სხვადასხვა მრავალ რიცხოვან კრებებზე თუ სხვა გზით თავისი ძირითადი მოთხოვნა, რომ-

ლის დაუკმაყოფილებლად იგი ვერ დამშვიდდება და ვერც „ნამესტ-ნიკობასა“ და სხვაგვარს მმართველობის ფორმას ვერ შეურიგდება...

გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 15.

სამართლიანი მოთხოვნილება

შეიძლება, ჩვენს მკითხველებში იყვნენ ისეთებიც, რომელთაც თავის დღეში არ ენახოთ სტამბა და არ იცოდნენ, თუ როგორია სტამბაში მუშაობა. შეიძლება ისიც, რომ ბევრი სტამბასაც იცნობდეს და იქ მომუშავეთა ჭაპან-წყვეტაც თავის თვალით ნანახი ჰქონდეს, მაგრამ ყოველ დღე, გაზეთის კითხვის დროს, გაზეთის შინაარსით ჩაფიქრებულს ან გატაცებულს, იშვიათად ახსენდებოდეს ის დიდი შრომა და მთელის ღამით უძილობა, რომელსაც ეწევიან გაზეთის უჩინარი ბუშაკნი — ასოთამწყობები. უეჭველია, არ შევსცდებით, თუ ვიტყვით, რომ ას მკითხველში, იქნება, ერთს მოაგონდეს გაზეთის კითხვის დროს ხსენებული მუშაკნი და გაითვალისწინოს, რომ ის ნაბეჭდი ფურცელი ქაღალდი, რომელსაც იგი დილას, კარგად გამოძინების შემდეგ, სიამოვნებითა თუ უსიამოვნოდ ათვალიერებს, ნაყოფია ოციოდე კაცის შრომისა, რომელნიც მთელის დღისა და ღამის გახმავლობაში ამ ერთ თაბახ ქაღალდის მასალას თავს დასტრიალებენ და მკითხველისთვის ამ მასალის გაზეთის სახით ბისაწოდებლად ჯანს იგდებინებენ.

თითოეული მკითხველი უნდა გამოტყდეს, რომ ეს ასეა, რომ ივი. ვითარცა „გაზეთის მომხმარებელი“, გაზეთისაგან ყოველდღე ცოცხალ და საინტერესო ამბებს თხოულობს, ხოლო ამ ამბების დამკოწიწებელ და დამბეჭდავ მუშაკებს ივიწყებს და მათ ცალიერ მადლობასაც კი არ უთვლის...

ნამდვილად კი გაზეთის საქმეში ასოთამწყობები მწერლებზე ნაკლებ როლს არ ასრულებენ, და მკითხველი საზოგადოება ვალდებულია, არა თუ სრულიად დაივიწყოს, ყველაზე უწინ ეს მუდამ ტყვიის ასოებით გამურული და სარდაფებში მცხოვრები ხალხი გაიხსენოს, რომელიც სხვებისთვის სინათლეს ავრცელებს და ამისათვის თავის თავს წმინდა ჰაერს აკლებს და ჯანს იწყალებს. მუდამ მტვერი, მუდამ სველი და ნახევრად ბნელი სადგომი, გაფუჭებული ჰაერი და შეუწყვეტელი ღრიანცელი — აი რაგვარ ადგილას უხდება ამ ხალხს მუშაობა და ღამეების გათეთრება. მზა-მზარეულად მორთმეული გაზეთი ადვილი წასაკითხია, მაგრამ ისე ადვილი და სასიამოვნო არაა

ის შრომა, რომელიც ასოების დალაგებასა და დაბეჭდვას სჭირდება. ამიტომ თითოეული ჩვენგანი ვალდებულია ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ამ ხალხს და ისეთ შრომის პირობებში ჩააყენოს, რომ მათს ჯანმრთელობას უდროოდ ბოლო არ ეღებოდეს და მშრომელს ადამიანურად ცხოვრების საშუალება ეძლეოდეს. მკითხველმა ისეთი შოთხოვნილება არ უნდა წარუდგინოს გაზეთს, რომლის აღსრულებაც მუშებსა ვნებს და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას აბრკოლებს.

ერთი ამგვარი მუშების დამაბრკოლებელი ჩვეულება შეთვისებული გვაქვს დღეს რედაქტორ-გამომცემლებსაც და მკითხველებსაც. ეს ჩვეულება შეეხება კვირაობით გაზეთის ბეჭდვას და ორშაბათობით მკითხველებისთვის დარიგებას. რასაკვირველია, სასიამოვნოა ორშაბათსაც გაზეთის წაკითხვა და ახალ ამბების გაგება, მაგრამ ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სიამოვნების გულისთვის კვირა დღეს მუშები სტამბას ვეღარ შორდებიან და ამ გვარად მთელს კვირაში ერთ დღესაც კი ვერ ახერხებენ დასვენებას.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ ქვევით ასოთ-ამწყობთა მოთხოვნილებას, რომელიც მათ მესტამბეებსა და გაზეთების რედაქციებს წარუდგინეს. იქ, სხვათა შორის, მუშები თხოულობენ, რომ ორშაბათობით გაზეთის გამოცემა მოისპოს და ამნაირად ისინი კვირა დღეს მუშაობისაგან განთავისუფლებულ იქნენ.

ეს ისეთი სამართლიანი მოთხოვნაა, რომ არ შეიძლება იგი კანონიერად არა ვსცნოთ და მუშების სურვილს ჩვენც არ შევუერთდეთ. ყველა განათლებულ ქვეყნებში თვით ვაჭრები და მრეწველები ცდილობენ კვირაობით მუშაობა მოსპონ და მუშა ხალხს თავისუფლება მისცენ. და ნუ თუ გაზეთების რედაქციები, რომლებიც მუდამ სამართლიანობას ვქადაგებთ, ამ მხრით ფაბრიკანტებზე დაბლა უნდა ვიდგეთ და ვიცდიდეთ, სანამ ამ მოთხოვნილების შესრულებას თვითონ მუშები არ გვაიძულებენ?

რასაკვირველია, მარტო ერთი გაზეთის რედაქციას არ შეუძლია ამ მოთხოვნილების შესრულება, სანამ ყველა რედაქციები არ შეთანხმდებიან; არ შეუძლია იმიტომ, რომ იმ დაწყეულილ კონკურენციას გაზეთის საქმეშიაც აქვს მნიშვნელობა...

ამიტომ ჩვენ აუცილებელ საჭიროებად ვთვლით, ყველა ადგილობრივ ყოველდღიურ გამოცემათა რედაქტორ-გამომცემლებმა, რაც შეიძლება, მალე ერთად თავი მოიყარონ, ითათბირონ და ასოთ-ამწყობთა მოთხოვნილება სავსებით დააკმაყოფილონ.

გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 34, გვ. 1.

ხელზე მოსამსახურეთა მოთხოვნილების გამო

ამ სამიოდე დღის წინად ყველა ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილი იყო მოთხოვნილებანი რესტორან-სასტუმროების ლაქია-მზარეულებისა და კერძო სახლებში მოსამსახურეთა. დღესაც იბეჭდება მოთხოვნილებანი ბუფეტების ლაქიებისა. ხსენებული მოთხოვნილებანი მათ წარუდგენიათ თავიანთ „ბატონებისათვის“ და მოუთხოვიათ, რომ მოსამსახურენი უკეთეს, ადამიანისათვის უფრო შესაფერსა და ღირსეულს პირობებში იქმნენ ჩაყენებულნი.

უეჭველია, არიან ისეთი „ბატონები“ და „ქალბატონები“, რომელნიც ამ მოთხოვნილებათა გამო განცვიფრებაში მოვლენ და „ბიჭების“ ხმის ამოღებაზე აღშფოთდებიან, მაგრამ დღევანდელი ცხოვრება ყურადღებას არ აქცევს ამგვარ პირების აღშფოთებას და ღაუფარავად თხოულობს საერთო საკეროების დაკმაყოფილებას...

ხელზე მოსამსახურენი მშრომელ ხალხის სწორედ ისეთ ელემენტებს წარმოადგენენ, რომელთა შესახებ განსაკუთრებით მკაცრი და ადამიანურ ღირსების უარისმყოფელია საზოგადოებაში გამეფებული შეხედულება და ზნე-ჩვეულება. ვინც „ბიჭი“ ან „გოგოა“, — ხელზე მოსამსახურეა, არ უნდა ჰქონდეს თავმოყვარეობა და ადამიანური ცხოვრებისადმი მისწრაფებაო, — ამაში დარწმუნებულია არა ერთი და ორი „აღა“ და „ქალბატონი“ და ამიტომ არც გასაკვირია, რომ „ბიჭების“ ხმის ამოღებამ და თავის ადამიანურ ღირსებაზე ლაპარაკმა ისინი გაანცვიფროს.

ეს მით უფრო არ არის გასაკვირი ჩვენში, რადგან ჩვენზე უფრო განათლებულ და დაწინაურებულ ქვეყნებშიაც ასეთი ბატონური შეხედულება და ზნე-ჩვეულება არსებობს ხელზე მოსამსახურეთა შესახებ. გერმანიაში, მაგალითად, დღესაც ძალაშია უმსგავსო Gesindeordnung (შინა-მოსამსახურეების შესახებ კანონები), რომელიც უფლებას აძლევს ბატონს მოსამსახურე „მორჩილებაში“ იყოლიოს და, თუ ვადამდე გაექცა, პოლიციას მოაყვანინოს.

მაგრამ ცუდი მაგალითი ვერაფერი მისაბაძი ნიმუშია და ამიტომ სასიამოვნოა, რომ ჩვენებურს შინა-მოსამსახურეებში თავის ღირსების შეგნება ფეხს იკიდებს და ზნეობრივად ამაღლების სურვილი პრაქტიკულად განხორციელების სახეს იღებს.

ხელზე-მოსამსახურეთა არსებობა საზოგადოდ დამყარებულია იმავე მიზეზებსა და საფუძველზე, როგორზედაც დაფუძნებულია არსებობა დღიურ ბუშებისა და საერთოდ მოქირავე მშრომელთა. ამ საგნის ძირითადად მოგვარება და ეხლანდელ განხეთქილების მოსპო-

ბა მხოლოდ იმ ბრწყინვალე საზოგადოებაში შეიძლება, რომელსაც ამის საშუალებას მისცემს ტეხნიკური წარმატება და ადამიანის ცნობიერების გადემოკრატება და რომელშიაც საზოგადოდ მოსპობილი იქნება ყოველგვარი კლასობრივი დანაწილება და დაქირავებაზე აგებული ურთიერთობა...

მაგრამ ეს „მერმისის მუსიკაა" და ამჟამად კი მოსამსახურეებს ეჭირვებათ მდგომარეობის გაუმჯობესება და გაადამიანება. ისინი თხოულობენ ზრდილობიან მოპყრობას, ჯამაგირის მომატებას, სამუშაო დროს შემცირებას. განა ამის წინააღმდეგ ითქმის რამე? ყველა კატეგორიის მუშებზე უფრო შინა-მოსამსახურეთა მუშაობის დრო არის გაურკვეველი და განუსაზღვრელი: რესტორანებში დილის 3—4 საათამდის მუშაობენ და კერძო ოჯახებში ხშირად, „ნერვებიან" ქალბატონების წყალობით, დღე და ღამ ძილსა და მოსვენებას არიან მოკლებულნი.

ჩვენის აზრით, მოსამსახურეთა მოთხოვნილებაში შედარებით წვრილმანი საგნებია მოხსენებული და სრულიად გამოტოვებულია ერთი საჭიროება, რომლის ასე თუ ისე მოგვარებასა და დაკმაყოფილებასაც მოსამსახურეებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეს საგანია ზრუნვა მომავლისათვის. მოსამსახურეთა რამოდენიმედ მაინც უზრუნველყოფა მოხუცებულობისა და დასნეულების დროისათვის.

დღეს შინა მოსამსახურეს მხოლოდ მაშინ შეუძლიან თავის რჩენა, თუ ჯანმრთელად არის და მუშაობას ახერხებს. მაგრამ კაცი ყოველთვის არც ჯანმრთელია და არც ახალგაზდა, — ერთ დროს ავადმყოფობა ეწვევა ან, თუ დღეგრძელია, მოხუცებულობა აღარ ასცდება. ამ დროს კი იმ კაცს, რომელმაც თავისი სიცოცხლე სხვის სამსახურში გაატარა, თავის შრომით ლუკმა პურის მოპოება აღარ შეუძლია და იძულებული ხდება ან შიმშილით მოკვდეს, ან და თავი დაიმციროს და სამათხოვროდ სხვებს ხელი გაუწოდოს.

ამ აუცილებელ საჭიროების მოგვარება იმ გზით შეიძლება, რა გზითაც დაწინაურებულ ქვეყნებში ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი არის სამრეწველო მუშათა ბედ-იღბალი. შინა-მოსამსახურე, როგორც საზოგადოდ ყოველი მოჯამაგირე, მუშა, დაზღვეული უნდა იყოს მოხუცებულობისა და დასნეულება-დაუძლურების დროისათვის. დასაზღვევ თანხის შედგენა უნდა დაეკისროთ დამქირავებელთ, რომელნიც ეხლა სხვისი შრომის წყალობით ქონებას იძენენ ან კერძო სახლებში თავის ოჯახურ ცხოვრებას გემოიანად ატარებენ...

გაზ. „ივერია", 1905 წ., № 48, გვ. 1.

მშრომელთა უფლება

ადამიანის გონება რაღაც იმგვარად არის მოწყობილი, რომ ერთი და იგივე მოვლენა ერთ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივად მიაჩნია და მეორე შემთხვევაში კი საკვირველად და საოცრად ეჩვენება.

შეხვალთ მაღაზიაში, მოითხოვთ რაიმე საქონელს: ვაჭარი დაგიფასებთ, თქვენ თქვენს ფასს შეაძლევთ და, თუ ვერ მორიგდით, სხვაგან წახვალთ ან იმ საქონლის ყიდვაზე სულ ხელს აიღებთ. თქვენ არ ეკუთვნით საქონლის დაფასება ვაჭრის მხრით, არც მას უკვირს ნაკლები ფასის შეძლება თქვენგნით და თავის თავად საგულისხმოდ მიგვაჩნია ყველას, ვაჭარი მუშტარს ევაჭრებოდეს და მუშტარი კიდევ ვაჭარს თავის ფასსა და პირობას უდებდეს. ერთიცა და მეორეც თავისუფალ ადამიანებად არიან აღიარებულნი და ამიტომ ერსაცა და მეორესაც თავისუფლად შეუძლიანთ თავისი ფასი და ყიდვის პირობები წარუდგინონ ერთმანეთს.

მაგრამ ბევრს ასევე ბუნებრივ და თავის თავად საგულისხმო მოვლენად არ მიაჩნია, როცა მუშა თავის მოთხოვნილებებს აცხადებს, დამქირავებელს თავის პირობებს უდგენს და, თუ ვერ მოურიგდა, მუშაობაზე ხელს იღებს. აქ იღვიძებს კლასობრივი ინსტიქტები, და ის, რაც ჩვეულებრივ „ლიბერალს" პირველ შემთხვევაში სრულიად კანონიერ ეითარებად მიაჩნდა, აქ „უკანონობად" და „ბუნტად" ეჩვენება...

ცხადია, ის, რაც ერთისთვის უფლება და კანონიერებაა, ასეთივე უფლება უნდა იყოს მეორისთვისაც. ამას მოითხოვს პრინციპი თავისუფლებისა და თანასწორობისა. ძველი დრო წასულია, ბატონ-ყმობა გადავარდა. ძველებური პირადი დამოკიდებულება მოსპობილია. ახალი მოქალაქეობრივი ცხოვრება აღიარებს შრომის თავისუფლებას და ამიტომ არც აღარავის აქვს უფლება მშრომელს ძალა დაატანოს და მისი ნების წინააღმდეგ ამუშაოს ისეთ პირობებში, რომელიც მას არ მოსწონს ან თავისთვის საზარალოდ მიაჩნია.

თანამედროვე წარმოება ნაქირავებ შრომაზეა დაფუძნებული. მუშა და მუშის დამქირავებელი, ბურჟუაზიულსავე კანონმდებლობაში გატარებულ პრინციპების ძალით, ერთმანეთის წინ დგანან, ვითარცა — იურიდიულად — თავისუფალი ადამიანები, ერთსაცა და მეორესაც აქვს უფლება დაიცვას თვისი ინტერესები და წარუდგინოს მეორეს ამ ინტერესების გამომხატველი პირობები. კლასობრივ ანტაგონიზმისა და წინააღმდეგობის არ დანახვა და უარყოფა დღეს მხოლოდ უვიცს შეუძლია. ვინც ცოტად თუ ბევრად თვალ-ბილული არის. — იაულებულია ცხოვრების რეალური მოვლენა რეალურადვე დაინა-

ხოს, და იგი საზოგადო მოქალაქობრივ უფლებათა უარმყოფელი და ბატონ-ყმობის მოტრფიალე არაა, — ყველასთვის თანასწორი უფლება უნდა სცნოს და შეუკვეცელად აღიაროს.

არავის უკვირს, როცა ვაჭარ-მრეწველები კავშირს ადგენენ, საქონლის წარმოებისა და გაყიდვის საერთო პირობებს აწესებენ და ამგვარად თავისს ეკონომიურ ინტერესებს იცავენ. კავშირი და ერთობა ძალას აძლევს მათ და ამ ძალის საშუალებით შეძლება ეძლევათ მშრომელ ხალხზე მეტი გავლენა მოიპოვონ და შრომის პირობები არ გააუმჯობესონ.

თუ კავშირი და კლასობრივი ერთობა სასარგებლოა საზოგადოების ისედაც ღონიერ ნაწილისათვის, მით უფრო საჭირო და სასარგებლო უნდა იყოს იგი მუშებისათვის. მუშა, რომელსაც მხოლოდ თავის ძალ-ღონით შეუძლიან ლუკმა-პური მოიპოვოს, არ არის ნამდვილად ისე თავისუფალი, როგორც ახალ კანონმდებლობის განყენებულ პრინციპითაა აღიარებული. სიმშილი მას ხშირად ძალას ატანს ისეთ ქირას დასჯერდეს და ისეთ პირობებს დაეთანხმოს, რომელიც მას ცარიელ პურით თავის გამოკვების საშუალებასაც კი არ აძლევს. იგი უძლურია, სანამ ცალკე და განკერძოებულად სდგას დამქირავებლის წინ. მას ცალკე არავითარ საშუალებით არ შეუძლიან მწარმოებელი აიძულოს და მისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები მიაღებინოს. არ შეუძლიან, რადგან მეორე წუთში ასობითა და ათასობით გამოჩნდებიან მასავით მშივრები, რომლებიც ყოველგვარს წინადადებაზე დასთანხმდებიან და მუშაობას იკისრებენ. ამიტომ მშრომელთ ნამდვილად მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ დაიცვან თვისი ინტერესები. როცა შეკავშირებისა და მუშაობისათვის თავის დანებების უფლება აქვთ მინიჭებული, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი მოწინააღმდეგე ჯგუფის საეკონომიო მოქმედებაზე გავლენის მოპოება და წარმოებაში მშრომელთა ინტერესების გატარება. გაფიცვას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და მნიშვნელობა, მაშინ მოაქვს ნაყოფი და სარგებლობა, როცა მშრომელი ხალხი გათვითცნობიერებული და შეკავშირებულია; მაშინ არ ახლავს კლასობრივ ბრძოლას სისხლი და ცხვერპლი, როცა მშრომელთა შეკავშირებისა და ერთად მოქმედების უფლება იურიდიულად ცნობილი და აღიარებულია.

დღეს არც ერთ კულტურულ სახელმწიფოში ეს უფლება საკამათოდ და საეჭვოდ აღარ ითვლება. ყველგან დაწესებულია და კანონმდებლობითაც უზრუნველყოფილი, რომ მუშა ხალხს უფლება აქვს კლასობრივი კავშირი შეადგინოს, როცა საჭიროდ დაინახავს, გაიფიცოს კიდეც და მრეწველთა კლასს თავისი მოთხოვნილებანი და

პირობები წარუდგინოს. რასაკვირველია, ასეთი თავისუფლება ერთსა და ორს დღეში არ მოუპოვებიათ მშრომელთ ევროპაში და, საზოგადოდ, ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში. იყო დრო. როცა იქაც სასტიკად სჯიდნენ გაფიცულებს, — „ბუნტოვჩიკებად" სთვლიდნენ და შეთაურებს საპყრობილეებში ალპობდნენ. მაგრამ ღატაკთა და უძლურთა კლასმა ბოლოს მაინც თავისი უფლება მოიპოვა და კავშირისა და გაფიცვის თავისუფლება საზოგადოებაში საეკონომიო ურთიერთობის ქვაკუთხედად აქცია.

სამწუხაროდ, ამ „თავისუფლებას" ჩვენამდის ჯერ კიდევ არ მოუღწევია. მაგრამ, იმედია, შორს აღარ არის ის დრო. როცა ჩვენშიაც საეთოლიანობა გაიმარჯვებს და დღე-დღეზე მოსალოდნელ განახლებულ ცხოვრებაში მშრომელთა ინტერესების უზრუნველყოფა მკვიდრ გარანტიას მიიღებს.

გაზ. „ივერია", 1905 წ., № 50, გვ. 1.

კავკასიის მნიშვნელობა რუსეთის ხაზინისათვის

საბედნიეროდ, დღეს ყველას გაგებული და შეგნებული აქვს, თუ რაოდენ უბადრუკია ჩვეულებრივი „ჩინოვნიკის" ჭკუა-გონება. მისი გონებრივი მხედველობა კანცელარიასა, „ვხოდიაშჩი-ვიხოდიაშჩი" „ჟურნალსა" და თვის ოც რიცხვს იქით აღარ მიდის. მთელი ქვეყანა და საქვეყნო საქმეები მისთვის კანცელარიის ოთხის კედლით განისაზღვრება და მისი გონებაც მხოლოდ იმას სწვდება, რაც აქ დაიწერება და „ჟურნალში" ჩაინიშნება.

თითოეულ „საქმის" დასაწყისად, თითოეულ ქაღალდში აღნიშნულ საგნის სათავედ და წყაროდ მას ის პირი და ის დაწესებულება მიაჩნია, საიდანაც ქაღალდი შემოსულა და მის „ჟურნალში" ნომერ-ღასმული ჩაწერილა. ყოველი თვის ოცი რიცხვისთვის იგი ადგენს „მოთხოვნის ვედომოსტს," გზავნის სახელმწიფო ბანკში ან ხაზინის განყოფილებაში და იღებს იქიდან თავის ჯამაგირს. მიღებული ფული, რასაკვირველია, ხაზინიდან მიღებულად იწერება კანცელარიის „ჟურნალში". და ჩვენი ჩინოვნიკიც შეურყეველად დარწმუნებულია, რომ მისი მარჩენალი და სულის ჩამდგმელი სახელმწიფო ბანკი ან ხაზინის განყოფილება არის, რომელიც მას დანიშნულ ვადაზე ჯამაგირს უგზავნის და ამგვარად ცხოვრების საღსარს აძლევს. ჩინოვნიკი თავს აოიტკივებს, იმის კვლევა-ძიებით, თუ საიდან მოდის ეს ფული ხაზინაში ან ვისი შრომითა და ოფლით არის იგი მონაგარი.

რასაკვირველია, ასეთი აზრი და შემეცნება უბრალო ჩინოვნიკს

არ ეკიჟინება. რადგან გონების დამხშველ ბიუროკრატიულ ატმოსფერაში აღზრდილს მეტი ცოდნა და შეგნება არ მოეთხოვება, მაგრამ უფრო სამწუხარო და სავალალო ისაა, რომ ასეთი ჩინოვნიკისებური შეხედულება საზოგადოებაშიაც არის გავრცელებული და რუსულ პრესსაშიაც არა ერთხელ ყოფილა გამოთქმული.

მართალია პრესსა ისე ბავშვურად ვერ გამოსთქვამს რაიმე აზრს, როგორც ვინმე უვიცი ჩინოვნიკი, და ვერ იტყვის, რომ ის ფული, რომელსაც სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულებანი ხარჯავენ სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო საქმეებს, ხაზინისაგან არის შექმნილი ან მოგებულიო. რაც უნდა უსწავლელი იყოს რომელიმე მეგაზეთე, ეს მაინც იცის, რომ ხაზინას მხოლოდ იმის დახარჯვა "შეუძლია", რასაც ხალხი აძლევს, და რომ ხაზინის ქონება ხალხისაგან აღებულ გადასახადებით არის შეგროვებული.

ვიმეორებთ, ამას უარს ვერ ჰყოფს ვერც ერთი რუსის „პატრიოტი" და ამიტომ კავკასიის შესახებაც არ ამბობენ, რომ კავკასიას რუსეთის ხაზინა არჩენსო და კავკასიის მართვა-გამგეობის ხარჯებს მხოლოდ ხაზინის კასსა ჰფარავსო. იმათაც იციან, რა თქმა უნდა, რომ კავკასიელიც იხდის სხვადასხვა გადასახადებს და თავისი წვლილი შეაქვს ხაზინის სალაროში.

მაგრამ ისინი გვეუბნებიან, რომ კავკასიიდან აღებული შემოსავალი კავკასიისავე საადმინისტრაციო ხარჯებს არა ჰფარავს, ხაზინას უხდება თავის მხრით დამატება და ეს კი რუსეთის ხალხისაგან არის ხარკის სახით აღებული და ამგვარად კავკასიის გულისთვის რუსეთის ხალხს უწევს მსხვერპლის გაღებაო. კავკასიელებს ჩვენ, რუსები, გაძლევთ საშუალებას თქვენი საზოგადოებრივ ცხოვრების მოსაწესრიგებლად, ასე რომ კავკასია რუსეთისათვის საზარალოა და არა რაიმე მოგებისა და სარგებლობის მომცემიო.

ჩვენს საზოგადოებაშიაც შეიძლება იყვნენ ისეთები, რომელნიც სწორედ ასე ფიქრობენ და ჰგონიათ, რომ კავკასია რუსეთისათვის ეკონომიურად საზარალოა და რომ ჩვენ ჩვენი თავის შესანახად რუსებისაგან გვიხდება ღონისძიების ხელსება.

ჩვენ გვინდა ერთხელ და სამუდამოდ დავამტკიცოთ ამ აზრის უსაფუძვლობა და მკითხველს აშკარად დავანახვოთ, რომ ასეთი ფიქრი ყოველ საბუთსა და საფუძველს მოკლებულია.

კავკასია არა თუ ზარალს არ აძლევს ხაზინას, — პირიქით, იგი შემოსავლისა და საზოგადოდ ეკონომიურ სარგებლობის მხრივ, უმსუქნესი ნაჭერია მთელს რუსეთის იმპერიაში, ამას ამტკიცებს ის ციფრები, რომელიც მოქცეულია მთავრობის ოფიციალურ გამოცემებში.

შემდეგს წერილებში ჩვენ დაწვრილებით აღვნიშნავთ ამ ციფრებს და მათს მნიშვნელობას ყოველ მხრივ გავარკვევთ.

* * *

ყველამ იცის, რომ თითოეულ წლის დამდეგისათვის სამინისტრო ადგენს სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვას, რომელშიაც ნაჩვენებია, როგორც მოსალოდნელი ხარჯები, ისე შემოსავალიც ხაზინისა. წლიურ ხარჯთ-აღრიცხვის ჯამი განაწილებულია იმპერიის ყველა გუბერნიებზე და ამგვარად ხარჯთ-აღრიცხვაში ნაჩვენებია შემოსავალი და ხარჯებიც, რომელიც სახელმწიფოს თითოეულ გუბერნიას უწევს. ეს ხარჯთ-აღრიცხვა წლის ბოლოს იბეჭდება „სახელმწიფოს კონტროლის ანგარიშებში", რომელშიაც აღინიშნება ხოლმე ისიც, თუ ნამდვილად რა შემოსავალი მიუცია ხაზინისათვის თითოეულ გუბერნიას და რა ხარჯები მონდომებია მის მართვა-გამგეობას. ჩვენ ვსარგებლობთ იმ ციფრებით, რომელიც ამ „ანგარიშებში" არის მოქცეული და ერთად-ერთი ოფიციალური საბუთია ჩვენგან აღძრულ საკითხის გასარკვევად.

თუმცა ხსენებულ „ანგარიშებში" მასალა სავსებით არის მოქცეული, მაგრამ დანაწილება ამ მასალისა თითოეულ გუბერნიაზე და, მაშასადამე, კერძოდ კავკასიაზე, არ არის ისეთი სისწრაფით მოხდენილი, რომ იმის საფუძველით უტყუარ აზრის შედგენა შეიძლებოდეს შემოსავალ გასავლის მხრით ამა თუ იმ გუბერნიისა ან კუთხის შესახებ. ეს იქიდან წარმოსდგება, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯიც იმ გუბერნიას არ აწერია, რომელსაც ნამდვილად ეკუთვნის. საზღვრის პირად, მაგალითად, სახელმწიფოს შედარებით დიდი ჯარი უყენია და ამიტომ საზღვართან ახლო მდებარე გუბერნიას სამხედრო ხარჯებიც ბევრი აქვს შეწერილი, ვიდრე ეკუთვნის ნამდვილად. სადამოქნო გადასახადსაც ხაზინა იქ იღებს, სადაც დამოქნა არის გამართული და ეს შემოსავალიც იმ გუბერნიიდან შემოსულად იწერება, სადაც საზღვარ-გარეთის საქონელი, მოუტანიათ და ბაჟი გადაუხდიათ. მაგრამ ეს საქონელი ყველა იქ არ იყიდება, სადაც ბაჟია გადახდილი, — დიდი ნაწილი სხვა ადგილებში მიაქვთ და იქაური მყიდველი, ამ ნაწარმოების შეძენის დროს, საქონლის ნამდვილ ფასსაც იხდის და ამ ფასზე მითვლით ბაჟსაც. ამ სახით ამა თუ იმ სადამოქნო ბაჟის ნამდვილი გადამხდელი, შეიძლება ციმბირის რომელიმე გუბერნია იყოს. ხოლო ხაზინისთვის ბაჟით შემოსავლის მიმცემად „ანგარიშში" ვარშავის გუბერნია ინიშნებოდეს. ამ საფუძვლით შეიძლება ისიც წარ-

ბოვიდგინოთ, რომ „სახელმწიფო კონტროლის ანგარიშში“ რომელიმე გუბერნია ხაზინისთვის ზარალის მომცემად გამოდიოდეს და ნამდვილად კი ეს გუბერნია თვალსაჩინო წმინდა შემოსავლის მომცემი იყოს. გამოაშკარავება ამ შეუსაბამობისა, რომელიც არსებობს ფორმალურ ციფრებსა და საგნის ნამდვილ ვითარებას შორის, სტატისტიკურ-ეკონომიურ შედარებასა და ყოველმხრივ გამოკვლევას შეუძლია.

ამაზე ჩვენ შემდეგ გვექნება ლაპარაკი და ეხლა კი გვინდა, კავკასიის შესახები ციფრები ისე ავიღოთ, როგორც „ანგარიშებში“ არის ნაჩვენები, თუმცა კავკასიას ბევრი ისეთი ხარჯი აწერია, რომელიც იმ ზომით მას ნამდვილად არ ეკუთვნის, და ბევრი ისეთი შემოსავალიც არაა კავკასიიდან მოცემულად ნაანგარიშევი. რომელიც ნამდვილად ეძლევა ჩვენგან ხაზინას.

მიუხედავად ამისა, აბსოლუტური ციფრებიც რომ ავიღოთ და შემოსავალი და ხარჯები ერთმანეთს შევადაროთ, ვნახავთ. შემოსავალი მაინც მეტია ხარჯებზე და რომ კავკასია არა თუ ჰფარავს თავის ხარჯებს, — პირიქით, წმინდა შემოსავალსაც აძლევს ხაზინას.

კავკასიად ჩვენ აქ ვგულისხმობთ მხოლოდ ამიერ-კავკასიას და ანგარიშში არ შეგვაქვს ჩრდილოეთის კავკასია და შავი ზღვის პირის გუბერნია.

ციფრები ასეთია:

	ხაზინას მიუღია კავკასიიდან	დახარჯულია კავკასიაზე	ხაზინას დარჩენია წმინდა შემოს.
1898 წელს	57. 79 4000 მან.	51.59 8000 მან.	6.19 6000 მან.
1899 „	57.99 3000 „	53.80 8000„	4.18 5000 „
1900 „	65.45 4000 „	57.73 1000	7.72 3000 „
1901 „	70.94 6000 „	59.44 2000 „	11.50 4000 „

როგორც ხედავთ, აქ აღნიშნულ წლებში ხაზინას ყოველთვის წმინდა შემოსავალი დარჩენია კავკასიიდან. ტენდენცია ისეთია, რომ რაც დრო მიდის მით უფრო მატულობს შემოსავალი და კავკასია უფრო და უფრო სასარგებლო ხდება ხაზინისათვის.

1897 წლიდან 1902 წლამდის, ე. ი. სულ 5 წლის განმავლობაში ხაზინას შესვლია კავკასიიდან 298. 088, 000 მან. ამ ფულიდან კავკასიის მართვა-გამგეობის საქმეზე დახარჯულა 271. 838, 000 მან., ასე რომ წმინდა შემოსავალი დარჩენილა 26. 250,000 მან. ანუ საშუალო რიცხვით 5.250,000 მან. წელიწადში.

ამას ამბობს კავკასიის აბსოლუტური ციფრები. შევადაროთ ისინი რუსეთის სხვა გუბერნიების ასეთსავე ციფრებს და მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ შედარებითაც კავკასია სრულიადაც არაა ხაზინის მაზარალებელი.

5 წლის განმავლობაში კავკასიიდან მთელი სახაზინო შემოსავალი ყოფილა 298.088000 მან. ანუ საშუალო რიცხვით წელიწადში 59.617000. ეს ჯამი რომ გავყოთ კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვზე, გამოვა, რომ კავკასიის თითო სული მცხოვრები იხდის წლიურად 10 მან. და 82 კაპ.

შესადარებლად ვიღებთ შემთხვევით შიდა-რუსეთის ოთხ გუბერნიას — კურლიანდიის, პსკოვის ტავრიდისა და უფისას, — რომელნიც რიგორც სივრცით, ისე მცხოვრებთა რაოდენობით, ეთანასწორებიან კავკასიას. ამ ოთხ გუბერნიაში საშუალო წლიური შემოსავალი ადგენს 39.242000 მან., ანუ კაცის თავზე 7 მან. და 17 კაპ.

ათ ცენტრალურ გუბერნიაში ხაზინას ეძლევა კაცის თავზე შემოსავალი 5 მან. და 20 კაპ. ესრედ წოდებულ, სამრეწველო გუბერნიებში — 6 მან. და 88 კაპ., შუაგულ აზიაში 3 მან. და 2 კაპ., ციმბირში— 6 მან. და 40 კაპ.

მხოლოდ პოლონეთში და ბალტიის პირის გუბერნიებში კაცის თავზე მოდის ცოტა მეტი შემოსავალი, ვიდრე კავკასიაში. პოლონეთში — 13 მან. და 11 კაპ. და ბალტიის პირას — 23 მან. და 40 კაპ.

იმედია, ამ ციფრებიდან მკითხველი ნათლად ხედავს, რომ კავკასიას უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ხაზინისათვის სარგებლობის მიცემის მხრით.

ჩავუკვირდეთ ამ ციფრებს ცოტა უფრო ღრმად და მაშინ ვნახავთ, რომ კავკასიის ადგილი ერთი პირველთაგანი არის.

ამაზე ლაპარაკს შემდეგ წერილში განვაგრძობთ.

* * *

სხვადასხვა ღღიურმა ამბებმა ამ საგანზე წერა შეგვაწყვეტინა და ღღემდის ვეღარ მოვახერხეთ, დაუმთავრებელ საკითხს ისევ დავბრუნებოდით და დაგვესრულებინა. საგანი კი იმდენად საინტერესოა, რომ ღირს იგი სავსებით გავარკვიოთ და მკითხველს სრული ცნობები გავაგებინოთ.

სახელმწიფოს თითოეულ კუთხის შემოსავლიანობა სახელმწიფო კონტროლის „ანგარიშებში“ ხშირად ყალბდება და ნამდვილის სისწორით არაა ნაჩვენები იმის გამო, რომ სამხედრო ხარჯები სახელმწიფოს ყველა ადგილებს თანასწორად არა აქვთ განაწილებული. იმ გუბერნიებში, რომლებიც საზღვრების ახლოსაა, მეტი ჯარი დგას და ამიტომ სამხედრო ხარჯიც დიდია ნაჩვენები. კავკასიაც განაპირა ადგილია, რუსეთის სამხრეთის საზღვარია, შედარებით მეტი ჯარი დგას და ამიტომ „ანგარიშებშიაც“ კავკასიაზე დიდი სამხედრო ხარჯია

დაწერილი. მაგრამ საზღვრის დაცვა მარტო საზღვართან მდებარე გუბერნიის მოვალეობა არაა, — იგი მთელის სახელმწიფოსთვის არის საჭირო და ამიტომ მთელის სახელმწიფოს მცხოვრებლებზე თანასწორად გასანაწილებელია. კავკასიაზე იხარჯება საშუალო რიცხვით წლიურად 19 მილიონი მან. ჯარის შესანახად, მაშინ, როდესაც შიდა-რუსეთის ოთხ გუბერნიას, რომელსაც კავკასიის ოდენა ტერიტორია უჭირავს და მცხოვრებთა რაოდენობითაც კავკასიას ეთანასწორება, მხოლოდ 12½ მილიონი მან. აწერია სამხედრო ხარჯად. ამგვარადვე ესრედ წოდებულ, „ცენტრალურ მიწათ-მომქმედ“ გუბერნიებში რა-ხან იქ შედარებით მცირე ჯარი დგას, ჯარზე მხოლოდ 15 მილიონი იხარჯება; ნამდვილად კი, თუ სამხედრო ხარჯებს მთელის იმპერიის მცხოვრებლებზე თანასწორად გავყოფთ, ხსენებულ გუბერნიებს 45 მილიონი უწევს თავის წილად. შიდა-რუსეთის ოთხ „სამრეწველო გუბერნიაში“ წლიურ სამხედრო ხარჯად 4 მილიონზე ნაკლებია ნაჩ-ვენები: ნამდვილად კი, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, ამ 4 გუბერნიას 22 მილიონის გადახდა ეკუთვნის.

გარდა ამისა, ამა თუ იმ კუთხის შემოსავლიანობის სტატისტიკურ გამოხატულებაზე გავლენა აქვს არა პირდაპირ გადასახადებს, რომელ-საც, სხ-ადასხვა ბაჟებისა და აქციზის სახით, ხაზინა იღებს სამრეწვე-ლო ნაწარმოებზე. ნავთზე, მაგალითად, აქციზია დაწესებული. ამ აქციზით ხაზინაში შესული ფული სავსებით კავკასიის შემოსავალშია შეტანილი, თუმცა ნამდვილად ამ ხარჯს მარტო კავკასია არ ეწევა, არამედ ყველა გუბერნიის მცხოვრები, რომელიც კი ბაქოს ნავთს ყიდულობს და ხმარობს. ეგევე უნდა ითქვას საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ საქონელზე დადებულ ბაჟების შესახებაც: ამ ბაჟების სა-ხით ხაზინისაგან მიღებული ფული იმ გუბერნიას აწერია შემოსავ-ლად, სადაც საზღვარია და დამოქნა არის გამართული. ნამდვილად კი ამ სახაზინო შემოსავალსაც სხვადასხვა გუბერნიების მცხოვრებ-ლები იხდიან, სადაც კი უცხოეთიდან შემოსულ საქონელს ყიდულო-ბენ და ხმარობენ. დასასრულ, ასევე არის საქმის მდგომარეობა იმ შემოსავლის შესახებაც, რომელიც შესდის ხაზინას ‘ბაქარსა, თამბა-ქოსა, სპიჩკასა და სხვ. ნაწარმოებზე დაწესებულ გადასახადის აკრე-ბით. ამ გადასახადებს იხდის არა მარტო იმ გუბერნიის მცხოვრები, სადაც ხსენებულ საქონლის ფაბრიკა ან ქარხანაა აგებული, — რო-გორც ამას ოფიციალური „ანგარიში“ უჩვენებს, — არამედ ყველა მომხმარებლები, სადაც უნდა იყვნენ ისინი, ვინაიდან აქციზი საქონ-ლის ფასს ემატება და მყიდველი საქონლის შეძენის დროს ნამდვილ ფასთან ამ აქციზსაც იხდის.

ამიტომ, თითოეულ კუთხის შემოსავლიანობისა და ზარალის შესა-

ხებ რომ ნამდვილი ანგარიში შევადგინოთ, საჭიროა ამგვარ ხასიათის სახაზინო შემოსავალი მცხოვრებთა საერთო რიცხვზე გავყოთ თანასწორად და მაშინ დაახლოებით დავინახავთ, თუ რამდენ შემოსავალს აძლევს ესა თუ ის კუთხე ხაზინას.

ქვემოდ აღნიშნული ციფრები ასეთის წესითაა გამოანგარიშებული. არა-პირდაპირი გადასახადები თანასწორად არის მცხოვრებლების რიცხვზე გაყოფილი და ამგვარად გამოყვანილია კავკასიისა და სხვა ადგილების საერთო შემოსავალ-გასავალი.

ამ წესით 1898 წლიდან 1901 წლამდის, საშუალო რიცხვით, კავკასიისაგან ხაზინისათვის მიცემული ფული და თვით კავკასიაზე დახარჯულის ჯამი შეადგენდა წლიურად:

შემოსავალი — 70 მილიონს და ხარჯი — 52 მილიონს, ასე რომ წმინდა შემოსავალი ხაზინისათვის 18 მილიონი მანეთი რჩება.

ამავე დროს, ამგვარისავე ანგარიშით, კავკასიის მცხოვრებთა რიცხვის თანასწორი მცხოვრებლები აძლევენ ხაზინას საერთოდ:

4 შიდა-გუბერნიაში 8 მილ. მან. წმიხდა შემოსავალს.

„ცენტრალურ მიწათ-მოქმედ"გუბერნიებში 15 მილ. მან.

„ცენტრალურ სამრეწვ". გუბერნიებში 9 მილ. მან.

პოლონეთში 6½ მილ. მან.

მთელს ევროპის რუსეთში 12 მილ. მან.

ამ ციფრებიდან ნათლად სჩანს, რომ კავკასიას უკანასკნელი კი არა—შედარებით პირველი ადგილი უჭირავს სახელმწიფო ხაზინისათვის შემოსავლის მიცემის მხრით.

ცხადია, უსაფუძვლოა იმ რუს „პატრიოტთა" ჩივილი, რომელნიც გვეუბნებიან, რომ კავკასია რუსეთის ხაზინისათვის საზარალოა და თქვენი ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის ჩვენ, რუსები, ვიხდით ფულსაო.

მაგრამ ეს, რაც ჩვენ ვთქვით, არა კმარა რუსეთისათვის კავკასიის ეკონომიურ მნიშვნელობის საკვლევით გამოსახატავად. არის ზოგიერთი ისეთი გარემოება, რომელიც კავკასიის მნიშვნელობას კიდევ უფრო ადიდებს.

შემდეგს წერილში ჩვენ ამაზედაც მოვილაპარაკებთ...

გაზ. „ივერია", 1905 წ., №№ 51 (გვ. 1), 52 (გვ. 1), 73 (გვ. 1).

სოლიდარობა

(ისტორიული ნარკვევი)

რამდენადაც ვითარდება კაპიტალისტური წარმოება და კაპიტალისტურ წარმოების წესზე დამყარებული მოქალაქობრივი ცხოვრება, იმდენადვე კლასობრივი განხეთქილება ძლიერდება და ეკონომიურ ინტერესებზე აგებული კლასობრივი ბრძოლა ცხოველდება. მკითხველმა იცის, რომ ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში დიდია ეკონომიური წინააღმდეგობა და ამ საფუძველზეა აგებული კლასთა ერთმანეთთან შეჯახება. იარაღის პატრონთა და მუშა-ხალხის ეკონომიური ინტერესები გათიშულ-განცალკევებულია და ამიტომაც ამ ინტერესთა დაცვის სურვილით გამოწვეული და წარმართული მოქმედება და სხვადასხვა-გვარი ღონისძიება თითოეულ კლასს თავისებური აქვს, რომელიც მეორე კლასის ინტერესსა და მისწრაფებას ეწინააღმდეგება. მუშათა კლასისთვის ერთობა და კლასობრივი სოლიდარობა მაგარ იარაღს შეადგენს თავის ინტერესების დასაცველად.

სწორედ ამ კლასობრივ სოლიდარობის დასამტკიცებლად და მუშა-ხალხის მოძრაობის უფრო საერთაშორისო ხასიათის საჩვენებლად არის შემოღებული ის „მუშათა დღესასწაული", რომელსაც პირველ მაისს მართავენ მუშები ყველა კულტურულ ქვეყნებში. ამ დღეს პროლეტარიატი მუშაობაზე ხელს იღებს და დროს სადღესასწაულო მხიარულებასა და გონებრივს ვარჯიშობაში ატარებს.

პირველ მაისის საპროლეტარო დღესასწაულად დაწესება არ მომხდარა ერთსა და ორს დღეში, — ამასაც თავისი ისტორია აქვს. სანამ მუშათა პარტიები საერთო კონგრესზე პირველ მაისის უქმობას დააკანონებდნენ, ზოგიერთ ქვეყნების მუშებს ჰქონდათ ჩვეულებად შემოღებული ერთის განსაზღვრულ დღის უქმობა, — ამ დღეს სამუშაოს მიტოვება და ამხანაგებთან ერთად სხვადასხვა გასართობით დროს გატარება. ავსტრალიაში, მაგალითად, 1856 წ. 21 აპრილს შემოიღეს 8 საათის საქუშაო დღე და შემდეგ, ამ დაწესების სახსოვრად, მუშები ყოველთვის უქმობდნენ 21 აპრილს. შეერთებულ შტატების სხვადასხვა კუთხეებშიაც ჰქონდათ მუშებს თითო დღე დანიშნული, როცა მუშაობას სწყვეტდნენ და დროს მხიარულობასა ან კლასობრივ პროპაგანდას ანდომებდნენ.

ამგვარმა ჩვეულებამ, შეიძლება ვთქვათ, რამოდენიმედ მისცა იდეა მუშა-ხალხს, წელიწადში ერთი დღე დაენიშნა საუქმოდ. 1888 წ. 28 ოქტ. საფრანგეთის მუშათა ნაციონალურმა კონგრესმა უფრო წასწია წინ ეს იდეა. ხსენებულ კონგრესზე გადასწყვიტეს, რომ მუშების

სხვადასხვა ორგანიზაციებს 1889 წლის 10 თებერვალს მანიფესტაციები გაემართათ და თავისი მოთხოვნილებანი იმ ერთ დღეს მუშაობაზე ხელის აღებითაც გამოეხატათ. მანიფესტაცია დიადი გამოვიდა და დიდი ზნეობრივი ძალა შეჰმატა მუშებს. ამიტომ 1889 წლის 21 ივლისის მუშათა საერთაშორისო კონგრესზე პარიზში გადასწყვიტეს პრინციპიალურად. რომ ერთ წინდაწინვე დანიშნულ დღეს ყველა ქვეყნის მუშებს გაემართათ დღესასწაული, — ეუქმათ ეს დღე და ამგვარად მთელის ქვეყნიერების მუშათა სოლიდარობა გამოეხატათ. ამგვარ დღედ დანიშნულ იქმნა შემდეგის 1890 წლის პირველი მაისი.

მაგრამ მაშინ გადაწყვეტილი არ იყო, რომ პირველ მაისს უქმობა ყოველ წელიწადს უნდა განმეორებულიყო და რომ ამ უქმე დღეს პერიოდული დღესასწაულის ხასიათი უნდა მისცემოდა.

ეს ხასიათი პირველ მაისს მისცა 1891 წლის საერთაშორისო მუშათა პარტიების კონგრესმა, რომელმაც დაადგინა, რომ მუშებმა ეს დღე ყველა ქვეყნებში უნდა იუქმონ და ამით ბურჟუაზიულ საზოგადოებას თავისი კლასობრივი ცნობიერება წინ წამოუყენონ.

მას შემდეგ. მართლაც, ყველა ქვეყნებში, სადაც კი თავისუფალი პოლიტიკური წეს-წყობილება ნებას აძლევს, პროლეტარიატი უქმობს ამ დღეს და აცხადებს თავის პროტესტს ახლანდელ უსწორ-მასწოროობასა და უსამართლობაზე აგებულ საზოგადოების წინააღმდეგ...

გაზ. „ივერია“. 1905 წ., № 66, გვ. 1.

ვინ ვის არჩენს?

წინა წერილებში ჩვენ აღვნიშნეთ ოფიციალურ „ანგარიშებიდან“ ამოკრებილი ციფრები, რომელნიც გვიჩვენებენ, თუ რამდენ ფულს აძლევს კავკასია რუსეთის ხაზინას წლიურად და რამდენი ხარჯი უნდება მის მართვა-გამგეობას. ციფრებმა დაგვარწმუნა, რომ ის შემოსავალი, რომელსაც კავკასია აძლევს სახელმწიფოს, ბევრად მეტია იმ ხარჯებზე, რომელიც უნდება ეხლანდელ წესწყობილებაში ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. იმ ციფრების განმარტების დროს ჩვენ არაფერი გვითქვამს ზოგიერთ ისეთ გარემოებაზე. რომელსაც მცირე მნიშვნელობა არა აქვს საგნის სავსებით გასათვალისწინებლად.

როგორც იცით, კავკასიაში მრეწველობა ნაკლებ არის განვითარებული. დიდძალი უმრავლესობა სამრეწველო ნაწარმოებთა ჩვენში რუსეთიდან მოდის. რუსეთის ბურჟუაზია ჩვენში პოულობს ბაზარს

თავის საქონლისათვის და ამგვარად ფულის სახით იბრუნებს უკან იმ საქონელს, რომელსაც იგი რუსეთში ამზადებს და გასაყიდად კავკასიაში გზავნის. საქონლის გადმოტანა სწარმოებს რკინის გზებით, რომლებიც რუსეთში ხაზინას ეკუთვნის და, მაშასადამე, ის შემოსავალი, რომელსაც რკინის გზა იღებს გადმოტანილ საქონელზე, შედის ხაზინაში. სტატისტიკურად სრულის სისწორით არ შეიძლება იმის გამოანგარიშება, თუ რამოდენა ჯამს ადგენს კავკასიაში შემოტანილ საქონელზე აღებული ფრახტი, მაგრამ ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ძალიან თვალსაჩინოა.

რასაკვირველია, საზოგადოდ, სამრეწველო ნაწარმოებთა გასავალი და მოხმარება კავკასიაში უფრო მეტი იქნებოდა, რომ ადგილობრივ საწარმოო ძალა განვითარებული იყოს და მკვიდრს უზომო და უსამართლოდ განაწილებულ გადასახადებისაგან ეკონომიური ძალღონე არ ჰქონდეს გამოცლილი. ჩვენებური გლეხი წელებზე ფეხს იდგამს, სახელმწიფო გადასახადებს იხდის და თვითონ შიშველ-ტიტველი დადის. მისგან გადახდილი ფული ზოგი ხაზინაში შედის წმინდა შემოსავლის სახით და უფრო დიდი ნაწილი იხარჯება ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმეზე.

რას ნიშნავს ეს „ადგილობრივი მართვა-გამეგობის საქმე"? იმას, რომ იმ მოხელეთა ლაშქარს, რომელნიც დღეს განაგებენ ქვეყანას, ჯამა-სმა, შენახვა უნდა, მცხოვრებთაგან აკრებილი გადასახადები ჯამაგირებად ეძლევათ „ჩინოვნიკებს", რომელნიც — როგორ? ეს ხომ ყველამ ვიცით დღეს — განაგებენ ჩვენს მხარეს. და რადგანაც ჩვენში, როგორც ვსთქვით, მრეწველობა შედარებით მცირედაა განვითარებული, ჩინოვნიკთა ჯამაგირების დიდი ნაწილი რუსეთის მრეწველებს ეძლევათ იმ ნაწარმოებთა ფასად, რომელთაც ეს ჩინოვნიკები აქ ყიდულობენ და ხმარობენ. ამგვარად, ასეთის წესით ერთსა და იმავე დროს ორი კურდღელია დაჭერილი: რუსის ჩინოვნიკობასაც საზრდო ეძლევა, რუსეთის მრეწველებსაც — სარგებელი.

კავკასიაში მყოფ მოხელეთა დიდძალი უმრავლესობა ეროვნებით რუსები არიან და არა კავკასიის მკვიდრნი. კავკასიელისაგან დახშულია სახელმწიფო დაწესებულებათა კარები. ამგვარად იმ ფულიდან, რომელსაც „კავკასიის მართვა-გამგეობისათვის" აქაური ჩინოვნიკები იღებენ, ადგილობრივ მკვიდრთ ძალიან მცირე და უმნიშვნელო ნაწილი უწევთ. მთელი ჯამი შეიძლება ვთქვათ, რუს მოხელეებს მიაქვთ, რის მეოხებითაც ისინი ახერხებენ თავის კერძო ცხოვრების გემოიანად მოწყობას, შვილების გამოზრდას და ასე მოდგმიდან მოდგმაში პრივილეგია-მდგომარეობის შენარჩუნებას.

მცირე საქმე არ გახლავთ ეს. კავკასიის ეს ხარკი წლიურად 52 მილიონ მანეთით გამოიხატება. 52 მილიონი მანეთი უნდება წლიურად კავკასიის მართვა-გამგეობას, ე. ი. ბიუროკრატიულ დაწესებულებათა და რუს მოხელეთა შენახვას.

ცხადია, ამ ხალხს, შიდა-რუსეთშიაც რომ ყოფილიყო, ჭამა-სმა და თავის რჩენა დასჭირდებოდა და თუნდაც ასეთივე, სახალხო ეკონომიის მხრით, უნაყოფო პროფესია ეშოვნა, მაინც მისი შრომა ეკონომიურ ზარალის გამომხატველი იქნებოდა. კავკასიას ნაკისრები აქვს ამ ხალხის შენახვა და ამისთვის საჭირო ხარჯებსაც ეწევა.

ამის შემდეგ მკითხველი, იმედია, ადვილად მიხვდება, თუ ვის ვის ინახავს და არჩენს: რუსეთი ან რუსეთის ხალხი კავკასიას, თუ კავკასია — რუსეთის მცხოვრებთა ნაწილს, რომელსაც საერთო სახელად კავკასიის ბიუროკრატია ეწოდება....

გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 79. გვ. 1.

მიმოსვლის თავისუფლება

დაწინაურებულ ქვეყნების ისტორია, მათი განვითარების მსვლელობა ბევრის მხრით სარკეა უკან ჩამორჩენილ და ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებისათვის. დღეს რუსეთში თითოეული პროგრესიული პარტია, სხვათა შორის, ებრძვის არსებულ საპასპორტო დებულებას და თხოულობს მიმოსვლის სრულს თავისუფლებას. დასავლეთ ევროპაშიაც იყო ისეთი დრო, როცა მოწინავე პარტიებს ამგვარისავე საგნისთვის უხდებოდათ ბრძოლა და მთავრობაზე იერიშის მიტანა. შემდეგში იქ პროგრესიულმა მოთხოვნილებამ გაიმარჯვა და ხალხმა, სხვა თავისუფლებასთან ერთად ეს თავისუფლებაც ბრძოლით მოიპოვა.

რუსეთში კი ეს დღესაც საბრძოლველ და საკამათო საგანს შეადგენს. იქნება, ვინმეს ეგონოს, ვითომ საკითხი მიმოსვლის თავისუფლებისა და პასპორტის შესახებ მცირე მნიშვნელობის საგანი იყოს და ამიტომ თანამედროვე მოთხოვნილების თანახმად მისი გადაწყვეტილება ბევრს არაფერს ნიშნავდეს ხალხის წარმატებისა და წინმსვლელობისათვის.

ასეთი აზრი შემცდარია, ვინაიდან აწინდელ საპასპორტო კანონმდებლობით ხალხის შევიწროება ფრიად აბრკოლებს მთელის საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ განვითარებას და განსაკუთრებით ხელს უშლის არსებობისათვის ბრძოლაში მშრომელ ხალხს. და თუ

ბიუროკრატია, მიუხედავად ამისა, მაინც არ ფიქრობდა ძველ წესის შეცვლას და ხალხისთვის შეღავათის მიცემას, ამის მიზეზი თვითონ ბიუროკრატიის განუსაზღვრელ ბატონობის სურვილში, ხალხის უსიტყვო მონობა-მორჩილებაში და აგრეთვე ეკონომიურ ცხოვრების განუკითარებლობაში არის მოსაძებნი.

ბიუროკრატიისთვის ხელსაყრელია ხალხის დამორჩილება და თითოეულ პირისთვის ყოფაქცევის რეგისტრის შედგენა; მისთვის საჭიროა იცოდეს, ვინ სად მიდის, რა გზას ადგება, რას აკეთებს. რათა მის ბატონობას ვერავინ მოუმზადოს რაიმე ხიფათი, ვერ გაუწიოს შეერთებული წინააღმდეგობა. რასაკვირველია, ბიუროკრატია არსად არ იღებს ხელს თავის ნებით თავის უფლებასა და ბატონობაზე, თუ მას ძალა არ დაატანეს და დათმობა არ აიძულეს. ხალხის მოძრაობა და ბრძოლა აუცილებელია ყოველგვარ უფლებისა და თავისუფლების მოსაპოვებლად.

მაგრამ ხალხის მორჩილება და მუნჯობა დიდის ხნით შეუძლებელი ხდება. ცხოვრება არას დროს არ არის ერთ დონეზე გაჩერებული, — იგი მუდამ მოძრაობს და წინ მიდის, და რამდენადაც იცვლება ცხოვრების წესი, იმდენადვე აუცილებელი ხდება ძველ იურიდიულ წყობილების შეცვლაც და ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებთან კანონმდებლობის შეთანხმება.

მიმოსვლის თავისუფლების აკრძალვა შეიძლებოდა, როცა ეკონომიური ცხოვრება სადა იყო და არსებობისათვის ბრძოლაში ადამიანს არ ესაჭიროებოდა დღევანდელსავით მოუსვენარი მოქმედება და თავის საქმიანობის ერთის ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა. ძველად, როცა გლეხი სავსებით მემამულის ხელში იყო და მხოლოდ სასოფლო მეურნეობით უნდა ერჩინა თავი და ერჩინა ბატონიც, როცა ქალაქებში ამქრული წყობილება სუფევდა და აქაური მრეწველ-ხელოსნობა. მეტოქობის შესამცირებლად, წარმოებას ვიწრო კალაპოტში აყენებდა, — ამ დროს შესაძლებელი იყო თავისუფალ მიმოსვლის უარყოფა და აკრძალვა. მაშინდელ წარმოების წესის მიხედვით ხალხს კარ-ჩაკეტილადაც შეეძლო ავად თუ კარგად — ცხოვრება და თავის მოთხოვნილებათა, ასე თუ ისე დაკმაყოფილება.

მაგრამ ეს დრო, კარგა ხანია, ისტორიას ჩაბარდა და საზოგადოებრივი ცხოვრება დღეს სულ სხვა საფუძველსა და პირობებზეა დამყარებული. გლეხი ეკონომიურად აღარ არის მიწაზე მიკრული. მას დღეს მარტო მიწის მოსავლით აღარ შეუძლიან არსებობა. იგი იძულებულია თავის ბიუჯეტის შესავსებად სხვადასხვა ადგილს ეძებოს სამუშაო და შრომის შემოსავალი. გლეხობაში თანდათან იზრდება რიცხვი სრულიად უმამულოებისა, რომლებმაც სასოფლო მეურნეო-

ბის გარეშე უნდა მიმართონ სხვადასხვა საქმეებს. ქალაქები, საშუალო საუკუნოების დროინდელსავით, აღარ არიან სახელოსნო წარმოების ანაბარა დარჩენილნი. აქ თანდათან იზრდება მსხვილი სამრეწველო წარმოება, რომელიც ხელობის თავისუფლებასა, თავისუფალ მეტოქობის პრინციპსა და ნაქირავებ შრომაზეა დაფუძნებული. და ასეთ დროში განა შეიძლება მიმოსვლის თავისუფლების უარის ყოფა და სოფლიდან ქალაქში ან ქალაქიდან სოფლად ხალხის გადასვლა-გადმოსვლისათვის, რომელიც უმთავრესად ეკონომიურ მიზეზებითაა გამოწვეული, დაბრკოლების მიცემა და ხალხისთვის ხელ-ფეხის შებოჭვა?

ცხადია. — არა, მაგრამ ბიუროკრატია ამას არ უკვირდება და თოკს მანამდის ეწევა, სანამ ხელში არ გაუწყდება. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ცხოვრება აუცილებლადა ხდის მიმოსვლის თავისუფლებას, ბიუროკრატია ხალხს ხელში იჭერს და, საპასპორტო კანონების ძალით ადგილიდან ფეხს არ აცვლევინებს. მას სჯერა და უნდა სხვებიც დააჯეროს, რომ ცხოვრება მის საკანცელარიო წესდებას ემორჩილება...

მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ასეთი მაჩანჩალა მოწინააღმდეგე ბოლოს და ბოლოს მაინც ვერას დააკლებს ცხოვრების ძალას და ვერ კაჩერებს საზოგადოების წინმსვლელობას. ეს წინმსვლელობა მასაც ძალას ატანს, — ცხოვრების მოთხოვნილებას ანგარიში გაუსწოროს და თავისი უფლებები ნაწილ-ნაწილ შეჰკვეცოს...

ამ მხრივ საყურადღებო ამბავი გადმოგვცა გუშინ ტელეგრაფმა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში ახალი პროექტი წარუდგენია პასპორტების შესახებ. ამ პროექტით უნდა გაუქმდეს ეხლანდელი წესი პასპორტების გაცემისა და ყველას უნდა მიეცეს უვადო პასპორტები და თავისუფალ მიმოსვლის უფლება, გარდა უცხოელებისა, ებრაელებისა, ნებადაურთველ ქალაქებში და იმ პირებისა, რომელნიც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იქმნებიან.

თუ ეს პროექტი მართლა დაკანონდა, იგი რამოდენიმედ შეღავათს მოგვცემს ყველას, მაგრამ ამით მაინც არ იქნება განხორციელებული მიმოსვლის სრული თავისუფლება. ეტყობა, „პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ" დაყენება რუსეთის იმპერიის მოქალაქეთა ძირითად და სამუდამო კანონადაა ცნობილი, რომელსაც, პროექტის შემადგენელთა აზრით, შემდეგშიაც არ მოელის არავითარი ცვლილება... და, აბა, ბიუროკრატიას ვინ დაუშლის, — თუ ეს მის ნებაზე იქნება, — როგორც ღღეს. ისე შემდეგშიაც ყველანი „ზედამხედველობის" ქვეშ დააყენოს და წასვლა-მოსვლისთვის საჭირო პასპორტი მოუსპოს.

გაზ. „ივერია", 1905 წ., № 82, გვ. 1.

ვერ გაიხარებენ!

უკანასკნელ ძალღონეს იკრებს რეაქცია, მომაკვდავსავით უკანასკნელად იზმორება და ამ გაზმორებით ცდილობს სიკვდილის თავიდან აცილებას და მოღონიერებას. ის დიადი განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც აზვირთებულ ტალღად მოედო მთელს რუსეთის იმპერიას, სიკვდილსა და განადგურებას უქადის ყველა იმ ბნელ ძალებს, რომელიც აქამდის დატყვევებული ჰყავდათ მთელი საზოგადოება. ხალხმა შეიგნო თავისი მდგომარეობა, შეიგნო ის სულის შემხუთველი ტყვეობა, რომელშიაც იმყოფებოდა და თავისი მორჩილებითა და უენობით ამა ქვეყნის ძლიერთ განცხრომისა და ბატონობის საშუალებას აძლევდა. ხალხი ეძებს სინათლეს, ეძებს თავისუფლებას, ძარს ერეკება იმ ძალას, რომელიც ყველას მაჯლაჯუნასავით თავს დასწოლია და სულს უხუთავს. ეს არის მოძრაობა პროგრესიული, პრძოლა განმათავისუფლებელი, რომელიც ერთ-მუჭა უფლებამოსილთ ართმევს ბატონობის პრივილეგიას და ხალხს აძლევს თვითბატონობისა და თავისუფალ განვითარების უფლებას.

რასაკვირველია, თავის უფლებებისა და სოციალურ უპირატესობის უარყოფა არსად არ ხდება თავის ნებით და ძალდაუტანებლად. ასეა ეს ამ შემთხვევაშიაც. ის საზოგადოებრივი ჯგუფნი, რომელნიც ძველის წესწყობილებით სუქდებიან და ძლიერდებიან, ხოლო სახალხო თავისუფლებით ჭკნებიან და უძლურდებიან, ყოველ ღონეს ხმარობენ, წინ გადაეღობონ სახალხო მოძრაობას და ხელი შეუშალონ პროგრესიულ საპოლიტიკო მისწრაფების განხორციელებას. აქ ისინი არავითარ საშუალების წინ არ იხევენ,—სუფთაა ეს საშუალება თუ ჭუჭყიანი, ეს მათთვის უმნიშვნელო საგანია: ყოველი საშუალება კარგია, რომელიც განმათავისუფლებელ მოძრაობას ძალას აკლებს და არსებულ წესწყობილებას აძლიერებს. ამისთვის ერთ-ერთი გამოსადეგი ხერხია თვით ხალხში შუღლისა და მტრობის ჩამოგდება, რათა ხალხში ძალა დაიქსაქსოს და დუსჭირ სოციალ-პოლიტიკურ წყობილების წინააღმდეგ გაერთიანებული მოძრაობა არ წარმოსდგეს. არა ერთი და ორი მაგალითი ვიცით იმისი, რომ შავბნელ ძალებს აქა-იქ ამ ხერხით უსარგებლნიათ და ხალხში უთანხმოება დაუთესიათ.

ამიტომ ყველას, ვისაც ძვირფასად მიაჩნია ხალხის უფლებები და ინტერესები, მართებს განსაკუთრებით ფხიზლად მოეკიდოს ბნელ ძალთა ამგვარ ფარულ მეცადინეობას და ხალხს აუხსნას ნამდვილი მიზანი, რომელიც აქვს ხსენებულ ხასიათის სამტროდ მოქმედებას...

ეს გარემოება, რომელიც არა-ერთხელ ყოფილა პრესსაში აღნიშნული, დღეს გაგვახსენა ერთმა კერძო ამბავმა, რომელიც მოხდა

ბათუმში 15 მაისს. ამ დღეს იქ მოჰკლეს ერთი პატივცემული ქართველი მაჰმადიანი, მუფტი ჰაჯი ეფენდი-ზადე ყილიჩიშვილი. ამ ამბავმა ერთნაირად შეაწუხა ყველა, — როგორც მაჰმადიანი, ისე ქრისტიანი ქართველები და გულწრფელად დაანანა გარდაცვალებული, რომელსაც თავისი ცხოვრებითა და მოქმედებით, როგორც გადმოგვცემენ, დიდი პატივისცემა ჰქონდა ხალხში დამსახურებული. ჯერ დანამდვილებით არაა გამოკვლეული მიზეზი მკვლელობისა. ხოლო, რამდენადაც შესაძლებელია გარემოების გათვალისწინება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მკვლელს გაძარცვის მიზნით მოუმოქმედნია თავისი საზიზღარი ბოროტმოქმედება. ბათუმელი კორესპონდენტი გვწერს, რომ მკვლელობა იქნება, იმ ბნელ ძალთა-სურვილის თანახმადაც იყოს ნომხდარი, რომელნიც ამგვარ საშუალებით სარგებლობენ და ცდილობენ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხნი ერთმანეთს წაჰკიდონ.

ჩვენ დანამდვილებით არ შეგვიძლიან ვთქვათ, თუ რამდენად მართალია ამ შემთხვევაში ჩვენი კორესპონდენტის მოსაზრება, მაგრამ ეს კი ეპვს გარეშეა, რომ არიან ისეთი პირები, რომელთაც ეს ამბავი სასიამოვნოდ მიაჩნიათ და იმედოვნებენ, რომ ამით მტრობა და სიძულვილი ჩამოვარდება მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის. იქნება არიან კიდევ ისეთები, რომელნიც ამ აზრით საზიზღარ ქადაგებასაც ეწევიან და ძმას ძმის წინააღმდეგ აქეზებენ!...

მაგრამ ტყუილად! ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამგვარ პირთა მეცადინეობა ნაყოფს ვერ მოიტანს და ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შორის ვერ ჩამოაგდებს მტრულ განწყობილებას. ქართველ ხალხს, განურჩევლად სარწმუნოებისა, აერთებს მრავალ საუკუნეთა ისტორია და ეროვნული თვითცნობიერება: თითოეული შეგნებული ქართველი მაჰმადიანი ღვიძლ შვილად სთელის თავის თავს ამ საერთო ტომობრივ ოჯახისა, რომელსაც ქართველობა ეწოდება, და ამიტომ, იმედია, ზიზღით შეხედავს იმას, ვინც მას არა-მაჰმადიან ქართველს მტრად დაუსახავს.

ბათუმის მაჰმადიან ქართველებმა თავის თვალით ნახეს, რაც თავის თავადაც საგულისხმო და მოსალოდნელი იყო, რომ პატივცემულ მუფტის სიკვდილმა საერთოდ მთელი ქართველობის მწუხარება გამოიწვია. მიცვალებულის კუბოს, მაჰმადიანებთან ერთად, ათასობით მიჰყვებოდნენ ქრისტიანი ქართველები.

ეს ფაქტიც, როგორც წარსული ისტორია, იმის მაჩვენებელია, რომ ქართველებში სარწმუნოებრივ ნიადაგზე მტრობა ვერ აღმო-

ცენდება და ძმა ძმას არ დაშორდება. ეს დაშორება სასურველი და სასარგებლო იქნებოდა მტრებისათვის.

ჩვენ გვრწამს, რომ ამის მოსურნე პირები თავიანთ სურვილს ვერ განახორციელებენ და ვერ გაიხარებენ!..

გაზ. „ივერია", 1905 წ., № 83, გვ.

საერთო პოლიტიკური მოძრაობა და კლასობრივი ინტერესები

ის დიადი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ღღეს მთელს რუსეთის იმპერიაშია მოდებული, თანდათან ძლიერდება, თანდათან მეტ მებრძოლ ელემენტებს იზიდავს, ფართო კალაპოტს იკეთებს და აზვირთებული მიექანება ძველ ბიუროკრატიულ წესწყობილების წასალეკად. აღარ დარჩა რუსეთში, გარდა ერთი მუჭა გრინგმუტმეშჩერსკებისა, არც ერთი ისეთი საზოგადოებრივი ჯგუფი, არც ერთი წოდება. ან კლასი, რომელიც კმაყოფილი იყოს არსებულ წყობილებით და არ სურდეს სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების პირობების შეცვლა და საზოგადოებრივ ურთიერთობის ახალ კალაპოტში ჩაყენება. ყველა ეტრფის ცვლილებას, ყველა ელის „ცხოვრების განახლებას", და ამ მხრით, შეიძლება ვთქვათ, ყველა კლასთა ცოტად თუ ბევრად შეგნებული ნაწილები გაერთიანებულნი და შეთანხმებულნი არიან. აწინდელი ბიუროკრატიული რეჟიმი ვერც ერთ კლასის ინტერესებს ვერ აკმაყოფილებს ხეირიანად და ამიტომ მას ყველა განუდგა და ფარულ თუ ცხად მტრად გადაიქცა.

ერთის სიტყვით, ამ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რამდენადაც ეს ძველ წესწყობილების წინააღმდეგაა მიმართული, შეგნებული ნაწილი ხალხისა და „საზოგადოებისა" გაერთიანებულია, ვინაიდან ყველას ინტერესი მოითხოვს ბიუროკრატიულ აპეკუნობის თავიდან მოშორებას და მის ნაცვლად საზოგადოებისთვის თავისუფალ განვითარების პირობათა შექმნას.

მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, ვითომ პოლიტიკური ცვლილება თავისთავად მიზანი იყოს რომელსამე კლასისათვის. თავისუფალი პოლიტიკური წესწყობილება მიზანი კი არა, — საშუალებაა, ერთის მხრით, თითოეულ კლასის ინტერესების დასაცველად და ცხოვრებაში გასატარებლად და, მეორე მხრით, — საერთო საზოგადოებრივ კულტურის გასაძლიერებლად. ის მრავალგვარი თავისუფლება, რომელიც საფუძვლად უდევს ყოველ დემოკრატიულ კონსტი-

ტუციას, დაუბრკოლებელ ნიადაგს აძლევს საზოგადოების მებრძოლ ჯგუფებს თავიანთ მისწრაფებისა და იდეალის თანახმად სამოქმედოდ. და როცა ესა თუ ის კლასი მომხრეობს და თხოულობს, მაგალითად, კრებისა ან შეკავშირების თავისუფლებას, — ამას სჩადის იგი არა მარტო ამ „თავისუფლებისადმი“ განყენებულ სიყვარულის გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი თავისუფლება აუცილებელი პირობაა რეალურ ინტერესების დასაცველად და ცხოვრებაში კონკრეტულ საბრძოლობის მოსაპოებლად, რომელიც სხვადასხვა კლასებს სხვადასხვა გვარი და ერთმანეთის წინააღმდეგი აქვთ. აქ არის „ერთობა“ საშუალების მოპოებაში და არა მიზნისა და საბოლოო იდეალის განსორციელების საქმეში.

ამ აზრის განმეორება ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია რადგან ხშირად ამის შესახებ პრესსაშიც ბუნდოვანი მოსაზრება გამოითქმება ხოლმე. მაგალითად, „ცნობის ფურცლის“ გუშინდელ ნომერში მოთავსებულია წერილი ბ-ნ გ. რ-ისა, რომელშიაც ავტორი, სხვათა შორის, ასეთ უცნაურ აზრს აცხადებს:

„კაპიტალისტებისა და მუშების კლასთა ინტერესი ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, ამის გამო მათ შორის მუდმივი ბრძოლა სწარმოებს. კაპიტალისტი ცდილობს რაც შეიძლება იაფად დაიქირავოს მუშა და რაც შეიძლება მეტი დრო ამუშავოს, მუშა კი, პირიქით, იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება მეტი გასამრჯელო გამოართვას და რაც შეიძლება ნაკლები დრო იმუშაოს. ინტერესების წინააღმდეგობა ცხადია, მაგრამ ეს წინააღმდეგობა მაინც იმ სახისა არ არის, რომ მოწინააღმდეგეთა შორის არავითარი საერთო ნიადაგი არა რჩებოდეს; პირიქით, ეს საერთო ნიადაგი ურთიერთობისა აქ ძალიან დიდია და ძლიერი: კაპიტალისტს უმუშოდ ცხოვრება არ შეუძლიან. მუშას უკაპიტალისტოდ, ამიტომ ისინი აუცილებლად ცდილობენ შეთანხმებას და შეკავშირებას. საერთო ნიადაგს აქ ის წარმოადგენს, რომ კაპიტალისტთა კლასს მიზნად მუშათა კლასის მოსპობა არა აქვს და მუშათა კლასს კიდევ — კაპიტალისტთა სამუდამოდ აღგვა დედამიწის პირიდან; ორივენი კერძო საკუთრების ნიადაგზე სდგანან, და, აი, სწორედ ეს კერძო საკუთრებაა, რომელსაც ორივენი ურიგდებიან და რომელიც შესაძლოდ და თან აუცილებლადაც ჰხდის მათ შორის ბრძოლასაც და შეთანხმებასაც“.

ცხადია, ავტორს აქ ერთმანეთში აურევია საშუალება და მიზანი, ეს ფაქტი, რომ მუშა ქირის მომატებისთვისაც იბრძვის, არ ამტკიცებს ვითომ იგი კერძო საკუთრების ნიადაგზე იდგეს და მისი იდეალი ბურჟუაზიის იდეალისაგან არ განსხვავდებოდეს. მეტი ქირა საშუა-

ლებას აძლევს მუშას თავისი მოთხოვნილებანი უკეთესად დაიკმაყოფილოს. ნაკლები სამუშაო დღე და მეტი თავისუფალი დრო შეძლებას აძლევს, გონების განვითარებისთვის იზრუნოს და საზოგადოებრივ მოძრაობასა და კლასობრივ იდეალის განხორციელებისათვის საჭირო ბრძოლაში შეგნებული მონაწილეობა მიიღოს. და როგორადაც ამ შემთხვევაში ისეთ „ბურჟუაზიულ“ საგნისათვის ბრძოლა, როგორიცაა კერძო საკუთრების ნიადაგით შექმნილი „სამუშაო ქირა“, ბურჟუად არა ჰხდის და კლასობრივ ნიადაგს არ აშორებს მუშას. ისევე პოლიტიკურ სფეროში სხვა კლასებთან შეერთება უკეთეს პოლიტიკურ წყობილების მოსაპოვებლად არ უძნელებს მშრომელ ხალხს კლასობრივ შემეცნებასა და თავის ინტერესების შეგნებას. ამით ერთიცა და მეორეც იძენს მხოლოდ საშუალებას, რომელსაც ხმარობს თავის ინტერესებსა და იდეალთან შეთანხმებულად.

ეს არ არის სრულიად განყენებული მსჯელობა, რომელსაც ვითომ არავითარი კავშირი არ ჰქონდეს ჩვენს აწინდელ პოლიტიკურ საქიროებასთან. თუ საზოგადოდ რუსეთის შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ ყველასათვის თანასწორად თავისუფალ წეს-წყობილების მოთხოვნა სხვადასხვა კლასთაგან მუშა ხალხს არ ართმევს კლასობრივ ნიადაგსო, — ცხადია, იგივე შეიძლება ვთქვათ კერძოდ საქართველოს შესახებაც. საქართველოშიაც შესაძლებელია წამოყენებული იყოს ისეთი საერთო პოლიტიკური მოთხოვნა, რომლის განხორციელებაც თავისუფალ და დაუბრკოლებლივ განვითარების საშუალებას შეუქმნის როგორც თითოეულ საზოგადოებრივ კლასს, ისე მთელს ერს, მთელს საზოგადოებას.

ყოველმხრივი დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ის განახლებული ცენტრალისტური რეჟიმი, რომელიც უნდა შემოღებულ იქნას რუსეთში, ვერ დააკმაყოფილებს არა-რუს ეროვნებათა მოთხოვნილებას, ის სხვადასხვა გვარი თავისუფლება, რომლისთვისაც იბრძვიან დღეს რუსეთში მოწინავე ელემენტები, რომ მართლა ნამდვილ თავისუფლებად შეიქმნეს არა-რუს ეროვნებათათვის. ამისათვის საჭიროა ამ ეროვნებათ მიეცეთ უფლება თავის შინაურ ცხოვრების თავის ნებაზე მოწყობა-მოგვარებისა. საფუძველი ამ საქმეში მონაწილეობის მიღებისა უნდა იყოს ყველასათვის თანასწორი, განურჩევლად წოდებისა, კლასისა, სქესისა, სარწმუნოებისა და სხვ., ე. ი. უნდა იყოს დემოკრატიული. ეს არის ის ავტონომიური თვითმართველობა, რომელმაც ასე გაახელა ჩვენი მოკლედ მხედველი „დასალები“. ისინი გაიძახოდნენ და ეხლაც გაიძახიან: მუშა ხალხი როგორ დაუჭერს მხარს ისეთ თვითმართველობას, რომელსაც ბურჟუაც თხოულობს და აზნაურიცო.

ზემოდ ნათქვამით მკითხველი, იმედია, დარწმუნდებოდა, თუ რამდენად საბუთიანია ასეთი მოსაზრება...

გაზ. „ივერია", 1905 წ., № 85, გვ. 1.

„ფილოსოფიური" პუბლიცისტიკა

„ცნობის ფურცელს" ერთი საინტერესო „ფილოსოფოსი" ჰყავს. მისი ინიციალები გ. რ. გახლავთ. ეს მწერალი, რა საგანსაც უნდა შეეხოს, ყოველთვის „ფილოსოფიაში" შესტოპავს და თავის-თავად მარტივ და ყველასათვის გასაგებ საკითხს ბურუსითა და ბუნდოვანობით შემოსავს. ჰკითხულობთ მის ნაწერს და უცებ ვერ იგებთ, თუ რად ხდება ასეთი მოვლენა, რად ეხვევა მეტაფიზიკის ღრუბელში ისეთი საგანი, რომელიც არსებითად ამ ქვეყნიურია, რეალური, და ამიტომ მისი ახსნაც ქვეყანაზე არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან უნდა იყოს შეთანხმებული. ჩვენის აზრით, ამგვარ „პუბლიცისტიკის" მიზეზი არის ჟინი თავისებურ „ფილოსოფოსობისა", რომელიც ბ-ნ გ. რ-ს, ეტყობა, ძალიან გამჯდარი აქვს ძვალსა და რბილში და ამიტომ, ნაცვლად დაკვირვებასა და ცხოვრების სინამდვილეზე დამყარებულ აზრისა, სხვადასხვა განყენებულ „ფილოსოფიურ" მოსაზრებას აწერინებს...

მაგალითად, ამ რამდენისამე დღის წინად («ცნ. ფ.» №2828) ბ-ნმა გ. რ.-მ შემდეგი „მოსაზრება" გამოსთქვა ერთ თავის წერილში:

„მშვიდობიანურ ბრძოლის აზრი ამჟამად უმთავრესად საზოგადოების კლასობრივ წყობილებაზეა დამყარებული. კაპიტალისტების და მუშების კლასთა ინტერესი ერთიმეორეს ეწინააღმდეგება, ამის გამო მათ შორის მუდმივი ბრძოლა სწარმოებს. კაპიტალისტი სცდილობს, რაც შეიძლება იაფად დაიქირავოს მუშა და რაც შეიძლება მეტი დრო ამუშავოს, მუშა კი, პირიქით, იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება მეტი გასამრჯელო გამოართვას და რაც შეიძლება ნაკლები დრო იმუშაოს. ინტერესების წინააღმდეგობა ცხადია, მაგრამ ეს წინააღმდეგობა მაინც იმ სახისა არ არის, რომ მოწინააღმდეგეთა შორის არავითარი საერთო ნიადაგი არა რჩებოდეს; პირიქით, ეს საერთო ნიადაგი ურთიერთობისა აქ ძალიან დიდია და ძლიერი: კაპიტალისტს უმუშოდ ცხოვრება არ შეუძლიან, მუშას უკაპიტალისტოდ, ამიტომ ისინი აუცილებლად სცდილობენ შეთანხმებას და შეკავშირებას. საერთო ნიადაგს აქ ის წარმოადგენს, რომ კაპიტალისტთა კლასს მიზნად მუშათა კლასის მოსპობა არა აქვს და მუშათა კლასს კიდევ—

კაპიტალისტთა სამუდამოდ აღგვა დედამიწის პირიდან; ორივენი კერძო საკუთრების ნიადაგზე სდგანან და აი, სწორედ ეს კერძო საკუთრებაა, რომელსაც ორივენი ურიგდებიან და რომელიც შესაძლოდ და თან აუცილებლადაც ჰხდის მათ შორის ბრძოლასაც და შეთანხმებასაც. სრულიად სხვა სურათი გაჩნდება ჩვენს წინაშე, როდესაც მუშათა კლასი სამუშაო დროსა და ხელფასის რაოდენობაზე—კი არ შეეკამათება კაპიტალისტებს, არამედ პირდაპირ კერძო საკუთრების გაუქმებას მოითხოვს. მაშინ მუშებისა და კაპიტალისტების ურთიერთობისათვის ყოველივე ნიადაგი მოისპობა, გაუქმდება ის ბაფი, რომლითაც ეხლანდელს ბრძოლაში საკუთრება აკავშირებს მათ, და ამასთანავე მათ შორის მშვიდობიანური, წყნარი ბრძოლაც მოისპობა; მაშინ ან ერთ-ერთმა კლასმა თავისი მიზანი, თავისი კლასობრივი იდეალი უნდა უარჰყოს, ან და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა ასტყდეს, ბრძოლა მსხვერპლებით, ე. ი. ნამდვილი სამოქალაქო ომი".

ცხადია, ვინც ამას წაიკითხავს, ავტორის განზრახვას იმგვარად გაიგებს, რომ მას საზოგადოებრივ კლასთა ურთიერთობისა და განწყობილების გამორკვევა სწადიან და ამიტომ ლაპარაკობს მუშასა და კაპიტალისტზე. ერთიცა და მეორეც მას ნახსენები ჰყავს ვითარცა წარმომადგენელი განსაზღვრულ სოციალურ კლასისა და მატარებელი ამ კლასის ინტერესების და კლასობრივ მიმართულებისა. პუბლიცისტს მხოლოდ ამ მხრივ შეუძლიან შეხედოს საზოგადოებრივ საკითხს, ვინაიდან მისთვის ამა თუ იმ კერძო მუშის — ვთქვათ, პეტრესი — ან კერძო კაპიტალისტის — ვთქვათ, პავლესი — აზრ-შეხედულებას სრულიად არა აქვს მნიშვნელობა. შეიძლება, ესა თუ ის მუშა დიდი მომხრე და ქომაგი იყოს კაპიტალისტურ წესწყობილებისა, მაგრამ ეს კიდევ იმის მაჩვენებელი არ იქნება, რომ საერთოდ მთელი მუშა-ხალხი, ვითარცა კლასი, ქომაგობასა და მომხრეობას უწევს ამ წესწყობილებას. შეიძლება აგრეთვე, ესა თუ ის კაპიტალისტი, როგორც კერძო ადამიანი, მომხრე იყოს სოციალიზმისა. — ასეთი მაგალითები არის, — მაგრამ ეს იმას არ დაამტკიცებს, რომ საზოგადოდ კაპიტალისტთა კლასობრივი ინტერესი მოითხოვდეს სოციალიზმის განხორციელებას. ამგვარად, როცა ბ-ნი გ. რ. ლაპარაკობს მუშასა და კაპიტალისტზე, ამით — გვგონია ჩვენ — მას მხედველობაში განსაზღვრული კლასები ჰყავს და მათს ურთიერთობას გვირკვევს.

ასეა ეს გასაგები და ჩვენც ასე გავიგეთ და ერთ წინანდელ წერილში („ივ." №85) კიდეც აღვნიშნეთ. ბ-ნი გ. რ. არ დაკმაყოფილებულა ჩვენის შენიშვნით და „ცნ. ფურცლის" კვირის ნომერში სამს სვეტზე „ორიოდე სიტყვიან" პასუხს გვაძლევს. რა გაეწყობა, — დავუბრუნდებით ბ-ნ გ. რ.-ს „ფილოსოფიას", — იქნება ახლა მაინც

დარწმუნდეს ეს გრძლად მეტყველი მწერალი, რომ მისი „ფილოსოფია“ ცოტათი სუსტია და ყოველ შემთხვევაში სინამდვილეზე ძალიან დაშორებული.

დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ ყოველგან დედამიწის ზურგზე მუშა-ხალხი განსაკუთრებულ პარტიებს შეადგენს, რომელთაც პროგრამაში ძირითად საგნად სოციალიზმი უწერიათ. სოციალისტური წესწყობილება ნიშნავს კერძო საკუთრების მოსპობას საწარმოვო იარაღებზე და მუშა-ხალხი, ვითარცა მებრძოლთა კლასი, ამ იდეალს ემსახურება და იბრძვის მის განსახორციელებლად. ვისაც ცოტათი მაინც გაცნობილი აქვს თანამედროვე სოციალური მოძრაობა, ვერ იტყვის, რომ მუშათა კლასი, მსგავსად კაპიტალისტთა კლასისა, საწარმოვო იარაღებზე კერძო საკუთრებას სცნობს შეურყეველად და ეს „საერთო ნიადაგია“ ორ მოწინააღმდეგე კლასისთვისო. მუშათა კლასის რომელ ფრაქციის პროგრამაც უნდა აიღოთ, ყველგან სწერია საწარმოვო იარაღებზე კერძო საკუთრების უარისყოფა და მათი გასაზოგადოებრივობა. — ეს არის ის დიდი მიზანი, რომელიც დასახული აქვს მთელის ქვეყნიერობის მშრომელ ხალხს.

უნდა გამოვტყდეთ, გვრცხვენია, როცა ასეთ საზოგადოდ ცნობილ ამბავს ვიმეორებთ, მაგრამ რას იზამთ, როცა ასეთი ამბავიც ბ-ნ გ. რ.-ისთვის ჯერ კიდევ უცნობი ყოფილა. იგი ამბობს: მუშა თხოულობს ქირის მომატებას, ე. ი. თხოულობს მეტ ფულს თავის შრომაში, ხოლო ფული კაპიტალისტურ წესწყობილების საგანია, „კერძო საკუთრების ნიადაგზე.“ აღმოცენებული საშუალებაა გაცვლა-გამოცვლისა, და ამიტომ, როცა მუშა ამ „ბურჟუაზიულ“ საღსარს თხოულობს, თვითონაც „კერძო საკუთრების“ ნიადაგზე დგებაო და ამგვარად ეს ნიადაგი მისთვის და კაპიტალისტისათვის საერთო ნიადაგი ხდებაო.

ბ-ნ გ. რ.-ს რაღაც აბირებულად აქვს „კერძო საკუთრება“ წარმოდგენილი. მუშა-ხალხს მიზნად აქვს დასახული საწარმოო კომუნიზმი და არა კომუნიზმი მოხმარებითი. იგი ემსახურება გასაზოგადოებრივობას საწარმოო იარაღთა და არა ნაწარმოებთა. არც მუშას და არც სხვას ვისმე თავში არ მოსდის ასეთი სულელური აზრი, რომ თავისი ოეხსაცმელი ან ტანსაცმელი თავის საკუთრებად არ ჩასთვალოს ოოდისმე და ამ სახით „უარჰყოს კერძო სეკუთრება“; ის პარტიები, რომელთაც მშრომელი ხალხი შეადგენს, ცდილობენ მესაკუთრეებად გახადონ საზოგადოებაში ყველანი და არა მარტო ერთი რომელიმე კლასი. ცხადია, ყოველგვარ საკუთრებას არ უარჰყოფს მუშათა კლასი. უარჰყოფს მხოლოდ საწარმოო იარაღთა კერძო საკუთრებას და ეს კი ცოტათი სხვა გახლავთ, თუ ბ-ნი გ. რ.-ც დაგვეთანხმება...

ჩვენს ავტორს, წარმოუდგენია, რომ რახან მუშა-ხალხი წარმოების გასაზოგადოებრივობის მომხრეა, ახლანდელს წესწყობილებაში ქირისათვის არ უნდა იბრძოდეს, ვინაიდან ერთის მხრივ „უარყოფა“ და მეორე მსრივ ამ „უარყოფილის“ ნიადაგზე რისამე მოთხოვნა „ფილოსოფიურ“ ულოღიკობას ნიშნავსო. მას, რასაკვირველია, არ ესმის, რომ თითოეული ნაბიჯი, მუშა-ხალხისაგან წინ გადადგმული სოციალ-პოლიტიკურს ცხოვრებაში, აადვილებს საიდეალო მიზნის განხორციელებას.

ერთი სიტყვით, მსჯელობა ბ-ნ გ. რ.-ისა ფრიად და ფრიად უცნაურია. ის ლოღიკა, რომელზედაც ეს მსჯელობაა აღმოცენებული, გვეუბნება, რომ ზემოაღნიშნულ „მოძღვრების“ მომხრე მუშამ, მაგალითად, ფული ხელში არ უნდა დაიჭიროს და საჭირო სანოვაგე არ უნდა იყიდოს, ვინაიდან ფული და ყიდვა-გაყიდვა იმ წეს-წყობილებაში, რომელიც მას სურს და იდეალად მიაჩნია, აღარ იქნებაო. თუ თქვენ. მაგალითად, სადმე წასვლა გინდათ, რკინის გზის ბილეთი არ უნდა აიღოთ და ვაგონში არ უნდა ჩაჯდეთ, რადგან თქვენგან გადახდილი ფული ხაზინაში შედის, რომელსაც ბიუროკრატია განაგებს, და ამგვარად, როცა თქვენ ამგვარ საქმეს სჩადიხართ, ბიუროკრატიას ეხმარეთ უკერთ და ბიუროკრატიულ რეჟიმის საფუძველზე დგებით. ამ შემთხვევაში თქვენსა და ბიუროკრატიას შორის „საერთო ნიადაგი“ ჩნდება, რომელიც თქვენ მასთან გაერთებთ და სოლიდარად გხდით... ამას გვასწავლის ბრძნულად ბ-ნი გ. რ...

ჩვენი მოკამათე ამასაც არ სჯერდება და დაჟინებით იმეორებს, მუშა-ხალხის მოძრაობის მიზანს სამუშაო ქირის მომატება შეადგენსო. თუ ამას მიზანს ვუწოდებთ, ასეთი მიზნები მრავალთა-მრავალი შეგვხვდება ბრძოლის პრაქტიკაში. როცა მუშები გაიფიცებიან და ქირის მომატებას თხოულობენ, რასაკვირველია, გაფიცვის მიზანს ქირა შეადგენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქირაა მიზანი საზოგადოდ მუშათა კლასობრივ ბრძოლა-მოძრაობისა. ამ ბრძოლის მიზანს შეადგენს საზოგადოდ კლასების მოსპობა და ეკონომიურ თანასწორობის დამყარება. ამით განსხვავდება ყველგან მუშათა სოციალ-ეკონომიური პროგრამა წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების პროგრამისაგან, რომელშიაც საწარმოო იარაღთა კერძო საკუთრების უარყოფაზე კრინტი არაა ხოლმე დაძრული. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიები სცნობენ საჭიროდ და ემხრობიან კიდეც ძალიან ფართო რეფორმებს, მხოლოდ უარყოფენ სოციალიზმს. აი, ისინი სდგანან „კერძო საკუთრების“ ნიადაგზე და არა სოციალიზმის მომხრე ელემენტები.

კიდევ ვიმეორებთ, — ეს ისეთი განმარტებაა, რომელიც, გვგო-

ნია, დღეს თავის თავადაც ყველამ იცის. მაგრამ რას იზამთ, როცა ასეთ ყველასაგან ცნობილ ამბებსაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტამდის...

ჟურ. „ივერია“, 1905 წ. № 88, გვ. 1

დედა ენა სკოლაში

ბევრი ისეთი რამ არის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რის შესახებაც ორი აზრის არსებობა შეუძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენში მაინც საბრძოლველ და საკამათო საგნად გადაქცეულა. სწორედ ასეთ საგნად არის გამხდარი დღეს ჩვენში დედა-ენა...

გვგონია, ყოველი საღის ჭკუის ადამიანი დარწმუნებულია, რომ აღზრდა დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს. პედაგოგიური აქსიომაა, რომ სწავლას უნდა ჰქონდეს რეალური, თვალსაჩინო ხასიათი. გარემოცული საგნები და მოვლენანი წარმოადგენს პირველ მასალას, რომელზედაც უნდა აშენდეს მთელი გონებრივი განვითარება მოსწავლისა. მოზარდი თაობისათვის საკითხავი მასალა უნდა ამოღებულ იყოს ნაციონალურ ლიტერატურის განძიდან; გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლება უნდა იწყებოდეს სამშობლოს აღწერით; ბუნების-მეტყველების სწავლებასაც გარემოცულ ბუნების გაცნობა უნდა ჰქონდეს საფუძვლად. სამშობლო კუთხე, მისი ბუნება, ისტორია, ლიტერატურა — არის ის საფუძველი, რომლის გარეშე შეუძლებელია საღი განვითარება. ყველაფერი ეს იმდენად საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ თავისთავად იგულისხმება. დედა ენას იმდენად დიადი ფსიხოლოგიური მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის, რომ მის გარეშე საღი განვითარება წარმოუდგენელია. არც მოიპოვება ქვეყანაზე ისეთი პედაგოგი, რომელმაც სთქვას, — ბავშვი თავის ერს ჩამოაშორეთო, თავის ერს მოსწყვიტეთ და ისე გაზარდეთო.

მაგრამ, საუბედუროდ, რაც პედაგოგიისა და საზოგადოდ მეცნიერებისთვის საანბანო ჭეშმარიტებაა, იმას ხშირად დასცინის სინამდვილე, რეალური ცხოვრება. ხშირად ცხოვრება ჰქელავს იმას, რაც შეურყეველ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. განსაკუთრებით ითქმის ეს საერთაშორისო ცხოვრებაზე. ერთა დამოკიდებულებაში დღემდის გაბატონებულია უხეში სასტიკი ძალა. აქ არავითარ მოსაზრებას სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისას ადგილი არა აქვს. ბატონობს ის, ვინც ძლიერია, გამარჯვებულია ის, ვინც ძლიერია. და ვაი დამარცხებულს, ვაი დამორჩილებულს! მუდმივი დევნა, დამცირება, უბრა-

ლო თავმოყვარეობის შელახვა, განვითარების საქმეში ხელის შეშ-ლა — ყველაფერი ეს მას გზაზე ხვდება. გაბატონებული კრიჭაში უდგას დამორჩილებულს და ცდილობს წინსვლის ყოველი საშუალება დაუხშოს. დღევანდლამდის ცხოვრების პროცესი სისასტიკის გზით მიდის. და ეს სისასტიკე იმდენად უფრო საგრძნობელია, იმდენად უფრო განმანადგურებელი და შეუბრალებელია, რამდენადაც გაბა-ტონებული ველურია და განუვითარებელი.

ცხოვრების ასეთი მიმდინარეობა, ძალმომრეობაზე აგებულ ურთი-ერთობის არსებობა, გაკვეთილს გვაძლევს და შემდეგს ღონისძიებას გვიკარნახებს. გიმონავებენ, განადგურებენ, გსურთ არსებობა? — იბრ-ძოლეთ. ყოველსავე ზომას, ყოველსავე საშუალებას, რომელიც კი თქვენი არსებობის წინააღმდეგაა მიმართული და გიქადის თქვენის სამართლიან კულტურულ მისწრაფების დახშობას, — დაუპირდაპი-რეთ მთელი თქვენი ძალ-ღონე, გაუწიეთ წინააღმდეგობა. მით უმე-ტესად უნდა მოვიქცეთ ასე, რომ სამართლიანობის საფუძველზე აგებულ ბრძოლას საბოლოოდ უეჭველად გამარჯვება მოჰყვება შე-დეგად. ძალმომრეობა, დამონავება თანდათან ისპობა და მის ადგილს იჭერს ძმობა, საერთო სოლიდარობა...

სხვათა შორის, დამონავება ნიშნავს დამოკიდებულ ერის ეროვნულ კულტურისა და ენის დევნას. ყოველის გზით, ყოველის ღონისძიებით სდევნიან და სპობენ ყველაფერს, რასაც დამორჩილებულ ხალხის ეროვნული ხასიათი ამჩნევია. დამორჩილებულ ერის ენა იდევნება ყო-ველ დაწესებულებიდან; მას გაბატონებული ერი კერძო ცხოვრებაშიც ზიზღით უყურებს. ამის გამო იმართება ბრძოლა და ამნაირად კულტუ-რული მოვლენა პოლიტიკურ ბრძოლის საგნად ხდება.

ყოველ ისტორიულ ბრძოლას სხვადასხვა მომენტი აქვს. არის დრო როცა მებრძოლთა შორის გარეგნულად შედარებითი სიმშვიდეა, თითქოს ბრძოლის პროცესი დუღილშია: არის დრო, როცა ეს ბრძო-ლა გადმოხეთქს ხოლმე და მთელის თავის შინაარსით ყველასთვის შესამჩნევი და დასანახი შეიქმნება. და ვინც ასეთ დროს არ ისარგებ-ლებს მოხერხებულ მომენტით, — ერთიორად გაიძნელებს შემდეგის-თვის ბრძოლას.

დღეს რუსეთის ცხოვრებაში ფრიად საყურადღებო დრო დადგა. ძველი წყობილება ისეთ წერტილამდე მივიდა, რომ მისი ახალით შეცვ-ლა ყოველ ეჭვს გარეშეა. ამ „ახალზე“ მაინცადამაინც დიდ იმედებს არ უნდა ვამყარებდეთ. ნურავინ იფიქრებს, „ახალ“ წეს-წყობილება-ში დამოკიდებულ ერთა ეროვნული საჭიროებანი სავსებით იქმნეს დაკმაყოფილებული და მოისპოს ეროვნული დევნა და დაბეჩავება...

დედა-ენის გაძევება სკოლიდან ნიშნავს მოზარდ თაობის გონებრივ დაძაბუნებას. დალაჩრებას, გონებრივ განვითარებისა და შემოქმედებითი ძალის შესუსტებას. რასაკვირველია, ვერც ერთი ერი გულგრილად ვერ დაუწყებს ცქერას თავის მოზარდ თაობის გონებრივ დაძაბუნებას...

გარდა ამისა, ამ მოვლენას მეორე მხარეც აქვს, რომელიც არა ნაკლებ საყურადღებოა. ყოველი ერი აუცილებლად საჭიროებს გონებრივ ძალას. ყოველ ერში ერთი ჯგუფი მთელ თავის სიცოცხლეს გონებრივ შრომაში ატარებს და ამ თავის გონებრივ შრომის ნაყოფს ხალხის უმრავლესობას უზიარებს. როცა სწავლება უცხო ენაზე სწარმოებს, ხალხს შორდება ისეთი ნაწილი, რომელმაც გონებრივი მომუშავენი უნდა შეჰქმნას. მცირდება რიცხვი ხალხისთვის გამოსადეგ ნასწავლ პირებისა. ხალხი თავის სამშობლო ენაზე აზროვნებს, ის საჭიროებს სამშობლო ენაზე განვითარებას, სამშობლო ენაზე მოწოდებულ გონებრივ საზრდოს. და ამ დროს კი „სწავლულ-განათლებულებს“ თავისი გონებრივი განძი ხალხისთვის უცხო ენასთან აქვთ შეკავშირებული და ამიტომ აღარ შეუძლიანთ მიაწოდონ თავის ერს ის ცოდნა, რომელიც მათ ხანგრძლივის შრომით შეუძენიათ. ასეთ პირობებში, როცა ხალხს ხელოვნურად აკლებენ გონებრივ ძალას, შეუძლებელია ეროვნული განვითარება. თუ ხალხმა ბოლო არ მოუღო ამგვარ ვითარებას. მას, როგორც ერს, აუცილებლად მოელის სრული დაცემა და სრული განადგურება.

მაშ, დროა, ჩაეუფიქრდეთ ჩვენს მდგომარეობას, დროა მოვსპოთ ის სისტემა, რომელიც გვიქადის სრულს გადაგვარებას. ქართულ სკოლაში ქართული ენა უნდა იყოს სწავლის საფუძველი. ამას მოითხოვს მოზარდი თაობის განვითარების ინტერესი: ამასვე მოითხოვს მთელის ერის ინტერესი, მთელის ხალხის კულტურულ წინსვლის უზრუნველყოფა.

გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 91. გვ. 1

პოლიტიკური ცვლილების აუცილებლობა

დღეს ქვეყნიერობას რომ თვალი გადავავლოთ, ერთს ფრიად საგულისხმიერო მოვლენას შევნიშნავთ. მთელს დედამიწაზე მხოლოდ ორიოდე სახელმწიფო დარჩენილა ისეთი, სადაც ჯერ კიდევ უფლებრივი წყობილება არ არსებობს. სხვათა შორის ევროპაში ასეთი სახელმწიფო მხოლოდ ორია: ოსმალეთი და რუსეთი. მაგრამ აქაც პო-

ლიტიკურის ცხოვრების შეცვლა ახლო მერმისის საქმეა. ვინ არ იცის ‹ ‹ ‹

ერეოდეს. ევროპიელი მრეწველი მის ბუდეს ანგრევს და პირდაპირ ეუბნება: ან აღიგავე დედამიწის ზურგიდან, ან დაემორჩილე ახალ ცხოვრებას, ახალ წყობილებას და მოქალაქობრივ ცხოვრებისთვის ო

მზადეო. სწორედ ამაში გამოიხატება დღევანდელ სამრეწველო ეპოქის თავისებურება.

ძველმა ხანამაც იცის დიდებული ცივილიზაცია ფინიკიელთა, ეგვიპტელთა, ბერძენთა და რომაელთა, მაგრამ ამ ძველმა ცივილიზაციამ ვერ შესძლო დაემორჩილებინა გარემოცული ველურობა. პირიქით, საბოლოოდ ამ ველურობამ სძლია და შესწყვიტა ძველი ცივილიზაციის განვითარება. ვინ იცის, რამდენი აღმოჩენა, რამდენი კულტურული შენაძენი თან გაჰყვა იმ დიდებულ ცივილიზაციის წარმომადგენელთ!

ახლა კი სულ სხვასა ვხედავთ. ახლანდელმა ცივილიზაციამ ერთსელ და სამუდამოდ სძლია ველურობას. მან ან დაიმორჩილა და ან შეუბრალებლად გაულიტა ყველანი, ვინც მის წინაშე ქედი არ მოიდრიკა, ვინც მის გზით მსვლელობა არ მოისურვა. ამნაირად ჩამორჩენილ სახელმწიფოებისთვის თანამედროვე კულტურულ ცხოვრების უარყოფა შეუძლებელი შეიქმნა. სავალდებულო გახდა არა მარტო მატერიალურის კულტურის შეთვისება, არამედ იმ საზოგადოებრივ ფორმებისაც, რომლებშიაც ეს მატერიალური კულტურა ხორციელდება.

ყირიმის ომმა და დღეს რუსეთ-იაპონიის ომმა ცხადად დაგვანახვა, რომ არც მცხოვრებთა რაოდენობა, არც შეიარაღება და უზომო ფულის დახარჯვა არაფერს არ უშველის სახელმწიფოს, თუ ის კულტურულად ჩამორჩენილია. დამარცხება მოელის ჩამორჩენილ სახელმწიფოს არა თუ ომში, არამედ ყოველგვარ სფერაში და განსაკუთრებით — მრეწველობაში. თანამედროვე საერთაშორისო პირობებში შეუძლებელია არსებობა ისეთის სახელმწიფო ორგანიზმისა, რომელსაც არა აქვს შეთვისებული დაწინაურებულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია.

აქედან ცხადია, რომ, თუ სახელმწიფოს უნდა არსებობა, დროისა და მოთხოვნილების შესაფერადაც უნდა შესცვალოს თავისი შინაური წეს-წყობილება. ეს კარგად შეიგნეს იაპონელებმა და ეს შეგნება რუსეთისთვისაც აუცილებელია. ყირიმის დამარცხებამ რუსეთი აიძულა, ერთი დიდი ნაბიჯი გადაედგა მოქალაქობრივ განვითარების გზაზე —მოესპო ბატონ-ყმობა. მართალია, ეს საგრძნობელი ნაბიჯი იყო, მაგრამ ბატონ-ყმობის მოქალაქობრივ წყობილებამდე კიდევ შორსაა. მესამოცე წლების რეფორმებს არ მოჰყვა ბიუროკრატიის თვითნებობის შესუსტება. ამიტომ ძველი წყობილება არსებითად

შაინც იგივე დარჩა. საზოგადოება მაინც უუფლებო გამოვიდა, მაგრამ შემდეგმა ცხოვრებამ ნათლად გამოააშკარავა, რომ შეუძლებელია ძველს ორგანიზაციაში ახალის ცხოვრების მოთავსება. ახლანდელმა ომმა საბოლოოდ გაამართლა ეს აზრი. საერთაშორისო დამოკიდებულებამ გადაჭრით უპასუხა რუსეთის ეხლანდელ წყობილებას: შენ გამოუსადეგარი ხარ და უნდა შეცვლილ იქმნეო.

შინაური ცხოვრებაც ამასვე ღაღადებს. წესიერი ცხოვრება შეუძლებელია იქ, სადაც მოქალაქეს არავითარი უფლება არა აქვს. და რამდენიც დრო მიდის, ეს შეუძლებლობა უფრო მეტად ცხადი ხდება. მცხოვრებთათვის თანდათან აუტანელი ხდება ძველს პირობებში ყოფნა. ეს იწვევს ძველის წყობილების რყევას. დასასრულ დგება ისეთი კრიზისი, რომლიდანაც თავის დაღწევა ძველს წყობილებას არავითარის გზით აღარ შეუძლიან.

სწორედ ასეთი მომენტი დადგა დღეს რუსეთის ცხოვრებაში. დღეს გადაწყვეტილია: ძველი ორგანიზაცია აუცილებლივ უნდა შეიცვალოს. —რუსეთში აუცილებლივ უნდა დამყარდეს უფლებრივი წყობილება, რომლის დამახასიათებელ თვისებასაც შეადგენს წარმოშადგენლობითი სისტემის არსებობა.

მაგრამ ეს ბევრისთვის კიდევ საბოლოო ნუგეში როდია. ცხოვრებაში არსებული განხეთქილება, ინტერესთა წინააღმდეგობა გადადის პოლიტიკურ ბრძოლაშიაც. ხალხის სხვადასხვა ჯგუფი ეტრფის არა ერთნაირ უფლებრივ წყობილებას. ერთს სურს მცირე ჯგუფს ჩაუგდოს ხელში პოლიტიკური ძალა, მეორე უფრო ფართო ჯგუფის მომხრეა, ხოლო მესამის მიზანია მოუპოვოს მთელ ხალხს პოლიტიკურ ცხოვრებაში უკლებლივ და შეუზღუდველად მონაწილეობის უფლება. ვინ გაიმარჯვებს? აი, ესაა საკითხი, მხოლოდ ესაა დღეანდელი საბრძოლველი საგანი.

გაზ. „ივერია", 1905 წ., №95, გვ. 1

ხალხის აზრი

იმ დროს, როცა სახალხო მოძრაობა მთელს რუსეთში და კერძოდ ჩვენში გაერთიანებული და გაძლიერებული არ იყო, როცა ხალხის უკმაყოფილება მხოლოდ აქა-იქ, კანტი კუნტად იჩენდა ხოლმე თავს, როცა მოძრაობა ერთ მძლავრ ზვირთად არ იყო გადაქცეული და ამიტომ ცხოვრებაში ჩაუხედავ ადამიანს იგი უმნიშვნელოდ და ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობის წუთიერ შერყევად ეჩვენებოდა, —

ბიუროკრატია არავითარ სერიოზულ მნიშვნელობას არ აწერდა ხალხო მოძრაობის კერძო ფაქტებს, ძველებურად ყველაფერს „ბლაგოპოლუჩნოდ“ სთვლიდა და მარტოღა „არა-კეთილსაიმედო“ პირთა ქადაგება მიაჩნდა „არეულობის“ გამომწვევ ერთად-ერთ მიზეზად მხოლოდ „არა-კეთილსაიმედო“ პირთა ბოროტი განზრახვა იყო. მისი აზრით, მიზეზი აქა-იქ ხალხის მოუსვენრობისა და აღელვებისა...

მაგრამ დღეს, როცა სახალხო მოძრაობას კერძოობითი და დაქსაქსულად მოქმედების ხასიათი დაეკარგა, როცა უკმაყოფილება გაიზარდა და ყველგან დიდის ძლიერებით გამოიხატა. ბიუროკრატია იძულებული შეიქმნა ძველებური აღსნა და განმარტება საზოგადოებრივ მოვლენისა უკუეგდო და ეცნო, რომ ხალხის უკმაყოფილება გამოწვეულია თვით ცხოვრების მოუწყობლობისაგან და რომ ამ უკმაყოფილების მოსპობა და ხალხის დამშვიდება არ შეიძლება „არა-კეთილსაიმედო“ პირთა ძებნით და ხალხისგან „ბოროტ-განმზრახველთა“ ჩამოშორებით. ბიუროკრატია იძულებული გახდა მეტი ყურადღება მიექცია ხალხის მოთხოვნილებისათვის და ცოტათი დათმობის ენას დასდგომოდა ხალხის „უფლებათა“ შესახებ.

მაგრამ ერთი დამახასიათებელი თვისება ხალხის ბიუროკრატიული წესით მართვა-გამგეობისა ის არის, რომ ეს მართვა-გამგეობა ყოველთვის ჩამორჩენილია მიმდინარე ცხოვრებისაგან, ცხოვრება ყოველთვის წინ უსწრობს ბიუროკრატიას და ამიტომ ყოველი ცვლილება, ყოველი რეფორმა, რომელსაც ძალა-უნებურად, ცხოვრების ძალდატანებით, ანხორციელებს ბიუროკრატია, გაჩენის დღესვე ძველი ხდება და ხალხის მოთხოვნილებას აღარ შეეფერება. ბიუროკრატიულ აზროვნების მექანიზმი ზანტად მუშაობს, ხოლო ცხოვრებამ არ იცის შეჩერება და საკანცელარიო ქაღალდების ლოდინი. აქედან წარმოსდგება ის ახირებული მოვლენა, რომ ბიუროკრატია თავის პროგრესიულ საქმიანობითაც ვერ იგებს ხალხის გულს, ვინაიდან ყველაფერი „ახალი“, რასაც იგი იგონებს და ხალხის დასაკმაყოფილებლად შემოაქვს ცხოვრებაში, დაძველებულია და ვერ აკმაყოფილებს წინ წასულ ცხოვრების მოთხოვნილებას.

მთელს რუსეთში და განსაკუთრებით ჩვენში სოციალური ცხოვრება იმდენად განვითარდა, ხალხის შეგნება და ცნობიერება იმდენად გაიზარდა, რომ ყოველად შეუძლებელია ცხოვრების მოთხოვნილებანი წვრილმან ცვლილებებით დაკმაყოფილებულ იქნეს და ხალხი დამშვიდდეს. დამშვიდება და მოქალაქობრივ ცხოვრების ბედნიერ მიმდინარეობის დამყარება მხოლოდ მაშინ იქმნება შესაძლებელი, როცა შეიქმნება პირობები მოქალაქეობრივობის დაუბრკოლებელ განვითარებისა. თითოეული წვრილმანი რეფორმა და

წყობილების ცვლილება მხოლოდ დაკერება და „პაჩინკაა“ ძველის დაფლეთილ რეჟიმისა...

კავკასიის უმაღლეს მთავრობას განზრახვა აქვს ჩვენშიც შემოიღოს საერობო დაწესებულება, რომელიც შიდა-რუსეთში აგერ 40 წელიწადია არსებობს. ამის გამო დღეს ნამესტნიკის საბჭოში თათბირია გამართული, სადაც მოწვეულნი არიან, გარდა ჩინოვნიკებისა, ზოგიერთი გარეშე პირებიც — მემამულენი, ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი და სხვანი. მთავრობას სურს გაიგოს საზოგადოებისა და ხალხის აზრი და ამიტომ განზრახულია შესდგეს სამაზრო და საგუბერნიო საბჭოები, რომლებშიაც მოწვეულნი იქნებიან მემამულეებისა, გლეხებისა და ქალაქების არჩეული წარმომადგენელნი.

თუმცა ეს წესი რეფორმის შესამუშავებლად და ცხოვრებაში განსახორციელებლად ძველისგან ცოტათი განსხვავდება, მაგრამ იმდენი განსხვავება მაინც არ არის, რომ ამის გამო ხალხისა და საზოგადოების მონაწილეობაზე შეიძლებოდეს ლაპარაკი. საბჭოებში მიწვეულ „წარმომადგენლებს“ არავითარი გადამწყვეტი ხმა არა აქვთ. — იმათ მხოლოდ რჩევის მიცემა შეუძლიანთ მთავრობისათვის და ეს რჩევა და აზრი არავისთვის სავალდებულო არ არის. თვით წარმომადგენლების არჩევის წესიც არაა დამყარებული საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპზე და არც უზრუნველყოფილია ადმინისტრაციის გავლენისაგან, ასე რომ დასაარსებელ საბჭოებში ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები ვერც კი მოხვდებიან.

და ასეთ წარმომადგენლებისაგან გამოთქმული აზრი, რასაკვირველია, არ იქნება ხალხის აზრი, ამგვარის წესით გაგებული აზრი, ვერც ერობის და ვერც სხვა საკითხების შესახებ, ვერ გამოხატავს ხალხის სურვილსა და საჭიროებას და ამიტომ მთავრობასაც ვერ მისცემს უტყუარ საფუძველს ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებებზე სწორე შეხედულების შესადგენად.

ხალხის ნამდვილი აზრის გაგება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მთავრობა საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე ხალხს ღალდაუტანებლად წარმომადგენლებს ამოარჩევინებს და ამ ამორჩეულებს როგორც ერობისა, ისე სხვა ძირითად საკითხების შესახებ თავის აზრს თავისუფლად გამოათქმევინებს და ამ გონებრივ მუშაობაში საზოგადოებასაც თავისუფალ პრესსის საშუალებით იდეურ-მონაწილეობას მიაღებინებს...

გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 119, გვ. 1.

ყოველ ქართველს, პარტიისა და მიმართულების განურჩევლად, სასიამოვნოდ და სანუგეშოდ უნდა მიაჩნდეს ხალხში კითხვის მოთხოვნილების გადიდება და ქართულ პრესსის მნიშვნელობის ზრდა, რომელსაც განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში ვამჩნევთ ჩვენს ცხოვრებაში. დღეს ქართული გაზეთი შედის ისეთ სოფლებსა და ოჯახებში, სადაც რამდენისამე წლის წინად არც კი იცოდნენ, თუ რა არის გაზეთი და რის გულისთვის იხარჯება მასზე შრომა და ფული.

რა თქმა უნდა, ეს ზრდა ქართულ ჟურნალ-გაზეთების მკითხველთა რიცხვისა თავის-თავად ჯერ კიდევ მცირეა. მაგრამ, წინანდელთან შედარებით, მაინც დიდად გვეჩვენება და საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მერმისი ამ მხრით კიდევ უფრო ნაყოფიერი და მეტის წარმატების მომასწავებელი იქნება.

იმ სულის შემხუთველ და აზრ-გონების დამხშველ ატმოსფერაში, რომელშიაც დღემდის მთელი რუსეთი და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა, ძნელი იყო, რასაკვირველია, ბეჭდვითი სიტყვის ნაყოფიერი მოქმედება. პრესსის ზრდა-განვითარება. იმ პირობებსა და გარემოებაში, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, ის შედარებით მცირე გონებრივი სიფხიზლეც გასაკვირველია, რაც ჩვენს ხალხს ემჩნევა ამჟამად. ბიუროკრატიული წესწყობილება სისტემატიურად აძინებდა ხალხის შეგნებას. სპობდა ან აბრკოლებდა ყოველგვარ საშუალებას, რომელიც აუცილებლად საჭიროა საზოგადოების ცნობიერების გასაღვიძებლად, აშორებდა ხალხს სწავლა-განათლებას, აფერხებდა ეკონომიურ განვითარებას, — ერთის სიტყვით, აკეთებდა ყველაფერს, რაც ხელს უშლიდა ხალხის განვითარებას და, მაშასადამე, ხელს უშლიდა პრესსის წარმატებასაც. ადვილი გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში პრესსა ვერ განვითარდებოდა, ვერ ამაღლდებოდა და ცხოვრებაში შესაფერ ადგილს ვერ დაიჭერდა

მაგრამ რეპრესიამ და სიბნელის გამმეფებელმა სისტემამ მაინც ვერ გაიმარჯვა, ბოლოს და ბოლოს ხალხში იმდენმა განათლების შუქმა მაინც შეანათა, რომ ხალხისთვის ბიუროკრატიულ რეჟიმის უვარგისობა დაენახვებინა და მის მოსასპობად აემხედრებინა. საბოლოოდ მაინც ვერ დაიმონა ხალხის ცნობიერება ბიუროკრატიამ, ასე რომ ამჟამად ძველ წესწყობილების აღსასრული დამდგარია და სიკვდილისაგან მას ვერ იხსნის ვერც დიქტატურა და ვერც წვრილმან რეფორმათა „დათმობის პოლიტიკა“. აუცილებელია პოლიტიკურ ცხოვრების განახლება, რომელმაც უნდა შეჰქმნას პირობები საერთო

სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების დაუბრკოლებელ განვითარებისა.

ამ საერთო განვითარებასთან მჭიდროდ შეკავშირებულია პრესის ზრდა-განვითარებაც,—მთელის საზოგადოების თავისუფალ განვითარების პირობები აუცილებლად საჭიროა პრესის განვითარებისათვის.

რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების განახლება, ნიშნავს წარმომადგენლობითი სისტემის შემოღებას, საპარლამენტო რეჟიმის შექმნას და პოლიტიკურ-მოქალაქობრივ თავისუფლების დამყარებას.

წარმომადგენლობითი სისტემა სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა ინას მოასწავებს, რომ სახელმწიფოს საქმეებს, თავის წარმომადგენლების საშუალებით, ხალხი განაგებს. საპარლამენტო რეჟიმთან შეკავშირებულია მუდმივი პოლიტიკური მოძრაობა და საქმიანობა, რომელიც კარჩაკეტილ კანცელარიებში კი არ სწარმოებს, არამედ — საჯაროდ და ყველასათვის დასანახად. ასეთ გარემოებაში გაზეთი ხალხის უპირველეს მოთხოვნილებად ხდება და ამიტომ გაზეთის მკითხველთა რიცხვი დიდად იზრდება.

გაზეთის წაკითხვა, რასაკვირველია, მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც წერა-კითხვა უსწავლია. ბიუროკრატიული რეჟიმი ხალხს სწავლა-განათლებას არ აკარებდა და სიბნელეში სტოვებდა. ახალმა წესწყობილებამ სწავლა საყოველთაო და სავალდებულო უნდა გახადოს, როგორც ეს ყველა კულტურულ სახელმწიფოებშია. მაშინ გაზეთს ასი-ათასობით მოემატებიან მკითხველები, რომელნიც დღეს, წერა-კითხვის უცოდინარობის გამო, გაზეთსა და საზოგადოდ ყოველგვარ გონებრივ საზრდოს მოკლებულნი არიან.

თუ ბიუროკრატიული წესწყობილება დღეს ეკონომიურ განვითარებასაც აფერხებს, ახალი პოლიტიკური წყობილება დაუბრკოლებელ გზას გაუხსნის ბურჟუაზიულ წარმოებას და აღებ-მიცემობას, რაც, თავის მხრივ, განოიწვევს ქალაქების ზრდასა და ქალაქურ მღელვარე ცხოვრების გაძლიერებას. და ესეც პრესის განვითარებისათვის საჭარგებლო და ხელისშემწყობი გარემოებაა. გაზეთს ყოველთვის იქნა ჰყავს მეტი მკითხველი. სადაც ხალხი ბლომადაა, ცხოვრება აბობოქრებულია და ადამიანის გონება მუდამ მუშაობაშია.

ამიტომ, როგორც მწერლებმა, ისე მკითხველებმაც, რომელთაც ძვირფასად მიაჩნიათ საერთოდ ხალხის კეთილ-დღეობა და კერძოდ პრესისის განვითარება, ყოველი ღონე უნდა იხმარონ აწინდელ ბიუროკრატიის მალე დასამარცხებლად და თავისუფალ მოქალაქეობრივ ცხოვრებისათვის შესაფერ პირობების შესაქმნელად... პრესსა მხოლოდ თავისუფლების ნიადაგზე გაიზრდება და განვითარდება...

გაზ. „ივერია“, 1905 წ., №132, გვ. 1

ვისი „დაპყრობა“ უნდათ?

ჩვენი ეპვი გამართლდა, — გამართლდა, ჩვენდა სასიამოვნოდ და სასიხარულოდ: ის ხმები, რომ გურია აჯანყდა და ჯართან პირისპირ საბრძოლველად გამოვიდაო, არ გამართლდა, — ეს ხმები ძალზე გაბერილი და გადაჭარბებული გამოდგა. ქუთაისის გუბერნიის მმართველი ალ. ყიფშიძე ოფიციალურად აცხადებს, რომ გურიაში არავითარი აჯანყება არ მომხდარა, — მოხდა მხოლოდ პატარა შეტაკება მოდარაჯე კაზაკების რაზმთან, რომლის მსგავსი ოიოქმის ყოველდღე ხდება სხვაგანაც. გასკდა და გაქრა ის ბუშტი, რომელშიაც გურიის პოლიტიკურ აჯანყების ამბავი იყო გამოხვეული და ცხადად გამომჟღავნდა, რომ ადმინისტრაციას რწყილი აქლემად დაუსახავს და ჩვეულებრივი შეტაკება ცეცხლანთებულ აჯანყებად მოსჩვენებია.

ეს ასეა, მაგრამ ეხლა საქმე ის არის, თუ რა გზას დაადგება და რას მოიმოქმედებს კავკასიის უმაღლესი მთავრობა. ჯარი უკვე გაგზავნილია გურიისაკენ და კიდევ გაგზავნასაც აპირობენ. მაგრამ ვის წინააღმდეგ, ვის დასაპყრობად და დასამორჩილებლად? გურიას არავითარი დაპყრობა არ ეჭირვება. რადგან იგი არავის არ განშორებია და არც უფიქრია განშორება და განცალკევება. ეს აზრი შეთხზეს და გაავრცელეს ზოგიერთ ბობოლა ბიუროკრატებმა, რომელნიც შემთხვევას უთვალთვალებენ, რომ ხალხის წინააღმდეგ სამხედრო ძალის ხმარება რაიმე საბაბით მაინც დაასაბუთონ და გაამართლონ; მათ სურთ, ხალხს უჩვენონ ჯარის ძალა და მზად არიან გაიხარონ, თუ ამისთვის ცოტათი მაინც შესაფერი შემთხვევა მიეცემათ.

მაგრამ თვითონ მთავრობა? რას ფიქრობს იგი, ვითარცა უმაღლესი ორგანო ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობისა? სურს მას სისხლი დაღვაროს და გურია ამოსწყვიტოს მხოლოდ იმისთვის, რომ მისი შვილები თავისუფლებისთვის იბრძოდნენ, — იმ თავისუფლებისთვის, რომელიც დღეს უკვე ხელმწიფის მანიფესტით შეურყეველ კანონად არის აღიარებული? თუ, პირიქით, იგი გულწრფელად მსურველია, როგორადაც არა ერთხელ გამოუცხადებია, ხალხის დამშვიდებისა და ამიტომ სწადიან ფაქტიურად ცნობა იმ მოქალაქობრივ პირობებისა, რომელშიაც არის შესაძლებელი და მოსალოდნელი კულტურულ ცხოვრების ნორმალური მსვლელობა და განვითარება?

ამ საკითხზე შეურყეველ პასუხს მოგვცემს ის გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებს მთავრობა გურიის შესახებ. გურია არ აჯანყებულა, — მაშასადამე, საჭირო არაა მის „დასაპყრობად“ ჯარის გალაშქრება და გურიაში საომრად წასვლა. ყოველი ადმინისტრატორი, რო-

მელსაც გულწრფელად სწადიან მანიფესტითაც აღთქმულ ძირითად რეფორმის განხოოციელება, უნდა ცდილობდეს, რომ ეხლანდელ საზოგადო აღელვების ხანაში ჯარი და ხალხი ერთმანეთს არ შეაფეთოს და ტყვილა-უბოალოდ სისხლის ღვრა არ გამოიწვიოს. ხალხისა და შეიარაღებულ ჯარის ერთი მეორის წინ დგომა დღეს ჰქმნის ისეთ მდგომარეობას, რომელსაც პატარა ნაპერწკალი ეპირვება, რომ იფეთქოს და დიდ ცეცხლად გადაიქცეს. ამიტომაც ჯარის გაგზავნა გურიაში, თუნდაც ამ ჯარმა პირველადვე განუკითხავად სროლა და სოფლების აკლება არ დაიწყოს, არა თუ ხელს არ შეუწყობს მშვიდობიანობის დამყარებას. არამედ, პირ-იქით, გაამწვავებს საქმეს და შესაძლებელად გახდის იმ უბედურებას, რომელსაც ყოველი გონიერი ადამიანი უნდა უფრთხოდეს.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ მთავრობამ უკანვე დააბრუნოს ის ჯარები, რომლებიც გურიაში გაგზავნეს და გურიიდან გამოიყვანოს ის სამხედრო ძალაც, რომელიც ამჟამად იქ არის, აი, ეს მდგომარეობა უნდა აუხსნას საბუთიანად ნამესტნიკს იმ დეპუტაციამ, რომელიც როგორც გავიგე, მას უნდა წარუდგეს.

ეს იქნება ცდა საქმის მშვიდობიანად მოგვარებისა. თუ ეს ცდა ფუჭად ჩაივლის, ამასაც მალე დავინახავთ ყველანი და მაშინ გარემოების მიხედვით მოვიქცევი...

გაზ. „ივერია", 1905 წ., № 193, გვ. 1

სანადელო მიწები

მესამოცე წლებში რუსეთში გაანთავისუფლეს გლეხობა ბატონყმობისაგან, მაგრამ, როგორც მკითხველმა იცის, ეს „განთავისუფლება" მოხდა უმიწოდ და უმამულოდ. ჯერ ერთი, განთავისუფლების შემდეგ გლეხებს ბევრად იმაზე ნაკლები მიწა მიუზომეს ნადელებად, რაც მათ ეპირათ ბატონ-ყმობის გადავარდნამდის, და მეორეც — კანონმდებლობამ განთავისუფლებული გლეხები არ გახადა მესაკუთრეებად, არამედ ისინი თითქმის სამუდამოდ მოიჯარადრეთა მდგომარეობაში ჩააყენა და მემამულეთა მეხარკედ დასტოვა. მიწის მესაკუთრედ დარჩა ისევ წინანდელი ბატონი, რომელიც მხოლოდ მაშინ ჩამოშორდებოდა გლეხს, როცა ეს უკანასკნელი მიწის ფასს გადიხდიდა და ნადელს საკუთრებად შეიძენდა.

გავიდა წლები და — გლეხობა თავისით ვერ განთავისუფლდა საბამულო დამოკიდებულებისგან, — მან თავის სახსრით ვერ შეისყიდა

სანადელო მიწები და მესაკუთრედ ვერ გახდა. მაშინ მთავრობამ მოახდინა „რეფორმა“, — გლეხებს „დაეხმარა“, სესხი მისცა, მემამულეებს ნადელების ფასი გადაუხადა ეს სესხი გლეხებს ვალად დააწერა და ამგვარად ისინი მიწის მესაკუთრეებად გახადა. მთავრობა ქვეყანას არწმუნებდა, რომ მან დიადი რეფორმა მოიმოქმედა, გლეხობისთვის მეტად სასარგებლო საქმე შეასრულა და რომ ამ რეფორმის შემდეგ გლეხთა კეთილდღეობა დიდის სისწრაფით წინ წავიდოდა.

მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ მალე ცხადზე უცხადესად გამოამჟღავნა, რომ ასეთი იმედები ყალბი იყო და ნამდვილ ვითარებას არ შეეფერებოდა, გლეხობამ ვერ შესძლო იმ ვალის გასწორება, რომელიც მას მთავრობამ დააწერა ნადელების ფასის გასასტუმრებლად. მთელი წლების განმავლობაში ნადელის გამოსყიდვის გადასახადები გლეხებს ნედლეულად ეწერებოდა; პოლიცია არ გადამხდელ გლეხობას ოჯახებს უწიოკებდა, გადასახადში სახლის ავეჯეულობასა და სამუშაო საქონელს უყიდდა, მაგრამ მთავრობამ ვერ მოახერხა და ვერა გაწერილ ვალის აღება. სესხის მიცემის დროს ნადელები ძალიან დიდ ფასში შეაფასეს, მემამულეებსაც ამგვარ აწეულ შეფასების კვალობაზე გადაუხადეს ნადელების ფასი და უნდოდათ შემდეგ ყველა ეს გლეხების კისრიდან აეღოთ.

მაგრამ გლეხმა კისერი ძირს დასწია, ტვირთს ვერ გაუძლო და მთავრობას პირდაპირ განუცხადა: ნადელიც წაიღე, თავიდან მომაშორე და გამოსყიდვის ვალისაგანაც გამანთავისუფლეო. მაგრამ დღემდის მთავრობა ამ განცხადებას დიდ ყურადღებას არ აქცევდა და მოელოდა, რომ გლეხობას როგორმე გაასწორებინებდა გადასახადს. მაგრამ უკანასკნელ წლებში გლეხთა მეურნეობა სრულიად დაეცა და მისი შემოსავალი გლეხს არა თუ ვალის გასასწორებლად, — თავის შესანახადაც კი არ ჰყოფნიდა. ამ გაჭირვების გამო დაიწყო მთელს რუსეთში საშინელი სტიქიური აგრარული მოძრაობა, რომელმაც არა ერთისა და ორის მემამულის კერძო მეურნეობა იმსხვერპლა. გლეხებმა მიჰყვეს ხელი მემამულეთა სახლ-კარის აკლებას და გახშირდა აგრარული რეულობა. მთავრობას მეტი გზა არ ჰქონდა, — რამე უნდა ეღონა გლეხთა დასაწყნარებლად. ჯერ სცადეს ეგზეკუცია და სამხედრო წესები, მაგრამ ამით არა გამოვიდა რა. ახლა კი ამას დაურთეს ერთი პატარა რეფორმაც, რომელიც დღევანდელ დეპეშებშია გამოცხადებული. ეს რეფორმა ნადელების გამოსყიდვის ვალის გადახდას შეეხება. ხელმწიფე თავის მანიფესტში აცხადებს, რომ 1906 წლის განმავლობაში ხაზინამ მხოლოდ ნახევარი უნდა აიღოს შემოსატან ვალისა, ხოლო 1907 წლის 1 იანვრიდან ეს ვალი სრულიად უნდა გაუქმდეს და გლეხობა განთავისუფლდეს მის გადახდისაგან.

ამგვარად, ნადელების გამოსყიდვის ვალის გასწორების ერთის წლის შემდეგ სახელმწიფო ხაზინა კისრულობს.

სამწუხაროდ, ეს მანიფესტი ცოტათი ეხება ჩვენს გლეხობას. ჩვენში არ ყოფილა დაწესებული სავალდებულო გამოსყიდვა ნადელებისა და გლეხების ძალიან მცირე ნაწილმა ისარგებლა სახელმწიფო სესხით ნადელების შესაძენად. ტფილისის გუბერნიაში დროებით ვალდებულთა კატეგორიის გლეხების უმრავლესობა დღესაც გაუნთავისუფლებელია და თავისი ნადელები საკუთრებად არ უჭირავს. გარდა ამისა, სახელმწიფო გლეხები სამუდამოდ მოიჯარადრეებად ითვლებიან და მიწაში სახელმწიფო იჯარას იხდიან. რუსეთში, ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის დაწესების დროს, ხაზინიდან სესხი მისცეს სახელმწიფო გლეხებსაც და, დროებით ვალდებულ გლეხებსავით, ისინიც მესაკუთრეებად გახადეს. დღეს, მანიფესტის ძალით, ამ კატეგორიის გლეხებიც თავისუფალნი არიან იქ ნადელების გამოსყიდვის ვალისაგან; ჩვენში კი ასეთი სავალდებულო გამოსყიდვა, როგორც ვთქვით, არ ყოფილა დაწესებული და ამიტომ სახელწიფო გლეხები დღესაც სახაზინო მიწების მოიჯარადრეებად ითვლებიან და საიჯარო გადასახადს იხდიან.

მთავრობამ ჩვენშიაც სცადა, დროებით ვალდებულ გლეხების თვის ხაზინიდან სესხი მიეცა და ისინი ნადელების მესაკუთრეებად გაეხადა; კავკასიის უმაღლეს მთავრობასაც ორიოდე თვის წინად ჰქონდა ამ საგანზე თათბირი გამართული. თათბირის მთავარი აზრი ის იყო, რომ ნადელები შეეფასებინათ, ამ შეფასების კვალობაზე მემამულეებისთვის მიწის ფასი მიეცათ და ეს ფული შემდეგ ნაწილ-ნაწილად გლეხებისთვის გადაეხდევინებიათ.

რუსეთის მაგალითმა ცხადად დაანახვა ყველას, რომ ასეთი წესი გლეხთა ეკონომიურ „განთავისუფლებისა“ არაფერს სასიკეთოსა და სასარგებლოს არ წარმოადგენს გლეხობისათვის. ამიტომაც მთავრობა იძულებული გახდა. რომ მოესპო ნადელების გამოსყიდვის გადასახადი. ცხადია, იმიტომ, რომ, ახლანდელ მანიფესტის შემდეგ, იმავე გზას ვეღარ უნდა დაადგეს მთავრობა ჩვენი გლეხობის შესახებ. რუსეთის გლეხობას ვალის გადაუხდელად ეძლევა ის ნადელები, რომლებიც მას უჭირავს. ასევე ყოველგვარ ვალის დაუკისრებლად უნდა მიეცეს საკუთრებად ჩვენშიაც სახელმწიფო და დროებით ვალდებულ გლეხებს ის სანადელო მიწები, რომლებიც მათ დღეს აქვთ დასამუშავებლად. მემამულეების გასტუმრება ჩვენშიაც იმავე ხაზინამ უნდა იკისროს, რომელმაც იკისრა რუს მემამულეების გასტუმრება, და გლეხები ისევე თავისუფალნი უნდა იყვნენ სანადელო ფასის გადახ-

დისაგან, როგორადაც, მანიფესტის ძალით, თავისუფლდება დღეს რუსეთში შიდა გუბერნიების გლეხობა.

ეს არის მანიფესტის ლოლიკური დასკვნა, რომელიც უნდა შეეხოს ჩვენს გლეხობას. შეასრულებს კი ამას მთავრობა? არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ყველა პროგრესიულ ელემენტებმა ენერგიულად უნდა მოითხოვონ მისი აღსრულება და გლეხებს გაუადვილონ ნადელების საკუთრებად მოპოება.

გაზ. „ივერია", 1905 წ., №199, გვ. 1.

მოხელე და მოქალაქე

თანამედროვე საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებას ახასიათებს, სხვათა შორის, შრომის საზოგადოებრივი განაწილება და მცხოვრებთა სხვადასხვა საპროფესიო ჯგუფებად დაყოფა. თითოეული ჯგუფი შრომის თანაბარ პირობებში იმყოფება, მის წევრებს, ვითარცა ერთის ეკონომიურ წრის კაცებს, თავიანთი საერთო საჭიროებანი და მოთხოვნილებანი აქვთ და ამიტომ ეს ერთგვარობა საჭიროებათა ხდება საფუძვლად მათის ერთად შეკავშირებისა და შეერთებულის ძალ-ღონით თავიანთ ინტერესების დასაცავად საკუთარ ორგანიზაციის შექმნისა. საპროფესიო, ხელობის ფარგლით შემოსაზღვრული, საზოგადოებრივი ჯგუფი უფრო პატარა ცნებაა, ვიდრე კლასი, რომელიც თავის წრეში მრავალ პროფესიის წარმომადგენელთ შეიცავს. სანამ სახელმწიფოს პოლიტიკური წესწყობილება მოქალაქეებს არა სცნობს და მხოლოდ მონურ ქვეშევრდომელობის პრინციპზეა დამყარებული, ლეგალურად დაარსება მებრძოლ ორგანიზაციებისა და მათ შორის საპროფესიო კავშირებისაც შეუძლებელია, ვინაიდან პოლიციური რეჟიმი სდევნის ყოველგვარ მოქმედებას, რომელსაც საერთო ჯგუფებრივი ინტერესები აქვს მიზნად და იმ „მზრუნველობით" არ კმაყოფილდება, რომელსაც უწევს ყოველ ხელობისა თუ კლასის წარმომადგენელთ თვითმპყრობელი მთავრობა. ამგვარ კავშირების ლეგალურად წარმოდგომა და არსებობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა სახელმწიფოში ძველი პოლიციური ოპეკა ისპობა და მის ნაცვლად თანამედროვე კულტურულ სახელმწიფოთა მსგავსი პოლიტიკური წყობილება მყარდება, — წყობილება, რომელიც აღიარებს მოქალაქეთა უფლებას და საზოგადოების თავისუფალ განვითარებას.

17 ოქტომბერს რუსეთშიაც ჩამოანგრია თვითმპყრობელობის კედელი რევოლუციამ და ამცნო წინანდელ მონათა სახელმწიფოს მოქალაქეთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შეკრებისა და შეკავშირების თავისუფლება და პიროვნების ხელუხლებლობა.

თითქოს მანიფესტის შემდეგ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ყოველი ხელობა-პროფესიის წარმომადგენელთ აქვთ უფლება კავშირი შეადგინონ და თავიანთი საერთო ინტერესები შეერთებულის ძალღონით დაიცვან და ცხოვრებაში გაატარონ. მაგრამ ვიტტეს სამინისტრომ მალე აუწყა ქვეყანას, რომ ასეთი თავისუფლება ყველა ხელობის კაცთათვის არ არსებობს, და თუ მთავრობა იძულებული გახდა რევოლუციისთვის დაეთმო და შეკავშირების თავისუფლება მოქალაქეებისთვის გამოეცხადებინა, იგივე მთავრობა დღესაც არ სცნობს მოქალაქეებად სახელმწიფოს მოხელეებს და სასტიკად უკრძალავს კავშირებისა და საზოგადოდ ორგანიზაციის შედგენას.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა განიზრახეს თავიანთი საპროფესიო კავშირის შედგენა და ამისთვის სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის კრება მოიწვიეს მოსკოვში. შინაგან საქმეთა მინისტრმა დურნოვომ მაშინვე ძველებურად ცირკულიარით აცნობა ყველა მოხელეებს, რომ სახელმწიფოს სამსახურში მყოფთ კავშირის შედგენის უფლება არა აქვთო და ვინც მაინც ჩაიწერება კავშირში წევრად, სამსახურიდან დათხოვნილ იქნებაო. თუმცა მანიფესტმა შეკავშირების უფლება გამოაცხადა მთელის საზოგადოებისთვის (население), მაგრამ ვიტტეს სამინისტრო, როგორც ეტყობა, საზოგადოების ნაწილად არა სთვლის მოხელეებს და მათ უსპობს იმ ელემენტალურ უფლებას, რომელიც დღეს აქვს ყოველ მოქალაქეს.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა, რასაკვირველია, არ იწამეს დურნოვოს განმარტება. რომ ისინი საზოგადოების ნაწილს არ შეადგენენ, მოქალაქეებად ჩასათვლელნი არ არიან, დელეგატები მაინც გაგზავნეს და კრება მოახდინეს. ვიტტეს სამინისტრო არ შედრკა და რეპრესია არ დაახანა: ყველა დელეგატები, რომელნიც კრებას დაესწრნენ, სამსახურიდან დაითხოვეს.

ასეთ ძალ-მომრეობას ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა შესაფერი პასუხი გასცეს: მოითხოვეს დათხოვნილების ისევ სამსახურში მიღება და როცა ვიტტემ ეს არ შეიწყნარა, საყოველთაო ვაფიცვა მოახდინეს. მთელს რუსეთში აღარც ფოსტა მოქმედობს და აღარც ტელეგრაფი. აღარავინ იცის. რა ხდება სხვადასხვა ადგილებში, რადგან არც ბარათები იგზავნება, არც გაზეთები და არც დეპეშები. მოხელეთა გაფიცვამ მთელს სახელმწიფოში მოსპო აზრისა და ცნობების გადაცემ-გაზიარების საშუალება. ეს გარემოება ერთხელ კიდევ

ამტკიცებს, თუ რა დიდი ძალაა შეერთებული სოლიდარული მოქმედება.

რას იზამს მთავრობა? ცხადია, იგი ვერ გასწევს გაფიცულ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მაგიერობას და იძულებული იქნება დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილება, თუ თვითონ მოხელეებმა ერთმანეთს არ უღალატეს და ციხე შიგნიდან არ გასტეხეს. მაგრამ უთანხმოებით გამოწვეული გატეხა გაფიცვისა და გამარჯვება მთავრობისა იქნება იმის მაჩვენებელი, რომ მოხელეები ჯერ კიდევ არ ამაღლებულან მოქალაქეებამდის და მათთვის ჯერ კიდევ ნაადრევია მოქალაქობრივი უფლებაც.

უფლება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება!

გაზ. „ივერია", 1905 წ., № 208. გვ. 1.

საპროფესიო კავშირები

მკითხველი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიგებს იმ მოქალაქეობრივ უფლების პრაქტიკულ მნიშვნელობას, რომელსაც შეკავშირების თავისუფლება ეწოდება, თუ იგი საკმაოდ ჩახედულია თანამედროვე სოციალურ ურთიერთობაში და იცის, რა როლი და ადგილი უკავია მშრომელ ხალხს საზოგადოებრივ წარმოებაში. შეკავშირების თავისუფლება ისეთი უფლებაა, ურომლისოდაც მუშა ხალხს არ შეუძლიან თავის ინტერესების დასაცავად ბრძოლა, არ შეუძლიან არსებულ წარმოების წყობილებაში გავლენის მოპოება და თავის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ბურჟუაზიულ საზოგადოების უფლებრივი ურთიერთობა იურიდიულად თავისუფალ ადამიანთა მოქმედებაზეა დამყარებული. კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობაში ადამიანებს ესრედ წოდებული „თავისუფალი ხელშეკრულობა" აკავშირებს და ამოქმედებს ერთად. კაპიტალის პატრონს არ შეუძლიან წარმოება გამართოს და წარმართოს, თუ მან მუშაობის მსურველნი არ მონახა და სამუშაოდ არ დაიქირავა. მეორე მხრივ მუშასაც, რომელსაც საწარმოვო იარაღები არ მოეპოვება, არ შეუძლიან წარმოების დაწყება და სხვისაგან დამოუკიდებლად ცხოვრება, რადგან თანამედროვე წარმოება უკაპიტალოდ, — უიარაღოდ, — არ მოხერხდება. ხოლო ეს კაპიტალი კი მუშას არა აქვს და ამიტომ იგი იძულებულია კაპიტალისტს მიმართოს და მის წარმოებაში ქირაზე იმუშაოს. თუმცა, ამგვარად, „თავისუფალი ხელშეკრულობა," რომელსაც სდებენ ერთმანეთს შორის მუშა

და სამრეწველო დაწესებულების პატრონი, ნამდვილ, რეალურ თავისუფლების ნიადაგზე არაა აღმოცენებული, მაგრამ მას მაინც იურიდიულად „თავისუფალი" ჰქვია, რადგან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პროლეტარიც და მილიონერიც თავისუფალ მოქალაქეებად ითვლებიან და მეორეს პირველის დაქირავება არ შეუძლიან, თუ მან თვითონ ამისი სურვილი და თანხმობა არ განაცხადა.

მაგრამ ეს თავისუფლება, როგორც უკვე ვთქვით, ფიქტიურია, ნამდვილი არაა, რადგან მუშას, ვითარცა საწარმოვო იარაღთა არ მქონეს, აუცილებელი გარემოება აიძულებს კაპიტალის პატრონთან წავიდეს და მასთან შრომის პირობებზე იურიდიულად თავისუფალი, მაგრამ ფაქტიურად უთავისუფლო ხელშეკრულობა დაიჭიროს.

ასეა საქმის გარემოება კაპიტალისტურს წესწყობილებაში, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მუშა ხალხს უფლება შეკავშირებისა. შეკავშირების თავისუფლების დროსაც მუშა კაპიტალისტად ვერ გადაიქცევა და მის ადგილს ვერ დაიჭერს წარმოებაში. მხოლოდ მაშინ, როცა ასეთი თავისუფლება არ არსებობს და მუშა ხალხს არ შეუძლიან ლეგალურად შეკავშირება თავის ინტერესების დასაცველად, იგი სავსებით მრეწველ-კაპიტალისტის ხელშია და სავსებით და შეუკვეცელად განიცდის მის სოციალურ ძლიერებას. თითოეული მუშა ცალკე, სხვებთან შეუკავშირებლად და შეერთებულად ისეთ სუსტ ძალას წარმოადგენს, რომ მრეწველს, რომელიც უმთავრესად თავის მოგებაზი ფიქრობს და ამიტომ იაფ მუშა ხელის შოვნას ცდილობს, ყოველთვის შეუძლიან, მას შრომის ისეთი პირობები მიაღებინოს და ისეთ გარემოებაში ამუშაოს, სადაც ადამიანის ექსპლოატაცია უკიდურესობამდის იქნება მიღწეული. თუ მუშა იმ პირობებს არ დაკმაყოფილდება, რომელსაც მრეწველი დაუდებს, უკანასკნელი ყოველთვის იპოვის სხვას, უფრო გაჭირვებულს, რომელიც ძაღლურ ცხოვრებას არჩევს შიმშილით სიკვდილს.

ამიტომაა, რომ მუშას არას გზით არ შეუძლიან თავის ინტერესების დაცვა და შრომის ცოტათ თუ ბევრად ხელსაყრელ პირობების მოპოება, სანამ იგი განცალკევებულია და სხვებთან სოლიდარულად შეერთებული არაა. საპროფესიო კავშირში ყოფნა მუშას საშუალებას აძლევს რეალურად ცოტათი მაინც თავისუფალ ადამიანის მოქმედების ხასიათი მისცეს იმ ხელშეკრულობას, რომელსაც იგი ჰკარგავს თავის დამქირავებელთან ამ შემთხვევაში, შრომის პირობების დადგენის დროს, კაპიტალისტის წინაშე სდგანან არა განცალკევებული დაქსაქსული მუშები, არამედ — ერთს ორგანიზაციაში შეერთებულნი, რომელნიც სოლიდარულად იცავენ თავიანთ მოთხოვნილებას და ცდილობენ თავიანთთვის შრომის ვითარების გაუმჯობესებას.

ადვილი გასაგებია ამიტომ, რომ ჩვენშიაც, როგორც კი დაკანონ-და შეკავშირების თავისუფლება, მშრომელმა ხალხმა ხელი მიჰყო საპროფესიო კავშირების შედგენას და შეუდგა თავის ეკონომიურ მდგომარეობაზე ზრუნვა-საქმიანობას. თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი საპროფესიო კავშირები არსდება და ორგანიზაციები სდგება. უეჭველია, რაც დრო გავა, მით უფრო ამგვარ ორგანიზაციათა რიცხ-ვი გამრავლდება, რადგან ამისი საჭიროება თვით ცხოვრებისაგან არის გამოწვეული.

ამ მხრივ ბევრ რამის სწავლება შეუძლიან ჩვენთვის ევროპას, სადაც დიდის ხნიდან არსებობს აუარებელი საპროფესიო კავშირები და ორგანიზაციები მუშისა. ამიტომ ჩვენ შემდეგ წერილში ევროპის მაგალითებს მოვიხსენებთ და საპროფესიო კავშირების არსებით მხარეს მკითხველს უფრო დაწვრილებით გავუთვალისწინებთ.

გაზ. „ივერია", 1905 წ., № 211, გვ. 1.

რედაქტორისაგან

ფილიპე გოგიჩაიშვილმა თავისი ნაწერების გამოქვეყნება დაიწყო 1892 წლიდან. საბოლოოდ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის სახელწოდებათა სია შეიცავს 300-ზე მეტ ნაშრომს, რომლებიც დაწერილია ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე და გამოქვეყნებულია უმთავრესად საქართველოში.

1892—1950 წწ. დაბეჭდილი ფ. გოგიჩაიშვილის ნაწერების ბიბლიოგრაფია შეადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგემ მარიკა პანელმა[1]. ეს ბიბლიოგრაფია დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას აძლევს საკმაოდ ახლოს გაეცნოს ფ. გოგიჩაიშვილის მეცნიერული და პუბლიცისტური მოღვაწეობის საკითხების წრეს.

ფ. გოგიჩაიშვილის ნაწერთაგან გამოუქვეყნებელი დარჩა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერ 1918—1940-იან წლებში წაკითხული ლექციების კურსები ისეთ ეკონომიკურ დისციპლინებში, როგორიცაა პოლიტიკური ეკონომია, ფინანსები, სტატისტიკა, დემოგრაფია და სხვ.

ნაწილი მისი ნაწერებისა, მაგალითად, მოგონებები, ქვეყნდება მისი გარდაცვალების შემდეგ. უნდა ითქვას, რომ ფილიპე გოგიჩაიშვილი ავტორია რიგი ფრიად საინტერესო მოგონებისა ისეთ პიროვნებათა შესახებ, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი და სხვ., — რომლებთანაც მას მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი ლიტერატურული და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მისი თანამშრომლობის წლებში მე მას რამდენჯერმე დაბეჭითებით ვთხოვე, რათა დაეწერა მემუარები. ამისთვის ვსარგებლობდი ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით, მაგალითად, როდესაც ის მომიყვებოდა „ივერიის“ რედაქტორობის პერიოდში თავის მუშაობაზე, მაშინდელ საზოგადოებრივ სიტუაციასა და იმ ადამიანთა შესახებ, რომლებთანაც

[1] იხ. პ. გუგუშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, 1973, თბ., დამატება. ბიბლიოგრაფია, გვ. 102—122.

მაშინ ეს გაზეთი აკავშირებდა, ან თბილისის უნივერსიტეტის ორგანიზაციის, კახეთის რკინიგზის მშენებლობის თუ სხვ. შესახებ. ზოგჯერ მე მაშინვე ვწერდი მისი მონათხრობიდან ჩემთვის ყველაზე უფრო საინტერესო ეპიზოდებს.

იმ ხანებში, ჩემი „ქართული ჟურნალისტიკის“ გაზეთ და ჟურნალ „ივერიის“ მასალების შესწავლაზე ემუშაობდი და ფრიად მეინტერესებოდა, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის „ნუ თუ?“-ს დაწერისა და გამოქვეყნების, თვით „ივერიის“ გამოცემის შეწყვეტისა და სხვ. ნამდვილი ამბები.

ერთხელ ბ-ნ ფილიპეს მე წავუკითხე „მოგზაურის“ ერთი სტატიიდან ამონაწერი: „...დემოკრატობით“ განთქმულმა „ივერიამ“ ძლიერ ეჭვის თვალით შეხედა „მოგზაურში“ დაბეჭდილ კორესპონდენციას ილია ჭავჭავაძის შესახებ და თითქმის წინდაწინვე უარყო მისი საფუძვლიანობა, და თვით ილიას მიმართა თხოვნით: „დაამტკიცე იმის უსაფუძვლობაო...“ ეტყობა, ძველი კერპების თაყვანისცემას ჯერ იქ („ივერიაში“ — პ. გ.) კიდევ მაგრად აქვს ფესვები გამდგარი“.

მერმე შევახსენე მისი „წერილი რედაქციის მიმართ“ ისევ „ნუ თუ?“-ს შესახებ მან რომ გამოაქვეყნა „სახალხო გაზეთში“ (1913 წ.).— იმ ხანად გრ. დიასამიძისა და ია ეკალაძის მიერ „თემში“ დაბეჭდილი ინფორმაციის თაობაზე და... ასე მინდოდა გამეჩაღებია ცეცხლი ღადარში ღრმად ჩაფლული ნაკვერჩხლისაგან... მაინც, ფილიპე გოგიჩაიშვილი თავისთავს არასოდეს არ ღალატობდა. ისტორიული ჭეშმარიტების გამოცხადების წადილი, ცხადია, ყოველთვის, ყველგან და ყველაში დიდი იყო და არის...

ბ-მა ფილიპემ ჩემგან ერთი ასეთი „შეტევის“ დროს, 1948 წ. გაზაფხული იყო, შემომჩივლა: თარიღებს ზუსტად ვერ ვიხსენებ და ვაი თუ უსწორობანი გამეპაროს და თანაც მეშინია, რომ ჩემი მოგონებები ისეთი გამოდგეს, რომ ან სულ არ დაგიბეჭდონ და თუ დაბეჭდეს რაიმე უსიამოვნებას შეგეყაროსო. მე, ცხადია, ვარწმუნებდი და ველაპარაკებოდი ამ წამოწყების განხორციელების დიდ სარგებლიანობასა და საჭიროებაზე.

მაშინ ეკონომიკის ინსტიტუტი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში იყო და ჩემი თხოვნით ამ ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგემ ნ ი ნ ო სტ ე ფ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა წიგნთსაცავში ფ. გოგიჩაიშვილს ცალკე დაუდგა მოზრდილი მაგიდა, რაზედაც დავულაგე „საქართველოს კალენდრები“, «Кавказский календарь»-ები და სხვა საცნობარო ლიტერატურა; საჭირო ჟურნალ-გაზეთებსაც მოთხოვნისამებრ მიართმევდნენ ხოლმე, რათა მას მემუა-

რების წერისას თარიღები და სხვ. დეტალები ადვილად გაეხსენებია და სხვ.

საბოლოოდ, ფ. გოგიჩაიშვილმა, მართალია, რიგი საინტერესო მოგონება დაწერა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ამ საქმეს იმთავითვე ნავარაუდევი და ჯეროვანი გაქანება მიეღო. მერმე ავადმყოფობაც მიეძალა და კიდევ კარგი, რომ მისი მონათხრობიდან ზოგი რამ, ძლიერ მოკლედ, მაგრამ მაინც ჩაწერილი მაქვს.

ფ. გოგიჩაიშვილის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა შეადგენს, დაახლოებით, 450 საავტორო თაბახს, ანუ ოცდოდე ტომს.

თუ რამდენად მრავალფეროვანი და შინაარსიანია ეს ნაწერები საკმარისია კაცმა გადაათვალიეროს მის ნაშრომთა ზემოთ დასახელებული ბიბლიოგრაფია.

მისი ლიტერატურული, მეცნიერული მოღვაწეობის მთავარი სფერო იყო, ცხადია, ეკონომიკური პრობლემები. იმდროინდელი საზღვარგარეთის ქვეყნების, რუსეთისა და განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკის — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — (მათი ცალკეული დარგების), აგრარულ ურთიერთობათა, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ფულის, კრედიტის, ფინანსების, სტატისტიკის, დემოგრაფიისა და სხვ. საკითხები.

მაგრამ მას, როგორც პუბლიცისტს, ბევრი უწერია საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების, სოციალურ ურთიერთობათა, შრომისა და კაპიტალის, რევოლუციების, მუშათა და გლეხთა მოძრაობის, სახელმწიფოებრივ წყობილებათა სისტემების, კანონმდებლობათა, ცარიზმის ადმინისტრაციის, სასამართლოს, თვითმმართველობის, სოფლისა და ქალაქის გამგებლობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ეროვნული ინტერესებისა და კლასობრივი ბრძოლების, თვითმპყრობელობის, კოლონიური პოლიტიკის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრისა და პარტიების, კულტურის, სწავლა-განათლების, მეცნიერების, ინტელიგენციის როლისა და მნიშვნელობის, მორალის, ოჯახის, ლიტერატურის, ენის, თეატრისა და სხვ. შესახებ.

ფილიპე გოგიჩაიშვილის დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იყო მის თხზულებათა რჩეულის, სახელდობრ ორტომეულის გამოცემა.

წინამდებარე I ტომში შევიდა 1892—1905 წწ. ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ნაწერების საუკეთესო ნაწილი. ამ წლებში ნაწერთა სახელდობრ რა ნაწილი (მასალა) არ მოთავსდა ამ ტომში, ამას მკითხველი ადვილად დაინახავს მისი ნაწერების დასახელებული ბიბლიოგრაფიის გაცნობით.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტომში არ შევიდა ფ. გოგიჩაიშვილის სადოქტორო დისერტაცია, დაცული და გამოქვეყნებული გერმანიაში, ქ. ტიუბინგენში: — „Das Gewerbe in Georgien unter besonderer Berusksichtigung der primitiven Betriebsformen". Tübingen, Verb., V. H. Laupp, 1901, s. 121.

ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრა და გამომცემლობა ამზადებს და ახლო მომავალში ცალკე წიგნად გამოსცემს ქართულ თარგმანს ამ დისერტაციისა და მის შესახებ ქართულ, სომხურ და უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებულ რეცენზიებსა და სხვ. გამოხმაურებებს.

პირველ წიგნში ვერ მოთავსდა აგრეთვე ამიერკავკასიელი გლეხობის მცირემიწიანობის შესახებ ფ. გოგიჩაიშვილის მიერ 1903 წ. რუსულ პრესაში გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია «Малоземелье среди крестьян Закавказья» («Кавказское сельское хозяйство», 1903, № 472, 473, 474, 475).

ფ. გოგიჩაიშვილის ნაწერები, განსაკუთრებით პუბლიცისტური, როგორც წესი, ფართო გამოხმაურებას იწვევდა იმდროინდელ პრესასა და საზოგადოებრიობაში.

სხვადასხვა მიმართულების ადამიანთა შორის ეს პოლემიკა, აზრთა ჭიდილი, ფრიად საინტერესო და საგულისხმოა იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ისტორიის თვალსაზრისით.

საქმე ისაა, რომ სწორედ ამ დროს, XIX საუკუნის მიწურულსა და XX ს. დამდეგს, ქართულმა პრესამ, ჟურნალისტიკამ თავისი განვითარების ახალ და მაღალ საფეხურს მიაღწია; — იმ რთული და მრავალფეროვანი პრობლემებით, რაც აქ პუბლიცისტიკის ყოველდღიური მსჯელობის საგანი ხდებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე რუსეთს და საზღვარგარეთ ზეპირ დისპუტებსა თუ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე კამათში გამოწრთობილი, — იმ ფრიად განათლებული, სხვადასხვა იდეური მრწამსის მატარებელი და მქადაგებელი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა ეროვნული კადრებით ქართული ჟურნალისტიკა უკვე ისეთ დონეს აღწევს, რომ აქ განხილვისა და მსჯელობის საგანი ხდებოდა თითქმის ყველა ის საჭირბოროტო სოციალური და ეკონომიკური პრობლემებიც, რაც იმდროინდელი რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი და პუბლიცისტური ცხოვრების სარბიელზე წამოიჭრებოდა ხოლმე[1].

---

[1] იხ. ჰ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივობაში, 1971, თბ., განსაკუთრებით გვ. 246—258.

ფილიპე გოგიჩაიშვილს ამ დისკუსიებში ყოველთვის ფრიად საპატიო და ავტორიტეტული სპეციალისტის სახელი ამშვენებდა. ასე, რომ მისი ნაწერების უმრავლესობა, სადაც დასმული და განხილული იყო სავსებით ახალი საკითხები, ანდა ახალ ასპექტში შუქდებოდა ძველი პრობლემები, როგორც წესი, ფართო გამოხმაურებას და ზოგჯერ მრავალი წლის მანძილზე გაგრძელებულ რეზონანსს იწვევდა.

საჭირო იყო აქ წარმოგვედგინა შესაბამისი მასალის თუნდაც მოკლე მიმოხილვა, მაგრამ უადგილობისა გამო, გადავწყვიტეთ იგი მეორე ტომში მოვათავსოთ, რაც მით უფრო კანონზომიერი ჩანს, რომ თანამედროვე მკითხველს მაშინ მეტი შესაძლებლობა ექნება უფრო სრულად წარმოიდგინოს სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემათა საკითხების წრე, რომელთა თაობაზედაც მსჯელობა წარიმართება და ის იდეური პოზიციაც, რაც ამ მხრივ ფილიპე გოგიჩაიშვილს ეჭირა.

*

ფილიპე გოგიჩაიშვილის ნაწერები აქ, როგორც წესი, იბეჭდება თავის დროზე ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით. დაბეჭდილ ნაშრომთა დიდი უმრავლესობის ხელნაწერები არ შენახულა.

პერიოდული პრესიდან ამობეჭდილი მთელი ამ მასალის დედანთან შეჯერებისა და მერმე ამ ტომის შედგენის და აწყობილი ტექსტის კორექტურის წაკითხვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლეილა გუგუშვილმა და მეცნიერ თანამშრომელმა იზოლდა აბაშიძემ. საბოლოო კორექტურა წაიკითხა აგრეთვე ბ-ნ ფილიპეს ასულმა თამარ გოგიჩაიშვილმა.

ყოველი წარმოდგენილი მასალის (სტატიის, ნარკვევის, გამოკვლევის, მიმოხილვის და სხვ.) ბოლოს მითითებულია პერიოდული გამოცემა (გაზეთი, ჟურნალი), მათი გამოცემის თარიღი, ნომერი, გვერდები, სადაც იგი დაიბეჭდა.

პაატა გუგუშვილი
16. 5. 74
თბილისი

ს ა რ ჩ ე ვ ი

გამოჩენილი მეცნიერი, სახელოვანი მამულიშვილი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. პროფესორი ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი 3
დაბა და სოფელი 19
ღუელი და პატიოსნების დაცვა 21
ზნეობრივი განვითარება 36
მგზავრის შენიშვნები 62
შეუსაბამო საბელი 98
ქალაქის მართვა-გამგეობა 105
I ქალაქი და მისი საჭიროებანი 105
II ჰიგიენა 111
III სწავლა-განათლება 118
IV ბინები 125
V ქალაქის ფინანსები და აღებ-მიცემობითი ეკონომია 130
თფილისის საქალაქო არჩევნები 138
ეკონომიური წერილები 143
შაქარი და შაქრის საექსპორტო პრემიები 143
საქართველოს ეკონომიური განვითარება მე-XIX საუკუნეში 153
ფელეტონი
კერძო და საზოგადოებრივი ცოხვრება 166
დაოჯახიანება და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა 172
მეოჯახეობა და საზოგადო მოღვაწეობა 180
ფელეტონი 188
ჩვენი ხალხი და ქართული პრესსის მოვალეობა 183
საზოგადოებრივი ჯგუფნი 188
ეკონომიური მხარე 192
ხალხის მოთხოვნილებანი და პრესსის გარკვეულობა 196
ფელეტონი 200
ბიბლიოგრაფია 200
ნორვეგიული პიესა ქართველთა ცხოვრებიდან 200
ფელეტონი 213
ფელეტონი 217
შინაური მიმოხილვა 225
ჩვენი ეკონომიური გაჭირვება 225
შინაური მიმოხილვა 250
კერძო თაოსნობის საჭიროება 250
შინაური მიმოხილვა 273
შინაური მიმოხილვა
ახალი კანონი სამრეწველო წარმოებაში დაზიანებულ მუშაკთა შესახებ

შინაური მიმოხილვა 304
ქართული თეატრი 304
შინაური მიმოხილვა 320
საყურადღებო იუბილე 320
სტატიები „საქართველოს კალენდრიდან", 1904 წ. 337
საქართველოს მცხოვრებთა დაყოფა ეროვნების მიხედვით; 337
ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი 338
გურიის მოძრაობის გამო 347
პრესსის თავისუფლება 350
გადმოსახლება თუ დასახლება? 351
ერთის გამწესების გამო 354
ქართული თეატრი 357
უმაღლესი რესკრიპტი 359
სამართლიანი მოთხოვნილება 361
ხელზე მოსამსახურეთა მოთხოვნილების გამო 363
მშრომელთა უფლება 365
კავკასიის მნიშვნელობა რუსეთის ხაზინისათვის 367
ოლიდარობა 374
ვინ ვის არჩენს? 375
მიმოსვლის თავისუფლება 377
ვერ გაიხარებენ 380
საერთო პოლიტიკური მოძრაობა და კლასობრივი ინტერესები 382
„ფილოსოფიური" პუბლიცისტიკა 385
დედა ენა სკოლაში 389
პოლიტიკური ცვლილების აუცილებლობა 391
ხალხის აზრი 394
პრესსის ზრდა 397
ვისი „დაპყრობა" უნდათ? 399
სანადელო მიწები 400
მოხელე და მოქალაქე 403
საპროფესიო კავშირები 405
რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ 408

გამომცემლობის რედაქტორი ნ. გონაშვილი
მხატვარი ვ. მჭედლიშვილი
მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფაჩი
ტექნიკური რედაქტორი ც შველიძე
კორექტორი ლ. გულიაშვილი
გამომშვები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 6/II 73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VII-74 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 1 ქაღალდის ზომა 60×90 1/16
ნაბეჭდი თაბახი 26 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,61

უე 08525 ტირაჟი 2000 შეკვ. 1666

ფასი 1 მან. 56 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 5,
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.
Типография № 5 Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.

Филипп Гаврилович Гогичайшвили

Избра́нные произведения

том I

(На грузинском языке)
Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5.
1974